ტომი III

წერილის მაგიერ:

მოხუცებული

/ნოველა დღიურ-ეპილოგით/

ევგენი პროკოფიევიჩს წესად ჰქონდა კარის ჩუმად გაღება; კორიდორში იხდიდა პალტოს, რომელსაც დიდი, ფართო კრაველის საყელო ჰქონდა და ძველ, მასიურ დასაკიდებელზე ჰკიდებდა, მერე სარკის წინ დებდა ქაღალდში გახვეულ საჩუქარს, რომელსაც ყოველი კვირის ბოლოს ყიდულობდა ცოლისთვის; კოსტუმის ჯიბიდან იღებდა სავარცხელს, ივარცხნიდა თეთრ, ხშირ თმას, ჯაგრისით იბერტყავდა მხრებზე დაყრილ ქერტლს, კიდევ ერთხელ დახედავდა საჩუქარს და ისევ ჩუმად, კეთილი ღიმილით შედიოდა წინა ოთახში;

იქითა, უფრო პატარა ოთახი ითვლებოდა საწოლად. იქ იჯდა მისი ახალგაზრდა ცოლი და გაზეთზე ნიშნავდა მისთვის საინტერესო ადგილებს.

ახლა განსაკუთრებული სიფრთხილით შეაღო მან კარები, უნდოდა, რომ ძვირფასი საჩუქრით პირდაპირ თავზე წასდგომოდა მეუღლეს, ეს იცოდა მისმა ცოლმა და ყოველთვის ყურს იყრუებდა, ვითომ არ ესმოდა ნაბიჯების ხმა.

თვის ბოლო იყო, ამ დროს საჩუქარი ყოველთვის ორიგინალური და განსაკუთრებით კარგი მოჰქონდა მოხუც ქმარს. სიამოვნებით გადაივარცხნა თმა, დაიბერტყა ქერტლი და უხმოდ შევიდა სასტუმროში. დიდ სავარძელში ჩაესვენა, წინ, მაგიდაზე, დადო საჩუქარი და ღირსეული შემფასებლის კმაყოფილი თვალებით დაუწყო ყურება, მერე პაპიროსი გააბოლა. ოჰ, ეს თამბაქო იყო მათი მუდმივი ოჯახური უსიამოვნების საგანი; წლებმა გული გაუფუჭა და ძველი მწეველი იძულებული იყო სულ ცოტა და ცოტა ეწია, ამის უფლებასაც არ აძლევდა ვალენტინა. როცა უწყრებოდა ცოლი, ის ბუზღუნებდა, უკმაყოფილო სახეს იღებდა, გულში კი სიამოვნებდა, რომ ასე ზრუნავდა მასზე, მერე ჩუმად იპარებოდა დერეფანში და პატარა ბიჭივით მალულად სწევდა მუჭიდან – ეს იყო მისი ყველაზე დიდი სიამოვნება. ზოგჯერ მეზობლის გოგოს დაუძახებდა, დააყენებდა კარებთან, «თუ ვალენტინა ივანოვნამ გამოიხედოს, მანიშნე», ეტყოდა; მუდმივი მოლოდინი, რომ ცოლს შეიძლებოდა გამოეხედა და გასწყრომოდა, არაჩვეულებრივ კმაყოფილებას ჰგვრიდა მას.

ახლაც ასევე ჩუმად გააბოლა და ოდნავ, სულ ჩუმად ჩაახველა, გაიღიმა, საჩუქარი მართლა დიდებული იყო – შიშველი ქალის სტატუა, გამოთლილი მარმარილოში, ვიღაც ცნობილი მოქანდაკის რეპროდუქცია, ვისი – არ ახსოვდა. ის არაჩვეულებრივად ჰგავდა ვალენტინას. მოხუცი ფიქრებში გაერთო, თამბაქოს ბოლი ჭერში ადიოდა, მერე ოთახში დაგუბდა. «საშინლად გაიბოლა ოთახი», გაიფიქრა, ხელით გაფანტა ბოლი და დერეფნის კარები გამოაღო, როცა მობრუნდა, ცოლის ოთახს დაუწყო სიამოვნების ღიმილით ყურება, მერე საჩუქარზე გადაიტანა მზერა და სავარძელში ჩაესვენა. კიდევ ორი_სამი ნაფაზი დარჩა მოსაწევი. იქითა ოთახიდან ვალენტინას მინაზებული ხმა რაღაც უცხო სიცოცხლით ლაპარაკობდა. «ალბათ,

მეზობლის გოგოს ასწავლის», გაიფიქრა მოხუცმა, მერე მოაგონდა, რომ აქამდე სიჩუმე იყო იქით. ვალენტინა კი უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა:

_ მე დიდი ხანია გადავეჩვიე ყველაფერ ამას, კოცნასაც, ცეკვასაც; ხანდახან მეჩვენება, რომ მეც დავბერდი მასავით; შენ პირველი ხარ გათხოვების შემდეგ, მე არც ვიცი გავკიცხო ჩემი თავი თუ არა; ის ბებერია, მე კი სიცოცხლე მინდა, მოდი ახლო, უფრო ახლო, ისე მომენატრა ყველაფერი, ჰა, აი ასე, კიდე მაკოცე, ოჰ, რა გაუმაძღარი გავხდი, ღმერთო ჩემო, არა, შენი ბრალი არ არის არაფერი, რა თქვი? რა? რატომ გავთხოვდი? გეტყვი რატომაც, გამოუცდელობის გამო, მე მაშინ ჩვიდმეტისაც არ ვიყავი, ის კი ორმოცდათხუთმეტის იყო...

ევგენი პროკოფიევიჩმა დარჩენილი ორი ნაფაზი აუჩქარებლად მოქაჩა, ბოლი ხელით გაფანტა და ჩუმი ნაბიჯებით გამოვიდა, შემდეგ დაბრუნდა, საჩუქარი აიღო, პალტო ჩაიცვა, ქუდი, ჩვეულებისამებრ, სარკესთან დაიხურა და ქუჩაში გავიდა.

ბარდნიდა.

ადრე მიყინულ თოვლს ნაცნობი მეეზოვე ქალი დიდი ნიჩბით ფხეკდა. ახალი ფიფქები შავად დარჩენილ ასფალტს ნელა და ენერგიულად ფარავდნენ.

_ თქვენ საით, ევგენი პროკოფიევიჩ, სულ ახლა არ მოხვედით? – მხიარულად გამოეხმაურა ის.

_ აგერ საყიდლებზე.

«რა კარგი ქმარია», გაიფიქრა მეეზოვემ, «ერთი საჩუქარი არ ჰყოფნის».

«რა ენერგიული ქალია, დღე და ღამე მუშაობს. აი, ახლაც დადებს თოვლს და კიდევ უნდა წმინდოს, ღამე კიდევ უნდა ადგეს და წმინდოს. უბედურებაა მათთვის ზამთარი», უტრიალებდა თავში მოხუცს, ის პატარა ქუჩას გასცდა და დიდ ქუჩაზე გავიდა. კარგა ნაცნობ გზას გაუყვა სამსახურისკენ, რატომღაც არასოდეს არ უგრძვნია, რომ ამდენი ხალხი იყო ქუჩაში, არც დაინტერესებულა არავის სახით. ახლა ყველას უყურებდა, ჯერ კიდევ შორიდან ამოირჩევდა რომელიმე სახეს, ცდილობდა გამოეცნო რა ხნის იყო, როცა ჩაივლიდა ის, უკან გააყოლებდა თვალს და გულში ამბობდა მის ხნოვანებას. გადასასვლელთან დაყოვნდა, «დიდი ბიზონები», თოვლით დატვირთული, მძიმედ გადიოდნენ დიდ ქუჩაზე, მათ გვერდზე მსუბუქი მანქანები სულ ერთი ბეწოდ და სასაცილოდ ჩანდნენ, მას რატომღაც მოუნდა გამოეცნო რამდენი მსუბუქი მანქანა ჩაეტეოდა ერთ «ბიზონში»; ბოლოს უცხო მარკის ავტომობილმა ჩაიქროლა; შუქნიშანი გაიხსნა, ხალხთან ერთად სწრაფად გადაჭრა ქუჩა მანაც. ახლა ის მთლიანად გაერთო ფიქრში – ამერიკული იყო ის მანქანა თუ გერმანული, ცუდი იყო, რომ წარწერა ვერ დაინახა, საერთოდ, საშინელი უყურადღებო გახდა ბოლო ხანებში.

სამსახურში არავინ იყო დარაჯის გარდა, რომელსაც ეგონა, რომ რაღაც დარჩა ევგენი პროკოფიევიჩს; მოხუცმა სამმანეთიანი ჩაუდო ხელში გაკვირვებულ დარაჯს და უკან გასწია. გზაზე მოაგონდა: მთელი წელი გადიოდა, რაც კინო არ ენახა, განსაკუთრებით აინტერესებდა ფართოეკრანიანი, ივან ვასილევიჩი ძალიან აქებდა, ამბობდა – ჩვენთვის, მოხუცებულებისთვის, პირდაპირ მისწრებაა ფართო ეკრანი, ყველაფერი ისე მშვენივრად ჩანსო; მერე მოაგონდა, რომ ივან ვასილევიჩი კინოს სიუჟეტს მოუყვა: რომელიღაც მშენებლობაზე როგორ მუშაობდა ახალგაზრდა ჭლექიანი ინჟინერი, როგორ იღუპებოდა ხალხი; თანაც ყველაფერი ეს იყო ფერადი; ასეთი ამბის მოყოლის შემდეგ ივან ვასილევიჩი, ჩვეულებრივ, ამბობდა, «ეჰ, რა არის ჩვენი ცხოვრება», «აბა, აბა», უდასტურებდა ევგენი პროკოფიევიჩი, ოღონდ არასოდეს არ უფიქრია იმაზე, რა არის ჩვენი ცხოვრება, არც ახლა უნდოდა ეფიქრა; უხმოდ ჩადგა კინოს რიგში.

ეკრანი მართლა დიდი იყო და საუცხოოდ ჩანდა ყველაფერი. გადიოდა დოკუმენტური ფილმი: ჯერ აჩვენეს კორეა, დანგრეული ომებისაგან, მერე ხანძარი დასავლეთ გერმანიაში და მარსელელი დოკერების გაფიცვა, შემდეგ ახალი ჰესის გახსნა აღმოსავლეთ გერმანიაში, რომელსაც ესწრებოდა ვოროშილოვი. «ეჰ, კლიმ ეფრემიჩ, ჩვენ სწორები ვართ, მოტეხილხარ», გაურბინა თავში პროკოფიევიჩს. იგი კინოს ისევ უყურებდა, ოღონდ კარგად ვეღარ აღიქვამდა, რა ხდებოდა ეკრანზე. ვოროშილოვის მოტეხილად ნახვამ ააღელვა. ის მას სამოქალაქო ომიდან იცნობდა, ერთად დაიწყეს ბრძოლა. ყველაფერი ბედია, იმას გაუმართლა, ამას არა; დარჩა ბუღალტრად, საბუღალტრო კურსებიც ომის შემდეგ დაამთავრა. «მაინც ჩვენ ორივე დავბერდით, ჰოო», გაიფიქრა აბნეულად.

გარეთ თოვლს გადაეღო, ხალხი ისევ სწრაფად დადიოდა, პროკოფიევიჩი დაიღალა, ნელა გაუყვა ქუჩას, განსაკუთრებით მძიმე ეჩვენა საჩუქარი, ხშირად ანაცვლებდა ხელიდან ხელში, ვიღაცამ ოდნავ გაჰკრა მხარი და ჩაუქროლა. «უცნაურია, რა აჩქარებს ამ ხალხს», გაიფიქრა ისევ, «თან რაღაც მთვრალებივით დადიან, საინტერესოა, რა დაემართათ დღეს ასეთი,» მოულოდნელად ჩაიხითხითა. «აი, მეც რომ დამელია, ურიგო არ იქნებოდა». მერე გონებაში გადათვალა თავისი სამყოფი ფული, ეყოფოდა, მთელი ხუთი თუმანი რჩებოდა ზედმეტი.

სალუდე სავსე იყო ხალხით და პაპიროსის ბოლით. პროკოფიევიჩი უკვე მესამე ჭიქა არაყს სვამდა და ნასიამოვნები აბოლებდა.

_ მშურს თქვენი, პირდაპირ მშურს, _ არ ასვენებდა ენას მის გვერდზე დიდკარტუზიანი კაცი. _ აი, მე ჯერ მხოლოდ ორმოცდაათისა ვარ და ექიმმა სმაც ამიკრძალა, წევაც, თქვენ კი თითქმის მამად მეკუთვნით, თუ არ გეწყინებათ ეს გამოთქმა, და ასე მშვენივრად სწევთ, სვამთ, უბრალოდ, სასიამოვნოა თქვენი ყურება, ღმერთმანი, ბედნიერი ხართ, ეჰ, მეც რომ შემეძლოს, აი, კათხა ლუდი და, მორჩა, მეტი აღარ შეიძლება ჩემთვის.

პროკოფიევიჩი ისევ აბოლებდა, გულში სიამოვნებდა, რომ ასე უქებდა ვიღაც ჯანმრთელობას, არც პაპიროსის წევას უშლიდნენ, არც სმას; გაიღიმა, სიამოვნებით აჰყვა საუბარში, მოიგონა ათასი რამე _ განსაკუთრებით უყვარდა ვოროშილოვზე ლაპარაკი, ახლაც ალაპარაკდა, მერე ეშმაკური ღიმილით დააყოლა «ორივენი გავედით ტირაჟში, მე მთავბუხი ვარ, ძველი პარტიული, ერთადერთი ჩემი საქმეა ხელი მოვაწერო, მაგრამ ენერგიული ხალხი მყავს, ვენდობი, კმარა, მე ჩემი ვიმსახურე, ორ თვეში პენსიაზეც გავალ». თვალიც კი ჩაუკრა მოსაუბრეს პროკოფიევიჩმა.

გარდერობის კაცმა ზრდილობიანად ჩააცვა პალტო მოხუც ბუღალტერს, მან სამი მანეთი მისცა. ის, აშკარად, კმაყოფილი იყო თავისი გულუხვობით, მერე გაახსენდა, რომ დარაჯსაც სამი მანეთი მისცა და ოფიციანტსაც დაუტოვა ხურდა. გარეთ ბნელოდა, ჰაერი იყო სუფთა და გაყინული, არავის არ ავნებდა, რომ მოხუცს გაებოლებინა – ზუსტად ეს ფრაზა მოუვიდა თავში – გააბოლა. გამჭვირვალე ჰაერში პაპიროსის ბოლი ჰაერის ორთქლთან ერთად ამოდიოდა ფილტვებიდან. «ეშმაკმა წაიღოს, რომელი რომლის ბოლია, მოდი და გაარჩიე» გაურბინა თავში პროკოფიევიჩს და მარტო ფილტვებიდან ამოუშვა ორთქლი, მერე მოქაჩა და ორივე ერთად გამოუშვა ოდნავ წინ წაწეული ტუჩებიდან, «რა უცნაურია», გაიფიქრა, რატომღაც საოცრად სიამოვნებდა, რომ ასეთი აზრები მოსდიოდა თავში.

/ფარდა/

[1958 წელი] *24 თებერვალი 1130 _ 1245* [მოსკოვი].

გლიც_ნოველა

დღიური:

ვზივარ მარტო. მოწყენილი. მეტის დაწერა მეზარება, ეშმაკმა იცის, რას დავამატებდი. ყველა ნოველა _ თუ არ შეეშვი დროზე, შეიძლება რომანად იქცეს – ტაქტი უნდა ყველაფერს – დაიღლები – მორჩი.

წერილის მაგიერ:

მატარებელი სტეპში

_ იცი მერე, რა იქნება კუპეში? ჭურჭლების მტვრევა, გუშინ გამცილებელმა ოთხივე ჩამტვრეული სარკე გამოცვალა, _ თქვა გიორგიმ და ზევიდან კეთილი ღიმილით გადახედა ნანას. ნანამ ცხვირზე დაადო თითი, მერე გადაიხარა მისკენ, უკანა ჯიბეში ჩაუყო ხელი და ცხვირსახოცი ამოიღო; ნასიამოვნები, ოდნავ უხერხული, კმაყოფილი სახით მოისვა ცხვირზე.

_ გიორგი რეაქციაზე მუშაობს, _ თქვა, – სულ ცოტა ხანში მისგან ბრწყინვალე ბოქსიორი გამოვა, ისე იცილებს ჭურჭელს.

_ მე ავიტან, ოღონდ შენი გამოსახულება მეცოდება სარკეში უთოს მოხვედრის დროს, _ გადახვია მან ხელი, ნანა ნაზად მიეყრდნო მკერდზე.

_ ჯერჯერობით ისე არ მაბრაზებს, როცა გამაჯავრებს, მაშინ ვნახოთ, ალბათ, მართლა ვიხმარ უთოს, _ ისევ გადაიწია, უკანა ჯიბეში ჩაუდო დამრგვალებული ცხვირსახოცი.

_ ერთი ცუდი თვისება აქვს ჩემს ცოლს, არაყსა სვამს და პაპიროსს ეწევა, ვერაფრით ვერ მოვაშლევინე, ბიჭი რომ იყოს, კიდევ ჰო, თუმცა მაშინ ჩემი მეუღლე აღარ იქნებოდა, _ გიორგიმ ალმაცერად დახედა თავის წინ მდგარ არყის ჭიქას.

_ რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ, გახსოვს რა პირობა მომეცი, _ გაუწყრასავით ნანა.

_ აი, ასეთია, არაფრის უფლებას არ მაძლევს, არც მალევინებს, არც მაწევინებს.

_ მე არ გიშლი, _ ოდნავ წამოწითლდა ნანა.

_ დალიე რამდენიც გინდა, გიო, _ ნანამ პირდაპირ სკამზე მჯდარ ბიჭს შეხედა. _ გინდა გაჩვენო რა მახინჯი იყო გიორგი ბავშვობაში, არც ახლა მყავს მზეთუნახავი, _ მან ჩანთიდან ორი სურათი ამოიღო და გაუწოდა.

ერთზე პატარა ბიჭი იწვა ბალახზე, ზევიდან გოგო ედგა და იცინოდა; მეორეზე იგივე ბიჭი იჯდა, გოგო თმებს ქაჩავდა – ორივე სურათის ფონზე მოჩანდა უნაგირა მთა, ძირთან გაწოლილი წყლის ზოლით, და დაუმთავრებელი კაშხალი.

_ ხედავ, სად დაიწყო ჩვენი რომანი, ჩვიდმეტი წლის წინათ მშენებლობაზე, სადაც ჩვენები მუშაობდნენ, – გაიღიმა გიორგიმ.

_ ეს მე ვარ, ეს გიორგი, რას გავს, არა? _ სიყვარულით თქვა ნანამ.

_ მაშინაც ასე მჩაგრავდა, ხომ ხედავ, ვტირი.

_ შენ სულ ტიროდი.

_ ალბათ, ვგრძნობდი, რომ ჩემი ცოლი იქნებოდი და იმიტომ. _ ნანა წამოწითლდა, მერე ერთმანეთს შეხედეს, გაიცინეს. გიორგიმ ლოყაზე უჩქმიტა.

_ აბაა! _ თქვა, შემდეგ ისევ მოხვია ხელი და მიიზიდა.

მატარებელი რიტმულად ირხეოდა; გარეთ მოჩანდა ალაგ_ალაგ დათოვლილი შიშველი სტეპი, დიდფრთიანი ქარის წისქვილით. ფანჯარაში ჰაერის წუილი ისმოდა და შორს წამოხვეტილი თხელი თოვლი ეყრებოდა წისქვილს.

_ საოცარია სტეპი, – დაიწყო გიომ, რომელიც გარეთ იხედებოდა, – დიდი, უბოლოო, გადაბუგული, შემიძლია მთელი დღე ვუყურო, ჩვენი მთები კი გულზე მაწვებიან.

_ რას ამბობ, მთებს რა შეედრება, ეს ერთფეროვნება მაინც არ არის.

_ იმდენი მთები, რა, ერთფეროვნება არ არის? თან სული გეხუთება, ერთადერთი დარიალი მიყვარს, ხრიოკი და ქვიანია.

_ მე ვერც შევადარებ ენგურს, არც შეიძლება, იმდენი მწვანეა იქ.

_ არ მიყვარს მწვანე.

_ მეც არ მესმის, რა არის სტეპში ან ხრიოკში კარგი, _ თქვა ნანამ.

_ რას ამბობთ... _ დაიწყო გიომ.

გიორგი და ნანა ერთმანეთს უყურებდნენ ოდნავ კმაყოფილი ღიმილით, მათ არც მთა უნდოდათ, არც სტეპი, გიომ სხვა თემაზე სცადა საუბრის გადატანა.

_ ჯერ თაფლის თვე გაქვთ, – თქვა, მისი ხმა ყრუდ და სრულიად ზედმეტად გაისმა, – წახვალთ, ჩახვალთ უკან და ეგ თვეც გავა, სად აპირებთ ცხოვრებას?

ნანას ჯერ უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე, შემდეგ გამოცოცხლდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ღიმილით დაიწყო მოყოლა, რომ სახლი უკვე მზად ჰქონდათ ჰესის მშენებლობაზე, პატარა, სამოთახიანი, მყუდრო, მოხერხებული, გიორგისათვის ცალკე სამუშაო ოთახით, რომლის ფანჯრებიც უზარმაზარი ჩანჩქერის პირას გადის, მუშაობა კი ისეთი საინტერესოა იქ, პირველი ტურბინის ჩადგმა უკვე დამთავრდა, ახლაც იქ უნდა იყვნენ, მაგრამ …

_ მაგრამ ხომ იცი ოჯახი, ქალი ზოგჯერ უნდა გაატარო ტრადიციულ საქორწინო მოგზაურობაში მაინც, თან წარმოგიდგენია, ისე, რომ არც დალიო, არც მოსწიო, ძნელი ყოფილა, ძმაო, ცოლი.

ნანამ წყრომით შეხედა.

_ მე არ გიშლი, შენ თვითონ თუ გინდა, ხომ ხედავ, რა გამხდარი ხარ.

_ გეხუმრები, მართლა აღარ მინდა, იცი, გიო, დალევა, არც მოწევა, აი, ახლაც ერთს მოვწევ და მორჩა, – გიორგიმ გააბოლა ისე, რომ ცოლისთვის არ შეუხედავს.

_ ერთი შეიძლება, – ხელებზე დააყრდნო ნიკაპი ნანამ.

_ ჰო, ჰო, რა მომხვდება ამისთვის, ამ ერთი პაპიროსისთვის, კუპეში, მაგრამ რას იზამ. Любовь требует жертв.

ნანამ ისევ ამოიღო ცხვირსახოცი გიორგის ჯიბიდან, ოღონდ ახლა უფრო დიდხანს ჰქონდა მის ჯიბეში ხელი, მკერდით ეყრდნობოდა ქმარს; მატარებელი კი ირხეოდა, რახრახებდა, მიდიოდა. სტეპში ქარის წისქვილი გაქრა. ახლა რუსული თეთრი ქოხები გამოჩნდნენ ზედ გზის პირას, ერთ მწკრივში ჩაწყობილი, პატარა ოთხკუთხა ფანჯრებით და ღია ცისფერი დარაბებით.

_ როგორ გვანან გაკვირვებულ თვალებს, _ ისევ უხერხულად და ზედმეტად მოისმა გიოს ხმა, მან არაყი დალია უხერხულობის გასაფანტად.

_ ჩვენ წავალთ, დავისვენებთ, – თქვა ნანამ.

ნეტავ რა ეჩქარებათ, რა უნდათ იქ მარტო მთელი დღე, ღამე, კიდე დღე, არ მოსწყინდათ? – გაიფიქრა გიომ და სთხოვა:

_ ცოტაც მოიცადეთ.

გიორგი წამოიწია და ისევ დაჯდა.

_ დალიე, გიორგი, ერთი ჭიქა.

_ არა, ხომ ხედავ არ მიშვებს.

_ დალიე, მე არ გიშლი.

_ ნანა, იცი როგორ მიკვირს, შენი ქმრისთანა ლოთი როგორ შეცვალე, ყოჩაღ.

_ მე არ შემიცვლია, თვითონ აღარ უნდა, არა?

_ ჰო.

გიორგის აშკარად სიამოვნებდა, რომ ცოლი ასე ზრუნავდა მასზე და დალევას არ უშვებდა.

_ ჩემი ქმარი ლოთი იყო? _ იკითხა ნანამ …

_ არ იცოდი? სულ ერთად ვსვამდით, _ გაიღიმა გიომ და ისევ უცხო მოეჩვენა თავისი ხმა; დალია; ნელა შეეპარა სასმელი, დაითრო. _ დალიე, ბიჭო, ამაზე კარგი რა არის, ისე გავა დრო, ვერც გაიგებ, ხვალ კი ჩავალთ, იქ ნუღარ დალევ მერე.

გიორგიმ მოიზიდა ცოლი.

«არ სწყინდებათ ასე ჯდომა», გაიფიქრა გიომ და ისევ დალია.

_ არც არის სმა კარგი, კაცს იმდენი ფანტაზია უნდა ჰქონდეს, საკუთარი, შინაგანი, რომ უალკოჰოლოდაც გაერთოს, მერე შთამომავლობაზეც მოქმედებს.

გიო ამღვრეული თვალებით უყურებდა, ხმა სადღაც უცხო ადგილიდან ისმოდა, გიორგი სერიოზულად იჯდა.

_ მართალს ვამბობ, შენც დაანებე, ჯობია, _ გიო უფრო თვრებოდა, ახლა მისთვის სულ ერთი იყო, არაყმა გემო დაკარგა და ზედიზედ სვამდა, თვალები დაუწითლდა.

_ წავიდეთ, გიორგი, _ წამოიწია ნანა.

გიორგი წამოდგა.

_ მიდიხარ? – შეეკითხა გიო.

_ არ მტოვებს, რას იზამ.

_ დარჩი, თუ გინდა, _ წამოწითლდა ნანა.

გიორგიმ ზევიდან გადახვია ხელი, თმაზე დაადო ცხვირი, აშკარად სიამოვნებდა, რომ ცოლი არ ტოვებდა.

_ ძნელია ოჯახში თავს რომ შეყოფ, _ აკოცა ნანას.

_ კარგად იყავი, გიო, _ დაემშვიდობა ნანა. ფანჯრიდან რუსული თეთრი ქოხები გაქრნენ. სტეპი გაგრძელდა, გაბაცდა და ბინდი ჩაწვა. ქარმა ნისლში ამოსვრილი თოვლი შეაყარა ვაგონრესტორნის ფანჯარას, გიომ იდაყვი გაუსვა შუშას და დუნედ გაიცინა, მიკრული თოვლი გარეთ ყურებას უშლიდა. მატარებელი კი მიდიოდა, რახრახებდა და უკან ტოვებდა ტელეგრაფის ბოძებს.

[1958 წ. თებერვლის მეორე ნახევარი. მოსკოვი]

P.S.

მამა!

დიდი მადლობელი ვარ, თქვენი ფული ორჯერვე მივიღე, ახლა მინდა ჯერომ კ. ჯერომის რამოდენიმე იუმორისტული მოთხრობა ვთარგმნო რამე ჟურნალისთვის. დროა საკუთარი ფული მქონდეს, ძალიან გთხოვ გამომიგზავნო რუსულ-ქართული სიტყვარი და ტერმინთა სიტყვარი _ შეძლებისდაგვარად ჩქარა.

მე კარგად ვცხოვრობ, დიასახლისი თვითონ მიკეთებს საჭმელს _ თვის ბოლოს მეტყვის რა ვჯდები.

წინასწარ გილოცავ წიგნის გამოსვლას. მომწერე ახლა რაზე მუშაობ. მე პიესა თითქმის დავამთავრე. აუცილებლად გამოგზავნე დედა, ოღონდ, მე მგონი, აპრილის ბოლოსთვის ჯობია, ჯერ მაინც ცივა აქ. წინასწარ შემატყობინეთ როდის ჩამოდის, ბილეთებს ავიღებ ყველგან _ აქ თუ 10-15 დღით ადრე არ აიღე, ისე ვერ იშოვი; შენც რომ ჩამოხვიდე, ცუდი არ იქნება, ჩემ ოთახში ადგილი არის, დიასახლისსაც საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

რაც შეეხება «სიკვდილი მთაში», მართლაც, ჯობია კურელა ჩამოაშოროთ, დატოვეთ ალფრედი, საცა გვარი იყო, იხმარეთ მოგზაური ან სხვა რამე. «გურამი» დარჩეს, ნუ შეცვლით სხვა სახელით.

/გურამი/.

რაც მთავარია: მოვიდა საბეჭდი მანქანები _ ძალიან ორიგინალური, პატარა, ლათინური შრიფტით _ 1070 მან. გადაკეთება ქართულზე ჯდება 250 მან.

ბატონო ტელემხედველებო, ანუ, როგორც ახლა უფრო მიღებულია, ამხანაგო ტელემხედველებო! თქვენ დღეს ხედავთ ეკრანებზე ჩემს გამოსახულებას, გესმით ჩემი ხმა, სამწუხაროდ, ყოველივე ამას მე მოკლებული ვარ. მე ვღელავ. მე არა მაქვს უფლება ამერიოს ენა, წავიბორძიკო, დავლიო წყალი, თუ ყელი გამიშრა ლაპარაკისგან. თქვენ იფურჩქნებით, გათხლაშული სავარძლებში, მაგიდის გარშემო, ორივე ყბა გაქვთ გამოტენილი ხიზილალით, შავი პურით, ბორშჩით, ტორტით, რაგუთი по-английски და по-шотландски, სვამთ არაყს, ღვინოს, წყალს, ლაპარაკობთ ენის ბორძიკით, უმეტესად, სისულელეებს და არავინ არის თქვენი მსაჯული, მშურს თქვენი, აბა, მე შემცდეს რამე, ო! უსაზღვრო იქნება თქვენი ირონია თუ რისხვა. ბედნიერი ხალხი ხართ ყველაფერი ამით, ტელემხედველებო! თქვენ მიყურებთ, რის საშუალებასაც მე, სამწუხაროდ, პირადად მოკლებული ვარ _ ასეთია ტელეცენტრის პრინციპი; მაგრამ თქვენ გაქვთ ერთი დიდი უპირატესობა, რაც აზრადაც არ მოგდით – საკმარისია გადაატრიალოთ ჩამრთველი, რომ ჩემი გამოსახულება გაქრეს ეკრანიდან, მე კი უნდა ვილაპარაკო ბოლომდე პროგრამით განსაზღვრული ოცდახუთი წუთი, გინდ ყველა ეკრანი გამოთიშული იყოს, მაგრამ ამას თქვენ არ იზამთ, თქვენ, დახარბებული სანახაობებზე, აზრადაც არ მოგივათ, რომ ერთ გადაცემას მაინც არ უყუროთ და მთლიანად არ აინაზღაუროთ აპარატში მიცემული ფული, თქვენს პატარა ოთახებში სხედან მეზობლები, მორცხვი, დაფეთებული თვალებით, სხედან ფოსტალიონები, რომლებმაც დეპეშა მოიტანეს ორი წუთის წინ, სხედან კაცები, პატარა ბაფთიანი ძაღლები, ზის ბებერი ბებო, ორმაგი სათვალით, და ყვინთავს, ოღონდ მაინც ზის – ეს მისი მოქალაქეობრივი ვალია ოჯახის უფროსის წინაშე, რომელმაც აპარატი შეისყიდა.

მაშ ასე!

ბატონო ტელემხედველებო, თქვენ სხედხართ და მისმენთ, თქვენი სურვილით თუ მის წინააღმდეგ, სხვა არაფერი არ შეგიძლიათ გააკეთოთ, თქვენ განიარაღებულები ხართ!

მიცნობდეთ – მე ვარ გურამ რჩეულიშვილი, მწერალი და პოეტი! ზოგს ეღიმება _ ხედავთ, თურმე მეც ვხედავ. ო, რა ამაყად უყურებს თავის ოჯახის წევრებს, ან თავის ამხანაგებს, ან თავის შვილიშვილებს _ ის მიცნობს მე. ერთხელ ერთად ვიმგზავრეთ მატარებლით, ან სუფრაზე შევხვდით, ან მილიციაში გავათენეთ ღამე, შეიძლება ახლაც აქვს დაღი ჩემი მუშტისაგან სახეზე, რა ძვირად ღირს მისთვის ახლა ეს იარა, რა სიამაყით ისვამს ზედ ხელს, მეც მაქვს იარა _ ხედავთ, ჩემს ყელს გასწრივ გასდევს თეთრი ამობურცული ზოლი, სწორედ ჯიბრზე მისი ავტორი ტელევიზორთან არა

ზის, დარწმუნებული ვარ, მას აზრადაც არ მოსდის ასეთი აპარატის არსებობა – ის იყო მოხუცი მელინეიკე, რომელსაც ვაკის სასაფლაოზე დანჯღრეული ოთხთვალა მოვტაცე და რომელმაც მათრახით მასიამოვნა ისე, რომ მთელ ყელზე ტყავი გადამიხეთქა, ტელეცენტრის და რეკლამბიუროს თხოვნით ვისვრი ლოზუნგ-რეკლამას:

_ მელინეიკეებო, მათხოვრებო, ჯიბის და ღამის ქურდებო, სადგურის ბოზებო, რუსთაველის მეძავებო, რომლებმაც პირველად გაგვაცანით ქალი მე და ჩემს ამხანაგებს, ზოია და რიმა, შეისყიდეთ ტელევიზორები, იქ შეიძლება ნახოთ გურამ რჩეულიშვილი! და აივსოთ იმედით, რომ შეიძლება თქვენც მოგიწიოთ ამ ბედნიერებამ – ტელეეკრანზე გამოსვლამ! ამინ!

ნეტარ არიან მორწმუნენი, _ მითხრა ზოიამ, როცა მთვრალი ცოლად წაყვანას შევპირდი! _ ჭეშმარიტად, ვამბობ მეც, მაგრამ გადავუხვიე...

თქვენ წინაშე მე დღეს გამოვდივარ როგორც მწერალი და მოქალაქე, მოქალაქე, რომელსაც ტელეცენტრის დირექცია უხდის 1500 მანეთს, ფულად, ოცდახუთ წუთში, რათა შეგაქცევინოთ თქვენ თავი. ვეცდები გავამართლო მათი იმედები. ორიოდ სიტყვა ჩემი ნაწარმოებების შესახებ: მე იქ, ე.ი. ნაწერებში, ვცდილობ ვწერო ჩემს თავზე, ეს ერთადერთი ადამიანია, რომელზეც ღირს საერთოდ წერა ან ლაპარაკი. ო! როგორ ვგავართ ჩვენ ერთმანეთს, არა?! ბევრი თქვენგანი კარგად მიცნობს, ბევრს ახლაც აქვს გადაკეცილი ჩემი წიგნის რომელიმე ფურცელი და უდევს სასთუმალთან – ის მათზე მოქმედებს დამამძინებელი ფხვნილივით, რომელიც, ჩვეულებრივ, საშინლად მოქმედებს გულზე. ბევრს ცრემლი მოსდის, როგორც ჩემს ძველ ნაცნობს, რომელიც მიცნობდა როგორც გურამ რჩეულიშვილს და ახლა, უბრალოდ, უკვირს, რომ ხან ვაჟა ჯანდიერი ვარ, ხან, უბრალოდ, გიო, ხანაც მოხუცი ქიტესა. წერა არის პირველი საწყისი ტელეცენტრისა, დაფუძნებული იმავე პრინციპზე – ავტორს ხედავენ მკითხველები, ლანძღავენ უმეტესნი, მით უმეტეს, ნაცნობები. ისინი ხომ კარგად იცნობენ მას და არაფერს კარგს მისგან არ ელიან, სენტიმენტალური გულები ზოგჯერ გუგებიდან ცრემლებსაც უშვებენ, არიან ჭეშმარიტი მსაჯულებიც, მათ ყოველი სიტყვა სასწორზე უდევთ, ყველაფერი ესმით.

_ ჭეშმარიტება კეფას ჰგავს! ვიცით სად არის და ვერასოდეს დავინახავთ! _ ამბობს ჩემი ერთ-ერთი მოთხრობის გმირი. მკითხველ-ჭკვიანს აღარ უნდა ბევრი განმარტება. ის ხვდება და იღიმება ყოვლის მცოდნე ღიმილით – აქ საქმე გვაქვს ფილოსოფიურ მიდრეკილებასთან – აგნოსტიციზმთან. ხო, აგნოს – გონება, სტიციზმი… _ განუმარტავს სხვა გულუბრყვილო მკითხველებს, ის დარწმუნებულია, რომ ნოველის დაწერამდე ავტორი საფუძვლიანად გაეცნო ჰეგელს, კანტს და რაღაც ახალს და სახიფათოს ამბობს. როგორია ის? უსვამს თავს კითხვას, – ჯობია მოვითმინოთ, – პასუხობს. _ ეშმაკმა იცის, ახალია, იქნებ კარგია, დაე, სხვებმა გამოთქვან აზრი, ჩვენ კი ვიტყვით, რომ ამას უკვე დიდი ხანია ვამბობდით, მოწმედ შეგვიძლია პირველივე თანამესუფრე დავასახელოთ. ეგ ადვილია. _ არა, თქვენ არ გესმით. ო, ეს გენიალურია, ეს ახალია, ეს, ეს, ეს – ამბობენ პროგრესულად განწყობილი ფენები, ღმერთო ჩემო, მათ ზეპირად იციან ჰემინგუეის «კატა წვიმის ქვეშ» და «ფიესტა», მათ დასტად უწყვიათ სახლში ჯორჯ გერშვინის სიმფო-ჯაზები და ყოველ ღამე უსმენენ მას, _ ისინი არც იკადრებენ დავიდნენ სხვა ტელემხედველებამდე ან მკითხველებამდე, ისინი სხვა ლიბერალურ შემფასებლებთან ერთად, რომლებისგანაც შედგება ძირითადი ჩვენი საჰონორარო ფონდი, დაძრწიან სამხატვრო გამოფენებზე, ერთმანეთს თელავენ გუდიაშვილის «გრაფიკული» ნამუშევრების წინ და ტვინს იჭყლეტენ «ტვინის ჭყლეტის» ყველა

შტრიხის გაშიფვრით, მაშინ როდესაც «სამი მოქალაქე» ან «ქეიფი ქალთან ერთად» თავისთვის წყნარად კიდია, არა! მაპატიეთ, აი, ვიღაც მხატვარმა, რომელმაც საკმაოდ იჭყლიტა უკვე ტვინი და რომელსაც მოსწყინდა ეს, თქვა, რომ ეს კედელი, ფრანგული პერიოდი, გენიალურია! მთელი ფარა შემფასებლებისა ბღავილით გარბის მისკენ, აშიშვლებს ფერებს, სახეებს – საწყალი ნახატისაგან მხოლოდ მახინჯ ჩონჩხსა ტოვებს და ტკბება. ისინი უფრო შორს მიდიან, მართავენ მხატვრის პატივსაცემად კრებას – ესწრებიან, ძირითადად, მხატვრები, რომელთაც ყველაზე ძალიან ის აწუხებთ, რომ დარბაზში დახუთული ჰაერია, რომ ის პატარაა და რომ მათ, პირადად, არა აქვთ იმდენი პატივი და იმდენი ფული, რამდენიც ორი დღის წინ ნახევრად ღატაკმა მხატვარმა მოიპოვა – ისინი მას აქებენ, ოღონდ ამის პატიება არ შეუძლიათ! იწყება საშინელი არეულობა, ლანძღავენ წინა თაობას იმისთვის, რომ ახლა ისინივე აქებენ გუდიაშვილს, რომელიც აქამდე უარყოფილი იყო, აფრთხილებენ მათ, იქნებ ჩვენც ვიყოთო – გულში ყველა დარწმუნებულია, რომ იქნება _ და ახლავე გვეცით პატივი, სანამ არაფერი გვაქვს გაკეთებული, თორემ გავაკეთებთ და, ვაი თქვენი ბრალიო. შეშინებული ძველი თაობა მერყეობს, უფრო მოქნილები და ისინი, რომელთაც გუდიაშვილზე მეტი რაოდენობის ნახატები აქვთ, ემხრობიან ახალგაზრდებს ნეტარი იმედით, რომ იმათაც არ უფასდებათ – ყოფილ მხატვარ–აფერისტთა დასი შეშინებული იყურება _ ისინი მიატოვეს თავისმა საუკეთესო მეგობრებმა.

ვიღაც მოკრძალებით წამოისვრის ფიროსმანის სახელს. აქ ორი აზრი არ არსებობს.

_ ის გენიალურია თავისი უბრალოებით, მაგრამ თვითონ მხატვარი მკვდარია და ბევრს ნუ ვილაპარაკებთ – ბატონო ლადო, თქვენი აზრი? – გუდიაშვილია ჩვენი მასწავლებელი – გიპ, გიპ, ურა! ის დარბაზში ზის, ნუ ვაწყენინებთ, ვინ იცის, სად გამოგვადგება. მხატვარს ცუდი სმენა აქვს. ის ამით ბედნიერია, ის ზის თავისთვის წყნარად და მხოლოდ ორატორის სახეს ხედავს, დიდი თვალებით, ყურებით და ჭიანი კბილებიდან გადმოგდებული ენით. მისი ხედვითი მეხსიერება დაძაბულია, – ეშმაკმა დალახვროს, – ფიქრობს ის. _ მშვენიერი სიფათია «ხელოვნების წამბილწველებისათვის». ახლიდან მომიხდება დახატვა იმ ნახატის, ნანობს, რატომ ადრე ვერ ნახა – თორემ იმ მაიმუნის ადგილას, რომელიც დანით კვეთს ქალის სხეულს, უეჭველად მას დახატავდა. ის მოხუცია, მაგრამ ძალა ხედვისა არ შენელებია – კიდევ გამოასწორებს შეცდომას, თვითონ თუ ვერ შეძლო, უანდერძებს სხვას – ოღონდ კი იპოვოს ასეთი. იქ კი ერთმანეთს აწყდებიან პუანტილისტები, იმპრესიონისტები, ექსპრესიონისტები, კუბისტები. მათ სცხელათ ამ დარბაზში, მათ ფულს არ აძლევენ, მათ ბინა არა აქვთ, ისინი ვერ ეტევიან საქართველოში. ო, პიკასო! ო და ო მათ. გაახილეთ თვალები, გესმით? ამას გეუბნებით მე, რომელმაც ვნახე ბრწყინვალე ნახატი, _ არა თავისი შესრულებით, არამედ გააზრებით, _ გუდიაშვილის «ფრესკასთან მხატვარი», ჩვენი ქართული ფრესკები, ჩვენი ფიროსმანი და ჩვენი გუდიაშვილი დაცინვით უყურებენ მათ. გირჩევთ შეეშვათ პიკასოებს, აიღეთ მათგან მხოლოდ მანერა და ჯაფარიძეობიდან ნუ გადახვალთ კალანდაძეობაზე! დაინახეთ მჭიდრო კავშირი მედლის ამ ორ სხვადასხვა მხარეს შორის.

ბატონო ედმუნდ! თქვენ არ ხედავთ წერტილებით, თუმცა მაგას მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ მაგიერ უკვე ვიღაცამ დაინახა. ქართველ ქალს წელი არ უტყდება კორსეტისაგან – მოეშვით, ნუ აწვალებთ მას, – შეიძლება ეს შინაგანი ხორცსავსეობა, ბუნება პიკასოს მანერითაც გადმოიცეს:

ბატონო ნიკო და სხვებო! თქვენ ნიჭიერები ხართ, თქვენ მშვენივრად გრძნობთ ადამიანს, მე მქონდა თქვენი სურათი _ ნანა ქათამაძის პორტრეტი – ის არ ჰგავდა მას,

ოღონდ, თანაც, სწორედ ის იყო – მშვენივრად დაჭერილი შინაგანი მსგავსება! ეს კარგია! მაგრამ ის თქვენი, ასე ვთქვათ, მარცხენა, შინაურული ნამუშევარი იყო, სამწუხაროდ, გამოსაფენად საჭიროდ თვლით დახატოთ უფრო არაგულწრფელი, ნუ აჰყვებით, ნუ იმტვრევით წელში სიარულის და ხატვის დროს, ნუ აჰყვებით სალონის სტილნი მატრაბაზებს, რომელნიც გიჟდებიან როკ ენდ როლზე, დღე და ღამე უსმენენ მას და მისი ცეკვა კი არ იციან, რომლებიც შენატრიან იქაურ ბოზობას, ეს ერთადერთი, რასაც ისინი ხედავენ საზღვარგარეთულ პროგრესში და არ იციან, რომ იქ ყოველდღე დადის ხალხი ეკლესიაში, გალობს, უსმენს ლოცვებს, მათ თქვენზე ადრე დაანებეს ღმერთის რწმენას თავი, მაგრამ ეს რწმენა მუდმივია ძირებისადმი და პატიოსნებისადმი. იყავით პატიოსანი! იარეთ სიონში, აღადგინეთ და მოხატეთ დანგრეული ქართული ეკლესიები, მისი კედლები თვითონ მოგცემენ ხაზის ახალი მანერის შერწყმის საშუალებას ქართულ ეროვნულ ძირთან. თქვენ წინ არის მაგალითი ასეთი მხატვრისა, რომელიც თქვენ ყველას გიყვართ, ის თქვენი ასაკისაა – გოგი ოჩიაური. იძმაკაცეთ მასთან, ის წაგიყვანთ მთაში, გაჩვენებთ შატილს, განადირებთ და ვერც გაიგებთ, ისე ჩუმად იმოქმედებს თქვენს დამახინჯებულ გემოვნებაზე. მაშ, ასე! იცოდეთ, უფრო საშიშია პატიოსანი ხელოვანისათვის, მწერლისათვის თუ მხატვრისათვის არ წამოეგოს მხოლოდ წინააღმდეგობის გრძნობის გამო /дух противоречия/ იმაზე, რასაც უკრძალავენ; მეორე ვარიანტი გამოთიშულია მათთვის /პატიოსანთათვის/, რომლებიც წერენ და ხატავენ მხოლოდ იმას, რასაც ყიდიან – სამწუხაროდ, ეს სკოლა ყოველგვარი კრიტიკის გარეშეა, თავისი ყოვლისშემძლე უფლებების წყალობით. კიდევ ერთი ბოლო სიტყვა-ლოზუნგი: პროგრესი გარედან გარეგნული და შიგნიდან შინაგანი – ჯამი პროგრესი ეროვნული, თანამედროვე ხელოვნება. დიახ, ჩვენ გვჭირდება ბევრი რამის გარედან შემოწმება და უნდა შემოვიტანოთ ეს. ბოლო სიტყვა თქვენზეა, პატიოსნებო!

მე ისევ შევიჭერი, მომიტევეთ, ღმერთო ჩემო! რამდენმა გამოთიშა უკვე თავისი ეკრანი, ნუ იქნებით უზრდელები, მომისმინეთ, ისხედით ადგილებზე, ნუ დგებით, ნუ ბუზღუნებთ მარტო იმის გამო, რომ მე ვერა მხედავთ – თუმცა ასეთია ადამიანის ბუნება, პირს უკან არ ერიდებიან ერთმანეთს, იყავით ქრისტიანები, მე გლანძღავთ, მაგრამ იცოდეთ, მე მოყვარე ვარ. მაშ, გაიხსენეთ ილიას გონიერი ანდაზა … ჩართეთ ეკრანები, თქვენ, მაღალ სართულზე მცხოვრებნო, რომელთაც აპარატი მეოთხე ოთახში გიდგათ, რომლებთანაც მეზობლები არ შემოდიან, მათ ერიდებათ თქვენი მდგომარეობის! რა, არა რთავთ? ნუთუ ასე შეგაშფოთათ სიტყვამ «პატიოსანი», გაგონილმა ისეთი ადამიანის პირიდან, რომელიც ხშირად მჯდარა მილიციაში, რომელიც მთვრალი ათასჯერ უნახავთ ქუჩაში და რომელიც თქვენ ანგარიშს არ გიწევთ – იცოდეთ, ის სხვანაირად ფიქრობს, ის თქვენ ყველას, ვისაც გაქვთ ჩართული ეკრანები და ვისაც არა, უფრო მეტ ანგარიშს გიწევთ, ვიდრე თქვენ ერთმანეთს. მომისმინეთ!

ვიცი, ხელოვნებაზე ლაპარაკმა დაგღალათ, თქვენ, ვინც შეჩვეულები ხართ ნონეშვილის ლექსებს, ნიკალაი მამაის მოწოდებებს. მე მინდა ცოტა წავიჭორაო ჩემი ცხოვრების შესახებ. აი, ისევ გეძლევათ საშუალება გაიგოთ სხვაზე რაიმე და დამალოთ თქვენი თავი, არა, ამას თქვენ ხელიდან არ გაუშვებთ, ეს არის სიამოვნების საზღვარი, რომელსაც ვერ გაექცევით. აბა, ჩქარა! ვისაც ჩართული გაქვთ, გადაეცით, ვინც გამოთიშა, ჩართოს, პოეტი ყვება თავის სიყვარულზე, თავის ცხოვრებაზე, თქვენ შესახებ კი არაფერი არ იცის. ასეთია ტელეცენტრის პრინციპი!

მე დავიბადე თქვენთან ერთად, გავიზარდე თქვენთან ერთად, სკოლაში დავდიოდი, დავდიოდი ისევ და ისევ თქვენთან ერთად _ კინოებში, თეატრებში და

ექსკურსიებზე, ზაფხულობით ბორჯომში, მერე ზღვაზე, ზამთარში ბაკურიანში; ვიცვამ თქვენსავით ბუტილკა შარვალს 1955 წლიდან და არ ვატარებ ქუდს. ჩვენ ყველა ვიზრდებით ერთად, ვსწავლობთ ერთმანეთისგან და ყველა ერთი და იმავე წიგნიდან სწავლობს იმას, რაც მის ბუნებასთან ყველაზე ახლოა; მე, თქვენგან განსხვავებით, დავდივარ უჰალსტუხოდ, გაღეღილი გულით და მძიმე მაღალყელიანი ფეხსაცმელებით, ზოგჯერ შეურაცხმყოფელად პირდაღებულებითაც, რადგან ახალი მაღალყელიანის შოვნა საერთოდ ძნელია, მე კი შევეჩვიე მათ, ისინი არიან მძიმე და ერთგული, მადგებიან ერთნაირად ოპერაში და მთაში, კინოში და ჩხუბში.

ეს გარეგნობა. ყველა ჩვენგანი გრძნობს გარეგნობიდან რაიმეს _ კბილის ტკივილამდე. კბილები კი ჩვენ სხვადასხვანაირად გვტკივა და ყოველთვის თითოეულ სუბიექტს უფრო მეტად სტკივა, ვიდრე სხვას, მხოლოდ იმიტომ რომ ეს მას სტკივა. აქ ტკივილის შეფასებაში ექიმი ვერ დაგვეხმარება, მას შეუძლია მხოლოდ მოაძროს ის უიაროდ, იარებით, გართულებით ან გაურთულებლად. საოცარია ტკივილი, არავინ არასოდეს არ იცის მისი განმსაზღვრელი ციფრი. ზოგს ნემსის ჩხვლეტისგან მისდის გული, ზოგს ხელს აჭრიან გაუბრუებლად. ეს ისე, ზოგადად, შესავლისთვის, რომელიც, როგორც წესი, არასოდეს საჭირო არ არის, მაგრამ ზრდილობისთვის წარმოითქმება და ჩვენც, როგორც თავაზიანები ბუნებით, ვუსმენთ.

მე შეგპირდით მომეყოლა ჩემი პირადი ტკივილების შესახებ, ვეცდები ისეთი თემა შევარჩიო, რაც თქვენთან ყველაზე ახლო მოვა, ერთი შეხედვით მაინც _ სიყვარული _ მხოლოდ ქალის სიყვარული, ყოველგვარი კავშირის გარეშე ხელოვნებასთან და მშვენიერებასთან. ნუ იშმუშნებით. ვიცი, რომ თქვენ, თქვენივე განმარტებით, ქალი მშვენიერების გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ; ერთხელ მე და უფეხო ფეხსაცმელების მწმენდავი, მევახშეც, ამავე დროს, ბაქირა, ვსვამდით ერთად – სხვათა შორის, ეს «ერთხელ» ხშირად მეორდება, ბაქირა პატიოსანი ადამიანია, ის პოეტია თავისი საქმის, «ძმაკაცი რომ იყოს, დააგირავა? არ მოიტანა თავის დროზე? გავუხეთქავ მეათედ ფასში, რა ვქნა, ასეთია ჩემი საქმე», – ამბობს ის. მე მჯერა მისი, ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი, მე მოხიბლული ვარ მისით – ის არყის სმის დროსაც კი არ ტყუის და ცდილობს მართალი იყოს. როგორ არა გგავთ ის თქვენ, ასე… ისევ გადავუხვიე. – ბაქირასთან ქალების შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი: «ძალიან მიყვარსო, – თქვა, – ოღონდ საშინელი ზიზღიანი გული მაქვსო, თუ გოგო არ მომეწონა, ისე ვერ ვაკოცებო და, თუ არ ვაკოცე, ვერ ვიცხოვრებო»; მერე წავედით მის სახლში, იქვე დაგვხვდა ის, ვისაც ბაქირა ჰკოცნის და ცხოვრობს _ მისი შეყვარებული, ორმოცს გადაცილებული ბინძური ქურთის დედაკაცი. – ხომ კარგიაო, – თვალი ჩამიკრა ბაქირამ. რატომღაც მეც მომეწონა იმწამში.

შევთანხმდეთ, როცა ვილაპარაკებთ სიყვარულზე, გარეგნობას თავი დავანებოთ და ჩავთვალოთ, რომ ის, ვინც ჩვენ გვიყვარს, ულამაზესია.

პირველი ჩემი სიყვარული დაიწყო, როცა ვიყავი ხუთი წლის – ის გოგო ერთდროულად შეგვიყვარდა მე და ჩემზე ექვსი თვით უმცროს ბიძაშვილს – როლები გავიყავით – ბიძაშვილი უნდა ყოფილიყო მისი ქმარი, მე კი შეყვარებული. – ქალთან სხვა რაიმე დამოკიდებულება, სიტყვების გარდა, მაშინ არ გვესმოდა.

ეს როლები დღემდე არ შეცვლილა. მე ისევ დავრჩი მუდმივი შეყვარებული, შენ, ჩემო დათო, შეირთე ცოლი, გუშინ გავიგე, რომ გყოლია ბიჭი – მომილოცავს შენთვის! მომილოცავს თქვენთვის, ტელემხედველებო, ახალი ჯავახიშვილის დაბადება, როგორ მინდა, რომ იცოდე, ჩემო დათო, გაკოცო ახლა ტუჩებში, მოგიჯახუნო ჭიქა და

ცალი თვალით მაინც შევხედო შენს ბავშვს, რომელიც შეიძლება არც შენ გინახავს დღეს. ის კი წევს, ჭყიპინებს, ან უკვე ტირის, ან იღიმება კიდეც და არ იცის არაფერი, გარდა იმისა, რომ შია, ვუსურვებ ჩემს პატარა ძმისშვილს, ყველაზე ცოტა, ღირსეული ტელემხედველი მაინც იყოს, როცა გაიზრდება, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ მას თვითონ მოუსმენს ხალხი. ის ჩვენი მომავალია! რა საოცარია, არა? ჩვენ თვითონ მარტო მომავლები ვართ თითქოს _ მაპატიეთ, მე ისევ ბავშვი დავრჩი და ვერაფრით ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ ჩემს ტოლებს შვილები ჰყავთ. აბა, პატარა ჯავახიშვილო, ღმერთო ჩემო, შენი სახელი მაინც ვიცოდე, მაგრამ ის ვიცი, რომ შენ ქართველი ხარ, შენი ჭირიმე, და გწამდეს ჩემი. თუ ოდესმე დახმარება დაგჭირდა, მოდი ჩემთან, შენს უფროს ბიძასთან. პატარა ბიჭო, მეც მამაშენთან ერთად ვიყავი, შენზე მხოლოდ ოთხი- ხუთი წლით დიდი, როცა პირველად შეგვიყვარდა გოგო, მერე ორივემ გავიცანით ქალი. ის ქალი იყო… მაგრამ დაიძინე, ეს შენ აღარ გეხება, შენ თვითონ მოახერხებ ამას, მე კი განვაგრძობ ჩემს ტელესიტყვას.

პირველი, რომელმაც გამაცნო ქალი, იყო ჩვენი მოსამსახურე, ოცი წლის გოგო მარინა, ევაკუირებული რუსი. მაშინ მე ვიყავი 13-14 წლის, საბედნიეროდ, ჩვენ ტელევიზორი არა გვაქვს და მშობლები ვერ გაიგებენ, თუმცა მეზობლების დიდი იმედი მაქვს, რომ გადაცემის ბოლომდე გადასცემენ. როცა ის მოვიდა სახლში, ჩვენთან იყო გაზაფხული, მას მკერდი დიდი და გადმოგდებული ჰქონდა, რომელზეც შემთხვევით მომიხვდა ხელი, ამას შემდეგ მთელი კვირა დავდიოდი მოღუშული, საპირველმაისოდ, როცა სახლში არავინ არ იყო, შევიგრძენი პირველი ნეტარება, ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ქალები არ მიყვარს, მაინც გულგრილად ვერ ვუვლი ამ საკითხს – მართლა, სულ დამავიწყდა, ბავშვები თექვსმეტ წლამდე საღამოს სატელევიზიო გადაცემებზე არ დაიშვებიან – სასწრაფოდ მოაშორეთ ეკრანებს, დაუცეთ ყურებში ბამბები და გააგდეთ მოსამსახურეებთან ერთად მეორე ოთახში. ეჰ, ჩემო მსმენელებო, რა იცით თქვენ სხვისი ბავშვების და განსაკუთრებით საკუთარი შვილების შესახებ? რა იცით თქვენ, რომ ბავშვები უფრო უბედურები არიან, ვიდრე დიდები, რომ მათ გაცილებით მგრძნობიარე გულები აქვთ და ერთი სულ უმნიშვნელო სიტყვა უფრო მოქმედებს მათზე, ვიდრე თქვენზე სამსახურიდან მოხსნა და სხვა რაიმე უსიამოვნება.

ამის შემდეგ ვიცნობდი ექვს მარინას. ერთმა მათგანმა მე შემომწირა თავისი ქალიშვილობა სოხუმში, კელასურის ტყეში. მას კაბა გადაწეული ჰქონდა ისევ, როცა წამოვდექი და ცრემლიან თვალებს მთვარე უნათებდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება, რომ უეჭველად მთვარე უნათებდა. სახლამდე ხელში აყვანილი წამოვიყვანე, შემდეგ დავშორდით სამუდამოდ – ორი კვირა მე ავად ვიყავი, ძალად წამიყვანეს თბილისში, იქ დამავიწყდა. მარინა! მახსოვს მხოლოდ, რომ შენ იყავი მოსკოველი. თუ გაიგო ჩემი არსებობა, მოდი ჩემთან ისევ, ნუ მოერიდები ქმარს, თუ ის გყავს, ნუ მოერიდები ბავშვებს და ავ ენებს.

მე შენ ახლაც მიყვარხარ ისევე, როგორც ის პირველი გოგო ხუთი წლის ასაკში და ისევე, როგორც მზია და რუსიკო! არა! ვტყუივარ. მე ყოველთვის მიყვარს ვინმე და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ ვიცი, ვინ არის ის, ხანდახან ვიცი მისი სახე. აი, მაშინ ვკარგავ ყოველგვარ თავშეკავებას, ყველაფერს, მაშინ ვარ უკეთილესიდან უბოროტესამდე ყველაფერი. მაშინ მე აღარ მყოფნის სიყვარული, უფრო და უფრო მეტი მინდა, მეტი, მეტი, მეტი, მეტი და ვიწვები, მაშინ ვჩადივარ ათას სისულელეებს, იმათი აზრით, ვისაც კიდევ რჩება ჩემ გარშემო საღი გონება, ისინი ველარ მიგებენ მე, ან რა უნდა გამიგონ, როცა მე თვითონ აღარ მესმის ჩემი თავის და ვრჩები ისევ მარტო. ამ დროს იწყება ჩემი ჩუმი შეყვარება, ამ დროს, შენ შემდეგ, ჩემო რუსიკო,

მოვიდა ჩემთან ანნა კარენინა, რომელიც ვერ დაეტია თავის სიყვარულში, რომელზეც მისივე ძმა ამბობდა, რომ ის ქალი-მწერალი კი არა, ქალი-შეყვარებულია. გესმით! ვრონსკი კი არ გაცივდა ანნასადმი, არამედ ანნას უნდოდა სულ მეტი და მეტი სიყვარული, რაც თავადს აღარ ჰქონდა. სხვა რომანის, გინდაც უფრო ამაღლებულის, დაწყებისათვის ანნას ზომაზე მეტად პატიოსანი სინდისი ჰქონდა, მან თავი მოიკლა, მე ეს ვერ გავაკეთე, მე არ მეყო პატიოსნება, მე საკმაოდ შევცოდე მანამდე, რომ ახლა გამომესწორებინა ცოდვები. ახლა მე ვწერ და ვსვამ დიდი რაოდენობით – ეს ერთადერთი გზაა, რომ თავი არ მოვიკლა, სანამ შემიყვარდება სხვა ქალი.

შენ შემდეგ, რუსიკო, მე მიყვარდა ანნა კარენინა, მან რამდენიმე ღამე გაათია ჩემ გვერდზე საწოლში და წავიდა ისეთივე უმწიკვლო, როგორც მოვიდა. ჩვენ ძალიან ვგავდით ერთმანეთს იმისათვის, რომ დიდხანს ვყოფილიყავით ერთად. გარდა მაგისა, ის, ვინც, სულის გარდა, ფიზიკურადაც არ არის შენთან, ჩქარა გტოვებს – ლანდთან კი ასეთი კავშირი წარმოუდგენელია. გაქრნენ ლანდები. დარჩა საწერ-კალამი და არაყი. დარჩით თქვენ, მოსკოვის ბარის ლოთებო და სადგურის ბოზებო. მე ვცდილობ შეგიყვაროთ თქვენ, სხვა კავშირი ჩემთვის წარმოუდგენელია.

მარინა სადგურიდან. ასე გქვია შენ! შენ მახინჯი ხარ სხეულით და სულით. მთელი კვირა ვსვამდით ერთად, მერე შენ ბარშივე შიშვლდებოდი თითქმის, იფურთხებოდი, იგინებოდი და შენი პირიდან, არყის სუნის გარდა, არაფერი არ ამოდიოდა. შენ იყავი ყველაფერი ცუდის განსახიერება, შენ მითხარი, როცა მე ჩემს სიყვარულზე გიყვებოდი, რომ ის, ვინც ღალატს გაპატიებს, თვითონაც ჩაიდენს. მე ვიტირე, შენ იცინოდი, მე მგონი, მიყვარდი მაშინ და ერთხელ, მოულოდნელად, რატომღაც შეგრცხვა ჩემი, ეს იყო პირველი პატიოსნების გამოხატულება შენს ცხოვრებაში, რაც მე, მხოლოდ მე მეკუთვნის, და ის იმდენად მახინჯი იყო, რომ ჩვენ დავშორდით, აღარ შემეძლო შენი ყურება, შენ აღარ იყავი განსახიერება რაიმესი, თუნდაც სიმახინჯის და სისაზიზღრის. მომიტევეთ, ჩემი ბოლო ნაწილი არეულია, დაულაგებელი. ის გაცილებით ახლოა გულთან, ვიდრე ყველაფერი სხვა, მე მასზე გულგრილად არ შემიძლია წერა და ლაპარაკი.

[1958 წ. 5 მარტის შემდეგ. მოსკოვი]

შაშას რევოლუცია,
ანუ
რევოლუცია ორთაჭალაში «ბამბის რიგზე»

შაშა აზაურაშვილი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ქვაფენილაყრილ ტროტუარზე, გაშტერებული უყურებდა ამოყრილ ქვებს შუა ჩამდგარ წყალს, ქვების შუაში ლიპი ნაფეხურები ჩანდა, შაშა ცდილობდა შიგ ნაფეხურებში ჩაედგა ფეხი, როცა ამას ვერ ახერხებდა, ნერვიულობისაგან ემანჭებოდა სახე, პატარა, უსიამოვნო სუსხისგან დალურჯებული ცხვირი შუაში გატეხილივით ექცეოდა გვერდზე; ყოველი ასეთი მოძრაობისას შაშას თვალები ხედავდნენ ცხვირის წვერზე გამოსულ, სიცივისაგან გამაგრებულ თეთრ-მომწვანოთავა მუწუკს; უსიამოვნოდ იშმუშნებოდა შაშა, გალიპული ტანისამოსი მხრებზე ეკვრებოდა და ახალ შეგრძნებებს იწვევდა მის ტანში, რომელიც ხან იმართებოდა, ხან თითქმის მიწამდე ეშვებოდა, როცა მთელი

ხუთი სანტიმეტრით მოკლე ფეხს ეყრდნობოდა. ყოველი ფეხის გადადგმის შემდეგ ეგონა მას, რომ შემდეგი ნაბიჯი გამოვიდოდა სწორი, ასე ეგონა ბავშვობიდან, როცა დიდებიც კი ეძახდნენ ჩოლახას, ჩოლახას ეძახდა დედაც...

ბავშვობიდანვე იშვიათად ეფერებოდა დედა შაშას და სწორედ ამ იშვიათი მოფერების დროს ეძახდა იგი მას «ჩოლახას», შაშამ პატარა ბავშვის ინტუიციით იცოდა, რომ ეს ზედმეტი სახელი, რომელიც მის ფიზიკურ ნაკლს გამოხატავდა, მხოლოდ საალერსოდ იყო ნათქვამი და ყველაზე ძალიან ესა სწყინდა, სწყინდა უფრო ძლიერად კიდევ იმიტომ, რომ დედა ამ სიტყვის თქმისას თავზე ხელს უსვამდა და მისი ამ ნაკლით გამოხატავდა მთელ სინაზეს, რაც მისდამი ჰქონდა, და თითქოს ეს ნაკლი რომ არა, საერთოდ არ მოეფერებოდნენ მას, ან კოცნიდა და ის ვერ ახერხებდა მთელი თავისი ბუნებით გაბრაზებულიყო გულში მაინც; როცა, ამ სიტყვის გაგონების დროს, მთლიანად უძაბუნდებოდა ბრაზიანი სევდისგან შიგნით რაღაცა, ყველაზე ძვირფასი, მეორე ნაწილი ამშვიდებდა, ნიღბავდა მის სამართლიან აღშფოთებას იმ მიზეზით, რომ დედა ამ სიტყვას საალერსოდ ეუბნებოდა, და სწორედ ამ სიბრაზის შეკავება აათკეცებდა მის ბრაზს, ნაღველს და მარტო დარჩენილი ჩუმად ტიროდა ამის შემდეგ მთელი ღამე.

როცა სხვები ეძახდნენ შაშას ჩოლახას, ის გულში მათ ათას სამაგიეროს უხდიდა, რაღაცეებს ძებნიდა შეუგნებლად თავისივე თავში ისეთს, რაც მათ არა ჰქონდათ, ეჯიბრებოდა ოცნებით, ამარცხებდა მტრებს და მშვიდდებოდა, მაგრამ დედის მოფერებისას იძულებული იყო ყველა თავისი შინაგანი გრძნობა შეეკავებინა.

დედებმა რომ იცოდნენ, რამდენ საწყენს ეუბნებიან თავიანთ შვილებს და ერთი გაუფრთხილებელი სიტყვითაც რამდენ ნაღველს, ბრაზს იწვევენ მათ პატარა გულებში, მაშინაც კი, როცა პატარებმა გონებით არაფერი იციან თავიანთი ამ გრძნობის შესახებ. დედის მიერ გაუფრთხილებელი სიტყვით გამოწვეულ წყენასთან შედარებით არაფერია მთელი უბნის ბავშვების დაცინვაც კი.

დიდი ხნის წინ, როცა შაშა იყო ათი წლის, მისი ძმა კი რვა წლის, ძალიან, ძალიან აწყენინეს მას: შაშა კედელთან მიგდებულ, ჯდომისაგან თითქოს მიტკეპნილ ქვაზე იჯდა; მისი ძმა სხვებთან ერთად «ქუჩურ ადგილზე» თამაშობდა. შაშას გული სიხარულით ევსებოდა, როცა გაიოზი თუნუქის ყუთს ქვას მოარტყამდა და წრიდან შორს ისროდა, თვითონაც შედიოდა აზარტში, მაგრამ პატარას უფრო სუსტი ჰქონდა ფეხი, თითქმის კუტი იყო, ძლივს აათრევდა ხოლმე მოკლე ფეხს ხელების დახმარებით კიბეზე, რომლის ბოლოშიაც ახლა იჯდა. გაბრწყინებული თვალებით უყურებდა ბიჭების თამაშს; ხაზიდან ესროლა «ქუჩურს» ქვა მისმა ძმამ და ააცილა, სალკა შაშას ფეხთან დაეცა, წრეში ჩამდგარი «დედა» თვალს არ აშორებდა გაიოზის «სალკას», რომ ხაზის გადმოჭრისთანავე მოწინააღმდეგე ფეხში დაეჭრა. აქლოშინებული დარბოდა გაიოზი ხაზის გასწვრივ, ხან უცებ ფეხს შემოყოფდა, მიიტყუებდა დედას და ისევ უკან გარბოდა, რომ სხვა მხრიდან შემოჭრილიყო. ძმის მაგიერ შიშით, სიხარულით იყო სავსე შაშას გული, თვალებს ხუჭავდა, როცა «დედას» მისი ძმა ფეხში უნდა დაეჭრა და ისევ ებერებოდა ფილტვები, უბრწყინავდა თვალები, როცა გადარჩენილი ძმა უკან გარბოდა.

უცებ გაიოზმა პირდაპირ გადაჭრა ხაზი, მისკენ გამოქცეულ «დედას» წინ გაურბინა, ისევ გადავიდა ხაზს იქით და ახალი ძალით გაქანდა ქვისაკენ. ქვა ეგდო შაშას ფეხთან, შაშა წამოიწია, «დედა» მოსწყდა ადგილს და ისიც ქვისაკენ გაექანა, ცოტაც და გაიოზი ფეხს დაადგამდა ქვას, მაგრამ შაშას მოეჩვენა, რომ «დედა» დაასწრებდა მის ფეხში დაჭრას. ენერგიული მოძრაობით წამოხტა ჯანსაღ ფეხზე შაშა,

მეორე ფეხი ჰაერში დაეკიდა საცოდავად, დაიხარა, ხელებს დაეყრდნო და სამფეხა მოძრაობით გადახტა ქვისკენ, წაიქცა, ძლივს მისწვდა ქვას და ძმას გადაუგდო, მაგრამ ძმამ დაასწრო იმ ადგილას მირბენა, სადაც ადრე იდო ქვა, გაჩერება ვეღარ მოასწრო და «დედამ» თავისუფლად დაჭრა ის ფეხში; გამოქანებულივე დაეცა გაიოზი წაფორხილებულ შაშას ზევიდან და წაგებისაგან გამწარებულმა დაუწყო ცემა მუშტებით, აღელვებული შაშა უცებ გაბრუვდა. მუშტები ხვდებოდა სახეში, ფერდებში, «უ, შე ჩოლახა, უ, შე ჩოლახა, ჩოლახა, ჩოლახა», ეძახდა გამწარებული ძმა. «ჩოლახა, თარსო», იძახდნენ სხვა ბავშვები და გაიოზს აქეზებდნენ, რომელიც ზევიდან ეჯდა და სცემდა. «თავისზე დიდს ერევა», აღტაცებულები იძახდნენ ისინი, შაშა ფიზიკურ ტკივილს საშინლად გრძნობდა და თითქმის არ ესმოდა სიტყვები, ის მთლიანად გაბრუებული და გაოგნებული იყო მოულოდნელობისგან, ის ძმა, რომლისთვისაც ამდენს ღელავდა და რომელსაც მისაშველებლად წინ გადაუგდო ქვა, ახლა ზევიდან ეჯდა და სცემდა უწყალოდ, შაშამ მლაშე გემო იგრძნო პირში, მერე თვალი აეწირპლა; გარეშემო ყიჟინით დახტოდნენ ბავშვები, «ჯერ არ ტირის, არ ტირის», ყვიროდნენ ისინი, შაშას დაავიწყდა კიდეც, რომ ასეთ დროს ტიროდნენ. მხოლოდ ბავშვების ხმაზე გაახსენდა, რომ ცემის დროს რაღაც ხდებოდა ხოლმე სამარცხვინო, არაკაცური, ის, რასაც მოითხოვდნენ მისგან და გაკერპდა, არ იტირა მაშინაც, როცა წიხლი მიარტყა ძმამ მუცელში და უცებ სხვა ბავშვებთან ერთად გაიქცა. მთლიანად ძალაგამოლეული, კრიჭაშეკრული აიყვანა დედამ შაშა ხელში, და შინ მიიყვანა. საცოდავი სანახავი იყო იგი ამ დროს, ნაცემი, დალურჯებული, მაგრამ ამაყი გულში, ბავშვურად ამაყი, რომ ის, რასაც მისგან ელოდნენ – ტირილს – ის, რითაც ის დამცირდებოდა, ე.ი. ცრემლები, არ წამოუვიდა თვალებიდან. დედამ მობანა პირი, ცივი კომპრესი დაადო, მერე, უკვე ლოგინში ჩაწოლილს, ხელი მოხვია, ოდნავ აიყვანა, აკოცა თვალებდახუჭულს ლოყაზე და ნაზად ყურში უთხრა, «ჩემი ჩოლახა ბიჭი, ჩემი ჩოლახა ბიჭი». შაშა უკვე გაანაზა დედის ალერსმა და ახლა უცებ, ამ სიტყვების გაგონებისას, გაივსო, გაივსო რაღაცა დიდი, მძიმე სევდით, გაევსო თვალები ცრემლებით და ატირდა. არ ესმოდა რატომ, მის გონებას არ გამოუყვია ერთმანეთისგან არაფერი, მხოლოდ მისი სხეული გრძნობდა, რომ ის იყო სუსტი, რომ ამ სუსტს ეფერებოდნენ, ეფერებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ შეეძლო ეცემა მეორე _ სხვა, და თანაც ამ სხეულს ახსენებდნენ, რომ ის იყო მახინჯი, ის იყო ჩოლახა, ის იყო საცოდავი; შაშა უცებ ჩაეკრა დედას გულში და ატირდა, აქვითინდა. რაც უფრო ტიროდა, უფრო თრთოდა, ტანი და პატარა ფეხი დაეკრუნჩხა, დიდი ფეხი დაუგრძელდა. «ჩემი ჩოლახა ბიჭი, ჩემი ჩოლახა ბიჭი», იმეორებდა დედა, ეფერებოდა, თავზე ხელს უსვამდა, «ჩოლახა» ბუნდოვნად ესმოდა ალერსში შაშას, ვერ შორდებოდა დედის ტანს, რცხვენოდა ტირილის, თავს კალთაში მალავდა, იმ კალთაში, რომელმაც ყველაზე მეტი შეურაცხყოფა მიაყენა, რომელმაც აიძულა იგი ეტირა და უფრო მაგრად ჩაკრული, დაღლილი, ფიზიკურად სუსტი და დედის სიტყვებისგან სულითაც დაჯაბნილი, საცოდავადა თრთოდა. უნდოდა გაქცევა შორს, სადღაც, მაგრამ დედის კალთას იქით გზა არსაითა ჰქონდა.

დედის გახსენებაზე უსიამოვნოდ შეიშმუშნა შაშა, აქამდე არ ესმოდა, რატომ ეძახდა დედაც ჩოლახას, ის დედა, რომლისთვისაც ახლა თავისი ხელით მიჰქონდა წამალი, «მიჰქონდა წამალი» _ ამ ორ სიტყვაზე მახვილი გააკეთა მისმა გონებამ, პატარა ფეხმა უბიძგა მთელ ტანს, გაიმართა, ისევ დაეშვა და ისევ გააკეთა ნერვიული მოძრაობა, ისევ გაიმეორა _ «მიჰქონდა წამალი», მერე ეს ორი სიტყვა რიტმში ჩაუჯდა მუსიკასავით და თითქმის ხტუნაობით წავიდა. იქით, ქუჩის ბოლო ნისლში იჯდა,

ქუჩა ცარიელი, ანგრეული იყო, მის შუაში მთლიანად საკუთარი თავით დატვირთული მიდიოდა საშა, ახლა თითოეული ბიძგის მიცემისას მისი გონება სამ ნაწილად იმეორებდა: «ჩო-ლა-ხა, ჩო-ლა-ხა», ბოლო «ხა» და წინა «ჩო» მოდიოდა მარცხენა მოკლე ფეხზე, მერე ხმები გაიზარდნენ, ახლა ნისლიდან ისმოდნენ ისინი, «ჩო-ლა-ხა!» შაშა მოულოდნელად გამხიარულდა და უცებ სრულიად მოულოდნელად დაასკვნა, რომ თავის ძმას სწორედ იმით სჯობდა, რომ იყო ჩოლახა, თანაც უფრო სჯობდა, რაც უფრო მაგარი ჩოლახა იყო, უცებ შეეცვალა დაძაბული ტანი, რომელიც კოჭლობის დამალვას ცდილობდა, მთლიანად მოეშვა, მთელ ბუქნზე ჩაჯდა და გაიმართა, ჩაჯდა და გაიმართა, გამომწვევად ააყოლა ტანი, მხრები; «აბა, რომელი ხართ ჩემსავით ჩოლახა, ა, ა?» იმეორებდა მისი გონება, თვალები აენთო, ხელები მოძრაობაში მოვიდნენ, გაყინული ცხვირი გაუხურდა, გალხვა და მოეშვა. ჟინჟვლა წვიმაში გადავიდა, შაშამ გული ჩაიხსნა, თვალები უფრო გაუელვარდა, აენთო, გახურებული მკერდით ცდილობდა თვითონ დასჯახებოდა წვიმას, განგებ მაგრად ედებოდა მოსახვევებში გალიპულ თიხის კედლებს, ჯაგარივით თმა დაუსველდა, წყლით გაევსო, შუბლზე წურწურით წამოუვიდა წვიმის წყალი, გაბრუებული წავიდა წინ. მოსახვევთან გაჩერდა, სუნთქვაც შეაჩერა, ამოსული ჰაერი სახეში მიაწვა, «ფუუ» დაიძახა უცებ, ბავშვივით აენთო ისევ თვალები, მთელი მისი ტანი მოძრაობაში მოვიდა. ნისლით ჩაგუბებულ, უფერულ, გალიპულ ქუჩაში საოცრად აღელვებული და ამინდისთვის შეუფერებელი მოძრაობით მიდიოდა შაშა.

არიან ნატურები, განსაკუთრებით ფიზიკურად მახინჯები, რომლებშიაც ასეთი ამინდი უკუშეგრძნებას იწვევს, ისინი თითქოს არღვევენ ტრადიციულ დამოკიდებულებას ბუნების ზემოქმედებასა და საკუთარ განწყობას შორის, და რაღაც სიმეტრიულობაში რჩებიან მასთან, თუ ამინდი ცუდია, თვითონ კარგ ხასიათზე დგებიან, ხოლო თუ ამინდი კარგია, იწყენენ, ეშვებიან, შესაძლოა, ეს იმიტომაც ხდება, რომ სხვები კარგ ხასიათზე არიან ამ უკანასკნელ შემთხვევაში და მას, როგორც საერთოდ დაჩაგრულს, ე.ი. მათგან გამორჩეულს ცუდი მხრით, ისეთივე განწყობილების საშუალებას არ აძლევენ თავიანთი გარეგნობით, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად, ქვეშეცნეულად მოქმედებს მგრძნობიარე ნატურაზე და რომელმაც ამ შემთხვევაში იმოქმედა შაშაზე.

რაღაც სიტყვების ლუღლუღით დაეშვა შაშა ვიწრო, დაქანებულ შუკაში, ყოველი ნახტომ-ნაბიჯით სულ უფრო ხურდებოდა ის, თითქმის გაბრუვდა, უჩვეულო სიმედგრე შეიგრძნო, ვაჟკაცური მელოდია დაიბადა მის გულში, რომელიც მისი ტანის არიტმულ მოძრაობას აჰყვა, აყეფდა; წინ გადაგდებულ მოკლე ფეხს დაღმართზე გალიპულ თიხაში აცურებდა და ტლაპოს წყვეტილ ხაზებსა ტოვებდა. «ჩვენ და ჩვენ ეეენ, წავაააალთ იქ», «მოვალთ და მოვაააალთ», დუდუნებდა მისთვისვე აზრით გაუგებარ სიტყვებს, მაგრამ არაჩვეულებრივად ნაცნობს ფიზიკურად, რადგან ამ სიტყვებში თვითონ სიტყვებს კი არა ჰქონდათ მნიშვნელობა, არამედ მელოდიას, რომელიც მასში იბადებოდა, მისთვისვე უჩვეულო სიმედგრეს, რომელსაც არავითარი საბაბი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ის იყო თავის თავში სხვა, ამაღლებულ ხასიათზე და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ასეთი გახურებული, აღგზნებული შევიდა თავიანთ ვიწრო ქუჩაში შაშა, ეს ქუჩა ორ პარალელურ დიდ ქუჩას აერთებდა, შუაში შეგრეხილი იყო პატარა მოედნად, რაც მას დამოუკიდებელ სახეს უქმნიდა. ქუჩა ცნობილი იყო «ბამბის რიგის» სახელით.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ ისეთივე აღგზნებით გაიარა შაშამ და უცებ მოეშვა, რაღაც უხერხული გაუხდა მოძრაობა, წყლის წვეთები საცოდავად დაეკიდნენ

შუბლზე, მკერდის შესაკრავად წაიღო ხელი, ქვაფენილისკენ გადაუხვია, კედლებს მიეკრა და შეეცადა რაც შეიძლება შეუმჩნევლად გაევლო თავისი ქუჩა. აქ, ამ ქუჩაზე, სადაც ის გაიზარდა, ყველა იცნობდა მას და ყველაფრის ეუხერხულებოდა თვითონაც. აქ ყველამ იცოდა, რომ ის კოჭლი იყო და «ს»-ს მაგიერ «შ»-ს ამბობდა, აქვე იცოდნენ, რომ რამდენჯერმე სცემეს უსამართლოდ, მას კი თავის დაცვა არ შეეძლო, ამ ქუჩაზე მიჰქონდა ნაგავი შაშას გადასაყრელად და ყოველდღე გრძნობდა, როგორ უყურებდნენ და დასცინოდნენ თვალები მას, ეძახდნენ უკნიდან რაღაცეებს.

ამიტომ შეეცადა ის, რაც შეიძლება ჩუმად გაევლო ქუჩის ეს მონაკვეთი, რომ არავინ არ შეხვედროდა; სულ ახლანდელი აღგზნებული ხასიათის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა ეს მისთვის, მით უმეტეს, რომ კარგს არავინ არაფერს ეტყოდა, ეტყოდნენ გაემეორებინა რამე, უკვე ათასჯერ ნათქვამი, ისიც უარს ვერ ეტყოდა, იმდენად იყო დამოკიდებული სხვებზე, ყოველი მისი გამეორებული სიტყვის შემდეგ დაიწყებოდა ხარხარი, რომელსაც პირდაღებული უყურებდა თვითონ, სიცილი მატულობდა _ «შუ», «შუ», ეუბნებოდნენ პირზე თითის მიდებით მოცინარენი ერთმანეთს, თვალებს აპაჭუნებდნენ და ახალი ძალით იგუდებოდნენ სიცილისაგან.

შაშას უცებ წამოახურა, წამლის შუშა საწვიმარ მილს წამოსდო, ფეხი აუცდა და ძლივს შეიკავა თავი. აივნიდან ძაგანია, ქერა, გაწრუპული მეგრელი შუშის მოძრავი თვალებით იყურებოდა ქუჩაში, განსაკუთრებით არ სიამოვნებდა შაშას ამ თვალების დანახვა, მაგრამ ისე იყო დამოკიდებული მათზე, რომ ავადმყოფურად უჯერებდა მათ პატრონს ყველაფერს, რის შემდეგაც დამცირებისა და სირცხვილის გრძნობისგან მთელი ღამე აღარ ეძინა, მეორე დღეს კი ისევ ეძებდა მათ, ცდილობდა ახლოს ყოფილიყო მათთან, ყოველთვის ეშინოდა არ დაეკარგა ისინი მხედველობიდან.

განსაკუთრებით ულმობელი იყო ძაგანია შაშას მიმართ, ის მეწაღე ალექსასავით გულუბრყვილოდ არ სთხოვდა მას ეთქვა თავისი სახელი «შაშა», მერე თვითონ გაემეორებინა «შაშა», «შაშა» და სიცილი დაეწყო; ძაგანია ყოველთვის წესიერად მიმართავდა _ «შაშა, მოდი აქ, გენაცვალე, დღეს მშვენიერი საუზმე მაქვს და დამეწვიე, დედაშენისგან ნებართვა ავიღე, რომ ჩემთან ისაუზმებ.» მერე უდებდა კერძს, რაც შეიძლება ცხარეს, პირდამწვარი საშა ცრემლებს ყრიდა, სიმწრისაგან კოჭლ ფეხზე დახტოდა _ ძაგანია მთელი არსებით ერთობოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, მაშინ, როდესაც მისი სახე აღტაცებული იყო, თავის თავში ვერ ეტეოდა, მისი ხმა ირონიული სერიოზულობით ამბობდა – «ოო, ღმერთო ჩემო, პირი დაგეწვა, ოი, მოვკლავ ქეთოს ასეთი კერძის დამზადებისთვის.»

შაშამ არ იცოდა, რომელ სიტყვაზე უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ ელოდა რაღაც განსაკუთრებით მკაცრს და დამცინავს მისგან, ელოდა და თითქოს ცნობისმოყვარეობა – სადამდე მივიდოდა ამ კაცის სისაზიზღრე – საშუალებას არ აძლევდა მას უარი ეთქვა და არ გაჰყოლოდა სადილად, ან შეურაცხყოფის მიყენების მეორე დღეს თვითონვე არ დაეწყო მისი ძებნა და რაც უფრო დიდი იყო მისგან მიყენებული შეურაცხყოფა, უფრო გამწარებული ეძებდა მეორე დღეს. იყო წამები, როცა შაშას ეკარგებოდა ამ სიძულვილის ზღვარი, უჩლუნგდებოდა, იმდენად შორს მიდიოდა ძაგანიას დაცინვა, და თითქოს ყველაფერს ეგუებოდა, რაც არ უნდა ექნა იმ კაცს, რადგან იმაზე მეტი შეურაცხყოფის ატანა, რაც მან, შაშამ, ბავშვობაში ნახა მისგან, არ შეიძლებოდა, მაგრამ მან აიტანა ის და აიტანა სრულიად მშვიდად, იმ დროს მას (შეურაცხყოფას) არ ჰქონდა ისეთი მოქმედი ძალა, ხოლო შემდგომში იმ შეურაცხყოფის ყოველი გახსენება გაცილებით მეტად მოქმედებდა შაშაზე, მით უფრო მეტად, რომ ამ შეურაცხყოფაში თანაბარი წვლილი ედოთ როგორც იმ კაცს, ასევე დედამისსაც, მაგრამ დედა დედა იყო, მასზე მხოლოდ მისი გრძნობები

ვრცელდებოდა, დედას შეეძლო ეტირებინა იგი, იმ კაცს კი, პირიქით, მხოლოდ მისი გრძნობების გაქვავება შეეძლო სიძულვილისაგან. იმ შორეულ შეურაცხყოფაზე ფიქრს ყოველთვის გაურბოდა შაშა, არასოდეს არ ცდილობდა მთლიანად აესახა ის გონებაში, უბრალო გახსენებაც კი სრულიად საკმარისი იყო მისთვის. ის ამბავი იყო ძალიან დიდი ხნის წინ, მაშინ, როდესაც, შაშა იყო სამი-ოთხი წლის და ძლივს დაფორთხავდა ერთი ფეხით და ხელებით.

ერთხელ იმ დროს მივიდა მათთან ძაგანია, შაშა დედის გვერდით რომ იწვა ლოგინში, ძაგანიას სახე დაპრანჭული ჰქონდა, მან ფოჩიანი კანფეტი მისცა შაშას, მერე ხელში აიყვანა და თითქმის გადააგდო კუთხისკენ. შაშას ცრემლები ყელში მოაწვა, მაგრამ ფოჩიანი კანფეტის ლოღნა დაიწყო, სიტკბომ ჯერ ყელი ჩაუწმინდა, მერე მიახმა ჭუჭყთან ერთად ლოყებზე, წინსაფარზე, თითებზე, რომლებსაც ენით ილოკავდა, მთლიანად იტენიდა პატარა მუჭას პირში, მერე შეეცადა ორივე ერთად ჩაეტენა, ბოლოს ფორთხვით მივიდა საწოლთან, სადაც დედის გვერდით, მის ადგილას, ძაგანია იწვა, მხოლოდ შიშველი თავი მოჩანდა მისი, ძაგანიამ ყურებზე ბაწრით მისამაგრებელი სათვალე გაიკეთა, თავი წამოყო საწოლიდან, შაშა კი სულ ეჭიდებოდა და ეჭიდებოდა მის საბანს, უნდოდა ეტირა, ეყვირა, მაგრამ ტკბილი ჰქონდა მიმხმარი ყელზე და არ შეეძლო; გული გაებერა საწყალ ბავშვს, საშინელმა შეურაცხყოფამ შეიპყრო, ხელებზე აიწია და, საბანს მოჭიდებული, ცალ ფეხზე გაიმართა და თათით სცადა მოეპორჭყნა ძაგანიას სახე; დედა, იქით გადაბრუნებული, ჩუმად იწვა, შაშამ ნახა, რომ დედა არ იყო მის მხარეზე, რომ ამ თავტიტველა კაცს არ ეუბნებოდა არაფერს, შაშას ცრემლები ახრჩობდა, როცა დედა გადმობრუნდა, მასაც ცრემლები ჰქონდა სახეზე, შაშას ძალიან მოუნდა ჩაჰკვროდა დედას, ეკოცნა მისთვის, მაგრამ ეს გააკეთა ძაგანიამ, თვითონ ჩაეკრა და კოცნა დაუწყო შაშას დედას უსიამოვნო ცივი ხმით: მწ, მწ. «ბავშვი, ბავშვი, ბავშვთან», ლუღლუღებდა დედა. «ბავშვს რა ესმის, დღეს ნახა, ხვალ დაავიწყდება», უმტკიცებდა ძაგანია. რაღაც ძალიან დიდი, უცნობი გრძნობისგან გაბერილი ცრემლებით სავსე უპეებით იჯდა ბავშვი საწოლის ფეხთან და ახლად მიცემულ კანფეტს ლოღნიდა თავის ფოჩებიანად. ისეთივე ჩუმი ნაბიჯებით, როგორითაც მოვიდა, გაიპარა ოთახიდან ძაგანია, ნიკაპში ამოარტყა პატარა, ხმელი ხელი შაშას, მწუ, – უთხრა, მერე ლოყაზე უჩქმიტა, «კოჭლი დაიბადა, არა?» იკითხა თავისთვის და ოთახიდან გავიდა, დედა საწოლიდან გადმოიწია, ბავშვი ხელში აიყვანა და მკერდზე მიიკრა, მისი ცრემლები ლოყაზე ეღვრებოდა შაშას და სატირლად იწვევდა, უცებ წავიდა ბუნდოვანში და წარსულში იმ ძიას ამბავი შაშასთვის და მხოლოდ მისი დანახვისას იღვიძებდა უზარმაზარი შეურაცხყოფისა და რაღაცნაირი უსიამოვნო სიტკბოს გრძნობა შაშას გულში, რომელსაც ვერავითარ სახელს ვერ არქმევდა, შემდეგ უკვე მიხვდა, რა მოხდა მაშინ, რატომ ვერ იტანდა საერთოდ ძაგანიას, და რაც უფრო ეზრდებოდა სიძულვილი, მით უფრო დაქვემდებარებული ხდებოდა იმ კაცისგან.

ახლაც ძაგანიას ერთი დაძახება საკმარისი იყო, რომ შაშა მასთან ასულიყო და კიდევ ათასი ახალი შეურაცხყოფა აეტანა, დაეგროვებინა თავის გულში, გაეზარდა საკუთარი სიძულვილი რაღაცისთვის – რისთვის, თვითონაც არ იცოდა კარგად, უბრალოდ, სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ძაგანიას კამოდზე ახლაც ეწყო ხოლმე ფოჩებიანი კანფეტები.

2.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უგრძვნია შაშას, რატომ ეჭირა წამლის შუშა ხელში და რატომ მიდიოდა ასე გამალებული სახლისკენ. არაჩვეულებრივად მსუბუქად გაიარა ვიწრო, ბნელი კორიდორი, სადაც უცებ შეუხვია, რათა გაქცეოდა ძაგანიას მზერას. სიბნელეში, როცა არავინ არ უყურებდა, გაცილებით უკეთ ხმარობდა კოჭლ ფეხს, მერე ოთხკუთხა, ცარიელ ეზოში გავიდა, მთელი ქანით მივიდა ონკანთან, საიდანაც ოდნავ წვეთავდა წყალი, ნერვიული მოძრაობით მოუჭირა ონკანი, მერე ამოგდებული აგური ჩასვა ისევ შიგნით მექანიკურად, თითქმის უაზროდ და უკიბეოდ შევიდა ოთახში.

ოთახში შესამჩნევად ბნელოდა, მხოლოდ კარის ფანჯარა იყო გაჭრილი, რომელზედაც ჭუჭყიანი ტილო გააკრა შაშას დედამ, შაშასაც ასე ერჩივნა ბნელში ჯდომა, როცა მისკენ მიქცეულ თვალებს არა გრძნობდა; ახლაც უცებ იგრძნო სამშვიდობოს თავი და, პირველად მთელი გრძელი, ნერვიული გზის შემდეგ, დაისვენა, ის ფეხდგომელა ისვენებდა, როგორც მგელი, რომელიც გრძნობს, იცის, რომ ეს დასვენება მხოლოდ რამდენიმე თავისუფალი ამოსუნთქვაა, რის შემდეგაც ყველა კუნთი უნდა დაჭიმოს და გაიქცეს, გაექცეს რაღაც უხილავს, რომელიც უკან მოსდევს მძიმედ, ოღონდ შეუჩერებლივ, საშიშრად. ცოტა ხანს ისვენებდა შაშა ნახევრად ბნელ ოთახში, რომლის ბუნდოვანი განათებაც გარკვეულ დრომდე ამშვიდებდა მას, შემდეგ ისევ ამოძრავდნენ მისი ნერვები – წამლის შუშა მაგიდის კიდეში დადგა, მაშინვე სტაცა ხელი ისევ და მაგიდის შუაში გადაიტანა, ცოტა ხანი დაუდგმელად ეჭირა და რაღაცას ყურს უგდებდა, მერე განგებ ტკაპანით დადგა.

_ ოო! – მოისმა შირმის უკნიდან, შაშა უცებ დაამშვიდა ამ ხმამ, «შეიძლებოდა მომკვდარიყო აქამდე,» გაურბინა თავში და სიჩუმეში გაგონილი უაზრო ბგერებიდან ფიზიკურად შეიგრძნო, რომ მართლა შეიძლებოდა საერთოდ არ გაეგონა ეს ბგერები, იმდენად ყრუ და უაზრო იყვნენ ისინი, მაგრამ იმ ამბავმა, რომ საერთოდ მაინც გაიგონა ეს ამოკვნესა, რომელსაც გაბმული ზმუილივით ხმა მოჰყვა – იგი დაამშვიდა, დაარწმუნა, რომ შეუძლებელია ცოცხალი ადამიანი წარმოიდგინო მკვდრად და მას, რასაც აქვს ხმა, ის აღარა ჰქონდეს. ერთხანს ასე უგდებდა გაბმულ კვნესას ყურს და ელოდა, მის გონებაში შექმნილი სიჩუმის მთელი სიმეტრია დაირღვა _ დედა ცოცხალი იყო და კვნესოდა, კვნესის ხმა მოდიოდა შირმის უკნიდან და ავსებდა მთელ ოთახს, ავსებდა შაშას უსიამოვნო შიშით, რომ ეს კვნესა არ გათავდება არასოდეს და ვერასოდეს ვერ იქნება შაშა მშვიდად, თავისთვის, როგორც იყო სულ რამდენიმე წუთის წინ, როცა ოთახში იდგა სიჩუმე; ასეთი წუთები იშვიათი იყო მის ცხოვრებაში – როცა სულ მარტოა, მაშინ მშვიდად არ არის, როცა ვინმე წევს და ხმას არ იღებს, სიმშვიდე მაშინაა. ცოტა ხნის შემდეგ კვნესა ისევ მიწყდა და ოთახი განსაკუთრებით ჩაჩუმდა, შაშა დაჭიმული იდგა ჯანსაღ ფეხზე, ბარძაყზე საცოდავად ჩამოკიდებული მოკლე ფეხი უაზროდ უქანავებდა, პირველად თავის დაჩაგრულ, უფერულ ცხოვრებაში შაშამ შეიგრძნო, რომ ცრემლები აწვებოდა ყელში და თვითონაც იბერებოდა რაღაცა დიდი, მძიმე დარდისაგან, რომელიც თითქოს მისგან დამოუკიდებლად, საერთოდ არსებობდა უხილავად, მუდმივად და რომელიც მხოლოდ ახლა შეიგრძნო მან, ეს ცრემლები არა ჰგავნდნენ იმათ, რომლებსაც ის კარგად იცნობდა, რომლებსაც ის მალავდა სხვებისაგან, ისინი არ ჰგავდნენ სხვაზე წყენისაგან გამოწვეულებს, რომლებითაც ის ტიროდა ჩუმად, მორიდებით, რომლებითაც ის სამაგიეროს უხდიდა ვიღაცეებს, რომლებმაც მას პირადად აწყენინეს;

ეს ახალი დიდი ცრემლები არ იყო ჯავრი, არც წყენა, ამიტომ არ მალავდა მას შაშა, ამიტომ არ მალავდა ის თავის ხმას, თავის სიცოცხლეში პირველად ხმამაღლა,

ზმუილით ტიროდა შაშა, დიდ თავს უაზროდ აქანავებდა ცალ ფეხზე დამდგარი, საცოდავად ეხლებოდა მაგიდას მისი ავადმყოფი, მოკლე ფეხი, თრთოდნენ და «უჰუ, უჰუ, უჰუ», ზრიალით, ყეფისნაირად იძახდნენ მისი დიდი, ოთხკუთხა მხრები. ერთხანს ასე იდგა, ის ვერ არჩევდა თავის ხმას, იმდენად ერთი იყო ის მის გრძნობასთან, შემდეგ სადღაც იგრძნო, რომ ის, რაც აწვალებდა, შეუმჩნევლად გაქრა, მარტო, უცრემლოდ მხოლოდ მყიფე ხმა დარჩა, რომელიც მას გამოეყო და შორიდან მოესმა თვითონაც, «უჰუჰ, უჰუჰ» _ გააკეთეს მისმა ფილტვებმა, მან მშრალ თვალებზე მოისვა ხელი და გაუკვირდა, რომ ეს ხმა მას ეკუთვნოდა, ახლა ის, რასაც ელოდა, შეიგრძნო ერთი სიტყვით «მოკვდა», ახლა იგი ამ სიტყვაში ვეღარა ხედავდა ვერავითარ უაზრობას, რასაც რაიმე გრძნობა შეიძლებოდა გამოეწვია მასში, გრძნობებიც, განცდებიც სადღაც შორს, უკან დარჩნენ, წინ კი იდო ცარიელა სიკვდილის გაგება, ოთახი დედის სხეულით.

შაშამ ოთკუთხა თავი მხრებში ჩააგდო, ტუჩები მოებრიცა და მოულოდნელი უცნაური ირონია გამოეხატა ზედ, მერე ისევ ამოსწია თავი მხრებიდან და უკანვე ჩააგდო შიგ. «ჰფი» დაუსტვინა ნელა, ხმა ყურისმომჭრელი სიმკვეთრით გაისმა ოთახში. «ჰფი», გაიმეორა შაშამ და თვითონვე გაუკვირდა, რომ ამ ხმამ არავითარი ზემოქმედება არ მოახდინა მასზე, ისევ დაუელამდა ტუჩები, თმები ჩამოეწეწა შუბლზე, გაეღიმა და არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო ტანში.

_ შვილო, მე ვკვდები, _ მოისმა შირმის უკნიდან დედის ჯანსაღი, გაუყოფელი ხმა.

_ წამალი ვერ ვიშოვე, – ისეთივე ტონით უპასუხა შაშამ. მთელი მისი ადრინდელი განცდები უკვალოდ გაქრნენ, მხოლოდ იმ განცდის მშრალი მოგონებები ჩარჩა მას გონებაში.

_ წეღან შენ რატომ ტიროდი? – ცივად იკითხა დედის ხმამ.

შაშას გაახსენდა, რომ ის მაშინ ატირდა, როცა იგრძნო, რომ დედის ხმას ვეღარასოდეს გაიგონებდა და მშვიდად უპასუხა – მე მეგონა მოკვდი, კვნესა როცა შეწყვიტე, მას შემდეგ.

_ მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მოიტანე სამფეხა საწოლთან, ან არა, ჯობია იდგე! სად არის, ა?

_ ვინ? – უფიქრელად იკითხა შაშამ და მაშინვე დაავიწყდა დედის კითხვა. მივიდა საწოლთან, დადგა, ისევ ჩააგდო თავი მხრებს შუაში და ირონიულად დაუწყო დედას ყურება, თვალები გაუცოცხლდნენ, აუმოძრავდნენ, «სულ ეგ იყო სიკვდილი», ფიქრობდა ის და უცებ შეშინდა, უნებურად დაიხია უკან, თავი ვეღარ შეიკავა, შირმა გადაყირავდა, ის ზედ დაეცა, მერე ცალ ფეხზე აიწია, ისევ დასუსტდა და დაეცა; მთელმა იმ სიმშვიდემ, რომლითაც ის ელაპარაკებოდა მკვდარ დედას, რომელიც თითქოს გამოიგლოვა, თავისი გავლენა იქონია მის მგრძნობიარე ნატურაზე და უცებ გამოაცალა მთელი ენერგია; შირმაზე დავარდნილი, საცოდავად, გამდნარი სანთლისაგან გაკეთებული ჭადრაკის ცხენივით წელში მოხრილი, თრთოდა, ისედაც დიდი თავი შიშისა და გაოცებისაგან სულ გაეზარდა, პირზე ლორწო მოადგა და კანკალი დაიწყო. ნელა, ფორთხვით სცადა უკან გახოხება, მაგრამ დედის ცივმა ხმამ შეაჩერა.

_ რას კანკალებ? ახლავე დაჯექი სკამზე, თუ დგომა არ შეგიძლია მაგ ჩოლახა ფეხზე.

_ მე?! – თავისთვისვე მოულოდნელად ამოუშვა საკმარისზე ძლიერი ბგერები შაშამ და უფრო შეიშმუშნა.

_ შაშა! – მოისმა დედის ცივი, მბრძანებლური ხმა.

შაშა სკამთან მიფორთხდა, წინ გაწეული თავით და დაღებული პირით მიაშტერდა დედას.

_ შაშა, მე შენ ყოველთვის მეჯავრებოდი შენი სიმახინჯისთვის, ახლაც მძულხარ, იცოდე, არ გეგონოს, რომ ვტყუი, იმიტომ რომ ახლა მოვკვდები და თუ ასე, კარგად მყოფივით ვლაპარაკობ, იმიტომ რომ არ მინდა ვინმეს ვახსოვდე სუსტი, – დედას თვალები უბრწყინავდა, ხელებზე დაყრდნობილმა წამოიწია, მთელი სახე მოეკრუნჩხა ბოროტად, თვალებიდან სიცივე მოდიოდა, ყველას შეაშინებდა მისი იერი, გარდა შაშასი, რომელიც იმდენად იყო გაბრუებული ამ რამდენიმე წამში მომხდარი ამბებით, რომ მეტს ვეღარაფერს ვეღარ გრძნობდა.

– შაშა, - განაგრძობდა დედა, - მე არ ვიცი ვინ იყო მამაშენი, _ შაშა .იმდენად გამოფიტული იყო ამ წამში, რომ ვერაფრით ვერ მიხვდა, რა საჭირო იყო საერთოდ ასეთი ამბის ცოდნა დედამისისთვის, როცა მისთვისაც არ ჰქონდა ამას არავითარი მნიშვნელობა.

– შაშა! – ხმას აუწია დედამ. – შენმა გაჩენამ მე გამაწამა, მომაყენა აუარებელი უსიამოვნება, შაშა, მე შენ მძულხარ, გესმის შენ! ხი, ხი, ხი, - უცებ მოეშვა დედის სხეული მოკლე, ხველებისნაირი ხითხითისაგან და ისევ შეიკრა ბოროტად. – მე ვამბობ, შაშა, გესმის? – ხმა დაუწვრილა, გასცინა ვიღაცას, უფრო ნაზ გამოთქმას, და გაიმეორა: _ შაშიკო, საყვარელო, გესმის? შაშუნი, ჰა? ხი, ხი, ხი, _ შაშა აბსოლუტურად გაუგებრად, უაზროდ უყურებდა, თითქმის არ ესმოდა რა ხდებოდა მის გარშემო, იგი მხოლოდ გრძნობდა, რომ ის, ვინც ყველაზე ძალიან აწვალებდა მთელი სიცოცხლე და ვინც ეგონა რომ სძულდა, მაგრამ ვისაც მაინც ემორჩილებოდა, იყო მისი დედა და ეს დედა, მიუხედავად თავისი მოჩვენებითი სიყოჩაღისა, ჩქარა მოკვდებოდა, შაშას მხოლოდ უკვირდა, რომ ეს არსება კიდევ ლაპარაკობდა, თანაც, მისი ჭკუით, რაღაც საწყენს და ისეთს, რასაც უნდა ემოქმედა შაშაზე, ამან სულ მთლად უაზრო გახადა შაშას შეგრძნება. მის გამოხედვას უაზრობას მატებდა კიდევ ის, რომ ის, რასაც ერქვა დედის სიკვდილი, უკვე გამოიგლოვა, იტირა, გულიდან მოიშორა, ყოველი ახალი გამეორება იმ დიდ განცდაზე პატარა იყო მის თვალში და, უაზრო გაკვირვების გარდა, არავითარ შეგრძნებას არ იწვევდა.

დედა უფრო წამოიწია, ბოროტად დაკრუნჩხული თითები წაიღო ნახევრად ბნელში შაშას თვალებისკენ, რომლის უაზრო იერის ყურება მართლა აუტანელი იყო ამ წუთში და მოშვებული დაეცა საწოლზე, «ბუმპ» დაიძახა ძველმა საწოლმა, შაშაში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა, «ნეტა რა იქნება ახლა,» გაიფიქრა მან, ეს იყო პირველი აქტიური გრძნობა, რომელიც მან გამოამჟღავნა დედის დალაპარაკების შემდეგ. შაშა ზევიდან უყურებდა დედის თავს, რომელიც ღრმად ჩაეფლო ბალიშში, დაპატარავდა, მოიკრუნჩხა, მოეშვა. შაშას თვალები გაუფართოვდა, დედის სახე მიდიოდა სიღრმეში, ქრებოდა, ამ მუნჯმა, მოძრავმა სცენამ ახლებურად იმოქმედა მასზე, სუსტი დედის დანახვამ აამოძრავა გაკვირვებისგან მოდუნებული გრძნობა, დედის თვალებიდან თავისით იღვრებოდნენ ცრემლები. ამ გამხმარი, მთლიანად დაშრეტილი სახიდან ასეთი სავსე ცრემლები ისეთივე საოცარი იყო, როგორც ენერგიული ხმები, რომლითაც წეღან ლაპარაკობდა დედის მისუსტებული სხეული.

_ შაშა, – მოულოდნელად შეაშრა დედას ცრემლები თვალებზე, ღაწვებზე, თითქოს ბალიშიც კი გაშრა და, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო, რომ ეს სხეული საერთოდ ცრემლებს ღვრიდა, სამაგიეროდ, ახლა იგი უცრემლოდ სლუკუნებდა – შა-შა, შა-შა, შვილო, მაპატიე, რომ ასე დავსუსტდი, – ძლივს გამოთქვამდა ბგერებს, ყოველი სიტყვის შემდეგ ხშირად სუნთქავდა, ცდილობდა ხელში დაეჭირა შაშას თმა, თითები გაეტარებინა შიგ, მაგრამ შაშა ისევ უმოძრაოდ იჯდა, საოცრად აშორებდა მას

ბგერების გაგონება იმ სხეულიდან, რომელიც მან უკვე გამოიტირა, ბგერები და სიცოცხლის ყველა სხვა ნიშანი საიდანღაც შორიდან მოდიოდა, ყოველივე ამაში მხოლოდ დედის უმოძრაო სხეული იყო ნამდვილი, დანარჩენი მას (ამ სხეულს) არ ეკუთვნოდა და ამიტომ იყო შაშასთვის უცხო.

_ შაშა, შვილო …… მე ბევრი ჭირი ვნახე, მე ბევრჯერ მაწყენინეს... შენ ეგ არ იცი ან იცი... შაშა, შენ ყველაფერი იცი... შაშა, ბევრი შეურაცხყოფა მომაყენეს... შენი გაჩენაც ჩემი შეურაცხყოფა იყო... შაშა, შენ ეგ არ იცი, შაშა, შენ ეგეც იცი, ალბათ... შაშა, მაპატიე, მე შენ გიხდიდი სამაგიეროს, სხვა არავინ არ იყო ჩვენს გარშემო, სანამ გაიოზი ცოცხალი იყო, მას შენზე მეტად ვცემდი, მერე შენ…. შენ მაპატიებ, ვიცი, შაშა, მე ბევრი შეურაცხყოფა მომაყენეს... მე... საწყალი გაიოზი, შაშა...

შაშა გაშტერებით უყურებდა ჩარჩოს, სადაც გაიოზის სურათი უნდა ყოფილიყო ჩასმული, მაგრამ უფულობის გამო ვერ გააკეთეს, შაშა უყურებდა გაიოზის სურათს, მაგრამ არ ფიქრობდა გაიოზზე, ის არ ფიქრობდა დედაზეც, ორივენი დიდი ხანია მოკვდნენ მისთვის, ორივე გამოიგლოვა მან თავის გუნებაში, ძველი, ნაცნობი დაგროვილი გრძნობით ივსებოდა მისი არსება, იბერებოდა, ეწყობოდა, ერთ გარკვეულ ფორმას იღებდა და უცებ იპოვა, ის ადრევე ჰქონდა ნაპოვნი, ისიც იცოდა, რა ერქვა მას, იცოდა, რომ ეს იყო შეურაცხყოფა, რომელსაც იტანდა ის სხვებისგან, რომელსაც იტანდა ის საკუთარი დედისგან, ძმისაგან, მაგრამ ამ სახელს ყველანი უმალავდნენ, ახლა კი აშკარად გაიგო დედისგან, რომ მის დედასაც აყენებდნენ შეურაცხყოფას, ეს დიდი ხანია იცოდა შაშამ, მაგრამ ის შეურაცხყოფას მხოლოდ საკუთარ შეურაცხყოფას არქმევდა, ახლა კი სხვისიც გახდა, სხვამაც გაიყო მასთან ერთად, მათ აყენებდნენ შეურაცხყოფას, მას, მის დედასაც, მის ძმასაც, მან იცოდა კიდეც, რომლებს ერქვათ ეს სახელი, ისიც იცოდა, რა უნდა ექნა, მაგრამ ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ.

ცოტა ხანს კიდევ იჯდა შაშა, სანამ დედა სულ შეწყვეტდა სუნთქვას, მერე ნელა დაიწყო გამართვა, ჯერ საღი ფეხი ავადმყოფის სიგრძეზე გაჭიმა, მერე მოულოდნელად სულ გაიმართა, თითქმის თითის წვერზეც კი აიწია და უცებ მიხვდა რაღაცას, «ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ძაგანია», ტყვიამფრქვევივით მიაყარა მისმა გონებამ. ის სულ დაიძაბა და უცებ მოეშვა. «ჰო, ძაგანია», თქვა ხმამაღლა, საკუთარი ხმის გაგონებამ დაამშვიდა და ძალა მისცა. «ჰო, ძაგანია», გაიმეორა, საოცრად ცხადი და გასაგები იყო ყველაფერი, ანთებული თვალებით გადახტა მაგიდისაკენ, წაიბორძიკა, ხელებით დაეყრდნო იატაკს და რამდენიმე ნახტომი გააკეთა ქლოშინით მაგიდის ირგვლივ. დაჯდა პირდაპირ იატაკზე და მძიმედ, მაგრამ საღად დაიწყო სუნთქვა. აქამდე რუხმა ცამ ოდნავ დაკარგა გარეთ ფერი, მზემ გამოანათა და სხივი შაშას ოთახთან დაეცა, ნელა შეიპარა მის შეგრძნებაში სინათლის გრძნობა და სამარისებურ სიჩუმეში მოესმა თავისივე ხმა – «ვინ?» ერთხანს ყური მიუგდო და მერე ხმის მოსვლას თვითონ დაასწრო, ხმამაღლა იკითხა _ ვინ? რა ვინ? _ შეეკითხა საკუთარ თავს და ვერაფრით ვერ აღიქვა საიდან მოდიოდა ეს კითხვა. ნელა გაიმართა, ოთახში გამოდარებულზე შემოსულ ცივ, ჯანსაღ ჰაერს ხარბად იწოვდნენ მისი ფილტვები. ის გარინდული, დაძაბული და შინაგანად სიცოცხლით ავსილი იდგა. «ვინ უნდა მოსულიყო?» ცხადად გამოხატა მისმა გონებამ მთელი მისი «ვინ» _ ის აზრი, რომელიც პირველად მოუვიდა დედის კითხვაზე «არ მოსულა ის?» მაშინ ყურადღება არ მიუქცევია იმ სიტყვებისათვის და ახლა სადღაც სიღრმიდან ამოხეთქა – «თუ არ მოსულა, მოვა» დაასკვნა მისმა სხეულმა. შაშამ დანა გამოიღო, რომელსაც ბავშვობიდან ლესავდა, დანის პირი ბევრი ლესვისგან თითქმის სულ დაწვრილებული იყო, ელავდა. შაშამ ნაცნობი მოძრაობით

მოუსინჯა პირი მთელ თავის წლების ნაშრომს (ის მას ლესავდა იმიტომ, რომ არა ჰქონდა სხვა საქმე, ე.ი. არ შეეძლო ემუშავა და ლესვა გახდა მისი საქმე), სიამოვნებით შეიგრძნო ფხა და მაგიდაზე დადო. ახლა უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის, ვინც იკითხა დედამ სიკვდილის დროს, მოვიდოდა აქ, მოვიდოდა თავისი ფეხით. დანარჩენს აღარ ეუბნებოდა საშა თავისთავს, დანარჩენს მხოლოდ მისი სხეული გრძნობდა და დანარჩენი მის სხეულს სწამდა.

ასე გარინდული, თითქმის უაზროდ იჯდა საშა მაგიდაზე, დედის ცხედართან ზურგით და ელოდებოდა ძაგანიას მოსვლას.

აივანზე მდგარი ძაგანია, რომელმაც ასე იმოქმედა შაშაზე, არანაკლებ აღელვებული იყო თვითონაც. საერთოდ, ბოლო დღეებში ვერაფრით ვერ ეტეოდა მეორე სართულზე გამოკეტილ თავის ორ ოთახში. ცდილობდა უმეტესად აივანზე მდგარიყო, ან დილაადრიანვე იცვამდა იმაზე უბრალოდ და ცუდად, ვიდრე საშუალება ჰქონდა, მიდიოდა შუკის ბოლოში, დიდი ქუჩის კუთხესთან, და იქ, კედელთან ატუზული, საეჭვო სახით იდგა, როცა ვინმეს დაინახავდა, დაიწყებდა წინ და უკან სიარულს, თან უსტვენდა არაჩვეულებრივად საეჭვო სახით, მთელი მისი არსება ლაპარაკობდა, რომ ის რაღაცას მალავს;

ზედიზედ მიეწყო ნესტიანი ამინდები, დაბლა დაწოლილი ნისლი ბოლს არ უშვებდა ქალაქიდან, თვალები ეწვოდა ძაგანიას, ერთიბეწო გუგები წირპლისაგან უფრო ეკრობოდნენ ერთმანეთს, ძველ შლიაპას შუბლზე იფხატავდა. ტროსტი, რომელიც თვითონ არ იცოდა რატომ ეჭირა ხელში, შარვლის ტოტთან დამალა, მერე ზემოდან მომავალ ბადრაგს თავი აარიდა და პოდიეზდში დაიმალა; ერთი პოლიციელი დაწინაურდა.

_ ვინ არის მანდ! _ დაიყვირა ხმამაღლა, ძაგანიას სუნთქვა შეეკრა, ხმის ამოღება სცადა, მაგრამ ბგერა ხრინწიანი და უხმო გამოუვიდა.

_ გამოდი, გამოდი! _ მხარში სტაცეს ხელი, პოდიეზდის სიბნელის შემდეგ უფრო მოჭუტა თვალები ძაგანიამ და აშკარად ჩავარდნილი კაცის სახე მიიღო.

_ შენი პასპორტი.

_ მე, მე ძაგანია ვარ. აი, აქ ვცხოვრობ, შუკაში.

_ ვიცი.

_ აი, ჩემი პასპორტი, იმედია ყველაფერი რიგზე იქნება, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, არა?

პოლიციელმა უკან გაუწოდა პასპორტი. ძაგანიას ესიამოვნა, პოლიციელი გამოცოცხლდა, ლაპარაკის გაჭიანურება სცადა.

_ ნეტავ ვის ემალება, ა? _ მიუბრუნდა ამხანაგს.

_ თავისი ჩრდილის ეშინია მაგ უბედურს, – გაიცინა მეორემ.

ტროტუარზე მარტო დარჩენილი ძაგანია უფრო მოიბუზა, ახლა მართლა ეშინოდა მას, ეშინოდა სიმარტოვის, სიცივის, რომელიც ჩქარა დაიწყებოდა და კიდევ რაღაცის. ძაგანიამ, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვამ, იცოდა, რომ დღეს უნდა დაწყებულიყო სროლა, გამოსვლა, დღეს უნდა დაწყებულიყო მდიდრების ხოცვა. ძაგანია შიშმა აიტანა, მას საჭმლის ფულზე მეტი არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ ეშინოდა, ეშინოდა ყველაზე ძალიან, ხომ შეიძლებოდა ისიც მდიდრად მიეჩნიათ, ამიტომ იდგა ახლა აქ დახეულ შარვალ-ხალათში, რათა ყველას დაენახა, რომ ის ღარიბი იყო, ბოგანო და არაფერი არა ჰქონდა წასართმევი. ქუჩის იქით ცხოვრობდა მექარხნე. იქ დარაბა ღია იყო – იყო თუ გააღეს, ფიქრობდა ძაგანია.

ისევ შეიშმუშნა ძაგანია, ქუჩას გამალებული ჭრიდა, შორიდანვე იცნო ამქრის უფროსი, ის ძაგანიაზე ძველ ტანისამოსში იყო გამოწყობილი და პირდაპირ მისკენ მოდიოდა თავდახრილი, მერე უცებ შეამჩნია, რომ მის წინ კაცი დგას, წამით დააშტერდა, გვერდზე გაუხვია და მიიმალა.

ძაგანიას გააჟრჟოლა. «ღმერთო ჩემო, შენ უშველე საწყალ კაცს,» გადაიწერა გულში პირჯვარი, აშკარად ვერ გაბედა, რადგან მოაგონდა, რომ ისინი, ვინც დღეს გამოსვლას დაიწყებენ, ღმერთს არ ცნობენ, პირჯვარს არ იწერენ და ეკლესიაში არ დადიან. «ღმერთო ჩემო,» განაგრძობდა მისი გონება მუშაობას, «ხომ შეიძლება მაგათ გაიმარჯვონ, მდიდრებმა, მაშინ, მაშინ, მაშინ რა იქნება... მაშინ ხომ იტყვიან, რომ ძაგანია დახეულია, ღარიბი, რომ ძაგანია იმათ მხარეზეა, ძაგანია იმათი მზვერავია».

ძაგანიამ ვერც კი შეამჩნია თვითონ, ისე მოსწყდა ქუჩის კუთხეს და სირბილით გაუყვა თავის სახლისკენ ქვაფენილაყრილ გზას, მისი გონება ათას ლანძღვას უგონებდა საკუთარ თავს, რომ სახლში ჯდომა ვერ აიტანა და გარეთ გამოვარდა, რა მისი საქმე იყო ასეთ დროში ხეტიალი.

მორჩა, სისულელეს აღარ ჩაიდენს, მივა სახლში, გამოიკეტება და სანამ ყველაფერი არ დამთავრდება, არ გამოვა, არაფრის გულისთვის არ გამოვა, პური საკმარისი აქვს, ახლა, მივა თუ არა, წყალსაც აიტანს და შეიკეტება. «ხი, ხი», ესიამოვნა გულში საკუთარი ფიქრები. რა უბრალო და ადვილი ყოფილა ყველაფერი, ის კი დარბოდა, რაღაცეებს იძახდა, ხან ვისთვის, ხან ვისთვის, რასაკვირველია, ტყუილად აეჭვებდა ხალხს, ვაითუ, უკვე სჯერათ, რომ ის, ის... რა ის – ვერაფრით ვერ აუხსნა თავის თავს; «მე ჩემთვისა ვარ, მე ჩემთვის», დუდუნებდა თავისთვის;

სახლთან ახლოს შეჩერდა, გუნებაში ტანსაცმელი გაისწორა, მერე ტუჩები მოკუმა, როგორც სტვენის დროს, ისე, ხელი მოამზადა ვითომ ტროსტის სატრიალებლად, ვიღაცას სრულიად დამშვიდებული მიესალმა გუნებაში და არხეინი ნაბიჯით წავიდა პოდიეზდისკენ, ყოველნაირად ცდილობდა არაფრით არ აეჩქარებინა ნაბიჯი, წინ წასულ ფეხებს ძალით იკავებდა, რის გამოც ეჩვენებოდა, რომ უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ, ის რატომღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სახლში შესვლის მომენტს, მთელი მისი არსება სავსე იყო ათასი თვალით, რომლებიც ქუთუთოს დაუხამხამებლად უყურებდნენ მას და საკმარისი იყო მისი ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი ან აჩქარება, რომ ამოეცნოთ «ის», «რაღაც», რასაც ასე მალავდა, რისთვისაც ამდენს იმცირებდა თავს, რა იყო «ის რაღაც», არ იცოდა ძაგანიამ, არც სხვამ არავინ იცოდა ის, ოღონდ «იმის» ამოცნობა სხვებს აბსოლუტურად არ აინტერესებდათ, ისევე როგორც მთლიანად ძაგანია, ძაგანიას კი, პირიქით, ტანჯავდა მისთვის შეუცნობელი ძალა, რომელიც შემლებისდაგვარად უნდა დაემალა სხვებისგან, ამ «საიდუმლოებამ» მისცა გასაოცარი გამძლეობა და დარჩენილი ათი ნაბიჯი გარეგნულად სრულიად მშვიდად გაიარა, ტროსტიც კი შეათამაშა ჰაერში და ოდნავ დაუსტვინა, აი, ის გაუსწორდა პოდიეზდს, უცებ მოატრიალა თავი, განსაკუთრებულად საშიშად ეცა თვალში ცარიელი, ნისლში ჩაწოლილი ქუჩა თავისი სიჩუმით. ბოლო ძალებმა უღალატეს ძაგანიას, ის მოსწყდა ადგილს და სირბილით ავარდა კიბეზე და უცებ რაღაცა ძალამ შეაჩერა შუა საფეხურზე. ძაგანია მთელ ქანზე შეაჩერა ვიღაცის ხელმა, თვალები გაუფართოვდა, სიბნელეში პოდიეზდის კედელზე გამოხატული ხე ნამდვილ ხედ აღიქვა, მძიმე რაღაცა დააწვა გონებაზე, ერთი წამით მოეჩვენა, რომ მოჩვენებები გაქრნენ და «ის რაღაც» ცხადი გახდა ყველასათვის, ცხადი გახდა მისთვისაც; «ოოო», ამოიძახა ძაგანიამ და წინ გასაქცევად გაიწია, უხილავმა ძალამ ისევ დაქაჩა ისეთივე ძალით, როგორითაც თვითონ მოინდომა წინ გაქცევა, ის მთელ სვლაზე შემოტრიალდა, ხელები გაასავსავა და უკან გადმოვარდა კიბეზე

გასწორებული. «ჰი, ჰი, ხი», ალმაცერად უყურებდა კარს და იცინოდა ძაგანია. «მაინც არ ვარგოდა ეს პლაშჩი, თანაც ახალი იყო და ასეთ დროში კი არ ვარგა», ლაპარაკობდა თითქმის ხმამაღლა, მერე უცებ გაჩერდა, მოაჯირს წამოდებული პლაშჩი მოხსნა, სწრაფად დაახვია და ჩქარი ნაბიჯებით ავიდა კიბეზე, უწვალებლად გააღო კარი, შევიდა ოთახში, იმავე გასაღებით ჩაკეტა, მერე ურდულით გადარაზა, მაგიდა მიადგა და უცებ მოეშვა, პირდაპირ ჩაჯდა შუა იატაკზე, წელში მოიკუნტა მისი სხეული, სულ დაპატარავდა და სხვებთან ბრძოლაში გამოვლილი ამდენი განცდის მერე მარტომ საცოდავად დაიწყო კანკალი.

კანკალებდა ძაგანია, ტიროდა ძაგანია, მას ეცოდებოდა საკუთარი თავი, რომელიც სულ მარტო იყო, რომელსაც სულ ვიღაცის ეშინოდა და რომელიც გრძნობდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტიურად, მას არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული, მაინც აგებს პასუხს, ვის წინაშე უნდა აგოს პასუხი, არ იცოდა მან, ეს გაურკვევლობა უფრო ზრდიდა მის შიშს.

იჯდა მარტო, კარზე მიდგმულ მაგიდის ფეხთან შლიაპაჩამოფხატული ძაგანია და კანკალებდა, ნელა გადაუარა კანკალმა, გარეთ არავითარი ხმაური არ ისმოდა, შეუმჩნევლად დაიწყო გათენება, ოთახმა საკუთარი სინათლის შუქი დაკარგა და გარედან შემოვიდა რუხი, ნესტიანი სინათლე.

მაგიდის ფეხზე მიყუდებული თვლემდა დაღლილი ძაგანია. ოთახში გაღებული ფანჯრიდან სინათლესთან ერთად ნესტიანი ნისლი შემოვიდა და დაგუბდა, უფრო მიელიპა ტანისამოსი ძაგანიას, მთლიანად აიტანა კანკალმა მისი სხეული; ნისლიან ჰაერში ქუჩის თავში შემოსული დროგის ბორბლებისა და ცხენის ფლოქვების ხმა ყრუდ შეიჭრა, შიგ დაგუბდა და უფრო დაამძიმა ჰაერი, ძაგანიამ კანკალი შეწყვიტა, ნახევარძილში გული გაიხსნა, ნახევრადღია პირიდან ორთქლი წამოუვიდა, შესამჩნევად დაუწითლდა საფეთქლები, მოკლე, თხელი ფეხები სულ მოეკუმშა ტანის ქვეშ, სამაგიეროდ თავი გაეზარდა, საფეთქლების შემდეგ ცხვირი გაულურჯდა, დაუწითლდა, მერე მთელი სახე აუჭრელდა. «აჩ, აჩ, აჩ», აღგზნებული იძახდნენ მისი ტუჩები, უზარმაზარი დარდი ეხატებოდათ ზედ, რომელსაც შესამჩნევად ცვლიდა საკუთარი უძლურების შეგრძნება. «აჩ, აჩ … უუჰ, იჰჰო», ისმოდა ქუჩიდან ცხენის ყრუ ხვიხვინი, რომელიც გარედან აწვებოდა ოთახს და კიდევ უფრო აგუბებდა.

ნახევრად მძინარე ძაგანია ხედავდა სიზმარს: მისი სხეული მიფორთხავდა თხელ ჭაობში, სველი შალაფა უსერავდა ხელებს, სახეს და წითელ ზოლებად აჩნდებოდა ზედ, წამოსული სისხლი ჩადიოდა ჭაობში და ჭაობი ხურდებოდა, ორთქლი ასდიოდა, იწვოდა სიცხისაგან ძაგანია, წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, მერე ოფლი წყდებოდა, შალაფისგან დასერილი სახიდან მარტო მშრალი სისხლი მოდიოდა, მშრალი სისხლი ისეთი იყო, როგორიც ფხვნილი, ის იყრებოდა ჭაობში, წითელ მტვერს უშვებდა და მის ოფლიან სახეს ეკვროდა, სახე იხრუკებოდა სიცხისგან, ყელი უხმებოდა წყურვილისგან, მაგრამ მის ქვევით სისხლის ფხვნილი კრავდა ჭაობს და წყლის დალევა შეუძლებელი იყო, წინ კი მოჩანდა სუფთა ჭაობის წყალი, რომლის ნაპირებზეც მშვიდად ისხდნენ ბაყაყები; ძაგანია მთელ სხეულს ძაბავდა, რომ როგორმე მიესწრო იმ ადგილისთვის, სანამ ისიც შეიკვრებოდა, ის აღარ ზოგავდა თავის სხეულს, ხელებს, სახეს, შალაფა იჭრებოდა მის ხორცში და ღრმად აჯდებოდა შიგ. «კიდე ცოტაც, კიდე ჩქარა...», «აჩ, აჩ», ესმოდა ხმები, «ააა», უცებ გაიმართა ის, მის მარცხნივ მშვენიერი ცხენი ება, შვებით ამოისუნთქა მიწაზე გაწოლილმა, ახლა ველარსად გაექცეოდა წყალი, ხოხვით წავიდა მისკენ, აქამდე უზომოდ მძიმე ბეჭები, რომლებიც ხოხვაში ხელს უშლიდნენ, გაიშალნენ ფრთებივით და ის მაღლა აიყვანეს,

როგორ დაჯდა ცხენზე, არ უგრძვნია. «აჩუუ», დასძახა ძაგანიამ და უცებ გადაუარა წყურვილმა, «აჩუუ», დასძახა ძაგანიამ და მუხლამდე ჭაობში საკუთარ ფეხებზე ხტუნაობით გავარდა, «აჩუუ», იძახდა ის და მირბოდა, ხელში აღვირი ეჭირა და მათრახს მხედრულად იქნევდა, «აჩუ!» იძახდა უფრო ხმამაღლა, ოღონდ უკვე ყელში მოწოლილი ბოღმით. ეშინოდა თავისთავს გამოსტყდომოდა, რომ ის, რასაც მიაჭენებდა, იყო საკუთარი ფეხები და არა ცხენი, ეშინოდა დაეკარგა ეს საბოლოო იმედიც, «აჩუ, აჩუ, უუ», იძახდა გამწარებული უაზროდ, საკუთარი ხელით იცემდა თავში მათრახს, იბრუებდა საფეთქლებს, ოღონდ არ შეეგრძნო სიმართლე, ოღონდ არ გამტყუნებოდა ეს უკანასკნელი იმედიც. ისევ გაიღვარა ოფლში და ვერ მიაღწია წყალს, წყალი იყო ახლა მისი ერთადერთი მიზანი, ფეხებმა უღალატეს, მოკრუნჩხულს დაუბუჟდა ისინი, ერთიც შემოჰკრა ძილში თავს მათრახი და მუხლმოსხლეტით დაეცა წყლის პირზე, სველ ჭაობში.

უკან გადავარდნილმა ძაგანიამ წყლის სურას თავი დაარტყა, სისხლი შიგ ჩაგუბდა ქალაში და მხოლოდ ცოტათი გამოჟონა გარეთ, სურის მოტეხილი თავიდან წამოსული წყალი ქვეშ შეუდგა; გამოღვიძებულმა უსიამოვნოდ შეიგრძნო სისველე, გაცილებით უფრო უსიამოვნოდ, ვიდრე სიზმარში – სიზმარში ადამიანს ქვეშეცნეულად კიდევა აქვს იმედი, რომ გაიღვიძებს, ეს იმედი ყოველთვის დევს გონების კუნჭულში სიზმრის გვერდით.

ცივ ოთახში, სველში ჩამჯდარმა, გამოღვიძებულმა ძაგანიამ განსაკუთრებით კარგად შეიგრძნო ეს, უცებ გაასწორა დაბუჟებული ფეხები, სისხლი მიაწყდა კიდურებს და ჩხვლეტა დაუწყო, თავისდა სამწუხაროდ, ძაგანიამ იგრძნო, რომ ძალა უბრუნდებოდა ფეხებში, რომ ისევ უნდა ამდგარიყო და საკუთარი თავისთვის თვითონ მოევლო. ო! რა კარგი იქნებოდა, რომ ფეხები წართმეოდა საერთოდ და სულ უძლური ყოფილიყო ყველაფრის წინაშე, მაშინ მარტო იოცნებებდა, მის მაგიერ სხვა რაღაცა იზრუნებდა მისი სიკვდილ-სიცოცხლისათვის, მაგრამ დიდი ხნის დაბუჟებულმა ფეხებმა იგრძნეს თუ არა ძალა, ფეხზე ადგომაც მოითხოვეს; ძაგანია უსიამოვნოდ აიზლაზნა. რამდენიმე ნაბიჯი გააკეთა კედლისკენ და მოულოდნელად სწრაფად დაიწყო წინ და უკან სიარული, უცებ მთლიანობაში აღდგა მის თავში ცოტახნის წინ ნანახი სიზმარი და ისე აღიქვა, როგორც ფიზიკური წყურვილი, ახლა მართლა მოსწყურდა წყალი ძაგანიას, თვალები გაუფართოვდა, ნაბიჯს მოუმატა, წყალი თავწამტვრეულ სურაში იდგა, რომელსაც თავი დაარტყა, კეფაზე ამოსულმა კოპმა უფრო შეაწუხა და კიდევ უფრო მოაწყურა, რატომღაც პირდაპირ არ მივიდა წყალთან, კიდევ რამდენჯერმე გაიარა კუთხიდან კუთხემდე, ახლა მთელი მისი არსება გამსჭვალული იყო ერთი გრძნობით: დაელია წყალი, დაელია წყალი, ოღონდ ცივი, გემრიელი და რაც შეიძლება მეტი, თვითონ არ იცოდა რატომ ყოყმანობდა, როცა თითქმის სავსე სურა იდგა კუთხეში. «მეყოფა კი?» გაუელვა თავში, უცებ გაქრა ყველა სხვა შიში, გრძნობა, «თურმე წყალი ნდომებია ძაგანიას, წყალი», ატაცებულმა გააკეთა აღმოჩენა, აღგზნებული მივარდა კუთხეში, თავწამტვრეული სურა აიტაცა, ხარბად დახედა წყალს, რატომღაც კიდევ შეისვენა და უცებ სულმოუთქმელად დაეწაფა, პირველი ხუთი ყლუპი ისე გადაყლაპა, რომ არავითარი სიამოვნება არ უგრძვნია, ნაწლავები ხარბად იწოვდნენ სითხეს, ძაგანიამ ამოისუნთქა და სიამოვნებით, სვენებით, ოღონდ ტუჩმოუშორებლივ განაგრძო სმა, წყალი მძიმედ გადადიოდა ყელში და უცებ დაკარგა გემო, ძაგანიამ პირიდან მოიშორა სურა, ყელში ისევ იგრძნო რაღაცა სიგამხმრე. «კიდევ გდომებია», აღმოჩენით გახარებულმა, ისევ მიიყუდა და დადგა, უაზროდ დახედა სურას, რომელსაც წყლის ნახევარიც არ აკლდა. «წყალი კიდევ არის», აღიქვა თავისთვის და უაზროდ წავიდა კედლისკენ. «ესეც ასე,

ახლა აღარა მწყურია», რაღაცნაირი ნერვიულობით გააკეთა დასკვნა და უცებ ინანა, ინანა, რომ ასე დაუფიქრებლად, პირდაპირ მოიყუდა წყალი და წყურვილი მოიკლა, ახლა ყველაზე ტკბილად წარმოუდგა ის წუთები, როცა სწყუროდა და როცა თავისი თვალით ხედავდა, როგორ იდგა კუთხეში წყლით სავსე სურა, რომელსაც ყოველ წამში შეეძლო მოეკლა მისთვის წყურვილი, ახლა ძაგანია ისევ ცახცახმა აიტანა, მთლიანად დაეკარგა შიშის რაიმე კონკრეტული შეგრძნება, ისიც აღარ ახსოვდა, რაზეც დილით ფიქრობდა მისი გონება; მექანიკურად იმეორებდა «ესეც ასე... წყალი დავლიე უკვე». ახლა, ახლა ფეხებს რიტმულად დაჰქონდათ იგი აღგზნებული თვალებით და ნერვიულობისგან აფერადებული ტიტველა თავის ქალით, რომელიც შუბლთან ერთად თითქმის მთლიანად იპყრობდა მის სახეს და მხოლოდ ქვევით, უმნიშვნელო ნაწილი ჰქონდა დათმობილი უფერულ, თხელ ცხვირ-პირსა და თვალებს, ისეთივე პატარა ნიკაპით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ძირს, იატაკს უყურებდა ძაგანია, მერე უცებ ასწია თავი მაღლა, ჭერისკენ, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მისი თვალები მისსავე ზევიდან წამომდგარ შუბლს უყურებდნენ, ძაგანია შუა ოთახში იდგა, მერე ნელა მოტრიალდა და სწრაფად წავიდა კარებთან მიდგმული მაგიდისაკენ, ორივე ხელით დაეჭიდა მას, უნდოდა ხელში აეღო და ისე გადაედგა უკან, მაგრამ ფეხები იატაკს ვერ ააცილა, მაგიდა ჭრიალით გაცურდა უკან, ის ტახტის წინ დადგა, ძველ ადგილზე. «ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ვინ ჩამიდო ეს აზრი თავში, რომ მაგიდა მიმედგა კარისათვის, ანდა ურდული დამედო», ის ანთებული მივარდა, უცებ ამოაძრო ურდული კარიდან; მერე ნელა, უხმაუროდ დაუშვა ადგილზე, «ღმერთო ჩემო, ვინმე რომ მოსულიყო და დაეკაკუნებინა, ხომ შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ძაგანია განგებ ჩაიკეტა, რომ ძაგანიას რამე აქვს, რომ ძაგანია ცუდი კაცია და მალავს, ყველაფერს მალავს». მან გასაღები გადაატრიალა, კარი თავისით გამოიღო და პოდიეზდიდან შმორის სუნი შემოიტანა, ძაგანიამ ოდნავ გაყო თავი შიგ, იქ დილანდელივით ბნელოდა, მხოლოდ ქუჩისპირა ფანჯარა იყო თავისთვის, დღის სინათლით განათებული, ისე რომ შიგ პოდიეზდში შუქის ნატამალსაც არ უშვებდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფანჯარა შეღებილი იყო ბაც რუხად და მიკერებული ბნელი პოდიეზდის კედელზე.

«ჰფი», უცებ გაყო თავი, ტუჩები ეშმაკურად დააელმა ძაგანიამ და შეუსტვინა, სანამ ექოს გაიგონებდა, სწრაფად მიხურა კარი. გასაღები ორჯერ გადაატრიალა, კარს მიაწვა. «ეს იყოს ჩაკეტილი», დაასაბუთა ჩაკეტვა საკუთარ გონებაში, «ეს იყოს ჩაკეტილი, საერთოდ კარს ერთი საკეტით ყველა კეტავს». ამ დასკვნამ ცოტა დაამშვიდა ის და რაღაც ხუმრობის მსგავსიც კი მოუვიდა თავში, რამაც საგრძნობლად აამსუბუქა, მის ძალად მოჭმუხნილ სახეზე მხოლოდ ფარული შიშიღა დარჩა, რომელმაც დროებით მიიძინა, ძაგანიამ შუბლი გახსნა და კარადას მიეყუდა. «რა უცნაურია პეტრე, პეტრე რომ ყოველთვის პეტრეა». თავისთვისვე გასაოცარი მსუბუქი აზრები მოსდიოდა თავში. «არა, მაინც რას მოყვა გუშინწინ, ხი, ხი, ხი, ნეტა ვინ იყო ის სულელი, რაც მართალია მართალია, კარგი ანეგდოტი იყო, რა სულელი ხალხია ქვეყანაზე, ა?». ძაგანიას ჩვეულებად ჰქონდა ყველაფერი მოყოლილი ცხოვრებაში გადაეტანა, ის ანეგდოტს ნამდვილ ამბად აღიქვამდა და მერე დიდხანს აწვალებდა ფიქრი, ვინ იყო ის სულელი, რომელსაც ანეგდოტი დასცინოდა, აფასებდა თავის ნაცნობებს და ვინმეს ადარებდა მას, ახლაც იმ ანეგდოტის გმირად თავად მისი მომგონი პეტრე დაისახა, «მარტო პეტრეს შეეძლო მაგის გაკეთება, სხვა ვინ იზამდა მაგ სისულელეს. ხი, ხი,» ფიქრობდა თავისთვის.

ის გუშინწინ იყო, დაახლოებით ერთი-ორი წლის წინ, და მაშინ პეტრე მოჰყვა ანეგდოტს, რომელიც ახლა გაახსენდა ძაგანიას და რომლის შინაარსიც ასეთი იყო:

ერთხელ თურმე (ძაგანიამ მაშინვე წარმოიდგინა ის «თურმე» რა დროს იყო) ხიდის თავში (ძაგანიას ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ის ხიდი იყო ვირის ხიდი) ერთი კაცი იხრჩობოდა და ყვიროდა, «არიქა, მიშველეთ, მიშველეთო», მეორე თურმე მივარდა და ვედროთი დაიწყო მდინარიდან წყლის ამოღება (უეჭველად პეტრე იქნებოდა, აბა სხვა ვინაა ისეთი მოხერხებული, რომ მტკვარი ვედრით დაშრიტოს; არ ვიცი, სწორე გითხრა, პეტრე კი უჭკუოა, მაგრამ ეგ იმან იკითხოს, ვინც იხრჩობოდა). ძაგანიას თვალწინ წარმოუდგა დახრჩობა, როგორ იბრძვის კაცი და ვერ აღწევს ნაპირს. «ნეტა ვინ იყო? ნეტა ვინ იყო?» შეუჩნდნენ კითხვები, «ა?!» თქვა თავისდა მოულოდნელად და კარისაკენ დაიხია. «ღმერთმა დამიფაროს», სამჯერ გადაიწერა პირჯვარი ზედიზედ. «პეტრე ხო კაცი არ არის,» მოულოდნელად, გადაანთხია მთელი ჯავრი პეტრეს, რომელსაც შეეძლო მისი ამოყვანა წყლიდან (წარმოიდგინა, რომ თვითონ იხრჩობოდა უეჭველად), პეტრემ კი, ხალხის გასაცინებლად და ანეგდოტის მოსაგონებლად, ვედროთი დაიწყო წყლის ამოღება მტკვრიდან, «ღმერთო დიდებულო, მტკვარს რა დაშრეტს», ისევ წამოახურა სახეზე ძაგანიას და მთელი არსებით შეზიზღდა პეტრე, რომელიც გულგრილად უყურებდა მის დახრჩობას, წარმოიდგინა, ვირის ხიდის მოაჯირზე თოკზე გამობმული ვედროთი როგორ იდგა პეტრე, მერე ვედროს წყალში უშვებდა, ავსებდა, თქაფანით აჰქონდა მაღლა, ის კი, ძაგანია, იხრჩობოდა ქვევით. _ აფსუს– ვედროდან წყალი იღვრებოდა და ერთიათად ემატებოდა მტკვრის წყალს, ზევით კი იდგა ხალხი ხიდზე, ემატებოდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ, ხითხითებდნენ, ხარხარებდნენ, ერთმანეთს ასხდებოდნენ მხრებზე, რომ უფრო კარგად დაენახათ მისი, ძაგანიას, საცოდაობა და პეტრეს უხამსი ოხუნჯობა, ძაგანიას ოფლმა დაასხა, რამდენჯერმე სწრაფად გაზომა ოთახი, ასეთი აზრების გასაფანტავად თავი გააქნია და აივანზე გავარდა.

სწორედ ამ დროს მოდიოდა ზევიდან შაშა, თავის შუკაში შემოსული ის კედელს აეკრა და მიპარვით დაიწყო მოძრაობა თავისი სახლისკენ, თან ცალი თვალი ძაგანიას ფანჯრებისკენ ეჭირა, ოთახიდან გამოვარდნილი ძაგანიას დამფრთხალი მზერა შეეფეთა მისას, წამით ორივენი გაჩერდნენ, მერე შაშამ ისეთი სახე მიიღო, ვითომ არც დაუნახავს ის და პოდიეზდში მიიმალა.

ძაგანია დიდხანს დაშტერებით უყურებდა იმ შავ ხვრელს, რომელშიაც შაშა გაქრა. ქუჩაზე სრული სიწყნარე იდგა, ჯერ ისევ ძალიან ადრე იყო, მარტო, უკაცურ ქუჩაში, თანაც მეორე სართულის აივანზე დარჩენილი ძაგანია შიშმა აიტანა, ამ სიმაღლეზე, სიცარიელეში, ის ისე იყო გამოკიდული, როგორც სამიზნე, სწორედ ასე დალაგდა მის გონებაში ახალი შიში. ერთხელ კიდევ სცადა მოპირდაპირე პოდიეზდის სიბნელეში რამე დაენახა, მერე თვალები ზევით ასწია, ვითომ იქ არ იყურებოდა და არც აინტერესებდა იქ რა ხდებოდა, შეუმჩნევლად დაიწყო შემობრუნება ოთახში შესასვლელად, მაგრამ უცებ კეფა აექავა და საშინელმა უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო ზურგიდან ღალატისა, ზურგიდან სროლისამ, ფეხაკრეფით დაიწყო უკან-უკან წასვლა, უკან გაწეული ხელები შეაშველა კარს, ხელებზე ტანი მოიზიდა. ის ოთახისა და ქუჩის საზღვარზე იდგა, ახალმა შეუცნობელმა შიშმა შეიპყრო მისი სხული, ახლა ის შიში მოდიოდა ოთახიდან და კეფას უწვავდა.

ერთი მთლიანი მოძრაობით შეხტა ოთახში, უცებ მიტრიალდა მისი სიღრმისაკენ და ქშენით მიეყუდა ქუჩის მხარის კედელს.

უცებ ნერვიულმა ღიმილმა მოუბრიცა სახე _ შუბლი და თავი ისევ ისე სწორად იყურებოდნენ, «ჰი, ჰი, ნეტა ვინ გერჩის,» უკბინა მის გრძნობას რაღაცამ და უცებ მოეშვა მისი სხეული, საიდანღაც გულის სიღრმიდან ამოგორდა ის შიში, რომ შესაძლოა, მას მართლა არავინ არ ერჩის და ის ამ შიშშიც კი სულ მარტოა.

კარიდან შემოსული სინათლე უკვე კარგად ანათებდა მის ოთახს. ეს ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ მარცხენა კედელთან იდგა ტახტი და მაგიდა, რომელიც წეღან უკან გადადგა კარიდან, თითქმის ჭერთან, მის პირდაპირ, მეორე ოთახის კარს ზემოთ, ეკიდა მისი ოჯახის სურათი: სურათი უკვე ძველი იყო, გაყვითლებული, მძიმე მუხის ჩარჩოში ჩასმული, უშუშოდ, მრგვალი, ღრუბლის მსგავსი ნესტის რგოლებით. სურათზე გადაღებული იყო მისი დედ-მამა, რომლებიც ფეხზე იდგნენ, მათ წინ სკამზე იჯდა თვითონ ის _ ძაგანია. ისედაც მაშინ წლოვანებითაც პატარა, დაბალ სკამზე დამჯდარი ბავშვი სულ ერთი ბეწო ჩანდა ზევიდან დაყუდებულ დედ-მამასთან შედარებით, მიუხედავად ამისა, სურათის პირველივე შეხედვისას მხოლოდ ის გეცემოდათ თვალში, ისეთი საოცარი იერი ჰქონდა მის დიდ თავს, რომლის ქვევიდანაც ძლივს მოჩანდა ცხვირ-პირი და სახე. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო თითქოს მკრთალი ცხვირის კონტური და დაკუმული ტუჩები, რომლებიც რაღაცნაირ სასოწარკვეთილებას, უნდობლობას და შიშს გამოხატავდნენ ყველაფრისადმი, რაც მათ გარეშემო ხდებოდა. ოთახის მოწყობილობას ემატებოდა ორი მასიური მუხის სკამი, მაღალი ზურგებით, ერთზე კიდევ იყო დარჩენილი მსაჯულის გერბი, მეორისთვის ადრევე მოეძროთ, ისინი ისე იდგნენ, რომ ეტყობოდა მათზე არასოდეს არავინ არა ჯდებოდა. ყველაფერი ეს ინახებოდა უჩვეულო სისუფთავეში. გაპრიალებულ იატაკზე ჩანდა ადრე დაღვრილი წყლის პატარა გუბე და სურის ძირის ნაწილი; ძაგანია სწრაფად მივიდა სურასთან, ნერვიული მოძრაობით გადადგა მაგიდაზე, მერე ტილოს სტაცა ხელი და დაღვრილი წყლის მოწმენდა დაიწყო. შემდეგ ისევე ფაციფუცით მოწმინდა ყველაფერი, რაც ისედაც სუფთა იყო, და დაღლილი, სველი ტილოთი ხელში, მიეყუდა ისევ იმავე კედელს.

ასეთი ხაზგასმული სისუფთავისაგან განსაკუთრებით ცივი და არამყუდრო ჩანდა მთელი ოთახი, რომლის ერთ კედელთან იდგა ძაგანია და გულზე მიკრულ ჭუჭყიან ტილოს ჭმუჭნიდა, მისი თვალები რაღაც ახალი ძალით ანთებულნი ელავდნენ, რასაც წმენდისაგან გამოწვეული ფიზიკური დაღლაც ემატებოდა.

დიდხანს იდგა ასე ძაგანია, უმოძრაოდ, უფიქრელად, მთელ მის არსებას უზომოდ უნდოდა, რომ ეს უგრძნობელი დგომა უსასრულობამდე გაგრძელებულიყო, მაგრამ მივიდა თუ არა მის გონებამდე აზრად ჩამოყალიბებული _ ასეთი დგომით გამოწვეული შეგრძნება _ «რა კარგია ასე დგომა, უფიქრელად», მან სიამოვნების ზღვარი განიცადა და ისევ დაიწყო აფორიაქება, _ «ნეტა, როდემდე ვიდგები ასე, ნეტა, დიდხანს გაგრძელდეს ეს», გონებით ცდილობდა სიამოვნების გაგრძელებას. «რა?!» უცებ წერტილივით შეეკითხა ვიღაცა. «არაფერი, არაფერი», თავისთვისვე მოულოდნელად, სრულიად წყნარად თქვა მან და მეორე ოთახისაკენ წავიდა, არც შეუხედავს შიგ, ისე შეისროლა ჭუჭყიანი ტილო. იმ ოთახში ისევა ბნელოდა, იქ ბნელოდა ყოველთვის, იქ დიდხანს დარჩენას ყოველთვის ერიდებოდა ძაგანია, მისთვის სრულიად საკმარისი იყო ხელი შეეყო შიგ, რომ ეპოვა ის ნივთი, რომელსაც ეძებდა, რაც იმ წარმოუდგენელ არეულობაში, იმ ოთახში რომ სუფევდა, არც ისე ადვილი იყო. იმ ოთახში ინახებოდა მთელი მისი განძეულობა: დამტვრეული სკამები, მაგიდა, კარადა, ორი სკივრი, გამოტენილი დედ-მამის ძველი ტანსაცმლით, ბალიშები, მათი ლეიბები, დიდი სარკე, რომელზედაც შავი სუდარა იყო

ჩამოფარებული დედის სიკვდილის დღიდან, მაგრამ ძაგანიას აღგზნებული გონება მაინც ხედავდა ამ სიბნელეშიაც თავის გამოსახულებას, ოღონდ პატარას, ისეთს, როგორიც იყო დედ-მამის სიცოცხლის დროს, და ყოველთვის ცდილობდა ჩქარა გამოსულიყო იქიდან, დაეტოვებინა ანგრეული ქვაბები, იატაკზე დაყრილი ჭურჭელი, ნავთქურა, ჭუჭყიანი ტილოები და შეფარებოდა სუფთა, ცივ ოთახს, როცა აქეთ, სიცარიელეში იჯდა, მხოლოდ მაშინ გრძნობდა ძაგანია, როგორ უყვარდა და რა სითბოთი იზიდავდა ის ანგრეული ოთახი თავის ნაცხოვრები სითბოთი, რომელშიაც სიამოვნებით გაატარებდა მთელ სიცოცხლეს და რომელშიაც ერთი წამიც კი ვერ ძლებდა: ძაგანიას თავისდაშეუგნებლად ეშინოდა დაეკარგა ის ერთადერთი იმედი ოდესღაც მყუდრო ცხოვრების მოგონებისა, რომელსაც იწვევდა ის პატარა, ანგრეული ოთახი.

ახლაც აქეთ, ცარიელ ოთახში გამოსული ძაგანია მთლიანად შეცვლილი ჩანდა ანგრეულ ოთახში ყოფნის შემდეგ. ასეთი შეცვლა იმ ოთახის ნახვით მის ბუნებაში ყოველთვის შეიმჩნეოდა განსაკუთრებით მღელვარე დღეებში. ამ დროს, ჩვეულებრივ, ის კარგავდა შიშის გრძნობას, რომელიც ყველაში გარკვეულ წინააღმდეგობის გრძნობასთან და თავდაცვის სურვილთან არის დაკავშირებული; ახლა ამ ორმა უკანასკნელმა შეგრძნებამ დატოვა ძაგანია, ის უცებ გახდა ბედის მორჩილი, მისმა არსებამ დაუშვა ცუდის ყველაზე უკანასკნელი ზღვარი: მისთვის სულ ერთი იყო გინდა ახლა დაეხრჩოთ კიდეც იგი, ის შეიპყრო რაღაცა დიდის და მარადიულის შეგრძნებამ, რომელიც დაკავშირებული იყო მის დედ-მამასთან, მის ბავშვობასთან – რისი დავიწყებაც არ შეიძლებოდა, ისევე როგორც იმის დავიწყება, რომ ამ ქვეყნად ცხოვრობდა ოდესმე თვითონ ძაგანია _ რაც არ უნდა შემთხვეოდა მას, მაინც, და ამ ფაქტის ამოშლა არ შეიძლებოდა არც მისი მოკვლით, ისევე როგორც ამ ფაქტის ზედმეტი დადასტურება სრულიად უსაფუძვლო იყო, რამდენიც არ უნდა ეცხოვრა მას.

მოშვებული, მხრებში მოხრილი გამოვიდა იგი ოთახის შუაში, ჩამქრალი სახე შემოატარა იქაურობას, საოცარი სიკეთით გაჩერდა დედ-მამის სურათზე და, რამდენადაც შეეძლო, კეთილად გაუღიმა რაღაცას, მერე ასეთივე სუსტი, არაამქვეყნიური მოძრაობით წავიდა დიდი, მაღალი ზურგიანი მუხის სკამისკენ, რომელიც მეორე სკამის გვერდით იდგა შიშველა კედელთან და რომელსაც მსაჯულის გერბი ჰქონდა შერჩენილი. მოუხერხებლად ჩამოჯდა მის კიდეზე, სულ ერთი ბეწო, წერტილივით ჩანდა ნახევრად ბნელ, ცარიელ და სუფთა ოთახში უზარმაზარი სკამის კიდეზე მჯდარი ძაგანია, რომლის მიმქრალ თვალებში მოგონებებისაგან გამოწვეული ნაპერწკალი (არასაშიში და მშვიდი) ჩანდა. ეს მოგონებები მოიცავდნენ მის წარსულს, ბავშვობას, დედ-მამას, მის აწმყოს და მის მომავალს და, საერთოდ, ყველა მომავალს, რომელსაც ის უყურებდა ახლა როგორც უკვე დიდი ხნის წარსულ ამბავს – სწორედ ამიტომ იყო მთელი მისი არსება უზომოდ დამშვიდებული.

ძაგანიამ თავისი ბავშვობა გაატარა იქითა, პატარა ოთახში ისე, რომ მხოლოდ მონაყოლით იცოდა აქეთა, დიდი ოთახის არსებობა, რომლის კარის ფანჯარაც ნათელ აივანზე გადის. პატარა ოთახის კართან, რომელიც ახლა ამ ოთახს უკავშირდება, ჩამოფარებული იყო ჩრჩილისაგან შეჭმული ოთხკუთხა, ფიგურებიანი ფარდაგი. მის მეხსიერებაში ახლაც იყო ჩარჩენილი, როგორი ცნობისმოყვარეობით იყურებოდა იგი გამოჭმულ ადგილებში, რომლის უკანაც რაღაც მასიური და შავი მოჩანდა,

აბლაბუდის ქსელით დაფარული. ამას ბავშვი ყოველთვის მარტო აკეთებდა, როცა მას არავინ უყურებდა, გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, ან დღისით, დედის არყოფნის დროს. მამა ძაგანიასთვის თითქმის არ არსებობდა. ეს კაცი, თხელი, მოშვებული წვერით, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ოჯახის ცხოვრებაში, ის მხოლოდ დღეში ორჯერ ჩადიოდა ფანჯრიდან თითქმის შვეულად ჩაშვებული კიბით ხალხმრავალ ოთხკუთხა ეზოში (ძაგანიანთ ძველ ოთახს ცალკე შესასვლელი არა ჰქონდა, კარის გაჭრა კი რატომღაც ვერ მოხერხდა, თითქმის აღარავის ახსოვდა როგორ შემოსახლდა მათი გვარი ამ ოთახში, საიდან აიტანეს მუხის უზარმაზარი შიფონერი, კომოდი და ხის საწოლი, როდის გადმოუშვეს კიბე და დაიწყეს მასზე სიარული), დანარჩენი დრო მამა წამოწოლილი უყურებდა ჭერს, მთელ მის მოვალეობას შეადგენდა თავი ექნია ცოლის ყველა სიტყვაზე, ის რაღაც შინაგან სიამოვნებასაც კი განიცდიდა, როცა ვინმეს ეთანხმებოდა; მთელი დღე მარტო იყო შვილთან ერთად გამოკეტილი ოთხ კედელში, სამუშაოზე დილით წასული ცოლი გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ და მოუსვენარი სიცოცხლით აფორიაქებდა ოჯახს. ყველანი ცდილობდნენ რაც შეიძლება ხმამაღლა ელაპარაკათ, რადგან მარტო ყოფნისას მამა და შვილი მხოლოდ ჩურჩულით სცემდნენ ხმას ერთმანეთს. ეს სიჩუმე, რომელიც გადაშენების, სისაწყლის შეგრძნებას იწვევდა, დიასახლისზე დამამცირებლად მოქმედებდა, დამამცირებლად მოქმედებდა ისიც, რომ ყოველ დილით მთელი მეზობლების დასანახად გრძელი კიბით უნდა ჩაშვებულიყო ეზოში, ამიტომ იყო, რომ შინ დაბრუნებისას ხაზგასმული მაღალი ხმით ჰყვებოდა ამბებს, ხელოვნურად უწევდა ოჯახს სიცოცხლისუნარიანობას, რაც მამა-შვილში ისედაც იყო საოცრად დიდი რაოდენობით, ოღონდ ფარულად, შეუცნობლად. ლაპარაკის ძირითადი თემა ყოველთვის ის იყო, რომ მათი ოჯახი ერთ დროს ორივე ოთახს ფლობდა და «სუფთა ჰაერით სუნთქავდა», რასაც განსაკუთრებით ხაზს უსვამდა დიასახლისი. «სუნთქავდა, სწორედ სუნთქავდა», კვერს უკრავდა საწოლზე წამომჯდარი მამა. «ჰოდა, ახლა», განაგრძობდა დედა, «ფანჯარაში კი არ არის საქმე ან ჰაერში, მთავარი ის არის, ვინ გყავს მეზობლად, მაგისთანა ბინძური ხალხის გვერდით», _ ეს სიტყვები ითქმებოდა განსაკუთრებული პათოსით, რომელსაც დანაწევრებული, ხაზგასმული მარცვლები მოსდევდა _ «აყ_რო-ლე-ბუ-ლების და, რაც მთავარია, უსინ-დი-სო-ების». «ნამდვილად, ნამდვილად რომ, უსინდისოების», გაბრწყინებული თვალებით, საწოლზე წამომჯდარი, იქნევდა მამა თავს, მაგრამ კარგად რომ დაჰკვირვებოდა კაცი, შეამჩნევდა, მის აზრებს არავითარი კავშირი არა ჰქონდა მის სიტყვებთან, მისთვის ავადმყოფურობამდე სულ ერთი იყო, ვინ ცხოვრობდა იქით, მას მხოლოდ უნდოდა დასთანხმებოდა რაღაცას, რადგან იგი საერთოდ ყველაფრის თანახმა იყო, ოღონდ არ ყოფილიყო უთანხმოება, ოღონდ ყოფილიყო მის გარშემო მისგანვე შექმნილი სიმშვიდე და ეს სიმშვიდე არ დარღვეულიყო მისკენ მიმართული პირადი შეურაცხყოფით, რაც, ჩვეულებრივ, გულს სტკენდა ხოლმე მას მხოლოდ იმით, რომ მისი არ ესმოდათ, მასაც არ ესმოდა არავისი _ ეს არ იყო ტრაგედია მისი არსებობისათვის, მაგრამ ისევე როგორც ყველაზე ნერვიულ კაცს აქვს წუთები, როცა ის საოცრად მშვიდია – მასაც ჰქონდა აღელვების წამები. ამ წამების დროს ის, საწოლზე წამომჯდარი, დაშტერებით უყურებდა პატარა შვილის მახინჯ სხეულს, რომელზედაც წამოსკუპებული დიდი თავი, მიუხედავად მოჩვენებითი უმოძრაობისა, ერთი წამით ვერ ისვენებდა. ამ სხეულს ჰქონდა მამის შინაგანი სიმშვიდის გარეგნული გამოსახულება და დედის შინაგანი თუ გარეგნული მოუსვენრობა, სადღაც ღრმად, მაგრამ საფუძვლიანად დამარხული. აღელვების წუთებში მამა უყურებდა, როგორ მიძვრებოდა ბავშვი მაგიდაზე, რა წვალებით

აათრევდა ხოლმე სამფეხა სკამს, როგორ აფორთხდებოდა ზედ და როგორი დაშტერებით იყურებოდა ფარდის იქით ჭუჭრუტანაში, მაშინ მამას გარშემო მდგარ აბსოლუტურ სიჩუმეში თითქმის ცხადად ესმოდა დედას სიტყვები «ის ოთახი ჩვენი იყო, ის ისევ უნდა დავიბრუნოთ, იმ ოთახის კარი გადის ნათელ, დიდ აივანზე» და უფრო აღელვებით «წარმოგიდგენიათ? ჩვენი საკუთარი კუბოს გასატანი ადგილიც კი არა გვაქვს, ჰო, კუბოს გასატანი ადგილი არაა». «ეს კარგია, რომ გადის, ნამდვილად გადის», წამიერი დაძაბვის შემდეგ მშვიდად ეთანხმებოდა მამა ხმებს, არაჩვეულებრივად უმართლებდა მას ასეთი გამოგონება, დათანხმება-მიყოლის პოლიტიკა საკუთარ თავთან, სწრაფად იკრეფდა სულიერ სიმშვიდეს და უკვე აღარ უყურებდა, რა წვალებით ჩამოდიოდა შვილი უკან, რა სახით იჯდა იატაკზე ან კიბესთან და რა მოუთმენლობით ელოდა დედის მოსვლას, რომელსაც დაუსრულებელი მასალა ჰქონდა მოსაყოლი იმ ოთახის ღირსებების და შიგ მცხოვრები ხალხის სიბოროტის გამო. მონაყოლი იმ ოჯახის სიბოროტის შესახებ ძაგანიაში გროვდებოდა როგორც ერთი მთლიანი ცნება ცუდი ძალის, რომელსაც უნდა ებრძოლოს და რომელზეც ის უეჭველად გაიმარჯვებს.

თოთხმეტი წლისამ შეგირდად დაიწყო მუშაობა ძაგანიამ. დადიოდა მარტო, თავისი თავის პატრონი: დილით ადრე ჩამოიპარებოდა ლანდივით კიბეზე და ღამე, როცა ყველას ეძინა, აიპარებოდა უკან; ეზოს მეზობლებს საერთოდ დაავიწყდათ კიდეც მისი არსებობა, იმდენად უნახავი გახდა დედ-მამის სიკვდილის შემდეგ, ძაგანიას კი ახსოვდა, ყველა ახსოვდა და ყოველდღე, დაწოლის წინ, გონებაში იმეორებდა მათ სახეებს: პეტრემ, დიდმხრებიანმა მოხუცმა, საკუთარი თოკი მოიტანა ფანჯრიდან კუბოს დასაშვებად, თვითონვე შეუდგა ქვევით დაშვებულ დედის კუბოს და დაქირავებულ ფურგონამდე მიიტანა მარტომ, ზევიდან დაშვებაში მესაფლავეები ეხმარებოდნენ, მათი დიალოგი სამუდამოდ ჩარჩა გონებაში ბავშვს. დედის კუბოს ჩაშვების შემდეგ მამის კუბოს ეძგერნენ, «ჩქარა, ჩქარა», აჩქარებდა ერთი მეორეს, «დღეს კიდევ სამი გვყავს დასამარხი», ბავშვს ვერაფრით ვერ წარმოედგინა, რომ ამ დღეს სხვისი დამარხვაც და, საერთოდ, ხმამაღლა ლაპარაკი შეიძლებოდა, მაგრამ მათი სიტყვები მაშინ არ აღწევდა მის გონებამდე, ისინი მხოლოდ იბეჭდებოდნენ, რათა შემდეგ აღმდგარიყვნენ მის სულში და მოსვენება დაეკარგათ მისთვის. «ვა, რა მძიმეა ეს მამაძაღლი, წინა ბუმბულივით იყო, ლობიო ექნებოდა ნაჭამი სიკვდილის დღეს.» ბავშვს გონებაში ჩარჩა ეს ფრაზა, ზოგჯერ ახლაც გულუბრყვილოდ დეტალურად იგონებდა დედ-მამის გარდაცვალების წინა დღეს, უნდოდა მოეგონებინა, მართლა ჰქონდა ნაჭამი ლობიო მამას თუ არა. «ჰა, დაუშვით», მოისმა ქვევიდან პეტრეს ხმა. მესაფლავეები ერთად ეტაკნენ, იდაყვებამდე ძლივს აიტანეს მძიმე კუბო, ფანჯრამდე მიათრიეს და დადგეს. ძაგანია საწოლის შუაში იჯდა და ყურადღებით ადევნებდა საინტერესო ამბავს თვალყურს. «მოდი, ესეც გავაყოლოთ, ამქვეყნის ფერი მაინც აღარა აქვს», ეხუმრა ერთი მეორეს და ორივემ ხმამაღლა გაიცინა, სიცილი პატარა ოთახში დაგუბდა, ძაგანია მიიყუჟა და აკანკალდა, ახლაღა მივიდა მის შეგრძნებამდე, რომ შეიძლებოდა ისიც, პატარა ბავშვი, აღარა ყოფილიყო და მაშინ ისევე გადაიტანდნენ ფანჯრიდან, როგორც მის დედ-მამას, სიცილით და ლანძღვით, ლოდივით მძიმედ, კერპად ჩაჯდა ბავშვის გულში რწმენა, რომ თვითონ თავისი კუბოს ფანჯრიდან გადატანის საშუალებას არავის არ მისცემდა. «ერთიი... ორიი... სამიი...» - თვლიდა ერთ-ერთი მათგანი, მესამე დათვლაზე უცებ ასწიეს კუბო ერთად, ფანჯარასთან მიიტანეს, ერთმა მაგრად სტაცა მობმულ თოკს ხელი, მეორეს აუცდა თოკი წაჭრილი თითებიდან და გასხლტილი კუბო თავისით გადაეშვა ფანჯრიდან. კუბო, პირველის თოკზე გამობმული, ჰაერში ეკიდა, როცა ცხედარი უკვე

ძირს ეგდო, მძიმე, მშვიდი, გულაღმა გაშხვართული ტლაპოში, ოდნავ გაოცებული სახით, რასაც წარბზე გადასული ახალი, დაცემისაგან მიღებული, ჭრილობა აძლევდა, გაოცებული, რომ ეს წყნარი კაცი ასე უკადრისად, სულსწრაფად გადაუშვეს. ქვევიდან კივილი მოისმა, ერთი მესაფლავე სწრაფად გადაეშვა კიბეზე, მეორეს თოკი ეჭირა, ახლა უკვე მთელი ეზო იცინოდა, ძაგანია მიხვდა ყველაფერს, მიხვდა რატომ დაიკივლეს და რატომ იცინოდნენ. დაცარიელდა მისი ოთახი, დაცარიელდა ეზო და მარტო დარჩენილ ბავშვთან შეანათა ღამემ, საშიშმა, უცნობმა, ახალმა თავისი სიმარტოვით, დიდი ლოგინის შუაში ეგდო და ციებ-ცხელებისგან კანკალებდა დიდთავა ბავშვი ძაგანია. იმ დღის შემდეგ მის გონებას დაეპატრონა აზრი, რომ ის იცხოვრებდა მხოლოდ იმისთვის, რომ მისი კუბო არ გადაეშვათ ისევე სამარცხვინოდ, მეზობლების შესაცოდებლად თუ დასაცინად, არამედ გაეტანათ ჩვეულებრივი გზით და თან სწორედ იმ პოდიეზდიდან და იმ ოთახიდან, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდა დედამისი. იზრდებოდა ძაგანია და ნელ-ნელა დემონურად იპყრობდა ეს აზრი, მაგრამ დიდხანს, ძალიან დიდხანს აზრის იქით არ წასულა მისი განზრახვა, იმდენად ძლიერი იყო მის გულში ეს სურვილი, რომ იგი დიდხანს არ დაინტერესებულა იმ ხალხის ბედით თუ ვინაობით, რომლებიც მის გვერდით ცხოვრობდნენ, მისთვის ცხადი იყო მათი სიცუდე და მათდამი მხოლოდ მტრობას გრძნობდა, რომელიც მათი დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო. იმდენად ბრიყვული და თვითდაჯერებული იყო ეს გამარჯვების რწმენა მასში, რომ თითქმის მარტო მაგიტომ გაიმარჯვა ყოველგვარი ზედმეტი, მოგონილი ცდების გარეშე.

ერთ დღეს ძაგანიამ შურით შენიშნა, რომ იმ პოდიეზდიდან კუბო ჩამოჰქონდა ოთხ კაცს, ეს უკვე მეტისმეტი იყო. უცებ წარმოუდგა დედ-მამის გასვენება, საკუთარი თავი მათ მდგომარეობაში და უკან მოუხედავად გაუყვა ქუჩას; მეორე წელს ისევ ჩამოიტანეს კუბო იმ პოდიეზდში ფართო კიბეზე – მშვიდად, ჩუმად, მოწყენილი სახეებით, რამაც სულ დაუკარგა მოსვენება მას; დრო კი მიდიოდა და ის ისევ იმ ოთახში ცხოვრობდა. დრო მიდიოდა და ძაგანია გრძნობდა, რომ თვითონაც შეიძლებოდა ფანჯრიდან გადაესვენებინათ, ეს განსაკუთრებით ახლოს მიიღო ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც მთელი თვე გაგრძელდა და თითქმის ლოგინს მიაჯაჭვა. საშინელი კოშმარები ესიზმრებოდა ღამე: როგორ ისროდნენ მას მაღლა, გაქანებით – ერთი, ორი, სამი, პირდაპირ ფანჯარაში, როგორ ელოდნენ პირდაღებული მეზობლები მის დავარდნას, მაგრამ მათ ჯიბრზე ის არ ეცემოდა, არაადამიანური ენერგიის დაძაბვით იკავებდა სხეულს ჰაერში და იდგა ასე, ვიდრე ისინი უყურებდნენ. ისინი უყურებდნენ დღეც, ღამეც, მერე ადგილებზე ეძინებოდათ, მაშინ უდუნდებოდა ძაგანიას სხეული, დაჭიმული ძარღვები უსკდებოდა და სისხლში შერეული ოფლი რწყავდა მის სხეულს, რომელიც მოცელილივით ვარდებოდა სიმაღლიდან მოუკირწყლავ ეზოში; ვარდნით გამოწვეული ტკივილისაგან ელვიძებოდა ავადმყოფ ძაგანიას, კიდევ დიდხანს, საწოლში წამომჯდარი, ხედავდა მეზობლების გაბრწყინებულ სახეებს, ისინი ხითხითებდნენ, ხარხარებდნენ, ხტოდნენ, მერე მის მზერას ვეღარ უძლებდნენ და ჩუმად იპარებოდნენ. «მე კიდევ ცოცხალი ვარ», ხმამაღლა, საკუთარი ეჭვების გასაფანტად იძახდა ძაგანია და ახალი, ცოცხალი ეჭვები ღრღნიდნენ მის გულს. – თუ ახლა მისმა თვალებმა იხსნეს ის დაცინვისაგან, რა იხსნიდა მას სიკვდილის შემდეგ. «კიბიდან, კიბიდან, შენი კუბო კიბიდან უნდა ჩაასვენონ», უმეორებდა მას შინაგანი ხმა და უზარმაზარი ხანგრძლივი ბრძოლისათვის ემზადებოდა მისი სხეული, ამ დროს ის უკვე ორმოცს მიღწეული კაცი იყო. ავადმყოფობის შემდეგ სულ შეიცვალა ის

გარეგნულად, დიდი, საშიში, მახინჯი თავი თითქოს გაუთხელდა, ზედ შლიაპა დაიფარა, ტანისამოსი გამოიცვალა, ადრე დაიწყო სახლში დაბრუნება და ზოგიერთ მეზობელთან გამოლაპარაკებასაც კი შეეცადა. უცებ გამოჩნდა მასში მეორე ბუნება – ლაპარაკის მოყვარული, ნერვიულად მხიარული და, წარმოიდგინეთ, გულუხვიც კი.

აქამდე თითქმის მივიწყებულმა, საშიშმა და გამოუცნობმა, უცებ მოიპოვა მეზობლების კეთილგანწყობა, რადგან ადამიანი ყოველთვის მოხარულია რაიმე ახლობელი და ნათესაური შეიგრძნოს იმაში, ვინც განსხვავებულად და მიუწვდომლად მიაჩნდა, რა მხრივაც არ უნდა იყოს ეს. მეზობლებმა სწრაფად დაივიწყეს ძაგანიას წლობით სიჩუმე, სიმარტოვე და ერთგვარი ქებითაც დაიწყეს მასზე ლაპარაკი, აღარც კი იხსენებდნენ როგორი იყო ერთ დროს. ახლა ის ხშირად იჯდა შუა ეზოში, ნარდის თამაშით გართული, და ჩუმად, საუბარში, აგროვებდა ცნობებს იმ ოთახში მცხოვრები ხალხის გარშემო და ეს ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, რომ არავის ეპარებოდა ეჭვი, წარმოიდგინეთ, თვითონაც კი ავიწყდებოდა, როგორი არაადამიანური გეგმა იყო დამზადებული მის გულში.

და აი, დადგა ის დღე, როდესაც ძაგანიამ აჯობა ყველა სხვა გრძნობას და დააკაკუნა იმ ოთახის კარზე, რომელსაც მხოლოდ წარმოდგენით იცნობდა, კარი შუახნის შავებში გამოწყობილმა ქალმა გაუღო. «მობრძანდით,» თქვა მან წყნარად და ოთახში შეუძღვა, ძაგანია უხმოდ შეჰყვა და მიჯაჭვულივით გაჩერდა ზღურბლთან, მას ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი საოცარი დამთხვევა შეიძლება ყოფილიყო მის გონებაში შექმნილ ოთახსა და ნამდვილს შორის, ის გაშტერებული უყურებდა უზარმაზარი ოთახის კედელთან დადგმულ ტახტს – ეს იყო ერთი ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც იმავე წამს შეიძლებოდა, როცა ძაგანია აქ შემოსახლდებოდა, იმ ტახტს დადგამდა ოთახის შუაში. «აი, აქ იდგა კუბო, აქ იდგა კუბო», უტრიალებდა მას თავში, «აქ კარგი ადგილია, აქ იდგება ჩემი კუბოც,» უფრო გაიმტკიცა თავში აზრი, უცებ მოავლო თითქმის ცარიელ ოთახს თვალი და მოულოდნელად სტუმრის უცნაური ქცევით თითქმის შეშინებულ დიასახლისს გაუღიმა. _ ძაგანია, თქვენი მეზობელი, _ გაუწოდა მან ხელი. ქალმა უხერხულად გაუწოდა თავისი მარჯვენა. _ დაბრძანდით, - თქვა მან. _ ახლავე, ახლავე, _ ძაგანია დაფაცურდა, გულის ჯიბიდან ფოჩიანი კანფეტები ამოიღო, იატაკზე წამომჯდარ პატარა შაშას გაუწოდა. – აიღე, ტკბილია, _ თქვა მან და განაგრძო – ალბათ, გაგიკვირდებათ, არა, თქვენ, ჩემი მოსვლა, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, იტყვით, როგორ მოვიდა ეს კაცი დაუპატიჟებლად, არა? მაგრამ თქვენი ქართველური სტუმართმოყვარეობა ნებას არ გაძლევთ გამაგდოთ, არა? აი, კანფეტი, პატარა, რა გქვია შენ? – პატარა უაზროდ უყურებდა – შაშა ჰქვია, – ძლივს გასაგონად თქვა დედამ. ძაგანია სკამზე ჩამოჯდა. – შაშა, ჰმ, მშვენიერი ბავშვია, იცით, რა, მე ამდენ ბოდიშს არ მოვიხდიდი არასოდეს, გარწმუნებთ, არასოდეს, რომ გარკვეული საქმე მქონოდა თქვენთან, გარდა იმ ქრისტიანული, მე ვიტყოდი, ნამდვილი ქართული კეთილი გრძნობისა, რომელიც მეზობელს ავალებს ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში მყოფ თავის ახლობელს, ო, ძალიანა გთხოვთ, ნუ მიწყენთ ზედმეტ გულახდილობას, მე თქვენი მდგომარეობა მშვენივრად მესმის, ამ ასაკში დაქვრივება, ორი ბავშვი, თითქმის ახალგაზრდა დედა, ჰმ, ჰმ, მხოლოდ მეზობლობით, მერწმუნეთ, მხოლოდ მეზობლობით... რა ვქნა, ასეთია ჩემი ბუნება, სიკეთე, დიახ, სიკეთე... ჰმ, ჰმ, არ გეგონოთ ხაზს ვუსვამდე, მე ისე, ბავშვებისთვის მხოლოდ – ძაგანიამ ოქროს თუმნიანი ამოიღო, სწრაფად დადო მაგიდაზე და უცებ აარიდა თვალი, რომ ძალიან არ დანანებოდა, ისევე უცებ მოათვალიერა ოთახი და სანამ ქვრივი მადლობის თქმას მოასწრებდა, ოთახიდან გავიდა. პოდიეზდის კართან ნარდის თამაშისას ახლად გაცნობილი პარტნიორი

შეეფეთა. _ სად იყავი, ქვრივთან? _ ეშმაკური ღიმილით ჰკითხა მას. _ რა ვიცი, _ მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა ძაგანიამ, იმან თვალი ჩაუკრა და ერთმანეთს დასცილდნენ.

ამ დღის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოინახულა ძაგანიამ ქვრივი და ბავშვები და ყოველთვის ცდილობდა უკან ჩამოსვლისას რაც შეიძლება მეტ ხალხს დაენახა. ამასობაში ქვრივის სახლში გარკვეული, სხვისი გავლენის ქვეშ მოქცეული, ატმოსფერო შეიქმნა, იმ სხვისი ეშინოდათ აქ, მით უფრო ეშინოდათ, რაც უფრო მეტი სიკეთის გაკეთებას ცდილობდა ის. ბოლო ხანებში თითქმის კეთილი მეზობლის ხარჯზე მცხოვრებმა ქვრივმა ვერაფრით ვერ აიძულა თავი, რომ მადლობის გრძნობით გამსჭვალულიყო მისდამი, რაღაც გამოუთქმელი შიში დაეუფლა მის არსებას, შიში, რომლისადმი ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა უშედეგო იყო. ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ ბრუნდებოდა უკან ძაგანია, პოდიეზდში გაიოზი იდგა ბურთით ხელში, მან ფოჩიანი კანფეტი მიაჩეჩა, გაიოზი გაიქცა ქუჩის ბოლოსკენ, თან ენას უყოფდა მას და მის მიცემულ კანფეტს ჭამდა. «ახ, ასე?!...» მოულოდნელად გაბრაზდა ძაგანია და თითქოსდა ახლა მოაგონდა მთელი თავისი გეგმები, სწრაფად მოტრიალდა, უცებ ავარდა კიბეზე და დაუკაკუნებლად შევარდა იმ ოთახში, საიდანაც სულ ორი წუთის წინ გამოვიდა.

ქვრივი ნახევრად გახდილი იდგა შუა ოთახში და გაკვირვებული უყურებდა შემოჭრილ მეზობელს, მერე თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა, შავ კაბას ხელი სტაცა და გულზე აიფარა, _აქედან გადით, _ აღელვებით და მუდარით თქვა მან, მაგრამ ძაგანია ყურს აღარ უგდებდა. _ დიახ, დიახ, _ ნერვიულად იმეორებდა ის თავისდაუნებურად მოგონილ ამბავს. – დიახ, ეს ყველაფრი თქვენი ბრალია, საინტერესოა, რაში დაგჭირდათ, რომ გელაპარაკათ ჩემი დახმარების და თქვენი ოჯახისადმი ჩემი კეთილგანწყობის შესახებ, მე ეს მხოლოდ კეთილი გულით, გულჩვილობით, _ ქვრივი თვალს ვერ აშორებდა მის ყინულივით ცივ თვალებს და უფრო გრძნობდა, ვიდრე ესმოდა მისი ხმა... და რაც ყველაზე საშიში იყო, გრძნობდა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი დაკარგული ჰქონდა. _ დიახ, _ განაგრძობდა ძაგანია, – სწორედ ამის გამო ახლა ათას, ათას ცუდ და არასაკადრის რამეს ლაპარაკობს ხალხი, ათასს, გიმეორებთ, და მე მინდა, იცით რა, მე მინდა, რომ ყველაფერი ის იყოს მართალი. _ უცებ მოტყდა იგი და ქვრივის ხელი გულზე მიიკრა უხერხული, უსიამოვნო მოძრაობით, ნახევრად უგონოდ მინებდა მას ქვრივი.

ისინი იწვნენ დიდ, განიერ ტახტზე, რომელიც იდგა ოთახის შუაში, სწორედ ამ დროს მიხოხდა დედასთან შაშა და სწორედ ეს მომენტი ჩაებეჭდა მის გონებას სამუდამოდ, აქ მისცა ფოჩიანი კანფეტი ძაგანიამ მას, სულ ერთი წამით შეყოყმანდა კოჭლი ბავშვი, სულ ერთი წამით დაინახა ძაგანიამ მის ბავშვურ თვალებში რაღაცა საშიში და უცნობი, რის შემდეგაც მან კანფეტი აიღო და ლოღნა დაუწყო. მაშინ ძაგანიას შაშასთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ შემდეგ, უფრო გვიან, მას უკან, რაც მან მოახერხა პირდაპირ ეზოში გადასახლება და, საბოლოოდ, ამ ოთახის ხელში ჩაგდება, მოიგონა რამდენჯერმე თავისი პირველი ცოდვა ქვრივთან, მთელი ის ამბავი, რომლიდანაც ყველაფერი მოგონებას მიეცა, ყველაფერი, გარდა ბავშვის სასოწარკვეთილი სახისა, რომელიც ყოველი შეხვედრისას ახსენებდა ახლიდან იმ წუთებს.

ცარიელი ოთახის კიდეში მსაჯულის დიდ ხის სკამზე მიკრულ ძაგანიას გააჟრჟოლა, ცხადად წარმოიდგინა დღეს დილით აივნიდან დანახული შაშას თვალები. «ღმერთო ჩემო», დაუტრიალდა თავში, _ «ნუთუ კიდევ ახსოვს, ნუთუ ახსოვს». ეს აზრი ტანჯავდა მთელი წლების მანძილზე მას და ახლა განსაკუთრებული სიცხადით იგრძნო ეს, გუშინ წაკითხულ პროკლამაციაში ნათლად ეწერა «ყველა მიიღებს საკადრის სასჯელს». ნუთუ ეს იყო შურისძიება, მან ხომ მხოლოდ დედის ანდერძი შეასრულა, მან ხომ მხოლოდ, მხოლოდ იმიტომ დაიბრუნა ეს ოთახი, რომ აქედან გაესვენებინათ ის, ისევე დატოვა ყველაფერი აქ, ოღონდ ზედმეტი ბარგი მოაშორა, რომ გასვენების დროს მეტი ხალხი დატეულიყო მისი კუბოს გარშემო; ამდენი წელი ამ ოცნებით ცხოვრობდა, რომ მას ქრისტიანულად ჩაიტანდენ კიბეზე, ახლა კი უცებ საიდანღაც გაჩნდა ახალი შიში, რომელიც დღეს დილით აშკარად ამოიკითხა შაშას თვალებში: შაშას თვალებსაც ისევე ეშინოდათ შურისძიების, როგორც მას თვითონ და ეს შურისძიება უნდა დამდგარიყო რაღაცა დიდი ცოდვის შემდეგ, რომელსაც შაშა ჩაიდენდა. ძაგანია უცებ მოშორდა სკამს და ტახტისკენ წავიდა. «ღმერთო, დიდებულო, ნუთუ იმ ცოდვის მსხვერპლი მე ვიქნები», გაურბინა თავში, მთელი ის შიში, რასაც ამდენი წელი გრძნობდა, გარეთ გამოვიდა, მან ქურდულად მიმოიხედა და ხელები უძლურად გაასავსავა, არავინ, არავინ, მტერიც კი არ იყო გარეშემო, ის იდგა სულ მარტო თავის საკუბოვე ოთახში და თრთოდა, მერე მოწყვეტილი ჩამოჯდა ტახტზე, სადღაც ღრუბელი გაიხლიჩა, სხივი შემოიპარა შუკაში და ტახტთან დაეცა, თოფნაკრავივით წამოვარდა ძაგანია, «არ მინდა, არა,» _ დაიხრიალა, ახლა აღარ უნდოდა ეს ოთახი, არც ეს ტახტი, არც კიბეებიდან ჩასვენება, თითქოს ყველაფერ ამას ხელი შეახო და უცებ მიხვდა, რომ ის, რაზეც ოცნებობდა, იყო ბოლო და იმ ბოლოს არა ჰქონდა მისთვის არავითარი აზრი, მან დაკარგა საბოლოოდ რწმენა, რწმენა, რომელსაც თავის გულში ზრდიდა, უვლიდა, რომელზედაც ამყარებდა მომავალ სიმშვიდეს, იმედებს და არათუ დაკარგა, არამედ მთელი არსებით შეიჯავრა უცებ. ისევ გაასავსავა ხელები და კარს ეცა. კარი დაკეტილი იყო. ამ მოულოდნელმა დაბრკოლებამ, უნაყოფო ცდამ ამ «უშიშარი ადგილიდან» გარეთ გავარდნისამ, წარმოუდგენელ სასოწარკვეთაში ჩააგდო, უცებ ჩაეკეტა გონება და წარმოიდგინა, რომ ეს იყო ბოლო, რომ აღარასოდეს გაიღებოდა კარი და მის კუბოს ისევ ფანჯრიდან გადაასვენებდნენ, ახლა ამ აზრს წინანდებურად აღარ შეუშფოთებია ის, ავადმყოფურად მინებდა ბედს, საცოდავად გაიღიმა და კოპები შეიკრა. უზარმაზარ ნაოჭებად შეიყარნენ მის ბრტყელ შუბლზე ხორცები, ნელა დაიწყო მისმა გონებამ მუშაობა, თან მარჯვენა ხელს ახმარდა, ყოველი ახალი აზრის შემდეგ ერთ თითს კუმშავდა, პირველი აზრი იყო, რომ დარჩა აქ – ეს ერთი, მეორე აზრი იყო, რომ გაასვენებდნენ ისევ ფანჯრიდან, რამაც მოულოდნელად დაამშვიდა, მესამე აზრად მოუვიდა, რომ ეს იყო ყველაფერი, საერთოდ, უზარმაზარი უაზრობა, რაზეც ის ფიქრობდა, საერთოდ, რის შემდეგაც გონებამ დაიწყო ბურუსიდან გამოსვლა. «რატომ?» შეეკითხა ის თავის თავს, მოკუმშა მეოთხე თითი, მუჭა მოჭიმა, მერე წყნარად დააკრა ცერიც ზევიდან, ერთხანს ასე იდგა, შემდეგ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო გასაღები, მშვიდად გადაატრიალა საკეტში ერთხელ, ორჯერ, გამოიხურა, ისევ ჩაკეტა და კიბეებზე დაეშვა.

მშვენიერი დღე იდგა გარეთ. დილით შეკრული ცა სამ-ოთხ ადგილას იყო გახლეჩილი, ნაწვიმარზე მზე ხალისიანად ანათებდა გუბურებს. ძაგანიამ ღრმად ამოისუნთქა და მზეს მიუშვირა სახე, ერთხანს სრულიად უფიქრელად თბებოდა ასე. მზე უვლიდა მთელ ტანში და უზარმაზარ სიამოვნებას ჰგვრიდა მის მღელვარებისაგან დაღლილ სხეულს.

იდგა ძაგანია მზეზე გამთბარი და ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს მზე მარტო მას არ ათბობდა, მთელი მისი სხეული განიცდიდა რაღაცა ზოგად სიამოვნებას, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ყველა, ამას მოწმობდა ცარიელი, გარინდული ქუჩა, რაც დღის ამ დროს უჩვეულო იყო, ძაგანია მთლიანად მინებდა თავის განცდას და ამ განცდამ იგი დაიყვანა მხოლოდ ერთ, სიჩუმის, სრული სიწყნარის შეგრძნებამდე _ ის შეშფოთდა, უზარმაზარი ნაოჭები ისევ მოეყარა შუბლზე, მზეზე გახურებული ხორცი ერთმანეთს მიეკრა შუბლზე, რამაც დუმილით გამოწვეული სიამოვნება გაახანგრძლივა, კიდევ რამდენჯერმე მოიყარა მან შუბლზე ნაოჭები და თავისდა შეუმჩნევლად ამოძრავდა, აუტანელმა სიჩუმემ საბოლოოდ გატეხა მისი დროებითი სიმშვიდე. გაცილებით მეტი ხმები, შიში გაიგონა მან ამ სიჩუმეში, ვიდრე შეიძლება წარმოედგინა ყველაზე დიდ ხმაურშიც კი. ხმები უცებ მიაწყდნენ მის სხეულს და ადგილზე გააქვავეს, თავის ოდნავი მობრუნებაც კი გვერდზე, საიდანაც ათასი საფრთხე ემუქრებოდა, უზარმაზარ ძალდატანებას მოითხოვდა მისი ნერვებისაგან. უცებ გაუელვა თავში, რომ ახლავე საჭირო იყო ავარდნილიყო კიბით მაღლა სახლში და იქ მოეცადა, სანამ გარკვეულად რამე დაიწყებოდა, მაგრამ ცარიელი, სუფთა ოთახის მოგონებამ, შუაში დადგმული ტახტით, ახლა უკვე წარმოუდგენლად ცუდად იმოქმედა მასზე; ძაგანიამ ქუჩას გახედა: რასაკვირველია, აქ მეტი საშუალება იყო დამალვის, გაქცევის, თუ ეს საჭირო იქნებოდა, ვიდრე იქ, იმ ხაფანგში, სადაც თვითონ ძალისძალად ექცეოდა. რა გაქცევა? რა ხაფანგი? უცებ დაუსვა კითხვა მისმა გონებამ ძაგანიას, რომელიც აქამდე დარწმუნებული იყო, რომ ორივე ეს კითხვა სულ მთლად ცხადი იყო მისთვის და დიდი ხანია პასუხიც გაცემული ჰქონდა. «ნეტა, ვინ მოგდევს?» გაისმა ირონია ახალ კითხვაში, რომელიც მოუვიდა თავში და მის გარშემო თითქოს დაეშვნენ ქუჩის ბოლოები, სახლის კედლები გაიხსნა, ყველაფერი დაცარიელდა და მას შეეძლო წასულიყო საითაც სურდა, ოთხივე მხარეს, და არა ჩანდა არსაით ბოლო, არა ჩანდა მიზანი, რის შემდეგაც ძაგანია იტყოდა, რომ მივიდა, მეტი სიარული აღარ იყო საჭირო, და, დაღლილი, სამართლიანად დაისვენებდა. ყოველი მხრივ, ახალ ადგილას მას ხვდებოდა სიმარტოვე უზარმაზარი ცარიელი სახლებითა და მინდვრებით. და ახლაღა, ამდილანდელი ამდენი განცდის შემდეგ, ძაგანია მიხვდა, რომ მას უღმერთოდ უნდოდა დალაპარაკებოდა ვინმეს, ხმა გაეცა ვინმესთვის ქრისტიანულად, ადამიანურად, ეთქვა ვინმესთვის, რომ ის დიდი, დიდი ხანია ცდილობს გაიჩინოს მეგობარი, მაგრამ საქმეები, სულ ეს საქმეები! არ აძლევენ ამის საშუალებას. ძაგანიას აღგზნებული გონება უკვე ხედავდა როგორ ისხდებოდნენ თვითონ და ის მეგობარი ყავის სმისას ერთად, ჩუმად ან მოკლე სიტყვებიანი საუბრით, რა ნაზი იქნებოდა მათი ერთმანეთისადმი მიმართვა, როგორ მამაშვილურ რჩევებს მისცემდა ძაგანია საკუთარი წარსულიდან, რა მადლობელი იქნებოდა ამ რჩევების გამო მისი მეგობარი და რა სავსე იქნებოდა ცხოვრება, კმაყოფილი, ჩუმი, მხიარული. ძაგანიას უკვირდა და, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, უფრო უკვირდა, რომ ასეთი უბრალო რამე აქამდე ვერ განახორციელა, შეეცადა გაერკვია, რა უშლიდა ხელს, მაგრამ ყველა მიზეზი იმდენად უმნიშვნელო, წვრილმანი იყო, რომ არც ერთზე შეჩერება არა ღირდა. «უბრალოდ, დრო არა მქონდა», დაძაბა მან კუნთები, შეიშმუშნა, ატკაცუნდა სიამოვნებისაგან მისი სხეული, რომელსაც ახლა დრო ჰქონდა

და ის კი, რაც სჭირდებოდა მის მეგობრობას, იყო სწორედ დრო (სურვილის არსებობის აღნიშვნა საჭიროდ აღარ მიაჩვდა).

მან სრული სიმშვიდით გაიარ-გამოიარა თავისი პოდიეზდის წინ, მერე ნელა, ისეთივე აწონილი, ოღონდ კარგი დამკვირვებლისათვის ოდნავ ატაცებული და მსუბუქი ნაბიჯებით გადაჭრა ქუჩა და იმავე პოდიეზდში დაიმალა, რომელშიც დილით გაქრა შაშა.

ვინც ძაგანიას სვლას შაშასკენ დააკვირდებოდა, იფიქრებდა, რომ ის დიდი, ძალიან დიდი ხნის შემდეგ მიდიოდა მეგობართან, რომელიც არ ენახა მთელი საუკუნე, იმდენი შეკავებული სიყვარული, სითბო იყო მის არსებაში; და ის, რომელიც არ ენახა, აუცილებლად ასეთივე გულის ფრიალით ელოდა მის მისვლას, რათა გულში ჩაეკრა ახლობელი, ეთქვა თავისი ვარამი, რაც პირველზე ნაკლები არა ჰქონდა, სათქმელად თუ სატირლად დაგროვილი, და მით შეემსუბუქებინა თავისი მძიმე განწყობა.

ამასობაში კი ისინი, ფაქტიურად, ხვდებოდნენ ერთმანეთს ყოველდღე. შაშა ადიოდა ძაგანიასთან და იჯდა უმოძრაოდ მანამდე, სანამ ძაგანია არ სთხოვდა მას გაეკეთებინა რამე, რაც სრულიად არ სჭირდებოდა ძაგანიას, ან გაემეორებინა რაიმე სასაცილო, რაც ასო «ს»-ს «შ»-დ თქმაში იყო და რაც სიცილს დიდი ხანია აღარ იწვევდა ძაგანიაში, ოღონდ აკეთებინებდა ამას იმიტომ, რომ, უბრალოდ, აუტანელი ხდებოდა სიჩუმე და მასში ჩაგუბებული ბოროტება, რომელსაც ძაგანია ყოველწამს ელოდა შაშას დაშტერებული თვალებიდან, ამ თვალებისა ქვეშეცნეულად ეშინოდა მას, ეშინოდა ბავშვობიდან და ამ შიშს ზრდიდა არცოდნა იმისა, ახსოვდა თუ არა შაშას ის ამბავი _ დედა, საწოლი..., ყოველივე ამაზე ფიქრობდა ის შაშას დუმილისას. როცა შაშა ლაპარაკს იწყებდა, მაშინ მას სახეზე ეხატებოდა ბავშვობა, სიკეთე და ძაგანია მშვიდდებოდა; შაშას წასვლის შემდეგ შეუცნობელ შიშში, ეჭვებში ჩაფლული ძაგანია იჯდა დიდხანს და ნანობდა, რომ ასე ადრე გაუშვა ის, რომ ის აღარ არის მისი მხედველობის არეში, რადგან გაცილებით უფრო საშიშია ყველა მტერი, როცა არა ხედავ და არ იცი, რას გიმზადებს.

მეორე დღეს თვითონ გადადიოდა მათთან ძაგანია და იჯდა. ოჯახის საქმით დატვირთული შაშა თვალს არ აშორებდა მის მელოტ თავს და რაღაცას, თავისთვისვე გაურკვეველს, ამზადებდა გულში, აწყობდა გეგმასავით და ელოდა, სულ რაღაცას ელოდა, ელოდა გამოსულიყო იმ გავლენიდან, რაც მისდაუნებურად აიძულებდა დაეჯერებინა ძაგანიასთვის, ეხუმრა მისი სურვილის მიხედვით, გაეკეთებინა მისთვის საქმე და, თუ ძაგანიას მაშინ ეშინოდა, როცა ვერა ხედავდა შაშას, შაშას, პირიქით, მაშინ ეშინოდა, როცა ხედავდა მას, ეშინოდა იმიტომ, რომ შურისძიების გეგმა, რომელიც ასე ადვილად შესასრულებელი იყო გონებაში, თითქმის წარმოუდგენელი ხდებოდა თვითონ კაცის დანახვისას; მიუხედავად ამისა, მაინც სულმოუთქმელად დაეძებდა ძაგანიას, უნდოდა რაც შეიძლება მეტი დამცირება აეტანა მისგან (ბოლო ხანებში არავითარი დამცირება აღარ იყო, მხოლოდ შაშა ეძახდა მას ამ სახელს და ზრდიდა თავის გონებაში ყველაფერს, იმისგან მიღებულს, როგორც შეურაცხყოფას, რომ მეტი სიძულვილი დაგროვებოდა და დაეძლია თავშეკავების ის ზღვარი).

ახლა, დედის სიკვდილის შემდეგ, თითქოს თავისთავად ჩამოსცილდა ეს ზღვარი. სრულიად მშვიდად იჯდა შაშა თავის მაგიდასთან, გვერდზე ალესილი დანა ედო და დარწმუნებული ელოდა ძაგანიას მოსვლას. დედის სიკვდილმა ისე იმოქმედა, რომ მის გამოსყიდვად შურისძიება მიაჩნდა _ დედის სიკვდილში, როგორც ბოროტ სულს და კაცს, მხოლოდ ძაგანიას სდებდა ბრალს.

ძაგანია მიდიოდა ბნელ კორიდორში, მიდიოდა ოდნავ მსუბუქი ნაბიჯებით, რათა ეპოვა მეგობარი და ეს მეგობარი რომ შაშა იყო, მას ახლა ოდნავაც არ ეპარებოდა ეჭვი, რადგანაც მის გარშემო მყოფ ადამიანთაგან მხოლოდ შაშას არსებით იყო ის გატაცებული და მასზე ფიქრობდა მთელი წლები, ის, რომ ფიქრობდა შიშით, უსიამოვნო ეჭვებით, გაქრა ძაგანიასთვის და დარჩა მხოლოდ ფიქრი, რომელიც უნდა ყოფილიყო გამოწვეული დიდი სითბოთი და როცა ის გადიოდა ბნელი კორიდორიდან ოთხკუთხა ეზოში, რომლის გვერდითა კუთხეშიც ცხოვრობდა შაშა, მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ის იჯდა და ელოდა მას ისეთივე მეგობრული გრძნობით, ისევე როგორც შაშას არ ეპარებოდა ეჭვი, რომ დღეს დილით, სწორედ ამ დროს, მოვიდოდა მასთან ძაგანია, რათა ერთხელ კიდევ დაეცინა, დაემცირებინა დედამისის ცხედარი.

უჩვეულოდ ჩუმი იყო ეს ეზოც, ფარდიდან გამოჩენილი გაბურძგნილი თავი ისევე გაქრა მტრულად, უნდობლად და ძაგანიას გულში რაღაცა დიდი და თბილი გაიკაწრა, წაიბილწა, ოღონდ მის სხეულს და გამომეტყველებას ინერციისთვის არ უღალატია, ის ფრთხილად მივიდა კართან, რატომღაც თითის წვერებზე აიწია და პირდაპირ ღია კარის ფანჯარას მიუკაკუნა ტროსტით.

შაშას გააჟრჟოლა. ეჭვი არ იყო, ეს იყო ძაგანია, ძაგანია, რომელსაც ამდენი ხანი ელოდა, რომლისთვისაც ამდენი წელი იგროვებდა გულში ბრაზს და ლესავდა დანას, ძაგანია, რომელმაც მთელ მის არსებას მიაყენა უზარმაზარი შეურაცხყოფა და რომელიც ამ დილით მივიდა მასთან, რომ კიდევ ერთხელ დაეცინა დედამისის ცხედრისათვის, მიეცა მისთვის მისი მოთმინების ჯილდოდ ფოჩიანი კანფეტი, რომელსაც ის ძაღლივით დაუწყებდა ლოღნას და ეს ასე იქნებოდა, იგრძნო შაშამ, ასე იქნებოდა, თუ მის დანახვას მოასწრებდა ის კაცი, რომელიც რაღაც ფსიქოლოგიური უფლებით სარგებლობდა მასზე ამდენი წელი. შაშა მოიხარა, ხელში მობღუჯა დანა და კარის უკან აიტუზა. საჭირო იყო არ დაენახა ის, არ დაენახა, თორემ ისევ დაკარგავდა ძალას, ისევ მოექცეოდა მისი გავლენის ქვეშ და ეს იქნებოდა სამუდამოდ, სიკვდილამდე, ის რაღაც საშინელი, სისხლიანი უნდა მომხდარიყო სწორედ ახლა, როცა დედის ცხედარი ჯერ გაციებულიც არ იყო და თუ ძაგანია ასე უცებ მოვიდა ბედისწერის ძახილზე, ეს იყო მისი ბრალი, მხოლოდ მისი ბრალი და შაშა ამაში არ იყო დამნაშავე. გაქვავებულ ქანდაკებად, დანით ხელში, გადაიქცა კარს უკან ცალ ფეხზე ატუზული შაშა, მეორე, უკან გაშვერილი, მოკლე, უძალო ფეხი ებჯინებოდა კედელს და მთელ სხეულს უნარჩუნებდა პროპორციას.

ძაგანია შეჩვეული იყო, რომ მას შიგნიდან არ ეპატიჟებოდნენ, ისე შედიოდა თვითონ და არასოდეს არ იმეორებდა კაკუნს, ისე შედიოდა პირდაპირ, მაგრამ ახლა, როცა ამდენი სითბო დარჩა მის გულში, მიუხედავად წამიერი ეჭვისა, ის შეყოყმანდა, ადგილზე შეიშმუშნა, მერე გაიღიმა, ღრმად ჩაიყო ჯიბეში ხელი, რამდენიმე ფოჩიანი კანფეტი ამოიღო, წინ გაშვერილ პეშვში დაიჭირა სამუდამო სიტკბოსა და ზავის ნიშნად. მას დაავიწყდა, რომ იგივე კანფეტები მტრობისა და ვერაგობისათვის ემსახურებოდნენ მას, მაგრამ ეს ახსოვდა შაშას და სწორედ ამ ფოჩიანი კანფეტების დანახვამ გამოიყვანა ის ბოლო მოთმინებიდან.

იმდენად მოულოდნელი იყო მომხდარი, რომ დიდხანს ვერ მოვიდა შაშა გონზე. მას, რომელიც ასეთი მოთმინებით ელოდა ამ დღეს, მაინც ვერ წარმოედგინა, რომ ეს დანა, რომელზეც სისხლი იყო ახალი, თბილი, ჩაერჭო ძაგანიას მთელი ძალით, დაუნდობლად და იმ მომენტში, როცა ის ზღურბლზე გადმოდიოდა. ასე რომ, არც კი დაუნახავს მისი სახე. შაშამ ალმაცერად დაქანებული სახე კარისკენ გააპარა, ზღურბლთან ეყარა ფოჩიანი კანფეტები და სისხლის წვეთები ჩანდა, ბნელ

კორიდორში ტორტმანით შევიდა ძაგანიას ფიგურა. თმააშლილი, ცალ ფეხზე მთლიანად გამართული, დაშტერებით უყურებდა შაშა იმ ადგილს, სადაც მიიმალა ძაგანია. მისი გონება სავსე იყო დიდი, გაბერილი და დაუნაწევრებელი შეგრძნებით, რომელიც ძალიან წააგავდა ძროხის ამოუსუნთქველ ბღავილს «უუმუმუ», სადაც ყველაზე მეტად იგრძნობა, მიუხედავად თავისი უაზრობისა, სურვილი, სურვილის შესრულება – რომ ამ ბღავილზე მგელი მოვა თუ ბალახი, მისთვის გარკვეულ მომენტში სულ ერთია, რადგან მან აისრულა თავისი ნდომა, მან დაიბღავლა, დაიბღავლა, როცა შეუძლებელი იყო არდაბღავლება და გააკეთა თუ არა ეს, ყური მიუგდო, ასეთ დროს პირველი რამდენიმე წამი სავსე არის ხოლმე უაზრობით, მხოლოდ ცოტა გვიან აღწევს შეგრძნებამდე ხმები.

შაშა დიდი ხანია გრძნობდა ქუჩიდან მომავალ ხმაურს, ყვირილს, სიმღერის ხმას, მაგრამ გონებით ანალიზს ვერ უკეთებდა მომხდარს. როცა აშკარად შეიგრძნო, რომ იქ ხმაურობდა ხალხი, პირველი მისი ფიქრი იყო, რომ ცხადი გახდა მისი მოქმედება, ამიტომ ხალხი ღელავს, ხალხს უნდა გაუსწორდეს მკვლელს, რადგან ხალხმა მხოლოდ სისხლი დაინახა, რომელიც დაღვარა შაშამ, ხოლო ვინ იყო ამის მიზეზი (ის მიზეზი რომ ძაგანია იყო, შაშას ერთი წამითაც ეჭვი არ ეპარებოდა), არ აინტერესებდათ მათ, ისინი მხოლოდ იმას უცდიდნენ, რომ შაშას დანა გადაეგდო (დანის მაინც ეშინოდათ, მით უმეტეს, რომ ნახეს მისი ნამოქმედარი), მაშინ შებოჭავდნენ მას, გაუსწორდებოდნენ.

შაშამ ვიწრო ეზოდან გასასვლელს გახედა, სიბნელეში კედელს მიყუდებული ძაგანიას სხეული ამოძრავდა და ისევ მიიმალა სიღრმეში, ახლა ის შაშას არ აინტერესებდა, მან დანის დარტყმით მოკლა ძაგანია, ამ დარტყმის დროს იყარა მასზე მთელი ჯავრი, მომავალი მისი ბედი შაშასთვის სულ ერთი იყო, პირიქით, სადღაც გაუელვა _ იქნებ ჯობდა კიდეც, რომ მოკლული ძაგანია დადიოდა.

ქუჩიდან ხმაურმა იმატა, შაშამ თვალი მოავლო ოთახს სამალავის მოსაძებნად და უცებ სმენად იქცა. ერთიანი, დიდი, დაუნაწევრებელი, მხოლოდ სურვილიანი ძროხის ბღავილივით მოდიოდა ქუჩიდან სიმღერის ხმა, სწორედ ისეთი, როგორითაც სავსე იყო შაშას არსება, რომელმაც რაღაც უზარმაზარი, ნათესაური აღიქვა იმ ხმებში, მან დანას უფრო მოუჭირა ხელი, ფილტვები დაებერა და აღმუვლდა, ეზოში უფრო მკაფიოდ შემოვარდნილი სიმღერა ავსებდა, იერთებდა შაშას ღმუილს თავის რიტმში, მელოდიაში აქცევდა, საკუთარ ხმას უკარგავდა მას, ზრდიდა თავის ხმას და მიდიოდა წინ, მიდიოდა გვერდებზე, მიდიოდა მაღლა, მხოლოდ მის უკან რჩებოდა განსაკუთრებული სიჩუმე, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ წამების წინ აქ იყო რიტმი, მელოდია. თავდავიწყებით შევარდა ქუჩისკენ გასასვლელში შაშა, გასასვლელის ბოლოდან სინათლე სცემდა; სამი ნახტომის შემდეგ სინათლე გაიზარდა, დაუღალავად, თითქმის აღარცა კოჭლობდა, ისე გავარდა შაშა ქუჩაში, რომელშიც ცხელი სუნი იდგა ახლად გავლილი ხალხისა და გამოუდგა მათ მძიმედ და ქლოშინით, მაგრამ თავდავიწყებით, რადგან ერთადერთი ადგილი, სადაც შეეძლო მას თავი შეეფარებინა, რისგან, ახლა თვითონაც აღარ იცოდა, _ იყო მასა, მასა, რომელიც მიდიოდა, რომელიც მღეროდა და რომელსაც უნდოდა რაღაცა, და სწორედ ამ სურვილით უნათესავდებოდა წინ წასულ მელოდიას შაშას შინაგანი ბღავილი.

ბნელ, ვიწრო კორიდორში ხტუნაობით მიმავალმა შაშამ ვერც კი შენიშნა ძაგანია, რომელიც მოხრილი, სანახევროდ მწოლიარე, ეგდო შეღრმავებულ კედელთან. დანის დარტყმის წუთიდან არაჩვეულებრივი სიცხადით ამუშავდა ძაგანიას გონება, სისხლმა ის სწრაფად გამოიყვანა იმ გაბრუებიდან, რომელიც დაემართა შაშასთან შესვლისას. სწორედ ამიტომ, მისდა გასაკვირად, მომხდარს სულ არ უმოქმედია

მასზე, არ უგრძვნია ფიზიკური ტკივილიც კი. მან საღი გონებით აღიქვა, რომ მოხდა ის, რასაც ელოდა დიდი ხანია, მოხდა გარდაუვალი და იყო წამი, როდესაც სწორედ ამიტომ მისი სხეული მადლობელიც კი იყო შაშასი. მაგრამ უცებ ამოძრავდნენ მასში ძველი ინსტინქტები; ახლა მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო, სანამ შეეძლო მოძრაობა, აესწრო თავის ოთახში, ჩაკეტილიყო და ოთახის შუაში მდგარ ტახტზე ამოსვლოდა სული. ტორტმანით გაიარა ვიწრო გასასვლელი, ბორძიკით მივიდა ქვაფენილამდე და, ახალი, დიდი ძალისგან შეშინებული, შედგა. ძროხის ბღავილის მსგავსი სურვილიანი ხმა ისმოდა ქუჩიდან, ეს ხმა სთხოვდა მას შეუძლებელს, ეს ხმა ავსებდა მის სხეულს, რომელსაც ახლა სურდა შეერთებოდა მას, ჰქონდა ისეთივე უზომო სურვილის უნარი, მაგრამ ის უკვე სისხლისგან იცლებოდა, სხვა ქვეყნიდან მოსულივით აღიქვამდა ყველაფერ მძაფრს და ცოცხალს ძაგანია.

მან ნელა დაიხია უკან, სწორედ ამ დროს გაიგონა შაშას ნაბიჯის ხმა. უზარმაზარმა შიშმა, რომ აქ, ამ ადგილას, მოუსწრო მას სიკვდილმა, შეიპყრო მთელი მისი სხეული და ის ინსტინქტურად, უფრო უძლურებისგან, მიწვა კედლის შეღრმავებულში.

დიდი ხანია მიწყდა სიმღერა და შაშას ნაბიჯების ხმა, მაგრამ ძაგანია რაც შეიძლება იგრძელებდა მათ, თვითონ იწვევდა საკუთარი ფანტაზიით და ბოლოს შეიგრძნო, რომ გარეშემო სრული სიჩუმე იდგა. ის წამოიწია და, სისხლგამოლეული, ისევ მიჯდა, მძიმედ, მოწყვეტით. «დუმპ» გაისმა სხეულის ხმა და სიბნელეში მოვიდნენ ჩუმი შეგრძნებები. თითქმის ჯანმრთელივით წამოვარდა, სიბნელიდან პირდაპირ გაიქცა ქუჩაში. ქუჩა სავსე იყო მზით, სინათლით. ის დაბნეული იდგა აყრილი ქვების შუაში და რაღაც საიდუმლოს უგდებდა ყურს, მერე ფეხაკრეფით წავიდა თავისი პოდიეზდისაკენ, ის რაც შეიძლება ჩუმად ადგამდა ნაბიჯებს, რადგან სულ უმნიშვნელო ხმაც კი ამ სიჩუმეში მკვეთრად ისმოდა. პოდიეზდთან ის გაჩერდა და ყური დაუგდო სიჩუმეს. როცა ხმები არ ისმის, შეგიძლია გაიგონო ის ხმა, რომლისაც ყველაზე მეტად გეშინია, სწორედ ის ხმა მივიდა ძაგანიამდე, მაგრამ მისი აზრი ახლაც ვერ გაიგო მან. ხმა კი სულ იზრდებოდა, რადგან გარეშემო არ იყვნენ სხვა ხმები, რომლებსაც შეეძლოთ გაეჩუმებინათ, ნახევრად მაინც ჩაექროთ მათი ძალა. უდიდესი სიამოვნებით გაცვლიდა სიცარიელეს, სიჩუმეს ძაგანია ისევ იმ მდგომარეობაზე, როცა ხალხსა და შაშას შუა იყო მოქცეული, მაშინაც კი უფრო უშიშრად გრძნობდა თავს და უცებ აღიქვა მისმა სხეულმა, რომ იქ, მართლაც, გაცილებით უშიშარი იყო, ახლა მას უკვირდა, რომ ხალხს არ დაუძახა, არ აუხსნა თავისი გაჭირვება, არ უთხრა ყველაფერი, არ ამხილა შაშა, რომელმაც ის მოკლა, ახლა პირველად, დანის დარტყმის შემდეგ, შეზიზღდა, შესძულდა შაშა, რადგან მან მოკლა ის, ძაგანია, რომელსაც რაღაცა კარგის გაკეთება უნდოდა. უნდა დაეძახა მას ხალხისთვის, ხალხს უნდა ეთქვა, ვინ იყო დამნაშავე… ამ აზრებმა შეიპყრო იგი, აახმაურა მისი გონება, მაგრამ გარეშემო სიცარიელე და სიჩუმე იდგა. ახლა ძაგანიას ხმები აღარ ესმოდა, ის წარმოიდგენდა მხოლოდ ხალხს, ათ – ოც – ოცდაათ რიგად დაწყობილს ერთმანეთის თავზე, რომელიც აუარებელ ხალხს ასამართლებდა შაშას, კოჭლს, შაშას, დებილს, რომელმაც ნორმალურ ძაგანიას მოუსპო სიცოცხლე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ დანას დაარტყამდა, ხალხი ააღელვა ძაგანიას ცოდვამ, ხალხმა დაინახა მისი სიმართლე და სწორედ მაშინ გაქრა ოცდაათივე წყება, როცა ძაგანიამ მათი ნდობა მოიპოვა.

ძაგანია ცარიელ ქუჩას უყურებდა, ახლა მას სიამოვნებდა, რომ იქ აღარავინ იყო, რადგან დებილმა შაშამ ვერ მოასწრო რაღაცის თქმა, რაღაც მნიშვნელოვანის, რომელსაც შეეძლო საქმე შეებრუნებინა მის, ძაგანიას, საწინააღმდეგოდ. პოდიეზდის კარს მიყუდებულმა, ღრმად ამოისუნთქა, ის საიდუმლო, რომელიც თავად არ იცოდა

რაში იყო, რჩებოდა მასთან ერთად, სიჩუმეში, წყნარად, თავისთვის, ისე... საოცარმა სინაზემ შეიპყრო ძაგანია, ნელა დასწია თავი და ზედ უხერხულად დაისვა ხელი, არაჩვეულებრივად ესიამოვნა მოფერება, ახლა მან ხელი ხელზე გადაისვა და ფორთხვით აუყვა კიბის საფეხურებს. დაღლილი, სისხლისგან თითქმის დაცლილი, ადებდა თავს ყოველ საფეხურს და უცებ იგრძნო, რომ ცრემლებმა გამოჭონა, მან სახლის წინ დადებულ ფეხის საწმენდს ხელი გადაუსვა, სველმა ტილომ ისევ დაუბრუნა შეგრძნება, მაგრამ ეს შეგრძნებაც იყო ახალი. მას აღარ ახსოვდა აღარც ხალხი, აღარც შაშა, აღარც ის, რომ მას ძალიან აწყენინეს, იმდენად, რომ მოკლეს კიდეც და, რაც ყველაზე მთავარია, მას დაავიწყდა შიში, ყველაფერი ეს გაიფიქრა იმ წამში, როდესაც სველ ტილოს გადაუსვა ხელი, მაგრამ გაეღიმა ყველა იმ ტყუილ შფოთებზე და გაუკვირდა, რომ ოდესღაც საერთოდ შეეძლო მათზე გაბრაზება. დიდხანს იჯდა სუფთა, ცარიელი ოთახის შუაში დადგმულ ტახტზე ძაგანია, მერე, უკვე სისხლისგან თითქმის მთლიანად დაცლილი, ფორთხვით გავიდა პატარა, ანგრეულ ოთახში, დიდ ხის საწოლზე ამვრა და აბლაბუდებს დაუწყო ყურება, რომლებიც ჯვარედინად გაიზარდნენ მის გონებაში, გადაეწნენ ერთმანეთს, მერე დაკარგეს ძაფების ფორმა, გაერთიანდნენ ღრუბელივით, სქელი ნისლის ქულასავით ჩაწვნენ მთელ ოთახში და გაქრნენ.

პროლოგი: ბნელი ოთახის კუთხეში, უზარმაზარ ხის საწოლზე, იწვა ძაგანიას პატარა ფიგურა, მიტკალივით თეთრი სახით, და მშვიდად, უშიშრად უყურებდა ჭერს.

/ფარდა/

[თბილისი] 2-5 აგვისტო
1958 წელი.

გურამ რჩეულიშვილი უკვე მთელი თვე ცხოვრობდა მოსკოვში და სვამდა. ის სვამდა დარდისაგან, რასაც იწვევდა პატარა, უსიამოვნო, ჭორიანი ქალაქი, რომელიც დატოვა ძალიან დიდი ხნით, გამოექცა, რომ ეპოვა რაიმე უფრო მართალი, დიდი და, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მისადმი განურჩეველი, მოცილებული ყალბ გულშემატკივრობას. ის სვამდა სამშობლოზე დარდით, რომელიც ქვეშეცნეულად, ჩუმად, მძიმედ ეპარებოდა ყოველდღე, ხაზს უსვამდა მის სხვა ეროვნებას და საშუალებას არ აძლევდა თავისი სხეულით შერწყმოდა დიდ, ერთფეროვან მეტროს მასებს, ჩავარდნილიყო მათ რიტმში, წმინდა ვოლგური აქცენტით ეთქვა «შო» და ისე შეეგინებინა კაცისათვის, რომელმაც მხარი გაჰკრა, რომ არც კი დაენახა მისი სახე. ის იდგა «ოხოტნი რიადის» მეტროში ქვევით, სადაც ერთმანეთს უერთდება რამდენიმე ხაზი, იდგა გაბრუებული, უფულო; მშიერი ორთქლმავლის ქულა ბოლივით ისროდა თავისი მუცლიდან მეტრო ხალხს, ქუქუ-ერთი-უუურრ-გრიალით მიდიოდა მატარებელი და ამოსული ხალხი, ხელის კვრისათვის მომზადებული იდაყვებით გარბოდა ესკალატორიდან ესკალატორისკენ, ახალგაზრდები წინ, მოხუცები უკან. გურამი იდგა და მოხუცებს შველოდა კიბეზე ფეხის დადგმაში. ყველაფერი ამისგან უბრუვდებოდა თავი, ის გრძნობდა წარმოუდგენელ სიმძიმეს ფეხებში, რომლებიც უკვე მირბოდნენ, მირბოდნენ სიცივისაგან, მირბოდნენ დაღლილობისაგან და სულ წინ და წინ, უკვე დაუფიქრებლად, ერთი მიზნით, მის სხეულს ყლაპავდა ყოფილი ბატიშევის ბარის ფართო შესასვლელი, ახლა სალუდე «ზალა» №1. შიგ შესულს, როცა სიცივისგან გაწითლებული ცხვირი იწყებდა გათბობას, აჭრელებული სახე

თეთრდებოდა, ეჩვენებოდა, რომ ის, ვინც მოსდევდა ასეთი ნაბიჯებით, ვისაც დაემალა აქ, უკვე ჩასცდა შენობას და მირბის წინ, მირბის ულმობლად, ის ჩუმად იხედებოდა გარეთ, იქ ახლა ხალხი დადიოდა თავისთვის, ჩქარა, განურჩეველი სახეებით. გურამი რწმუნდებოდა, რომ ამჯერად გადარჩა, კიდევ ყოფდა თავს გარეთ, სიცივეში, და, საბოლოოდ, დამშვიდებული აბარებდა პალტოს გარდერობში. ის იღიმებოდა გულში, გარეგნულად, სხვის შეუმჩნევლად, ოდნავ აელმებდა ტუჩებს, მას სიამოვნებდა იმის ცოდნა, რომ მართლა კი არ მოსდევდა ვინმე, არამედ ძალიან უნდოდა დაჯდომა დიდ ხის სავარძელში, სიამოვნებდა, რომ გვერდზე მაგიდებთან ხედავდა ნაცნობ სახეებს, ყნოსავდა ნაცნობ მოხარშული კომბოსტოს სუნს და ხედავდა ქაფიან ბოკალებს. ის მიუჯდებოდა რომელიმე მაგიდას, უკვე გარს შემომსხდარი უცნობი ხალხი სიამოვნებით იღებდა მას თავის წრეში და ის თავს გრძნობდა შინაურად, ნაცნობად, სასურველად, ისევე როგორც ყველა სხვა აქ მჯდომი. მათ უყვარდათ ერთმანეთი და ამ სიყვარულს, რომელსაც ერქვა სითბო, სავარძელი, საჭმელი, ლუდი, ისინი გამოხატავდნენ ერთი სიტყვით _ არაყი. არაყი ბატონობდა ბარში, ის აკავშირებდა აქ ხალხს და დროებით ზავს აგდებდა მათ შორის და ყოველი ადამიანი, მიუხედავად თავისი გარეგნობისა, ასაკისა, ჩაცმისა, წოდებისა, ყოველი ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ათი მანეთი, ასი გრამი არყის ფული, სრულუფლებიანი, სასურველი თანამესუფრე იყო მეორე სხვისა. ბარის ყოველდღიურმა მუშტრებმა ყნოსვით იციან, ვინ არის ღირსი იყოს მათი დღევანდელი მეგობარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იცდიან, უთვალთვალებენ, გამომცდელად უყურებენ ყველას, ვინც ზის მისი მაგიდის გარშემო და აქ მოქმედებს უწყალო კანონი, რომელმაც არ იცის ნათესავი, არ იცის ბავშვობის მეგობარი, მშობელი, ის, ვისაც არა აქვს ასი გრამი არყის ფული, არის უცხო კაცი, მუქთახორა, რომელსაც უფლება არა აქვს იჯდეს მის გვერდით – სხვაგან სხვები აგებენ პასუხს. გურამი სასურველი სტუმარია ამ სუფრაზე, მას აცვია კარგად, შავი კრეპი, შავი თავსახვევი მექსიკელივით, თუმცა შეიძლება ქართული ჩვეულებაა, მაინც საჭიროა გაიგონ, ხომ არ ცდებიან, რამდენია კარგად ჩაცმული და ძუნწი. აქ, ვინც ფულს არა დებს, ძუნწია, რადგან არყის მსმელისათვის სრულიად წარმოუდგენელია კაცი, რომელიც შედის ბარში და არა აქვს გადამალული თუმანი. თუმანი აქ ყველასა აქვს, ოღონდ მალავენ, მალავენ ბოლო მომენტამდე და უცდიან ერთმანეთს, სხედან 1 საათი და სვამენ ერთ კათხა ლუდს სალომკით. გურამი ვეღარ ითმენს, ის გაიყინა, მას უნდა ნახოს მეტი სითბო, რომელსაც ის შეჩვეულია სამშობლოში, ნახოს ყურადღება და ის იღებს ჯიბიდან უკანასკნელ 15 მანეთს, ხუთ მანეთს აძლევს ოფიციანტს 2 კათხა ლუდად და ერთ სალომკად, თუმანს აგდებს მაგიდაზე. ხუთიდან ორი უმატებს თუმნიანებს და უცებ ხდებიან სახეები უეშმაკოდ მშობლიური, კეთილი, ცოტა გაბუტული, რომ ამდენი აწვალა ამ ბიჭმა, დააეჭვა, ახლა მათ სწყინთ, რომ მასზე ცუდი რამე იფიქრეს. ერთი სასწრაფოდ კრეფს ფულს და გარბის გვერდზე მაღაზიიდან არყის მოსატანად. არაყს ასხამენ სუფრის ქვევით, ჭიქებში, – ბარში მაგარი სასმელების მოტანა და დალევა აკრძალულია, – დამალვით, და სვამენ ერთად და უყურებენ ერთმანეთს და არყის დალევამდე გაცოცხლებული ლაპარაკი ნელდება, ქრება და ისევ ბატონდება ეჭვი, ვაითუ, თუმანი არა აქვს ვინმეს, უთუმნოდ კი აქ არ არსებობს პატივისცემა _ «ქართველია, ეშმაკი იქნება», ფიქრობენ ისინი. «რუსებმა უნდა მომატყუონ?!» _ ფიქრობს გურამი და ისევ იცდიან, ახლა სამივენი უყურებენ იმ ორს, რომლებმაც უთუმნოდ დალიეს არაყი. ისინი თავს იმართლებენ, უკვე შემთვრალები ჰპირდებიან რაღაცას ხვალისთვის, მაშინ ხვალ მოსულიყავი, ხვალ ჩაგთვლით კაცად, ეუბნება გურამი და ის ორი ვერ ითმენს, ისევ ძვრებიან ჯიბეში და

სულ, სულ უკანასკნელ თუმნიანს აძვრენენ. ისევ დებენ ორ თუმანს და ერთი მირბის არაყზე. ლაპარაკი ეწყობა: რა ლამაზია თბილისი, როგორ უყვარს ყველას ზღვა, სოხუმი, აქ ერთი სამი წელი იყო ჯარში ახალციხეში. და აქ რა – იქნევენ ხელს, მერე გვერდზე მეექვსე კაცად ჯდება მოხუცი ბუღალტერი და ყბედობს თავის ოჯახზე, ყველანი ბრუნდებიან ზურგით – რა უფლება აქვს მოჰყვეს, როცა თუმანი არ დაუდვია. სადაც ფული დადო, დალია, იქ მოჰყვეს, რაღა აქ დაჯდა, მაგრამ ცხადია ყველაფერი, აღარა აქვს და სხვას უნდა დააკლოს არაყი – არ გამოუვა.

და მაინც ბარში ძალიანა თბილა და ყველას ყოველთვის აქვს ერთი თუმანი.

იყო ერთი ისეთი დღე, როცა ყველა და ყველაფერი რუხი და უმოძრაო ჩანს. ამ დროს 20 გრადუსიან ყინვაშიაც თოვლს წყალი უდგება, დნება, შავდება ტალახისაგან, ნაცრისფერი კედლები ეზილებიან ნისლებს და ადამიანს უკვირს, რომ ოდესღაც შეიძლებოდა ჰგონებოდა, თითქოს ქვეყანაზე არსებობს ლურჯი ცა და მზე, თვითონ ამ სახელების მოგონებაც კი იმდენად არასაჭიროა, ზედმეტი.

თაღის ქვევიდან გამოსული გურამი პირდაპირ შეერია ხალხის ნაკადს, მთელი მასა იმდენად ერთფეროვანი ჩანდა, რომ გურამს მოეჩვენა, თითქოს ისინი ადგილზე დადიან. სახეში დაჭირხნულმა, შეკუშტულმა თოვლმა მიარტყა. მან სწრაფი ნაბიჯით ჩაუარა კინოს, სადაც აპირებდა შესვლას, ასევე ჩასცდა ტელეფონის ჯიხურს, საიდანაც უნდა დაერეკა ნაცნობისათვის, გადასერა დიდი ბრონნაიას ქუჩა და ბარის კუთხესთან გაჩერდა, რათა უფრო კარგად შეეგრძნო ის სიამოვნება, რომელსაც გამოიწვევდა ბარის სითბო. ამ შეგრძნების შემდეგ მან ყველა უფლება დაკარგა თავის თავზე, არავითარი რკინისებური ლოგიკური დასკვნები ლოთობისა, ამორალურობისა და, დასასრულ, მოახლოებული უკაპიკოდ დარჩენისა აღარა მოქმედებდა ოდნავაც კი. ის იდგა სიცივეში მთლიანად გაბრუებული სითბოს შეგრძნებით. ცოტა ხნის შემდეგ ის უკვე პალტოგახდილი მიდიოდა მაგიდებს შორის, თვალებით ათვალიერებდა ადგილს, სადაც ყველაზე სასარგებლო იქნებოდა მისთვის დაჯდომა. სულ ბოლოს, ბარის კუთხეში, ნაცნობები ისხდნენ და ისინი ადგილის დასათმობად ჩაიწივნენ, მაგრამ გურამს არ ეწერა დღეს იმ სუფრამდე მიღწევა, ის ისეთივე ძალით, რომელსაც შემოჰყავდა ხოლმე ბარში, გაიწია სუფრისაკენ, სადაც იჯდა თხელი, ყვითელთმიანი ქალი, ვიღაცა კაცთან ერთად. კაცმა ლოყები გამობერა და გაიცინა, მერე ცერი საფეთქელზე მიიდო, გაიჭიმა, პირი საფეთქლამდე აეხა და მსუქან ლოყებში ჩაემალა წვრილი მოძრავი, შავი თათარივით თვალები. სანამ გურამი ჩამოჯდებოდა, მან ეს მოძრაობა ორჯერ გაიმეორა, ის, აშკარად, კმაყოფილი ესალმებოდა ვიღაცეებს, მერე ისე, რომ არც კი შეუმჩნევია გურამი, რომელმაც ქალს ჩამოჯდომის უფლება სთხოვა და დასტური მიიღო, მიუბრუნდა მეზობელ კიტელიან კაცს, რომელსაც გრძელი, წვრილი და ბრტყელი თავი ჰქონდა არყის დასალევად გამზადებული ტუჩებით. იმ კაცს მწვანე კიტელზე, რომელიც ომის დროინდელი ჩანდა, ეკეთა მედლები, დიდი, ბრჭყვიალა, სულ ათამდე, ორ მწკრივად.

_ აი, ეს, ხედავთ, მე მივიღე პოლონეთში, ვარშავის დაცვის დროს, – მიმართავდა ის ქალისკენ მიბრუნებულ გაღიმებულ ტიპს.

_ აი, ხედავ, _ უთხრა გაღიმებულმა ტიპმა ქალს სულ სხვა რაღაცის შესახებ და მაგიდის ქვევიდან გამოაძვრინა არყის ბოთლი, მერე სამივე ჭიქაში დაასხა ცოტ-ცოტა და გურამს გადახედა. გურამი, ახალგაზრდა სტუდენტი, ალბათ, ქართველი, უვნებო სახით იჯდა და მთელი ძალით ებრძოდა არყის ცდუნებას.

_ სამი ლუდი, – ვერ მოითმინა მან და თავისი თანამოსუფრეების დაცლილ კათხებს გადახედა.

_ რატომ სამი, შენც დალევ, ხო? – მიუბრუნდა გაღიმებული ტიპი ქალს; ქალმა თავი დაიქნია.

_ მაშინ ოთხი მოატანინე, – უთხრა იმ ტიპმა გურამს და ოფიციანტს გასძახა, ცარიელი ჭიქა მოეტანა. მერე შიგ არაყი ჩაუსხა, შეადარა სხვა ჭიქებში ჩასხმულს და კიდევ დაუმატა ისე, რომ უფრო მეტი გამოსულიყო.

მედლებიანი ძლივს იჯდა ადგილზე, მერე ხელი მოჰკიდა ჭიქას. _ ნუ, – თქვა. გურამმა ჟესტით ანიშნა არ დაელია, მერე ქალს გადახედა, გაუღიმა და ანიშნა, რომ მისი სადღეგრძელოს დალევა უნდოდა. გაღიმებული ტიპი უცებ მიხვდა, უფრო ახია ყბები და წვრილი, შემპარავი ხმითა თქვა:

_ შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო საყვარელო ცოლო. _ მერე გურამს გადახედა და საიდუმლოდ უთხრა:

_ ეგ ქალი ჩემი ცოლია, ცნობილი მსახიობი, რას იზამ, ახლა მოხსნეს, ინტრიგაა. მაგრამ მაგისი თავი ძალიანა სჭირდებათ, უმაგისოდ ვერ გაძლებენ. აი, ნახავ.

_ ნუუ, – ჩაიქნია ხელი მედლებიანმა და დალია. ისეთივე ღიმილით დალია იმ კაცმაც, გურამი დაბნეული იჯდა, მან ისევა სცადა ქალის ყურადღება მიექცია და რაღაცა ჯენტლმენური ჟესტი გააკეთა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს არავის არა სჭირდებოდა. ქალმა უვნებო, უსურვილო სახით დალია, ის ისევ პირდაპირ იყურებოდა, ოღონდ ისეთი სახით, თითქოს ვიღაცისგან პირი იბრუნა. სამივენი მიიწივნენ ერთმანეთისკენ. გურამი ახლა პროფილში ხედავდა მეზობლის აბსოლუტურად უაზროდ გაღიმებულ სახეს, რომელსაც ახლა არაყი მიემატა. ქალი, მისკენ გადახრილი, ისეთი სახით უყურებდა, თითქოს ლაპარაკობდა შეუჩერებლივ და ისეთ თემაზე, რაც აბსოლუტურად არ აინტერესებს. გრძელთავა კაცი უკვე კარგა მაგრად მთვრალი ჩანდა.

_ მე ვგიჟდები, პატივსა ვცემ ყველა ერს და განსაკუთრებით პოლონეთს, აი, ეს მედალი მე მომცეს პოლონეთის დაცვაში, ო, პოლონელი ქალები, რა ქალები არიან.

_ ჩემს ცოლს მიუფურთხებია პოლონელებისათვის, დაავიწყდა კიდევაც, რომ თვითონ პოლონელია, – სახე არ შეუცვლია, ისე თქვა და უფრო დაიკრიჭა ჩემი მეზობელი. ქალი ისევე უაზროდ, ბევრი მოლაპარაკის სახით იჯდა. მათ უფრო მიიწიეს ერთმანეთისკენ, გურამის სავარძელი უკან იდგა, მათ თავისი ზურგით დაფარეს მისგან მაგიდა, ნასამხედროვალი რაღაცას ამტკიცებდა, რაზეც გაღიმებული ტიპი უმტკიცებდა, რომ საჭიროა პატივისცემა, ისე არ შეიძლება, გურამს ბუნდოვნად ესმოდა ხმები, მერე რა, მერე რა, აი, მე!

_ აი, მე, _ უცებ ასწია თავი მედლებიანმა, მაგრამ ქალმა დაქაჩა და მან ისევ ჩუმად განაგრძო ლაპარაკი. მთელი ბარი დუდუნებდა და მთელი დუდუნი მიდიოდა გურამის სხეულში, ათბობდა მას, ალღობდა და რაღაცა დიდი, სევდიანი, უაზრო აწვებოდა მის გულს. ის დაიხარა მაგიდისკენ, სცადა ყური დაეგდო სამხედროსათვის, ის ისევ ჰყვებოდა, როგორ აიღო პოლონეთის დაცვისათვის მედალი, მის მოყოლაში არ იყო არაფერი საინტერესო, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, რომ ასეთი გულისყურით დაეგდოთ ყური, როგორსაც იჩენდნენ ეს ქალი და კაცი. სამხედრო ახველდა, ის ახველებდა დიდხანს, დამალვით. გაღიმებული ტიპი უკან გადაიწია სავარძელში, ქალმა, თითქოს ესტაფეტა გადასცესო, ისე დაიწყო უშესავლოდ ლაპარაკი, ის მთვრალი ჩანდა უკვე და ლაპარაკობდა საპარიკმახეროზე, სადაც ის ათი წელი მუშაობდა მანიკიურშად. კაცს უფრო აეხა ტუჩები და თვალები სულ დაუელმდა.

– ეს იყო ბრწყინვალე არტისტი, ეს მღეროდა ცნობილ «ვ ვიშნოვომ სადუ, ვ ვიშნოვომ სადუ», _ ჩაამღერა, _ და მის ფეხებთან ისხდნენ კავალრები, როგორც მამლები.

_ აი, მამლები რომ ვნახე უნგრეთში, ბუქარესტის აღების დროს, აი, ხედავთ ამას, «ბუქარესტის განთავისუფლებისათვის» მედალს, აი, ესენი იყვნენ მამლები, ნამდვილი მამლები და ხმა ჰქონდათ!

გაღიმებული ტიპი სულ გაიფურჩქნა, გაცოცხლდა, ცერი მიიდო საფეთქელზე, დანარჩენი თითები გაჭიმა და დაიყივლა, – კუკარეკუ!

_ გეყოფა შენ, – უთხრა ქალმა.

_ გაუშვი, გაუშვი, – ხელი ჩაიქნია კაცმა.

გურამი აბსოლუტურად ბრიყვული სახით იჯდა და ვერ აირჩია მომენტი, რომ ჩარეულიყო, ის ღრმად არასაჭიროდ გრძნობდა თავს, ამიტომ მიიღო დამნაშავის სახე, მიიყუჟა სავარძელში და შეეცადა, რაც შეიძლება შეუმჩნეველი გამხდარიყო.

უცებ ქალმა დაიკივლა და სამხედროს გაარტყა. ის, სამხედრო, დაბნეული სახით იჯდა, წინ წამოწეული სახით, მერე დაიხარა და ქალმა ისევ დაიწივლა.

_ ისევ მიჩქმიტა, – დაიძახა მან. მისი ქმარი ისევ ისეთი ახეული ყბებით იჯდა, ოღონდ აღარ იღიმებოდა. გურამმა იგრძნო, რომ ის აღარ იყო არასაჭირო და წამოხტა. მას ხელში ეჭირა სამხედრო.

_ მე კავკასიისთვის ვიბრძოდი, აი, მისი დაცვის მედალი, – ლუღლუღებდა ის. მორბენილმა ოფიციანტებმა ცივ-ცივად, ფეხის დაუკარებლად გაათრიეს ის.

_ ქართველები ნამდვილი ჯენტლმენები არიან, – თქვა კაცმა და ისევ მიიდო ცერი საფეთქელზე, გაიკრიჭა, _ და ეს ქალი იყო მაგის გამოქომაგების ღირსი, ეგ ქალი იყო დიდი არტისტი, ის ჩემი ცოლია. – კაცმა უცებ მოიწყინა.

– აი, მე მამაძაღლი ვარ, შემეშინდა, განა იმისი შემეშინდა, დაჭერის შემეშინდა. თქვენ ნამდვილი ჯენტლმენი ხართ, ვიღაცამ გვერდზე სუფრიდან ჭიქა მიუჯახუნა.

– ყოჩაღ! _ უთხრა. დანარჩენები გიჟებივით დუდუნებდნენ, ერთი მივარდა გურამს, დასწვდა.

_ მამაძაღლო ქართველებო, გეყოთ თქვენ, გეყოთ, გესმით, ჩვენ, რუსები, არ მოგცემთ ამის საშუალებას, გესმით?!

_ ურტყი, მაგისი ქართველი დედა...

_ არ გაარტყა! – ხელზე ჩამოეკიდა ქალი გურამს, კაცი განაგრძობდა.

– აი, მე ნამდვილი მამაძაღლი ვარ. ცოლის დაცვა ვერ შევძელი, ცოლის დაცვა ვერ შევძელი, საქართველოს გაუმარჯოს, ჯენტლმენს გაუმარჯოს! – გადაკრა მან ცარიელი ჭიქა. – მეც ჯენტლმენი ვარ, – თქვა, _ დედა მყავს ქართველი.

ახლა სამივენი გადასხდნენ გვერდზე სუფრასთან, სადაც აქამდე მიტოვებული უშნო, მთვრალი ქალი იჯდა.

[1958 წლის სექტემბერი. თბილისი]

თეთრი მონები

გოგოს კონგოს ნაპირიდან ეძახდნენ დიანას – ეს სახელი მას მაშინ დაარქვეს, როცა თორმეტი წლის გახდა; იმ წელს გემის მთვრალმა კაპიტანმა თავის ნადავლად მიიჩნია მაღალფეხება გოგო, შავი, ნაცრისფერღილებიანი ძუძუებით; იმავე ღამეს წააგო კარტში ბადრაგის უფროსთან, ბადრაგის უფროსმა, თავის მხრივ, წააგო მონების პატრონთან, რომელთანაც ის ადრევე მოიგო გემის ქირის გასამრჯელოსთან ერთად კაპიტანმა.

ორმეტრიანი დუმბა, მონებით მოვაჭრე – მისი ბოლო მომგები, ფართო ქამრით და აგდებული ნაბიჯებით უვლიდა გარეშემო კაიუტის კუთხეში მიყუჟულ თორმეტი წლის გოგოს. დუმბა ლაპარაკობდა მსოფლიოს ყველა ენაზე, ამიტომ სთხოვეს მას კარტის პარტნიორებმა ყოფილი მონაგებისათვის გადაეცა მათი სურვილი შუა ოთაზში გამოსულიყო. ორმეტრიანი დუმბა ორად მოიკეცა, სომბრეროსმაგვარი ქუდი გულზე მიიდო და დამფრთხალ გოგოს იმის ენაზე შუა ოთახში გამოსვლა შესთავაზა, გოგოზე, როგორც ეტყობა, კარგად იმოქმედა ხვეწნის ტონმა და უარისმაგვარი რაღაც წაიბუტბუტა – მას ეშინოდა შუა ოთახში გამოსვლა მხოლოდ იმიტომ, რომ კედლის საყრდენის დაკარგვა არ უნდოდა, სიშიშვლის მას არა რცხვენოდა, პირიქით, უკვირდა, როცა, ასაფარებლის გარდა, რაიმე ზედმეტ ნაჭერს უყურებდა კაცის ტანზე. დუმბა შეეცადა უფრო მოხრილიყო წელში რევერანსის გაკეთებისას, რის შემდეგაც გოგო სულ მიიყუჟა კუთხეში და ჩაჯდა.

ახლა ყველამ ერთად დაიწყო ყვირილი, განსაკუთრებით წრიპინებდა პატარა უყბო კაპიტანი; მასზე ეშმაკისეულად იმოქმედა გოგოს ბოლო მოძრაობამ, გარდა ამისა, ის მთელ გემზე ერთადერთი ქალი იყო, რომელიც იზრდებოდა ფშანებში და მთელი აფრიკული დღე ეძინა ლერწმის ქოხში. ეს გოგო მხოლოდ დილით და საღამოს ცხოვრობდა, ამიტომ ყველაზე მეტად მისმა სხეულმა იცოდა ამ ორი დროის მშვენიერება – ამის შესახებ იცოდა ყველამ, განსაკუთრებით უყბო კაპიტანმა, რომელიც ამ მხარეში ოცდახუთი წელი დადიოდა გემით, ამიტომ ყვიროდა ის ყველაზე გამწარებით.

კაპიტანი ყვიროდა, რომ გადააბრუნებდა გემს და დაახრჩობდა ყველას – ეს გოგოზე ნაკლებად მოქმედებდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გემში ღამე შეიყვანეს, რის წინაც და შემდეგაც ზღვა არ ენახა და წარმოდგენა არა ჰქონდა, აქ თუ შეიძლებოდა დახრჩობა, მეორეც, იმიტომ, რომ არ იცოდა ის ენა, რა ენაზეც ლაპარაკობდა კაპიტანი.

კაპიტანთან ერთად ხმაურობდნენ მისი მეზღვაურები. წყნარად იქცეოდა მხოლოდ დუმბა, რომელმაც იცოდა, როგორ შეიძლებოდა პატარა ველური გოგოს შუა ოთახში ძალის გარეშე გამოყვანა; ის ჩაჯდა მის წინ იმასავით მუხლებზე და დიდი კოჟრიანი თითებით დაუწყო ძუძუების სრესა – ღიმილის მსგავსი გაჩნდა შავკანიანი გოგოს სახეზე, დუმბა ახლა მუხლებზე გაიმართა და ბიბილოებზე დაუწყო ხელის შევლება ოდნავ, ისე, რომ მხოლოდ კაცის ხელის კოჟრების შარიშური ეგრძნოთ მის ყურებს, ზანგის ქალი ახლა თავშეუკავებლივ კისკისებდა და აქამდე შიშველ სასირცხოს იფარავდა ცალი ხელით, მეორეთი უაზროდ ეთამაშებოდა ჰაერს თავისა და დუმბას შუა. კამპანია, რომელსაც მიემატა მრგვალი, მსუქანი შკიპერი, თვალმოუშორებლივ უყურებდა ველური გოგოს წვრთნას, დუმბა შევარდნილი გუგებით უძრავად აშტერდებოდა გოგოს თვალებს და დიდი, განიერი პირით მოძრავად, მხიარულად იცინოდა, მერე შუა თითი ამოსდო ნიკაპქვეშ, წამოდგა, წამოაყენა ამ მოძრაობით ზანგის ქალიც, რომელიც, მთლიანად მოკლებული წინაამღდეგობის უნარს, თვინიერად გაჰყვა ნიკაპქვეშ ამოდებულ თითს; დუმბამ ის მაგიდამდე მიიყვანა, მერე შუა მაგიდაზე დასვა. მრგვალი მაგიდის გარშემო ისხდნენ დანარჩენები.

უყბო კაპიტანი ენაგადმოგდებული უყურებდა ზანგის პატარა ტანს, რომელიც ყველა ნაწილით სუნთქავდა, კაპიტანი გრძნობდა როგორ იხედებოდა მისკენ შკიპერი და რაღაც ნიშნებს აძლევდა. _ მე უფულოდა ვარ, – თქვა ბადრაგის უფროსმა.

ვაჭრობა დაიწყო კაპიტანსა და მონებით მოვაჭრეს შორის; კაპიტანს უნდოდა ეყიდა იაფად, ვაჭარს, პირიქით – გაეყიდა, რაც შეიძლება, უფრო ძვირად, კაპიტანი მზად იყო მიეცა, რასაც მოსთხოვდნენ, ისე უკანკალებდა ყბები, შკიპერმა ვერ აიტანა

ფულის მისაცემად გამზადებული კაპიტნის ყურება და გარეთ გავიდა; მაშინ კაპიტანმა შესთავაზა დუმბას კარტის თამაში. დუმბა დასთანხმდა, რადგან მთელ გემზე ყველაზე კარგად ისა თამაშობდა, უყბო უცებ მიხვდა რაღაცას და შეშინდა, მაგრამ ის კაპიტანი იყო და უარი ვეღარა თქვა, ვაჭარმა ისეთი დიდი სათამაშო ფასი დაუნიშნა გოგოს, რომ კაპიტანს სულ ჩაუქრა აღგზნებული თვალები, დუმბა შეშინდა, რომ დაკარგავდა პარტნიორს, ვისგანაც ბევრი ფულის მოგება შეიძლებოდა და, სანამ უარს ეტყოდნენ, ბადრაგის უფროსის თანდასწრებით ასეთი გეგმა შესთავაზა უყბოს: ქალის თითოეული გამოკვეთილი ნაწილისთვის დაედოთ ცალკე ფასი, რაც გაცილებით ცოტა იყო ცალ-ცალკე, მთელ ფულთან შედარებით, და, ჯამში, სამჯერ მეტი. კაპიტანი დასთანხმდა იმ იმედით, რომ როცა მოიგებდა იმას, რაც ყველაზე ძალიან უნდოდა, დაანებებდა თამაშს თავს. გრძელწვივიანი ფეხი სწორი, მრგვალი მუხლისთავიდან დაწყებული, ღირდა 100-ჯერ ნაკლები ძირითად მოსაგებზე, ის პირველივე ხელზე მოიგო უყბომ და ხელის მოკიდების უფლება მიიღო. დუმბას მთელი ანგარიში სწორედ ამაზე იყო დაყრდნობილი – უყბოს უკანკალებდა მთელი სხეული და ხელს, როგორც დამუხტულ მავთულს, ისე ვერ უშვებდა მონის ფეხს, დუმბას კი თავისუფალი ჰქონდა ორივე ხელი და შეეძლო თავისუფლად თამაში; თამაშობდნენ ყველაფერზე, ცვალებადი წარმატებით, და კაპიტანი, სიგიჟემდე მისული, მოგებისას კოცნიდა ძუძუებს, ტუჩებს, ყურის ბიბილოებს და სულ უფრო და უფრო ეხვეოდა და აგებდა. ის იყო წვრილმანი კაცი, იგებდა წვრილმანს, მაგრამ, როგორც ყველა მეწვრილმანე, ინსტინქტით გრძნობდა ძირითადს და აცხადებდა მასზე პრეტენზიას – ამას უნდა დაეღუპა იგი. ის უკვე ვეღარ იტანდა დაღუპვის ლოდინსა და მოგების სურვილს შორის ბრძოლას.

გარშემო იდგა საშინელი კვამლი, არყის ნესტი, ქალისა და კარტის ვნების ოხშივარი, ზღვა იწყებდა ქანაობას და ეს ყველაფერი შესამჩნევად მოქმედებდა ყველაზე.

როცა კაპიტანს სისხლით გაევსო თვალები, მის გონებაში, როგორც ცალკე არსებები, ისე ამოძრავდნენ კვამლიდან გამოსული ახლეჩილი ფეხები, ნაცრისფერთავა ძუძუები და სქელი, დახლეჩილი ტუჩები, ახლა უკვე აღარაფერს აღარ შეეძლო შეეჩერებინა კაპიტანი, რომ არ შეეთავაზებინა იმაზე თამაში, რაც ერთნახევარჯერ მეტი ღირდა ყველაფერზე – ეს შეადგენდა თანხას, რომლითაც შეიძლებოდა გემის ყიდვა. საშუალება, რომელიც დუმბამ ჩაუყარა ასაღგზნებად არაყში უყბოს, გაცილებით ძლიერი იყო თავშეკავებაზე, რომელიც ისეც არა ჰქონდა კაპიტანს.

დაუძახეს რამდენიმე პირმოკუმულ მეზღვაურს და შკიპერს. იმათ უნდა დაემტკიცებინათ გემის წაგება თუ გოგოს მოგება. ამ გემზე გემის ფასად ფასობდა გოგო და კაპიტანმა იარაღი მოსინჯა. დუმბას უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა პისტოლეტის ბუდე ღია.

თამაშობდნენ ოცდაერთს. ბანკს თავობდა უყბო – იქ იდო მისი გემი; ვაჭარი წავიდა მთლიანად და, შეთანხმების თანახმად, დადო შავი გოგო, ნაცრისფერთავება ძუძუებით. კაპიტანმა მოასწრო პირველი კარტის დანახვა, რომელიც დუმბას დაუდო და სიმხნევე მიეცა – თვითონ ამოიღო ტუზი, რამაც უფრო ასწია ხასიათში. დუმბამ შეამჩნია, რომ მისი კარტი იცოდნენ და მაინც არ ამოიღო ხმა, ის ხედავდა ბანკირის თითოეულ მოძრაობას, რადგან სხვა საგნები ბოლისგან იყო დაფარული – მან ბუდიდან იდაყვით ამოსწია ნაგანი და შკიპერს გადახედა.

ფაქტიურად, მეზღვაურებისათვის თამაშს აღარა ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა, აღარავის აღარ აინტერესებდა კაპიტანი, რომელმაც თავისი გემი დადო სათამაშოდ.

მისი მოგების შემთხვევაში, შკიპერმა გადაწყვიტა ესროლა მისთვის, ხოლო თუ დუმბა მოიგებდა, ის თვითონ გაუსწორდებოდა კაპიტანს, რომელიც დიდ საბაბს მისცემდა სროლისათვის.

დუმბამ მოითხოვა მესამე კარტი. კაპიტანს ეჭირა მარცხენაში მთელი ქაღალდი, მარჯვენათი გასაწოდებლად ამოიღო აგურის ქალი – პირველი ისროლა მონებით მოვაჭრემ, რადგან შეასრულა ოცდაერთი და, როგორც მოგებულს, მეტი საფრთხე ელოდა გაბრაზებული წაგებულისგან.

ზანგის გოგო მოკლე კივილით გადახტა მაგიდიდან. მარჯვენა გაწვდილ ხელში დაჭრილი კაპიტანი ადგილზე ქანაობდა და უაზროდ უყურებდა ცარიელ მაგიდას.

დუმბამ თავი აღიარა კაპიტნად და გემის მფლობელად, მეზღვაურები ღრიალით მიესალმნენ მას, მერე შეისვა არაყი და, როცა ბოლით უფრო გაივსო კაიუტა, დუმბამ თავისი ხელით დაალევინა ნაკაპიტნარს არაყი; ის იდგა მჩვარივით და სრულიად დაკარგული ჰქონდა აზროვნების უნარი. ახალმა კაპიტანმა ხელით გამოათრია მაგიდის ქვევიდან ზანგის გოგო და ძველ კაპიტანთან ერთად შესვა სადღეგრძელო, რომელშიაც ზანგის გოგოს დიანა უწოდა, ამან ძალიან გაახარა მეზღვაურები, რომლებიც ირწეოდნენ არყისგან და მთელი ხმით როხროხებდნენ: «დიანა, დიანა», ამ ხმებში დუმბამ საჯაროდ დაადასტურა, რომ ზანგის გოგო იყო ქალიშვილი, შემდეგ ნაგანიდან ისროლა მაღლა და ტყვიით ჭერი გახეთქა, საიდანაც სუფთა ჰაერი შემოიჭრა.

დუმბას თანხმობით, თითო-თითო მიდიოდნენ მეზღვაურები შავ დიანასთან, რომელიც პატარა მხეცივით იყო პირველად შეშინებული და მერე აღარ იღებდა არავითარ მონაწილეობას.

შუაღამისას აღმოაჩინეს, რომ ნაკაპიტნარი იცლებოდა სისხლისგან და როგორც არაფრისმაქნისი, გადააგდეს გემიდან, მით უმეტეს, რომ ის ახალ კაპიტანსაც არ უყვარდა. შავმა დიანამ მაგიდისკენ გააპარა ხელი, როცა ბოლო მეზღვაური მივიდა მასთან აიღო ნახევრად დაცლილი არყის ბოთლი და მოიყუდა, მისი თვალები აელვარდნენ, გათეთრდნენ, კბილები აშკარად გამოეყვნენ ტუჩებს და მას ბინდივით ჩამოწოლილ ბოლში მოეჩვენა, რომ ხედავს მშვენიერ ჯადოსნურ სიზმარს, რომელშიაც თვითონ იღებს მონაწილეობას. კარადაზე დადგმული სანთელი ჰგავდა დიდ, ბრჭყვიალა, უმოძრაო მზეს, როგორც ეს სიზმარში და სცენაზე არის ხოლმე; გარდა ამისა, ასეთ მზეს ხატავენ ბავშვები სილაზე თამაშის დროს.

[1959 წელი, ივლისი. წყალტუბო]

შუა რუსთაველის ქუჩაზე ორმეტრიანი მთვრალი ფალავანი გოგან გაგანია მოდიოდა გაშლილი ხელებით.

_ ჰა, ჰაიტ! – იძახდა გოგანი.

_ ჰოო, ჰოუუ! – აყოლებდა ხმას გამხმარი ჩია ძიძავა.

_ პი, პაა, აპ! – კიოდა მსუქანი, მრგვალი პამპა.

ნასვამ კამპანიას უკან მოსდევდა რვა მილიციელი, ხალხის მთელი ხროვა და ეტლი, თავისი არღნით. წინიდან წამოსული დამფრთხალი მანქანა შორიდანვე აქეთ-იქით აწყდებოდა, რომ ხალხში ენახა სადმე გასავალი.

_ სად მიდიხარ, რო მიდიხარ, ა! – იწივლა მანქანის დანახვისას ძიძავამ და გოგანს თითი მიარჭო ბეჭებში.

უცებ სხარტად დაიგრიხა ამხელა კაცი, ტანით მარცხნივ გადაუხვია, წინ გადაუდგა ძლივს ერთ მეტრზე დამუხრუჭებულ შევროლეტს, წინა საფარებს სტაცა თათები, წელში მოიხარა, მანქანის შუქნათურებამდე გადაიშალნენ ზედ სახურავზე დადებული ნიკაპიდან მის გულამდე ჩამოშლილი წითური წვერები.

მძღოლმა შიშისგან თავი საჭის ქვეშ ჩაყო, ისე შეაბრიალა გოგანის შავმა, სიმძიმის წევისგან დასისხლიანებულმა თვალებმა.

ყველა დადგა და გაჩუმდა; აქეთ-იქიდან პატარა პამპა და ძიძავა, თითის წვერებზე აწეულები, «დუხით» შველოდნენ გოგანს. ძლივს მოასწრო მძღოლმა კაბინიდან გადმოხტომა, რომ მანქანა ჰაერში გასწორდა, სიგრძეზე უკანა ხიდზე გაჩერდა, მერე ზურგზე გადატრიალდა, კიდევ ერთხელ გადატრიალდა და, უვნებელი, ისევ თვლებზე დადგა.

– ვარ თუ არა გოგანი! – დაიღრიალა გოგანმა და ცხენივით დაიჭიხვინა ყურებამდე ახეული ტუჩებიდან.

_ უუუჰ! – იხუვლა ხალხმა.

_ არის თუ არა გოგანი?! – იწივლა ძიძავამ.

_ აჰატ! – იკივლა პამპამ.

რამდენიმე მუზარადიანი გვერდზე გადგა წრეში და ჩურჩული დაიწყო, დაბალი შავულვაშა ჟანდარმი გაცხარდა, ორჯერ დაირტყა ეპოლეტებზე ხელი და ჯგუფს, რომელსაც ათიოდე კაცი კიდევ მიემატა, ხელით ანიშნა ორ ნაწილად გაყოფილიყო, თვითონ, ოთხი კაცის თანხლებით, პირდაპირ წავიდა გაგანიასაკენ, რომელიც ახალი რაღაცის წამოწყებას აპირებდა.

_ ყველას, უკლებლივ, გპატიჟებთ დუქანში, აბა, არღანი, ყველაფერი ჩემს ხარჯზეა, – ყვიროდა და იღიმებოდა ის.

_ თავს გაიფუჭებს, – ხმადაბლა უთხრა შავულვაშამ რაზმელებს და თავდასხმის ნიშანი მისცა, მაგრამ ეს მოძრაობა არ გამოეპარა პამპას და დასაძახებლად დააღო პირი. გვერდითმა რაზმელმა უცებ დააფარა ტუჩებზე ხელი, გადაუტრიალა ხელები და შეეცადა უჩუმრად გაეპარებინა. უფრო ეშმაკურად მოიქცა ჩამორჩენილი ძიძავა, რომელმაც ვითომ ვერ შენიშნა და ყარაჩოღული სტვენით, ოღონდ ჩქარა, დაიწყო მისკენ ხალხის გაპობა. ზედ გოგანის ყურთან მიტანილ პირზე დააფარა ახმახმა რაზმელმა ხელი ძიძავას; ამან მაინც მოასწრო და დაყვირების მაგიერ ბარძაყზე ქვევიდან, ზედ სირბილისა და ძვლის საზღვარზე, უჩქმიტა ნერვთან, როგორც პატარა ხმელმა კაცებმა იციან, მტკივნეულად და მწარედ.

უცებ მოიხედა ამხელა კაცმა უკან, ყელში ხრიალით დაიწყო სიცილი პოლიციელების დანახვაზე.

– ეს ერთი, ეს ორი, – დაიძახა. ჯერ მოადგილეს დასტაცა ხელი და მხარზე შეიგდო, მერე უფროსს.

_ საით მიგყევართ, კასო? – ჰკითხა ოსური მოქცევით და ხარხარით.

_ ა, საით, კასო? – მოუბრუნდა განთავისუფლებული ძიძავაც გვერდში ამომდგარ პოლიციელებს. მაგრამ დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ ისევ პირზე ააფარეს ხელი, გადაუგრიხეს მკლავები და ჩუმად გააპარეს უკან. დაინახა პამპამ განსაცდელში თავისი ძმაკაცი, რაც შეეძლო გაიწია საჩქმეტად გოგანისკენ, მაგრამ იმასაც მისწვდნენ. მაინც მოახერხა პირზე აფარებული თითებიდან ჩქმეტასავით წვრილად და მწარედ დაძახება:

_ ჰა, გოგან, კოჩი მიყავთ, ატ!

ნელა, გაბრაზებული სახით, რომ ასე აწუხებენ, შემოტრიალდა ორმეტრიანი კაცი, მხრებზე სათამაშოებივით შემსხდარი წესრიგის დამცველებიანად და გაშტერდა,

გაქაჩულ პამპასა და ძიძავას რომ მოჰკრა თვალი. ადგილზე გაჩერდა ხალხი, ადგილზე გაჩერდნენ პოლიციელები, რომლებმაც დაბნეულობისგან პატიმრების ხელიდან გაშვებაც კი ვერ მოახერხეს, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა გოგანის სატირლად და საყვირლად მომზადებულ სახესავით და უცებ ამ სიჩუმეში გაისმა გამკვეთი ხმა გოგანის მხარზე შესკუპებული ულვაშა მილიციის უფროსისა.

_ Отпустить!

_ Немедленно! _ იღრიალა მეორე მხარზე შემჯდარმა მოადგილემაც. გაგანიამ ერთი შეარხია მხრები იმის ნიშნად, რომ არც ერთის ბრძანება სჭირდებოდა და არც მეორისა და, სანამ ბრძანების მიცემას მოათავებდნენ, ორივენი შორს აქეთ-იქით ეყარნენ ქვაფენილზე.

გოგანს დიდი კაცის ისტერიკა მოუვიდა. იმის მაგიერ, რომ საშველად წასულიყო, გული ამოუჯდა და თათები გამართა საკუთარ თავში წასაშენად, მაშინღა მოვიდნენ გონს პოლიციელები და შეუშვეს ხელი ორივეს, ბავშვებივით გაქანდნენ განთავისუფლებული პამპა და ძიძავა ძმაკაცისაკენ.

_ მოდით, მოდით, – გული აიჩუყა გოგანმა და მისკენ ბურთივით გასროლილი მრგვალი პამპა ზედ დაადო წვრილ ძიძავას.

_ აუ! – ღრიალებდა ხალხი.

გოგანმა მაღლა შეისროლა ორივენი, ხელი შეაშველა და ჰაერში გააჩერა.

– ჩემს ძმაკაცებს სიცოცხლე ჩემს ხარჯზე, – ხუმრობით დაიღრიალა გაგანიამ და მის მკლავებში მოქცეულები დაკოცნა.

_ კინაღამ დავიღუპეთ, – დაიწუწუნა პამპამ.

_ ვითომ გვიზამდნენ რამეს? – ირონიულად ასწია ტუჩი ძიძავამ და გოგანს, რომელსაც ხელში ეჭირა ის, ნიკაპს ქვევიდან საჩვენებელი თითი ამოუსვა, მერე ლოყაზე უჩქმიტა. _ ა? _ შეეკითხა წარბის აწევით. _ა! – გადასძახა ხალხს, როცა ძმაკაცმა ხმა არ გასცა.

_ აუუ! – ღრიალებდა გოგანის ძალით გაკვირვებული მოსეირე ხალხი.

მაგრამ გოგანი ვეღარაფერს ვერა ხედავდა გარშემო. ის იდგა, გაოგნებული ხალხისა, ღვინისა და თავისი ძალისგან. იდგა და გაშტერებით უყურებდა მის თავზე წამომდგარ ყველაზე მაღალ შენობას.

პამპა უცებ მიხვდა მის სურვილს და ვითომ თვითონ მოუვიდა ეს აზრი, როგორც ყოველთვის, დაასწრო გოგანის მოქმედებას თავისი სიტყვა:

– ნეტა თუ ჩანს იქითგან ყველაფერი, _ თქვა და გაიწია ქუჩის მხრიდან კედელზე აკრული ცეცხლისმქრობელი რაზმის კიბისაკენ. იხუვლა ფალავანმა და გაკვეთა იქითკენ ხალხი, გზაზე ისევ აიყვანა პამპა ხელში და შეასკუპა კიბეზე მაღლა, წინ ასული პამპას დანახვა ვერ აიტანა ძიძავამ და ჭიანჭველასავით შეუტია კედელს, გადაცოცდა კიბის უკანა მხარეს, გაუსწრო გულამოვარდნილ მსუქან პამპას, დაწინაურდა და უცებ შეშინდა, ნელა ჩამოიხედა ქვევით, მას ფეხდაფეხ მისდევდა პამპა, სულ ბოლოს, ორ-ორ კიბე, ორ-ორსახელურ გამოკლებით, თათების ჭიდებით მოდიოდა გოგანი, მერე პროცესია წყდებოდა.

ჩუმად, ხმის ამოუღებლივ მიდიოდნენ სამივენი. სწრაფად შორდებოდნენ მიწასა და ახმაურებულ ხალხს, რომელიც კიბის ძირამდე მივიდა და გაიჭედა. აივსო ქვაფენილი, აივსო შუა ქუჩა, დადგნენ მანქანები, აივსო მოპირდაპირე ქვაფენილი, დადგნენ ეტლები, ყველანი უყურებდნენ სამ მოძრავ, მთვრალ ფიგურას, რომელიც სიმაღლის აღებასთან ერთად სულ უფრო ემსგავსებოდა ერთ გრძელ უფორმო კაცს, ამ ფიგურით იყო დაპყრობილი ყურადღება მეეტლეების, მძღოლების, გათხოვილი ქალების, გასათხოვარი ქალების, იმ ხალხის, ვისაც სახლში ეჩქარებოდა, და იმათი,

ვისაც საერთოდ არაფერი საქმე არა ჰქონდა. საშინელი ხმაური, ჩოჩქოლი იდგა ქუჩაში _ ახლად მოსულებს უნდოდათ გაეგოთ, რაში იყო საქმე, ძველები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა ეთქვათ, რომ არ გამოჰპარვოდათ არც ერთი «იმათი» მოქმედება და აი, უცებ ის, ვინც იცოდა, რაში იყო საქმე, და ის, ვინც არ იცოდა, რაში იყო საქმე, ერთნაირად გაყუჩდა:

გრძელ ფიგურას პირველი გამოეყო ძიძავა და რწყილივით შეხტა სახურავზე, მერე გაწვა და მსუქან მოკლეფეხება პამპას გაუწოდა ხელი, ხალხი ხედავდა, როგორ აათრია მან მუცელი კარნიზზე და როგორ აათამაშა ჰაერში უსაყრდენოდ დარჩენილი ფეხები, ისევ ამოისუნთქეს შვებით, პამპაც მყარად იდგა უკვე კარნიზის იქით და ძიძავასთან ერთად ხელს უწვდიდა ამოსაყვანად გოგანს, ამ უკანასკნელმა ერთი თავისი ხელი ერთს გაუწოდა, მეორე მეორეს და ისე მშვიდად განაგრძო კიბეებზე ასვლა, თითქოს ისევ თავისი ხელების იმედზე იყო. გაიბერა პამპა, დაეჭიმა ძარღვები ძიძავას, ერთიორად გაუწვრილდა კისერი, უკანასკნელ საფეხურზე უკან გადმოიხარა გოგანი და ხალხს მოეჩვენა, თითქოს კედელი იქცეოდა ქუჩისკენ, მეორე წუთში გოგანი უკვე სახურავზე იდგა.

სახურავზე აძრომის შემდეგ პამპა ქშინავდა, იჯდა, ოხრავდა, ოფლს იწურავდა, ბუზღუნებდა. ყველაფერს აკეთებდა ერთდროულად, რაც შეუძლია პატარა დაღლილ მსუქან კაცს.

ძიძავა იდგა, დოინჯშემოყრილი, ზედ კარნიზის თავზე და უყურებდა დამცინავად თავის დაღლილ ძმაკაცს და გოგანს ანიშნებდა ვითომ ცალი წარბით, ტუჩები და ცალი ყური ხალხისაკენ ჰქონდა ამაყად, სინამდვილეში გოგანის სხეულის მეტს ვერაფერს ხედავდა.

იდგა გოგანი და უკვირდა თავისი ტანი, ამხელა ძალა მარტო იმას კი არა, ყველას უკვირდა, ვინც იმის პატარა დედ-მამას იცნობდა, მაგრამ ვინც კი იცოდა, რა გაბერილი წარმოდგენა ჰქონდა ამ ხალხს თავის თავზე, იმათი ვაჟი ეპატარავებოდა კიდეც თვალში. ამიტომაც დედ-მამას სულ არ უკვირდა ორმეტრიანი ვაჟის ყოლა. მიუხედავად ასეთი დიდი სიამაყისა, სხვა ხალხი არა კარგავდა გრიგანისა (გოგანის მამა) და კესარიოსას (გოგანის დედა) თვალში თავის ფასს. თავის დროზე ამბობდა გოგანი გამარჯობას და ქუდზეც კი იდებდა ხელს.

_ გამარჯობათ, დილა მშვიდობისათ, _ გამყინავად იძახდა კესარიოსა დილაადრიან, როცა თავის ქმართან ერთად ჩაუვლიდა სოფელს სადგურის ბაზრისაკენ, გოდორმოკიდებული.

გრიგანს ეცვა შავი დახეული ჩოხა, გამოწყობილი იარაღით, და თავზე, სხვა გლეხებისაგან გამორჩევით, იმის ნიშნად, რომ ქალაქში ჰყავდა შვილი, ეხურა ჭილოფის ქუდი. ის მსუქანი იყო და ტაატით მიდოდა; აქეთ-იქით იმაზე მეტად გადახრით, ვიდრე ეს საჭირო იყო, სამი ნაბიჯით უკან და ერთი ნაბიჯით გვერდზე, მოსდევდა კოჭლი მეუღლე კესარიოსა, ისიც შავ ქალურ ჩოხაში გამოწყობილი.

მარჯვენა ფეხი მოკლე ჰქონდა კესარიოსას და სიარულის დროს უკან დარჩენილი მარცხენა გრძელი ფეხი უსაშველოდ წინ ჰქონდა გაშვერილი, მთელი ჩიტივით მსუბუქი, პატარა ტანი ეყრდნობოდა მარჯვენა მოკლე ფეხს, საიდანაც წინა გრძელ ფეხს უსწრებდა უცებ მაღლა ავარდნილი მკერდი, განზე გამჯდარი უხორცო მხრებით, რომლიდანაც პირდაპირ იყო ამოსული ოდნავ გვერდზე და უკან გადაწეული გრძელი კისერი, დამცინავი, შეკრული სახით და უამაყესი ცხვირით, რომელიც თავისი სიდიდითა და სისწორით განსაკუთრებით ეყოფოდა ზედ

ჩამოფარებული შავი ჩიხტაკოპის ფოჩებიდან. მთელი ეს ფიგურა, თავისი გოდრით, ჰგავდა ერთად აღებულ მეფის მთელ ამალას, მეფიანად და მეფის თვალ-მარგალიტიანად: ბაზარში წასული _ სალაშქროდ მიმავალს და უკან დაბრუნებული _ გამარჯვებულ ნალაშქრევს.

გურული ქალი იყო კესარიოსა და ხელში ეჭირა მეგრელი ქმარი, მსუქანი, იმ კუთხისათვის უჩვეულოდ მშვიდი ყოველდღიურ ქცევაში.

_ გაიარე წინ როგორც კაცს შეჰფერის, მოგდევ ფეხდაფეხ, – ამბობდა ყოველ დილა ის და განსაკუთრებით ისწორებდა შავ ჩიხტაკოპს, რომელიც სულ ტყუილად ეკეთა, რადგან მთელ გვარში არც ქმრიდან, არც თავისგან არავინ არ აკლდათ, ამ ამბის გულის სიღრმეში რცხვენოდა კესარიოსას და მეგრელებს რომ უმკვდარ-უნათესაო არა ჰგონებოდათ მოუშორებლივ ატარებდა შავებს სახლში, მეზობლებში თუ სოფლის ბაზარში.

ამ სოფლის ბაზარი იყო სადგურის უკან და სადგურის უფროსის ფანჯარა გადიოდა შიგ, სადგურის უფროსი, ისიც მეგრელისთვის უსაშველოდ დაბალი და მსუქანი, მელოტი თავით და დიდი მხრებით, წითელკანტიან კიტელზე გადაფენილი ყაბალახით, დილიდან ღამემდე იჯდა თავის კაბინეტში და მაგიდის ლურჯ მაუდს უყურებდა, მაგრამ ის ეშმაკი იყო ბუნებით და, მიუხედავად იმისა, რომ არაფერში არ ადგებოდა გაგონილი, მთელ ბაზარში ნაჩურჩულებ არც ერთ სიტყვას არ უშვებდა დაუხსომებლად და გულში მასხრად აუგდებლად.

ახლაც საშინელი კმაყოფილი დარჩა, როცა კესარიოსასგან ქმრისათვის განგებ ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები გაიგონა, როცა იმან გოდორი დახლთან დაუდო და, როგორც ყოველდღე იცოდა, თქვა:

_ გრიგან, ახლა ოჯახის პატივი დაიცავი და რაღაც წვრილმან ხურდას არ გამოუდგე (მისი კეთილი ხელმომჭირნეობა ცნობილი იყო სოფელში).

გრიგანმა ხელი ჩაიქნია ისე, რომ ცოლს არ დაენახა და გოდორი დახლზე შეაგდო. კესარიოსა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ გარეშემოც გაიგეს ეს ამბავი, ქმარმაც და განსაკუთრებით სადგურის უფროსმა (რისი უფროსიც გინდა იყოს კაცი, მაინც უფროსია. სოფელში ამბობდნენ, ახლა მეისრეც უშოვნია და ნამდვილი დირექტორი იქნებაო. ყოველ შემთხვევაში, ეს მხარე იმდენ რიდს არ იწვევდა კესარიოსაში, რამდენადაც მისი სიჩუმე და წიგნებიანი მაგიდა, რომელსაც სადგურის უფროსი ყოველთვის დაფიქრებული უყურებდა), ის ცდილობდა სწორედ იმას გაეგონა მისი დასაფასებელი სიტყვები, რომელსაც მთელი გზა წონიდა კესარიოსა – სწორი ქნა, რომ თქვა, თუ არა. საბოლოოდ დარწმუნებული თავის უპირატესობაში (ვის მიმართ, უკვე აღარ ანგარიშობდა), ოჯახის პატივის დაცვაში (აღარც ამას უწევდა ანგარიშს, ვისთან), შედიოდა მეგრელების გურული დიასახლისი სახლში და, კედელზე დაკიდებული გოგანის ნახატი სურათის დანახვის შემდეგ, დიდხანს იყურებოდა მთელი სოფლისკენ გამომწვევად. ეს იყო ქალაქში გადაღებული, გაზეთიდან ამოჭრილი სურათი _ წელზევით ტიტველი გოგანი, მკერდამდე დაყრილი წვერებით. ის გოგანი, რომელიც იდგა ოთხსართულიანი შენობის თავზე და ხალხით გაჭედილ ქუჩას უყურებდა, მისთვის ახლა მთელი ქუჩა ერთ მასად იქცა და უცნაურად დაუპირისპირდა.

_ რავა ერთი კაცივით მოჩანს ყველა! _ უჩურჩულა უკნიდან ძიძავამ.

_ აბა! – თქვა ჰაერში გოგანმა.

უკან, გახურებულ თუნუქზე მიკრული პამპა ოდნავ გაიბერა, რადგან აბსოლუტურად ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი.

_ მე ვიცი, რაც ჩანს, – თქვა მან. _ როგორ ყველაფერი ძიძამ უნდა დაინახოს დაუნახავი.

ძიძავამ რაღაცას წაუბუზღუნა და ქვევით ხალხს თვალი ჩაუკრა, მერე გოგანს მიუბრუნდა. მაგრამ გოგანი მას ვეღარ ხედავდა. ის იყურებოდა ქვევით გაღიმებული, სრულიად უაზროდ, ძიძავამ გააყოლა მის მზერას თვალი. უცებ ისეთ საშინელებად აღიქვა ის სიმაღლე, რომელზედაც ისინი იდგნენ, რომ ფეხი აუკანკალდა, ოდნავ წინ გადაიწია უნებურად და სრულიად მოცელილი დაეშვა პამპას გვერდით.

_ ხომ არ გეშინია, გოგან, ნამთვრალევზე? _ შეაშველა მან ხმა.

კარნიზთან მდგარი გოგანი შეტორტმანდა და ერთი კაცივით ამოისუნთქა როგორც სახურავზე მჯდარმა და ერთმანეთს ამ წამში მიკრულმა ორმა ძმაკაცმა, ისე მთელმა ხალხმა, რომელთაგანაც თითოეულმა შიშის ელექტრობის განსამუხტავად, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა მისი იქიდან გადმოვარდნა, გვერდზე მდგომს მაგრად ჩასჭიდა ხელი და გაჩნდა მთელი ჯაჭვი ხელჩაჭიდებული ხალხისა, რომელსაც ხერხემალსა და ლაჯებს შუა მსუბუქმა შიშმა გაურბინა ქარივით, სახურავზე მდგარი შეშინებული ძიძავა და პამპა, ერთმანეთს მიკრულები, რაც შეიძლება მაგრად აჭერდნენ ფეხს კარნიზს, თითქოს ამით იქ, ქვევით მდგარებთან უნდოდათ შეერთება.

მხოლოდ გოგანი იდგა მარტო, სრულიად გაოგნებული ღვინისა, ხალხისა და საკუთარი ძალისაგან, რომელიც აქ, ჰაერში გამოკიდებულს, აღარაფრისთვის არა სჭირდებოდა და აღარ იცოდა სად წაეღო. სრულიად უაზროდ თამაშობდნენ მისი მხრები და საიდანღაც არაფრისგან მოვარდნილი შიში, გამოწვეული ყველაფერი იმის დაკარგვით, რასაც ამყარებდა მხრების ძალაზე, უკანკალებდა ქვედა ყბას. მან სრულიად უაზროდ, ბრიყვულად გაიცინა და ნელა მოიხედა უკან, სადაც თითქმის გამოფხიზლებული მისი ძმაკაცები, შეშინებულები ისხდნენ და ელოდნენ, რა მოხდებოდა, მათი დამფრთხალი, არაფრისუნარიანი სახეების დანახვაზე, მისმა სიცილმა იმატა, გადავიდა როხროხში, მერე ცრემლებამდე ხარხარში, ტრანსში: ამ ხარხარით ცდილობდა ის დაეხშო აქამდე მისთვის უცნობი აზრი, ერთბაშად გახსნილი აზროვნება: ხომ არა ჰგავს ის ამათ და ხომ არ არის მათსავით სუსტი, რადგან იმათაც ეშინიათ აქედან გადავარდნის და მასაც – გოგანმა უმატა ხარხარს, იცინოდა გარეგნულად გულუბრყვილოდ, გადამდებად, რითიც აიყოლია ჯერ ძიძავა, მერე პამპა, ახლა სამივენი იცინოდნენ. ვიღაცა ქვევით მიხვდა, რომ ზევით იცინიან და გაეღიმა, მეორეს გაეცინა და უცებ ახარხარდა გადამდები, ზარივით სიცილით ყველა. ისინი იცინოდნენ იმიტომ, რომ იდგნენ სულელებივით და უყურებდნენ ზემოთ ასულ სამ კაცს, ზევით ეცინებოდათ ზუსტად იმავე მიზეზით, ოღონდ პირიქით, ხალხზე, რომელიც იდგა პირდაღებული და იცინოდა; ყველანი ერთად იცინოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ დაიღალნენ და აღარ უნდოდათ არაფერზე ფიქრი, და მხოლოდ დამასუსტებლობამდე გულამოვარდნილ ხარხარში ხდებოდა მთელი ფიზიკური ძალის დაცლა და გარდაქმნა გონებაში…

[1959 წელი ივლისი. წყალტუბო]

გავიდა ზამთარი, გაზაფხული, მოვიდა ზაფხული ცხელი, უმოძრაო ჰაერით, სქელი მტვერი იდგა ასფალტსა და ჰაერს შუა, არასოდეს არ სდომებია სხეულს ისე აღგზნება, როგორც ამ უმოძრაობის დროს. ვსვამდი გადაბმით ასგრამიანი ჭიქებით, ჩაის ჭიქებით «რომოვოის», კონიაკს, არაყს; მთელი ჩემთან მოქეიფეთა კამპანია დიდი ზიზღით უყურებდა ღვინოს, ლიმონათს, ლუდზე, რაღაც არ მახსოვს, თითქოს

კარგად ვერ შევთანხმდით, ყოველ შემთხვევაში, მე ისიც გავდევნე ჩემი რეპერტუარიდან. პირველი ჭიქის შემდეგ შეშმუშნულები უფრო მაგრად ვსხდებოდით სკამებზე და უკანალით ვცდილობდით რაც შეიძლება კარგად მოწყობას, მეორე ჭიქა უკვე გვიკარგავდა ასეთ შეგრძნებებს, მესამეზე ნაწილი უკვე ფეხზე დგებოდა, მეოთხე ჭიქის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი ქეიფი: ჯერ ავდიოდით სკამებზე, მერე მაგიდებზე, მერე დახლზე... ეს მომენტები უკვე სხვისი მონაყოლიდან მახსოვს, ჩვეულებრივ, ოდნავ ვფხიზლდებოდი, როცა ბოთლი მხვდებოდა თავში, ან ჩემ წინ ალაპლაპებულ დანას ვხედავდი, რომელზედაც პირდაპირ მივდიოდი მუცლით და საშინლად ვხარხარებდი; ამის შემდეგ გამოვდიოდი ქუჩაში იმ ერთი-ორი კაცის თანხლებით, რომელთაც კიდევ შეეძლოთ ფეხზე დგომა, ვჯდებოდი პირველივე შემხვდურ მანქანაში, სადაც ხელებგაკოჭილი ან დანის დადებით შეშინებული მძღოლი სწრაფად ყუჩდებოდა საბარგულში ან უკანა საჯდომზე, და მივქროდი წითელ, რუხ, მწვანე, თეთრწინწკლებიან ქალაქში, მოძრაობის ყველა წესის დარღვევით; ხდებოდა ავარიები, მივყავდით მილიციაშიც, ოღონდ, უცნაური იღბლის წყალობით, ყველაფერი მთავრდებოდა რაც შეიძლება კარგად, მიდიოდა დაუსრულებელი სმა, რომელშიც უცებ მივიღე გადაწყვეტილება, რომ აღარ დამელია (ამაში დიდი როლი ითამაშა მშობლების ავადმყოფობამ ჩემ გამო). მთელი ხუთი დღე გამოუსვლელად ვიჯექი ჩემს დაგუდულ ოთახში, რის შემდეგაც მივიღე მამის ხელიდან პიატიგორსკის ბილეთი, ფული და, ქალაქიდან იზოლაციის მიზნით, გავემგზავრე ჩრდილო კავკასიაში.

საშინლად მამტვრევდა მთელ სხეულში, რასაც ზედ, ალბათ, ისიც ემატებოდა, რომ, ამდენი ხიფათის მიუხედავად, შესამჩნევი არაფერი შემემთხვა. სტეპში გასვლისთანავე უცნაურად დაიბუდრა ჩემმა სხეულმა, თითქოს ჩაწყნარდა. დიდხანს ეკიდა ცის ბოლოს ბორცვის წვერზე ჩამავალი მზე, რომლის სხივებიც იკარგებოდა უსასრულობაში. რუსის ქალებითა და ჯვარედინად დაწყობილი ცულებით დატვირთული ტროიკები რწევით ბრუნდებოდნენ სამუშაოდან, ბევრ ფურგონში ცხენებს ტრაქტორი ცვლიდა, რომელიც ხმაურით უვლიდა გვერდს სუფთა პატარა ტბასა და მარცხნივ იკარგებოდა გზაზე. აქა_იქ გამოჩნდებოდა მხარზე სამთითაგადებული გლეხი, მშვიდობიანად მიმავალი მარტო მდგარი ხუტორისაკენ. ყველაზე უდაბურ, მოუხვნელ ადგილას ვხედავდი ერთად შეყრილ რამდენიმე რუსისა და ყაბარდოელის ბავშვს, რომლებიც ერთმანეთს ტრუსიკებს ხდიდნენ, მერე ყიჟინით გარბოდნენ გაშიშვლებული ბავშვისგან, რომელიც ყვირილით მისდევდა მათ უკან, ზოგიერთები მანქანის დანახვისას თვითონ იხდიდნენ შარვლებს და ბაირაღივით აფრიალებდნენ ჰაერში, მათ ბაძავდნენ პატარა გოგონებიც და მანქანაში მსხდარი ფლეგმატურად განწყობილი მგზავრების ჩაქროლვისას სიმბოლურად ასრულებდნენ, რასაკვირველია, ბიჭების დახმარებით, განაყოფიერების სცენას. გარეშემო კი იდგა ჩამავალი მზე, უცნაურად სავსე სიცარიელე და ჩემთვის სრულიად ახალი, სიცოცხლიანი და სევდიანი ატმოსფერო. ღამე მიწის სიცხოველისგან განათებული სტეპი ნელა სუნთქავდა, ძროხები დინჯად, თავაუღებლივ, მანქანის ფარების შუქის დანახვისთანავე, შოსე გზის ერთი მხრიდან გადადიოდნენ მეორეზე, მათ მაგალითს ხშირად ბაძავდა რომელიმე დაგვიანებული გლეხი. გარეშემო არ ჩანდა არც სოფელი, არც რაიმე სინათლე, არც ის, საით მიდიოდა ეს ხალხი ან საიდან მოდიოდა, ტრამალი და შემდეგ სიბნელე ყლაპავდა ყველაფერს. ყოველგვარი მორიდების გარეშე ამთქნარებდნენ რუსი მგზავრები, უცნაურად გადამედო მეც ეს სენი, რომელსაც ყოველნაირად ვუწევდი წინააღმდეგობას. ნახევრად ბურანში ვხედავდი მთელი დღის ნახულს, მოძრავ სხეულებსა და უსასრულო ტრამალს,

საიდანღაც გამოეყო ჩემი არსება, თითქოს მთელ ცოცხალ სამყაროსავით გაიზარდა ის, რისგანაც ტანი უფრო პატარად ვიგრძენი და ამ დისჰარმონიის დროს ნელა ჩაიღვარა ჩემს სურვილებში ყველაზე დიდებული და უცნაური _ წერის, დაუსრულებელი წერის სურვილი. რომ შეეძლოს ადამიანს თავისი განცდილის ზუსტად აღწერა, ალბათ, დაიკარგებოდა ხელოვნება, მისი საუკეთესო თვისება _ დრამატიულობა, სიუჟეტი, რომელიც ასე ზედმეტია აქ, ამ ტრამალში, განსაკუთრებით, როდესაც ამდენი შფოთისაგან დაღლილი სხეული ძლივს ერწყმება ბუნებას და სწორედ ამ ზღვარზე, უცნაურად, ბედისწერით, ისევ მოითრევს ყველაფერს თავისკენ, ამუშავებს თავის გონებაში და ყოველივეს მხოლოდ თავისი თვალით ნახულად აქცევს.

მაგრამ მორჩეს ეს მსჯელობები. უკვე დილაა. გაღვიძებული პიატიგორსკი უცებ ებმება ცხოვრებაში. მზის სხივები ჯერ მღლიან, ხოლო შემდეგ მთლიანად მავსებენ ეროტიული სურვილებით, რომელსაც ერთი წამითაც კი არ მინდა გავუწიო ანგარიში. უცნაური ამაყი სახეებით დარბიან ახლად ჩამოსული მოაგარაკეები, ბინის დაქირავების და წყლების სმის ჟინით შეპყრობილი, შუადღეზე საშინლად ითენთება ქალაქი; იცრიცება პიატიგორსკზე წამომდგარი მაშუკის მთა. მე სადგურს ვაბარებ ჩემს თავს, საშინლად მეზარება ბინის მოძებნა ან საუზმობა, ან ძილი, მეზარება მგზავრების თვალიერებაც, მავიწყდება ყველაფერი გარშემო და ყველას ვავიწყდები მე. ტრაგიკულობამდე მწვავედა ვგრძნობ, რომ არავინ არ მაქცევს ყურადღებას, ვერც იმ ძაფს ვპოულობ, საიდანაც შეიძლება დავიმსახურე ის; როგორი იქნება ყურადღება, სულერთია, ყველაზე მეტი შანსი, რასაკვირველია, ხულიგნობითაა, ამ აზრთან ერთად იკარგება მთელი «კეთილშობილური» სურვილები წერისა და ვხდები ისეთი გურამი, როგორიცა ვარ. უცებ ვიგლეჯ ერთ ღილს პერანგიდან, ვიღეღავ გულს და სტვენით მივდივარ ქუჩაში, მაგრამ ამ განზრახვაზე უცებ ვიღებ ხელს, ისეთი დიდი რაოდენობით მხვდებიან შიშველა, ტანზე ტელაგრეიკამოცმული მთვრალი მუშები, იმდენად ბუნებრივია ამათთვის ეს პოზა, რომ ვბრუნდები სადგურზე, ვიცვლი პერანგს, ვიკრავ ბოლომდე, ვეწყობი უკანასკნელ სტილზე ჟილეტ-კოსტიუმში, კონტრასტისთვის ვიჭერ ტელაგრეიკიან, გულგადაღეღილ რუსს და მივდივარ ცენტრისკენ მსუბუქი მანქანით; რუსი რამდენიმე ცდას აკეთებს, რომ საკუთარი აზრი გამოთქვას, მაგრამ სწრაფად ვაქცევ ჩემი გავლენის ქვეშ, რისთვისაც ვუკრძალავ მიმართვის დროს დედის გინებას, ვაგინებ მე თვითონ, შემყავს დუქანში, ვასმევ ჩაის ჭიქით არაყს, ვჭმუჭნი ჯიბიდან ამოღებულ ფულს, რომელსაც მუჭაში ერთი ათად ვაღვივებ მოჩვენებისთვის. მე სასმელს არ ვეკარები.

_ эх, люблю я грузин, _ ხელით იწმენდს ის ცხვირს. _ Что правда, то правда. Русский смотрит на тебя и сам пьет, а они наобарот. Красивая страна, я четыре года жил в Баку, хорошие зебята грузины.

_ Ну разболтался мой друг, _ მხარზე ვურტყამ ხელს და შიკისთვის წკიპურტით ვისუფთავებ ხელისგულს.

_ Это наше дело, болтать мы умеем, а иногда даже умное скажем.

_ Очень возможно.

_ Насчет умного ... у меня есть две бабы с хатой.

მე თითქმის არ ვუგდებ მას ყურს, ისე, გაფაციცებული, თავის გაუნძრევლად ვათვალიერებ გამვლელებს და მთელი გულით ვაგინებ იმ ადგილებს, საითაც ისინი მიიჩქარიან თავდაღუნულები.

_ Одна особенно хороша, ну эта для тебя. Захватим шампанского, водки, проведем время от души.

უცებ მე მივაგენი იმას, რასაც ვეძებდი. კუთხიდან პირდაპირ ჩემკენ ამოუხვია ულამაზესმა რუსმა გოგონამ, ხელმკლავით ვიღაც ბიჭთან; ეს გაცილებით ჯობია, რომ სხვასთან ერთად არის. ყველაფერი ადგილზეა, მთვრალი, ჩემი მეგობარი, იქ ორნი, ქუჩის ცარიელი კუთხე. დრამა იწყება.

_ იმის სიფათი არ მომწონს, – აგდებულად ვეუბნები რუსს. ეშმაკმა უცებ გაიგო ვისზეა ლაპარაკი. _ Стилиага, Ебаный карась, еще осмеливается на глаза показываться людям с такой красавицей.

ის აღარ მიგდებს ყურს, პირდაპირ უჭრის იმათ გზას და ჰალსტუხში სწვდება შეშინებულ ბიჭს.

_ უ, ჩათლახო, რამდენი ხანია გეძებდი, მომეცი ჩემი ფული.

_ რა? როგორ თქვით? არ მესმის, – შეშინებული ატრიალებს ის კისერს.

_ ნუ იმკვდარუნებ თავს, გუშინწინ რომ გადავიხადე შენ მაგიერ რესტორანში.

_ მე დღეს დილით ჩამოვედი, – კანკალებს რუსი სტილიაგა, ჩემს რუსს კი უფრო მეტი «დუხი» ეძლევა. – მატყუებ კიდეც, _ ქურდულად კოჭში ურტყამს ის.

გოგო, აქამდე გაოგნებული, უცებ იღებს გადაწყვეტილებას, სწრაფი მოძრაობით იგდებს უკან ჩამოშლილ თმებს და მთელი ძალით უჭახუნებს სილას ტელაგრეიკიანს.

_ ეგ შენ, მათხოვარო, – მისი კავალერი, რომელსაც ხელი გაუშვეს, ჰალსტუხის სწორებით იღიმება დურაკული, მიამიტური სახით.

_ ეგ კიდე შენ, – ახლა მას უჭახუნებს გოგო სილას. მე უცებ გამოვდივარ აღშფოთებული, ოღონდ წყნარი ღიმილით სცენაზე.

_ вон отсюда, бродяга, – ვამბობ კბილებში, ჩემი რუსი დიდი მიხვედრილია და თვალს მიკრავს, მეორე საბოლოოდ შეშინდა და დაიბნა.

_ Умно разыграно, – დამცინავად მიყურებს გოგო.

_ იმედი მაქვს, მეც არ გამარტყამთ ამ ხუმრობისთვის, – უცებ ვაზროვნებ, რომ აქ მეტი თამაში საჭირო აღარ არის. ე. ი. ძველი თამაში აღარ არის საჭირო.

_ კარგად გამოწვრთენით ეგ ლოთი, – აუღელვებლად მიყურებს გოგო.

_ გაცილებით უკეთ, ვიდრე თქვენ თქვენი, – ვპასუხობ მე. ჩვენი გაწვრთნილები უაზროდ იყურებიან აქეთკენ.

_ Черт побери, Вы правы, однако ж ближе познакомиться с Вами... как это хорошо и мило. Вы из Грузии, пойти с вами может быть в ресторан, _ დამცინავად, სხაპასხუპით ამბობს ის. ვგრძნობ, რომ ყველა გზა მომიჭრა წინასწარ და ის-ის არის სულელურად უნდა გავიღიმო, რომ საშინლად ვბრაზდები ჩემს თავზე, რაც წამალივით მშველის და მაწყნარებს.

_ ახლა რომ მე თქვენ თმებში ხელი გტაცოთ, რას იტყოდით?

_ Боже мой, неужели, вы такой храбрец, _ აგრძელებს ის დაცინვას.

_ Да, _ ვიქნევ თავს ღრმააზროვნად.

_ Или моя красота вскружила вам голову хе, хе?

_ Синьорита, вы заставляете влюбиться в Вас.

_ Неужели.

_ Я тогда могу совершить одну глупость.

_ Какую же, интересно?

_ Удалиться от вас смирно.

_ О, какое горе

_ эх, ну, вас на хуй. _ უცებ ვბრაზდები ჩემს ამ მეცხრამეტე საუკუნის დიალოგზე, მთელი ძალით ვუჭერ ხელს, ისე რომ ვერ გაინძრეს, მხარს ვაშველებ და მიმყავს.

_ Эй, куда Вы меня, куда?-_ ჩქარა სიარულში თითქმის შეშინებული ამბობს ის.

_ Ну, Вася _ ვუძახი სტილიაგას თვალების ბრიალით.

_ Сейчас же машину, _ ჩემი რუსი მანქანის დაჭერაში ეხმარება;

ჩვენ რაც შეიძლება ჩქარა მივდივართ დაღმართზე, ის აკეთებს შეუმჩნეველ ცდებს, რომ განთავისუფლდეს. ეტყობა, არ უნდა რომ აშკარა ცდა ჩაუფლავდეს, რომ შერცხვეს. ტუჩები სათქმელად აქვს მომზადებული.

_ Хм, Вы сильнее меня.

_ Хотя бы _ ვისვრი მე.

ის უცებ ეშვება და თვალებზე ცრემლივით ადგება.

_ Это что, последняя уловка?

გოგონა ისევ იმავე დაძაბულ სახეს იღებს.

_ Посмотрим, до чего дойдет Ваша наглость.

_ Естественно, до любезности.

_ Фу, как гадко.

მე ხელს ვუჭერ.

_ Ой, больно.

_ Тогда не болтайте глупости.

_ Эй, эй _ ყვირის ჩემი რუსი. _ Пардон, прошу, мадмуазель из Недотрог.

მე თვალებს ვუბრიალებ მას, ის ჩუმდება. მანქანიდან ხტება, კარებს აღებს; მე წინ ვჯდები, გოგო _ ჩემ და თავის რუსს შორის.

_ Извините за телогрейку, под ней чистая душа, _ განაგრძობს ღლიცინს ლოთი.

_ Васька, где можно провести здесь прилично время?

_ Это другое дело. Шофер, в интурист. _მანქანა ჩერდება.

_ Друг, _ ვეუბნები შოფერს, _ поухаживайте за дамой.

მე გამოვდივარ, ღიად დარჩენილ კარებს უკვე საქმეში მთლიანად ჩავარდნილი ტელეგრეიკიანი ასწორებს.

_ С этой минуты я Вас буду звать Петя из Одессы, _ ვისწორებ მე კოსტიუმს და ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს დანარჩენები ჩემთან არ არიან.

_ К вашим услугам, сер Грузин, _ აკეთებს ის რევერანსს და ტელაგრეიკას უცებ კარგი კოსტიუმივით ირგებს ტანზე.

მე ხელმკლავისთვის ვამზადებ ხელს, გოგო, რომელიც მოიყვანა ჩემამდე, გაბრაზებული სახით მიყრის ხელს; წვერებიანი ლაქია აშკარა მოწმე თეთრგვარდიელების გიჟური ქეიფებისა, შიკით აღებს კარს, ოდნავ წელში მოხრით, და ეჭვით უყურებს ჩემს მომყოლებს.

_ Они со мной, _ ვისვრი.

_ А я! _ მესმის მძღოლის ხმა – кто будет...?

_ Вы свободны, _ ისმის ჩემი ხმა.

ოფიციანტი მთავაზობს ადგილებს კუთხეში.

_ Нет, в центрt, _ ვამბობ და ყველანი ვეწყობით შუა რესტორანში, მუსიკოსები ეს-ეს არის მოვიდნენ.

_ Петя из Одессы, узнай ихний репертуар.

_ Водка, коньяк, шампанское.

_ Мадам, Вы слышите, принесите все.

_ Сколко бутылок?

_ Дюжину.

ის ეჭვით მიყურებს.

_ Я люблю, когда бутылки открываются с шумом.

_ Ой, какой важный, _ იაზვობს გოგო.

_ Он Грузин, грузин, _ სხაპასხუპით ამბობს, რომ არ გადავიფიქრო, ჩემი რუსი.

_ А тебе для чего шампанское? _ ისევ იაზვობს გოგო.

_ Ведь это правда, я только водку пью.

_ Петя, ты совсем забыл про музыкантов, _ მე ჯიბიდან ვიღებ ბღუჯად დაშლილ ას მანეთს და პეტიას ვაძლევ, ვრჩები უკაპიკოდ, რისგანაც აშკარად იზრდება ჩემი განწყობილება და ძალა.

_ Это дай музыкантам.

მუსიკოსები, თვალებგაბრწყინებულები, უცებ ათავებენ სადილს, არც ერთ სუფრას, როგორც დაკვირვებამ მაჩვენა, არ გამოეპარა ეს ჟესტი, განსაკუთრებით ოფიციანტებს, რომლებისთვისაც ამ წამიდან, ჩვენს გარდა, აღარ არსებობდა არც ერთი სუფრა.

_ Мадам, _ მივმართავ ოფიციანტს, – поухаживайте за нами.

ის ღიმილით, ფაშფაშით მოდის და, ჩემი შეკვეთის თანახმად, ბათქანით ხსნის შამპანურებს.

_ Какой шик, _ არ წყნარდება გოგონას ირონია.

_ Он Грузин, грузин _ იმეორებს პეტია.

სტილიაგა რუსი ჯერ ისევ შეშინებულია.

ოფიციანტკა ჩემგან იწყებს შამპანურის დასხმას, მე მკაცრად ვუჩვენებ გოგონაზე. ის ბოდიშს იხდის და პირველად იმას უსხამს, მერე _ ჩემს თანამესუფრეებს. მე შამპანურზე უარს ვამბობ და, სრულიად მოულოდნელად ჩემთვის, ვაცხადებ, რომ არა ვსვამ ახლა და არც საერთოდ, წვეთი არ დამილევია ჩემს ცხოვრებაში. ყველანი ეჭვით იღიმებიან.

_ Что за экстравагантность, _ ამბობს გოგონა.

დაკვრა დაიწყეს. უკრავენ «შენ გენაცვალე, თბილისო». ვიღაც შავულვაშა გვერდზე სუფრაზე აცმუკდა სიხარულისგან. მე ვხედავ, რომ ის ქართველია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ, ის ისე ცმუკავს, რომ, აშკარად, უნდა ჩემთან გამოცნაურება.

საკმაოდ ვულგარული ჟესტით ვაჩერებ მუსიკას.

ისინი იღიმებიან გამგებიანად და უკრავენ უცნობ ვალსს, რომელიც უცებ ქმნის უცნაურ სიმყუდროვეს მთელ რესტორანში. ახლა მე, აშკარად, თეთრგვარდიელი კავკასიელი ოფიცრის როლში ვარ, ოღონდ უმუნდიროდ, უფრო სწორად, უეპოლეტებოდ და უჩოხოდ.

დარბაზი კანონზომიერად ითვრება.

ჩემი გაბრაზებული გოგონა ჩემ ჯიბრზე, მე რომ არა ვსვამ, საკმაოდ ეძალება შამპანურს.

მე რამდენიმე, ასე თუ ისე ღირსეულ, სუფრას ვუგზავნი შამპანურებს, ქართველს წინასწარ განზრახვით ვტოვებ ისე.

ლამაზად ჩაცმული შუახნის მაღალი კაცი მოდის ჩვენს მაგიდასთან, ის მადლობას მიხდის შამპანურებისთვის და ჩემგან ნებართვას იღებს, რომ ეცეკვოს მშვენიერ გოგონას. ჩემი რუსი ცმუკავს. მე სიამოვნებით ვთანხმდები. გოგონა გაბრაზებული მიყურებს, მერე გადის საცეკვაოდ.

მუსიკა შეუსვენებლივ უკრავს. ჩემი სუფრის წევრები უკვე ძლივს იმაგრებენ თავს. ჩემი რუსი სხვადასხვა მაგიდებზე გადადის, სვამს და მაქებს, რაც შეიძლება, მიწევს რეპუტაციას. სუფრის გარშემო უკვე საკმაოდ ბევრი ხალხი მიზის. ასაკში შესული ჯენტლმენი დაინტერესდა ჩემი პროფესიით.

მე, რასაკვირველია, როგორც ნამდვილ ქართველს შეეფერება, მყოფს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მოვიტყუე, ოღონდ სულ სხვა მიმართულებით.

_ Я пастух из Казбеги, _ ვთქვი.

_ Я бы этого никогда не сказал, – თქვა მან; ამ ცნობამ უცებ მოირბინა დაინტერესებული სუფრები.

_ А вот тот, _ თქვა ჩემთან მოსაუბრემ და მიმითითა წვერმოშვებულ, საეჭვოდ ჩაცმულ ქართველზე, – кандидат медицинских наук.

მე გამეღიმა.

_ Вот как, _ ვთქვი.

_ Действительно Вы пастух? _ პირველად დაინტერესდა სერიოზულად გოგონა ჩემით.

_ Разве можно этим хвастаться _ვთქვი მე.

_ Я так и почувствовала когда мне так грубо ответили. Фу, действительно пастух, _ ვითომ გაჯავრებულმა, დამცინავად, ოღონდ ახლა უკვე აშკარა აღტაცებული სიმპათიით, თქვა გოგონამ.

_ Надеюсь Вы с детства мечтали о горах и о пастухах.

_ Никогда, – დაება ის.

მე გავიცინე.

_ Пастухи великий народ, _ განაცხადა ხანშიშესულმა და ოდნავი ზიზღით მიიხედა ცუდად ჩაცმული შავი ქართველისაკენ. – Не то что какие-то оборванцы, извините за выражение, кандидаты.

მე ღირსებით მივიღე ეს კომპლიმენტი და სიამოვნებით განვაგრძე ჩემი თანამემამულისთვის ძირის გამოთხრა.

_ Однако ж, он такой скромный.

_ Просто балбес, извините за выражение, совсем он не грузин, наверно случайный.

_ Что вы!

მაღალი, გამოწყობილი რუსი სულ გათავხედდა, უკვე მეოთხედ ეცეკვა ჩემს გოგონას, რომელიც ძალიან უკმაყოფილო დაჯდა.

_ Еше один танец с этим пьяным и я останусь без ног, _ განაცხადა.

დარბაზი უკვე აქანავდა, რუსებმა, ჩემი მიპატიჟების მაგალითით გამხნევებულებმა, დაიწყეს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, ყველა ცდილობდა ჩემი სულგრძელობით ესარგებლა და გოგონასთან ეცეკვა, საბოლოოდ, მან უარი თქვა მიპატიჟებაზე. რუსი სტილიაგა აღტაცებული თვალებით, მთლიანად დაპყრობილი ჩემგან, მიყურებდა და მეცხრედ სვამდა ჩემს სადღეგრძელოს.

დაუკრეს горящие свечи. მე წამოვდექი, ტანის მოძრაობით გავისწორე კოსტიუმი, გულზე ოდნავ მივიდე ხელი და გოგონასთან ერთად შევცურე დარბაზში. ვცეკვავდი ბრწყინვალედ. სხვები გაჩერდნენ. ცეკვის ბოლოს, როდესაც ხელზე ვაკოცე ტუჩების მაგიერ გოგონას, დარბაზი აღელდა და ტაში დაუკრეს.

_ Шампанское за мой счёт, – დაიღრიალა მაღალმა.

შამპანური ბათქანით იხსნებოდა, ცალი თვალით დავინახე, როგორ გაიპარა უყურადღებოდ დარჩენილი კანდიდატი დარბაზიდან, მერე ისევ შემოვიდა და პირდაპირ ჩამომართვა ხელი. ის ძალზე მთვრალი იყო.

_ А он не пьет, молодец, -_ ჩურჩულებდნენ ჩემზე რუსები.

_ У вас есть колхозы? _ შეეცადა ბრძნულ თემაზე საუბარს ერთი, მაგრამ სწრაფად ჩააჩუმეს.

_ Я предлагаю тост, _ ადგა ფეხზე ასაკში შესული, _ за простого и величественного человека, за нашего гостья и угощателя, – ყველანი წამოდგნენ. წამოვდექი მეც. ქართველს სულ გაუქრა შური და აღტაცებული მიყურებდა.

_ Не ставить стаканы на стол! _ იყვირა გამოღვიძებულმა ტელაგრეიკიანმა. სტილნი რუსმა პირველმა გატეხა შეჭმული ჭიქა.

_ Он платит за все, за все! -_ ღრიალებდა ტელაგრეიკიანი. ჭიქები ხვდებოდნენ იატაკზე.

_ მე ყველაზე მეტი უფლება მაქვს ამის შესმის, ამ უნიფხოებზე მეტი, – აზლუქუნდა ქართველი.

_ შენი ჭირიმე! – ვუთხარი მე.

_ შენ გენაცვალე! – ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი

_ Грузины, грузины, __ ჩურჩულებდა დარბაზი.

ძალაგამოლეული ორკესტრი ისევ უკრავდა.

_ Три танкиста! _ დავიძახე მე და ამღერდა მთელი დარბაზი.

_ На конях! _ ვბრძანე. ტელაგრეიკიანი პირველი აძვრა სკამზე, მას მიჰბაძეს სხვებმაც და აჰყვნენ სიმღერით ორკესტრს. მე წყნარად ვიდექი, ერთადერთი «ნორმალური» ფხიზელი მთელ დარბაზში. ვიგრძენი, რომ გოგო მომეკრა. ის ხშირად სუნთქავდა. საიდანღაც გამახსენდა სტეპში ბავშვების თამაში და თითქოს წივის სუნი ვიგრძენი.

_ Хе, хе, хе, – გავიცინე ხმამაღლა.

_ შენი ჭირიმე, შენი, საღოლ, – ისმოდა ქართველის ხმა, – რაშიაც გინდა, მიძმე. _ მე თითქმის არ ვაქცევდი ყურადღებას.

დარბაზი მღეროდა: Три веселых друга, охохоия мравалжамиер _ პოეტივით მოაბრუნა ჩემკენ თავი ასაკშიშესულმა მრავალმნიშვნელოვნად. ძალიან მთვრალები ძლივს აბრუნებდნენ ენას.

ასაკშიშესული ჩემკენ გადმოვიდა, ყურთან დადგა და საიდუმლო ხმით მითხრა.:

_ Должен признатся, я сам русский, порядочные свиньи наши русские.

_ С превеликим удовольствием соглашаюсь, _ რევერანსივით გააკეთა მაღალმა რუსმა, რომელმაც გაიგო ეს სიტყვები.

დარბაზში სინათლე ორჯერ ჩაქრა და აინთო, რაც რესტორანში მუშაობის დამთავრებას ნიშნავდა.

_ შენი ჭირიმე, – ბუტბუტებდა ქართველი, – ეგრე უნდათ მაგათ.

_ Смирно! _ უცებ დავიღრიალე მე. _ кругом! – რუსები ცხვრებივით დამემორჩილნენ და თითქოს გამოფხიზლდნენ კიდეც. იმათ დაშლა დაიწყეს ზურგშებრუნებულებმა.

_ შენ გენაცვალე, ეგრე უნდათ მაგათ, – თავი მომაბეზრა ქართველმა.

გოგო უფრო მაგრად მომეკრა.

მე, რაც შეიძლებოდა, ვებრძოდი სტეპის ინტიმურ შეგრძნებას და მოწყენილობას, რასაც უღვინობა იწვევდა.

_ აუჰ, აუჰ, შენ გენაცვალე! – ამბობდა ქართველი, რომელიც უკვე ფეხზე ძლივს იდგა.

ოფიციანტმა საკმაოდ დამაფიქრებელი ანგარიში მომართვა მანჭვით. მე ხელმკლავისთვის მოვამზადე ხელი, ვიგრძენი, რომ გოგო მთელი სხეულით დამეყრდნო, მერე ანგარიშის ქაღალდი სკამზე უღონოდ მჯდარ მოლუღლუღე ქართველს გავუწოდე, რომელმაც ის შეშინებული სახით ჩამომართვა, და გამოუმშვიდობებლად გამოვედი დარბაზიდან, უკან ბანცალით მომდევდა ჩემი ამალა.

_ Куда поедем, милый, _ მეკითხებოდა სულ მომბალი და აღგზნებული გოგო. მე ხელოვნური გაკვირვებით შევხედე მას, მერე კარებში მოვკიდე ხელი სტილნი რუსს..

_ Эй, цыпленок, держи руку для подруги, а Вы возьмите его под руку _ მივმართე გოგოს, გოგო მექანიკურად დამემორჩილა.

_ Я еду в Черкесск, _ ვთქვი მე. _ Доброго сна желаю.

_ Доброго сна, - ამღერდა ჩემი რუსი და ჩვენ პირველ შესახვევამდე ერთად ვიარეთ, მერე ენა გამოვუყავი, რაც უკვე ვეღარ დაინახა. მშვენიერ ხასიათზე ვიყავი, როცა სადგურზე მანქანა ვიქირავე და რატომღაც მართლა ჩერკესკისკენ ვუბრძანე წასვლა.

[1959წ. ზაფხული]

უცნაურ ამბებს მიყვებოდა ტაქსის მძღოლი. ის ამბობდა: ჩრდილო კავკასიაში ხშირად ჰყვებიან: პიატიგორსკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ცხოვრობდა ერთი ებრაელი, რომელსაც მშვენიერი ცოლი ჰყავდა, დიდებული «პასადკით», იალბუზის თავებიანი ძუძუებით, თმას იღებავდა ხნით და დადიოდა ცხვირაწეული. მისი ქალიშვილი ჯერ ისეთივე ლამაზი არ იყო, ოღონდ ხალხი ამბობდა, საცაა დედისთანა გახდებაო, ზოგი ეჭვსაც კი გამოთქვამდა, რომ 2-3 წლის შემდეგ, აშკარად, აჯობებდა. ყველას უკვირდა, რომ წელში მოხრილ, მშიშარა, მსუქან ებრაელს, რომელიც ყველას ჭკუას არიგებდა შეშინებული სახით, ასეთი ცოლ-შვილი ჰყავდა. მან ოჯახი თავისი ეროვნული შანსით უზრუნველყო, თვითონ კი ყოველ საღამოს იჯდა ბარში და დიდი სიამოვნებით მიირთმევდა ლუდს, საკმარისი იყო, რომ ვინმე მისჯდომოდა გვერდით, ჩამოაგდებდა ამინდზე ლაპარაკს, მერე დაიწყებდა ახსნას, როგორ ამინდში როგორ ჯობდა ჩაცმა ან გაციების შემთხვევაში რომელ წამალს არჩევდა, მაგალითები ყოველთვის მოჰყავდა თავისი ცოლისა და შვილის პრაქტიკიდან. «Груди у нее, как Эльбрус», ჩუმი კმაყოფილებით, სრულიად უადგილოდ ურთავდა ის. ხალხი უგდებდა ყურს, სანამ ჰყოფნიდა ლუდი, მერე დგებოდა და მიდიოდა; მისი ცოლი კი ისე გაიბერა, ქმრის ფულისა და თავისი გარეგნობის წყალობით, ისეთი მიუკარებელი გახდა, რომ, წარმოიდგინეთ, არც კი ღალატობდა _ რა შეიძლება იყოს ამაზე უცნაური! ზამთარში იცვამდა ის ღია ყავისფერ პალტოს, დიდი მელიით, სიცივის დროს ქურქს, უმელიოდ, ხოლო ზაფხულში ყველაზე ძალიან უყვარდა დიდყვავილება, დეკოლტეიანი კაბა. ამბობდნენ, რომ ერთხელ, როდესაც ტურისტები მაშუკზე ავიდნენ ელბრუსის სიმშვენიერის სამზერად, აქ იყო ეს ქალი ამ კაბით და ყველანი, უნებურად, ქალებიცა და კაცებიც, იალბუზის მაგიერ მის ძუძუებს

უყურებდნენ; მის გვერდით იდგა დიდი იმედების მომცემი ქალიშვილიც, ცხოვრობდნენ ისინი გამოუსვლელად პიატიგორსკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ხოლო ზაფხულში ქმარს თავისი ხელით მოჰქონდა ადგილობრივი სანატორიუმის საგზურები და იქ ასვენებდა თვენახევარი ოჯახობას.

ბევრ რამეს ამბობდნენ ბარში, ჰყვებოდნენ, რომ ყველა შეძლებული ოჯახის უფროსი თავის ცოლ-შვილს უშვებს ზღვაზე, რასაკვირველია, სოჩაში, დასასვენებლად, ამით აშკარად კბენდნენ ებრაელის თავმოყვარეობას, ორი-სამი ზაფხული ის იღიმებოდა, ხოლო მეოთხე ზაფხულს გადაწყვიტა მიებაძა შეძლებული ოჯახებისთვის. ამ დღიდან ის მხოლოდ ზღვის შესახებ ლაპარაკობდა, აქებდა ზღვას, განსაკუთრებით სოჩას, რომელიც არასოდეს არ ენახა, აქებდა შიშველ ქალებს, პლაჟს, რესტორნებს, ბევრს ლაპარაკობდა ქართველების სივერაგეზე. ივლისის ბოლოს მან გამოუცხადა თავის ცოლს, რომ იღებს მათთვის განსაზღვრულ კრედიტს და აგზავნის სოჩაში. ცოლი არცთუ დიდი კმაყოფილებით დაეთანხმა, მაგრამ მაინც შეიკერა ისეთივე დიდყვავილებიანი კაბა, ოღონდ ახლა უფრო დიდი დეკოლტეთი, ასევე მორთო თავისი შვილიც, ოღონდ მისი კაბის გული ნაკლებად ამოაჭრევინა, დაიტვირთა ათასი სანოვაგით და გაემგზავრა სოჩაში.

ამასობაში მარტო დარჩენილი ებრაელი პირდაპირ ოსტატი გახდა ზღვის ამბების მოყოლისა, ყველას, განურჩევლად, ურჩევდა იქ წასვლას და აქებდა ყველაფერს იქაურს დაუსრულებლივ. ჩქარა გაბეზრებულმა ბარის ხალხმა მის მაგიდასთან ჯდომას სულ მიანება თავი; ერთხელ, კვირა საღამოს, ისე გაივსო ეს დაწესებულება, რომ ახმახი, ყაბარდოელისა და რუსის ნაჯვარი ლოთი იძულებული იყო ებრაელთან დამჯდარიყო.

_ ოი, ოი, ოი, რა ბიჭი ცდები ტყუილად, რა ბიჭი! – აწუწუნდა ებრაელი. – ეჰ, შენი ასაკი მქონდეს, იცი, რას ვიზამდი? უთუოდ წავიდოდი ზღვაზე, მერე შენთვის, ახალგაზრდისთვის, იცი, რა არის იქ? უფულობა გაწუხებს? ხი, ხი, იქ ჩამოდიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან ისეთი პროფესორის, გენერლის ცოლები, იმდენი ფულით, რომ ჰეეჰე. შენ არაფერი არ გინდა. უბრალოდ, უნდა ჩააღწიო იქამდე, მერე გაიხადო ტანზე, ჩაიცვა შემოჭერილი კუპალნიკი, უკეთესი იქნება, თუ ასო ცოტა გამოგიჩნდება. შენი ბედი უზრუნველყოფილია მაშინ. თვითონ დაგეხვევიან ქალები, იქ მეფესავით იცხოვრებ ვინმე გენერლის ფულიან ცოლთან და აქაც ჩამოიტან, ახლა რას აკეთებ აქ, უფულო, მშიერი, აბა დამპატიჟე ლუდზე, ფული არა გაქვს, არა? ხი, ხი, წადი, შვილო, სოჩაში, წადი... რეკომენდაციას ვუწევ მაგ აგარაკს...

დაუჯდა ზორბა ვაჟკაცს ჭკუაში მისი რეკომენდაცია. თანაც იფიქრა, ზღვაზე შიშველმა უნდა იარო, რასაკვირველია, ხოლო ტანი კარგი მაქვს ე.ი. ტანისამოსი ანგარიშში არ მოდის. აიღო და გაემგზავრა სკვაზნოი მატარებლით.

ჩავიდა. საშინელი სიცხე და ოფლი თითქოს კიდეც ესიამოვნა. ბევრი იხეტიალა აჭრელებულ ქალაქში და, ბოლოს, გადაწყვიტა დაეჯერებინა ებრაელისათვის. გავიდა პლაჟზე, გაიხადა ტანზე, ურცხვად ამოიგდო ასო და ქვიშაზე გაიშხლართა თვალებდახუჭული. ამ დროს სწორედ წყლიდან კისკისით ამოვიდა ფაშფაშა ქალი და დაგიპნოზებულივით დააშტერდა მის უზარმაზარ ღირსებას. მასთან სწრაფად მოირბინა ახალგაზრდა გოგონამ, ეტყობა, მისმა ქალიშვილმა, და ისიც გაქვავდა. დედამ უხეშად მოჰკიდა გოგოს ხელი და წაიყვანა საცურაოდან, მთელი დღე ტყუილად იხრუკა მზეზე პიატიგორსკელი ვაჟკაცი და თითქმის გული გაუტყდა ძალზე მოშიებულს, მაგრამ გაახსენდა ებრაელის რჩევა, რომ ერთსა და იმავე ადგილზე უნდა იწვეო, სულ ცოტა, სამი დღე მაინც, რომ საშუალება ჰქონდეს მას, ვისაც მოეწონები, შენი პოვნისა.

მეორე დღეს დედამ, რომელმაც ასეთი ყურადღება მიაქცია ამ კაცის ერთ ნაწილს, უგუნებობა მოიმიზეზა და მარტო შვილი გაუშვა ზღვაზე და თვითონ სახლში დარჩა. გოგონა, აშკარად, გახარებული ამ ამბით, სირბილით გაეშურა ზღვისაკენ.

ამასობაში დედამ მოიხმო მოსამსახურე, აუწერა ის კაცი და ის თვისება, რომლითაც უნდა ეცნო იგი, მისცა ფული სიჩუმისთვის მოსამსახურეს და უბრძანა, რომ სანამ მისი ქალიშვილი დაბრუნდებოდა, მასთან მოეყვანა.

ქალიშვილი თავისდაუნებურად პირდაპირ გუშინდელ ადგილზე მოხვდა და თვალმოუშორებლივ დააშტერდა იმ კაცს, რომელიც თვალებდახუჭული მშვიდად იწვა და აზმორებდა ამოგდებულ ასოს. გოგონამ ვითომ შემთხვევით მიასხა წყალი. როცა კაცმა თვალები გაახილა, მან შეჰკივლა და სთხოვა, წყალში შეჰყოლოდა საცურაოდ, რადგან თვითონ მარტოს ეშინოდა. კაცს, აშკარად, არ მოეწონა ეს ლამაზი გოგონა, რომელსაც, ალბათ, ფული არ ექნებოდა და წოლა განაგრძო. ამ დროს გოგონამ დაინახა, რომ მათკენ მოდიოდა მისი მოსამსახურე, სწრაფად მოიხურა იქვე დაგდებული სხვისი კაბა და ქვიშაზე გაილურსა.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მოსამსახურეზეც ამ კაცის დანახვამ. ის უცებ შეუდგა საქმეს. გადასცა ქალბატონის დანაბარები და მისგან გამოგზავნილი ფული, მას დაამატა საკუთარიც და სთხოვა, ჯერ მასთან ერთად წასულიყო. კაცმა ჯერ მოსამსახურე ასიამოვნა, მერე ქალბატონი, შემდეგ ლაზათიანად ისაუზმა, დალოცა კეთილი ებრაელი დიდებული რჩევისთვის და მეორე დღესვე ტაქსას აუწია. საღამოს შვილმა დედას სთხოვა, გაგრაში გასეირნება მომინდა და ფული მომეციო. დედამ მის თავიდან მოსაშორებლად სიამოვნებით გაიღო დიდი თანხა. გოგომ დედისა და მოსამსახურის მაგალითს მიჰბაძა.

ქალბატონს, რომელიც ფულს აძლევდა მოსამსახურეს, რომელიც ცოტაზე აღარ თანხმდებოდა სიჩუმისთვის, ფულს აძლევდა თავიდან მოსაშორებლად ქალიშვილს და თავის საყვარელს, სწრაფად გამოელია ფინანსები. მაშინ დაიწყო დეპეშების წერა სახლში და, ალბათ, დიდძალი შემონახული მარაგი გამოსტყუა თავის მეუღლეს.

ამასობაში ეს კაცი, რომელიც ამ სამივე წყაროდან მარტო თვითონ იღებდა ფულს და, სამაგიეროდ, თავის ენერგიას აძლევდა, ძლიერ ჩამოხმა. ერთ მშვენიერ დღეს გამოეწყო ახალ საუკეთესო კოსტიუმში, იყიდა ჩემოდანი საჭირო ნივთებით, ააწკაპუნა ჯიბეში ფული, მიატოვა ზღვა, რომელიც საშინლად მოსწყინდა, ქალები, და დაბრუნდა პიატიგორსკში სატრაბახოდ და გასანავარდებლად ძველ ნაცნობ-მეგობრებში.

ჩამოსვლისთანავე თავის წმინდა ვალად ცნო დიდი მადლობა გადაეხადა იმ კაცისთვის, ვინც გააბედნიერა კეთილი რჩევით. პირველად ბარში შემოსული გამოწყობილი ყმაწვილი ებრაელმა ვერც კი იცნო, როცა აზრზე მოვიდა, მიიპატიჟა და ოფიციანტს სთხოვა, მოეტანათ მისთვის ლუდი, მაგრამ ბიჭმა შეაჩერა ის და ოფიციანტს შესძახა, მის ხარჯზე გაევსოთ ლუდის კათხებით მაგიდა. ებრაელი კმაყოფილი იღიმებოდა, გრძნობდა, რომ ის მისი რჩევის შედეგად გამდიდრდა და ერთი სული ჰქონდა მოესმინა ყველაფერი დაწვრილებით.

_ როცა სოჩაში ჩავედი, – დაიწყო ბიჭმა, – პირველი დღე სულ უქმად ვიწექი.

_ ხო, ხო, როგორც ვთქვი, – სიამოვნებით მოიფშვნიტა ხელი ებრაელმა.

_ მეორე დღეს, – განაგრძობდა ბიჭი, – მოვიდა მშვენიერი ქალი, როგორც მომეჩვენა, მაგრამ სიხარული თურმე წინ იყო, იგი მოსამსახურე გამოდგა, რომელმაც გადმომცა ქალბატონისგან გადმოცემული ფული, მას სიჩუმისთვის მიცემული თავისი ფულიც დაამატა. ჯერ თვითონ ისიამოვნა და მერე ქალბატონთან წამიყვანა.

_ ხი, ხი, ხი, – ხითხითებდა სიამოვნებისაგან ებრაელი.

_ მივედი, მაგრამ რა ვნახე, ქალი ფაშფაშა, დიდებული ძუძუები იალბუზს მიუგავდა.

ებრაელმა ყურები ცქვიტა.

_ ხოლო უკანალი, ეჰ, ნუღარ მკითხავთ. საღამომდე იმასთან ვიყავი, მას წინდაწინ ქალიშვილი გაგრაში გაეშვა, წამოსვლისას კიდე დამაჯილდოვა და მერე დაიწყო თავისი ქმრის წველა. ჯერ ორი ათასი მანეთი გამოაგზავნინა, მერე ოთხი, მერე ხუთი.

_ ოჰ, ოჰ, – ამოიკვნესა ებრაელმა.

_ ნაწილს ამ ფულიდან თვითონ მაძლევდა, ნაწილს მოსამსახურე მაძლევდა გასამრჯელოდ სიჩუმისთვის, ხოლო დანარჩენს ქალიშვილი, რომელმაც მის მალულად მიბაძა დედის მაგალითს.

ებრაელს შეუმჩნევლად მოუდუნდა ყბა და ლუდი დალია, დალია იმ ბიჭმაც. ებრაელს ეტყობოდა მეტის მოსმენა აღარ სურდა, მაგრამ მაინც ვერ იძროდა ადგილიდან.

_ მერე როგორ იცვამდა, – არ ცხრებოდა ბიჭი, – როგორ იცვამდა დედა-შვილი დიდყვავილება კაბას, მდიდარი დეკოლტეთი, ოხ, ოხ.

ებრაელმა ტუჩები მოწკუპა და ღრმად ჩაუფიქრდა თავის თავს, მერე ფულის ქვითრები ამოიღო და ცრემლებით დახედა, მაგრამ უცებ შეიკავა თავი.

_ ეს, ჩემო მეგობარო, – გამოცალა მთელი კათხა, – ჩემი ცოლისთვის.

_ ეს ჩემი შვილისთვის, – გამოცალა მეორე.

_ ეს ჩემი მოსამსახურისთვის, – გამოცალა მესამე.

_ ხოლო ეს, – წამოდგა ის ფეხზე, ჩაიხსნა შარვალი, ამოაგდო ორი დუნდულა დუმა, დაიკუზა, მიაბრუნა მისკენ და თქვა, – რეკომენდაციისთვის.

[1959 წ. ზაფხული]

კიდევ ჩრდილო კავკასიაში ჰყვებოდნენ:

გაზაფხულის დასაწყისში ლერმონტოვის ქუჩის თავში, სადაც სითბოებთან ერთად იფურჩქნებიან სურნელოვანი იასამნები და ფანჯრის გაღებისთანავე ავსებენ თავიანთი არომატით ოთახს, დასახლდა მოსკოვიდან ჩამოსული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ქმარი იყო ლეიტენანტის ჩინით, ლამაზი, არისტოკრატული გარეგნობის ვაჟკაცი. ქუჩის მოხუცი ჭორიკანა ქალები განგებ სხდებოდნენ ქუჩაში დადგმულ გრძელ სკამზე, რომ ეყურებინათ ამ წყვილისათვის და დაუსრულებლივ ექოთ. ჯერ ამბობდნენ, რომ ქმარი გაცილებით სჯობია, შემდეგ მთელი კომპლიმენტები ცოლზე გადავიდა, ყველა აღტაცებული იყო მისი ცისფერი თვალებითა და წაბლისფერი თმებით, ხოლო მოძრავი ათქვირებული სხეული დედაკაცებსაც კი უკარგავდა გონებას. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ასეთი შესაფერი და მშვენიერი წყვილი პიატიგორსკში არასოდეს არა ყოფილა.

ქმარი დილით ადრე მიდიოდა სამსახურში, გამოწყობილი სამხედრო ფორმაში, ხოლო ცოლი ეალერსებოდა იასამნებს და შუადღის მოწყენილობის დროს მარტივი აკომპანემენტით უკრავდა გიტარაზე.

პირველად მეზობლებმა მრავალრიცხოვანი ჭორაობის დროს გადაწყვიტეს, რომ ამ სამაგალითოდ შესაფერი გარეგნობის ცოლ-ქმარი ერთმანეთს არასოდეს უღალატებდა; შემდეგ ისინი, ახლო გაცნობისას, ძალაუნებურად დააშორეს

ერთმანეთს და იმაზე მსჯელობდნენ, ღალატის შემთხვევაში, პირველი დამნაშავე რომელი იქნებოდა. რადგან ცოლი სულ სახლში იჯდა, მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, რასაკვირველია, ქმარს, რომელიც ხშირად დადიოდა მივლინებებში, მაგრამ მისი ამაყი, შეკრული სახის დანახვამ ყველა დაარწმუნა, რომ ის არცთუ ისე ადვილად ჩაიდენდა ამას. ნელ-ნელა ცოლის მოუსვენარმა სხეულმა ყველანი ჩააგდო საგონებელში. ჯერ იცოდებდნენ, რადგან მეუღლე მას ხშირად მარტოს სტოვებდა, მერე გაჩნდნენ ბოროტი ენები, რომლებიც ასე ხშირად ახალგაზრდა ქალის მარტო ყოფნას ეჭვით უცქერდნენ. ნელ-ნელა დაიშალა მეზობლების თვალში ის ჰარმონია, რასაც ამ ახალგაზრდა, უნაკლო ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ხედავდნენ. ახლა ისინი მათ უკვე ისე უყურებდნენ, როგორც ორ სხვადასხვა ადამიანს. შეუცვლელი რჩებოდა მხოლოდ აღტაცება მათი სილამაზით, რომლის შევსება უკვე აღარ შეიძლებოდა ზედმეტად აღარაფრით. ამდენი ქება ცოლ-ქმრისა ერთად ყველას მოსწყინდა, ამიტომ დაიწყეს მათი ცალ-ცალკე ქება. უსაქმურთა პარტია ორად გაიყო: დაიწყო მსჯელობა მათთვის თითქმის უცნობი ხალხის სულიერი ღირსებების შესახებ. ერთნი, რაც შეიძლება აქებდნენ ქმარს, მეორენი ცოლს და ყველანი ერთად სულმოუთქმელად ელოდნენ იმათ აუღელვებელ ცხოვრებაში რამე დრამატული ელემენტის შეჭრას, რომელიც სწორედ მათი სრულყოფის წყალობით უეჭველად უნდა წარმოშობილიყო.

ჭორიკანა მეზობლების დასკვნები, ლაპარაკი თითქმის სრულყოფილად გამოხატავდა თვითონ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის შინაგან, მათ მიერ გაუცნობიერებელ ვნებებს.

მთლიანად გაიფურჩქნენ იასამნები, ახლად გადაღებული წვიმის წვეთები ისე ეკიდნენ მათ ყვავილებზე, როგორც ქალიშვილობის დაკარგვისას კიდიან ხოლმე ცრემლები გოგონას ღაწვზე _ გაკვირვებულად, ლამაზად, სევდიანად.

ერთ დღეს დაღლილი, წვიმისაგან დასველებული ქმარი გვიან ღამე ბრუნდებოდა მეცადინეობიდან, რომელიც განზრახულზე რამდენიმე დღით ადრე დამთავრდა. მისი ოთახის ყოველთვის ღია ფანჯრები რატომღაც მაგრად დაუხვდა დახურული და ზედ ჩამოფარებული ჰქონდა ცოლის საწოლის ხალებიანი გადასაფარებელი. თითქოს გაუგებარი და დიდი ხნის წინ ნაგრძნობი სიბრაზენარევი დარდი შემოაწვა საფეთქლებზე: «ასეთ ამინდში ფანჯრები რატომ დაკეტა?» გაიფიქრა და დაუკაკუნებლად, პირდაპირ შევიდა ღიად დარჩენილ კარებში, სწრაფად გავიდა მეორე ოთახში და სინათლე აანთო.

მისმა მეუღლემ ძლივს მოასწრო საბანი დაეფარებინა უცხო, შიშველი კაცისათვის. ვიწრო საფარველი ორივეს არ ეყო. ქალი ალეწილი, ათქვირებული სხეულით, მხრებზე დაყრილი წაბლისფერი თმებით, ქორივით გამომწვევად უყურებდა ქმარს, უადგილო სინანულის ნატამალიც კი არ ეტყობოდა მის სახეს, ამან ვაჟკაცობა შემატა მის ქმარს.

_ გამარჯობათ, – თქვა მან წყნარად.

_ ვერ ხედავ, ჩვენ შიშვლები ვართ, – გამომწვევად ისროლა ცოლმა.

_ ვხედავ, – უფრო დაწყნარდა ქმარი, – სანამ თქვენ ჩაიცვამთ, მე გავალ, საუზმეს მოვამზადებ და არაყს გავხსნი. ძალიან დავიღალე და მშია.

ქმარი სასადილო ოთახში გამოვიდა, აანთო ნათურა, მოწვა ქონში ერბოკვერცხი, გახსნა არაყი, გახსნა კონსერვი, გაშალა სუფრა სამი კაცისთვის და აუღელვებლად, ხმამაღლა იკითხა:

_ ჩაიცვით?

_ ჰო, – მოისმა ქალის ხმა.

_ საუზმე მზად არის, გამოდით.

ცოლი უცნაურად, გიჟურად დამშვენებული, მკაცრად შეკრული კაბით გამოვიდა და ხელჩაკიდებული გამოიყვანა შავგვრემანი, მოძრავთვალებიანი შეშინებული კაცი.

_ დაბრძანდით, – მიუთითა ქმარმა გაშლილ სუფრაზე. ცოლი დაჯდა, კაცი ძალაუნებურად, სულ დაკარგული შიშისგან, დაემორჩილა მის მიპატიჟებას.

ქმარმა ჯერ ცოლს მიართვა ტაფამწვარი, მერე სტუმარს, შემდეგ თვითონ გადაიღო და მადიანად შეექცა. ცოლმა, რომელიც ძლივს იჭერდა თავის თავს, ისიც მხოლოდ სიუხეშის წყალობით, მის მაგალითს მიბაძა. უცხომ აკანკალებული ხელით წაიკიკნა ერბოკვერცხი და სკამის ზურგს მიეყუდა.

_ მიირთვით, მიირთვით, – გაუღიმა მისი შეყვარებულის ქმარმა, იმდენი ხიფათი ამოიკითხა უცხომ ამ ზრდილობაში, რომ სწრაფად დაიწყო ჭამა, თითქოს ამით წყდებოდა მისი ბედი.

მერე დაიწყეს არყის სმა. ქმარმა ჯერ მეუღლე დალოცა, მერე «სტუმარი», შემდეგ თვითონ დალია თავისი სადღეგრძელო, როცა არაყი გათავდა, ის ფეხზე წამოდგა. ძალაუნებურად წამოდგნენ ისინიც. «სტუმარი» ადამიანს აღარა ჰგავდა. შავი თვალები სულ დაეკარგა სიღრმეში და რაღაცა ღიმილის მსგავსის გაკეთება სცადა, მერე კარებისკენ გაიხედა.

_ გეჩქარებათ? – იკითხა ქმარმა.

_ არა, ხო, იცით, – ალუღლუღდა სტუმარი.

_ გთხოვთ, იქით ოთახში, მე აქეთ გავიშლი ჩემთვის, – თქვა მან.

«სტუმარი» სულ აკანკალდა.

_ გთხოვთ, – გაიმეორა ქმარმა, – გააცილე იქით ოთახში. მე აქ ვიძინებ. – მიმართა თავის მეუღლეს.

ქალი არ კარგავდა ვაჟკაცობას, მოჰკიდა ხელი იმას და იქით ოთახში გაიყვანა. ქმარი შევიდა, მეორე ნიკელის საწოლი გამოიტანა აქეთ, ისე რომ იქით მხოლოდ ერთი დარჩა, მერე დაკეტა კარები, ჩაწვა საწოლში და ღამე ნებისა უსურვა იქით დარჩენილებს.

ცოლმა გაიხადა და დაწვა. მისი შეყვარებული საწოლის ფეხებთან მოიკუნტა და ცახცახში გაათენა მთელი ღამე. დილაზე თითქოს ჩათვლიმა. ცოლმა გაიგო, როგორ წავიდა მისი ქმარი ისე, რომ არც შემოუხედავს, მან ჩაიცვა, «სტუმარი» კარებამდე მიაცილა და სრული გაუგებრობის ნიშნად მხრები აიჩეჩა. შეყვარებული უცებ გაქრა ოდნავ გამოღებულ კარებში.

არაფერი არ შეცვლილა გარეგნულად ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ცხოვრებაში. ქმარს აღარც გაუხსენებია გაკვრითაც კი ეს ამბავი, ოღონდ ცოლი, რომელსაც პირველს არ შეეძლო ლაპარაკის დაწყება, შინაგანად უცებ მოტყდა, მხოლოდ სახე შერჩა ისეთივე ამაყი. დრამატული მომენტი ვერ დაიჭირეს მეზობლებმა, ოღონდ, ყველამ ერთხმად, რატომღაც აღიარა, რომ ქმარი, აშკარად, სჯობდა. ალბათ, ეს გამოიწვია ხელოვნურად, ზედმეტად ამაყი სახის მიღებამ ცოლისგან, განსაკუთებით, როცა ვინმე უცხოს ესალმებოდა და ისე მოდიოდა ქუჩაში. ჭორაობდნენ გაუთავებლივ, საიდანღაც წარმოიშვა ფრაზები, რომ ქორწინების შემდეგ ქალი გაცილებით უფრო ძლიერი ხდება, ვიდრე ქმარი და, თუ მოუნდა, ყველაფერს გააკეთებს, თანაც ისე, რომ კაცს ხმასაც კი არ ამოაღებინებს.

გაიარა ორმა კვირამ.

იასამნებმა ამოწურეს თავიანთი სიმშვენიერე და, სულ მთლად გაფურჩქნილები, ოდნავ გაცრეცილი იყურებოდნენ ბაღებიდან. ნელ-ნელა სხვა უფრო ცხოველი და ახალი სალაპარაკო გაუჩნდათ ქუჩის ქალებს და სამხედრო, თავისი მეუღლით, თითქოს მიავიწყდათ.

ქუჩაში ისევ წინწკლავდა, როდესაც ქმარი, ვნებით სავსე 28-30 წლის ქალის თანხლებით, მოვიდა სახლში. მან დააკაკუნა, კარი მეუღლემ გაუღო, რომელიც რაღაცას კერავდა, მის სახეს უცხო ქალის დანახვისთანავე უცებ ეცა ალმური, ოღონდ ისევ აიყვანა თავი ხელში და ოთახში შეუძღვა. ვახშამი მზად იყო და სუფრა გაშლილი ორი კაცისთვის. ქმარმა აუღელვებლად შეხედა მეუღლეს; ცოლმა უცხო ქალს საწვიმარი ჩამოართვა, მერე მესამე თეფში გამოიღო. სამივენი მიუსხდნენ მაგიდას.

_ არაყს ხომ არ მიირთმევთ? _ იკითხა სამხედრომ და მოყვანილ ქალს გაუღიმა.

_ სიამოვნებით, – მხრების რხევით თქვა მან.

ქმარმა ცოლს შეხედა.

ცოლი წამოდგა, არაყი გამოიღო კარადიდან, გახსნა და თავისი ხელით დაუსხა ორივეს, დაისხა თავისთვისაც. ლაპარაკი მიდიოდა მშვენიერი, გრილი ამინდების შესახებ, როდესაც ბოთლი გამოცალეს, ქმარმა ხელსახოცით მოიწმინდა ტუჩები და ცოლს მიმართა.

_ თუ შეიძლება, საწოლი გაგვიშალე იქით ოთახში. -_ ქალი გავიდა გასაშლელად, მერე ქმარს დაუძახა და სთხოვა მეორე ნიკელის მაღალთავა საწოლის გამოტანაში დახმარებოდა; კაცი მიეხმარა, ღამე ნებისა უსურვა მეუღლეს და თავის მოყვანილ ქალთან ერთად, რომელიც მშვენივრად გრძნობდა ასეთ ატმოსფეროში თავს და ვნებით ამოძრავებდა სხეულს, იქით ოთახში გავიდა. იქით ოთახიდან ისმოდა ტანისამოსის გახდის ხმა და ჩურჩული, მერე აჭრიალდა საწოლი.

აქეთ ოთახში დარჩენილმა ცოლმა, რომელსაც გაუგანივრდა თვალის გუგები, თავისდაუნებურად ყურებზე აიფარა ხელი, მერე გიტარა ჩამოიღო და დაკვრა დაიწყო, აკორდების შუა იქით ოთახიდან ისმოდა საწოლის ჭრიალი, ცოლმა მოუმატა რიტმს.

გაბმულად უკრავდნენ მისი თითები წყნარ და უცებ მოვარდნილ რუსულ რომანსებს, უკრავდნენ ჩქარა, წყნარად, ნერვიულად, ოღონდ შეუწყვეტლივ… და უცებ, მისი ოთახიდან მოისმა კივილი, გიტარა ჟღრიალით დაეცა იატაკზე და გაჩუმდა.

წინათგრძნობით შეპყრობილი ქმარი წამოხტა და შიშველი გამოვარდა აქეთ ოთახში.

ნიკელის საწოლის თავზე ფეხებმოკუნტული, ხალებიან პირსახოცზე ეკიდა თავჩამომხრჩვალი მისი მეუღლე;

ქმარმა ხელის კვრით გააღო ჩაბურული ფანჯარა, საიდანაც შემოიჭრა წვიმის წვეთების რიტმული ხმა და იასამნების სუსტი არომატი.

[1959 წელი, ზაფხული]

მე ვიდექი ბარის შუაში. მედუქნემ მანქანიდან ორი კასრი ახალი ლუდი ჩამოაგორა, სტეპიდან დაბრუნებული გლეხები პირდაპირ შემოდიოდნენ თავიანთი ფიწლებით. გრძელ ნავთქურაზე შეუჩერებლივ იწვებოდა პატარა მწვადები; გლეხები ქუდმოუხდელად სვამდნენ ლუდს და გრძელი სახელოებით იწმენდნენ ტუჩებს. გარშემო ყველაფერი ბრუოდა, შემწვარი ხორცის ოხშივარი, პაპიროსის ბოლი, ლუდის ქაფი, ჩქარი ლაპარაკი ერთ მთლიან მასად გადაიქცა ჩემს შეგრძნებაში, ხალხის ერთმანეთისაგან გამორჩევაც კი აღარ შეიძლებოდა, «რატომ ვდგავარ მაინცდამაინც შუაში», გავიფიქრე რამდენჯერმე, მაგრამ მაინც არ დავიძარი

ადგილიდან. დაუსრულებელ სტეპში სიარულის შემდეგ თითქოს პირველად მოვხვდი ხალხით დასახლებულ სამყაროში;

საიდანღაც გაჩნდა შპილკა, შპილკა ფეხშიშველა იყო, გრძელი ჩამოშვებული თმებით, აპრეხილი ცხვირით და თეთრი ამოშვებული პერანგით.

_ Шпилька, что, сегодня не пить? _ მხიარულად დაიძახა მედუქნემ.

შპილკამ ხელები ასწია, სულელურად გაიღიმა და ენა გამოყო, მერე ფეხი ფეხზე გადააჯვარედინა და ოდნავ ჩაბუქნა.

_ Что ты, Шпилька, не пьешь? _ თითის შეხებით უთხრა მაზუთში ამოსვრილმა მხიარულმა ტრაქტორისტმა.

_ А ты не приглашаешь? _ შპილკას მაგიერ იკითხა წვერებიანმა გლეხმა.

_ Конечно, нет.

_ А вот тебе, как же тогда он может дыпить.

შპილკამ ორჯერ დააქნია თავი და თვალები გააცეცა.

_ Вышь, какой хитрый, глухой и все слышит.

_ Дело разумное, когда дело выпивки касается, все слышут.

შპილკამ ფეხები ერთმანეთს მიაკრა და თითისწვერზე აიწია.

_ Агого... _ მოისმა მისი ხმა.

გაბოლილ ოთახში სიცილი გაისმა.

ზორბა, ჩაბჟირებულმა გლეხმა თავისი თითქმის გამოცლილი კათხა გაიშვირა, ყველამ შიგ ჩაასხა ლუდის ნარჩენები, მერე მან კათხა დარბაზის შუაში დადგა, ყველამ შპილკასკენ დაიწყო ყურება, მან ორჯერ შემოკრა ტაში, ფეხები შეხტომით განზე გადგა, სწრაფად დაიხარა, ხელები კათხის აქეთ-იქით დააბჯინა და ნელა აიწია ხელებზე, შიშველი გრძელი ფეხები ჰაერში დაეკიდა. გლეხები ახარხარდნენ.

_ Давай, Шпилька!

_ О, молодец!

ყირიდან ის ოდნავ დაიწია კუნთებზე და კათხას პირი მოჰკიდა.

_ Нам развлечение, а ему выпивка, _ დაიძახა ვიღაცამ.

_ И мы рады и он! _ ხარხარებდნენ გლეხები.

მე ზუსტად კათხის წინ ვიდექი, შპილკას ფეხები ჩემს თავს ზევით ეკიდა, ხოლო ტუჩები კათხასთან ერთად თითქმის ეხებოდა ჩემს ფეხსაცმელებს. ხმაური სულ უფრო იზრდებოდა დარბაზში, უცებ ვიგრძენი, რომ გავნერვიულდი და მთელი ძალით ვკარი ბათინკა კათხას, რომელიც დახლს მიასკდა და გატყდა, რამდენიმე გლეხი გაწუწულ შარვალს იწმენდდა.

ყველანი გაჩუმდნენ. შპილკა უცებ დადგა ორივე ფეხზე და შეშინებული თვალებით დამიწყო ყურება.

_ О-ого-гоо... _ ხრიალებდა ის.

_ Налейте ему! – დავუძახე მედუქნეს, მან უცებ დაასხა და

სამზარეულოდან გამოსულ გოგოს მისცა კათხა. გოგონამ შპილკას მიურბენინა.

გლეხებმა უხერხულად ჩაიღიმეს და დაწყნარდნენ.

_ Будете пить? – მივუბრუნდი მათ.

რამდენიმემ მხრები აიჩეჩა.

_ Последние бокалы! - დაიძახა მედუქნემ, - Он угощает.

გოგონამ ცარიელი კათხები შეაგროვა, მერე მედუქნეს გაუწოდა, მან დაასხა და ჩამოარიგა; გოგონამ ერთი მე მომიტანა და ოდნავ რევერანსივით გააკეთა, მერე ღიმილით შეხედა შპილკას, რომელსაც უკვე დაელია, და მითხრა:

_ Он благодарит, возьмите, пожалуйста.

_ Спасибо, я не пьющий.

_ Да-а... – თქვა ვიღაცამ.

უხერხული განწყობილება ჩამოვარდა დუქანში. შპილკა გაიქცა და თვითონ აავსებინა თავისი კათხა, მერე მანჭვით მოვიდა ჩემთან, რაღაც დაიხრიალა და ერთბაშად, სულმოუთქმელად დალია ლუდი. მე უაზროდ შევხედე, მერე გოგონას დავაშტერდი და გარეთ გამოვედი. ცოტა ხანს კარებთან ვიდექი სუფთა ჰაერზე. დუქანი ისევ ახმაურდა და ახარხარდა. შორს, ჰორიზონტზე, წითლად წვებოდა მზე დასაძინებლად.

_ Правда ли, в степи необычайно красивое солнце? – მოისმა გვერდიდან ხმა. _ გოგონა მთელი პირით იღიმებოდა.

_ Да - ვთქვი მე.

_ А вот я была в горах, там очень красиво, но солнце не такое.

_ А причем горы?

_ Вы же грузин?

_ Как вы угадали?

_ Они всегда приглашают всех, пожалуйста, хозяин велел... за Вами пятьдесят рублей, наверное вы забыли...

_ Нет, - გავიღიმე მე

_ Мдаа..

_ Не забыл, но вот денег нет.

გოგონამ მორცხვად გაიღიმა და ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიჩნია. მეც რატომღაც ხუმრობად მივიჩნიე, მიუხედავად იმისა, რომ ფული მართლაც არა მქონდა.

_ Сделайте одолжение, передайте хозяину, пусть еще раз угостит всех.

გოგონამ დუქანში შეირბინა, ხალხი ერთი წამით დაწყნარდა, მერე ისევ ახმაურდა. ახლა ჩემს წინ შპილკა იდგა გულუბრყვილო სახით, ხანდახან ის თავს იქნევდა «ჰოს» ან «არას» ნიშნად, მერე ყირა გაჭიმა, მაგრამ დაინახა თუ არა ჩემი უმოძრაო სახე, გვერდში ამომიდგა და უნებურად გამომაჯავრა ჩემივე პოზაში დადგომით. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ აიტანა, ხელი მომკიდა და საცოდავად დაიწკმუტუნა. მე მომეჩვენა, რომ მას ლუდის დალევა უნდოდა.

_ Нет, он пиво не хочет, – თქვა გარეთ გამოსულმა გოგონამ, რომელმაც მისი ეს ბოლო მოძრაობა დაინახა. _ Он только благодарит, что вы со мной говорите.

_ Как?

_ Он меня любит, знаете, когда я сплю, он засыпает около моей хаты.

_ А где ваша хата? _ უაზროდ ვკითხე მე.

გოგონას თვალები ეშმაკურად აუთამაშდა.

_ Я так благодарна за Шпильку, вы можете переночевать там. Солнце зашло и идти некуда.

სტეპიდან გრილმა ჰაერმა დაუბერა.

ჩვენ ნელა მივდიოდით შარაგზაზე.

_ Ох, _ ვთქვი მე.

_ Не беспокойтесь, деньги я заплатила, _ გაიღიმა მან.

_ Да?

_ Я так признательна за Шпильку.

შპილკა ძაღლივით გვირბენდა გარშემო, ხანდახან გოგონას ხელს ჰკიდებდა და ჰკოცნიდა, მერე მე მაკოცა ხალათის კალთაზე.

_ Он так любит меня.

_ А вы?

_ Я никогда не задавала себе такого вопроса, почему вы...

_ Считайте, что не спрашивал.

_ Вы не в настроении.

_ Кажется.

_ Давайте вашу руку, о, какая она холодная, я подержу ее немножко и она согреется.

შპილკამ წკმუტუნი დაიწყო.

_ Он ревнует, - გაიხედა გოგონამ მისკენ და ოდნავ მომეკრა.

შარაგზა დამთავრდა, სტეპში ნაცრისფერი სივრცე იდო და სულ შორიდან მოჩანდა რამდენიმე ვარსკვლავი.

_ А мой домик за хутором стоит, воон там, _ გაიშვირა გოგონამ ხელი.

_ Огооо... – ხრიალებდა შპილკა და გახარებული ხტუნაობდა.

_ Он радуется, что вы так добры к нему.

შპილკა ახლა ნახნავში ჩაწვა, მერე წკმუტუნით წამოხტა და ვითომ შეგვაშინა. გოგონამ მოიწყინა.

_ Он никогда не был умным, бедный таким родился.

გარშემო საშინელი სიჩუმე იყო და მე თითქმის არ მესმოდა მისი სიტყვები. უცნაური სიმშვიდე ჩაიღვარა ჩემს სხეულში. შორს მბჟუტავი სინათლე გამოჩნდა.

შპილკამ ხტუნაობას უმატა.

_ Вот и моя хата, - თქვა გოგონამ.

_ Вы не боитесь? - ვკითხე მე.

_ Нет, что вы, - მომეკრა გოგონა.

_ Тогда прошайте!

გოგომ გაკვირვებით შემომხედა.

_ Я уже нанял комнату.

შპილკა გაჩუმდა და ხელები ჩამოუშვა.

_ Один грузин среди степи, - იხუმრასავით გოგონამ.

საშინელი მოწყენილობა შემომაწვა გულზე, ყველაფერი დიდებული და რომანტიკული იყო გარეშემო, მხოლოდ მე არ ვიყავი არაფრისთვის განწყობილი, ალბათ, ზედმეტად კარგი იყო რაღაც. უკან მიუხედავად ნელა მოვდიოდი სოფლისკენ, სადაც უკვე დაენთოთ სინათლეები. ხანდახან ჰაერში ყრუდ ისმოდა შპილკას ხრიალი _ Огогооо...

[1959 წელი ზაფხული]

ნ ა თ ე ლ ა

შემოდგომის ხვნის მერე ამოტრიალებული ნიადაგი დაფარული იყო ჭირხლით, მხოლოდ მთის ჩრდილო ფერდობებზე იდო თოვლი, მთების შუიდან მრგვლად მოჩანდა ნაცრისფერი უღრუბლო ცა. გაყინულ გოროხებზე მიდიოდა გიო, ის ღრმად ისუნთქავდა ცივ ჰაერს, უკან სწორ ხაზად უშვებდა თეთრ ორთქლს, მისი ლოყები, ისეც ალეწილი სიცივისგან, უფრო წითლდებოდა, უნაკლო დილას ორთქლით სუნთქავდა მთელი მისი სხეულიც. ის გრძნობდა მყარად, მოძრავად მიწის სუნთქვას, გრძნობდა ისე, როგორც ეს მხოლოდ ასფალტზე სიარულს დაჩვეულ კაცს შეუძლია _ ჯანსაღად, ახლებურად, ისე როგორც ზამთარში ბაგაში თივაზე გამოკვებილი

საქონელი გრძნობს გაზაფხულზე ახლად ამოსული მწვანე ბალახის გემოს. მთელი მისი სხეული სავსე იყო სწორედ ამ ცხოველური, პირველყოფილი სისავსით და, როდესაც გონებაში პარალელი გაავლო ქალაქსა და ამ ადგილს შორის, ცხადად აღიქვა, რომ მისი გონება მთლიანად ეთანხმებოდა მის ფიზიკურ მდგომარეობას. ის მიდიოდა დიდი ნაბიჯებით, კვალიდან კვალზე ადგამდა მძიმედ ფეხებს, ის იყო ბედნიერი, რომ მის ქვევით სწორედ აყალო, შავი მიწა იყო, ის მიაბიჯებდა და გრძნობდა სრულ ერთიანობას, სისავსეს გონებასა და სხეულს შორის, რისგანაც ებერებოდა ფილტვები, უხურდა სახე, წითლად უღვიოდა მთელი ორგანიზმი, მისი ნაბიჯები ყოველი გოროხის უკან დატოვების შემდეგ უფრო უცნაურად მძიმე, მსუბუქად მძიმე ხდებოდა. დაკუნთული მკერდი ადიოდა მაღლა და უფორმო სიხარული, მოკლებული ყოველგვარ კონკრეტულობას, მიწასთან ერთად ეხებოდა ჰაერსაც, დილის გაურყვნელ, უცოდველ ჰაერს. ის იყო იმ მდგომარეობაში, რომლის შემდეგაც ადამიანს შეუძლია მხოლოდ მაღლა აფრინდეს, თან აიტანოს მიწაც, ეს უზომოდ ბუნებრივია ასეთ მდგომარეობაში, რადგან არც ჰაერი ეჩვენება მას მსუბუქად, არც მიწა, არც თავისი თავი, უბრალოდ, ამ დროს არაფერს წონა არა აქვს, სწორედ ამაში არის სიმძიმე, ოღონდ დიდი, გრძნობადი სიმძიმე, რომელიც არც ერთ ბუნების კანონს არ ემორჩილება.

_ აუ, გიო, დაგვაგვიანდება, – მოისმა გზიდან მძღოლის ხმა, მერე საყვირის ყვირილი.

ასეთი შეგრძნებიდან გამოფხიზლების დროს, ჩვეულებრივ, ნაწყენები რჩებიან ადამიანები მათზე, ვინც გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან, ვინც თითქოს უკან დააბრუნა სინამდვილესთან ისინი, მაგრამ გიოს მდგომარეობა არ იყო ფანტასტიკური, რადგან ის მიწაზე მყარად მიაბიჯებდა.

_ ჰო, ჰო, მოვდივარ, – დაიყვირა მან და გაიქცა მანქანისკენ.

ყველაფერი ის, რაც მის გარშემო ხდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ უფრო მყარს ხდიდა მის ამდილანდელ მდგომარეობას, ის ამბავი კი, რომ მის ახლო იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო დაენახა მისი ალეწილი სახე, მხოლოდ ახარებდა მას _ ის ეკუთვნოდა იმ ადამიანებს, რომელთაც ჩუმად უხარიათ, როცა სხვები ხედავენ მათ სულიერ განცდებს და აქცევენ მას ყურადღებას, გიოს ამ სურვილში არ იყო ეგოიზმის წვეთიც კი და, თუ იყო, მხოლოდ კეთილი.

ის გარბოდა, მთელი არსებით ცდილობდა მანქანამდე შეენარჩუნებინა თავისი განწყობა, მთელი არსებით ცდილობდა, რომ სხვა ადამიანს დაენახა ის ამ წამში, რათა ტყუილად ჰაერში არ გაფანტულიყო მისი გულუბრყვილო შეჭიდება სამყაროსთან.

შარაგზაზე, თხრილთან, გიო წაბორძიკდა. უკანასკნელ გოროხზე გადახტა, გაიღიმა და ცხენივით ჩაიფრუტუნა.

_ ჰა? – ჰკითხა დილის სიცივისგან აწითლებულმა მძღოლმა.

_ ჰო, – ქლოშინით უთხრა გიომ და კაბინაში შეხტა.

_ მოვწიოთ, გიო?

_ მოიტა.

გამჭვირვალე ჰაერში ფილტვებიდან ამოსულ ორთქლთან ერთად იჭრებოდა პაპიროსის ბოლიც. მერე ამუშავდა მანქანა და ისინი გაქანდნენ შარაგზით კოლმეურნეობის ძროხის ფერმისაკენ.

_ ერთიც დააყვირე, – თვალი ჩაუკრა გიომ შოფერს.

_ შენი ჭირის სანაცვლო იყოს, ორი იყოს, _ აჰყვა მძღოლი ტონში, ახლა მისი თვალებიც აბრწყინდნენ, მის საკუთარ შეგრძნებას თითქოს გზა გაუხსნა გიოს ხასიათმა.

ჰაერში კივილივით გაიჭრა საყვირის ხმა. მანქანა მირბოდა, გიოსთვის არ იყო ახლა ოღროჩოღრო, არ იყო დიდი და პატარა სიჩქარე _ მხოლოდ იყო ის გზა, რომელიც მან გამოიარა ღამის აქეთ ქალაქიდან სოფლამდე, და ის დაძინებული სევდა, რომ ქალაქი დიდი ხნით დატოვა, უფრო კარგად მოქმედებდა მასზე.

გიო მიდიოდა სოფელში, განაწილების ადგილას, მან რამდენიმე თვის წინ დაამთავრა ზოოვეტინსტიტუტი, ვეტერინარული ფაკულტეტი. ერთი შეხედვით, ეს პროზაული პროფესია სულ არ შეეფერებოდა მის ბუნებას, მაგრამ საიდან ვასკვნით ჩვენ, ადამიანები, რომ ადამიანის ნამდვილ ბუნებას რამე აქვს საერთო პროფესიასთან? ხალხი იყოფა თავისი აღგზნებადობის ხარისხის მიხედვით, თუნდაც სხვისი თვალისთვის სრულიად შეუმჩნეველის, და ეს არის თავისთავად ყველაზე დიდი ნიჭი, რომელიც მაღლა დგას ნებისყოფაზე, შრომის უნარზე, გამოგონებაზე. თუნდაც უბრალო, ზარმაცი მჭედელი, დაჯილდოებული ამ უპირველესი ღირსებით, ხარისხობრივად მაღლა დგას ყველაზე შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანებზეც კი, რადგან კმარა პირველს დაემატოს მეორის განათლება, რომ იქცეს ტალანტად, რადგან მას აქვს უკვე ძირი და საკმაოდ მყარიც, ხოლო განათლებულთ ის არა აქვთ, მისი შოვნა კი არსად არ შეიძლება, ეს უნარი რომ ჰქონდეთ მათ, უკვე თავისთავად ტალანტები იქნებოდნენ.

ჩვეულებრივ, დიდი აღგზნებადობის, თუნდაც არასაკმაოდ ან სრულიად გაუნათლებელი ადამიანები უცებ იპყრობენ ხოლმე სხვა ადამიანთა ყურადღებას და ქვეშეცნეულად იმ წრის ყურადღების ცენტრში არიან, რომელიც გარს არტყია მათ. ასეთი ადამიანები ირგვლივ მყოფთა ქცევის საზომად და გულახდილი შედარების ობიექტად იქცევიან.

ასეთი ადამიანი იყო ვეტექიმი გიო, რომელიც განაწილების ადგილზე ჩამოვიდა. და ძნელი იყო იმის თქმა, იცოდა თუ არა მან თავისი ასეთი ხასიათის შესახებ რაიმე, ის, უბრალოდ, ფიზიკურად გრძნობდა, რომ ყველა გარშემო უნდა გადმოეყვანა თავის განწყობაზე და ამ წამში რომ დაენახა მოწყენილი, გულგატეხილი ადამიანი, ვერაფრით ვერ გაიგებდა იმ კაცის თუნდაც კანონიერ უხასიათობას. ეს იყო მისი უდიდესი ეგოიზმი.

_ მანქანა აიშალა, – თქვა შოფერმა.

_ რას ამბობ? – გაუკვირდა გიოს, მას ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა რამე ამ დროს აშლილიყო. ის უცებ ჩამოხტა კაბინიდან, შოფერს არც კი აცალა ხუფის ახდა და მოტორს დაუწყო ჩხიკინი.

_ არაფერი, – ისევ ჩაიბურტყუნა თავისთვის.

_ შენ წადი, მე გავაკეთებ, მოგეწევი, _ საქმიანად აიმრიზა მძღოლი; გიოს გაუხარდა, რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოვიდა.

_ კარგი, მე ამ გზით ვივლი ფერმამდე, შენ აკეთე, მერე დამეწიე ან როგორც გინდა, შეგიძლია უკან წახვიდე, ან არა, ამოდი, ჯერ არ წახვიდე, – შეუსვენებლივ მიაყარა მან რამდენიმე აზრი, რომლის დროსაც რამდენიმეჯერ შეეცვალა აზრი მძღოლის განწყობაზე, ხან ეგონა წასვლის ნებართვით გაახარა, ხან, პირიქით, რომ აწყენინა, ბოლოს თვალი ჩაუკრა და გაშორდა.

მანქანა მათ ხრამში გაუფუჭდათ, აქ ჭირხლი განსაკუთრებით ხშირი იყო, ახლად ამოსული მზის სხივები მხოლოდ მის თავზე გადადიოდა, უფრო უდაბურ, ნაცრისფერ შეხედულებას აძლევდა ამ ჩავარდნილ ადგილს. გიო ნელა ადიოდა აღმართზე და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა გარეშემო; ის უცებ ამოხტა თითქოს რუხი ხრამიდან და მის წინ ყველა ფერებით აბრჭყვიალდა მთის ბოლომდე გაშლილი დაჭირხლული ველი. მან უცებ იგრძნო

უამრავი ჰაერი და მზე, უამრავი ფერები. ის იდგა, სულ ბუნდოვნად ხედავდნენ თვალისმომჭრელი სხივების გამო მისი ცრემლით სავსე თვალები, ის არჩევდა მთის ძირში ჯერ კიდევ ბინდში მდგარ ძროხის ფერმის გრძელ შენობებს; გიო სულ მარტო მიდიოდა უზარმაზარი მინდვრის შუაში სხივებისგან ცრემლით სავსე თვალებით, ფერმები თითქოს უფრო ბურუსში წავიდნენ, მანქანა მძღოლთან ერთად უკან დარჩა და თითქოს ახლა მიხვდა, რომ ის მარტო იყო, რომ არც მიწას, არც ჰაერს არ შეეძლო შეეცვალა მისთვის ადამიანი, ცოცხალი, მოლაპარაკე ადამიანი, უცებ საშინლად მოუნდა მას ლაპარაკი, «მე, გიო», თქვა მან, ხმა გაიფანტა, უცებ გაქრა და მას ბავშვივით შეეშინდა რაღაცა უცნობის, რისგანაც გაიღიმა თბილად და თითქოს გადატყდა მისი აწეული ხასიათი. ამ სითბოში ჩაიგუბა უზარმაზარმა უნაპირო სევდამ, შურიანმა სევდამ, რომელსაც გრძნობდა მზისადმი, რომელიც ასე ახლო იყო მიწასთან, ასე ათბობდა მას და ღრუბლის ნაფლეთიც კი არ იდგა მათ შუა. მან იგრძნო თავისი შურის გულუბრყვილობა, აღელვებული თავისი ამ ახალი შეგრძნებით, შედგა, ხელით მოიწმინდა ფართო, სავსე ცრემლები.

გარეგნულად დაწყნარდა, ისევ დაუბრუნდა ვაჟკაცური იერი, რომელიც ჰქონდა ღამე ხიფათიანი მგზავრობის დროს, ფეხით გასინჯა მიწა და მყარი ნაბიჯებით წავიდა ფერმისკენ. ახლა ის უკვე ფლობდა თავის თავს, იცოდა, რომ მივიდოდა ხალხთან, როგორც საქმის კაცი, მივლინებული მათთან სამუშაოდ, მათ დასახმარებლად, რომელსაც საქმიანადვე მიიღებდნენ ისინიც, ვინც იქ უნდა დახვედროდა.

ბინდში იღვიძებს ხოლმე სოფელი, ხოლო ბინადართა შორის ყველაზე ადრე იღვიძებენ საქონლის მომვლელნი და მენახირეები. ჩვეულებრივ, მათ გაღვიძებას წინ უსწრებს, უმეტესად, ომის ინვალიდი, ცალფეხა ღამის ყარაულის დასაძინებლად წასვლა.

აქაც ვერ მოასწრო მოხუცმა ცალფეხა ნიკამ, ღამე გარეთ თვლემისაგან სულ გათოშილმა, საქონლის თბილ თივებში გამართულ საწოლში შეძრომა თავის ცალლულიანთან ერთად, რომ ახმაურდა მთელი ფერმა _ აშრიალდნენ ძროხები, აბღავლდნენ ხბორების ძახილში, აათამაშეს ერთმანეთის გაყოლებით გრძელ ბაგებში ჩაბმულებმა სავსე ცურები, დიდი თეთრი ვედროებით ამოძრავდნენ სავსე მკერდიანი მწველავი ქალები, უცებ ჩამოთბა ბაგებში, ჰაერში დატრიალდა ცხელი რძის, წივის სუნი, არეული ახლად გაღვიძებული, თივის ლეიბებზე ნაძინები ქალების არომატში. რძისფერი ოხშივარი აუვიდათ მწველავებს, ჯიქნების სრესისგან წამოუწითლდათ ლოყები და ერთმა გაიღიმა, მეორემ გაიცინა, ატყდა ლაპარაკი, ჩხრიალით ჩადიოდა ნაწველი ვედროებში, აამოძრავეს ლაშები თივის საცოხნელად ჯიქანდაცლილმა ძროხებმა, პირველი სავსე ვედროები გაარბენინეს სეპარატორისკენ მზიდავებმა, გაისმა პირველი ხუმრობა.

_ შენ რა, დილა მშვიდობა არ იცი?

_ კარგი სიტყვა გამარჯობას სჯობია, ხო იცი.

_ ი, მთქმელი მაინც იყოს.

_ ხი, ხი.

_ ერთი მიუშვით, კიდე რას იტყვის.

_ მე რომ კარგი მთქმელი ვიყო, თქვენთან მზიდავად კი არ დამაყენებდნენ.

_ ხი, ხი.

_ აჰა, ვედრო, ესეც წაიღე.

_ აუ, ნათდება, თავი ამოყო.

_ აუ, დღეს მზემ მოგვასწრო.

_ აუ, აგვასწრო, აგვასწრო.

აღარ შეეძლო ძროხების წველა ბებერ სანდუს, მაინც არ შორდებოდა ფერმას, მისი ქმარი დიდი ხანია უკვე სახლში იჯდა, პენსიაზე გასული და განთავისუფლებული საკოლმეურნეო მუშაობისგან, უცდიდა უქმად თავის უკანასკნელ დღეებს, მხოლოდ მოხუცი ქალები, განსხვავებით კაცებისგან, არ გადიან არასოდეს პენსიაზე, შვილების შემდეგ ისინი შვილიშვილებს ზრდიან, ზოგჯერ მეოთხე თაობასაც აწევენ თავისი ხელით მოქსოვილ წინდებს, ეხმარებიან ახალგაზრდა დედებს ბავშვების გაზრდაში. აქაც დედას წამოყოლილი ორი შვილიშვილი ებარა სანდუს: ნათელა, რვა წლის შავთვალა, წითელლოყება, და ოთხი წლის გიორგი.

ნათელა თვითონ გავარდა გარეთ პირის დასაბანად, ბებომ ნახევრად მძინარე გიორგი ათრეული გამოიყვანა და სატირლად მომზადებულ ბავშვს უთხრა:

_ ადე, უყურე, მზე ამოდის.

მთის უკნიდან მზე ამოდიოდა, ბაგების გარშემო დადებულ თივას დააცხრა პირველი სხივი, მერე უკან გადაიწია, ხევს გადაღმა მხოლოდ მთაში შეფენილი ოთხი უზარმაზარი ზვინი და მათ შორის დარჩენილი პატარა ქოხი იდგა საწყლად, ისევ ჩრდილში. სანდუმ ზურგი შეაქცია მზეს, მაშინვე სასიამოვნო სითბო იგრძნო და ქსოვა განაგრძო სიცხეს მიფიცხებულმა, პატარა ბიჭი ნახევრად ჩრდილში თავისთვის უაზროდ იდგა. აქედან მოჩანდა მთელი ველი, რომელზედაც მოდიოდა გიო.

ფერმასთან მისულს მანქანა მიეწია, მოტორის ხმაზე უფროსი მწველავი გამოვიდა და მიესალმა ახლად მოსულებს.

_ მე თქვენთან ვეტექიმად ვარ გამოგზავნილი, _ მისალმების შემდეგ თქვა გიომ. მას ისევ ისეთი საქმიანი სახე ჰქონდა.

_ ა! _ თქვა ქალმა და ფერმისკენ მიიხედა. – ეს არის ჩვენი საძროხე, ახლა წველაა.

_ წველაა, – უაზროდ თქვა გიომ, რაღაც უცნაურად შეხედა ყველაფერს ერთად, იმდენად უაზროდ, რომ ვერც კი წარმოედგინა რა იყო წველა.

_ წველა?! – ჩაუკრა მან შოფერს თვალი, რომელიც ისევ მანქანას უჩხიკინებდა.

_ გამარჯობათ, ბაბო, წველაა? – ჰკითხა მან სანდუს.

_ იცოცხლე, შვილო, იცოცხლე, წველაა, მაშ, დილის წველა, – ეტყობოდა, სანდუსაც ძალიან მოენატრა ლაპარაკი და უნდოდა გაგრძელება, მაგრამ უფროსმა შეაწყვეტინა.

_ არ შემოხვალთ ახლა? თქვენი სახელი?

_ გიო.

_ გიო?

_ ჰო, გიო.

_ გიორგი?

_ ჰო, გიორგი.

_ აი, გიორგი, ეს არის ჩვენი ფერმა. – ისინი შიგ შევიდნენ. – ჩვენი ძროხები იწველიან საშუალოდ … – ისინი ბაგებს შორის მიდიოდნენ; როცა ვიწრო, გრძელ შენობაში შედიოდნენ, რომლის ორივე მხარესაც მწკრივად ება ძროხები, ყოველი მხრიდან ისმოდა სიცილი, ლაპარაკი, მაგრამ საკმარისი იყო ამდენ ქალებში კაცის გამოჩენა, რომ ყველანი უცებ გაჩუმებულიყვნენ, ეს სიჩუმე იმდენად შესამჩნევი იყო, რომ რამდენიმე ძროხამ ცოხნას თავი დაანება, ხოლო როცა ცხოველური ინტუიციით გაარჩიეს უცხო კაცი, აქა-იქ ბღავილი გაისმა, მერე ყველაფერი გაჩუმდა. მხოლოდ ისმოდა ცოხნის ხმა და რძის ჩხრიალი, ატმოსფერო ჩამოიგუბა, შეუერთდა ახალი რძის სუნის არომატს წივის სუნთან ერთად, რომელზეც დო დუღდა. შენობაში

ცხელოდა, გაყინულმა გიომ უცებ იგრძნო ეს ცვლილება, მისი ორგანიზმი მოეშვა, აილეწა და რაღაცა დიდი, მშობლიური სითბო იგრძნო მთელმა მისმა სხეულმა; მწველავი ქალების ნახევრად შიშველი მხრები ხელების მოძრაობისას ირხეოდნენ და ნელა მთელი ეს არომატი შეუერთდა კაცის, გაყინული, ჯანსაღი კაცის სუნთქვას, რომელიც თბებოდა. მისი ნაბიჯები შეიმართნენ, ჯიშიანი ცხენივით დაიწყო ფეხების გადადგმა კანჭების მაღლა აწევით, მისი ადრევე მოფიქრებული სერიოზულობა ორჯერ გაიზარდა, ძროხების ცოხნასა და რძის ჩხრიალის ხმაურს რიტმულად შეუერთდა მისი ნაბიჯების ხმა, რასაც ფიცრის იატაკი ეხოს აძლევდა. ის მექანიკურად პასუხობდა უფროს მწველავს, მერე დაეთხოვა დილამდე სოფელში ოთახის საშოვნელად და გარეთ გამოვიდა ისეთივე ჯიშიანი ნაბიჯებით, მის უკან გაისმა ჩურჩული, მერე ხმამაღალი ლაპარაკი, მარტო ბოლო ქალი, ჩამუხლული ძროხის ჯიქნებთან, განაგრძობდა ჩუმად მუშაობას, მთლიანად დაძაბული, რომ გიოსთვის ყურადღება არ მიექცია, მისი დიდი ხელები მთლიანად ფარავდნენ ჯიქნებს, სრესდნენ მას და უშვებდნენ რძეს, კმაყოფილი ძროხა ვნებიანად განაგრძობდა ცოხნას, გიომ გაუღიმა მწველავს, ქალს ყურებამდე გაეხა ტუჩები, ველურად გამოხედა ვეტექიმს. «რა უშნო ქალია და მაინც ქალია», გაიფიქრა გიომ, მას უნდოდა დამდგარიყო, ელაპარაკა აუარებელი, თითქმის ყველაფერი, რაც იგრძნო ბოლო საათებში, გარეგნულად კი მშვიდად დაუტოვა ღიმილი ქალს და გარეთ გამოვიდა.

მზიანმა სიცივემ უცებ გაუფრთხო უძილო ღამისგან დატოვებული სექსუალური, სულიერი მოთენთილობა, რომელსაც ბაგებში ფიზიკური შემართებით ფარავდა. ის იდგა და პირდაპირ უყურებდა მზეს თვალებში.

_ ი, – მოესმა გვერდიდან ხმა.

_ გამარჯობათ, ბებო, – მეორედ მიესალმა ის სანდუს.

_ ისევ გაგიმარჯოს, შვილო, – განგებ ბებრული ამოხვნეშით თქვა სანდუმ. ისე, მის რიხიან გარეგნობას ეტყობოდა, რომ სულ არა ჰქონდა სახვნეშად საქმე.

გიომ უცებ იგრძნო იგივე სურვილი, რაც წეღან მინდორში, უდიდესი სურვილი ვინმესთან ლაპარაკის, სულ ერთი იყო რაზე, ის პირველად ტოვებდა ასე დიდი ხნით ქალაქს, აუარებელ ნაცნობსა და ძვირფასს და ამ შეგრძნებამ ისე იმოქმედა, რომ ერთი ღამე მთელ წლად მოეჩვენა, ერთ წლად, რომლის განმავლობაშიაც ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს და ისევ შეეცოდა მას ამ უცხო მხარეში თავის თავი. საერთოდ, მშობლიური ადგილიდან დაშორებისას ყველაზე ძნელია პირველი დღე, პირველი კვირა, განსაკუთრებით ისეთი შთაბეჭდილებიანი ბუნების კაცისათვის, როგორიც გიო იყო. მან იმდენი რამე შეამჩნია ახალი ამ საათებში, დრო უსაზღვროდ დიდად იქცა, თითქმის საშიშად დიდად, ამიტომ სიამოვნებით მოეპოტინა ერთადერთ უსაქმო ქალს, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მზად იყო მასთან სალაპარაკოდ, და კიდევ იყო რაღაცა, რამაც მიიზიდა ამ მოხუც ქალთან სალაპარაკოდ, ეს იყო პატარა ბიჭი, რომელიც უხმოდ იდგა და უაზროდ უყურებდა ველს. ამავე დროს, პატარა ბავშვზე ლაპარაკი ყველაზე მოხერხებული, სასურველი თემა ჩანდა.

_ ჰო, – თქვა უხერხული ღიმილით გიომ. წარმოუდგენლად ბავშვური, მორცხვი სახე მიიღო, უცებ მოეშვა და მთლიანად დაკარგა კონტროლი თავის თავზე. ბებერმა შეამჩნია ეს ცვლილება მასში, ისე რომ არც აუხედავს მისთვის, ამ ცვლილებამ ქალაქელში სოფლელ ქალს გარკვეული სითამამე, უპირატესობაც კი მისცა, ის თითქოს უცდიდა, რომ ლაპარაკს დაიწყებდა, თანაც უეჭველად შვილიშვილზე.

_ აი, მამა ომში დაეღუპა.

_ ამ ბავშვს? – უაზროდ იკითხა გიომ და რატომღაც გაწითლდა თავისი უმწეობისგან.

_ აი, აი, ხედავ, ბიჭო, პირი რომ არ დაიბანე, ძია რას ამბობს, ჭუჭყიანი რომ ხარ, ხედავ? – უცებ გამოიყენა თავის სასარგებლოდ გიოსთან ლაპარაკი ბებიამ.

_ ჰო, – უნებურად გაიღიმა გიომ და ბავშვს დახედა.

ბავშვი იდგა აბსოლუტურად განურჩეველი სახით ყველაფერი იმისადმი, რაც ხდებოდა მის გარშემო. ის მშვიდად უყურებდა სტეპს, ჭუჭყის ქვეშ მუგუზლებივით მოუჩანდა სავსე, მკვრივი ლოყები, ჩალისფერი ჩოლკა თითქმის თვალებამდე ეყარა, გრძელი წამწამები ერთხელაც არ დაუხამხამებია, ისე დინჯად ახედა მისკენ ოდნავ დახრილ გიოს და ისევ მინდორში გადაიტანა მზერა. გიო უცბად აილეწა, ისევ იფეთქა მასში კარგის შემჩნევის დიდმა უნარმა, გარკვეულად მეტოქეც კი იგრძნო ამ მართლა მშვენიერ ოთხი წლის ბავშვში, რომელსაც ასე ღირსეულად ეჭირა თავი. ახლა უკვე ის თვალს ვეღარ აშორებდა პატარას, რომლის მთიულური ჯიღა თვალები აბსოლუტურად არ აქცევდნენ მას ყურადღებას. გიომ გადაწყვიტა უყურადღებობითვე გადაეხადა მისთვის, მაგრამ მაშინვე გაეღიმა თავის სისულელეზე და ახლა უკვე სიამოვნებით დაუწყო მოხუცს ლაპარაკი, პირველი კითხვა ყველაზე ბუნებრივი გამოვიდა.

_ რა ჰქვია ამას?

ბავშვმა ნელა ახედა მას.

_ გიორგი ჰქვია, გიორგი, აი, მამა ფრონტზე მოუკლეს, პირიც კი არ დაუბანია, ასე მიბრიყვებს სულ, სანამ დედამისი წველას მორჩებოდეს.

გიომ უცებ გადაათვალიერა გონებაში მთელი მწველავი ქალები, უფრო სწორად, მათი მხრები, რომელთა სიმკვრივითაც უნდოდა დაედგინა, რომელი იყო ბავშვის დედა, ბებერი ქაჯივით პასუხობდა კითხვის დაუსმელად, აუხედავად ყველაფერზე, რასაც გიო გაიფიქრებდა.

_ აი, აქეთ, კარებთან რომ წველის, საწყალს ქმარი დაეღუპა, ეს კი პირს არ იბანს, მაწვალებს ასე.

გიოს უცებ წარმოუდგა თვალწინ მთიელი ქალის დიდი, უშნო პირი და გახევებული თმები, იმ ქალისა, რომელმაც გაუღიმა, ბებერმა ისევ იმ უტყუარი ინტუიციით განაგრძო:

_ შრომა ამ ღრეში აუშნოებს ჩვენს ქალებს. ბალღები კი სულ ამას ჰგვანან, მრგვალი, ლამაზი, აი, პირს რომ იბანდნენ ….

მზემ უფრო მაღლა აიწია, უთოვლო ზამთარში სასიამოვნოდ დათბა, გიო ბავშვს უყურებდა გარკვეული შურით, ცდილობდა მოეგონებინა როგორი იყო თვითონ პატარობაში, მერე პირდაპირ სხაპასხუპით დაიწყო მისი ქება.

_ რა კარგი ბიჭია, რა ჩოლკა აქვს, აი, ბებო, ასეთი ბავშვები იშვიათია, რა ღონიერიც იქნება, ყოჩაღ, ბიჭო, იერიც ასეთი უნდა, ჯიღა, ვაჟკაცური...

რაც უფრო ლაპარაკობდა, უფრო იტაცებდა ბავშვის ქება, უცნაურად გრძნობდა, რომ ლამაზად უნდა ელაპარაკა, აზრით ხედავდა, რომ მოხუცის ზურგს ამოფარებული ვიღაცა თვალს არ აშორებდა მას, მის ყოველ სიტყვას ყურს უგდებდა და თითქოს არ უნდოდა ამოესუნთქა ჩასუნთქული სიხარული, სურვილი, სანამ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, ეს სილუეტი პატარა გოგოსი წეღანვე შეამჩნია, ოღონდ როგორღაც ვერ მიაქცია მას ყურადღება. გიო განაგრძობდა ბავშვზე ლაპარაკს და როცა მივიდა მისი წამწამების ქებაზე: რა მშვენიერი, ნამდვილი ლამაზი ქალის წამწამები აქვს – უკვე აღარ შეიძლებოდა

რომ არ დაენახა ის გოგო, რომელიც ბებოს კალთას მოშორდა და ანთებული თვალებით უყურებდა გიოს. გიოს მოეჩვენა – საკმარისი იყო კიდევ წამი არ შეემჩნია ეს გოგო, რომ სამუდამოდ დაიკარგებოდა მისი ანთებული მზერა, რომელიც უეჭველად უნდა დაეჭირა ამ წამში ვიღაცას, იმდენად სავსე იყო სურვილით გაეყო პატარა ბიჭის ქება, რომელსაც ძია წარმოთქვამდა. უცებ გაქრა პატარა ბიჭი გიოს გონებიდან, მას ჯერ გაუკვირდა, რომ ეს გოგო აქამდე ვერ შეამჩნია, შემდეგ, უბრალოდ, ველარ ფიქრობდა ვერაფერზე, გოგონა უყურებდა მას თვალებში და სთხოვდა მთელი არსებით, შეემჩნია ის, გიო აიწურა, კაცის ჯიშმა უცებ იფეთქა მასში, ყურები აეწკიპა, თვალები აუთამაშდა ცეცხლით, უცებ ჯიშიანი ცხენივით შეისუნთქა და ისეთივე თვალებით შეხედა გოგონას, როგორც ის უყურებდა გიოს. აღარ იყო არავინ მათ გარშემო, მთელი დილანდელი სურვილები, ვინმეს ენახა გიო ასეთი განუმეორებელი, ახლა ამოძრავდნენ გაასკეცებით მასში, გოგომ უკვე იგრძნო რომ მიიქცია მთლიანად ამ კაცის ყურადღება, მაგრამ ბოლომდე არ სჯეროდა, მანამდე, სანამ ხმას არ გაიგებდა, ხმას კი შეეძლო ის დაეფრთხო, გიო გრძნობდა ამას და ჩუმად იყო, მაგრამ მეორე სურვილი, ეთქვა რაღაცა, თანაც სწორედ ამ დროს, როდესაც ყველაზე მეტსა გრძნობდა, ისე ძლიერად მოაწვა გულზე, რომ უნებურად გაიწია გოგონასაკენ, მერე უცებ მოაშორა თვალები და ბებიამისს, რომელიც ქსოვას განაგრძობდა, უთხრა:

_ რა კარგი გოგოა, რა ლამაზი გოგოა, _ ეს ტონი იყო უფროსი კაცის ტონი, რომელიც აქებს პატარა ბავშვს, რაც სულ არ შეეფერებოდა მის განწყობას ამ წამში, მას ათასჯერ მეტის თქმა უნდოდა, მაგრამ შინაგანმა საზოგადოებრივმა ვალმა თავის ხმაზე აალაპარაკა. სამაგიეროდ, გოგონასთვის ეს სიტყვები სრულიად საკმარისი გამოდგა, რადგან მას არ შეეძლო არავითარი ანალიზი თავისი გრძნობებისა. მან მიიღო სიტყვიერადაც ქება, დარწმუნდა, რომ შენიშნეს, ტყუილად არ დაიკარგა მისი აღგზნება და ის სუფთა ძუს ინტუიციით მიტრიალდა, მერე აჩქარებული ნაბიჯით, ნაწნავების რხევით წავიდა ბაგების ბოლოს თივებისაკენ. გიო წამოწითლდა, ჯერ ეწყინა, მერე უცებ მიხვდა ყველაფერს და ადგილზე შეტოკდა, ყელი დაჭიმა, კბილები გაუცინრად დაკრიჭა და მოხუცს ჰკითხა:

_ რა ჰქვია?

_ ამის დაა, მაგის მამაც იქ დაიღუპა, რა ჰქვია? ო, ეგ თვითონ იბანს პირს, ნათელა ჰქვია.

_ თვითონ იბანს?

_ ჰო, თვითონ.

_ ჰო, მაშ დიდი ყოფილა უკვე, – რატომღაც დასჭირდა გიოს ამ სიტყვების თქმა, მერე გულში დაიწყო გამეორება «ნათელა დიდი ყოფილა».

უცებ გაქრა მისი წეღანდელი ფიქრები ქალაქზე, აღარაფერი დარჩა მისი წარსულიდან, ჯერ კიდევ თავისთვისვე გაუგებრად, მან აქ პირველივე დილას ნახა ახალი სამყარო, ღმერთო ჩემო, რა ერქვა ამ ახალს?

ის იყო ძალიან პატიოსანი ბიჭი, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ეს, რაც ამ წამში მოხდა, ის, რაც ამ გოგონამაც იგრძნო, რომ იგრძნო, ეს იყო ეჭვის გარეშე, არ იყო მხოლოდ დიდისაგან პატარის შემჩნევა, უბრალო ცნობისმოყვარეობა, – ის, საერთოდ, ყველა ასაკობრივი დამოკიდებულების გარეშე იდგა, მაგრამ ის არ იყო არც სიყვარული, როგორიც შეიძლება ჩვეულებრივი მომწიფებული ქალისადმი, ეს იყო

სულ სხვა რაღაც, ალბათ, ის, რაც შეეფერებოდა გიოს დილანდელ განწყობას, როცა საგნები კარგავენ წონას და კაცს შეუძლია ჰაერთან შეერთება.

შემდეგ წამში გიო უკვე აჩქარებული ნაბიჯებით მიდიოდა იმ მიმართულებით, საითკენაც გოგონა მიიმალა. გადაახტა პატარა თხრილს, პირდაპირ გადათელა წაქცეული ზვინი და შედგა, უცებ შერცხვა თავისი საქციელის, უფრო სწორად, გაიღვიძა უცნაურმა თავმოყვარეობამ დიდი კაცის «თუ ყველაფერი მართალია, თუ მართალია ეს სიხარული, ის გოგო თვითონ მოვა». მერე შეტრიალდა. ახლა მის შეგრძნებას ყოველი მხრიდან ათასი თვალი უყურებდა, ის იდგა მთელი თავისი კაცური შესაძლებლობის უმაღლეს დონეზე, არაფერი მასში არ იყო გადაჭარბებული, ისეთი, რაც არ შეეფერებოდა მის ნამდვილ ბუნებას, სიხარული მხოლოდ მატებდა მშვენებას მის გარეგნობას. გიომ მცოდნის თვალით გადახედა მინდვრებს, მერე თივა გასინჯა და ისევ უკან დაბრუნდა, ის ოდნავ შეკრთა, როცა უცებ ჩართული მოტორის ხმა მოესმა, მერე გაეცინა, ალბათ, იმიტომ, რომ მთელი ამ დღის განმავლობაში თავს სულელად გრძნობდა, რასაც ხელს კი არ უშლიდა, პირიქით, აღრმავებდა თავის თავში, ახლაც ისე შეკრთა მანქანის ხმაზე, თითქოს პირველად დაინახა.

_ ნუ, როგორ არის? _ ჰკითხა მძღოლს თავისი ხასიათის ტონში, ოღონდ აგდებულად.

_ მორჩა.

_ მორჩა? მაშ, წავედით სოფელში.

_ დაჯე.

_ ახლავე. – გიო აჭიანურებდა, ის დარწმუნებული იყო, რომ გოგო შემოუვლიდა ფერმას და მეორე მხრიდან მოვიდოდა მის სანახავად, ამიტომ ადროვა, ფერმაში შევიდა მთავარი მწველავი ქალის სანახავად, გამოელაპარაკა, რა ადგილას ჯობდა სოფელში დაბინავება.

– აბიათარებთან ჯობია, სოფლის თავში, მთელი დღე მარტოა სახლი, დედა აქ არის, სახლში მარტო მოხუცი კაცია. არა, მარო? _ მარო წამოდგა და ისეთივე ღიმილით მივიდა, როგორც დილით _ ეს იყო ნათელასა და გიორგის დედა.

_ ჩემი სახელით უთხარით, მამაჩემია მარტო იქ. დაბინავდით, საღამოს მეც მოვალ, აბიათარია ჩვენი გვარი.

_ აბიათარი? _ «ა»-ზე ინტონაციით თქვა მაგრად გიომ, მერე გარეთ გამოვიდა.

_ საით? – ჰკითხა მძღოლმა.

_ აბიათარებთან, სახლში, – ხმამაღლა თქვა გიომ და კაბინაში შეხტა. გვარის გაგონებაზე კედელს ამოფარებული გოგონა გამოვარდა, მაგრამ მანქანა უკვე დაიძრა და გიომ წამით მოჰკრა მხოლოდ მას თვალი. «თმა ნამდვილად დავარცხნილი აქვს ახლიდან და ნაწნავები მაღლა აწეული,» სიხარულითა თქვა გულში.

_ მაიცა, ეგ აბიათარები სად არიან? _ იკითხა მძღოლმა

_ არ ვიცი, სოფლის თავში მდგარან, – უპასუხა გიომ და ორივემ გაიცინა სხვადასხვანაირად და სხვადასხვა რამეზე.

შეპყრობილივით იყო დილიდანვე ნათელა. მან პირველმა დაინახა სხვანაირი კაცი, რომელიც მინდორში მოდიოდა და იმის შემდეგ თვალი არ მოუშორებია მისთვის. ის ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო იმისთვის, რომ რაიმე ანალიზი გაეკეთებინა თავისი სურვილებისათვის, ამიტომ სუფთა ბავშვური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ფანჯრიდან ბაგებში შესულ გიოს, მერე ბებიას ამოეფარა და მათ ლაპარაკს ისმენდა. ეს კაცი, აშკარად, სხვანაირად იყო ჩაცმული, სიტყვებიც სხვანაირად ისმოდა მისგან ნათქვამი, შეიძლება სადღაც ნათელას გონებაში გაერთიანდნენ ტყეში მონადირე მეფის ზღაპარი და გიო, ეს

ზღაპარი მოყოლის გარეშეც იცის დაბადებიდანვე ყველა ბავშვმა, ისინი ყოველთვის თავის თავზე იღებენ, უცდიან შემთხვევას, ეძებენ თვითონ. და აი, მიუხედავად იმისა, რომ ნათელას ეჭვიც კი არა ჰქონდა, რა ხდებოდა მის გულში, _ მან იპოვა, ის იდგა მის გვერდზე და ელაპარაკებოდა მის ბებოს, რომელმაც, როგორც ეტყობა, არ იცოდა, «ვისთანა» ჰქონდა საქმე, ხოლო როცა გიომ შეამჩნია მისი ძმა, დაუწყო ქება, ნათელამ ღრმად ჩაისუნთქა, მთლიანად გაივსო მისი ბავშვური ფანტაზია ამ «მის სანახავად მოსული კაცით». ის ვეღარაფერს ვეღარა გრძნობდა, ვეღარა ხედავდა, გარდა «იმისა»: როგორ შეიძლებოდა არ დაენახა მას ნათელას თვალები, არ დაეჭირა მისი პირველი მზერა. და იმდენად დიდი იყო ნათელას სურვილი შეემჩნიათ ის, შეემჩნია იმ კაცს, რომელიც აქებდა მის ძმას, რომელსაც, მისი აზრით, სრულებით არ სჭირდებოდა ეს. ძმა კი იდგა უმოძრაოდ და, როცა წამწამებზე დაიწყო ლაპარაკი, მან უკვე მეტი ვეღარ შეძლო და წინ გამოვიდა -– სწორედ ამ წუთში შეამჩნია გიომაც ნათელა. როცა ნათელა გიოს სიტყვებიდანაც დარწმუნდა, რომ შეამჩნიეს, მას შერცხვა და კიდევ შეიძლება პირველადაც იგრძნო, რომ ის სხვა სქესის იყო. მან შემოუარა სახლს, იქიდან ხედავდა, როგორ გაჰყვა უკან გიო, მერე სწრაფად მიირბინა ფანჯარასთან და ნელა, ახლად შეძენილი ღირსებით, დაიწყო თმების ვარცხნა. ის აღარ ფიქრობდა, ნახავდა თუ .არა იმ კაცს ისევ. უბრალოდ, მექანიკურად მოუარა სახლს და გაიქცა შესასვლელისაკენ. სწორედ ამ დროს თქვა გიომ ხმამაღლა მისი გვარი, დაინახა დედა, მისმა სიხარულმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია. «მაშ, «ის» იცხოვრებს ჩვენთან», გაურბინა თავში, დაუკითხავად შემოურბინა თივის ზვინს, სირბილით დაეშვა ხევში, საიდანაც მოკლეებით, ნახნავ მინდორზე გადასვლით, შეეძლო მიესწრო მანქანისათვის.

ის გარბოდა უზარმაზარ მთებშუა ჩაწოლილ შავ მინდორზე, მზეს უკვე გაედნო დილანდელი ჭირხლი, დიდ, ძლიერ გარემოში სულ ერთი ბეწოდ მოჩანდა მისი შეპყრობილი სხეული, ის ხედავდა მანქანას, რომელიც გაცილებით ნელა მოძრაობდა, მასთან შედარებით.

მისი გული ივსებოდა უსაზღვრო სიხარულით, რომ იქ იმ კაცს მიუსწრებდა, ჩუმად ჩაუსაფრდებოდა სხვენში, და იქიდან დაუწყებდა ყურებას.

ამ სირბილში მან უცებ გაარჩია, რომ მანქანამ თითქოს შეწყვიტა მოძრაობა, მერე ისევ დაიძრა, მხოლოდ ახლა ის კაცი აღარ იჯდა შიგ, რადგან ის გამალებული ნაბიჯებით მოდიოდა მისკენ. ეს ისეთი მოულოდნელი იყო მისი ავსილი, შთაბეჭდილებიანი ბუნებისათვის, რომ უმოძრაოდ დაესო შუა მინდორში, ის მხოლოდ ხედავდა სულ უფრო და უფრო ახლოს მისკენ მომავალ სხეულს, მერე გაარჩია, მთლიანად გაარჩია ის კაცი, უცებ მოტრიალდა და გაიქცა, სუნთქვა ეკვროდა, გულს აღარ შეეძლო მეტი სირბილი, თავი უბრუოდა, ყურებში გრძნობდა აუარებელ ხმებს, თითქოს მას მისდევდნენ კაცები, ცხენები, მანქანა; უზარმაზარი გადახნული მინდვრის შუაში ის ჩაიკეცა და უძლურებისგან ატირდა დიდი, სავსე ცრემლებით. ამ ცრემლებს ემატებოდა სიხარულის შეგრძნება, რომ «ის» ნელა უახლოვდებოდა. იმ დროს, როცა გიო მასთან მივიდა, ნათელა ტიროდა გულამომჯდარი, უკვე თავმინებებული თავის ცრემლებს, მისი პატარა მხრები თრთოდნენ, თხელი თითები ვერ იჭერდნენ თვალებზე მოწოლილ ცრემლებს. გოგონას უკვე აღარ ახსოვს, როგორ აიყვანა ხელში გიომ და როგორ წავიდა მინდვრის ბოლოსაკენ.

გიოს ნაბიჯები გაიზარდა, არასოდეს არ ჰქონია ასეთი დიდი და თბილი მკერდი, როგორც ახლა, როცა პატარა ნათელა ალბობდა მას უხმო ცრემლებით. ეს იყო წამები, როცა არც ერთი მათგანი აღარ ფიქრობდა არაფერზე. გიო მიდიოდა ფართო, დიდი ნაბიჯებით გორახიდან გორახზე, ნათელა კი ტიროდა, თავჩარგული კაცის უზარმაზარ მკერდში.

უკვე საღამოვდებოდა, მჭიდრო ღრუბლები მოიკრიბა ცის თავზე, მერე დინჯად დაიწყო თოვა.

_ აქ ისეთი დიდი თოვლი იცის, ისეთი დიდი, სულ ფარავს ამ სახლებს, – ხელი შეუშვირა ნათელამ ფიფქს, რომელიც დაცემისთანავე გაუდნა თითებზე, – თქვენთან არ იცის?

_ ჩვენთან იცის.

_ გუშინ რომ მოსულიყო გზაზე თოვლი, შენი მანქანა გამოივლიდა?

_ გამოივლიდა.

_ შენ არ ჩაიფლობოდი?

_ მე კი, ჩავიფლობოდი.

_ ე, შენ ვერც წყალში ჩახვედი გუშინ ღამე, ვერც მანქანა ამოიყვანე.

გიოს გაეღიმა, უბრალოდ, არაფერი უთხრა თავისი ვაჟკაცობის შესახებ, ყველაფერი მძღოლს მიაწერა, როცა ღამე ხიფათი შეემთხვათ წყალში გასვლისას. ნათელამ ვერაფრით ვერ მოითმინა, რომ გიო არ იყო მანქანის გამომყვანი წყლიდან. უკვე მესამედ უხსენა, რაც, აშკარად, მოქმედებდა გიოს თავმოყვარეობაზე.

_ აი, ძაღლი რო იყოს, რას იზამ? – უცებ ჰკითხა ნათელამ.

_ დავახრჩობ, – გადაჭრით თქვა გიომ; მათ ლაპარაკში ახლა სრულებით აღარ იგრძნობოდა ასაკის სხვაობა, არც იყო თითქოს რაიმე განსხვავება ცოდნაში ან გამოცდილებაში, უბრალოდ, ორი საკმაოდ სერიოზული ადამიანი ლაპარაკობდა სისულელეებზე, მაგრამ ვინ იცის, რა არის სისულელე, იქნებ სწორედ ამ სისადავეში არის ყველაზე დიდი გაგება, რომლისკენაც მიისწრაფვის ურთულესი მეცნიერული კამათები, მაგრამ ისინი ამაზე არ ფიქრობდნენ, მხოლოდ გიოს გაურბენდა ხანდახან თავში, რომ თვითონ დიდი იყო და უკვირდა, რომ ნათელა ასეთი პატარა ჩანდა შესახედად. ის არ ისვენებდა.

_ ქალაქელებს ძაღლის ეშინიათ.

_ ვისა, ქალაქელებს? მე არ მეშინია.

_ მაშინ, აბა, მიდი ახლო ვანოების ძაღლთან.

_ სად არის?

_ აგერ.

_ მიხვალ?

_ მივალ.

გიო დაიძრა ეზოს კართან მდგარი უზარმაზარი ქოფაკისაკენ.

_ გიო! – დაუძახა ნათელამ.

გიოს უკვე აღარ უნდოდა გაგება, უბრალოდ, მოუნდა დაემტკიცებინა ამ გოგოსათვის, შეიძლება თავისთვისაც, რომ ძაღლის არ ეშინოდა. ქოფაკი უცებ გაირინდა, ჯერ ვერ მიხვდა როგორ შეიძლებოდა მისკენ ასე თამამად წასვლა, შემდეგ წამში პირდაპირ, გაუფრთხილებლად გამოქანდა გიოსაკენ. იმავე წამში დაიძრა ქვით ხელში ნათელაც, მაგრამ სროლა ვერ მოასწრო, ისე ეცა ძაღლი ხელში გიოს, გიომ მთელი ძალით ამოარტყა მეორე ხელი ყბაში და უკან გადააგდო ქოფაკი, იმავ წამში

მოვარდნილმა ნათელამ ქვა ესროლა ძაღლს, რომელიც, ჩვეულებით, გამოუდგა ნასროლს, ამ დროს ორივენი მოსცილდნენ იმ ადგილს.

_ ნახე, რა ყოჩაღი ვარ, – იხუმრა გიომ.

ნათელამ წელზე შემოხვეული თავსაფარი შემოიხსნა. უხმოდ მოუწმინდა სისხლიანი ხელი და შეხვევა დაუწყო.

_ არ მინდა შეხვევა, – ბავშვივითა თქვა გიომ.

_ ასე ამბობს გიორგიც, _ უცებ შეამჩნია ნათელამ მსგავსება გიოს ტონში და თავისი ძმის ბავშვურ სიჯიუტეში. აცივდა. თოვლმა უფრო ხშირად დაიწყო ბარდნა, მათ ნაბიჯს აუჩქარეს. კვირა დღე დამთავრდა, გარეშემო თეთრი, თოვლიანი ღამე ჩამოწვა. საშინელი დაღლილები იყვნენ ორივენი, მთელი დღე სიარულისაგან, ნათელას სახლამდე მთელი ველი იყო გასავლელი.

_ დაიღალე, გიო? – ხელი მოჰკიდა ნაკბენ მტევანზე ნათელამ.

_ მე, ნათელა?

_ მე არ დავიღალე.

_ არც მე დავიღალე, – მხრები შეარხია ხუმრობით გიომ.

_ მე დავიღალე.

_ მეც დავიღალე.

_ აკი, თქვი, რომ არ დაიღალე.

_ შენი შემრცხვა.

_ ჩემი?

_ ჰო, შენი, შენ ჩემზე პატარა ხარ, შენ თუ არ დაიღალე!

_ შენ ჩემზე დიდი ხარ და უფრო არ უნდა დაღლილიყავი, არა?

_ ჰო, ნათელა..

_ გიო!

_ რა?

_ აი, აქ, ხევთან, თივით სავსე ქოხია.

_ თივით სავსე ქოხი?

_ ჰო, თივით სავსე. ჩვენები ყოველთვის მანდ ისვენებენ, როცა ტყიდან მოდიან.

_ გინდა დავისვენოთ ჩვენც, ნათელა.

_ მე არ დავიღალე, არ მინდა.

_ მე დავიღალე.

_ მეც დავიღალე, გიო, დავისვენოთ.

იმათ ნელა შეაღეს კარები თივით გამოტენილ ქოხში.

_ ბუფ! – დაიძახა ნათელამ და ორივეს გაეცინა.

გიო მიწვა თივაზე, საშინელ დაღლილობას გრძნობდა წინა ღამის უძილო, რამდენჯერმე სცადა თავის აწევა, მაგრამ სითბომ თავისი გაიტანა, მას ესმოდა ნათელას შეუჩერებელი ტიკტიკი ეშმაკებზე, ქოხზე, ტყეზე, დიდ ძროხაზე, რომელიც ყველაზე მეტს იწველება; უკვე შემდეგ, როცა დაიძინა, იგრძნო, როგორ აიღო მისი ნატკენი ხელი ვიღაცამ ხელში. ის იყო ძალიან, ძალიან მადლობელი, ეს იყო მის ცხოვრებაში საუკეთესო სიზმარი, შემდეგ მტევანზე თავი დაადო იმავე ადამიანმა, თბილი, სიზმარზე უფრო თბილი სუნთქვა იგრძნო მისმა სხეულმა, მაგრამ ის იყო ძალიან დაღლილი და ეძინა. ეს სიზმარი გრძელდებოდა დილამდე.

დილით, როცა გიოს გაეღვიძა, ქოხში აღარავინ იყო, მან ღიმილით დახედა იმ ადგილს, სადაც ნათელა იწვა, მერე წამოდგა, კარებზე უფორმო ასოებით ეწერა: სკოლაში წავედი. რაღაცა დიდი, თბილი სევდა მოაწვა გიოს, ცრემლები ახრჩობდნენ ამხელა ვაჟკაცს. ის დაიხარა, თავისი დიდი თათებით აიღო პატარა კირის ნატეხი,

რომლითაც ეწერა ის ორი სიტყვა, მერე თავი გაიქნია, ჯანსაღად შეათამაშა მხარი, გაიღიმა, ისე როგორც ყოველთვის, თავში რაიმე აზრის მოსვლის დროს, და კარებს მიაწერა: სამსახურში წავედი.

ძლივს გააღო თოვლით სავსე კარები. გარეშემო იდგა ნაცრისფერი დღე და ისევ შეუსვენებლივ ბარდნიდა, ღამე თითქმის კოჭებს ზევით დაედო, კარებიდან მინდვრისაკენ მოჩანდა სოფლისკენ მიმავალი პატარა ნაფეხურები, რომლის უკანასკნელ კვალსაც დიდი, ფართო ფიფქები აუღელვებლად ფარავდნენ. გიომ ნაკვალევში ჩადგა თავისი უზარმაზარი ფეხი, თოვლმა დაიჭრიალა, მერე მეორე ნაკვალევში; ისევ გაეცინა, ისეთი პატარა ნაბიჯების გადადგმა მოუხდა. თავი გაიქნია, სიამოვნებით ამოუშვა ფილტვებიდან დაგუბებული ჰაერი და დიდი, ძლიერი ნაბიჯებით გაემართა თოვლიან მინდორზე ძროხის ფერმებისაკენ.

წინ სულ ახალი, ფართო ნაფეხურები ჩნდებოდნენ, ხოლო უკან დინჯი, აუჩქარებელი ფიფქები ფარავდნენ ამ დიდ ნაფეხურებსაც, ისევე როგორც დაფარეს პატარა, გაუბედავი ნაბიჯებით გადადგმული ნაფეხურები.

იდგა ზამთარი და მოდიოდა თოვლი, აბა, სხვანაირად როგორ?

წინ კი ჩანდა როგორ ფუსფუსებდნენ სეპარატორისაკენ მიმავალი მწველავი ქალები.

[1959 წლის ზაფხული]

1.

«საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა», აღმოხდა გურამს, აღელვებული, აღგზნებული იდგა იგი მთის წვერზე, ქვევიდან ამოდიოდნენ რძისფერი ნისლები, ნისლები ამოდიოდნენ მარცხნიდან, მარჯვნიდან, წინიდან, უკნიდან, ფარავდნენ ყველაფერს, მხოლოდ მის გარშემო ჭაუხის დაკიდებული ფერდები იდგნენ შიშველი, შავი, ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლებით. ის მაგრად გაეხვია თეთრ ცხვრის ქურქში და გაირინდა, მისი ბუნება უძლურად ებრძოდა ჩამოვარდნილ სიმყუდროვეს, თითქოს ჩაქრა აღგზნება და არაბუნებრივი სიწყნარე ჩაგუბდა ჰაერში, ჯანღი მოედო აქამდე შიშველ ქედებსაც, მოაღწია გურამამდე, გაახვია თავის საბურველში. მან თვალები დახუჭა, ნეტარი უსურვილობა დაეუფლა ყველაფერს, ნისლებივით ბუნდოვანი, შეუკავებელი და უმტკივნეულო გახდა ეს კითხვაც, იქ, ქალაქში დარჩენილი განცდებიც, ის ადგილებიც, სადაც მიდიოდა უნებლიეთ სამოგზაუროდ და, რაც მთავარია, გაუქრა ყოველგვარი ნდომა, სურვილი. ნესტიან, გრილ ბურუსში გახვეულს, დაეკარგა ყოველგვარი შეგრძნებები, გარდა არაამქვეყნიური თუ, პირიქით, ზედმეტად მიწიერი ნეტარებისა, რომლის მსგავსიც არ განეცადა თავისი ცხოვრების ოცდახუთი წლის მანძილზე და რომელიც დარჩა მუდმივ მოგონებად მთელი დანარჩენი ცხოვრების განმავლობაში. მიწიერი შეგრძნებებიდან ეს მდგომარეობა შეიძლებოდა შედარებოდა მხოლოდ განცხრომას ნერვიულად ატირებული ბავშვისა, რომელსაც დედამ ძუძუ მისცა გასაჩუმებლად და ისიც, ტუჩებით ზედ მიკრული, გაინაბა, ჩაჩუმდა, გაყუჩდა, რადგან მიაღწია უმაღლეს სურვილს.

2.

შორი სიღრმიდან, ყრუდ, ნისლებში შემოაღწია მთის ნაკადულის ჩხრიალმა, ჭაუხის ნაკერში ამოსული ბალახის ჭამით გართულმა ჯიხვმა ახლოს კაცის არსებობა შეიგრძნო, კისერი გამართა, ყურები ცქვიტა, მერე უზარმაზარი ნახტომით გადაევლო ქვებით ჩახერგილ ნაკადულს და ნისლებიდან გავარდა. მთის დამრეც ფერდაზე პატარა კენჭით შეჩერებული ლოდი ნელა დაიძრა ადგილიდან, დინჯად ამოტრიალდა, ოდნავ შეხტა ბექობზე, ქანი აიღო და უცებ ზათქითა და ღრიალით დაეშვა დასახლებული ხეობისაკენ. კლდის ნამზღვლევს აჰყვნენ პატარა ქვები, გამხმარი გორახები, წყლისგან დამრგვალებული კირები და ღრიალით აავსეს ნისლებით დაგუბებული ქედი. ქვევიდან ქარმა დაუბერა, ამოძრავდა ჯანღი, დაიხლიჩა, რამდენიმე ადგილას შემოანათა მზის დაგრეხილმა სხივმა, ბურუსმა უფრო ზევით აიწია, გაიყო შუაზე და მზის სწორი სხივი დაეცა მთის წვერს,_ახლა ჭაუხი გაეხვია შავ საბურველში, დაიმალნენ თეთრი თოვლები. ქარმა იმატა. უმოწყალოდ დაუწყო ფანტვა ღრუბლებს, ქიმიდან ქიმზე მირბოდა ხტუნაობით, შიშითა და სირბილის ჟინით შეპყრობილი ჯიხვების ნოტო, საჯიხვე ბილიკით გავარდა ჭაუხის წვეროებისაკენ და იქ გაქვავდა, წინა ფეხებითა და მკერდით შეეზარდა კლდეს. დაკარგა მათთვის ყოველგვარი მნიშვნელობა ბუნების აღელვებამ, ამ უშიშარ ადგილას გარემოსადმი კლდის ქიმივით უგრძნობი გახდა ჯიხვების მთელი ფარა. ქარი კი მატულობდა და გმინვითა და წივილით ავსებდა ქვებს შუა დარჩენილ ნახვრეტებს.

3.

მე ვარ თბილისიდან, თბილისი დიდი ქალაქია, იქ ბევრი მწვანე ნარგავებია, ბევრი ბაღები და ბევრი მტვერი. დღე და ღამე გვიან მის ქუჩებს, რწყავენ წყლით, ასუფთავებენ; ქარს ჩამოაქვს მთებიდან მიწა, რომლითაც სწრაფად იფარება ქუჩები, მიწა ხმება და მტვრად იქცევა, მტვერს ამტვერებს დაუსრულებელ ნაკადად ქუჩებში მიმავალი ხალხი, მანქანები, ტროლეიბუსები, მტვერი შეაქვთ ბაღებში და იქ მწვანე იფარება თეთრი ფენით, სიცხისგან დნება ასფალტი, ფეხის ქუსლები ღრმად ესობიან შიგ, დუქნებთან გაოფლიანებული მედუქნეები დაუსრულებლივ ცლიან ლუდით დატვირთულ მანქანებს, ო, როგორ ცხელა თბილისში ზაფხულობით, განსაკუთრებით კი ორი–სამი დღე, რომელიც შემდეგ ზამთარშიაც კი არ გავიწყდება, არ გავიწყდება არც რუსეთის ყინვებში და არც გრილ ჭაუხებში. საშინელია ეს დღეები, ჩვეულებრივ შუა აგვისტოში რომ წაეწყობა ხოლმე ზედიზედ. ამ დროს მზე აჭერს მთელი დღის განმავლობაში, ოღონდ სუნთქვა მაინც შეიძლება ნორმალურად, ჭადრის დიდი ჩრდილები იფარავენ მზისგან ხალხს, ზოგი როგორც წვიმის დროს, ისე ყოფს ხელს მზეში, ამოიოხრებს, გაიღიმებს და ჩრდილში დგომას განაგრძობს. ნელა მოძრაობს მზე ცაზე, ალბათ, საშინლად სცხელა მასაც, რადგან არც ერთი ღრუბელი არ ფარავს, არ აგრილებს მის დისკოს. რუსთაველის პროსპექტიდან აწვდილი სახლების გაყოლებაზე მოჩანან დამწვარი ქართლის მთები, რომელთა ქიმსაც ეფარება იგი, ისევ ამოდის თითქოს და მერე მთელი ღამით ისვენებს ჩრდილებში. ამ დროს სულ ერთი წამით თითქოს დაიძვრება საიდანღაც სიო და ირინდება ბუნება. იკარგებიან ჩრდილები. ამ დროს იწყება ნამდვილი უმოძრაო, ულმობელი სიცხე თბილისში.

4.

თავისი საზოგადოება ჰყავს ზაფხულის თბილისს, ეს ის ხალხია, რომელიც წლიდან წლამდე არ გადის ქალაქიდან. აქ არიან პატარა ბავშვები, გაყვითლებული მზისგან, რომელიც ქუჩაში არ წვავს, არამედ ახმობს, არიან ბებრები, გაბოლილი პაპიროსის ბოლით, და არის ჩემი ხნის ხალხი, ისინი უმეტესად ჩემი ნაცნობები არიან. იკრიბებიან ვერაზე, კიროვის ბაღში, აქვე მოდიან მოხუცები ჰალსტუხებით, აქვე თამაშობენ ბავშვები ტრუსიკებში, ჩემი ხნის ხალხი იცვამს პერანგებს და ჰალსტუხებს არ იკეთებს. ძნელია ამ დღეებში, უფრო სწორად, საღამოებში, განძრევაც კი, ოფლიანი ტანისამოსის სხეულზე მიკვრა საშინელ შეგრძნებებს იწვევს. ამ დღეებში გაუთავებელ რიგებად ზის ხალხი ამ ბაღის გრძელ სკამებზე და იქნევს თავს იმის ნიშნად, რომ მართლა საშინელი სიცხეა, ზოგს ესეც კი ეზარება, განსაკუთრებით იტანჯებიან ისინი, რომელთაც ხშირად არ უხდებათ ქალაქში დარჩენა. ამ დროს ყოფენ სოროებიდან თავს ძველი მეზაფხულეები, ისინი გაღეღილი გულით დააბიჯებენ ბაღში, ხუმრობენ გაუთავებლივ და შარვალში ჩაკეცილ პერანგებს უჩეჩავენ ერთმანეთს. ყველგან, უმოძრაო ჰაერში, ისმის მათი ხმები, ისინი ახლა ხდებიან ამ ბაღისა და მთელი ქალაქის ბატონ-პატრონები, უმეტესი მათგანი, განგებ თუ დიდი ხნის ჩვევისგან, არავითარ ყურადღებას არ აქცევს სიცხეს, მტვერს, ზიზღით უყურებს მოწყენილ სახეებს, რაც შეიძლება ხმამაღლა იცინის ან, ვინც საერთოდ ჩუმია, ჩუმად იღიმება. არის მათში რაღაცა პატარა ტრუსიკიანი ბავშვისა, მუდმივად ბაღში მყოფი ჰალსტუხიანი მოხუცი მაკლერებისა და ამ სიცხეშიაც კი საჯარო სამკითხველოს ფანჯარასთან მჯდომარე, ეინშტეინის თეორიის თუ კანტის შემსწავლელი, სრულიად უსაქმო, უკვე გონებაარეული, მოძრავთვალებიანი, ნახევრად გიჟისა. რაც მთავარია, ისინი ამ სიცხის ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს.

5.

არის ხალხი, რომელსაც არ შეუძლია არ იყოს ყურადღების ცენტრში ყველგან და ყოველგვარ სიტუაციაში, არ დაიჩემოს ერთგვარი პირველობა, რაგინდ უაზრო და არაფრის მთქმელი იყოს ის, საერთოდ, ზოგადად და გინდაც კონკრეტულ მომენტში. ასეთ ადამიანებს, ჩვეულებრივ, მხედველობიდან ეპარებათ ის ძირითადი, რასაც მოაქვს ნამდვილი კაცური დიდება, რადგან არც ერთი წერტილი თავის გარეშემო არ შეუძლიათ დატოვონ უყურადღებოდ, რაგინდ არაფრის მომტანი იყოს იგი. ყველა სიტუაციაში პირველობის სურვილით შეპყრობილთ, აღარ ჰყოფნით უნარი, რომ ძირითადი, მართლა საქმიანი მომენტის დროს, თქვან თავისი სიტყვა, რომელიც, ასე თუ ისე, ზოგადად, პატივსაცემი და მისაღები იქნება ადამიანთა ყველა ჯგუფისათვის. ეს თვისება, რომელსაც აშკარად იწვევს ზედაპირული, დილეტანტური ნიჭი, მოკლებული კონკრეტულობის შეგრძნებას, რაზეც, ძირითადად, უნდა აშენდეს ყოველი დიდი საზოგადო საქმე, განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართველის ბუნებისათვის. მაგალითად, ქართველს ვერ წარმოუდგენია იჯდეს სუფრასთან და იყოს მრგვალი მაგიდის უფლებებში, აქ მაინცდამაინც უნდა პირველობა, თუ იგი თამადად არ აირჩიეს ან არ შეუძლია, მაშინ პირველობის მოპოვებამდე დასცინის თამადას და ყოველგვარ ნიადაგს აცლის, ასეა ყველა დაწესებულებაში, სადაც დირექტორი სხვებისთვის მორალურად ყველაზე პატარა კაცია, რომელსაც გულში შეგიძლია პატივი არ სცე და დასცინო, რამდენიც გინდა. ასეა ყველა ქართულ საქმიან თუ ძმაბიჭურ გაერთიანებებში – პირველი კაცი ყოველთვის ყველაზე ნიადაგგამოცლილია, რადგან იგი დაუსრულებლივ გარშემორტყმულია ისეთივე სურვილით შეპყრობილი პატარა პირველი კაცებით,

რომლებსაც მხოლოდ ენერგია არა ჰყოფნით ამ პირველობის თავზე ასაღებად. აბსოლუტურად მოკლებულია ქართველი მორჩილების შეგრძნებას და დაუსრულებლივ სავსეა იმ გრძნობით, რომ პირველი იყოს თვითონ. ქართველისათვის არ არსებობს სიამოვნების შეგრძნება თავისთავად, თავისთვის, ის უნდა იყოს პირველი, ოღონდ აქაც არ არის კმაყოფილი, რადგან გრძნობს ქვეშეცნეულად, რომ საზოგადოდ მაინც არ არის სულ პირველი.

6.

რა უაზრობაა იყო პირველი, როცა შენ გარშემო ყველას დაკარგული აქვს მოძრაობის უნარი, როცა ერთ დროს მწვანე ბაღის ხის ფოთლებიც კი კარგავენ თავის პრივილეგიას გამოსცენ ჩრდილი ან დაირხნენ ნიავისგან და გააგრილონ გარემო. მაგრამ, აბა, დავუფიქრდეთ: სხვადასხვა მდგომარეობის გამო ეს ხალხი წლიდან წლამდე ვერ გადის ქალაქიდან და ბოლოს იქამდე ეჩვევა ამ მდგომარეობას, რომ აღარც კი უნდა სხვაგან წასვლა. ხალხი ცურაობს, ერთობა, თამაშობს, დადის მყინვარებზე, ყველას ბავშვობიდან ათასი ჩვევები აქვს შემუშავებული, რომ კარგად გაატაროს ზაფხული. ამათი კარგი გატარება კი ეს არის. ო, რა მოუთმენლად ელიან ესენი სიცხეებს და განსაკუთრებით ამ ორ-სამ დღეს, როდესაც, მათ გარდა, თავისუფლად ვეღარავინ სუნთქავს, განა რამე შეედრება ამ ნეტარებას _ ირბინო, როცა სხვები ვერ მოძრაობენ, იჩაჩო პერანგები, როცა სხვას მთელ ნერვებად უჯდება ტანისამოსის ერთი ზედმეტი შეხებაც კი ტანთან და, რაც მთავარია, იაზროვნო! იაზროვნო ისე, როგორც ამას ვერ მოახერხებს, ვერ შეძლებს სხვა ყველაზე საუკეთესო პირობებშიც კი, წარმოიდგინეთ თვითონ ისინიც, ერთი სიტყვით, მათთვის ეს ორი-სამი საშინელი დახუთვის დღე არის დაუსრულებელი აღტკინების, ფიზიკური სიმხიარულისა და ნამდვილად სერიოზული ინტელექტუალური აღმავლობის ხანა, რომელიც, რასაკვირველია, თავისი არაბუნებრივი სიტუაციის გამო, გარკვეულ უკიდურესობას აღწევს, ოღონდ ეს უკიდურესობა, თავისი აზრების სიმაღლითა და პოეტურობით, გაცილებით მაღლა დგას მათთვის, ვიდრე წელიწადის სხვა დღეები, ერთად აღებული.

ამ სიცხიანი ამინდების დადგომისთანავე დაეტყო ამ ჯგუფს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. ყველანი გამოძვრნენ ხვრელებიდან, ზოგი ადგა და, აქამდე მიკედლებული სხვა ჯგუფს, უცებ გაერთიანდა, თითქმის უარყო ყველა და ყველაფერი. უცნაური პროტესტით გაიმსჭვალა მათი გული რაღაცისადმი და კონკრეტულად ყველა იმისადმი, ვინც ვერ იტანს სიცხეს და ეშვება.

7.

ლამაზია კიროვის ბაღი ახლაც კი, როდესაც არც ხეებს და არც ხალხს თავის აწევის უნარიც კი აღარა აქვთ. მებაღეები შეუჩერებლივ რწყავენ წითელ მიწასა და მწვანე ფოთლებს, მაგრამ ეს ხელოვნური ნოტიო კიდევ უფრო ამძიმებს ჩამობურულ ატმოსფეროს, თითოეული გასაგრილებლად აქნეული მოკეცილი საღამოს გაზეთიც კი მხოლოდ მეტ სიცხეს აყენებს, საყელოს გახსნაც კი გასაგრილებლად კარგავს თავის აზრს. ინაბება ყველაფერი და ამ უმოძრაობაში მკვეთრად ისმის ცოცხალი, ხმამაღალი სიცილი, ლაპარაკი, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება. ზაფხულის ხალხის ფერმკრთალ სახეებზე გამოჯანმრთელებული ავადმყოფის ღიმილი თამაშობს. მათ არავინ არ აქცევს ყურადღებას და სწორედ ეს აძლევს სითამამეს, სიცოცხლეს ამ

ადამიანებს, ისინი არც ცდილობენ თითქოს სხვისი ყურადღების მიპყრობას, უცნაური პასიური პროტესტია მათ მოქმედებაში ბუნებისა და დაუძლურებული ხალხის წინააღმდეგ. გაზონის გაყოლებაზე იწყებენ ისინი «დვა უდარას» თამაშს. თამაშობენ ზუსტად ისევე, როგორც სხვები ნორმალურ პირობებში _ გატაცებით და ფარული მოლოდინით, რომ ამ თამაშს უფრო მეტი რაღაცა შეიძლება მოჰყვეს, ამ შემთხვევაში, გონების ვარჯიში, ფიქრი უცნაურად გაჩერებულა ამ დიდი ბავშვების სახეებზე, თითოეული გადახტომის დროს თითქოს თითო აზრი გამოიხატება ან ჩაისახება. ნიავი არსაიდან არ იძვრის და ჩასახულ აზრს გაფანტვა არ ემუქრება, ეს სულ უფრო და უფრო გროვდება, ცხოველდება თამაში. ზედმიწევნით იხატება თითოეულის ხასიათი თამაშისას და, ერთი შეხედვით, ამ ერთი მასიდან მრავალი, სრულიად საწინააღმდეგო ინდივიდუალური ხასიათი იკვეთება, მაგრამ რაღაც არ ჰყოფნის მათ თამაშს, ყველას ერთნაირი უფლებები აქვს თითქოს, რაც იწვევს ერთმანეთისადმი მორიდებულობას და უფლებას არ აძლევს ერთს, გააკეთოს ნახტომი სხვაზე უკეთ, უცნაური ხათრით უყურებს ეს ხალხი ერთმანეთს, საკმარისია რომელიმე ჩაიჭრას, რომ უჭიჭყინოდ დაიკავოს თავისი ადგილი.

8.

ყველაფერში იგრძნობა თავშეკავება, საკმარისია მიუახლოვდნენ მეშვიდე-მერვე დანაყოფს, რომ «ვირი» გამოცვალონ, ნახტომები ძალდაუტანებელია, უჯიბრო, ვისაც რამდენზე შეუძლია. სხვა დანარჩენი, ცოცხალი, გარშემო გარინდებულია, უმოძრაო. ძალიანა ჰგავს კიროვის ბაღი ამ დროს ომის ველს, სადაც გაწყდა ერთი ჯარი, სადაც გაწყდა მისი მოწინააღმდეგეც და მხოლოდ რამდენიმე დაჭრილი, გაწვალებული მუსიკოსი განაგრძობს დაკვრას მონოტონურად, ხალისით, ოღონდ უჯიბროდ /მტერი აღარ არის/. ხვდება ბარაბანს თავდუნდულა ჯოხი: ბუმ-ბუმ, ვიოლინოს სიმები სულ გაწვრილებულან და ის ნერვიულად, წვრილად უკრავს, დიდი ბასები ერთ ხმაში ბერავენ, საყვირი ჭიმავს, ოღონდ ისე, რომ ზედმეტად აღარ გაჭრას ჰაერი, აქ არის ტკბობა თავისი საკუთარი სიცოცხლით დახოცილ ბრძოლის ველზე და არა ვინმესადმი დაპირისპირება. ორკესტრი ასრულებს თავის სასიცოცხლო მისიას, თავის მინიმალურ მოწოდებას ამქვეყანაზე.

მოთამაშეებს შორის არის ერთი დიდი ზომის ბიჭი, რომელიც ყველაზე გულუბრყვილოდ იღიმება, როდესაც მთელი სიმძიმით, მოურიდებლად ახტება «ვირს». არის სამი პატარა თხელი ახალგაზრდა, რომლებიც ჩიტებივით მსუბუქად ახტებიან «დედას», არიან მათ შორის მოკლეფეხება ბიჭებიც, არიან მოკლეხელებაც და ერთი ათლეტური ტანის, ენერგიული სახის ვაჟკაციც. ის მხოლოდ ორ ნაბიჯს აკეთებს, რომ გადაევლოს «დედას» და მსუბუქად ბრუნდება ბარიერისაკენ. სიცილს და გამორჩეულ სიმხიარულეს იწვევს სულ უბრალო შტრიხები, თუნდაც გადახტომის დროს ვირისთვის წიხლის მსუბუქი ამოკვრა ან სიტყვები «Базар закрывается, цирк открывается». ყველაზე დიდ გამოცოცხლებას იწვევს, როდესაც დიდი ზომის, თითქმის უკვე კაცი, დგება «ვირის» ადგილას. პატარა ზომის ყმაწვილები, რომელთაც ყველაზე ძალიან უჭირთ მის ზურგზე გადავლება, ჩუმი სიცილით იგუდებიან, ხოლო თვითონ «ვირი» მთელი ხმით როხროხებს და სულ კითხულობს: «ჰა, გადახტით თუ არა, რწყილებო?»

9.

უცნაური ხალხია ქართველები, მათთვის არ არსებობს თავისთავად, სხვისგან დამოუკიდებლად, სხვასთან დაუპირისპირებლად, სიამოვნების შეგრძნება, განცხრომა ან ნეტარება, ამიტომ, ერთი შეხედვით, ეს მხიარული თამაში უფრო მეტად უსვამს ხაზს სიცხესა და უმოძრაობას, აშკარად აკლია მათ გართობას შეჯიბრის, მიზნის შეგრძნება, ამას ქვეშეცნეულად გრძნობს თითოეულის სხეული, რაც ერთმანეთისადმი მეტ ხათრს და ამ უმიზნობით გამოწვეულ მორიდებას, მორცხვობას იწვევს. შუა თამაშში მათ უკვე ისეთი სახეები აქვთ, თითქოს ერთმანეთისადმი რაღაც დანაშაული ჩაიდინეს. ხანდახან ჩნდება რომელიმეში წინ გავარდნის, სხვაზე კარგად გადახტომის ნაპერწკალი, მაგრამ დანარჩენები ისეთი სიამოვნებით უთმობენ ამ პირველობას, რომ ის, დამორცხვებული, უცებ იხევს უკან. უცნაურია, რომ «ვირად» დადგომისას წაჩიჩყინება მხოლოდ ზრდილობის გულისთვის ხდება და არა აზარტისაგან.

ჰალსტუხწაჭერილ რამდენიმე მაკლერს მუმიასავით შერჩენია ოდნავ გვერდზე გადახრილ სახეზე ღიმილი, არც სხვებში იწვევს რაიმე განსაკუთრებულ ემოციას ასეთი, ერთი შეხედვით, ცოცხალი თამაში, თითქოს ყველანი თვლიან, რომ «ეჰ, ეგ არაფერი. ერთი-ორი დღე წაითამაშებენ და მორჩა», მებაღეც კი არა ბრაზობს, რომელსაც სრული უფლება აქვს იწიწმატოს მიწის გაფუჭებისათვის. ყველაზე მეტად თვითონ ზაფხულის ეს ხალხი გრძნობს, რომ რამენაირად საჭიროა ტონუსის აწევა. «ი, შენი», წვრილი ხმით ამბობს დიდი კაცბიჭა და პატარა ჭიჭყინას, რომელიც ჰაერშია შემხტარი, პირდაპირ წყლით სავსე აუზში აგდებს. ის ამოწუმპული დგას შუა აუზში და იცინის, დიდი თითქოს იმორცხვებს, რომ შეიძლება ვიღაცას ოდნავ აწყენინა და თვითონაც ხტება აუზში. «აჰა, მერე რა, მეც ხომ ჩავხტი, კარგია, არა, აქ?». იძახის სიცილით და ორივენი ზევით ამოდიან, სადაც გარემო სწრაფად აცლის ნოტიოს უბრალო ნასახსაც კი მათ ტანისამოსს – კონფლიქტი არ შედგა, ისევ გრძელდება თამაში, ოღონდ ახლა გაცილებით დუნედ, და საცაა ამ ჯგუფმა ფარ-ხმალი უნდა დააწყოს და სხვებში აირიოს.

10.

თამაშის მაყურებელთა შორის ვზივარ მეც. მე პირველად მოვხვდი ზაფხულის ამ დროს თბილისში, ჩემი სხეული არ განიცდის განსაკუთრებულ წუხილს არც სიცხის, არც სიცივის დროს, ეგ კი არა, მსიამოვნებს კიდეც ასეთი საპირისპირო მდგომარეობები, იმდენად კარგადა ვგრძნობ ხოლმე თავს. ვგრძნობ, რომ გამოვიყოფი ამ ნახევრად მიცვალებული თეთრი მაყურებლისგან, ზღვის სხივების სიმცხუნვარისგან გარუჯული ჩემი სხეული ოდნავ პრიალებს, თვალებს ვერაფრით ვერ ვასვენებ, ოღონდ მათ ტონში ჩავარდნილი, მეც ჩუმად ველაპარაკები ჩემ გვერდზე მჯდომს, რომელიც ოდნავ დაცინვით უყურებს მოთამაშეებს და ყველა საჭირო მომენტში რაღაც უმტკივნეულოდ იაზვა რეპლიკას აშველებს. პირველად გადავწყვიტე შევკედლებოდი ამ, სიცხისაგან ოლიმპიური სიმშვიდით მსხდომ, მოსაუბრე ხალხს და ჩემი უმოძრაობით ჩუმი უგულებელყოფა გამომეცხადებინა მოთამაშეებისათვის. რამდენიმე ხანი ეს შევძელი, მაგრამ თვალები ვერაფრით ვერ მოვაშორე ხტომას, რომლის თითოეულ ნიუანსს ხარბად ვიჭერ და თითქოს სხეულით ბიძგსაც კი ვაძლევ, რომ უფრო კარგად გადახტნენ, მაგრამ არაფერი არ გამოდის. არ ცოცხლდება და არა თამაში, რაც გინდა დუნე იყოს თამაში, მაინც ვინც მოძრაობს, იმათთან არის ჩემი ადგილი, სულ უფრო ცოტა ყურადღებას ვაქცევ ჩემი თანამოსკამების ბაასს, ერთ-ორ რაღაც ხმამაღალ ხუმრობას ვისვრი, რომელსაც

საკმაოდ შეკავებული ღიმილით ხვდებიან და ვიმართები, სიამოვნებით ვგრძნობ, როგორ ტკაცუნობენ კუნთები, ზამბარებივით იჭიმებიან ჩემი ნაბიჯები და მივდივარ მაკლერებისაგან. «ჰაა,» ვამბობ ხმამაღლა და ენას ვყოფ, მათი თავები ოდნავ იმართება, ხოლო ღიმილი უფრო მკვეთრად ეხატებათ სახეებზე. «აბა!» ვიძახი უკვე შემობრუნებული და გაქანებული ვახტები უკანა მხრიდან «ვირს»; «ჭ-ხ!» ისმის ჩემი თავის სხვასთან დაჯახების ხმა, იქითა მხრიდან გამოქანებული ათლეტური ტანის ბიჭი, რომელიც ვერ დავინახე, და მე ერთმანეთს ვეჯახებით, ორივე ვეცემით მიწაზე და ვიცინით.

11.

«ითამაშებ?» მეკითხება ის, როცა ფეხზე ავდექით ორივენი, «აბა რა!» ვპასუხობ მე. «ვირი» კენჭს მიყრის შემოსასვლელისას, მაგრამ თვითონვე ხვდება კენჭი და დგება. მე სულ მავიწყდება, რომ ასე დუნედ მიდიოდა თამაში, «ვირი» უკვე მერვე ხაზს გასცდა, მე შორს ვიხევ უკან ქანის ასაღებად და თავისუფლად ვხტები, სხვებიც ხტებიან, მეცხრე ხაზთან ერთი იჭრება და ახლიდან იწყება თამაში. ვგრძნობ, რომ უკვე ყველა უკვირდება თავის ნახტომს, რაც უფრო მახალისებს, «ვირი» მეათე ხაზამდე ადის, პირველი ვხტები მე, მეორე რიგშია ათლეტური ტანის თხელსახიანი ბიჭი. ვხტები მთელი ძალის დაძაბვით, ოღონდ მაინც თავისუფლად, ვგრძნობ, რომ ორი ხაზი კიდევა მაქვს მარაგში. «აბა, ჯუმბერ!» ამხნევებენ მას ბიჭები. ის ემზადება, რამდენიმე უმოძრაო დგება თავისი სკამიდან და ახლოს მოდის საყურებლად. «თამაში გახურდა», ხმამაღლა ხითხითებს ერთი მაკლერი. ის ბიჭი გამორბის და ხტება, სხვები უარს ამბობენ გადახტომაზე, შეჯიბრი ჩვენ ორ შუა გრძელდება, სხვებმა თავისი უფლებების დაცვა ჩემს მოწინააღმდეგეს მიანდვეს, მე, ჩემს თავს, ვერც კი წარმომიდგენია, რომ მას მივანებო პირველობა; უკვე მეთერთმეტე ხაზზე დგება «ვირი», მანძილი საკმაოდ დიდია, ახლა უკვე ბევრი ცნობისმოყვარე მოდის საყურებლად, მებაღე დიდი ცოცხით საჩხუბრად ემზადება, მაგრამ მასაც აინტერესებს გადახტომის შედეგი, საიდანღაც ჩნდება უცნაური აზარტი. «აბა, ჯუმბერ, აბა, ჯუმბერ!» ისმის აქეთ-იქიდან, «არ შეარცხვინო კიროვის ბაღი». ჯუმბერი ქანს იღებს ჩემ წინ, პირველ ცდაზე ვერ ხტება, ვერც მეორე ცდაზე ხტება და ძლივს იმაგრებს თავს, რომ ზედმეტი ნაბიჯი არ გააკეთოს, მაკლერები ფეხზე დგებიან. მე ურიგოდ გამოვრბივარ და ვახტები გაჭირვებით, მაგრამ მაინც თითქოსQმსუბუქად. «ვირი» გამართვას აპირებს, ოღონდ ჯუმბერი არ უშვებს, დაუფიქრებლად გარბის ბარიერისკენ, ხტება, ახტება «ვირსაც» და მაკლერების ფეხებთან იშხლართება, ნიკაპს სკამის კიდეს არტყამს და სისხლი მოსდის.

12.

«დავანებოთ ამ ბავშვობას თავი,» იძახის მსუქანი ბიჭი; ჯუმბერი წყლით იწმენდს სისხლს და დაცერებული ღიმილით მოდის ჩემკენ. «ყოჩაღ, მაჯობე,» მეუბნება ის. «რატომ? შენც ხომ გადახტი», ვპასუხობ მე. «ეგ ყველაფერი ბავშვობაა», ისმის ხმები, ჯუმბერი ჩემ სახესთანა დგას და ნიკაპს ირონიულად ათამაშებს, ერთხელ დაძრული ჩემი სხეული ვეღარ ისვენებს, ყველანი რაღაც დაძაბულობას გრძნობენ და გარშემო გვერტყმიან; თითქოს სადღაც გაქრა სიცხე, ვგრძნობ როგორ იმსჭვალება შურითა და ზიზღით ჩემდამი ხალხი, კაცისადმი, რომელიც სიცხეს მართლა უარყოფს. «ამ სიცხეში რა დროს შეჯიბრია,» იძახის ვიღაცა, მაგრამ არც მას, არც სიცხეს უკვე

ყურადღებას აღარ აქცევენ. «ჩვენთვის ეგ გართობა იყო,» არ ცხრება მსუქანი. «არ გავაგრძელოთ გუშინდელი კამათი?» «რა დროს კამათია!» მკვეთრად პასუხობს ჯუმბერი. მე აუღელვებლად ვუყურებ. იმ ფაქტის გამო, რომ რაღაც მოხდა, რამაც ერთი წამით სიცხე დაავიწყათ, მაკლერები სიამოვნებისგან იფშვნეტენ ხელებს. ისინი აშკარად შეჯიბრის ჟინით ანთებულ, ნეიტრალურ ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც როგორც პატარა ბავშვებს, ხან ერთს უდგებიან, ხან მეორეს, რომ აჭიდაონ და გაერთონ. მოთამაშეები, რასაკვირველია, ჯუმბერის მხარეს იჭერენ და აშკარად უნდათ მოიგონონ ისეთი თამაში, სადაც ის გაიმარჯვებს; ახლა უცებ გამოიკვეთა, რომ ეს ბიჭი, რომელიც მე მომწონს კიდეც, ფერმკრთალი, დამცინავი სახით, თურმე მათი ბელადია, რაზეც არც ერთი მათგანი არ დაფიქრებულა აქამდე, ახლა ყველა მასზე ამყარებს იმედებს, მის მხარესვე იჭერენ უმოძრაო მეზაფხულეებიც. მე სულ მარტო ვარ, ყველას უნდა ჩემი დამარცხება, ეს მეტ ძალას და გამბედაობას მაძლევს, თანაც ინსტინქტით ვგრძნობ, რომ უმეტესობას კი არა, თითქმის ყველას, თავისი ახლად აღმოჩენილი ბელადის დამარცხება უფრო გაუხარდება გულში, ვიდრე ჩემი, თუნდაც იმიტომ, რომ ის უკვე უნებურად მათი ბელადია. მე, რაც შემიძლია, გულგრილ და დამცინავ სახეს ვიღებ.

13.

ყველანი ელიან, რომ ჩვენ უნდა ვიჩხუბოთ, მაგრამ ლაპარაკი ჯერჯერობით მშვიდობიანი მიდის. ხალხი ნელ-ნელა აწვება ჩემს მოწინააღმდეგეს უკნიდან. ის სულ ახლოს მოდის ჩემთან და ვგრძნობ მის ხშირ სუნთქვას. «ვიჩხუბოთ»? უცებ ვეკითხები მე პატარა ბავშვივით. მსუქანი დაიძაბა: «ჩხუბი, რა, მოწაფეები ხო არა ხართ ამხელა ხალხი!» გურამს ერთი სისულელე ყოველთვის აქვს მარაგში: «გინდა სირბილში გავეჯიბროთ»?! ამ სიტყვებმა განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია, როგორც გამოირკვა, მისი მოწინააღმდეგე ერთ დროს სირბილში ვარჯიშობდა და მესამე თანრიგიც აიღო. მთელი ატმოსფერო შეჯიბრისა და პირველობის ჟინით იტენება, ო, რა წვრილმანებში მჟღავნდება უდიდესი ვნებები ჩვენს საქართველოში. აქამდე ეს სერიოზულად განწყობილი ხალხი ვერაფერს უცნაურს ვერ ხედავს ამაში. კიროვის ბაღის გარეშემო ფართო გზა მიდის ოვალურად, ზედ წამოხურული ჭადრების ქვეშ. ეს გამოცდა გურამისთვის არაფერს არ ნიშნავს, ის ენდობა თავის სუნთქვას, ფეხებს, გამძლეობას, პირიქით, სახეზე სიხარული ეხატება, რომ ზედმეტი ენერგია უნდა დახარჯოს, შეჯიბრი სიხალისეს მატებს. სიხალისე ემატება ყველა მაყურებელსაც, რომლებიც სიცხეს თითქმის აღარ აქცევენ უკვე ყურადღებას. ხმამაღალი ლაპარაკით იჭერენ ადგილებს გზების გასწვრივ. მხოლოდ ორი-სამი ბიჭი მეზაფხულეებიდან ჩურჩულით მისდევს ჯუმბერს, რომელიც კვლავ ირონიულად იღიმება; ეს ირონია თითქოს ყველაზე მეტად თავის თავისადმია მიმართული, იგი ეხება მის შედარებით სისუსტეს, რასაც გრძნობს ამ ჯანსაღ ბიჭთან შედარებით, ეხება იმ წლებს, რომელიც ტყუილად დაკარგა და რომელთა განმავლობაშიაც არაფრის გაკეთება არ შეეძლო, გარდა მათი უქმად დაკარგვისა. ის ორი-სამი ბიჭი, რომლებმაც თავიანთ ლიდერად წამოაყენეს, გრძნობენ ამასვე და უშედეგოდ ცდილობენ უარი ათქმევინონ უმიზნო შეჯიბრზე.

14.

შეჯიბრი თავისთავად მიზანია! იგი მოითხოვს ფიზიკურ ენერგიას, სულიერ ძალას და ელასტიურობას, უფრო ზუსტად, ორივე ენერგიის რაციონალურად და ეშმაკურად გამოყენებას, ეს ბოლო სიტყვა ეკუთვნის მოწინააღმდეგის შეგრძნებას, რომელიც უნდა მოტეხო, თუ მასში ორივე ეს ენერგია ერთნაირი ზომით არ არის განაწილებული. ჯუმბერი თავს შეზღუდულად გრძნობს ყოველ ნაბიჯზე – მასზე იმედებს ამყარებენ! ყველა გურამის წინააღმდეგია ოფიციალურად, ის მათში მხოლოდ ერთ მოწინააღმდეგე მასასა გრძნობს, რომელსაც უნდა აჯობოს, ჯუმბერისთვის ეს ერთი მთლიანი მასა ცალკეულ პიროვნებებად იყოფა, რომელთა აზრსაც მისი გონება ცალ-ცალკე ამუშავებს მისი გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში, ეს დაშლა უკვე ამძიმებს მის სულიერ ძალას და ასუსტებს. ფეხებს ის ძლიერად გრძნობს, მაგრამ მუხლები ოდნავ უთამაშებს, ერთი წამით მის გონებას უაზრობად ეჩვენება ეს შეჯიბრი და ეს მომენტი წყვეტს ყველაფერს: ღირს თუ არ ღირს? ორად ყოფს ეს კითხვა მის ნებისყოფას. გურამი კი არ ფიქრობს არაფერზე, მსუბუქად გარბის პირველ წრეს საკმაოდ მაღალ ტემპში, მერე განგებ რჩება და წინ უშვებს მოწინააღმდეგეს, რომელსაც ფეხში უჯდება და სუნთქვით აგრძნობინებს, რომ ყოველ წამში შეუძლია გაუსწროს. მეორე წრის შემორბენის შემდეგ აღარავინ აღარ ხმაურობს. მეზაფხულეები განიცდიან ჯუმბერის გაორებას, ჯუმბერი უკვე მძიმედ ქშინავს: «რა ჩემი საქმე იყო ამასთან შეჯიბრი, პირველ შემხვდურთან, თანაც ასეთი უაზრო». ეუფლება მის სხეულს ეს განცდა, ის კი სულ ახლოს მორბის მასთან. «მომიგებს, მომიგებს, მომიგებს,» ფიქრობს ის. «მოიგოს რა»? პასუხობს თავის თავს და თითქოს ეშვება, სწორედ ამ დროს გურამი წინ გავარდება და უნებურად თავის რიტმში იყოლიებს ჯუმბერს. ფეხები აღარ ემორჩილება ჯუმბერს, საშინელი სევდა იპარება მის შეჯიბრში, მის სხეულს უკვე აღარ შეუძლია შეჩერდეს და გარბის, გული მძიმედ, შეყოვნებებით მუშაობს.

15.

უცებ ამ ჩამოვარდნილ დაძაბულ სიჩუმეში ისმის ყვირილი და ყველანი მათკენ მორბიან. სირბილისას ამოძრავებული ხელოვნური სიო უცებ გუბდება. გურამი ჩერდება და უკან იხედება. შუა გზაზე გაშხლართულ ჯუმბერს პირი ფართოდა აქვს გაღებული, თვალები თითქმის უვარდება ბუდეებიდან და მათში, მიუხედავად ასეთი დაძაბულობისა, საშინელი კაეშანი და უძლურებაა ჩაღვრილი, «ო, თქვე ფინთო ვაჟებო, რა უბრალოდ დაიღუპეთ თავი!»

«რა უბრალოდ, რა უბრალოდ, რისთვის»? მეორდება დაუსრულებელ კითხვებად გურამის თავში. ერთი წამით ქრება სიცხეც, მეზაფხულეთა სახეებიც, თბილისიც, თვითონ ისიც და ცარიელი გაბერილი სივრცე იკავებს ყველას ადგილს. გარეშემო ხალხი ტრიალებს, ხრიალებს, ყვირის, ჭიჭყინებს, ყველანი ჯუმბერს ეხვევიან. «მოკვდა, მოკვდა,» ისმის ხმები. გურამი სულ მარტო დგას, აღარავინ არ აქცევს მას ყურადღებას, არც ლანძღავს, არც ზიზღით უყურებს, უცებ საშინელი სიმკვეთრით იჭრება თითოეულის მოფუსფუსე სახე, ზოგს თვალებზე ცრემლები აქვს, ბაღში პირდაპირ შემოდის სასწრაფო დახმარების მანქანა, მიაქვს ჯუმბერის სხეული. დაცარიელებულ ხეებში სულ მარტო რჩება ის, აუტანელი სიცხე აწვება ყოველი მხრიდან და თავის მოკვლასავით ძნელი ეჩვენება ყველაფერი გარეშემო, და ისევ საიდანღაც გრძნობს წარმოუდგენელ ენერგიას, რომელიც ყველაფერს ბურუსში ახვევს და მოძრაობას მოითხოვს მისგან, მაგრამ არა ჩანს ამ ერთფეროვნებაში არც ერთი გზა, საითაც შეიძლება გაიქცეს და ის ადგილზე იძაბება, სიკვდილი,

მეზაფხულეების სახეებიც სულ ქრებიან მის გონებაში და მხოლოდ რჩება ის განცდა, რომელიც სირბილის დაწყების წინ ჰქონდა. არ უნდა იფიქროს, უნდა გაიქცეს და სირბილი იფიქრებს თვითონ მის მაგივრად.

16.

გარბის გურამი რიყით ხეობაში, ნისლებს მთის წვეროები დაუპყრიათ და აქ თავისუფლად თამაშობს მზე და ქარი. «მე მოვდივარ თბილისიდან, მოვედი ხევსურეთში, რა მინდა?» ამ ბოლო კითხვას ებრძვის მისი არსება, ყრუ ტკივილივით აძლევს მისი გული ექოს. «საერთოდ რა მინდა, რა მინდა, რა მინდა!» გაქანებული შეჩერდება ჩანჩქერის პირას და მშრალ რიყეზე მიწვება. აგერ იქ, ქვევით, ჩანს სოფელი, მისკენ მიმავალი ვიწრო ბილიკი მთის ფერდაზე იგრიხება, სოფლის ორივე მხარეს წყალი ჩადის ლაპლაპით, მერე დიდ მდინარეს ერთვის, წყალი ხმაურობს აქვე მის ფეხებთან, თოვლიანი კლდიდან წყვეტილი წივილით მორბის რამდენიმე ნაკადული, მის გვერდით მჟავე წყალი ამოდის და წითელ ფერს აძლევს რიყის ქვებს, ის შიგ ყოფს სახეს და სიამოვნებით გრძნობს, როგორ ეწვის მზეზე დამწვარი კანი, ის რიყეზე გადაწვება, ერთხანს ჩუმად არის, ათასი წყლის ხმები ერთ მუსიკად ისმის მის გარშემო, მერე ირჩევა ერთი ხმა, რომელიც სხვებს ფარავს. გურამს თავი დაუდვია მშრალ რიყეზე და ქვევიდან ესმის წყლის რაკრაკი. ის ხელით ამოაგდებს რამდენიმე ქვას, ქვევიდან მრგვალი ბურთებით ამოდის წყალი და მშრალი ქვებით ეშვება ჩანჩქერისაკენ. მოპირდაპირე ფერდაზე მოჩანს პატარა, შავი ნიში, რომლის შუაშიც ღარია ჩადებული, გვერდზე, ქვაზე, სიმჟავისგან გაწითლებული კათხა დევს, დარში ბარაქიანად გადმოდის მჟავე წყალი, ამ წყაროს ცოტა ქვევით კიდევ სხვა წყაროა, ერთი წყარო ზედ წყლის პირზეა გაკეთებული. მათ თავზე ამოსულ მინდვრის ბალახებზე დიდი კურცხალი წვეთები ჰკიდია. მილიონ წყლის წვეთებს შეუყრიათ თავი ცვრიან ბალახში, მილიონი ნაკადული იბადება აქ, ყველგან, მხედველობის არეში, მოჩანს ათასი წყლებით დასერილი მთის ფერდები, ხეობები, სოფელი.

17.

მზე ისევ აცხუნებს და სასიამოვნო ჰაერსა ქმნის ამდენ წყლებთან ერთად, ლაპლაპებენ შავი კლდის ნაოჭებში შერჩენილი ზვავები, რომელთა წიაღიდანაც პირდაპირ ჩანჩქერად გადმორბიან წვრილი ნაკადულები. ეს ნეტარი, უამრავი, მრავალფერი სინესტე უდიდეს ცეცხლსაც კი დააწყნარებს, ოღონდ ისე თავისებურად, ზომიერად, რომ არ ჩააქროს.

დიდი ცხვრის ქურქი, რომელშიაც მაგრა გახვეულა გურამი, იცავს მას გარე სამყაროს ზედმეტი შეგრძნებისგან და სასიამოვნო ჰარმონიასა ქმნის. უმოძრაო, მოაზროვნე, შემგრძნობი კუნძულივითა ზის ის ამ მოუსვენარ, მოძრავ, ერთი მიმართულებით ზევიდან ქვევით მორბენალ წყლებს შორის, რომლებიც ასე უცნაურად მოქმედებენ ცოცხალ არსებაზე სწორედ იმით, რომ პირდაპირ, უხეშად არ ერევიან სხვის განცდებში.

ის იმართება, თავისდაუნებურად აწყობს ვაზნებს თოფში და ნელი ნაბიჯით მისდევს მდინარის გასწვრივ დაშვებულ ბილიკს, მილიონი ნაკადულები დაუსრულებლივ უსერავენ გზას. უმიზეზოდ იცინის მისი სახე, სრულიად ავიწყდება ყველა კითხვა, ყველაფერი, რაც ტანჯავდა აქამდე, მიუხედავათ იმისა, რომ სახიერად

ყველაფერი დგას მის თვალწინ კინოს სიცხადით, მაგრამ ეს კადრი მის შეგრძნებას აღარ ეხება. სოფელი ხან მოახლოვდება მასთან, ხან შორდება, ჩნდება და ქრება ფერდის იქიდან ბილიკის მიმართულებით. ბოლო კლდეებიდან წივილით ამოფრინდა ნაცრისფერი მურთხი, ფერდაზე გაშლილი ნახირი თავმოუბრუნებლადა ძოვს ნესტიან ბალახს. გოროხებშუა დიდ ქვასავით მორთხმულა თექაში გახვეული მწყემსი ბიჭი, აქედან უკვე მკაფიოდა ჩანს ბანის თავებზე მოფუსფუსე ხალხი, რომელიც გარეთ გამოყრილ ლეიბებსა და ნივთებს შორის შეუჩერებლივ მოძრაობს, ერთ ეზოსთან განსაკუთრებით ბევრ კაცს მოუყრია თავი, სოფელზე წამომდგარ ქიმზე დგას გურამი, ხელში თოფი უჭირავს და ქვევით იყურება:

18.

უცნაურადა ჰგავს ამდროინდელი მთელი ხევსურეთი თავისი აფორიაქებით გურამის ხასიათს, არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც თავისი ბარგი გარეთ არ გამოეყაროს ბანებზე, ამზეურებენ, კრავენ, ზედმეტს წვავენ, ახალს კერავენ, ემზადებიან. ძალიან გაუჭირდა ამ ხალხს დაქანებულ, უველო ხეობებში და საჯიხვე ჭიუხებში ცხოვრება, თავკაცებმა სთხოვეს მთავრობას ბარში გადასახლება, მთავრობა ჯერ უარზე იყო, მაგრამ ამ დროს ხეობებში ხმა დაირხა, რომ მათი გადასახლება გადაწყვეტილი საქმეა, ყველას დაავიწყდა, თვითონ თავკაცებსაც კი, რომ მათ თვითონ ითხოვეს ბარში დასასახლებლად ადგილები და უცნაურად გაჯიუტდნენ. შეიკეტნენ თავიანთ სახლებში, ყველგან, განსაკუთრებით ოფიციალურ ორგანოებში, სადაც კი შეიძლებოდა, ხმა მიაწვდინეს, რომ «ხევსური ვერ გასცვლის თავის სალ კლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა»; გადამსახლებელი კომისია, რომელიც მშვენივრად გრძნობდა უმოქმედოდ თავს და სულ არ ფიქრობდა ხევსურებზე, უცებ შეფუცხუნდა. რამდენიმე პატაკი წარუდგინა მთავრობას, რომ შატილის, არხოტის და ბარისახოს თემები წინაღუდგებიან და მათი გადასახლების შესახებ გადაწყვეტილებას არ ემორჩილებიან /ფაქტიურად, ასეთი გადაწყვეტილება არც კი არსებობდა, მაგრამ ის სასწრაფოდ გამოსცეს თვითონ ხევსურთა მოთხოვნის საფუძველზე/, მოკლედ, დიდი წვალებით, ოღონდ მაინც საკმაოდ მხიარულად, მიდიოდა ხევსურთა გადასახლების საქმე ქაღალდებზე, სანამ მთავრობაც და ამ თემების მოსახლეობაც ფაქტის წინაშე არ დადგა; რამდენიმე ოჯახი, რომლებიც თავისი ნებით წავიდნენ წითელ წყაროში და სამგორში, იქვე დაიშალა, ნაწილი ბარში დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი მოთქმით და ბარის ცხოვრების გინებით დაბრუნდა მთაში, სადაც სწრაფად შეალაგეს უკან გარეთ გამოყრილი ბარგი და ნახევრად საბრძოლო მდგომარეობა გამოცხადდა. შორეულ სოფლებში აქა-იქ გამოჩნდებოდნენ აგიტატორები, რამდენიმე მილიციელის თანხლებით, და თავისი მისიის საპირისპიროდ ყველგან გადასახლებისადმი ზიზღს ნერგავდნენ.

19.

ერთ-ერთი ასეთი აგიტატორი იყო მელოტი მეგრელი, რომელიც უცებ შეეთვისა ხევსურებს და ბარის უპირატესობის შესახებ ყოველი ჩატარებული ლექციის შემდეგ ხახაგამშრალი ხარბად ეწაფებოდა წყაროს ცივ წყალს და თან ოხრავდა ყველას გასაგონად: «ეჰ, ეჰ, ვლაპარაკობ რა მეც! აქანა წყალი მაინცაა ცივი, სად ნახავ იმ გადახრუკულ სამგორში»! ხევსურები ამ ქარაფშუტულად, უაზროდ ნათქვამი სიტყვების მოსმენისას, მრავალმნიშვნელოვნად იქნევდნენ თავს და გამგებიანად

უტყაპუნებდნენ აგიტატორს მხარზე და მელოტ თავზე თავის თათებს. საბოლოოდ, სულ გაკეკლუცდნენ ხევსურები, ფერდობზე დაკიდებული ყანების დამუშავებას თავი მიანებეს და გადაბმულ სჯა-ბაასში ატარებდნენ დროს; მელოტ აგიტატორს ხევსურული ჯუბა ჩააცვეს, საიდანაც ტიტველი ხახვივით ქანაობდა მისი თავი, ყოველთვის მხიარული და მოღიმარი. ზარმაცმა უსაქმურობამ მოიცვა ხევსურეთი, რომელსაც წინათ ერთი წამითაც კი ვერ წარმოედგინა უმოძრაობა და, თუ აღარაფერი არ იყო გასაკეთებელი, დაითვრებოდა და ჩხუბს მაინც ატეხდა.

უსაქმურობისგან გამოწვეული ნერვიული სიმხიარულე იდგა დიდი არღუნის ხეობის გასწვრივ, ორ-სამ დღეში ათენგენიც იწყებოდა და დასტურ-ხევისბერები დილიდან ღამემდე სამზადისში იყვნენ, სამზადისი არაჩვეულებრივად მსუბუქად დაიწყო, ყოველგვარი რელიგიური ექსტაზის გარეშე, ახალგაზრდა დასტურებმა რამდენიმე ქალაქური ხუმრობაც კი ისწავლეს, მათი სახეებიდან თითქოს გაქრა ჯმუხი, პირქუში გამოხედვა. «ეეჰ, ეჰ», იძახდნენ დარბაისელნი, «ამჩატდნენ ჩვენი ვაჟები, ეტყობა, ირღვევა მთა».

გადასახლებისთვის მოჩვენებითად წინააღმდეგობის გამწევი ხევსურები დილიდან საღამომდე ჟრიალებდნენ, დედაბუდიანად გამოსული ბანებზე, გაჰკიოდნენ გაღმა ხატში, ექოსავით ეხმაურებოდნენ აქეთ. ისეთი განწყობა იდგა მთაში, როგორიც თეატრში წასვლის წინა დგას ხოლმე ქალაქის რომელიმე ოჯახში, მაგრამ, რასაკვირველია, ამ მოჩვენებითი სიმსუბუქის უკან იმალებოდა მრავალწონიანი და სერიოზული რაღაც.

20.

ტრიალებდა ორნაირი ბოღმით ხევსურის გული, ის გრძნობდა, რომ აუცილებელია ამ ხრიოკი ვიწროების დატოვება იმისათვის, რომ საბოლოოდ არ ჩამორჩეს დიდ სამყაროს, იმისათვის, რომ ჩაიცვას, დაიხუროს, წაიკითხოს, გაიხედოს, იშრომოს და ეს შრომა სხვასაც სჭირდებოდეს, მის ოჯახს გარდა; მაგრამ რამდენადაც აუცილებელი იყო აქეთკენ წასვლა და გადაწყვეტილიც კანონზომიერებით, მით უფრო უძალიანდებოდა ადამიანი თავის ქვეშეცნეულ სურვილს: «სად დალევ ასეთ სვიან ლუდს ან წყაროს ცივს, სად ნახავ ასეთ ჭაუხებს ან ჯიხვზე სად ინადირებ, სადღა იქნება ათენგენი, ვის აცვია ასეთი ჭრელი, ჯვრიანი ჯუბები». «ვის, სად?» «ვის? სად?» იხლიჩებოდა ამ კითხვის ტკივილისგან ხევსურის გული. უმეტესობა ვერ აუვიდა ამ ორი კითხვის სიმძიმეს, ჭიდილს ძველსა და ახალს შორის და თავი მიანდო დინებას.

მარტოპერანგიანი, ქვედატანშიშველი ბავშვები, მიწით მოთხვრილი წითელი ლოყებით, იდგნენ ბანის კიდეზე, მათ უკან ჩოჩქოლებდნენ დედები, კაცებს ტალახიანი მოედნის შუაში მოეყარათ თავი, რომელსაც სამამდე წყარო ჩამოუდიოდა გარეშემო. კაცებში იდგა ბებერი დედაკაცი, დაჩეხილი, შეხორცებული სახით, თითქმის უწარბებო, და სადღაც სიღრმიდან ამოძრავებდა ცოცხალ, მოძრავ თვალებს, თავზე უზარმაზარი ხევსურული ჩიხტაკოპი ედგა, მაგრად ჩამოფხატული უხეშ, ხშირ ჩოლკაზე და ტანზე ეცვა უამრავი ჭუჭყიანი კაბა. «აშაქალ, აშაქალ» ისმოდა ბანებიდან ხმები, დედები შვილებს უყურებდნენ და გათვალვის წინააღმდეგ ტუჩებით ჩუმად ულოცავდნენ.

«აშაქალ, რას აფსებ მაგ ფაშატს?»

«ორ ექვსი წლის ცხენს, ოთხ ძროხას და რვა ცხვარს, თავისი წინდებით.»

21.

შიშველზურგიანი ფაშატი, რომლის სადავეც აშაქალას ეჭირა ხელში, ენერგიით და სირბილით, სავსე გავებზე დაყრდნობილი, ნახევრად ყალყზე აწეული იდგა უკანა ფეხებზე. დიდი, ბავშვური თვალები ჯიუტად იყვნენ გახელილი და ოდნავ ირხეოდნენ ფრუტუნის დროს, მისი პატარა, ზედმიწევნით ლამაზი და ცოცხალი ტანი ოთხივე ფეხით მოძრაობდა პატარა ნახტომებით ლაგამის გარეშემო, რომელიც აშაქალას ეჭირა. ცხენი მოძრაობდა ყოველმხრივ და მოწყვეტილი ნახტომებით, რისგანაც თითქმის სწორი წრეხაზი შექმნა ზედმოხლილი ხევსურებისგან. წრის იქიდან ელაპარაკებოდნენ კაცები აშაქალას.

_ ვიღასღა უნდა შენი ცხენი, აშაქალ, ბეჩაო, ხალხი ბარში მიდის, რა თავში იხლის იქ.

_ აბაბაბაბა... _ იძახდა აშაქალა და თვალებს ათამაშებდა.

_ ერთი ცხენი მაინც რო დაგეკლო...

_ აბაბაბაბა... _ მოუსვენრად აათამაშა აშაქალამ ორივე თვალი. ვიღაც ხევსური უცებ შემოხტა წრეში და ნესტოებში უტაცა ცხენს ხელი კისრის დაღის დასანახად, აშაქალმა მარჯვედ ჩაარტყა ირიბად სილა და ცხენი წრეში დაატრიალა.

_ აბა, არავის უნდა ბა... _ ამოიყვირა.

ხევსურებმა ჩქარი ჯუჯღუნი დაიწყეს, აშაქალამ აცადა, მერე ისევ შეეკითხა. ვიღაცამ პური მოუტანა თხის რძის ქოთანთან ერთად. ცხენის პატრონმა ქოთანი მოიყუდა და ყლუპ-ყლუპით დაიწყო რძის სმა, თეთრი, სწორი ნაკადულები დაეშვნენ მის კაბაზე. ახლა მან პური მოიფშვნა და ისევ მოიყუდა რძე, დარჩენილი უხეშად გადაასხა გარშემოხვეულთა ფეხებისკენ და ნახევარ პურზე მეტი ჩაუდო ცხენს პირში, რომელიც დაიკუზა და ხრაშუნით, უცნაური ენერგიით დაიწყო პურის ფშვნეტა.

22.

უცებ ცხენმა მთელი ძალით მოქაჩა აღვირი, ყალყზე შედგა და აშაქალი დაითრია.

სახლებზე წამომდგარი კლდიდან თოფი ორივე ლულით გავარდა. აშაქალმა თვალები მიაშტერა იმ ადგილს. იქ გურამი იდგა, თითქმის თითის წვერებზე აწეული და ცმუკავდა, მერე ისევ ჩააწყო მასრები, თოფი ხევსურებს დაუმიზნა, შემდეგ მეორე ხელი თვითონ აჰკრა თოფს და ჰაერში დაცალა ორივე ლულა: «იჰჰიჰიჰიო,» ახვიხვინდა ლაგამდაჭიმული ცხენი. «უჰუჰუჰუ,» წიოდა და სულელივით იცინოდა გურამი. აშაქალმა ჩაიბუქნა და პატარა ჯოჯოს დაემსგავსა, მერე ღოჯებიდან წვრილი ენა გამოყო და ალაპარაკდა: «ეგ მხედარ იყიდის ჩემ ცხენს, ეტყობო, ქისტია, ქისტი იყიდის ჩემ ცხენს, ქისტს პატარა დაშნას ვაჩუქებ ცხენთან ერთად». ხევსურები გურამის ხუმრობაზე უკმაყოფილოდ ამოძრავდნენ, უმეტესობამ თავისი სახლებისკენ დაუხვია. გამართული, მსუბუქი, დოღში გამარჯვებული ცხენის ნაბიჯებით შემოვიდა გურამი სოფელში და პირდაპირ აშაქალასთან მივიდა. «გამარჯობა,» უთხრა ხმამაღლა და ხელი გაუწოდა, აშაქალა სულ დაიმანჭა და გრძელი თითები ჩასტაცა ჯადოქარივით. «თქვენც გამარჯობათ,» მიუბრუნდა გურამი ხალხს. «აბა, როგორა ხარ, ხომ კარგად იმგზავრე, ხო არა გიჭირს რა,» ადუდღუნდნენ ხევსურები, ჩვეულებისამებრ. «მე არა მიჭირს რა, თქვენ ხომ კარგად ხართ?» ტონში უპასუხა გურამმა და მთელი სახე დაეხლიჩა ღიმილით, ნელა ამოუსვა ფაშატს ლაშებზე ხელი, ფაშატი გაინაბა, აშაქალამ ლაგამი გამოჰკრა და ცხენი ადგილზე შებზრიალდა. «ვინ

ხარ?» ჰკითხა გურამს და ბოროტად დაუქაჩა თვალები, რადგან დარწმუნდა, რომ ეს ქისტი არ იყო.

23.

«თბილისელი ვარ,» სწრაფად უთხრა გურამმა. «რა გინდა?» ამოიყვირა აშაქალამ. «ცხენზე ჯდომა,» უცებ ჩასძახა გურამმა ყურებში და აღვირი ხელიდან გამოსტაცა. «აბაბაბაბაბა!» აყვირდა აშაქალი. დაძაბული ხევსურები არც ხმას იღებდნენ, არც იძვრებოდნენ ადგილიდან. გურამმა ფეხდაფეხ გამოაჭენა ცხენი, მერე უცებ გახტა ბილიკის ზევით და ზურგზე გადაევლო. გაშტერებული ცხენი ოთხივე ფეხით ჩაესო მიწაში უმოძრაოდ, მერე მთელი ტანით ათრთოლდა და ადგილს მოსწყდა. «აბაბაბაბაბაბააააა!» ყვიროდა კლდის წვერზე ამოვარდნილი აშაქალი ქოშინით, ქიმის ძირას გაკრულ ბილიკზე გალურსული მირბოდა ოთხით და ცეკვით ცხენი. «ბაბა..ბა..» შორს გამოსცა მისი ხმა ექომ, კლდე გათავდა და გაიშალა ცხენის ჭენებაც ყვავილიან ფერდაზე, რომელიც მეორე, უფრო შავ თოვლიან კლდეში იჭრებოდა. სწორედ ამ კლდიდან გამოვარდა ექო და ჭენებისგან ატაცებულმა გურამმა სულ ბოლო წამში შენიშნა, რომ მის წინ საჭენებელ გზაზე ცოცხალი არსება იდგა და ორივეხელაწეული გზას უღობავდა. «ფშუ, ფშუ.» მოისმა მისი წვრილი, თითქოს სუსტი ხმა და გურამმა ძლივს შეძლო მთელ სვლაზე შეეჩერებინა ცხენი, რომელიც, ოთხივე ფეხჩასობილი, რამდენჯერმე ჰაერში შეხტა და გოგონას წინ გაჩერდა. გოგონას ხელები უკვე დაეშვა და დიდი, გაკვირვებული თვალებით უყურებდა მხედარს, რომელიც ცხენიდან ჩამოხტა და თავის მხრივ არანაკლებ გაკვირვებული დააშტერდა ამ თხელ, უცნაურად ჩამოკვეთილ 13-14 წლის გოგონას. მას ოდნავ გვერდზე ჰქონდა ყელი მოხრილი, რამაც ზედ მიხლილ გურამს თითქოს ენა გაუჩერა და ვეღარაფერი ვერ ჰკითხა. ის იყო ძლივს მოვიდა გონზე გაორებული ცხენს და მშვენიერ გოგოს შორის, რომ ისევ მოისმა სულისგამკვეთი ხმა _ «აბაბაბაბა...აბაბაბა»!

24.

ფერდის ზევიდან, კლდე-კლდე, ქაჯივით მოხტოდა აშაქალა, მერე სრიალით დაეშვა მოსრიალებულ სველ ბალახზე, ცხენს ლაგამში სტაცა ხელი, არც კი შეუხედავს გურამისთვის, ისე თქვა: «წინ იარე, მზია, ვიჩქაროთ, თორე დაღამებამდე ვერც კი მივასწრებთ». გურამი სირბილით წამოვიდა, არც კი უფიქრია, ისე, სოფლისკენ. თავისი ქურქი და გადაგდებული თოფი აიღო, უკან გამოუდგა იმათ. ისინი უკვე აღარა ჩანდნენ, ის ბილიკს მიჰყვა, ჭალაში ჩაირბინა და ხმაურიანი არღუნი წელამდე წყალში გასტოპა, მდინარის მოსახვევში პატარად მოჩანდა ცხენზე მჯდომი აშაქალი, რომელსაც მზია შემოესვა უკან და ხეობის გაყოლებაზე ქვევით მიჭენავდა. სირბილით მიჰყვა მათ გზას გურამი, ჯერ თავისუფლად, სიხარულით გარბოდა, შემდეგ აქლოშინდა და ათასი ცუდი მოგონება წამოეშალა თავის ბოლო შეჯიბრთან დაკავშირებით, ამიტომ ნაბიჯზე გადავიდა და სრულიად უაზროდ ღრიალი დაიწყო, ორივე მხრიდან წამომდგარი მთები ექოებად დაიხლიჩნენ, ცდილობდნენ გურამისთვის ეჯობნათ ყვირილში. მზე პირდაპირ ზევიდან ჩაეშვა ხეობაში, ათას ცისარტყელებად ათამაშდნენ ლოდებზე დამსხვრეული არღუნის შხეფები, ბილიკი სულ ახლოს მიეკრა მდინარეს, რომელიც ათას ჩანჩქერებად დაეშვა ლოდების მსხვრევით ქვედა სოფლებისაკენ; ტყე გახშირდა, შეიფოთლა და ჩამოიბურა, უამრავი ქინქლა ამოძრავდა მისი ტოტების ქვეშ, დამპალ ფოთლებში

პატარა, მდორე, კოღოიანი გუბეები გაჩნდნენ. ოფლში გაიღვარა ქურქში გახვეული გურამი, სველი ქინქლები ტალახის წვეთებივით აეკრნენ სახეზე და უცებ საშინელ ზღაპრად თუ უაზროზად მოეჩვენა, რომ აქ იყო და თითქოს შეეშინდა კიდეც. ახლა ხეობა უფრო გაიშალა და გვერდებზე, ტყისკენ, რამდენიმე პატარა ფშანი გაუშვა.

25.

უკვე იღლებოდა გურამი, როდესაც ცივი ნიავივით გაურბინა თავში კითხვამ «სად მივდივარ?» და თითქოს მოსულიერდა. ამ ადგილას ხეობა ისევ შეიკრა და დიდ ჩანჩქერად გადაეშვა ქვევითკენ, ბილიკმა წყლიდან მთისკენ გადაუხვია. მდინარის ხმაური და შხეფების ნოტიო უცებ შეცვალა მზემ და ყვავილის მტვერმა. მილიონი თეთრგვირგვინა შეჰფენოდა ფერდობს, რომელიც ზიგზაგად ეშვებოდა ხეებსა და შავ კლდეს შორის და თავდებოდა შავად შერუჯული ნიშით, ამ ადგილას გზა ისევ ჩამოვიდა მთიდან, მეორე გზა ხიდზე გადმოვიდა გურის ხეობიდან, მესამე შეუერთდა არდოტის ხეობიდან მიმავალი წყლით, ხიდის ქვევით დარჩა შატილისა და ჯარეგოს გზები. ამ გზაჯვარედინზე დასმულმა ადამიანის ხელით ნაშენმა ნიშმა ისევ მოაგონა გურამს წინ წასული აშაქალი თავისი ცხენითა და პატარა ქალით და სირბილით შეუყვა ბილიკს ნიშისკენ. ნიშის უკან, პატარა წყაროს თავზე, იჯდა, ერთი შეხედვით, თითქმის უსინათლო ბებერი კაცი, წვერულვაშმოშვებული, რაც შეიძლება თბილად ჩაცმული, მისგან წამოსული ცხვრის ქონის სუნი მთელ ხეობაში სცემდა, გვერდით ედო ძველისძველი ხირიმი, რომლის საპირწამლესაც ახალი წამალი ეყარა, როგორც გამოირკვა.

გურამის მიახლოებამ არავითარი რეაქცია არ გამოიწვია ამ კაცში, ის წირპლისაგან მიწებებული ნახევრად ღია თვალებით უყურებდა მზეს. «გამარჯობათ», თავისებურად მკვეთრად დაიძახა გურამმა. «რამე საქმე გაქვს ჩემთან?» აუღელვებლად, დამუწული ტუჩებიდან იკითხა მოხუცმა. «ჰო,» უცებ მოიაზრა გურამმა. «აშაქალს ხომ არ გაუვლია?» ჰკითხა თავის მხრივ. «გაიარა», «დიდი ხანია?» «არა.» ჩამოვარდა სიჩუმე, მოხუცს სულ დაავიწყდა, რომ აქ გურამი იდგა. გურამმა უაზროდ მიიხედ-მოიხედა, ჰაერს დაემშვიდობა და ძუნძულით დაეშვა ბილიკისაკენ.

26.

აშაქალმა არღუნის შუა გავაკებასთან ცხენი გააჩერა, პატარა მზია მსუბუქად ჩამოხტა. აქედან პირდაპირ მოჩანდა შატილის 60-100 უზარმაზარი, ოთხ-ხუთსართულიანი კოშკები, კლდეში დუღაბით შეზრდილი. მის ბოლოს არღუნი ისევ ექცეოდა, ქისტის წყალშერთული, პატარა ველზე, რომელიც უცებ იკეტებოდა და წყლებს ქვევით ჩანჩქერად უშვებდა. დიდი ხანი იყო, რაც მზია შატილში აღარ ჩადიოდა, რაც ხევსურებმა აყრა დაიწყეს და დღე და ღამე ლაპარაკობდნენ ამაზე, წასასვლელად მთებიდან ყველაზე ძალიან გული მზიას მამას მიუწევდა, რომელმაც დედინაცვალი მოუყვანა მას და კოშკში დასვა. მაშინ გოგონა აშაქალთან წამოვიდა ცხენის სადგომებში, მამას თითქმის მიავიწყდა შვილი და აღარც კითხულობდა. დიდი, გაკვირვებული თვალებით უყურებდა მზია ავარდნილ, ამოძრავებულ შატილს აქედან, მისი ცისფერი ძარღვი უცნაურად ფერმკრთალ ლოყაზე ოდნავა კრთოდა არღუნის ღრიალის მოახლოებისას, თხელი, შეუმჩნევლად მომწიფებული ტანი უცნაური თეთრგვირგვინას არისტოკრატულობით იდგა ხოლმე უძრავად მინდვრის შუაში, ამ გრაციას ის არასოდეს არა კარგავდა, არც ცხენზე ჯდომისას, არც

სირბილის დროს, არც უცხოსთან ლაპარაკის შემთხვევაში, როცა სულ შეუმჩნევლად უვარდისფერდებოდა ყურის ბიბილოები. ვერავინ ვერ ამჩნევდა მის გარშემო მზიას ასეთ, მთისთვის და ბარისთვისაც უჩვეულოდ თვითმყოფად, არისტოკრატულობას. როდესაც იგი თავისთვის რამეს აკეთებდა ან სხვას ეხმარებოდა, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს რამდენიმე მოსამსახურე ემსახურებოდა და ის მხოლოდ თავისი ჰაეროვანი მოძრაობით აგრძნობინებდა, რომ მოსწონდა მათი გარჯა.

27.

ოღონდ არავინ აწუხებდა მზიას უსაქმოდ და თითქოს გაურბოდნენ კიდეც მასთან ყოფნას, ისეთი უხერხულობას იწვევდა ის სხვაში. თითქოს აშაქალაზეც კი იმოქმედა ამ გოგომ და მასთან ყოფნის დროს თავისი ბუზღუნი, ლანძღვა-გინება გაანახევრა. ამიტომ ცხენების ეს ცნობილი მომტაცებელი, გადამყიდველი ქალი, რომლისაც ყველას ეშინოდა და ერიდებოდა, ვისაც საქმე ჰქონდა, რომელსაც ხანდახან დასცინოდნენ, თუმცა სულ წკიპზე ეჭირათ ენა, რომ ზედმეტი არ მოსვლოდათ, რომელიც ყველაში რაღაც რელიგიურ მორიდებასაც კი იწვევდა, როგორც რაღაც შუა მდგომარეობაში მყოფი კუდიანსა და წმინდანს შორის, ეს ქალიც კი, მორიდებულობისგან, რაღაცნაირ კეთილშობილებას იჩენდა მზიასთან. ახლაც აშაქალმა პირდაპირ შეხედა თავისი დახლეჩილი სახით გოგოს, მერე წაიშმაკა, დაიმანჭა და ენა გამოუყო ხუმრობით, შესაშინებლად, ეს ნიშნავდა, რომ აშაქალი ცოტა დაიბნა და არ იცოდა მზიამ როგორ მიიღო იმ ბიჭის გამოჩენა. მზიამ გაიღიმა. «ძალიან მხედარ კი ყოფილა ის ქალაქელი» თქვა აშაქალამ. «არ დაერიდა არც კლდეს, არც ჩემი შეეშინდა, როგორ არ დავჭყივლე, შენ მაინც რა ქენი მისთანა, რომ ცხენი გააჩერა», აშაქალა ახლა გაუგებრად აბურდღუნდა. ვერასოდეს ვერ აჩერებდა ენას ამ გოგოსთან ლაპარაკის დროს და ბევრ ისეთ რამეს ამბობდა, რაც საერთოდ არ უნდა ეთქვა: «ბაბუს მიხედე, ქუმელ მოზილე, ყალი ჩამოუჭერ, წყალი მიუღე, შენი მოტანილი უყვარს. ბალახ მიუტანე კიდევ რამე» სხაპასხუპით თქვა აშაქალმა და ცხენი გააჭენა შატილისაკენ, თან რაღაც შელოცვებს ბუტბუტებდა უაზროდ. მზია მსუბუქი ნაბიჯებით ამოვიდა ქვითკირის კოშკისნაირ შენობაში, რომელიც გზის პირას იდგა და საჭმლის მზადება დაიწყო, უცებ მორჩა ყველაფერს, გამოვიდა თუ არა გარეთ გამზადებული გუდით, დაინახა, რომ აშაქალი ახლაღა შევიდა შატილის კარებში და კისერზე ლაგამგადაგდებული ცხენი გარეთ გაწირა.

28.

მზია პირდაპირ, გამართული მსუბუქი ნაბიჯებით მიდიოდა მაღლა იმავე გზით, რომლითაც ეს ეს იყო დაეშვა ჭენებით აშაქალთან ერთად. მზეს უკვე დაეწია დასავლეთისკენ და მისი თხელი ჩრდილი სასიამოვნოდ მირბოდა გზაზე დაყრილ გორახებზე. ჰაერში არღუნის გაუთავებელი სირბილის ხმა იდგა. შველივით შემზადებული დასაფრთხობად და, ამავე დროს, მთელი გულისყურით მინდობილი ბუნებას, მისდევდა ის ხეობას მაღლა. უცებ რატომღაც გაახსენდა, რომ მათ უკან ის ქალაქელი ბიჭი მისდევდათ, რომელიც ჩანჩქერებამდევე დაიკარგა მხედველობიდან, გაახსენდა თუ არა, დაფრთხა და ამაყი სახე მიიღო. ასე იყო მზია გართული თავის თავთან კეკლუცობაში, როდესაც შორს, ნიშის ძირას, შავად მორთხმული ბებერი ბერდო გამოჩნდა. მზია ფერდზე ამოდიოდა, ხოლო ბერდო მეორე ფერდის წვერზე

იჯდა, ამ ორ მთას შორის საშუალო სიღრმის ბლაგვი ხევი იდო მდორე ფშანით, მზიამ ნაბიჯს უმატა, ამოვიდა თუ არა სერზე, ის იყო სირბილით დააპირა ჩაშვება ბლაგვი ხევისკენ, რომ ხევის შუაში ენერგიული ნაბიჯებით მომავალი გურამი დაინახა, რომელმაც ფშანში უკვე შეტოპა და დაბლა იყურებოდა, რატომღაც ვერაფრით ვერ შეიკავა თავი პატარა გოგონამ, რომ თავისი გზით წასულიყო, ჩაევლო გვერდზე ქალაქელისთვის ისე ვითომც არაფერი და ასულიყო ბებერთან. ამ ვითომაც არაფრის შეგრძნებამ უცებ ჩაიჭირა მზია, ის მსუბუქად გადახტა _ სანამ გურამი თავს ასწევდა ფშანიდან გამოსული _ დიდი ლოდიანის უკან და იქ მიინაბა, ქალაქელმა თითქმის სირბილით ამოიარა ფერდა, ერთი წამით თვალი გაუშტერა ხეობაში ზღაპრული ქალაქივით ავარდნილ შატილს, გვერდზე ჩაუარა იმ ადგილს, სადაც მზია იყო მოფარებული, და დაეშვა ქვევითკენ.

29.

მზე თითქმის სულ დაეშვა თავის გზაზე, როდესაც გურამი მსუბუქი ნაბიჯებით მიადგა შატილს, ის ისე გრძნობდა თავს, თითქოს ეს სოფელი ცოტა ხნის წინ დატოვა და ახლა მიტოვებული საქმეების მოსაგვარებლად დაბრუნდა. ის საერთოდ ვერ იტანდა ტურისტულ ურცხვ ცნობისმოყვარეობას, ამიტომ, სადაც არ უნდა ჩასულიყო, პირდაპირ ერეოდა მათ ცხოვრებაში, კამათობდა, ჩხუბობდა და უცებ, თავისი დაუცლელი ენერგიის წყალობით, პირველობას იჩემებდა. ზუსტად ასეთი მსუბუქი განწყობითა და ჯერ არგამოჩენილ მტერთან უეჭველი გამარჯვების იმედით მიადგა შატილის კარებს. თოფი თავისდაუნებურად შეათამაშა, ოდნავ გვერდულად გაიღიმა, ის მთლიანად იყო გართული საკუთარი თავით, როდესაც მის ყურთასმენაში შემოიჭრა საშინელი ღრიალი, რომელსაც თოფის და ნაგანის რამდენიმე გასროლა მოჰყვა ზედიზედ. «აჰაიტ, აჰაჰაიტ» ისმოდა დაოთხებული მხედრების ჭყივილი, ბანებზე უცებ ამოვარდნილი ხალხიდან რამდენიმემ თოფის სროლა მიაყოლა მათ, ერთი გადმოიწია ცხენიდან, მძიმედ დაეცა კლდის წვერზე და ღრიალით დაეშვა მისი სხეული უფსკრულისაკენ. გურამმა უცებ დაივიწყა ყველაფერი, მოიყრუა ყველა სხვა შეგრძნება და დაუფიქრებლად ისკუპა მასთან გასწორებული მხედრისკენ, ოთხადქცეულ ცხენს პირდაპირ ლაგამზე დაეკიდა და თოფის კონდახი თავში სთხლიშა მხედარს, რომელმაც ნაგანის სროლა მოასწრო ცხენიდან გადმოვარდნამდის და მკლავში მსუბუქად დაჭრა გურამი. შატილიდან გამოვარდნილი ხევსურები ფეხდაფეხ, ყიჟინით მორბოდნენ მათკენ. მხარში დაჭრილმა გურამმა ძალა მოიკრიბა და ზევიდან დაახტა ცხენიდან გადმოვარდნილს, რომელიც ხელმეორედ აპირებდა ესროლა მისთვის, მან ნაგანი ქვაზე დარტყმით გააგდებინა, მერე თმებში სტაცა ჯანსაღი ხელი და გამწარებით დაუწყო ქვაზე დაჩეჩქვა მის თავს. ხევსურები ყიჟინით მოვარდნენ, ერთმა წაქცეულის ცემა დაიწყო ხანჯლის სიბრტყით, სხვები ეცნენ და გააშველეს.

30.

მაღალმა სამკუთხედთავიანმა ბათარეკამ, რომელსაც ბრტყელ მხრებზე გადაჭიმულ ხევსურულ ჯუბაზე ტელაგრეიკა ეცვა, გურამს მოჰკიდა ხელი. უცნაური ხალხია ერთმანეთისათვის უცნობები. მათ ან ისეთი გრძნობა წარმოეშვებათ, განსაკუთრებით მძაფრი სიტუაციის დროს, თითქოს დიდიხნის წინ სადღაც უნახავთ ერთმანეთი. ეს შემთხვევა ორ ნაწილად იყოფა: პირველი _ თითქოს სადღაც უნახავთ და იმ ნახვისას ერთმა აწყენინა მეორეს, სხვა შემთხვევაში, პირიქით, რაღაცა კარგი

გაუკეთა; წარმოიშვება ისეთი შეგრძნებაც, როცა ორივე მხარე გრძნობს, რომ ერთმანეთი არც უნახავთ და თითქოს ვერც ნახავენ ვერასოდეს, მიუხედავად იმისა, რომ სახეში უყურებენ ერთმანეთს.

გურამმა უცებ გამოარჩია ბათარეკა სხვებისაგან და ისეთი გრძნობა ჩაესახა, თითქოს მისთვის უკვე ეწყენინებინა ოდესღაც, რადგან ერთი შეხედვით სწორედ ასეთი კაცი იყო ეს სამკუთხედთავა ხევსური, რომ რაც არ უნდა კარგი ექნა შენთვის, მაინც უნდა გეწყენინებინა. ასეთ შთაბეჭდილებას, ალბათ, ხელს უწყობდა მისი უხეში, ვაჟკაცური, დაჩეხილი სამკუთხა სახე, რომლის თითოეული კუთხე მომრგვალებული იყო კეთილი, გაბუტული კაცის ოვალით. სინამდვილეშიაც ასეთი იყო ბათარეკა, ყველგან ისეთ წვრილმანებს ამჩნევდა, რაც მუდმივად გულაჩვილებულ მდგომარეობაში ამყოფებდა მას, მის გულჩვილობას მხოლოდ ხელოვნურად ფარავდა სიუხეშე, ასე დამახასიათებელი მისი თანასოფლელებისათვის. გურამმა უცებ გამოარჩია ეს კაცი თავისი პირველი გაცნობის საგნად და სწრაფად, ისე, რომ სხვებსაც გაეგოთ, თქვა «ეგ ჩემი ტყვეა, ჩემს გარდა ხელი არ ახლოთ არავინ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმე.» ამ სიტყვებისას მან თოფი შეათამაშა და ნატკენი ხელი ქამარზე ჩამოიკიდა მეტი ეფექტისათვის. საშინელ სიმსუბუქეს გრძნობდა გულში და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი ეს სადღაც თეატრში ხდებოდა. ბათარეკა, რომლისკენაც იყო მიმართული გურამის ეს სიტყვები დაჭერილი ხევსურის შესახებ, მკვეთრად მიბრუნდა თანამესოფლეებისკენ, მერე ისევ მობრუნდა და, როგორც ეტყობა, იმათი სახელით დაუწყო ლაპარაკი გურამს, საკმაოდ ეშმაკურად და ჭკვიანად.

31.

«მერე რად გინდა ეგ კაცი?» «უნდა გავუშვა». «აბა რაღად დაიჭირე?» «ვერ ვიცანი». «ვინ გეგონა?» «ერთი მოხევე, რომელმაც შარშან მაწყენინა,» დაუფიქრებლად მოიტყუა გურამმა, ახლა იგი ისევე გადაეშვა თავისი დაჭერილის განთავისუფლების საქმეში, როგორც წეღან გადაეშვა მის დასაჭერად. «ჰაიდა გურამ! რას აკეთებ, რა გინდა?!» – გურამი აზარტში შევიდა, მოიღერა თოფი და დაემუქრა იმას, ვინც წინ აღუდგებოდა იმ კაცის გაშვებაში, «მე თქვენთან მოვედი საცხოვრებლად», თქვა მან, «აქ დავრჩები ზაფხულის ბოლომდე, შეიძლება შემოდგომაც, შეიძლება ზამთარიც, ხევსურებს აღარ გადაასახლებენ.» «ვინ ხარ შენ?» უცებ მოისმა რამდენიმე ხმა აქეთ-იქიდან, გარშემო ქვებზე უკვე მოესწროთ ჩაცუცქვა მორბენილ ბავშვებს, ჩამავალი მზის გრძელი ჩრდილი ეცემოდა მდინარის მეორე მხარეს კოშკის ბანებზე გასული ჭალების შავი სილუეტებიდან. «ვინ ვარ მე?!» უცებ დაუსვა გურამმა ეს კითხვა თავის თავს და უაზრობისგან სულელურად გაეღიმა, «არავინ», თქვა. ეს ღიმილი სხვებმა, როგორც ეტყობა, ღრმააზროვნად მიიღეს და დაკითხვა შეწყვიტეს. «აუჰ, სისხლისგან იცლება, ხალხო, მომეშველეთ,» დაიყვირა ბათარეკამ, რომელმაც შეამჩნია, რომ გურამს ფერი დაეკარგა. გურამმა მისაშველებლად ახლოს მისული ბათარეკა და რამდენიმე ხევსური თოფით შეაჩერა მანძილზე და, უკვე მართლა საკმაოდ მისუსტებულმა, დაჭერილზე მიუთითა, «ეგ გაუშვით ახლავე». ხევსურებმა ხელი გაუშვეს, ერთი მივიდა და დანებით გაუჭრა გათოკილი მტევნები. დატყვევებული ადგილზე ამოძრავდა, მერე გვერდზე გაიხედა, ერთხანს გაშტერებული იდგა, მერე ღრიალით გადახტა გზიდან, სადაც ხევში გადაჩეხილი კაცი ამოათრიეს 15 წლის ბიჭებმა. ის ზევიდან დაემხო მას და საზარელი ხმით აბღავლდა «ჯურღაუ, ჯურღაუ,» მერე უცებ შეაჩერა მოთქმა, გაიმართა და მასთან ახლო მდგომ ბიჭს ეძგერა, ის განზე

გახტა, მაშინ ყოფილი ტყვე შემოტრიალდა და უხმოდ, სწრაფად დაეშვა უგზო უფსკრულისკენ ხტუნაობით, მერე არღუნის ხიდზე გავარდა. გურამს სისხლის დაკარგვისგან თავბრუ დაეხვა. რამდენიმე კაცმა ძლივს მოასწრო ხელის შეშველება.

32.

თითქმის გონებადაკარგული გურამი, რომელიც გაშოტილი, საკაცეზე გაწვენილი, სოფლისკენ მიჰყავდათ, ხედავდა, როგორ გაირბინა გაქცეულმა ხიდი, მერე ქვაზე შეხტა, მუშტების ღერება დაიწყო და რაღაცას ყვიროდა; ჩაჩაურმა, რომელსაც საკაცე ფეხების მხრიდან ეჭირა ჯურხას ძმა კვირიასთან ერთად, თოფი დაცალა მისი მიმართულებით, ტყვიამ ლოდიანის ძირში აყარა მიწა, კაცი გადახტა ყვირილით და უკვე მიბნელებულ მთის ფერდის ბუჩქებს შეერია.

გურამმა თითქმის დაკარგა გონება, ის მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა ახლა, რომ ის, რაც ასეთი მთლიანი და მასიური ეგონა, შატილი შიგ შესვლისას მრავალ ცალკე, ერთმანეთში შეზრდილ და ერთმანეთისგან გამოყოფილ ტერასულ კოშკად და შუკად დაეწყო. სოფელში იდგა ახალი წივის სუნი, ისმოდა ხბოების ბღავილი, ძროხის წველისას კათხებში რძის ჩასხმისა და გაბმით, გუგუნით ლაპარაკის ხმა. დაჭრილი პირდაპირ მეორე სართულში აიყვანეს, ცოტა ხანი აქ იწვა, საკმაოდ გადაბმული, გაურჩეველი დუდღუნის შემდეგ აიყვანეს მესამე სართულზე, აქაც დააწვინეს, კიდევ იკამათეს და ბოლოს ის მეოთხე სართულში დადგმულ უზარმაზარ ხის გათლილ საწოლზე მოხვდა, რომელზედაც უხვად ეყარა თივა და ზედ ჭრელი ნაჭრები ჰქონდა გადაფარებული. დარბაზის შუაში, რომელიც ზევიდან ნათდებოდა, ხის საქსოვი ბეჭი იდგა. გურამს თავი გაუსივდა და ეჩვენებოდა თითქოს ყველაფერ ამას მის მაგიერ სხვა ხედავდა, ხევსურებმა, რომელთაც ის თითქმის ვერ არჩევდა, თავისი ცუდად ყოფნის გამო, უზარმაზარი ლეკური ფაფახები ჩამოიფხატეს, ყალიონები დატენეს, მერე ტაბლაზე პირდაპირ წამოყრილი ორთქლიანი ყველის ხინკლების ჭამა დაიწყეს, რის დროსაც გაუთავებლივ ლაპარაკობდნენ. ყველაფერი ამისგან უფრო ებერებოდა გურამს თავი, სანამ ისე არ გაებერა, რომ სულ გაიფანტა ოთახში, ამოავსო ყველა კუთხე და შფოთიან ძილში ჩაგუბდა.

თავი II
/ბებერი ბერდია/

33.

როგორც მთებში მცხოვრებსა და მონადირეს, ბებერ ბერდიას ზედმიწევნით განვითარებული ჰქონდა სმენა, ოღონდ გარშემო ბგერებიდან მისი შეგრძნება მხოლოდ იმას იღებდა, რაც მის საქმესთან იყო დაკავშირებული. იმის ყურის ბარაბნებს შეიძლება არავითარი მნიშვნელობა არ მიეცათ უზარმაზარი ზვავის მოხეთქისათვის, რომელსაც ერთად ორი სოფელი შეეძლო გაეტანა, ან ზარბაზნის გასროლისათვის, მაგრამ საკმარისი იყო ჩხირის პატარა გატკაცუნებაც კი, ოდნავი სიფრთხილით ჩადენილი, რომ ისევ ისეთივე უყურადღებო პოზაში დარჩენილი მოხუცი შინაგანად მთლად შემართულიყო. ყოველდღე ათობით მონადირის თოფი იცლებოდა მთებში, მაგრამ იმ ბოლო ტყვიამ, რომელიც გაღმა გავარდნილს ესროლა კვირიამ, ბებერი უცებ დაძაბა. ძაღლივით იყნოსა, რომ რაღაცა ისეთი მოხდა, რაც

მასთან ძალიან ახლო იყო, ასეთი რამე კი იშვიათად ხდებოდა ამ ხეობაში, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში ათი კაცი მაინც ხოცავდა ერთმანეთს, იტაცებდა საქონელს. იჯდა ბებერი ბერდია იმ ადგილას უკვე მეოცე წელიწადი იყო და არ იძროდა; თორმეტი გოგოჭური მოკლეს ასოცი წლის განმავლობაში ჭინჭარაულებმა. ცამეტი ჭინჭარაული მოკლეს ასოცი წლის განმავლობაში გოგოჭურებმა. ასი წლის იყო ბერდია, როცა სამოცი წლის ვაჟი მოუკლა ახალგაზრდა გოგოჭურმა და გადაიხვეწა, გადახვეწილი სამჯერ დაიჭირეს, ციხეში დავაჟკაცდა, გაიზარდა და ორმოცი წლისა მეოთხედ ჩასვეს უკვე ოცდახუთი წლით ციხეში. იჯდა ბერდია და იმ კაცის გამოჩენას ელოდა, რომელიც ოცდახუთი წლით კამჩატკაზე იყო გადასახლებული. სანამ იმის სისხლს არ აიღებდა, შეჰფიცა, ამ ადგილიდან არ დაძრულიყო, არ კვდებოდა ბერდია იმიტომ, რომ უნდა ეცადა იმის დაბრუნებისათვის კიდევ თხუთმეტი წელიწადი. მაგრამ ის ისეთი კაცი იყო, რომელიც ბოლომდე, ვალის მოხდამდე, არასოდეს არა ზის, ან უშვებენ, ან კვდება, ან, ყველაზე ხშირად, იპარება. როგორც მერცხალს არ შეუძლია გაზაფხულზე თავის ძველ ბუდეში არ დაბრუნდეს, ისე არ შეეძლო უკვე ორმოცს მიღწეულ აპარეკას, ციხიდან გამოქცევის შემთხვევაში, შატილის გარეშე ცხოვრება. ბერდია ისეთ ადგილას იჯდა, სადაც გადიოდა ყველა გზა შატილისკენ. იჯდა და ელოდა. ყველამ იცოდა რას ელოდა ბერდია, ეს გაიგო აპარეკამაც ციხეში და იგრძნო, რომ მისი მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, არაფრით არ შეეძლო აპარეკას იმ გზაზე არ გაეარა, რომელიც ეწერა გასავლელად, არადა, ვინც ოცი წელი ელის ამ მომენტს, სროლას ის მოასწრებს.

2. (34)

როცა პირველმა გოგოჭურმა პირველი ჭინჭარაული მოკლა, ბერდიამ საშინლად დაიჩხავლა და არდოტის წყალში ჩაგორდა, ატირებული. ას თხუთმეტი წლის წინ ის მხარზე ჰყავდა მოკიდებული მამას, რომელიც ძუნძულით მორბოდა ტყიდან მდინარისაკენ ჩამომავალ ბილიკზე. ბილიკის ბოლოს, ფარივით ამობრუნებული ძირით, უზარმაზარი წაქცეული ხე ეგდო, რომლის უკანაც სამი ძმა გოგოჭური იმალებოდა. ამ ამბამდე ექვსი წლის წინ, ათენგენის დროს, როდესაც მთელი ხევსურეთი გუდანის ჯვრის მადლს ლოცულობდა, ბერდიას მამა არ წავიდა ხატში, იმან ორი ღამე ათენა ჭაუხში, «ორბის ბუდესავით» დაკიდებულ არდოტის თავზე. როცა სამივე ძმა გაიგუდა, სამი ფერის პატარა ცხენით ხატისკენ ჯირითით მიმავალი, დათვივით დაგორდა სოფლისკენ, ბღავილით შევარდა მათ სახლში, დედა და უფროსი რძალი ბანიდან გადააგდო _ ერთს ფეხი მოსტყდა, მეორეს ხელი, ბღავილითვე მივარდა უმცროს რძალს მზექალას, მხარზე მოიგდო ბატკანივით და ტყეს შეერია. აღმართზე ძვირფასი ტვირთით, ოხშივარად ქცეულ ბერდიას მამას კისერზე ქალის თმები ეხვია, მხრებზე ძუძუები ეწყო და ხელში მისი მუხლისთავები ეჭირა მობღუჯული, ქალი ჩუმად კიოდა და ჰკოცნიდა, ცახცახებდა, ეშინოდა, ეშინოდა ძალიან, რომ არ მოეკლათ ის, ბერდიას მამაც, თვითონ ბერდიაც, რომელიც უნდა გაჩენილიყო საბოლოოდ და ბევრი სხვა მათი გვარისაც. მზექალას უყვარდა ეს ვაჟკაცი, რომელიც მხარზე გადებულს მოარბენინებდა მას, მაგრამ ძმებმა გოგოჭურებმა ასევე მოიტაცეს ერთი ღამით თავისი სოფლიდან, მაშინ მზექალას უცებ შეუყვარდა აჭა, რომელმაც მხარზე გაიგდო, რომელსაც ესროდა წამოწეული მდევარი და რომელიც მაინც გარბოდა. მზექალა მაშინ აჭას ჰკოცნიდა და ძალიან ეშინოდა, რომ არ მოეკლათ აჭა, მისი ძმები და ის შვილი, რომელიც უნდა

დაბადებულიყო. როცა ორი თვე იცხოვრა გოგოჭურების ამ სოფელში, დედამთილმა საბოლოოდ მოაბეზრა თავი, იმას საშინლად ხშირი წითელი თმა ჰქონდა, დიდი პირი, ჭუჭყიანი ცხვირი, აბოყინებდა და თავის ახალმოტაცებულ რძალს ხელებს უყოფდა ყველა ადგილებში. ხითხითებდა, კაბას უწევდა და უცებ სწრაფი მოძრაობით აცლიდა ფანჩარს, რაც საშინელ აღტაცებას იწვევდა მასში. პირველი უფროსი რძალი უკვე შეჩვეული იყო ასეთ მდგომარეობას, თუმცა ახალი, თეძომრგვალი უმცროსი ქალის მოსვლისას, მას უკვე თავი მიანება დედამთილმა. ორივე ძმა, იმას გარდა, რომლის ცოლიც იყო ეს ქალი, საშინელ სიამოვნებას იღებდა დედის ასეთი ქცევისაგან და ხითხითებდა.

3. (35)

მაშინ სისხლი მოაწვა ყელში იმ ძმას, რომელმაც მზექალა მოიტაცა, დედას სცემა, ძმები გალანძღა და რძალი აიყოლია, სათივეების უკან ჩაიყვანა და უთხრა ეჩვენებინა როგორ ერთობოდა დადო. რძალმა, რომელსაც, როცა მას უკეთებდნენ, სძულდა, ახლა უჩვეულო სექსუალური სიამოვნება იგრძნო, ურცხვად აიწია კაბა და გამოიძრო ფანჩარი. მაშინ უმცროსმა ძმამ, რომელმაც მზექალა მოიტაცა, იცხოვრა მასთან. ამ დროს ორი უფროსი ძმა წასული იყო არღუნის და არაგვის ხეობების საძარცვად, უმცროსი, რომელიც ვითომ თავის ახლად მოყვანილ რძალთან დატოვეს, სინამდვილეში, თავისი ძმის მოვალეობასაც ასრულებდა თავის რძალთან. დედამ უცებ იყნოსა ეს ამბავი და სიამოვნებისგან კაბააწეული მთელი ნახევარი დღე იდგა შუაცეცხლის თავზე, რომელიც ოდნავ ღვიოდა და უღიტინებდა, მერე ხმელი ფიჩხი დააგდო და სიამოვნებით იგრძნო, როგორ შეეტრუსა ბალანი.

ღამე დედამ დატუქსა შვილი და ყველაფერი დააფიცა, მართალი ეთქვა, გამოჭერილმა აჭამ ვერ დამალა ვერაფერი, მაშინ დედუ შეჰპირდა ძმების ჩამოსვლისთანავე მის მოკვლევინებას, შვილმა გადაწყვიტა გაქცეულიყო, მაშინ დედუმ უთხრა, რომ სამივე ისინი ამა და ამ მამის შვილები იყვნენ, ამიტომ მათაც ამათსავით სისხლი ჰქონდათ, ამათ სისხლში კი ასეთი ამბები ახალი არ იყო. მისი დედა მომსახურებას უწევდა, როცა სახადისაგან ქალები დაიხოცნენ, სამი მამის ძმას და ორ ბიძაშვილს. დედამ შვილს სთხოვა, ნება მიეცა მისთვის ეყურებინა როგორ აწევინებდა ფეხებს მაღლა თავის უფროს რძალს და უმცროს რძალს, ამ პირობით ის არ ეტყოდა არაფერს ძმებს. როცა შვილი უფროს რძალთან იყო, დედამთილი მის ცოლს კალთაში ისვამდა და ხელებს უყოფდა, საცა შეეძლო, და ხითხითებდა. მზექალა წიოდა პირველად, მერე სიამოვნებდა, მერე ისევ აწივლდა და აღარასოდეს აღარ სიამოვნებია ეს ამბავი, მაშინ დაიწყო ფიქრი ბერდიას მამაზე, რომელიც უყვარდა და რომლის დედაც პატარა, წყნარი სახის ქალი იყო. ერთი თვის შემდეგ ორი ძმა სახლში დაბრუნდა, დედუმ როგორც თქვა, ყველაფერი დამალა, მაგრამ უფროსი ძმის გაღიზიანება დაიწყო უმცროსი რძლის წინააღმდეგ და ხშირად შვილის ასაღელვებლად იმას უკეთებდა მზექალას, რაც ასე ძალიან ართობდა ხოლმე თვითონ. მაშინ უფროსმა ძმამ გადაწყვიტა ჯვარში თვითონ არ წასულიყო, ფეხი აითრია და სახლში დარჩა.

4. (36)

როცა ძმებმა ძმა ფეხათრეული და ავადმყოფი ნახეს, ძალით შესვეს ცხენზე და ხატში ისე წაიყვანეს სალოცავად და მოსარჩენად. ამ დროს აბეზარი დედამთილის

ანაბარა დარჩენილი მზექალა იჯდა ბერდიას მამაზე ფიქრში გართული, ბერდოს მამა კი ორი დღე-ღამე ჭაუხში იყინებოდა მსუბუქ ტყავკაბაში გახვეული. იმან არ იცოდა, რომ მზექალა მასზე ფიქრობდა, ოღონდ თვითონ ისე იყო მზექალათი დატვირთული, რომ თითქმის არც კი აინტერესებდა ქალის აზრი. ამიტომ აიტაცა ასე, მხარზე მოიკიდა ცხვარივით და გაიქცა მთებისკენ, როცა, საკმაოდ შორს წასული, ძალიან დაიღალა, მაშინღა გაოცდა, რომ ქალი არ კიოდა, კივილის მაგიერ ჩუმად იყო და კისერში ჰკოცნიდა. ამ დროს ისინი უკვე მთის წვერზე იყვნენ ამოსული, ბილიკი სადღაც ქვევით გადიოდა, არღუნზე ერთი ბეწოდ მოჩანდა რამდენიმე შიგ ჩავარდნილი ნისლის ნაფლეთი და ვიწრო, შავი ხიდი. როცა ნისლი მოეხვია მთებს და ოდნავ გააგრილა ახურებული ვაჟკაცი, ის დააცხრა მთელი ვნებითა და სიყვარულით მზექალას, რომელიც მხოლოდ ჰკოცნიდა ნაზ ოხვრასთან ერთად. როცა მზე გამოვიდა, ისინი ისევ ისე იწვნენ, მხოლოდ მოპირდაპირე ქედის გასწვრივ მოჩანდა, როგორ მიაგელვებდა სამი ძმა ხატისაკენ ცხენებს.

აქ ჩაისახა ბებერი ბერდია, ის დაიბადა შესაფერი დროის შემდეგ შატილში ას ოცი წლის წინ, ამ ქალაქ-სახელმწიფოში, რომლის ასი-ას ოცი კოშკი, ერთად შეზრდილი, ორასამდე კომლს იფარავდა. კოშკები დანგრევის მაგიერ შენდებოდა, აშენებდნენ მათ ქისტი კალატოზები, თავის მხრივ, ხევსური კალატოზები ქისტებს უშენებდნენ კოშკებს. ბერდია იზრდებოდა იმ კოშკში, სადაც ახლა გურამი იწვა, ერთ დღეს მისმა მამამ ამოიჩარა ის იღლიაში, შეჯდა ცხენზე, ცოლიც ჯორზე დასვა. საღამო ხანს ანატორის ბოლოებისკენ დაუყვა, საიდანაც აკლდამებს ზევით და პირდაპირ ჯარეგოში მიდიოდა გზა; ქისტეთის უღელტეხილზე ეხში გაათენეს ღამე. დილით უახლოეს სოფელში უნდა შეესყიდათ აუარებელი საჭირო ნივთები ზამთრისთვის და უკან უნდა მობრუნებულიყვნენ. როდესაც ცხენები შეკაზმეს, ბერდიას მამა მზექალას მოეხმარა კეხში დაჯდომაზე, ამ დროს მის ყურთან გასკდა ტყვია და ქალი, იქით მხარეს მძიმედ გადავარდნილი, ხევისკენ დაეშვა სისხლითა და ღრიალით.

5. (37)

ბერდიას მამამ უცებ მოიაზრა, რაც მოხდა, ამიტომ სტაცა შვილს ხელი და ერთი ნახტომით გაუჩინარდა ქვევით დაწეულ ჭაუხის შავ ნაოჭში, აქ ფეხის სრიალით გაირბინა ჩაწოლილი, ოდნავ გაშავებული ნაზაფხულარი თოვლის ზვავი, მეორე მხარეს გახტა და ხიდისკენ დაეშვა სირბილით.

თოფი უმცროსმა ძმამ ისროლა, ორი სხვა ძმა კი ხიდის თავში ამობრუნებული ხის ფესვების უკან ჩაასაფრა, დაინახა თუ არა, რომ ქალი მოკვდა, რაც მას არ უნდოდა, ის სწრაფად დაქანდა უფრო მოკლე გზით ხიდისკენ, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გამოევლო მისი ცოლის მომტაცებელს. ბერდიას მამა, როცა გარბოდა, დარწმუნებული იყო, რომ უკან დატოვა მკვლელი, მაგრამ თოფის სასროლზე მიუახლოვდა თუ არა ხიდს, თოფის ხმასთან ერთად საშინელი წვა იგრძნო კანჭში, შვილი ტყისკენ ისროლა და როგორც ქათამს, ისე აუქშია ხელები. ბერდია ბუჩქებში შევარდა, ხაოიანი ფოთლები ახურებულ ლოყებს უსერავდნენ, ეკლები იჭერდნენ ყოველნაირად, ის კი გარბოდა შეუჩერებლივ; შორიდან ესმოდა მამის ხმა «გაიზრდებოდე, გადაიხდიდე დედის და მამის სისხლს». სისხლი, სისხლი, სისხლი _ წიოდა მის გარშემო ყველაფერი, ლოყებიდან სისხლი სდიოდა, ფეხებიდან სისხლი სდიოდა, ბუჩქებიდან წითელი ყაყაჩოების ველზე გავარდა. შავხალიანი, დიდი წითელი ყაყაჩოები ზევიდან ქვევით ღელავდნენ, პატარა ბერდია დაეცა დაღლილი, შორიდან კიდევ მოესმა მამის ხმა, რამდენჯერმე გავარდა თოფი და ყველაფერი

დაწყნარდა. როცა გაეღვიძა, ღამე იყო და ყაყაჩოები შავად ჩანდნენ, საიდანღაც გაიხსენა, რომ ისინი ავი სულების განსახიერებას წარმოადგენდნენ და კოჭლობით მოშორდა ამ ადგილს. როგორც მგლის ლეკვს ეცემა ხოლმე პირველად სისხლის სუნი და ინსტინქტით იგრძნობს, რომ მთელი მისი ცხოვრება ამასთან უნდა დაკავშირდეს, ისე აღიქვა ბერდიამ ღამეში დედის სხეულისგან ხევში ვარდნისას დატოვებული წითელი კვალი, შედგა, გააზრიალა სიბრაზისგან, როცა სისხლში ამოსვრილი, უმწეოდ დამდგარი მამა წარმოუდგა, საიდანღაც უცხადესად გაიხსენა ის სახე, რომელიც ჯირკვის უკნიდან სულ წამით გამოჩნდა. ბერდიამ თითზე იკბინა, ატირდა ბავშვი და ჩქარ მდინარეს შეერია იქით ნაპირზე გასატოპად.

6. (38)

ოცი წლის იყო ბერდია, როცა სამივე ძმაზე შური იძია და მათთან ერთად მოკლა მათი დედაც, რძალი სადღაც გადაიკარგა. პირველი შურისძიება დადგა იმავე ღამეს. წყალში შეტოპილი ბავშვი წყალმა წაიღო, დიდხანს ებრძოდა ის ტალღებს ჩუმად და მერე აყვირდა. სამივე ძმა მამის მოკვლის შემდეგ ბავშვის კვალს მიჰყვებოდა ძუნძულით, მისი ცოცხლად შეპყრობა განსაკუთრებით სთხოვა დედამ, რომელსაც მოსწყინდა მარტო უფროსი რძლის წვალება. აჭამ შუაწყლიდან გამოათრია ბერდია, რომელიც უცებ ჩაწყნარდა. ცხოველები და მთიელები სულ მცირეწლოვანები ვაჟკაცდებიან, განსაკუთრებით ადრე იძენენ ისინი ინსტინქტურ ეშმაკობას. მატლივით მიწყნარდა ბერდია, თავი მოიმკვდარუნა, უცნაური ღიმილი დაიწყო, მერე ენა გამოყო. ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. აჭამ თქვა, ეს ბავშვი გიჟიაო. ბავშვმა გაიგო თუ არა, სწრაფად გადაწყვიტა ამ ამბის დადასტურება, ნაპირზე გამოსული ისევ წყალში შევარდა, იქიდან რამდენიმე პატარა კენჭი გამოათრია, მიწაში აურია და ჭამა დაიწყო. ძმებმა საშინელი შიმშილი იგრძნეს; უფროსმა გუდიდან მრგვლად ერბოში მოხარშული პურის გორდილები ამოალაგა, საშუალომ ბერდიას წიხლი ჰკრა წყლისაკენ, აჭამ დაიჭირა და სუფრასთან დასვა. მის ლუკმას შეაპარა ბავშვმა ალესილი დანის წატეხილი წვერი, რომელიც შარვლის ჯიბეში ეგდო. შუადღეს ყველანი ქედის გასწვრივ მიდიოდნენ, ბერდო შუაში ჰყავდათ ჩაყენებული, უცებ აჭა წელში მოიხარა, მუცელზე ხელი მოიკიდა და ხევისკენ დაქანდა ძალაგამოლეული, ძმები სირბილით გამოუდგნენ და შუა ფერდობამდე დაიჭირეს. ბერდია უღელტეხილისკენ გაიქცა. გზაზე ესმოდა როგორ გმინავდა და ოხრავდა, როგორ იგლეჯდა გულსაკინძს, შარვალს, ქალამნებს ძარღვებდალურჯებული აჭა. მეორე დღეს უღელტეხილის ზევიდან წამომდგარ ნისლიან ჭაუხში ჩასაფრებულმა ბავშვმა დაინახა, როგორ ჩაატარეს ძმებმა ტყავკაბაში გახვეული, ორჯოხგაყრილ ჰამაკში ჩადებული მკვდარი აჭა. დაკიდებულ აღმართზე ამომავალ ძმებს ოფლი ხვითქად სდიოდათ. როცა საკმაო მანძილზე ჩაიარეს, ბერდია გადმოდგა ჭიუხზე და მთელი ხმით დაიყვირა «ეეეუუუ». ხევსურული წესით, სისხლის აღებისას პატარა ბავშვის მოკვლა სირცხვილად ითვლება, მაგრამ რადგან მან მოკლა აჭა, შუათანა ძმამ დაუმიზნებლად ისროლა ჭაუხისკენ თოფი. ტყვია ბერდიას მოხვდა მარცხენა ხელში, მოუღუნა და მთელი სიცოცხლე მხოლოდ თითების მოძრაობაღა შეეძლო.

7. (39)

თორმეტი გოგოჭური და ცამეტი ჭინჭარაული მოკვდა სისხლის აღებისას ამ ამბების შემდეგ, ბერდიამ ხუთი წლიდან ას ოც წლამდე იმატა, მაგრამ პირველ

დღესავით გაუმაძღარი, თავისებურად სამართლიანი და მოუსვენარი დარჩა სისხლისადმი გული. ას ოცი წლის განმავლობაში არაფერზე არ უფიქრია, გარდა იმისა, როგორ მიეზღო სამაგიერო თავისი მევალისათვის; ბერდია ჭინჭარაულმა სამი შვილი გააჩინა ორ ცოლთან მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე გოგოჭურებს სისხლი აეღოთ, ხოლო შემდეგ გაებარათ ჭინჭარაულებს; ახლა იჯდა ბერდია ამ გზაჯვარედინზე თითქმის დაკუტებული, მისი სასიკვდილოდ დასიებული ფეხები ადგილიდან აღარ იძვროდნენ, რაც მას ხელს აძლევდა და სიამოვნებდა კიდეც, რადგან იცოდა, რომ ბოლო სისხლის ასაღებად მიცემულ ფიცს უფრო კარგად შეასრულებდა, იმ ამბავში, რომ მის მოვალეს ამ გზაზე უნდა გამოევლო, ეჭვი არ ეპარებოდა მას. არავისში შიშს არ იწვევდა ბერდია, ცხვრები მის მლაშე ბეწვს ენას უსვამდნენ, ძაღლები თათებს ურტყამდნენ, ჩიტები თექაში ჩარჩენილ ქერის მარცვლებს კორტნიდნენ, როცა უნდოდათ, წყაროსთან დასასვენებლად ჩამომსხდარი მგზავრები დიდხანს და მოკლე დიალოგით ესაუბრებოდნენ, მხოლოდ გოგოჭურები ადიოდნენ მაღლა ქედზე, ათკილომეტრიანი ბილიკით იგრძელებდნენ გზას და ისე უვლიდნენ გვერდს.

საჭმელს ყველა უტოვებდა ბერდიას, ოღონდ სისტემატურად მარტო აშაქალი უვლიდა მას. თუ ბერდიასი, გოგოჭურების გარდა, არავის არ ეშინოდა, აშაქალს, პირიქით, ყველა გაურბოდა, ჯერ ერთი და, თავისი სიყოჩაღით სამოცი წლის აშაქალი ყველას შიშსა ჰგვრიდა, მეორეც _ მისი უშნო, დაჩეხილი სახე ზიზღსა და უცნაურ მორიდებას იწვევდა ყველაში. ერთხელ, ღამე, აშაქალი მოვიდა ბერდიასთან, საშინელი ზამთარი იდგა, დიდი ზვავები ზრიალით წვებოდნენ ხეობაში, ქარი ოთხივე მხრივ წივილით გარბოდა ჯვარედინ ხეობაში, გათავხედებული მგლები ნახევარი თოფის მანძილზე ურბენდნენ ბერდიას გარეშემო; ბერდიას სამი დღე შეუჩერებლივ ათოვდა, მეოთხე ღამისთვის ის უკვე თითქმის გათანაბრდა თოვლის ზედაპირთან, მხოლოდ კომბლით სასუნთქავი კვალი გააგანიერა ოდნავ და ისე იჯდა და უყურებდა ხეობის იმ მხარეს, საიდანაც ვინმეს კიდევ შეეძლო ჩამოსვლა. ბოლოს თოვლმა ისე იმატა, რომ აღარავინ აღარ გამოდიოდა გარეთ, ბერდიას დასთბა და წამწამებზე ლოლუები დაეკიდა. თოვლი შეუჩერებლივ განაგრძობდა ცვენას.

8. (40)

ამ დროს მთის მრგვალი, სახლში დაწნული თხილამურებით მოვიდა აშაქალი, ნახა წინანდელი ის ადგილი, სადაც მიწაში ჩაზრდილი იჯდა ბერდია, თოფის კონდახით გათხარა თოვლი, თვითონაც შიგ შეძვრა და უხმოდ დაჯდა მის წინ, გარედან კი სულ თოვდა და თოვდა და მეორე საღამოსთვის ორივე დაფარა.

_ ბეჩავ, ბერდია, – თქვა აშაქალმა.

_ აუ, აშაქალ, – წამწამებიდან ლოლუები ჩამოეფერთხა გუგების ამოძრავებისას ბერდიას და ისევ მშვიდად განაგრძო ჯდომა.

_ გდიხარ და გდიხარ ისევ.

_ ვგდივარ, ვგდივარ, აშაქალ.

_ მგლებსაც აწუხებ, აშფოთებ, ბერდიავ.

_ ვაშფოთებ მაგრად, აშაქალ.

_ გივლიან გარშემო და გიღმუიან, ალბათ.

_ მთელი ღამეები, აშაქალ.

_ ერთი ძუკნა დავლანდე, რა ვქნა, შენს თავზე იდგა და თხრიდა.

_ თოვლით ამომივსო წამწამები, აშაქალ.

_ ქერის პური თუ კიდევ გაქვს, ბეჩავ, ბერდიავ?
_ აღარა.
_ წყლად თოვლს სვამდი?
_ თოვლსა, მაშ, აშაქალ.
_ ხევსურები რომ ბარში მიდიან ამ ზაფხულზე, ბეჩავ, ბერდიავ!
_ შატილის თემიც, აშაქალ?
_ ყველა თემი: ბაცალიგოს, ბარისახოსი, არხოტისა, შატილისა.
_ მაშ, ზაფხულში მოვა ის...
_ დრო რო არ უწევს, ბერდიავ!
_ გამოიქცევა და ისე მოვა, აშაქალ.

9. (41)

_ ბეჩავ, ბერდიავ, – მოჰყვა აშაქალი მარცვლების ყლაპვით, – წარსულ კვირაში, ორი ზვავი რო ჩამოწვა შატილის გასწვრივ ხატის თავზე, თოფებს რომ ისროდნენ თოვლების ასაყრელად, ღამე რომ ჩადგა, ჩაწყნარდა ყველაფერი, ღამე რომ ფიფქის მაგიერ ვარსკვლავები ცვივოდა ციდან და ხეობაში ქუდმოხდილი თეთრი თმით ღმერთი დადიოდა წმინდა შუბლით და ყველას ლოცავდა, მერე პირდაპირ დიდ მთაზე დადგა, პირველი ღილი პერანგიდან შეეხსნა, კრიალა ნიავს უშვერდა შუბლს, ერთი ხელი გულზე ედო, მეორეს ცისკენ იშვერდა, მაშინ გარეთ გამოვედი, დაბლად დავუხარე თავი.

_ აშაქალ, ქალო! _ მომესმა იმისი მაღალი ხმა, დაბლად ნათქვამი.

_ რადა ყმუოდი ამდენი წელი, მე გაწყენინე ვიცი, აშაქალ, რომ არ მოგეცი სუფთა სახე, სუფთა თმები, სუფთა მკერდი, სუფთა კაბა, სუფთა ხმა. რად არა მწყევლი, საწყალო, აშაქალ! _ თეთრ თოვლებზე მწვანე ბუჩქი აიყარა, მრგვალ ბუჩქებს შუა სამ-ოთხტოტიანი იასამნები აყვავდნენ. ისინი წელში ირხეოდნენ, ტოტებს ხელით შლიდნენ და ღმერთს თავის ყვავილს აწვდიდნენ.

_ ბეჩავ, აშაქალ, ბეჩავ, აშაქალ! _ იძახდა ღმერთი, _ რად არ მოგეცი სუფთა თვალები, სუფთა მკერდი!

_ ბეჩავ, აშაქალ! – თქვა ბებერმა ბერდიამ.

_ დილაზე მზია ვიპოვე წელამდე თოვლში, მოდიოდა შატილიდან, ბათარეკას პატარა ქალი, სულ ავადმყოფი ყინვისგან, გაციებული, თხელი ტოტივით, ლამაზ იასამნის ყვავილივით, გაკვირვებული სიმშვენიერისგან, თეთრგვირგვინასავით.

_ აუ, უცნაურად ენამზეობ, აშაქალ!

_ მზიას პოვნისგან, ბერდიავ, მზიას პოვნისგან.

_ ბათარეკას რად გამოჰქცევია?

_ აუგი სიტყვა უთქვამს, დედას რად არ ეხმარვიო და სწყენია.

_ რათაო?

_ მზიას მოხმარა არ შეუძლია, მზიას მუშაობა არ შეუძლია, მზია ლამაზია მთის ყვავილივით და მარტო ფუტკარს შეუძლია ისე შეეხოს, რომ არ ატკინოს და არ ავნოს თეთრგვირგვინას.

_ ბეჩავ, აშაქალ, ერიდე მზიასთვის მაგ ფუტკარს, რად ენამზეობ აგრე, აშაქალ?

_ რაღა დროსი ახლა მაგის თქმა, ბეჩავ, ბერდიავ.

10. (42)

არაბულების ერთ შტოს ველგუჯაურებს კაცი გაუწყდათ ძალიან დიდი ხნის წინ, სამოცი წლის წინ, როცა აშაქალი ერთი წლის იყო, კაცი გაუწყდათ ოჯახის მიმხედი, ათი ქალი იჯდა ერთ ქვენოში, ექვსი ჯანმრთელი, ლამაზი, მაგარი, საცოლედ ვარგისი, სხვებმა მოიტაცეს, ოთხი – სამი ბებერი ძალიან, გამხდარი, უვარგისი, მარტო სიკვდილისათვის კარგი, დარჩა სახლში და ერთი პატარა, შვიდი წლის აშაქალი. ერთ ღამეს ბებრებს ძალიან შესცივდათ და დიდი ცეცხლი დაანთეს, ბებრებს იმდენი ხანი სციოდათ, რომ ცეცხლს ვერ გაუძლეს, სითბოს აჰყვნენ და მიიძინეს, ცეცხლი ჩალას მოეკიდა, ჩალა იქვე დაყრილ ფიჩხს, ფიჩხი აგიზგიზდა და ბებრები და სახლი გადაწვა, პატარა აშაქალი ჩამონგრეულ სახლში მოჰყვა. სამუდამოდ დაეჩეხა სახე, კანი გაუშავდა, გაუჭუჭყიანდა. აშაქალი არაბულებმა შეიკედლეს, გვარის უფროსმა შტომ……

[1959 წლის აგვისტო.]

ბათარეკა ჭინჭარაული

იშვიათია ისეთი მთა სამოსახლო, როგორიც ხევსურეთია; თუშეთს, ხევს, სვანეთსაც კი აქვს ვაკე ადგილები გაშლილი ქედების ძირში ან ხეობების გასწვრივ, მხოლოდ ეს კუთხე გაუწირავთ ღმერთებს ციცაბო ფერდობებისა და ბასრი ჭიუხების ანაბარად.

მოწყვეტილი ვაკის სამყაროდან, ცხოვრობდა ეს ხალხი არაგვის ხეობებში, დაყოფილი პირაქეთ _ ბარისახოსა, ბაცალიგოს და პირიქით _ არხოტის, შატილის თემებად.

ძნელია მათ შორის მიმოსვლა ზაფხულშიაც კი. მხოლოდ ხატობები ან სხვა რაიმე დღესასწაული ყრის ერთად ერთი ხეობის მცხოვრებლებს წელიწადში სამ-ოთხჯერ, უფრო სწრაფად აგროვებს ამ ხალხს ომის ყიჟინა, საერთო მტრის წინააღმდეგ დაძახებული. მათთვის სხვა დანარჩენი დრო მიდის მარტო კაცის ბრძოლაში ბუნებასთან და საკუთარ კერპ-აგრესიულ ხასიათ-ვნებებთან, რომელთა თითოეული წვრილმანის გამოხატულება დანაშაულზე «ცხვარ-ძროხის გადახდის» კანონით არის განსაზღვრული; მთელი იურისპრუდენციული კოდექსებია შექმნილი სისხლის გამოსყიდვის შესახებ უსისხლოდ, რომელიც შვიდი-რვა თაობა გრძელდება ყოვლად საზარალო, დამამცირებელი კანონებით მკვლელის ოჯახისათვის და სასარგებლო ჭირისუფლებისთვის. უცნაური, ნამდვილად ხევსურული ხასიათიდან გამომდინარე სიტყვებით თავდება ეს სქელტანიანი დაუწერელ კანონთა წიგნი: ყველაფერი ამის შესრულებით /იგულისხმება ცხვარ-ძროხის გამოსასყიდის აღება სისხლის აღების მაგიერ/ დაკმაყოფილება, ხევსურული კაცური ადათებით, სირცხვილი არის. ჯვარპერანგიანი ვაჟები კი სირცხვილს არ ჭამენ არასოდეს და ერთ მკვლელობას ხშირად მთელი გვარების ამოწყვეტა მოჰყვებოდა ხოლმე. საპასუხო სისხლის აღება, პატიოსნების დაცვა თავისი თუ მიცვალებულის სულისა გაცილებით მაღლა დგას აქ, ვიდრე რაიმე სოციალური ანაზღაურება. აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე, პოეზია თავისი «ულოგიკო» ვნებებითა და გამოხატვის შეუდარებელი დრამატული სიმშვენიერით. შემთხვევითი არ არის, რომ აქ ფოლკლორი, აწყობილი ხევსურული ლექსით, თავისი ღირსების შეგრძნებით, კლასიკურ სიმაღლემდე ადის. ყველა ხევსური, როგორც წესი, პოეტია;

ყველაზე კარგს კი იმათგან ის დაწერს, რომელიც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება, ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი, ლექსის თქმამდე.

ასეთი ლექსია თავისთავად მოკლე დროში ლეგენდად ქცეული შატილი.

როცა ამ მოთხრობაში ნახსენები ხალხი ცხოვრობდა, ას ოცი კოშკი იყო ამ სოფელში და უფრო მეტი ოჯახი; სავსე ომებითა და მშვიდობით ცხოვრობდა საქართველოს უკიდურეს საზღვართან გაშენებული ეს ქალაქსახელმწიფო. ახლაც კი ნახევრად დანგრეულ შატილს ვინც ნახავს, ეგონება, რომ ბერძენმა ღმერთებმა ოლიმპოს მიტოვების შემდეგ აქ გადმოინაცვლეს, ამ პოლისში, რომელიც არავის სჭირდებოდა არასდროს, თუ თვითონ არ მოაგონებდა თავს სამყაროს.

არ არიან შატილელები ძუნწები თავის ჩვენებაში; იტაცებენ საქონელს, იღებენ სისხლს, ტეხენ დავას და თვითონ ავალიანებენ სხვებს. ომობენ გაზაფხულზე გზების გახსნისთანავე, არბევენ, უმოყვრდებიან ქისტებს თუ ხევსურებს /ისინი ასე ეძახიან თავის თანამეტომეებს, თვითონ შატილიონები ჰქვიათ/. მთელი ზაფხული, შემოდგომაზე გზების დაკეტვამდე, თავს უბამენ, ამთავრებენ სისხლის საქმეებს ან გულში ჯავრს იდებენ და უცებ, თოვლების ჩამოყრისთანავე, კუტებივით სხდებიან.

ძნელად ეჩვევიან ხევსურის კაცები ოჯახს; ზაფხულის ჯაფისგან ილაჯგაწყვეტილი თუ ჯანზე მოსული ქალები კრიახობენ გრძელი ზამთრის ღამეებში, წივისა და ვნების სუნით ივსება მთელი სოფელი, ბოლავს, ჟინს იკლავს, იღვივებს, არაყსა ხდის, ლუდსა სვამს და ღრეობს რიგრიგით კოშკიდან კოშკში დაზამთრებული სოფელი. თეთრია ყველაფერი შატილის გარშემო, თეთრია კოშკის სახურავებიც, მხოლოდ სიპისგან ნაშენი კედლები, ერთმანეთში ჩახლართული კიბეებითა და ბანებით, დგანან შავად, ავი მიუკარებლობით, საომრად, ჰარმონიულად შეზრდილნი ბუნებრივ ტიტველა კლდეში.

ზამთრის დღის უმოქმედობისგან იღლებიან კაცები, სახლის საქმე მათ არ ეკითხვით, დაძრწიან ღამენაწოლები ცოლებთან და მთელი დღე ლოთობენ, ბუბუნით არჩევენ შუღლის ამბებს.

ამ დაზამთრებული ლაბირინთის კიდე-წვეროში ცხოვრობს ბათარეკა ჭინჭარაული. თითქმის ცარიელია მისი კოშკის უზარმაზარი ტალანები. გამოუსვლელად წევს ის თავის ჯიშიან ქალთან მთელი დღეები და თივაზე მიგებულ ქურქებზევე სვამს ერთნახადს. რამდენჯერმე მოუვიდა მოპატიჟე მოგვარეებიდან სხვებთან ერთად არყის მისაღებად, სისხლის საქმეების გასარჩევად და საღრეობოდ. «დიაცს გაახლებთ თქვენთან სალაყბოდ», ბუზღუნებს ის ყველა მოპატიჟებაზე და აუდგომლადა წევს. ვერაფრით ვერ ეგუება დაუდეგარი მოშუღლე ბათარეკ ზამთრის უმოქმედობას. პანკისში მართებთ მისი სისხლი, ომალოში უნაგირი მოჰპარეს, ვერცხლით ნაკაზმი, ათი იმდენი თვითონ დაუშავა სხვებს, ვერ ისვენებს სახლში გამომწყვდეული. ამ ზამთარში ისეთი ზვავები ჩამოყარა, ისეთი მოთოვა, რომ გვერდზე სოფელშიაც კი არ შეიძლება გასვლა; თავისუფლად დადიან ჭიუხებიდან ქვევით დაწეული ჯიხვები. გმინავს ბათარეკ და გულმკერდს უჯიჯგნის ცოლს. მოუშვა წვერი და ჩაებურძგნა ხასიათი.

აღარ არიან ქედების ძირში ნაზი იები, აღარ იკრიფება ქედზე შეფენილი შავშალა ხილი; იმათ ადგილზე დაუსრულებლივ დევს თოვლი და ათოვს ზევიდან. ზის კოშკის ზემოთა მუხლში ქურქების შუაში ჩამჯდარი მზია, ბათარეკას ცამეტი წლის ქალიშვილი. ვიწრო სარკმლიდან იყურება დღე, როცა ფიფქები ჩანან, ღამე, როცა თოვლიც კი შავდება; სწორ, ჩამოთლილ თითებს ისვამს ღაწვებზე დილით, უჩოლკოდ, უსარკოდ ივარცხნის შუადღემდე თმებს. მისი სახე გაკვირვებულ,

გაბრწყინებულ თვალებადაა ქცეული; არ არის არავინ მის გარშემო; სადღაც გულის სიღრმეში ამ სიმარტოვისგან განსაკუთრებით კარგად გრძნობს მზიას სხეული, რომ ის უნაკლოა, ამ შეგრძნების მუდმივი თანხლება, სხვისი ყოფნის უსურვილობის ზღვარამდე, კარგსა ხდის მას.

შეყვარებულია ყველაფერი მის გარშემო: სიპისგან დატეხილი კედელი უხმოდ, პირქუშად, გამოუმჟღავნებლად. დიდი, ოთკუთხედი კიდობანი ვაჭრულად, მზაკვრული იერით ქონებას ჰპირდება გოგოს და მით იბირებს; უხმარი ხმლები იბრძვიან შეუჩერებლივ, ნაპერწკლის ცვენით – ათას სიყვარულს ჰპირდება მათ ქალის გული. მხოლოდ უზარმაზარი ცხვრის ქურქი, რომელშიაც ის გახვეულა, ეალერსება მის სხეულს, მატყლში ჩარგული ტუჩებით ასუნთქებს მზია მას თავის სურვილებს და ეკრობა. თავზე იხურავს ზევიდან ტყავსაბანს, რომლის ქვეშაც მთელი სამყარო ჩანს: კაცები, კოშკები, საქონელი, შუღლი და თვითონ. იმას, როგორც ყველა ხევსურის ბავშვს, ოთხი სახელი ჰქვია, იმათგან მზიას შემდეგ უყვარს თამარი, ქართული სახელი, დანარჩენი ორი, სანდუა და ბუბა, ეჯავრება, ისინი პატარას მომავალ ქმრიან ჯაფაზე უყვებიან ქვეშეცნეულად. უცნაურია, საიდან გამოვიდა ასეთი ქალი შატილის კოშკში; არაფრით არ შეუძლია იშრომოს, ან თესოს, ან მომკას, ან მოზილოს, დაგვაც კი. ის დადის, უზომოდ შეყვარებული თავის თავში, კიბეებზე და ისეა ამ გრძნობისგან გაბრუებული, რომ სიტყვებით ამ სიყვარულსაც კი ვერ არქმევს სახელს. კიბეზე ასვლისას ხშირად ეჩვენება, თითქოს წინა საფეხურს უფრო უყვარს, ვიდრე იმას, რომელზედაც ფეხი უდგას. უდედო ნუკრივით მფრთხალი, მშვენიერი და უსუსურია მისი სიყვარული. ის ისეა შეპყრობილი ამ ხალისით, რომ არაფერზე არ შეუძლია შეჩერდეს. ზის ქურქში გამოხვეული ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში, გააჩინა და ელის. არ არის გაწბილებული მისი მოლოდინი, ის ყველაფერში ხედავს მას, დიდი ანთებული თვალები, გრძელი გაკვირვებული წამწამებით, ყველაზე პატარა საგანსაც კი არ უშვებენ თავის გარშემო შეუყვარებლად.

თითქმის არ იცნობს მზია სოფლის მცხოვრებლებს, თავისი დედ-მამაც კი არ იცის როგორია, უცნაური, მთლიანი სისავსით ხედავს იგი მის გარშემო ყველაფერს, როცა ელაპარაკებიან, პასუხობს სრულიად ბუნებრივად, ხალისით, ისევე როგორც ზის ხოლმე მარტოკა კოშკის თავში. არ ანაწევრებს არაფერს მისი სხეული და გონება. არც ერთი ნაწილი არ გამოიყოფა იმ ლეგენდიდან, რომლის მოყოლითაც ის იძინებს, რომელიც ესიზმრება დაძინებულს და არც ესიზმრება.

ეს ამბავია ჯიხვებზე მონადირე ვაჟისა, რომელმაც ოჩოპინტრე გაანაწყენა და დაისაჯა. აღუკვეთა მას ნადირი ამ ღმერთმა. დაბადებით არაფრის კეთება არ შეეძლო მონადირეს გარდა ნადირის ხოცვისა; დადის ახლა, ეძებს ფსიტს, ნიამორს, ჯიხვს; საკმარისია თვალი მოჰკრას ჭიუხის ბოლოში, რომ ისინი გაქრნენ; ქედიდან ქედზე ღამე, დღე, თოვლში, მზეში, წვიმაში, მეხში დადის და ეძებს. ჩამოხმა ვაჟი, გაუტყდა სხეული, მთელი დღეები ლოცულობს, რომ შეუნდონ.

მაშინ ოჩოპინტრემ აპატია დანაშაული, რადგან სხვა არაფრის კეთება არ შეეძლო ამ კაცს. მოუვიდა ისევ ნადირი, აევსო ხორცი, აუყვავდა სული, ამღერდა მისი ბუნება. პატიების წინ ნადირობის ღმერთმა ერთი პირობა დაუდო – არ მოეკლა ხარ-ირემი, თორემ უარესად დასჯიდა მას. ხინჯად შეეპარა ეს პირობა მონადირეს, ახსოვდა ის ყველა ჯიხვის დანახვისას, ნიამორის დევნისას, ფსიტის მოკვლის დროს. მოუდიოდა ნადირი, ხოცავდა და ეხში დადგმულ ნიშებთან სწირავდა ნაწილს მპატიებელს – აღუთქვამდა პირობის შესრულებას. ღია იყო მის წინ ფეხმარდი თხების დევნისას ჭიუხების კარი, ზვავი გზას აძლევდა, მდინარე ვიწროვდებოდა და თავის სხეულზე

უვნებლად ახტუნებდა; ულევი ჰქონდა ტყვია_წამალი, ხალისი, ვნება და არც ერთი წამით არ ავიწყდებოდა, რომ არ უნდა მოეკლა ხარირემი.

მზემ ხეობა მიატოვა საღამო ხანს, ბნელში დარჩა მოკლული ჯიხვი, რომელიც ეხში ჩამქრალი ნაკვერჩხლების წინ დააგდო ვაჟმა. სხივები ქედის გასწვრივ გაწვნენ და დააბრმავეს თავისი სიმშვენიერით მონადირე. მთის დატეხილ ხერხემალზე ხეობიდან ავარდნილ ხარირემს გამოუდგა, მთელი ღამე სდია გონებაგაშავებულმა და დილით მიეწია. ისრის სასროლად მოზიდულ მშვილდს მზის პირველი სხივი დაეცა ოჩოპინტრეს თვალთან ერთად. ხელიდან გაუვარდა პირის გამტეხს სასროლი, მოსაზიდად მოხრილი მკლავი გაუშეშდა, აეყარა ძარღვები წყრთასა და მხარს შუა, არფის სიმებივით გაება და დაიჭიმა, ტანი ცხენს შეეზარდა, რომ არ შეჩერებულიყო მისი ჭენება ნადირის საძებნელად და მეტი სიმწუხარე მიეყენებინა ნადირობის უნარს მოკლებულისათვის; მხოლოდ საისრე მარჯვენა ხელი დარჩა თავისნებაზე მოძრავი; ჩამოჰკრავდა ამ ხელს სიმებად ქცეულ ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა.

ძლივს მიეჩვია ოჯახს ბათარეკა ჭინჭარაული. ავად გაუხდა ცოლი, თვითონ შეუდგა სახლის საქმის კეთებას. დაასუფთავა სახლი, ორი ქურქი გამოიყვანა, მერე ხმლები დაპოხა და ლუდი მოხადა მეზობლების დასაძახებლად. ამოაქოთა ჩაწყობილი სკივრი, ჭრელი პერანგები ამოარჩია, ისევ ჩააწყო, გახეული ბანდულები დაიკერა და ცოლისგან დაწყებული ბეჭი თვითონ გამართა. მთელი ვნება ოჯახის საქმეზე გადაიტანა, ჩათბა სახლში, თითქოს დაიღალა და მოეწონა საქალო საქმე, არ დატოვა არც ერთი კუთხე აუქოთებელ-დაულაგებელი და ზემო კოშკში ავიდა მესამე დღეს.

ბუნებით ნაზი, ავაზაკივით უჟმური იყო ხასიათით და ქცევით ბათარეკ. დაშტერებით, გაბრაზებული უყურებდა ის ჭერში დაკიდებულ აბლაბუდებს, რომელშიაც თავი გაერჭო, მიყრილ ნივთებში ფეხი აერია და თავის ქალს დააშტერდა ოჯახის საქმეს მოკიდებული კაცი. ბოროტად აელდნენ კაცის თვალები, ისევე როგორც საქონლის პარვისას ამხანაგის უმოქმედობის დროს გაბრაზებულს სჩვეოდა.

თითქოს რაღაც კიდევ მოემატა მზიას პოეზიას და ქუთუთოები უფრო გაუბრწყინდა მამის დანახვაზე. გული მოულბა ბათარეკას და თვალებმა არგამოსამჟღავნებლად უფრო ავად დაიწყეს ყურება, სულში შეჭრილ სისუსტესთან ერთად უცებ მოაწვა მთელი ზამთრის უმოქმედობის სევდა, ბრაზი და მთელი ხმით დაიღრიალა:

_ რად არ ეხმარები დედასა! ქალავ...

მზია ახლო მივიდა გაღიმებული და ვერაფრით ვერ შეძლო დამორცხვება ან თავის მოკატუნება, ისეთი მართალი იყო თავის თავთან, იმდენად არაფრის მთქმელი იყო მისთვის ეს ბრალდება. ბათარეკამ თითქოს გაიგო, რომ შვილმა აჯობა სიმართლეში, რო არაფერი იყო სახლში საქნელი, საქმე აქ ვერ ჩერდებოდა, ნამდვილი კაცური, და უცებ დაიმორცხვა, ოჯახის საქმით ანთებულმა, მზიას წინ.

ეს დამორცხვება ასე გამოხატა მან:

_ ქალავ!!

_ ა!?

_ რისი მაქნისი ხარ სახლში ტყუილა მჯდომარე!?

_ ა?! მამავ...

_ ათასი ჭირი, ქალო!!! _ დაიგრგვინა კაცმა. არ უნდოდა მზიას ამ სიტყვების გაგება და შეწუხებულმა სარკმლისკენ მიიხედა.

ასულის თვალების მოშორებამ თავისი მაგნიტური წრისგან გაუშვა ის და იმ ბრაზის გადმონთხევის საშუალება მისცა, რომელიც თავისი თავისადმი იგრძნო შვილის დანახვისთანავე. ეს ბრაზი იმ დანაშაულიდან მოდიოდა, რომელშიც არც ბრალი ჰქონდა თვითონ და რომლის არც გამოსწორება შეეძლო. ერთ ვნებად შეიკრა ის, რაღაცის წინააღმდეგ ამხედრებული, სილის გაკვრით დაანთხია ასულს ყველაფერი და კიბეებზე დაეშვა ბუბუნით.

თვითონ ვეღარ გაბედა კაცმა ზევით ასვლა და მეორე დღეს, სადილობისას, ავად გამხდარი დედა აუგზავნა საჭმელით შვილს. ჭერხოს შუაში გამქრალი შუაცეცხლის ჯაჭვზე ჩამოეხრჩო მზია ბათარეკას ასულს თავი.

[1959 წლის შემოდგომა]

დევების ცეკვა

რიჰა - ა! დიდება მარიამს უშგულისას,
შესაწირი გინდოდა ძლიერისა!

ძილი არის ბუნების შემოქმედება!

შავად სძინავთ სვანეთის მთებს, ლელასა და ბანგურიანს, მულახის დედოფალს _ ქალწულ თეთნულდს; წვანან მათ შუა მთები ჯვარედინად, პირდაპირ, გულაღმა, ოცნებისგან გარინდებულები, უდარდელად თავქვეშხელამოდებული, და გულდაღმა, მგრგვინავი, მბორგავი ძილით სავსენი. სძინავთ უთვალავ ხეობებს, ქიმკლდეებს, ხეობებში მყინვარებად გაქვავებულ ნაკადულცრემლებს, თავიანთ თეთრ საფარველზე უაზროდ დაგდებული უზარმაზარი ქვებით, ქვებით, რომლებსაც არც სამშობლო აქვთ, არც ბოლო, არც დასაწყისი და თავისი უცნაური სიმარტოვის სიფხიზლით უნებურ პატივისცემას იმსახურებენ ღამეში.

დიდი ხანია გაყუჩდნენ სვანეთის მთები, თუმცაღა შუაღამე ჯერ არ დამდგარა – ქედები იძინებენ მზის ჩასვლისთანავე; ზედიზედ იხდიან რუხ, თეთრ, გამჭვირვალე, ქულა ნისლების ტანსაცმელს; შიშვლდება გარემო სიბნელეში, ვერაფერი ვერ უძლებს მათი ძილის სიმშვენიერეს; ყველა ხელის შემშლელი იმალება ხეობაში, გუბდება, ინაბება ან იძინებს, ან უყურებს და სუნთქვას ვერ ბედავს, რჩებიან შიშველი, ურცხვი თავისი სილამაზით მთები.

ძილი არის ბუნების მშვენება! ხოლო ყველაზე კარგი ძილი მთებს შორის თეთნულდმა იცის; ის იცდის ყველაზე მეტ ხანს, ზურგს უკან მალავს თავისი სილამაზის სარკეს და როცა ყველაფერი შეწყვეტს მის გარშემო მოძრაობას, იხდის თავის საფარველს, მაღლა სწევს ნელი, ჰარმონიული მოძრაობით აქამდე დამალულ მთვარეს, ღამისგან გაბრუებული იხედება შიგ, იშმუშნება, რამდენიმე დარჩენილ ქულა ქათქათა ღრუბლის ბალიშზე მისდებს თავს და სიზმრებად იქცევა.

რიჰა_ა! დიდება მარიამს უშგულისას!

ვინ იცის, ვის აუხდება მშვენიერი ქალწულის მუდმივი ზმანება.

მთვარის უმოძრაო შუქზე შეუჩერებლივ გარბიან დაბლა ხეობიდან მაღლა ხევისკენ ერთი დედის შვილები, თორმეტი ძმა ხორჯოლანი!

ღამის წყვდიადში ბატონდებიან ადამიანის გონებაზე თავშეუკავებელი ვნებები, ყველანაირად შევიწროებული ხელოვნურად, შენიღბული და შეძლებისდაგვარად მიჩქმალული მზის სინათლეზე. ახლა კი აღარაფერს არ შეუძლია შეაჩეროს, ლაგამი ამოსდოს მათ. სიბნელეში იკარგება ყოველგვარი აზრი, ავადმყოფური თუ ჯანსაღი, და განუსაზღვრელად ბატონდება მხოლოდ ჭეშმარიტი არსი – ვნება! შეუჩერებელი ლტოლვა ერთისადმი, ერთისაკენ, ერთნაირი ძალით.

საბედისწეროდ მიგრგვინავენ სვანის ვაჟები ლოდებით ჩახერგილ ხევში მთის წვერისაკენ, მთის იქით ფერდაზე, თეთნულდის ძირში, მძინარე სოფლისაკენ, სადაც აქამდე წყნარად ცხოვრობდა მათი სურვილის ქალბატონი – ქოჩქელანების ასული.

თავაუღებლივ გარბიან დაბლიდან მაღლა დევკაცები...

არ შეანელოთ თქვენი სირბილი, ვაჟკაცო ძმებო!

უსინათლო კოშკზე სამოსახლო სიპით ნაშენი სახლი მიუდგამთ ერთხელ ოჯახმრავალ ქოჩქელანებს. მთელ სოფელში მხოლოდ ამ სახლიდან გამოდის მრავალრიცხოვანი ჭრაქებისა და შუაცეცხლის სინათლე. სვანეთის ულამაზესი ნახატწარბა საპატარძლო დგას სამფეხასთან. თმაგაძეძილმა დამჭკნარმა დედამისმა უკვე თორმეტი ბატკნის თავფეხი ჩაყარა ქვაბში და თმების ვარცხნა დაიწყო.

_ სასიძოებისთვის გამზადებული სახარში არ ჩაიხარშოს, _ ეუბნება ქალიშვილს.

_ შენ სიძეებისთვის სამასპინძლო ბატკნებს ნუ კითხულობ, თმები დაივარცხნე მთვარის შუქზე, დედა, _ ეუბნება ქალიშვილი და ქვაბს მრგვალად აქანებს ცეცხლის თავზე.

გაძეძილი დედაბერი გადის და თმებს ივარცხნის, რომ სასიძოები ადრევე არ შეაშინოს; მისი ნაწნავები იშლება მთელ სოფელზე და სავარცხელს გზას უჩვენებს მიწაზე გაშლილი თმის ლანდები.

_ დედა, _ ისმის ნაზი, შუაღამისაგან ათას ტკბილ ზმანებად ქცეული ქალიშვილის ხმა შიგნიდან.

დედა ხმას არა სცემს.

_ დედა... – განაგრძობს უფრო გამშვენიერებული ხმა შიგნიდან.

_ დედა, – ამბობს ის ისევ, – თუ ჰყოლია თეთნულდს ოდესმე ქმარი, _ არასდროს ისეთი კარგი არ არის ქალწულის ხმა, როგორც შუაღამის მბჟუტავი შუაცეცხლის ბოლში გახვეული.

_ არასდროს, შვილო, _ ავად, გამყინავად, შიშით ხრიალებს დედის ცივი ხმა მთვარის შუქზე. ის შვილის ყველა ფიქრს ხვდება, ოცნებასავით მიჰყვება უსინათლო კოშკის კიბეებს, აბლაბუდებით მოქსოვილ ბნელში ადის, დგება კოშკის თავზე და ხეობაში იყურება: სიბნელეში სოფლის თავიდან ბოლოსაკენ ზედიზედ ამორბიან ხორჯოლანები. მთვარე უფრო მაღლა იწევს და ჩრდილები მოკლდებიან, პატარა ეშმაკივითა ჩანს კოშკის თავზე დამდგარი დედის ლანდი. მის უსხეულო შავ ჩრდილს უკვე ფეხს ადგამს შუკის თავში შემოვარდნილი პირველი ძმა. დედა ქლოშინით ჩამორბის კიბეებზე და ერთი ფეხით უსწრებს ოთახში გრგვინვით შემოვარდნილ ვაჟებს, რომლებიც ზედიზედ ეყუდებიან უმოძრაოდ, მდუმარედ კედელს.

პატარძალი ქვაბს აქანებს მრგვალად ცეცხლის თავზე. დედა თხის ტიკით ხელში უვლის ძმებს, არაყს აძალებს მოსულებს და უკვირდება «რომელი იქნება მისი სიძე?»

«არც ერთი, არც ერთი», _ იმეორებს გულში ქალწული ქვეშეცნეულად, გამოურკვევლად.

_ დედა! ჩვენ შენი ქალის სათხოვნელად მოვედით, – ამბობენ ძმები.

დედა უცებ ჩერდება, არაყს ისხამს ციკნის პატარა რქაში და მაღლა სწევს.

_ რომელი იქნება ჩემი სიძე, – ისმის მისი ხმა. თორმეტი ძმა ხორჭოლანი ნახატწარბა ქალწულს მისჩერებია. «ჩემი იქნება», ამბობს თითოეული გულში, ქალწული თორმეტი ბატკნის ოხშივარს ეფარება, რომელიც უხვად სცემს ქვაბიდან და უნებურად, გამარჯვებული, შიშით შეპყრობილი, იმეორებს თავისთვის «არც ერთი, არც ერთი...»

_ რომელი იქნებით ჩემი სიძე? – კითხულობს დედა და, უკვე მეთერთმეტესთან მისული, მეთერთმეტე ყანწსა სვამს.

_ რომელი იქნებით ჩემი სიძე, – იმეორებს მთვრალი დედა და მეთორმეტე ყანწსა სცლის.

«მე ვიქნები», ბუბუნებს თითოეული ხორჭოლანი.

_ კარგო ძმებო, _ ამბობს დედა, _ დალიეთ, თითომ სხვა თერთმეტის სადღეგრძელო ჩემს ქალთან, თავის საცოლესთან ერთად, თავის ქმარს თვითონ პატარძალი ამოირჩევს.

ბებერი დიდი ჯიხვის დიდ ყანწს აწვდის პირველს და თვითონ უსხამს არაყს.

ცხრა ძმამ დალია, თითომ თერთმეტი დიდი ყანწი, მერე სვამს მეათე, მერე მეთერთმეტე, ბოლოს სვამს მეთორმეტე.

ო, საბრალო მთვრალო ძმებო, რომელი იქნებით ბებრის სიძე.

ო, საბრალო მთვრალო ძმებო, არ ერჩივნა დედათქვენს თორმეტის მაგიერ ერთის გაჩენა...

_ მე ვიქნები შენი სიძე, – ბუბუნებს თითოეული დედაბრისკენ.

_ შენ იქნები ჩემი ცოლი, _ მიდიან ისინი პატარძლისკენ, რომელიც ცეცხლის პირას დგას და ცეცხლივით ცახცახებს, ცეცხლივით იწვის და ვარვარა ალივით არც ერთს ახლოს არ უშვებს.

ო, საბრალო კარგო ძმებო, თქვენ ეგ ცეცხლი დაგწვავთ.

ძმები ახლოს რკალად მიდიან ცეცხლთან, პატარძალი შეშას უკეთებს.

ო, საბრალო ძმებო, კიდევ დალიეთ ერთი დარჩენილი საკუთარი თავის სადღეგრძელო, ცეცხლის სადღეგრძელო და მის გარშემო ხელი გადახვიეთ ერთმანეთს დევ მხრებზე დევი თათებით და მედგარი ფერხული იცეკვეთ, რაშავ_დელა...

ხელიხელგადახვეული ძმები ცეკვავენ ტერფებით, ცერებით, მუხლებზე ვარდნით ცეცხლის გარშემო ფერხულს, პატარძალი შეშას უკეთებს, ათასი მუსიკის ხმები არყის სიმფონიასავით, სიყვარულის სიმფონიასავით, დიდი სურვილის სიმფონიასავით ამოდიან ტკაცუნით ფიჩხიდან და ფერხულს უკრავენ _

რაშავ_დელა...

შეუჩერებლივ ტრიალებენ ალის გარშემო მხარგადახლართული ძმები და თითოეულს ესმის ქალწულის უმშვენიერესი ხმა: _ ის იქნება ჩემი ქმარი, რომელსაც თავბრუ არ დაეხვევა და ცეცხლში არ ჩავარდება.

ნელა ამოდიან ქულები თეთნულდის წვერისაკენ, ეხვევიან თეძოებზე, მკერდზე, ღამისგან ატეხილ ვნებას უგრილებენ. მისი უხორცო სურვილები ტრიალებენ, უცეცხლოდ იწვიან, ქალწულად ჩაძინებული ქალწულადვე გაიღვიძებს ცოტა ხნის შემდეგ.

არ გეყო, თეთნულდო, შენი უმანკო ზმანებებით თავის მოწონება მთვარეში ყურებით?

ო, შეუბრალებელო ქალწულო, შეიბრალე ხორცშესხმული კარგი ძმები!

შეუმჩნევლად კარგავს ალი თავის ძალას, წითელი მთვარე თეთრი ხდება, ტრიალებს ძალაგამოლეული ბოლო ძმა ცეცხლის გარშემო, მერე ეცემა და უკვე დამწვარი თავისი ძმების ნაკვერჩხლებში იწვის.

კივილით გარბის გარეთ პატარძალი, არბის კოშკის კიბეებზე, ვარდება, დგება, არბის ისევ და, თეთრ კაბაში გამოწყობილი, დგას მის თავზე; უკანასკნელ ღრუბელს იცილებს თეთნულდი და შიშველი, თავისუფალი თეთრი ზმანებისგან, რომელიც უკვე დაივიწყა, დგას შავ ლოდიანებს შორის.

ეს არის უდიდესი, წმინდა სიჩუმის წამი მზის ამოსვლის წინ.

ამ დროს ვერაფერზე ვერ ფიქრობს ღამენათევი პატარძალი.

[1959 წ. სექტემბერი]

ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები

ირინა და მე

I.

გურამი ყოველდღე სულ უფრო და უფრო ცოტა ძალას გრძნობდა იმისთვის, რომ მუშაობა გაეგრძელებინა. თითქმის ძალით გადაიკითხა ბოლო ნოველა ხევსურების ცხოვრებიდან: ამღელმა სამუკა წიკლაურმა შეირთო იათამზე, რომელიც ძმადნაფიცებთან ერთად მოიტაცა წინ ხადუდან და არხოტში გადაიყვანა; მთელი კვირა არ იცოდნენ ქალის კვალი მისმა ნათესავებმა; სამუკა ახიელელმა ოჩიაურმა გასცა, რომელსაც თვითონ უყვარდა იათამზე; ქალის ბიძაშვილებს ერთ დროს შუღლი ჰქონდათ წიკლაურების გვართან და ახლა გაიხსენეს, უღელტეხილზე ჩაუსაფრდნენ, წინ ხადუში ვერცხლისმჭედელ თავალექასთან მომავალი ჯურხა წიკლაური მოკლეს და შუღლი განაახლეს; ამღელებმა ქალის უკან გაგზავნა მოსთხოვეს სამუკას და მაგიერი სისხლის აღება დააკისრეს. ღამით გააპარა იათამზე სამუკამ ქისტეთში თავის ჯარეგოელ ძმადნაფიცთან, სოფლის გარეთ აიშენა ქოხი _ დაულოცველად შეუღლდნენ შეყვარებულები. ნოველა თავდებოდა ასე: ფერდობზე ჩრდილში იწვა თოფ-იარაღში ჩამჯდარი სამუკა, ჩამავალი მზე ანათებდა ქედის იქიდან ნახირთან ერთად ღიღინით მომავალ იათამზეს.

კიდევ რჩებოდა ხევსურების ცხოვრებაზე განზრახული ციკლის დამთავრებამდე ორი ნოველა დასაწერი, რომლებზედაც ასე სერიოზულად ფიქრობდა სულ ერთი კვირის წინ, ახლა კი საშინელ სიცარიელეს გრძნობდა გულზე. წასასვლელი არსად ჰქონდა, თანაც ძალიან შეეჩვია მარტო ჯდომას თავის ოთახში, სადაც გაატარა მთელი ზამთარი მუშაობაში; ესკიზებს თვითონ უკეთებდა თავის ნოველებს, ახლაც მოხაზა რაღაც და ისევ ადგა. საშინელი მოუხერხებელი მოეჩვენა თავისი მოხატული, გაბოლილი ოთახი. კუთხეში უსწორმასწოროდ მიყრილი არყის ბოთლები დაათვალიერა; ყველა ცარიელი იყო, ,,წავალ ერთ ბოთლს ვიყიდი,» გაიფიქრა, მოკლე ნახევარპალტო მოიცვა და გარეთ გამოვიდა. წვიმდა. ქვაფენილებში წყალი იდგა

მრგვალ წუმპეებად, ის დიდ, მძიმე მაღალყელიანებს განგებ ტყაპუნით ადგამდა შიგ გუბეებში, წვეთები გვერდზე ხტებოდნენ, გუბე ცარიელდებოდა და ისევ ივსებოდა ნაწური წყლით. ჰაერი თავის ოთახთან შედარებით არაჩვეულებრივად სუფთა მოეჩვენა, მხრები აამოძრავა, ჩაისუნთქა, გაუკვირდა: ,,როგორ გავძელი ამდენ ხანს იმ პატარა ოთახში». ვიღაცამ სწრაფად ჩაურბინა გვერდზე და პოდიეზდში შეაფარა წვიმას თავი. «აი, სულელი, რა სჯობია ახლა გარეთ სიარულს,» გაიფიქრა ისევ, ღიმილით გაიხედა გადახურული ალაყაფის კარებისკენ, სადაც ბიჭი და გოგო იდგნენ. იქით, აივნის ქვეშაც ხალხი იდგა, წვიმა სწორ ხაზებად ეცემოდა მათ ფეხებთან გუბეში, მან განგებ ჩაატყაპუნა შიგ ფეხი, მოისმა ბუზღუნი, ისევ გაიღიმა თავისთვის და ნაბიჯს აუჩქარა, სულ ჩქარა და ჩქარა მიდიოდა, მერე გაიქცა, მირბოდა, ხტუნაობდა თავისთვის შუა ქუჩაში, ფრუტუნებდა ცხენივით. დაიღალა. გაწუწული შევარდა დუქანში, არაყი მოითხოვა, ცოტა იქვე გადაკრა, მერე ნახევარბოთლიანი ჩაიტენა ჯიბეში და სახლისკენ წავიდა. ისევა წვიმდა. ისევ სირბილით წავიდა, არყის სუნი სცემდა ხახაში ნესტის სუნთან ერთად, ნესტოები დაებერა. თავის პოდიეზდს ჩასცდა, უკან მოტრიალდა და ზევით ავიდა, უბრალოდ, არ იცოდა სად წასულიყო. სიამოვნებით მოათვალიერა ოთახი, იგრძნო, რომ ამ ცოტა ხანში უკვე მოენატრა ის, სველი ტანისამოსი სქელ ორთქლს უშვებდა, გაუხდელად დაჯდა, ორ ჭიქაში დაასხა არაყი, დაიწყო ხევსურულად დალოცვა: «ღმერთო, ხელი მოუმართე ალუდას საკლავითა, ფქვილითა, ნადირითა,» სვამდა და ხმამაღლა იცინოდა, მერე მეორე ჭიქას სვამდა, «მაგვიხველ მშვიდობით, მინდიავ, სხვა როგორ ხართა, სახლში ხო არა გიჭირსთ რა, თვითონ როგორ ხარ,» ახლა ინანა, რომ შემოდგომაზე დასაზამთრებლად მთაში არ დარჩა. ბოთლი თითქმის მიიცალა, დათვრა, დანაღვლიანდა, ძალიან მოუნდა სადმე წასვლა, ისევ შიშით იგრძნო, რომ ეს ოთახი, სადაც მთელი ზამთარი გაატარა, მოსწყინდა უღმერთოდ. მეორე დილას ოდნავ სტკიოდა თავი. გააბოლა და ისევ მიუჯდა მაგიდას, შუა დღემდე იმუშავა, მერე გაირინდა: არაჩვეულებრივი სიცხადით დაინახა სამუკა, იათამზე, სანდომა _ თავისი ნოველების გმირები. სამუკას ცხენზე წინ ესვა იათამზე და მიჭენავდა ბილიკზე, არასოდეს არ უგრძვნია, რომ ისინი ცოცხალი ადამიანები იყვნენ, მხოლოდ წერდა მათ შესახებ, იცნობდა მათ ცხოვრებას, ახლაღა იგრძნო და გააჟრჟოლა, იათამზეს ათქვირებული მკერდი ისე ცხადად წარმოიდგინა, ცხენის ჭენების დროს ტორტმანით მოძრავი; კალმისტარი გადააგდო, სადღაც გაქრა სამუკა. იათამზე იწვა ფერდაზე ახლად ამოსულ ბალახში, თვალები დახუჭული ჰქონდა, ეძინა; თითქმის შეიგრძნო მისი სუნთქვა, შეაჟრჟოლა, თავი გაიქნია, ჭერს ახედა, ერთი წამით გაქრა ქალის მკერდი, სახე და ისევ ახალი ძალით ეტაკა, შიგ კეფაში გაატანა მისმა სუნთქვამ. შეეცადა სამუკაზე ეფიქრა, ახალ ნოველაში მას სისხლის აღებაზე საერთოდ უარი უნდა ეთქვა, ,,სამუკა, სამუკა, სამუკა,» იმეორებდა თავში, უცებ ნერვიული მოძრაობით ადგა; ხერხემალში სითბოს გრძნობდა, ოთახში დაიწყო სიარული, მერე საიდანღაც სარკე ამოათრია, გაწმინდა, შიგ ჩაიხედა, არ ესიამოვნა წვერმოშვებული, გაფითრებული სახის დანახვა, შევარდნილი, მუქი, უფერო თვალებით, სარკე გადააგდო, «სამუკა ღაჟღაჟა იყო,» გაიფიქრა. ოთახის თავში წავიდა, სულელურად გაეცინა, გამოქანდა და ტახტს დაახტა უხერხული მოძრაობით ზევიდან, უაზროდ გაეღიმა. იათამზე მიბრუნდა და ბილიკზე დაეშვა, ,,წადი და წადი,» თქვა ხმამაღლა გურამმა. ხმა ოთახში დაგუბდა, ყრუდ გაისმა, ,,ოჰო,» ამოიძახა, ბგერები ხრინწიანი გამოვიდა, ფერდაზე სამუკა გამოჩნდა, იათამზე გაჩერდა, ვაჟი სირბილით დაეშვა, ჩაიხუტა, არაჩვეულებრივი სიცხადით იგრძნო

ღრმა, ნდომიანი კოცნა, ქალის ცხელი, უძირო ტუჩები, ,,მე წავედი,» თქვა ხმამაღლა თვითონ.

მიდიოდა უაზროდ. ჯერ უკვირდა ამდენი ხალხი, ოდნავ ასტკივდა თავი, მზემ თვალი მოსჭრა, ჰაერში სასიამოვნო ნესტიანი სითბო იდგა. მიდიოდა და ცხადად გრძნობდა სიარულს, როგორც ამას გრძნობენ ციხიდან ახლად გამოსულები ან წამომდგარი მწოლიარე ავადმყოფები პირველ დღეს; ერთი ნაბიჯი, ორი, აქ წუმპეა, გადააბიჯა, ნაბიჯი უფრო დიდი გამოვიდა, ქვაფენილები ოთხკუთხად არის ჩასმული, თითოში თითო ფეხის გადადგმა მოკლეა, უხერხული სასიარულო, ერთის გამოტოვებით ძალიან უნდა გაწელო ნაბიჯი, უსიამოვნო სასიარულოა, დაიღალა, თავი მაღლა ასწია. ვიღაცა გოგონამ შიგ სახეში გაუცინა, გაჩერდა, გოგო ბიჭს ელაპარაკებოდა, არც შეუხედავთ მისთვის, ბიჭს ჯანსაღი მოღიმარი სახე ჰქონდა, ყველაფერი უცებ აღიქვა, რამდენიმე ხანი გრძნობდა მათ სახეებს, შემდეგ ახალი სახე აღიქვა, დიდი ნიკაპით, პაპიროსით ტუჩებში, რომლებიც ღიმილისგან ყურებამდე იყვნენ ახეული, რატომღაც მოაგონდა ფრაზა «Кому как, запомните, медведь». ეს უაზრო ფრაზა მართლა არაფერთან კავშირში არ იყო, მაგრამ თავიდან ვერ მოიშორა, სანამ ახალი ფრაზა არ მოაგონდა სიმღერიდან, რომელსაც ვერასოდეს ვერ იტანდა, სწორედ ამ სიტყვების გამო, «ჯან აია, ჯან აია, ჯან!» დაიწყო ღიღინი, ვერაფრით ვერ გადაიგდო ენიდან. უცებ შეუხვია მყუდრო შუკაში და რეზოსთან ავიდა.

ოთახში მოღიმარი სახით იჯდა რეზო, ჩაპუტკუნებული ლოყები ჩაჭრილი ჰქონდა ეშხიანად ორივე მხარეს, ხელში გიტარა ეჭირა, ამღერებდა, ხანდახან სიმღერას წყვეტდა და ამბობდა: ,,სულელი ხარ, მთელი ზამთარი სახლში ჯდომა იქნება?!»
გურამი რატომღაც უხერხულად იღიმებოდა, «В Тбилиси да доктор Бектарбеков», ღიღინებდა რეზო, მერე უყურებდა მარცხენა ხელს, მარჯვენათი აკორდს მონდომებით იღებდა და გიტარას აქანებდა, ხმები კანკალებდნენ, მერე მოვიდა ლეილა. კისკისებდა. რეზოს აჰყვა სიმღერაში, ორივენი სავსე იყვნენ სიცოცხლით, გაზაფხულით.

_ ასე ვატარებთ მთელ ზამთარს, როგორი გოგოა? _ თქვა გამომშვიდობებისას კარებში რეზომ.
უკან წამოსული გურამი თავს უცნაურად მშვიდად, მსუბუქად გრძნობდა, ისეთი ადვილი და კარგი მოეჩვენა ყველაფერი, სადღაც მის სულში ღვიოდა ჯანსაღი შური იმათადმი, ვინც იქ დატოვა, ოთახში, მხიარული, კმაყოფილი, ეს შური ეხებოდა მისი ნაწარმოების გმირებსაც, მას გაეღიმა კიდევაც, როდესაც გაიფიქრა, რომ სიამოვნებით მოსტაცებდა სამუკას იათამზეს და თვითონ გადაიყვანდა ქისტეთში, მერე სადღაც აღარ ესიამოვნა, რომ საერთოდ მოაგონდა ვინმე თავისი ნაწერებიდან და გულში შეიგინა _ ეშმაკმა წაიღოს ყველა ნოველა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იცი, რომ ახლა, სწორედ ამ წამებში, რეზო და ლეილა კოცნაობენ _ ერთობიან კვირა დღეს, მერე იმღერებენ, რეზო ეუბნება ,,ლეილა, მიყვარხარ!» ,,ტყუიხარ,» წამოხტება ლეილა, «დედას ვფიცავარ, შენი გულისათვის რასაც გინდა ვიზამ, აი, გამომცადე,» _ რეზო მიდის და კოცნის, ,,მჯერა,» ჩურჩულებს ლეილა, მერე იჭერენ ჯაზს და ცეკვავენ _ რა უბრალო და კარგია ყველაფერი, მათზე მოთხრობის დაწერაც კი შეიძლება, მაგრამ ორჯერ ეშმაკმა წაიღოს ახლა ყველა დაწერილი ასო, როცა ცხოვრება შენ გვერდზე მიდის, მხოლოდ შენი გმირები ატარებენ დროს, მუშაობენ თუ არ მუშაობენ, მაინც, მოქმედებენ, ყოველ შემთხვევაში _ არასოდეს არ უგრძვნია მას, რომ ასე უცხოები იყვნენ მისი ნაწერები როგორც ახლა; მზე უხვად ანათებდა ქუჩას, ხალხი იცინოდა, ერთობოდა, ისიც აიყოლია საერთო განწყობამ, გამხიარულდა, მხრებს აქანებდა,

ჩუმად ფრუტუნებდა, გონებით აღიქვამდა ყველას ერთად დიდად, გაბერილად და თითოეულს ცალ-ცალკე, სხვებისაგან სრულიად მოშორებულად, როგორც თეთრ ფონზე ერთ რამე საგანს, შემდეგ ეს ორივე შეგრძნება ერთმანეთს შეერია და მათგან გამოიყო სამი გოგო, რომლებიც მისკენ მოდიოდნენ _ ერთი, მაღალი, ხმამაღლა ლაპარაკობდა, ორი იცინოდა. _ მოიცათ, მოიცათ, _ იძახდა ის, რომელიც ყვებოდა, მერე უცებ სამივემ ერთად შეხედა გურამს _ მან ისეთი სიახლოვე იგრძნო მათ კარგ ხასიათსა და მის ახლანდელ განწყობას შორის, სამივენი ისეთი დიდი ხნის ნაცნობებად მოეჩვენა, რომ თავისდაუნებლიეთ ხმამაღლა, თითქმის ყვირილით უთხრა _ გამარჯობათ! გოგოებმა კისკისით, არეულ-დარეულად გაუცინეს სახეში _ გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, _ ჩაიღიღინა ერთმა. გურამი იდგა პირდაღებული, გაკვირვებული, მერე სულელურად გაეღიმა, ,,გამარჯობა ხომ მაინც მითხრეს,» გაიფიქრა და დაუყვა გზას. ახლა, როგორც არასოდეს, ისე არ უნდოდა სახლში წასვლა, ზევით მთაწმინდიდან მიწის სუნი მოდიოდა, მამადავითის გუმბათებს მოჰკრა თვალი და გზას აუყვა.

პატარა ბავშვივით უხაროდა მას, როცა რაიმე ხუმრობა მოუვიდოდა თავში, ეტყოდა თავის თავს და იცინოდა მარტო, მხიარული იყო ბუნებით, მაგრამ ხალხში არ შეეძლო გართობა, სხვებიც ერიდებოდნენ მასთან ზედმეტ სიცილს, რაღაცნაირ უხერხულობას იწვევდა ყველგან, ამას გრძნობდა თვითონაც და ჩქარა ტოვებდა საზოგადოებას, მერე ჩვეულებად გადაექცა მარტო ყოფნა, მარტო მხიარულება. მარტოს შეუყვარდებოდა ვინმე, ვისაც თვითონ შეაკოწიწებდა გონებაში, უყვარდა რამდენიმე ხანს, მერე მოსდიოდათ უთანხმოება ან, უბრალოდ, სხვაში ცვლიდა შეყვარებულს _ საშინელი დონ-ჟუანი იყო გუნებაში, ამას ხშირად იმეორებდა საღამოობით ან დილით ადრე, ,,ჰა, დონ-ჟუან, მოგწყინდა უკვე ია, იათამზე უფრო გიყვარს ახლა, ხევსური, რა ვქნა მე, ია, ასეთია ჩემი გული,» კოცნიდა იათამზეს, აჭენებდა ცხენს მასთან ერთად, მერე ისიც სწყინდებოდა, ჯდებოდა მანქანაში, მიდიოდა სადმე სტანიცაში, აშენებდა სამფანჯრიან თეთრ სახლს, ჰქონდა ტროიკა, ჰყავდა მაშენკა ან დაშენკა, რომელიც ფეხშიშველა ცეკვავდა და თან გარმონზე უკრავდა _ საღამოს წვებოდნენ განიერი ღუმელის თავზე, სადაც წივისა და ათქვირებული ქალის სურნელი, რუსული ამოსული პურის არომატში არეული, იდგა მთელი ღამე, ერთი მშვენიერ დღეს ტოვებდა ყველაფერს და სამხრეთ ამერიკაში ან ჰავანაზე ემალებოდა ქალებს, თევზაობდა მარტო, ქალები კი არ ასვენებდნენ ერთი წამითაც _ აი, გამოჩნდებოდა მეთევზის გოგო, გურამი გაურბოდა, მაგრამ ასეთი იყო მისი ბუნება _ უყვარდა ქალები, ნავში ხვდებოდნენ ერთმანეთს და ნავშივე თავდებოდა მათი რომანი; მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც კარგი ხუმრობა სიამოვნებდა, თავის თავთან ნათქვამი, ახლაც მთაწმინდის გზაზე გაუელვა გონებაში მაშაშვილის ლექსის სათაურმა ,,მე და ნიკოლოზ ბარათაშვილი» და ხელდახელ გაიხუმრა _ მე, მაშაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი _ როგორ მოგწონს, ტატო, ჰა? _ შეეკითხა ბარათაშვილს, უაზრო ხუმრობა, აშკარად, მოეწონა, კიდე გაიმეორა, გაიცინა, მსუბუქად აუყვა აღმართს.

გზა ნიაღვრებისაგან იყო დაშლამული, წყალი ჩაწურულიყო ქვაში და ნესტი ორთქლდებოდა _ მოკირწყლული ზიგზაგი შარით მიდიოდა ზევით. აქ განსაკუთრებით იგრძნობოდა მიწის სუნი, გაშლილ ნუშის ყვავილს ბზუილით ეხვეოდა გამოზამთრებული ფუტკარი, ქვევით, გზის გადაღმა, ბაღში დამდგარ სკებთან, არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ისევ ყვავილებს დააშტერდა გურამი, ერთი ფუტკარი მისჯდომოდა შუაგულში, წუწნიდა სიტკბოს ნექტრით, ყვავილი კი უფრო

გაფურჩქნილი, ლამაზი, კმაყოფილი, ოდნავ ირხეოდა ნიავზე, თავისდაუნებურად მივიდა ახლო, ხელი წაიღო მოსაწყვეტად, უცებ ეტკინა თითი. ფუტკარი ბზუილით გაფრინდა, სადღაც წყნარად მოკვდა, უნექტროდ დარჩენილი, ,,რა ჩემი საქმე იყო ყვავილების კრეფა,» გაუბრაზდა თავს, დიდი შავტარიანი დანა ამოიღო, გაფხეკა დაუწყო ნატკენ ადგილს; გული დასწყდა, რომ ფუტკარი კვდებოდა მივარდნილში, ,,არა უჭირს, ყვავილი ხომ გადარჩა მოწყვეტას, სხვა მოწუწნის,» გაიფიქრა, ახლა ესიამოვნა კიდეც ტკივილი, ის თითზე სჩხვლეტდა და უღიტინებდა _ პირში ჩაიდო, მოწუწნა და ისევ გაუყვა გზას.

მამადავითთან გაჩერდა. შემობრუნდა. დიდხანს უყურა ქალაქს. გული ეზრდებოდა, ებერებოდა, ზევიდან ვიწრო ზიგზაგებად მოდიოდა მტკვარი, ქალაქის შუაში იშლებოდა, მერე, გრანიტში ჩასმული, მიდიოდა ორთაჭალაში მდუმარე მეტეხის ძირას, ვერაფრით ვერ გამოხატა სიტყვებით, როგორი იყო ის, ამ სურვილმა მხოლოდ წამით გაურბინა თავში და გაქრა. გარშემო იყო სიჩუმე, მორცხვი სიმწვანე, ის აშკარად გრძნობდა მიწის დაწყებულ სუნთქვას. ზევიდან მამადავითის ნამზღვლევი გლეჯდა ცის ნაწილს, უფრო მაღლა მოუნდა ასვლა; გზა ფუნიკულიორის ლიანდაგს ჭრიდა ქვევიდან, იქ მოხუცი მეისრე გაზეთილი ხელებით წმენდდა რკინის ნაწილებს, კედელში მოტეხილი ცისფერყვავილა ნუშის ტოტი იყო გარჭობილი, მოულოდნელად დაადგა გურამი თავზე მოხუცს და მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორ უნდოდა ვინმეს დალაპარაკებოდა, ასევე უნდოდა, ალბათ, მეისრესაც, მან ზეთიანი ხელები გაიწმინდა და თქვა:

_ ჰოო, ესეც ასე....

_ წმენდთ? _ იკითხა გურამმა.

_ რა ვქნათ, სეზონი მოდის.

გურამი ჩამოჯდა ქვაზე, არ იცოდა რაზე ელაპარაკა.

_ დაიღალე? _ ჰკითხა მოხუცმა.

_ ჰო, _ თქვა გურამმა.

II

შენ უკვე მთელი კვირაა დადიხარ მარტო, ხან ცარიელ ქუჩებში, ხან ხალხსავსე მოედნებზე. გარშემო სიცოცხლეა, სიცილი. მათხოვრებიც კი სხვანაირად თხოულობენ, მიცემულ ფულს იღებენ როგორც ხარკს; ღიმილით ილოცებიან. უცებ შეიცვალა ბუნება, კვირტები დასკდნენ და გაიშალნენ, მაგრამ ჯერ მაინც პატარები და საყვარლები არიან. მთელი ქუჩა შენი ნაცნობია, ყველა გიყვარს, ყველას ესალმები გუნებაში; ნასახიც კი აღარ დარჩა ძველი განწყობისა, ოღონდ მაინც მარტო ხარ; არც გინდა არავის ნახვა, უბრალოდ, ძნელია ვინმემ გაგიგოს, რადგან გასაგები, სიტყვით სათქმელი, სინამდვილეში არაფერია, გეჩვენება: შეიძლება დაგცინონ კიდეც და ამით გული გატკინონ. მხოლოდ ხანდახან უღმერთოდ გინდება დაელაპარაკო ვინმეს, მაშინ მიდიხარ სადმე მივარდნილ სახელოსნოში, მიგაქვს არაყი, სვამ მჭედლებთან ერთად ორთაჭალაში, ლაპარაკობ, იცინი, მათ უკვირთ ან, საერთოდ, ყურადღებას არ გაქცევენ, ისინი არასოდეს არა ფიქრობენ იმაზე, ვინა ხარ შენ, ისინი იცნობენ არაყს, ჰაერში სასიამოვნო სითბოა, განწყობა კარგია, შენც ალალი და კარგი ბიჭი ხარ. გრძნობენ ისინი, რომ რაღაც გიხარია, რაღაც გაწვალებს, მაგრამ კითხვებით თავს არ გაბეზრებენ, სვამენ შენს არაყს, მოაქვთ თვითონაც, ილოცებიან.

_ ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც რომა ნახავს ვაზი წაქცეულია, ჭიგოს შეუდგამს, წყალს დაუსხამს, გაახარებს, ყურძენს მოიყვანს, თავისი ლამაზი თუ მიწიანი ფეხებით დაწურავს, ღვინოს დააყენებს და ჩვენ დაგვალევინებს.

_ კარგად იყავით, თქვენ გაგიმარჯოთ, _ იღიმები შენ.

_ კარგად, კარგად, _ სვამენ ისინი ერთად.

მერე მუშაობენ; შენ გშურს მაგათი ჯანსაღი ცხოვრების, დღისით შრომა, საღამოს დასვენება _ რა გემრიელია ამ დროს შაშხის ნაჭერი ხახვთან ერთად, თითო არაყი და ერთი ჩარექა ღვინო; იწყებ მუშაობას მათთან ერთად შეგირდად, ურტყამ დილიდან საღამომდე უროს, დამჭკნარი მკლავები გებერება, მკერდი იკვეთება, საშინლად იღლები და უზომოდ კმაყოფილი ხარ, ახლა იშვიათადღა გაგირბენს თავში რაიმე სიუჟეტი, ხდები სანახევროდ მუშა, საღამოს სვამთ, ოღონდ დილით აღარა გტკივა თავი, მუშაობა წვავს არაყს, გონება თავისუფლდება, მსუბუქდება, ხანდახან გიკვირს, რომ ოდესმე წერდი რაღაცას, იჯექი გაბოლილ ოთახში, რა სჯობია ასე შრომას, ასე ცხოვრებას. პატარა ქვანახშირის ნაღვერდლები იბერებიან საბერველის სუნთქვისგან, წითლდებიან, ავარვარებენ შიგ ჩადებულ რკინის ნაჭერს, რომელიც სიცხეს ვერ უძლებს და რბილდება. გლუვ ნაჭერს არჯულებენ მჭედლები, გამოჰყავთ ბასრი დანები, ისეთივე ჩაქუჩები, რომლებიც თვითონ ახალს გააკეთებენ. დგას დამწვარი რკინისა და ნახშირის სუნი, ისინი არ გერიდებიან შენ, შენც კარგად გრძნობ მათთან ერთად თავს, გეჩვენება, რომ იპოვე ჭეშმარიტი მოწოდება, საქმე; სულ უფრო გევსება გული კმაყოფილებით, ივსება და ჩერდება. იქ მეტი ადგილი აღარა რჩება მისთვის, ეს მხოლოდ გართობაა შენთვის, შესვენება, იმათთვის კი საქმეა, ისინი არა გრძნობენ ამისგან არც კმაყოფილებას, არც უკმაყოფილებას, შენ კი კმაყოფილი ხარ და გწყინდება. მათ უხარიათ გაზაფხული შენსავით, გაზაფხულზე მუშაობა თავის საქმეზე _ სიცოცხლე მეტია, ენერგიაც. შენ კი გრძნობ, რომ ძალიან ძნელია ამ დროს იმუშაო და ეს წამლავს ხასიათს. ისინი კი სვამენ, ილოცებიან: ,,ეს იმ კოკრებს გაუმარჯოს, რომლებსაც პირი დაუღიათ გასაფურჩქნად, ჯერ კი არ გაშლილან, ამინ!»

იწყება პირველი სითბოები, ითენთება ბუნება, სუსტები ვერ უძლებენ უცებ მოვარდნილ სიხარულს და კვდებიან, ძლიერები მოდუნებულები დადიან, სუსტი კვირტები ხმებიან, ძლიერები იფურჩქნებიან და აი, დგება ძლიერი, ნამდვილი გაზაფხული, გაფურჩქნილი, ლაღი. მთელი დღეები დადიხარ ისევ უსაქმოდ, მოსაწყენია გართობა ერთი საქმით ერთ კვირაზე მეტი, მხოლოდ ინერციით აკითხავ მჭედლებს, უკვე დამწიფდა შენი გრძნობები, ელი რაღაცას, ახლა აღარ შეგიძლია მასზე მხოლოდ ფიქრი, გონებაში დატკბობა ქალებით, ღამეები აღარ გაძინებს სხეული. დგები შუაღამისას, გადიხარ გარეთ, აქ სასიამოვნო სიგრილეა: სად არ იყავი, ყველგან დადიან წყვილები ხელმკლავებით, ან სხედან გზის ნაპირზე ჩახვეულები; მეტი აღარ შეგიძლია, ცოტაც და თუ არ ნახე ვინმე, ის, ვინც ამდენი წლები გიყვარდა, ვისი ნახვაც უეჭველად გინდა ახლა, გაქრება, გაქრება სურვილიც გაზაფხულთან ერთად, დაცხება და დარჩები მარტო, ცდილობ იფიქრო სხვა გაზაფხულებზე, ნუთუ ყველა ასეთი იყო? _ აღარ გახსოვს, არც არის საჭირო, ახლა შენ მხოლოდ ფიქრი არ შეგიძლია, გაქვს მარტო გრძნობა და მას დაჰყავხარ, ის შეგახვედრებს ვინმეს, ის ულამაზესია? უკარგესი? აღარც ამაზე ფიქრობ _ ის ქალია და მორჩა. ამ გრძნობამ მოგიყვანა ნარიყალაზე; შუადღეა, პირველი სიცხეები ოდნავ ბურავენ ქალაქს, მიდიხარ მძიმე ნაბიჯებით, აქ შენ ყველა აგურს იცნობ: აი, კომუნალური მუზეუმი, აქ შენი ძმაკაცი თემო მუშაობს, გეზარება მასთან შესვლა, თანამედროვე შენობის შემდეგ იწყება ციხის გალავანი და ზედ უნდა აფორთხდე, მიფორთხავ და გადიხარ ზედა ტერასაზე, ესეც არ გყოფნის, ადიხარ უფრო მაღლა, გუმბათის თავზე, მთელი ქალაქი

გდია შენ წინ, სადღაც უსასრულობიდან მოდის მტკვარი, ლაპლაპებს და ლაპლაპითვე იკარგება ველებში. ეშვები, უცებ გესმის კივილის ხმა, პირველი, რასაც გრძნობ, ეს არის ქალის ხმა, რომელიც შენს ახლოა აქვე, შემდეგ განიცდი, რომ ის მარტოა, ალბათ, არავინ ჰყავს მომხმარე და მას შეურაცხყოფას აყენებენ, მირბიხარ, წინ ტერასაა, ეგ ხელს არ გიშლის, ხტები სიმაღლიდან, შემოურბენ გალავანს, კივილი მეორდება, ნაბიჯები მოძრაობენ, ქვები გორდება ფერდაზე, იყოლებს ნაშალს და სრიალით ჩადის ქვევით, ყველაფერი ერთმანეთს ემატება, შენი აღგზნებული გონება სხეულის მოძრაობასთან ერთად ხატავს საშინელ სურათებს: გალავნები ცოცხლდებიან, ციხეს გარს ეწყობა ჯარი, იტაცებს უდამცველოდ დატოვებულ ქალწულს, მხოლოდ შენ, შენ შეგიძლია იხსნა ის, აი, ისიც:
ერთ კაცს თმებში ჩაუვლია მისთვის ხელი, მეორე, ზევიდან მოქცეული, ძალის ხმარებას აპირებს.... ტყუილად არ ჩაიარა შენმა კრივის გაკვეთილებმა და მჭედლებთან მუშაობამ, ერთი უკვე გვერდზე აგდია, მეორეს ორივე ხელს უჭერ ყელში, ხახა გიშრება, არაფერი აღარ გესმის, შენი მუშტის დაკვრისგან გვერდზე გადავარდნილი დგება, დანას შლის, ისმის განმეორებით ქალის კივილი, ეს კივილი უკვე მხოლოდ შენ გეკუთვნის, რაღაც თბილი და სასიამოვნო გეღვრება ტანზე. ისინი გარბიან, ნამტირალევი ქალი ხელით სინჯავს ჭრილობას, შენ იღიმები, ,,არაფერია,» ამბობ. თავისი პერანგის ნაფლეთით გიხვევს, ,,არაფერია ირიბად გაჭრა,» ამბობს ისიც და ცრემლებად იღვრება. ახლაღა გრძნობ მთლიანად, რომ ის ცოცხალი ქალია, ცისფერი თვალებით და გრძელი წაბლისფერი თმებით. ,,მაპატიეთ,» ამბობს ისევ ის, ,,არაფერია, გამკაწრა,» პასუხობ შენ. ქვევიდან კი ისმის ნაშალი ქვების ხმაური და ნაბიჯების სირბილი.

ყველაფერი უბრალო და კარგია.

აი, უკვე მთელი კვირაა ერთადა ხართ. თქვენი კავშირი არ განსხვავდება ათასი სხვა სიყვარულისაგან, საოცარია, შენ იცი ეს, გრძნობ, მაგრამ არ იწვევს შაბლონის გრძნობას. ხელიხელჩაკიდებულები დადიხართ ქუჩებში, ბაღებში, სხდებით სხვა წყვილების გვერდით, ეალერსებით ერთმანეთს. მთელი ქალაქი საღამოს სანაპიროზეა. თქვენ მიყუდებულები ხართ მტკვრის ჯებირს, უყურებთ წყალს, ის ქვევით შეაგუბეს ჰესისთვის და მდორედ მიდის, ისვრი კენჭებს, შუიდან იშლებიან რგოლები, ფართოვდებიან, ფართოვდებიან ნათურების შუქზე და იკარგებიან, მერე ახლები ჩნდებიან სხვა კენჭებისგან; ნელა ჰკიდებ წელზე ხელს, ის გეყრდნობა, გრძნობ მის სხეულს, თბილი სითბო გეღვრება ტანში, გვერდზე კოცნაობენ, შენ მარჯვენას ჰკიდებ თმებში, იზიდავ _ გყვება. დიდხანს, დიდხანს გინდა იყო ასე და ტუჩების სურნელების მეტს ვერაფერს გრძნობდე, მაგრამ ხანდახან გონება გახტება სადღაც შუა ალერსის დროს და მოიგონებს მჭედლებს, ან რეზოს, ან იმ გოგოს, რომელმაც პირველად გაგაცნო ქალი, შენ მისი სახელი არც კი იცი, ამას კი ირინკა ჰქვია _ თქვენ გიყვართ ერთმანეთი, შენ ილუზიებს არ აშენებ, რომ ეს სიყვარული ერთადერთია ასეთი წმინდა, ძლიერი, შენ იცი, რომ არიან გვერდზე ასეთივე წყვილები, იცი, რომ არის რეზო და ლეილა, ეგ შეგრძნებები სიამოვნებას არ გიწამლავენ. მისი სხეული კი ისეთი თბილია, დამყოლი, ალერსიანი.

ხვდებით ყოველ დღე, ახლა უმისოდ გატარებულ დროს აზრი აღარა აქვს, სულ უფრო და უფრო მეტი გინდა. ის შენს ოთახში ზის, შენ კედელთან ზიხარ, გამოუცდელი ხელით იღებ პირველ აკორდებს გიტარაზე, ირინკამ იცის დაკვრა, იცინის, გისწორებს, როცა ის მიდის, შენ მარტო უკრავ, თითები უკვე დარწმუნებით მუშაობენ, პირველ სიმღერებს ერთად მღერით _ რა სჯობია ქართულ სიმღერებს,

გადაკეთებულს რუსული რომანსების სტილში, რუსული სიტყვებით. შენ იწყებ, «Глаза твои как небо голубое,» ის გყვება მაღალი რუსული გუნდურით, «И слезы вновь вернулися ко мне», მერე გართმევს გიტარას, უკრავს თვითონ მხიარულს «Ой, не стой на льду, лед провалится...» ეს სიტყვები შენ ასწავლე. ყვები სიცილით, მერე გიტარას გამოსტაცებ, ისვრი სავარძელში, «მოიტა ხელი, ეუბნები ირინკას, ის გიწვდის, ჰკიდებ და დგები იატაკიდან. მისი ხელი ცხელია, შენიც, ის თრთის, შენ უჭერ, _ არ გინდა, _ ამბობს ის სხვანაირი, ოდნავ უფრო შეშფოთებული ხმით. ის უკვე შენს კალთაშია, კოცნი გაგიჟებით ტუჩებში, თვალებში, მკერდზე, არა! ეს არ კმარა _ ორივენი გრძნობთ ამას, ხმამაღლა ლაპარაკი უკვე აღარ შეგიძლიათ, ჩურჩულებთ _ ირინკა გეხვეწება, «არ გინდა, გურამ, გთხოვ, მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია, იცოდე, შენს ხელში ვარ, ნუ მატკენ გულს, ხომ იცი ჩემი წარსული, ყველაფერი, მასთან დაკავშირებული, მეზიზღება,» «ვიცი, ვიცი,», პასუხობ შენ, შენც გეზიზღება ყველაფერი, მასთან დაკავშირებული, მაგრამ თავის შეკავება აღარ შეგიძლია, ეს არც ირინკას შეუძლია, ცრემლები მოსდის, «ო, მე ისე ვგრძნობ თავს შენთან, როგორც უმწიკვლო ქალიშვილი,» «გაჩუმდი, ირინკა, დახუჭე თვალები, შენ ასეთი ხარ ჩემთვის,» ჩურჩული სულ წყნარდება, ბგერების გარჩევა თითქმის აღარ შეიძლება, უკვე აღარც არის საჭირო....

შენ ზიხარ ისევ იატაკზე, ხელში ისევ გიჭირავს გიტარა და დამორცხვებული ხარ, ახლა აღარც გსიამოვნებს მომხდარი, «ღმერთო ჩემო, რატომ არ შეიკავე თავი, საწყალი გოგო, საწყალი... ყველაფერი გაახსენე». ირინკა გაბრუებულია, თვალები ცრემლიანი აქვს, დგას ფანჯარასთან შენკენ ზურგით, მას უყვარხარ შენ, მან ბევრი კაცი გამოსცადა, მაგრამ ეს ახალი გრძნობა ყველაზე ძვირფასია მისთვის. მისი ფიქრები ასე მიდიან: ნუთუ მართლა ვუყვარვარ გურამს, ნუთუ?! არა, შეუძლებელია ტყუოდეს, ის ამისთვის საკმაოზე მეტად პატიოსანია ან რად უნდა მოტყუება, მე ხომ მაინც ვერ ვეტყვი უარს, იქნებ მე ვცდები? მე მეშინია მისი პატიოსნების, იმდენად ნამდვილია ის, მაგრამ ეს ჩემთვის ახლა სულერთია, სულერთი, ოღონდ არ მოვწყინდე. ის ბრუნდება ფანჯრიდან, მოდის შენთან, იღებს შენს ხელს, ბოშა ქალივით უყურებს ხელის გულის დასერილ ხაზებს, ჩურჩულებს და კოცნის, რაღაცა დიდი სურვილით ივსება შენი გული, უცებ უკრავ, ირინკა ჯერ შეშფოთებულია, მერე ხვდება ან გრძნობს შენს გულს, იღიმება, გართმევს გიტარას, იღებს აკორდებს _ შეუდარებელია რუსული რომანსები თავისი სევდით და უცებ მოვარდნილი აღტკინებით: Поговори хоть ты со мной подруга семиструнная, душа полна такой тоской и ночь такая лунная _ ისევ ისვრით გიტარას იქით და თვითონ გინდათ იქცეთ მუსიკად. «გიყვარვარ, ირინკა?!» «მე კი, ძალიან, ო, გურამ, შენ, არ ვიცი...» ხელებს გიყოფს თმებში, ჩახვეულ, დაუვარცხნელ ხუჭუჭებს გიშლის და იქცევა მთელი ეს დღეები თქვენთვის შეხვედრის სიხარულად და დაშორების სიმწუხარედ, უზომო სევდა გეპარება გულში დროდადრო, ეს ის წამებია, როცა ირინკა შენთან არ არის.

სხვა არაფერი, თითქმის არაფერი არ აღელვებს გაზაფხულის ამ დღეებს.

რამდენი ხანია შენი ნახატები უყურადღებოდ კიდია კედლებზე, სულ დაგავიწყდა მათი არსებობა, ახლა ღამეა, შენ მარტო ხარ, ფანჯრიდან ბოძზე მიკრული ნათურის შუქი ანათებს, კედელზე დახატული სუპერმენის შავი სილუეტი მაგიურად ჩანს, თითქოს მოძრაობს, კუნთებს ბერავს, რაღაც უნდა, რაღაცით უკმაყოფილოა. დგები, სინათლეს ანთებ, მიდიხარ მაგიდასთან, უაზროდ ქექავ ნაწერებს, კითხულობ ორი თვის, ორი წლის წინ დაწერილ მოთხრობებს, ლექსებს, მაგრამ მათი აზრი შენამდე არ მოდის. აქრობ ისევ სინათლეს, გაუხდელად წვები. სუპერმენის შავი სილუეტი ისევ იბერება, კუნთებს ათამაშებს, თვალს არიდებ, ჭერშიაც მას ხედავ, მოდიან უცხო

სახეები დიდი კეპებით, შლიაპები გამხდარი სახეებით და საყელოაწეული მაკინტოშებით, გიპყრობენ საოცარი სიცხადით, აი, საიდანღაც, მგონი, ხალხის გროვიდან, მის გაუყოფლად, გამოჩნდა მოხუცი ქალი ჯორცხენით, ჯორცხენა ეცემა ტალახში, ვიღაც იცინის, მეორე, პირუტყვის მაგიერ, დედაბერს აყენებს, მკვდარი დედაბერი სხვის დაუხმარებლად დგას ფეხზე, ერთი, ხალხიდან, კუთხეში იყუჟება, ოღონდ თავი მობრუნებული აქვს, დიდი კარტუზიანი კეპიდან, რომლის ცაც უკან გადაგდებულია, მოჩანს მისი წვეტიანი ცხვირი, უცებ წვეტი ქრება, ცხვირი და ყელი უმსხვილდება, მთლიანად ფარავს ყველაფერს წარმოუდგენელი უფორმობა _ თვალებს ახელ, სულელურად იღიმები ნახევარჩვენებებიდან, ცდილობ იფიქრო ირინკაზე, რატომღაც ბრაზობ, რომ რეზოს თვითონ უთხარი მისი წარსულის შესახებ, უთხარი, რომ შენთვის სულერთია, ვინც რა უნდა თქვას, ,,მე მიყვარს და მორჩა», რატომ უთხარი?! რა, ამაყობ შენი ვაჟკაცობით?! თუ სხვა ვერ გააკეთებდა მაგას, ან საერთოდ რა საჭირო იყო ამ ამბავზე რეზოსთან ლაპარაკი... ახლა კი ფიქრი არ არის საჭირო, გესმის, გურამ, გადაბრუნდი და დაიძინე... ძილი ისევ მძიმე და სავსე მოდის ჩვენებებით. ქამარი გიჭერს, გეღვიძება, ახლა ნანობ, რომ არ გაიხადე, ამაზეც ბრაზდები, საერთოდ ვერ იტან სინანულს, შენი დევიზია _ ,,რაც მოხდა, უნდა მომხდარიყო და სინანული შემდეგ ლაჩრობაა, სისულელე». მაინც ვერ აღწევ თავს ამ გრძნობებს. მთელი ღამე ბორგავ, ხედავ სიზმრებს. დილით იგონებ სახეებს, არ გინდა არც ერთი ნახული დაგავიწყდეს, წინათ ზოგიერთებს იწერდი კიდეც, ახლა აღარ გსიამოვნებს ეს ფაქტი, ფიქრობ, რომ ადგები თუ არა, მონახავ და დახევ ძველ ჩანაწერებს, ოღონდ ჯერ წაიკითხავ, ,,ოჰო, წაკითხვით მაინც წაიკითხავ,» დასცინი შენს თავს. განაგრძობ მოგონებას ღამე ნანახი ნახევრადბავშვური დეტექტივის: სადღაც უდაბნოში ხართ შენ, ორი უცნობი კაცი და ისვრით საფრიდან, შემდეგ მატარებელი იძვრება კივილით, მისდევ, საშინლად ყინავს სიცხეში, კარებამდე ვერ ასწრებ მირბენას, ეკიდები ვაგონის შუა ჩამოშვებულ ღერძს, ფეხებს ლიანდაგზე აცურებ, თანდათან გელევა კუნთებში ძალა, ყინავს, თითები რკინაზე გეწებება, სხეული წყალში დამხრჩვალივით გიდუნდება, ფეხები სულ უფრო ღრმად შედიან რელსებში, ბარძაყებთან გრძნობ ბორბლების ტრიალს სულელური ქავილივით. ვიღაცა კაცი, პირმოკუმული, არაადამიანური ძალით სწევს განზე ვაგონის კედლებს, საიდანაც სუსხიანი ქარის ახალი ნაკადი გცემს სახეში. ამ კაცის ხელები გეჭიდებიან წელს ქვევით და მაღლა აჰყავხარ. უცებ საშინელ სიმსუბუქეს გრძნობ, სიმსუბუქეს იმ კაცის კუნთებისთვის, ის ადვილად გიყვანს ხელში და გსვამს კუპეში. აქ თბილა და ხალხი ლუდსა სვამს, შენ ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს მარილი გაქვს ნაჭამი. სვამ, სვამ ლუდს და არ თავდება ეს უზარმაზარი სიამოვნება, რასაც განიცდის მლაშენაჭამი კაცი ლუდის სმის დროს.

არაფერს არ შეუძლია შეცვალოს სმის სურვილით აკანკალებული კაცისთვის სასმელი. მოუთმენლად ელი შენს კარებამდე ნაბიჯების მოღწევას, შემოდის ირინკა არყის ბოთლით, შავი პურით და შავი ხიზილალით. _ დალიე შენც, _ ეუბნები, გიყვარს, როცა ისიც სვამს შენთან ერთად, ის იცინის, _ მე არ მინდა, _ ამბობს ის სიცილით, მერე ისხამს ჭიქის ძირზე და სვამს, შენ კიდევ ცლი ერთ ჭიქას. რაც გინდა მშფოთვარე და სიზმრიანი იყოს ღამე, მაინც ისვენებ დილით, ხელებს შლი, კუნთები ტკაცუნობენ, _ ოი, რამდენი პაპიროსი მოგიწევია ჩემს შემდეგ, _ უყურებს პირდაპირ იატაკზე დაყრილ ნამწვებს ირინკა. _ ახლა თბილა, გაზაფხულია, რას იხრჩვები ბოლში, _ მიდის, თვითონ აღებს ფანჯრებს, შენ უყურებ მის ჩამოშლილ თმებს, ნელა, მხოლოდ ტანით იზმორები _ არ გინდა, ოღონდ გრძნობ, რომ ისევ ვერ შეიკავებ თავს;

გულში პირობას იძლევი: დღესაც და მორჩა. ისევ გაბუტულები სხედხართ სხვადასხვა კუთხეებში, ისევ ვერ შეიკავე თავი, ნუთუ ასეთი ძნელია ეს?! განა არ კმარა, რომ მოდის, ზის შენთან, გიყვარს, ხომ იკავებდი თავს, როცა არავინ იყო, რა საჭიროა, რომ ყოველთვის მისი ნახვისას გაიმეორო ყველაფერი, ცდილობ შეჰპირდე შენ თავს, რომ ეს ბოლო იყო, რომ ვინც გიყვარს, იმასთან უკანონოდ არაფერი აღარ გამეორდება, თვითონ ამ სიყვარულის გულისთვის, და უცებ უცნაური აზრი გეუფლება: რატომ ერიდები საერთოდ თავის შეკავებას? ხომ არ გეშინია, რომ ზომაზე მეტს დალევ?! საშინელი ეჭვი გიპყრობს: იქნებ იმანაც ვერ შეიკავოს თავი იმასთან, უცხოსთან, ვიღაცასთან, როცა მარტო იქნება, უშენოდ. «ირინკა,» ამბობ უაზროდ, «რა?» «არაფერი», «თქვი, თქვი», აღარ გეშვება ის, «რაღაც უნდა გეთქვა, თქვი, შენ მე არ გიყვარვარ, შენ მე.... შემპირდი, მე კი, იცი, არ შემიძლია შენ წინააღმდეგ არაფერი.» ზიხარ ჩუმად, ახლა გრცხვენია შენი აზრების. გადიხართ გარეთ, ჰაერი კრიალაა, სუფთა, მზე ჯერ კიდევ სახლების უკნიდან ანათებს, ის იცინის, კისკისებს, მას უკვე დაავიწყდა ყველაფერი, შენ კი გახსოვს მძიმედ, მოუშორებლად _ რაღაც მძიმე გაწვება გულზე _ როგორ დაავიწყდა, როგორ?! მიდიხართ მამადავითისკენ, ფოთლები გუშინდელს აქეთ გაზრდილან, ცოტაც და დაამთავრებენ თავიანთ ზრდას, ირინკა არაჩვეულებრივ ხასიათზე დგება, კრეფს ფოთლებს, ყვავილებს, ღიღინებს, აკეთებს გვირგვინს, გადგამს თავზე, იცინის, შენც გედება მისი სიმხიარულე, იღიმები, «იცი, რა, ირინკა,» ეუბნები, ის ჩერდება, სერიოზული სახით გიყურებს, «იცი, რა, აი, ამ ხესთან ყვავილის მოწყვეტა მინდოდა და ფუტკარმა მიკბინა.» ის კისკისებს, «როდის?» კითხულობს, «წელს, გაზაფხული როცა იწყებოდა,» «სად?» იცინის ისევ, უჩვენებ თითს, ის მორბის, გკოცნის თითზე, მერე ლოყაზე გჩქმეტს, როგორც პატარა, გაბუტულ, დაბნეულ ბავშვს. ხელში გკიდებს ხელს, გქაჩავს, მიდიხართ, მირბიხართ....

ზევით მთაწმინდაა, უკან ქალაქი, შუაში მტკვრით, ხალხით და სახლებით. შენ და ირინკას მოგწყინდათ ქალაქი, აქ დაცხა, გაჩნდა მტვერი, უბერავს თბილი, წებოიანი ქარი, ეკრობა ყელს, იხლართება თმებში. საცაა ზაფხული გავა. შენ უკვე აღარ შეგიძლია აქ დარჩენა, ძველებურად ერთფეროვანი და მოწყენილი გეჩვენება უმუშევრად ყველაფერი, როცა ირინასთან აღარა ხარ, მას კი სულ შენთან ყოფნა არ შეუძლია, ზოგჯერ მასთანაც გრძნობ ამ მოწყენას, ოღონდ ამაზე ფიქრს გაურბიხარ; სხვა შეყვარებულები ახლაღა იწყებენ მამადავითზე და უფრო ზევით სიარულს, შენ კი უკვე მოგწყინდა; შენთვის ადრე დადგა წელს გაზაფხული.
«წავიდეთ, ირინა, ზღვაზე,» სთხოვ ირინას.

III

ზღვა არის ლურჯი ან ცისფერი, ნაპირი რუხი, ქვიშიანი. მეთევზემ მთელი თვით მოგვაქირავა თავისი ნავი, ჩვენ როცა ვიღვიძებთ, ის თავის სამ ამხანაგთან ერთად უკვე ბრუნდება თევზაობიდან, მათი საერთო დიდი ბარკასი სავსეა სტავრიდკით. ყოველდღე ვაპირებთ ირინკა და მე ჩვენი ნავით წავყვეთ სათევზაოდ, ვემზადებით საღამოს, მაგრამ დილით გვეზარება. ამ დროს ყველაზე სასიამოვნოა წოლა. ის ჩემკენ იწევს გახურებული მკერდით, იწყებს ჩურჩულს, მერე ვწევართ უხმოდ და ცას ვუყურებთ. დიდი შავი ღრუბლები შორს, აღმოსავლეთით, ჯერ რაღაც უცნობ ფერს იღებენ, ისმის მეთევზეების ხმები, გვეძახიან ჩვენც, მაგრამ ყურს ვიყრუებთ.

«დაანებეთ თავი, ეძინოთ,» ამბობს ჩვენი სახლის პატრონი. _ ამ დროს ყველაზე ტკბილია ძილი. როცა მეორედ ვიღვიძებ, მზე უკვე მაღლაა ამოსული. ნაპირიდან

ირინკას ხმა ისმის: ,,გურამ, ო, გურამ, გაიღვიძე, ასეთი წყალი ჯერ არ ყოფილა.» ნელა, ძალის კრეფით ვდგები. მზე ბეჭებზე მაცხუნებს და კუნთები ტკაცუნობენ. წყალი ცივი მეჩვენება, ირინკა ხელსა მკრავს, უცებ ვყვინთავ, მერე ვიმართები. უხმოდ მივცურავთ. ნაპირი შორს რჩება _ ჩვენ ორივენი კარგადა ვცურავთ. ,,აბა, ქვას თუ ამოიღებ,» იცინის ის, მე ვყვინთავ, ყურები მიგუბდება, წყალი მაწვება საფეთქლებზე, მარჯვენათი ვგრძნობ ლამს, ვიკუზები, ფეხით ვეხები ფსკერს და ბიძგს ვაძლევ; მთლიანად გამართული მივსრიალებ ზევით, თითქმის წელამდე ამოვდივარ წყლიდან, ღრმად ვისუნთქავ, თავს ვიქნევ ზრიალით, თმაში ჩახვეული წყლის წვეთები იფანტებიან, ნასიამოვნები ვიშვერ ქვიშიან ხელს, «უკვე შორსა ვართ, აქეთ ქვები აღარ არის,» ვამბობ. ირინკა მეპარება, თავზე ხელს მაჭერს, მოულოდნელობისაგან ვყლაპავ მლაშე წყალს, ახლა მე ვაწვალებ; თმებში ვავლებ ხელს და ჩემს ნებაზე ვათამაშებ, მერე ის წვება ზურგით წყალზე, მე ნაწნავში ხელი მაქვს ჩავლებული და მივაცურებ ნაპირისკენ; დაბრუნებული მეთევზეები თავის მძიმე, ბრტყელძირა ბარკასს აწვებიან ნაპირზე ამოსათრევად, მე ვეხმარები, ირინკა საუზმის მოსამზადებლად გარბის. იწყება თევზის გადარჩევა, ჩემთვის ცალკე აწყობენ შესაწვავად სტავრიდკას. მადლობას ვუხდი და ვპირდები, რომ ხვალ აუცილებლად გავყვები სათევზაოდ. საუზმის შემდეგ ვისვენებთ. ირინკა ხმამაღლა მიკითხავს ბლოკს, ტიციან ტაბიძეს ან მიუსეს. მხოლოდ ეს სამი წიგნი გვაქვს თან, ისიც სადგურზე ვიყიდეთ სახელდახელოდ, მე თითქმის არ მესმის მათი შინაარსი, ოღონდ ირინკას ლექსის კითხვისას სასიამოვნო დაბალი ხმა აქვს, მე კი მისი ხმა მსიამოვნებს. შებინდებისას ნავით გავდივართ ზღვაში, სიბნელესთან ერთად ტალღების ხმაური უცნაური და საშიში ხდება. ღრუბლები დასავლეთით წითლდებიან, წითლდებიან და შეუმჩნევლად კარგავენ ფერს, ნაპირზე სინათლეები ინთება.

დილამდე მოხუცი მეთევზე თვითონ მაღვიძებს ,,წამო, ნამდვილი თევზაობა გაჩვენო, დღეს პატარა შტორმიც იქნება, ოღონდ ნუ გეშინია,» მე ირინკაზე ვუჩვენებ, რომელსაც სძინავს, ,,წამოიყვანე ეგეც, გაუძლებს ჩვენი ბარკასი». ბნელა. ვდგებით. ირინკას სცივა და მეკვრება. ,,ხომ არ გეშინია ზღვის», ვეუბნები, ,,რას ამბობ,» მპასუხობს. ბრტყელძირას ორი წყვილი ნიჩაბი აქვს, წინასთან მე და ირინკა ვსხდებით, მოხუცს საჭე უჭირავს, შუა ნიჩბებს ფართობეჭება რუსის ბიჭები უსვამენ, ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ მათ. კუნთები მეღლება, თითქმის აღარ შემიძლია მოსმა, ცა ნელა კარგავს თავის ფერს, სულ უფრო და უფრო ცოტა ვარსკლავებიღა რჩება ზედ. მერე თენდება, უცებ წვება წყალზე მზის წითელი სხივი, დისკო თვალებს არ ჭრის, შეგიძლია დამშვიდებით უყურო, ახლა უკვე ინერციით ვუსვამ, პირველმა დაღლილობამ გადაიარა, ირინკა შეუჩერებლივ, ქლოშინით ლაპარაკობს, მაგრამ ყურს ვერ ვუგდებ. ვცვლით ადგილებს, მოხუცი მეთევზე მარტო უსვამს ჩვენ მაგიერ ნიჩბებს, ჩვენ კი ვსხედვართ უკან, მე ვმართავ, ბრტყელძირა ზიგზაგებით მიდის, ისინი დამცინიან, მერე ვეჩვევი საჭის დაჭერას. არც ისე ძნელია, მთელი საჭე ერთი გადატეხილი, წყალში ჩაშვებული ნიჩბისგან შედგება. მზე უფრო მაღლა იწევს, ის ისეთივე უძალო და უაზროა და უცებ, სულ ერთ წამში, ჭრის თვალს, სინათლე ეფინებათ ზღვის ტალღებს, დგება ნამდვილი დილა-დღე. ,,დღეს დავაგვიანეთ,» ამბობს მოხუცი. ნაპირი სულ უფრო შორს და ფართოდ მოჩანს. იწყება ბადის ასანის ამოკრეფა. გრძელ, თითქმის უსასრულო ბადეში ათასი რაღაც არის გახლართული: უკვე მოგუდული მკვდარი ზღვის კატები, მედუზები, ჯოხის ნამტვრევები, ,,დამხრჩვალი» თევზები. ,,ყველაფერია თევზის გარდა,» ბუზღუნებს მოხუცი. ,,აგერ,

აგერ რამხელაა,» იძახის ყველა ზღვის კატის დანახვაზე ირინკა, ისინი იცინიან, ,,ერთი ქაშაყისთვის არც ღირდა აქ მოსვლა,» უკმაყოფილო სახეს იღებენ მეთევზეები, ქაშაყი კი ფართხალებს, მერე წევს ზურგზე და პირს აღებს მხოლოდ, ირინკა კუდზე ჰკიდებს ხელს, აწვალებს, იცინის, მე ზღვის ცივი წყალი მესხმება გახურებულ კისერში, რაღაც არ მსიამოვნებს, ვერ ვიტან უჰაეროობისგან მომაკვდავი თევზის ყურებას. აქედან ნაპირისკენ ვიწევთ, შევდივართ სტავნიკში, დიდ, ფართოდ დადგმულ თევზის ხაფანგში, ნავი ფრთხიალა თევზებით პირამდე ივსება, ვუსვამთ უკან, ნელა ელევათ თევზებს ძალა, წყნარდებიან, ტალღები კი მატულობენ. ნავის ცხვირი ჩადის, ჩადის დაბლა, თითქმის ყვინთავს წყალში და ისევ ამოდის ზევით, ირინკას თავბრუ ეხვევა, მეყრდნობა; არაჩვეულებრივად მსიამოვნებს, როცა უძლური ქალი შენზეა მონდობილი.

ჩემზეა მონდობილი მთლიანად ირინკა, არავითარი უსიამოვნება არ არღვევს ჩვენს ცხოვრებას, მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, თევზაობის შემდეგ განსაკუთრებით კარგად ვიგრძენი ეს, ოთახში შესვლისას კიდევ უფრო კარგად ვიგრძენი ყველაფერი _ სიმშვიდეც, სიმშვენიერეც და უცებ, უნებურად ის, რაღაც, აზრივით ჩამოყალიბდა ჩემს თავში და სიმყუდროვე დამირღვია. ასეთმა შეგრძნებამ შემაშფოთა, ფიქრები წამოიშალნენ ჩამოუყალიბებელი, გაშლილი, უაზროდ მოვკიდე დიდი ხნით თავმინებებულ ფანქარს ხელი, ირინკა აივნის კუთხეში მოაჯირთან დავაყენე, დავიწყე მისი სილუეტის ჩახატვა ზღვის ფონზე, მეხვეწება ვაჩვენო, ვერ ითმენს, მაგრამ სანამ არ დავამთავრებ, არ მინდა. ხატვას რაც შეიძლება დიდ ხანს ვაგრძელებ, ვეხვეწები გაჩუმდეს, ხელს ნუ მიშლის, თხოვნა მხოლოდ ცოტა ხნითა ჭრის, თითქმის ვბრაზდები. ის უყურებს ნახატს, აქებს, იცინის.

არაფერზე არ მინდა ვიფიქრო, ის სადილს აკეთებს, მე მინდა გავიარო ნაპირზე, მაგრამ მეზარება, ვერაფრით ვერ ვიშორებ უსიამოვნო აზრებს თავიდან. ჩემი თავი დაფიქრებული ბავშვის ფსიქიკით იწყებს აზროვნებას: როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, ამაზე მეტი სიყვარული აღარ შეიძლება, არც მეტი კმაყოფილება და სიმშვიდე, ღმერთო ჩემო, ნუთუ მუდმივად უნდა იყოს ასე, ეს გაზაფხული, სხვა გაზაფხულებიც, სულ ბოლომდე, ბოლო მაღელვებს ყველაზე ძალიან: ნუთუ უნდა დავბერდეთ ირინკა და მე ერთად და მორჩა. მზე უფრო და უფრო აჭერს, მთენთავს, ფიქრი აღარ შემიძლია, მხოლოდ ვგრძნობ, რომ ჰაერი იხუთება, სამზარეულოდან ირინკა კისკისებს, უფრო კარგადა ვგრძნობ სიცხეს, საღამოვდება. ,,ნუთუ მართლა ასეთი ერთგულია,» მოდის აზრები სიგრილესთან ერთად, არავითარი განცდა აღარ აწუხებს გულს, სიგრილეც კი ვერ შველის ჩემს მოთენთილობას. დღე აღარ ილევა, იწელება, იშლება, ჩამავალი მზეც კი რაღაც უცნაურად იკბინება, ჩემს აივანთან ჩამოშვებული მაგნოლიის ფოთლები ყურებს უშვებენ, მოწყენილი მიყურებენ, მე ისევ ვკიდებ ფანქარს ხელს, საიდანღაც მოდიან, მოფრინავენ, შეუმჩნევლად მიპყრობენ მაგნოლიის ფოთლების და ზღვის აჭრელებული, ცასთან შეერთებული ფერების შეგრძნებები, მერე ყველაფერს ფარავს მოხუცი მეთევზის გაუპარსავი, დამწვარი სახე, მეჩხერ კბილებში გარჭობილი ყალიონით, სულ შორიდან ყრუდ მესმის ირინკას სიცილი, რამდენიმე შტრიხს ვუსვამ ქაღალდზე _ ფოთოლს, ქალს, ყალიონს, ნავს, ზღვას _ ყველაფერს ერთად, განურჩევლად, მერე ნახატის ქვევით ორ სქელ ხაზს ვავლებ ძველებურად, ვაწერ ჩემს გვარს და სახელს, გურამ ვაჩნაძე, და ვიწყებ წერას; ღამდება, ირინკა მოჩვენებასავით ანთებს ლამფას, ფეხაკრეფით მიდის, იხდის, წვება, იძინებს თუ არა, არ ვიცი, ის სადღაც იქით არის და ოდნავ ეხება უცხო სახესავით ჩემს შეგრძნებას, გადადის ქაღალდზე მოხუცის სახესთან, ყალიონთან,

ზღვის ტალღების ხმაურთან ერთად, რომელსაც ლამფის შუქზე ვეღარ ვხედავ, მისი მხოლოდ ხმა მესმის, შორეული და ყრუ.

მე თვითონ არ ვიცი რა მომდის, თითქოს უკვე ამოვწურე ჩემი სურვილი, ზედმეტად შევეჩვიე ირინას, აღარც ძველებურ ვნებას იწვევს, საღამოს დაწოლის წინ მხოლოდ ჩვეულებით ვკოცნი, დაწყებული სიცხეებისგან დათენთილს, ჩქარა მეძინება. თითქმის უბედურად და სულ მარტო ვგრძნობ თავს, ცოტათი გავიხსენე ჩემი ნაწერები, ესკიზები და თავი მივანებე, არაფრის სურვილი აღარა მაქვს. უსურვილოდ ვუყურებ მთვარის შუქზე ირინას შიშველ მკერდს, ის წევს დახუჭული თვალებით, მძიმედ სუნთქავს, ძუძუები გახურებული აქვს, ოღონდ ძველებურად ხელს აღარ მწვავს. უცნაურად ნაცნობია მის მკერდზე ყველაფერი, მას უკვე მხოლოდ როგორც ფორმას ისე აღვიქვამ, ჰო, ეს კერტებიც, მათი ვნებაც, მათ შუა პატარა ნაიარევი, სულ შეუმჩნეველი, რომელიც ათასჯერ მინახავს. თვალებს ვხუჭავ, მთვარე მანათებს და არ მაძინებს. დისკო ცივია, საშიში, თვალებდახუჭულს ის უფრო ახლო მეჩვენება, თითქოს უნდა წამომაყენოს და გავყვე მოაჯირს, მერე მატარებლის მავთულს, ღმერთო ჩემო, სადამდე! წვრილი ბუსუსები მირბენს ტანში, ვიგონებ მთვარეულებზე გაგონილ ამბებს, კანკალამდე მეშინია, საკმარისია ჩამეძინოს, რომ მთვარე დამიპყრობს, მეშინია, თავში ცივი დისკო და ..... საიდანღაც ირინას მკერდი მაქვს აშკარად წარმოსახული, უცებ მახსენდება ის ნაიარევი, თითქოს ვწყნარდები კონკრეტული სახისგან და აზროვნებას ვიწყებ: საინტერესოა, საიდან გაჩნდა იქ, საოცარია, რომ მხოლოდ ახლა ვფიქრობ მასზე, აივნის გარეშემო საიდუმლოდ შრიალებენ ზღვის ტალღების ხმაში შერეული მაგნოლიის ფოთლები და ინერციით წკავწკავებს მეთევზის კოჭლი ძაღლი, თვალებს ვახელ, მინდა დავინახო საიდან მოდიან ეს საშიში აზრები და თავიდან მოვიშორო ისინი, თითქმის ვეღარა ვგრძნობ, რომ ჩემს გვერდით ქალი წევს, იქ მხოლოდ მკერდის გამოსახულებაა პატარა ნაიარევით. ჩხრრრ-უ, ჩხრრრ-უ, ეხეთქებიან სილიან ნაპირს მლაშე ტალღები: საინტერესოა, საიდან გაჩნდა ,,ის» «იქ», რომ მეკითხა, ალბათ, მეტყოდა, მე ხომ მაინც ვიცი იმ ნაიარევიანი ქალის ცუდი წარსული. ,,ვიცი კი?» ვფიქრობ დაჟინებით: იქნებ რაღაც იყო უფრო საშინელი, იქნებ - რა იქნებ?! უფრო მეტი რაღა უნდა ყოფილიყო, მაინც საიდან გაჩნდა ეს ნიშანი იქ, საწყალი გოგო, წამით მეცოდება და ამ შეცოდების გამო ორმაგად ვბრაზობ; მიკვირს იმ ძველს, ცუდს, გარყვნილს ყოველთვის აბსტრაქტულად ვხედავდი, ახლა სხვა რაღაც ხდება ჩემთვის. არ ვიცი რატომ ამეკვიატა ასეთი აზრები. ახლა, როცა ის სულ უცხო ხდება ჩემთვის, ჩემი თავიც მეუცხოება, ჩემს ადგილას წარმომიდგება ვიღაცა ულვაშა, გაბაჯღულმკერდიანი კაცი, ჩვენებები მეუფლებიან: ის კაცი ახევს კაბას, კოცნის, ირინაც კოცნის, ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შესაძლებელია, კაცი კბენს, ეს კვნესის, თავს ვიქნევ გამოსაფხიზლებლად, მე ხომ შევეგუე მის წარსულს?!" არა, ეს სხვაა, ის ამბავი მხოლოდ პირველად მოვიდა ჩემამდე, რომ მართლა სხვა იწვა ასე კონკრეტულად მის გვერდით და ეძინა. მთვარე აუტანელი ხდება, ზურგით ვბრუნდები ირინასკენ, მას მშვიდად სძინავს, ბრაზი მერევა, რომ თავის წარსულზე არ ფიქრობს, როგორ შეუძლია ახლა ეძინოს, განა მე მისთვის რითიმე განვსხვავდები იმათგან? ვინ იცის, რამდენთან ჰქონია ასეთი რომანი. ,,აი, ახალი ამბავი,» ვამბობ თითქმის ხმამაღლა, ხო, ახალია, ვღიზიანდები, თითქმის ხელით ვეხები ყველაფერს მის ძველს, ისევ მინდა გადავბრუნდე მთვარისკენ, ხელი მიხვდება მის ძუძუზე, მთელ ტანში მივლის ბრაზიანი ვნება _ როგორ შეიძლება ასე მშვიდად ეძინოს?! მკლავებში ვიქცევ, ჩემკენ ვიზიდავ მთლიანად, მყვება ნახევარბურანში, ვნებით სუნთქავს მისი ტანი, არა, ეს

საკმარისი არ არის, უნდა გაიღვიძოს, ახლავე უნდა ვუთხრა ყველაფერი, ,,ირინა,» ვამბობ ხმამაღლა, ხმა იშლება უმნიშვნელოდ, უძალოდ ისმის, ,,ჰო,» ჩურჩულებს ის, ,,არა, აღარ შეიძლება ასე გაგრძელდეს,» მარცხენათი საწოლს ვეყრდნობი, მარჯვენათი თმებზე ვწევ, ახლა უნდა ვუთხრა ყველაფერი, ჩემთვის აქ რაღაც ახალია, სულ ახალი, ნუთუ ის მართლა იწვა ასე სხვასთანაც, საიდან გაჩნდა ის ნაიარევი, ,,ირინა!» მინდა ვიყვირო, მაგრამ ვხრიალებ, ,,რა?» ფხიზლდება ის, ვკოცნი ტუჩებში, კისერში, ოფლში ვიღვრები, ვუჯიჯგნი სახეს, მკერდს, ,,რა გინდა, რა? რა?» ჩუმად კვნესის ის, მინდა ვატკინო რამე, მინდა ვუთხრა ყველაფერი, მაგრამ არ შემიძლია, რა ვუთხრა? ,,რა? რა-ა?» ჩურჩულებს ირინა. ჩურჩული უაზრო ხმებში გადადის. ვეშვები. ვწევარ გულაღმა. მთვარე მაღლა ადის და ჩემს პირდაპირ თუთის ხეს ანათებს დიდ დაკიდებულ ფურცლებიანად. ულვაშა კაცის სახე ზღვის ტალღებს მიაქვთ, ვწყნარდები, შეუმჩნევლად შევდივარ ძილში.

დილით თავი მტკივა, ის სავსეა რაღაცეებით, უმეტესად სახეებია, სულ ოფლიანი ვარ, მახსენდება ნახული: აუარებელი მატარებლები, ლიანდაგები, ფეხშიშველა ცეკვა დანებზე, ფართო ტუჩებიდან დაკრეჭილი კბილებით, ახლაც წარმოდგენით მესერება ფეხისგულები. «საუზმე მზად არის,» მეძახის ირინა. ხმა უცებ ხვდება ჩემს შეგრძნებას, ვშფოთდები, ყველაფერი ვნახე ძილში მის მეტი, ვცდილობ გავიხსენო რა არ მინახავს. დიდხანს ვივარცხნი სარკესთან თმებს, ,,შენ დარჩი სახლში,» ვეუბნები, ,,დღეს მარტო მინდა ვიცურაო». ზღვა წყნარადა წევს სილურჯეში, ოდნავ ამობურცული ლივლივები ჩატეხას ვერა ბედავენ. მივდივარ სულ ღრმად და ღრმად. მიყვარს მკლავური, ამ დროს თითქმის არ ვფიქრობ არაფერზე, ბრასი ნელია, დამშვიდებული _ არ მიყვარს, ვიღლები და მაინც ვუსვამ მკლავებს, ოდნავ მიელვებს ულვაშა კაცის სახე თავში, მგონი, რაღაც ჩავიფიქრე, როცა ასე ღრმად მოვცურავდი, არ მახსოვს, ახალი ენერგიით ვუსვამ ნაპირისკენ. ირინა სახლში ზის, ,,არც ედარდება, რომ დავმხრჩვალიყავი,» ვფიქრობ ბავშვური სიჯიუტით. ,,აი, ეგ ასეთია,» ვბუზღუნებ, ,,ნუ სულელობ პატარასავით,» ვუწყრები ჩემს თავს. ვსაუზმობთ. ირინა ლაპარაკობს, მინდა ავყვე, მაგრამ არ შემიძლია, ნახევარსაც ვერა ვჭამ, ის იცინის, ,,რა აცინებს?» მეტი აღარ შემიძლია ასე ჯდომა უმოქმედოდ მის გვერდით, უცებ ვიყვან ხელში, ვისვამ კალთაში, თითებს ვუჭერ, ვცდილობ ჩემი თითები დააჩნდეს წელზე. ,,ო,» ამბობს წყნარად, ,,რა მოგდის,» შფოთდება ის, ეს ცოტა მსიამოვნებს, ,,ირინკა, გიყვარვარ?» ,,რატომ მეკითხები?» ,,რატომ გეკითხები?!» ,,განა არ იცი?» ვიცი, ვიცი ან არ ვიცი, აღარ მესმის არაფერი, აღარ შემიძლია ამ მოშიშვლებულ ადგილზე ჯდომა, მეთევზის ქოხში, ზღვის პირას _ წყალი თითქმის მეზიზღება, მლაშე ხელებს ვილოკავ, ,,მოდი, გაკოცო,» ამბობს ირინა და მკოცნის ხელზე, ,,ო, რა კარგად მლაშეა, რატო არ გამიშვი, მეც მებანავა,» ,,მე რას მიჯერებ, გებანავა,» ვბუზღუნებ, ისევ ვერ ვისვენებ, ვბრაზობ, რომ ასეთი გამგონეა და ცხვარივით მისრულებს ყველაფერს, ეჭვები მიპყრობენ: საიდან? როგორ? ვიცვამ. ვივარცხნი თმას სარკესთან, მლაშე წყალში ჩახვეული ხვეულები წყდებიან, იკბინებიან, ვნერვიულობ. ,,ჩაიცვი, სოხუმში მივდივართ, საქმე მაქვს,» ვეუბნები. ის გადის, იცვამს, ,,ამოჭრილი კაბა ჩაიცვი, არა, დახურული, გესმის?» ,,კარგი,» მესმის მისი ხმა, საოცარია, რაც არ უნდა ვუთხრა, მისრულებს, ნუთუ საკუთარი სურვილები დაკარგა, არა, აქ სხვა რაღაც არის, რა? არ ვიცი, ისევ არ მასვენებს ულვაშა კაცის სახე, ო, რა სიამოვნებით გამოვჭრიდი ყელს. ,,მზადა ვარ,» გამოდის ირინკა, არასოდეს არ მიგრძვნია, რომ ის ასეთი კარგი იყო, ნუთუ ის ჩემია და ყველაფერს მისრულებს, შეუძლებელია _ თანაც ნამდვილად ასეა _ არა, აქ რაღაც იმალება, ვუყურებ ამღვრეული ჭკვიანი თვალებით, მინდა ვკითხო, მაგრამ არ შემიძლია, არც ვიცი რა უნდა ვკითხო. გზაზე ყველანი მას უყურებენ,

მსიამოვნებს. აშკარად ვგრძნობ როგორ ჩააყოლეს გოგოებმა თვალი, საინტერესოა, ის ბიჭი რაღას უყურებს იქიდან, ოჰო, კარგი ბიჭია, მაღალი, წაბლისფერი, გარუჯული სახით, მალულად ვიხედები ირინასკენ, მეჩვენება, რომ უცებ შემოაბრუნა თავი, ნაბიჯს ვუჩქარებ. მატარებელი დგება ბაქანთან. ვსხდებით. ისევ გარბიან ვაგონები, ერთ მხარეს ჩანს ზღვა დაგებული სტავნიკებით, პატარა თეთრი ქოხებით, მეორე მხარეს მთები, მწვანე, მოშიშვლებული წვეროებით. შევდივართ გვირაბში, სინათლე მკრთალად ანათებს ვაგონს. საინტერესოა ის ჩალის შლიაპიანი კაცი რას უყურებს ირინას, თითქოს მანაც იცნო და არ იმჩნევს, ღმერთო ჩემო, ნუთუ! არა, ეს შეუძლებელია, ხელს ვკიდებ მკლავზე, ვიზიდავ, ეს, ეს ჩემია, მე მეკუთვნის, ყოველთვის ასე იყო, ასევე დარჩება. ,,ირინა,» ვამბობ, ,,რა, გურამ?» არ ვიცი, მერე რა ვუთხრა, ,,სოხუმში ყოფილხარ?» ,,ჰო,» უცებ საშინელი ბრაზი მიპყრობს, ახლა ვნანობ, რომ წამოვედით, ვერ ვიტან ვერც ერთ იმ ადგილს, სადაც ის ყოფილა, რასთანაც დაკავშირებულია მისი წარსული, შეიძლება მომავალიც. თითქმის ველარ ვხედავ ვერაფერს, საშინლად ცხება ვაგონში, გავდივარ ტამბურში პაპიროსის მოსაწევად, არასოდეს არ მსიამოვნებია ნიკოტინი ასე ძალიან, ფანჯრის იქით კი ისევ ზღვაა, ისევ ქოხები, ისევ სტავნიკები და სადღაც ჰორიზონტზე გემი. ო, რა მოსაბეზრებელია ყველაფერი ეს, ნელა ვბრუნდები უკან, ირინა მე მიყურებს, მე ისევ ვბრაზობ მასზე, მერე ვბრაზობ ჩემს თავზე, ირინა კეთილად იღიმება, ,,რა დროს გახვედი, იცი, იქით, მთაში, ჩამომზღვლეულ ფერდზე გამოქვაბულები ჩანდა,» მეყრდნობა, ვმშვიდდები, ნამდვილად უსინდისო ვარ, ასეთი სახით არ შეიძლება ადამიანი ცუდი იყოს, რამე ჰქონდეს გულში, ის წარსულიც სიზმარია, რა თქმა უნდა; ირინა განაგრძობს: აი, იქ, იმ გამოქვაბულში რომ გვეცხოვრა, კარგი იქნებოდა, ო, რა კარგი! შენ ინადირებდი, მე დაგიტენიდი მასრებს, შევწვავდი მწვადებს, ხომ კარგი იქნებოდა?» რამდენადაც შემიძლია ნაზად ვუსვამ თავზე ხელს, როგორ შემეძლო ცუდი მეფიქრა ასეთ გოგოზე, ეშმაკმა წაიღოს ყველა წარსული, ხომ შევეგუე ერთხელ თითქოს, ახლაც სულერთია, რაც იყო, იყო, სულ სხვა იწყება, ,,გიყვარს მარტო ცხოვრება, ირინკა, გაძლებ იქ?» ,,მთელ საუკუნეს შენთან ერთად,» მისი ხელი თითებში მიჭირავს, ვცდილობ არ მოვუჭირო, მოვეფერო, ჩემს ლოყაზე ვისვამ მის მკლავს; მარტო მართლა კარგი იქნებოდა იქ ცხოვრება, გამოქვაბულში, მე ვინადირებდი, ხანდახან მასაც წავიყვანდი, მაგრამ მთაში საშიშია, იწყება წვიმა, ქუხილი წვება ნისლთან ერთად, დაიბურა გზა, დავიკარგეთ, მე დაჭრილი ვარ და მას მოვყავარ, როცა მარტო ხარ, ვინც გიყვარს, მასთან ერთად ყველაფერი ადვილია. გულზე რაღაც მძიმეს და სასიამოვნოს ვგრძნობ, ,,ვინც მიყვარს, ვინც მიყვარს,» ვიმეორებ ჩუმად, არასოდეს არ შემიგრძვნია ასე კარგად, რომ ეს ქალი მიყვარს, საოცარია, საიდან მოვიდა ეს შეგრძნება, როდის? მატარებელი უხვევს და უნებურად ვუყურებ სხივებისგან გათეთრებულ ზღვას, სიცარიელეა მასთან დაკავშირებული, მოთენთილი, უსურვილო დღეები, სასწრაფოდ გადამაქვს მზერა ირინაზე, გაბუტული ტუჩები, თმები ნახევარ სახეს უმალავენ, ერთი წამითაც ვერ გავძლებდი უმისოდ, ყრუ, მძიმე ტკივილი, სიყვარულის ტკივილი სულ მაღლა ადის და ჩერდება, მეტი აღარ შემიძლია მასზე ვიფიქრო, გადავდივარ მოგონებებში, ნუთუ რომელიმე ჩემს გმირს, გინდაც სამუკას, ასე უყვარდა იათამზე, არა, სად შეუძლია ხევსურს ამდენი, არც ვაჟას შეეძლო, ტყუილად ვწერდი, ჩემი გმირები შუშისა და გამჭვირვალე ხდებიან, გამოფიტული, უგრძნობელი, რაღაც იუმორისტული ნოველა მაგონდება, სადაც ყველას დავცინი, ვიღიმები: რა კარგად გამომივიდა იმ ღიპიანის სახე, რომელიც ყველას ლანძღავს, რა სასაცილოა, ჰმ... ,,ჩქარა ვიქნებით სოხუმში?» მესმის შორიდან მისი ხმა, ვგრძნობ, რომ ისევ ხელში მიჭირავს მისი ნაზი მტევანი,

მიხარია იმ ფიქრებიდან გამოსვლა, მეცინება იმ სასაცილო კაცზეც, კარგი თოჯინები არიან, ვფიქრობ, ,,ჰო, ირინა...» ვპასუხობ, მთლიანად ვგრძნობ მის კანს, მეშინია არ ვატკინო რამე. ჩავდივართ. ბაქანი სავსეა ხალხით. მივდივარ სავსე და უმიზნოდ, მას ჩემს ქამარში აქვს ჩავლებული ხელი ბოშა ქალივით, ეს მე ვასწავლე და მსიამოვნებს, ქუჩები ფართო და მშრალია, ახლად მორწყული დაფნის ფოთლებიდან ბარაქიანი წვეთები ცვივა ქვაფენილზე. მივდივართ; ის არაფერს არ მეკითხება, დიდ ქუჩაზე უკვე გამოფენილა ხალხი, დილით დამთვრალი ლოთები სახლისკენ მიბარბაცებენ, ქუჩას მუშა ხალხი იკავებს, ჯერ კიდევ სძინავთ დამსვენებლებს, მარადისობის სიმბოლოსავით სხედან ჩარდახის ქვეშ ბერძენი პენსიონერები ,,იმავე» პოზაში და ყავას სვამენ. ,,გინდა ყავა აღმოსავლურად?» ვეკითხები.

,,ჰო,» მპასუხობს.

სქელგავა სომხის ქალს ფაშფაშით მოაქვს ორი პატარა ჭიქა, მე უშაქროდა ვსვამ, მერე ძირში დარჩენილ ნალექს ვღეჭავ, ირინა იღიმება, ისიც ღეჭავს, სასიამოვნოა ყავის ნალექი, მწარე, მაგარი. გარშემო მაგიდებთან დარჩენილი ცარიელი ადგილები ივსება ღიპიანი ძიებით, ჩალის შლიაპის ქვევიდან დაგებული ცხვირსახოცებით და ოფლიანი სახეებით. სქელ სიგარას ვაბოლებ ყავის მსმელის კმაყოფილებით, არაჩვეულებრივ მინდება ხელით შევეხო ირინკას, მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, რომ ის მთლიანად ჩემია, თითქმის მეშინია მისი სილამაზის, მეჩვენება, რომ ყველანი მას უყურებენ, ,,ნუთუ ახლა გალამაზდა,» ვფიქრობ. გარშემო ფაშფაშა ოფიციანტი ქალი თუხთუხებს, ცდილობს როგორმე გვასიამოვნოს. ,,კონიაკი მოგვიტანეთ,» ვამბობ უაზროდ და უცებ საშინლად მინდება რაიმე სასმელის დალევა, ღმერთო, მეღიმება, მთელი თვე გადის, რაც აღარ დამილევია არაფერი, უცნაურია აქამდე როგორ არ მომივიდა თავში, უკვე ვეღარ ვითმენ, სანამ მოიტანს, ზედიზედ ვქაჩავ სიგარას, ,,დალიე, ირინკა,» ვეუბნები, ვუსხამ ხუთვარსკვლავიანს, ის სიცილით მიჯახუნებს Qჭიქას, სასმელი ნელა, სასიამოვნოდ გადადის ყელში, ტანში სითბო იღვრება და გარედან სიცხეს ვეღარა ვგრძნობ _ რაც გინდა კარგ ხასიათზე იყო, ერთი სანტიმეტრით მაინც იწევა ხასიათი მაღლა ერთი ჭიქა კონიაკის დალევის შემდეგ, მთელი სხეული იგონებს, რომ მას ხანდახან დალევა უყვარდა, ინაბება და ერწყმება სასმელს, ,,ფრუუ,» ვიძახი ხასიათზე მოსული, ,,გურამ, დათვრები, აღარ გინდა მეტი, გთხოვ, მე დავლევ შენ მაგიერ,» იცინის ირინკა, ვსვამთ, ის უფრო მხიარულდება, მე ვიღიმები, ხასიათი მსუბუქდება და გუბდება, ვუხშირებ სიგარის ქაჩვას, ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა ვთქვა, ,,გამოქვაბულში წამოხვალ?!» ,,როდის?» იცინის ის, ,,ხვალვე,» ვჭრი უცებ სრულიად მოულოდნელად, სულ სხვა ხასიათზე დამდგარი, უკვე დავთვერი _ დათრობამდე სასმელი დამაკავშირებლად მოქმედებს ყველაფერთან, დათრობის შემდეგ, პირიქით, ყველაფერი უკან მიდის, რჩები მხოლოდ შენ სულ მარტო, მარტო და შეუძლებელია ნამდვილად მთვრალი კაცის სიმარტოვის შერღვევა. იწყება უკანასკნელი ცდები, ხელის მოკიდება, მობღაუჭება ყველაფერზე, რომ მარტო არ დარჩე, სასმელი ითხოვს სასმელს და გტოვებს შენ თავისი უფლებების ქვეშ. მე ჯერ მხოლოდ სიმთვრალემდე ვარ მისული, ყურს ვუგდებ ირინას ლაპარაკს: ,,ჩქარა წავიდეთ, გურამ, ო, გურამ, გამოქვაბულში, ხომ იცი, მე არაფერზე უარს არ გეტყვი, პირიქით, მე თვითონ გთხოვ, წავიდეთ უეჭველად, იქ მარტო ვიქნებით შენ და მე, მე და შენ,» დგება ადგილიდან, მოდის ახლო, თავზე ხელს მისვამს და ლოყაზე მკოცნის, ვეშვები _ რა კარგია ირინკა! ნუთუ ეს ჩემია და მართლა ასეთი კარგია! უკან მაგიდაზე ვიღაცეები ხარხარებენ, უცებ ვბრუნდები მათკენ, ისინი თავისი საუბრით არიან გართულები, ვერც გვამჩნევენ ჩვენ, სიმთვრალისგან მავიწყდება, რომ მე თვითონ დავიწყე გამოქვაბულზე ლაპარაკი. ძირითადი მხოლოდ ჩემი მფრინავი აზრები

რჩება, ნერვები ისევ მებერება, ეს ბოლო აღგზნებაა მისი მთლიანი მოდუნების წინ. ,,საინტერესოა, რა უნდა იქ, ან იქნებ ვინმეს გაურბის, ვინმეს ნახვა არ უნდა, ჰო, რაღაც უსურვილოდ წამოვიდა სოხუმშიც, არა, უეჭველად უნდა გავიგო, რაშია საქმე, რაღაც არის აქ, რაღაც,» წარმოუდგენელი ბრაზი მაქვს ამ წუთში მისადმი, კიდევ ვსვამ კონიაკს, ხელს ვკიდებ მაჯაში, ვუჭერ, ვდგებით, მივდივართ. ის ხედავს, რომ შევიცვალე, მიამიტი, ოდნავ არეული თვალებით მიყურებს, უფრო ვღიზიანდები, მეჩვენება, რომ განგებ იბავშვებს თავს, ,,კი არ მეჩვენება, მართლა ასეა,» მიელვებს _ სულ უფრო და უფრო ჩქარა მივდივართ, მზე აჭერს, რაღაც მეხვევა თმებში, კეფაზე მაწვება, ვბრუვდები, არეულად ვხედავ შორს ზღვას, მზე გადახრილა, უკვე აღვიქვამ მაგასაც, ფეხი მერევა, ისევ ვიმართები, ჩემ წინ წევს ნაპირი ცარიელი, უფერო, გახურებული, ახლაღა ვგრძნობ, რომ ხელში რაღაცა მიჭირავს, ჰო, ეს ირინას მაჯაა, ,,ირინა,» ვამბობ ხმამაღლა, მაგრამ ბგერები არ ამოდიან. ,,უკვე გამოვცდით ქალაქს, სიარული აღარ შემიძლია,» მესმის მისი ხმა შორიდან. ვჯდები გახურებულ ქვებზე, საიდანღაც ნიავი იძვრის და შუბლს მიგრილებს, სიმთვრალემ თითქოს გადამიარა. ის ჩურჩულებს: ,,მითხარი რა მოგდის, მინდა ვიცოდე ყველაფერი, მითხარი,» მის თვალებზე ცრემლები მოგორავენ, ,,აჰა, ასე, ირინა, შენი ქალობა....» რა, არ ვიცი, ვდგები, მარტო დავდივარ ნაპირზე, ახლაღა ვიჭერ ჩემს თავს, რომ ულვაშა კაცის სახე არ ამომდის თავიდან, მას გარს ეხვევიან ღიპიანი ბიძები, ის ბიჭიც, წაბლისფერი თმებით და გარუჯული სახით, ,,არა, არა,» ვამბობ, თითებს ვიმტვრევ, «მე შენი წარსული არ მინდა, მაგრამ მომავალი..., მერე რა იქნება, მერე...!» უცებ ვბრუნდები და ხმამაღლა ვყვირი, ,,საიდან გაჩნდა შენს ძუძუებში ეგ ნიშანი!» სახე შეშლილი მაქვს, ხელი მის თმებში მივლია, ის ზის, მე ვდგავარ, წამოდგომა უნდა, მაგრამ ძალით ვსვამ, ,,ჰა!!» ვღრიალებ, ის ხელებს იფარებს სახეზე და ქვითინებს, ,,მესმის, მესმის, მესმის,» ვამბობ ზედიზედ. თითქოს თვალს მაკლდება; ეს მზე ჩასულა, მთვარე უკვე დიდი ხანია ცაზეა და ღრუბლებიდან ანათებს, მეტი აღარ შემიძლია აქ დგომა, მივდივარ ძუნძულით მარტო მე. მისი ხმა აღარ ისმის, ,,აღარ მოვა, აღარ მოვა,» ვიმეორებ არეულად, თვალებზე ცრემლი ჩამომდის, ,,ნუთუ არ ვუყვარდი?!!» მეთევზის ძაღლი ფეხებში მედება, ნაპირთან პალოზე მიბმული ნავი ქანაობს, ვტოპავ წყალში და შიგ ვხტები. კიდევ ვიღაც ტოპავს, ისიც ჯდება უხერხულად; ნავი გვერდზე იხრება გადაბრუნებამდე და სწორდება. მოულოდნელი სიხარულისგან სუნთქვა მეკვრება, მოწოლილი ცრემლები ღვარად სკდებიან თვალებიდან, ვიხრები, ვკოცნი, ვგლეჯ, აღარ შემიძლია გავძღე, ღმერთო, მიშველე, ვუსვამ გაშმაგებით, ხმამაღლა ვყვირი გულში, ,,მიყვარს, ირინა მიყვარს, მიყვარს, გესმით!»

ნაპირი შორს დარჩა, ნიჩბები უმოძრაოდ კიდიან წყალზე, ირინა ნავის ბოლოში ზის, მე თავში, ღამეა. ნიავი უბერავს, სიგრილე მამშვიდებს, უფრო მამშვიდებს, ტალღები საშიშად ჩუმად ეხეთქებიან ნავს, უხმოდ არწევენ თავიანთ ზედაპირზე, მაგიური, უცნაური სიჩუმეა _ მე ვუერთდები სიჩუმეს და ვეღარ ვუძლებ _ უცებ გონებას ვკარგავ, ,,გიყვარვარ, ირინა!» ვღრიალებ მთელი ხმით, ვითრევ თმებით, უსასრულობის კიდემდე ხეთქავს ჩემი ხმა გულიდან ,,სტყუი, მერე ვისი იქნები, მერე რა იქნება, მერე, მერე!» მთვარე გამოდის შავი ღრუბლებიდან სცენაზე მოქმედი გმირივით და ისევ თითქოს სამუდამოდ იმალება. საშინელი სიბნელე წევს ყველგან. ირინა სიბნელეში იმართება, ნავი შეტორტმანდება და სწორდება. ხმები უხმობამდე საშიში ხდებიან. მთლიანად იპყრობს ჩემს სხეულს შიში და, საერთოდ უშიშარი, შეშინებული კაცის ხმით, ყინულზე გამყინავი, გამკვეთი მთელი ხმით ვყვირი: «შენ, ბოზო, გაიშლები ისევ თბილისის ქუჩებში,» სიტყვები ხმლით თავწაჭრილი ჭინჭარივით წყდება და ჩერდება, ორმაგად წვება ზღვაზე სიჩუმე, კანკალით ვუშვებ

ხელს მის თმებს. საოცარი სიმშვიდით ისმის უმოძრაო დინამიკაში მისი წყნარი ხმა: ,,ჰო, მე ბოზი ვარ და ვიქნები პირველივე შემხვდურის,» არ შეიძლება ამ წყნარი ხმის შედარება არაფერთან, მისი სიმშვიდე ათასი ზარბაზანივით გასკდა ჩემს გარშემო და გააყრუა, დააბრმავა ყველაფერი, როგორც მზის პირდაპირ დამდგარი უზარმაზარი სარკის ანარეკლმა, მოხვედრილმა ღია თვალებში.

გონებას ვკარგავ, თბილი სითხე მეღვრება ხელებზე, ტუჩები იმითვე მაქვს შეღებილი, ყველაფერი წითელია, საშიში, ამ წითელსავე ვკოცნი, ისინი ავსებენ მის ტუჩებს, მის ყელს, მის თვალებს. უცებ ვიმართები, გამოჩენილი მთვარის შუქზე რაღაცა ლაპლაპებს ,,ეს ნი-ჩა-ბია, რომლი-თაც მოვკალი,» ,,ჩემო გოგო, ჩემო გოგო,» ვიმეორებ და უცებ ვღრიალებ, ოღონდ ახლა გონებაზე ვარ, უფრო ვღრიალებ მთელი ტანით გაბმულად, თუხთუხით, ცრემლები ერევიან სისხლს, ის თბილია, მასთან ერთად ჩადის ნავის ძირში, მლაშე წყალს ერევა და აწითლებს. მინდა გავგიჟდე, რაღაც უფრო საშინელი ჩავიდინო, მაგრამ გონება როგორღაც არაჩვეულებრივად საღი ხდება, ნელა, მოწყენილი ვკოცნი ირინკას სისხლიან შუბლზე, თითიდან ვაძრობ, თითქმის ვაგლეჯ ჩემ ნაჩუქარ მასიურ ოქროს ბეჭედს _ ეს ბეჭედი ზღვაში ჩემთან ერთად მოკვდება! _ ვხტები ზღვაში, ახლა მე მისი აღარ მეშინია, წყალს თითქმის ვერა ვგრძნობ, რაღაც მეშვება სიგრილისგან გულზე; მივდივარ მკლაურით, ყველა შეგრძნება იკარგება ჩემგან შორს, დავიწყებაში, ,,რა კარგი გოგო იყო ირინა,» ოდნავ მიელვებს თავში და მივცურავ, ვიცი, რომ ეს ბოლო ცურვაა ჩემი, ზღვა დიდია და სტუმართმოყვარე, მისი გული შორს არის, მეც მისკენ მივცურავ, თვალები აღარ მჭირდება, ვხუჭავ, ხელები მოძრაობენ ჩვეულებით, მოდუნებულები; შემდეგ აღარ მოძრაობენ, ისინი ჩერდებიან, ჰაერი აღარა მყოფნის, რაღაც მყარს ვებჯინები _ აქ მთელი საუკუნე ვაპირებ ცხოვრებას, ეს მყარი _ ზღვის ფსკერია. ჩემი მეხსიერება ქრება, რჩება მხოლოდ ყრუ შეგრძნებები: ლამი ნელა, შეუმჩნევლად ფარავს ჩემს ტანს, მერე უფრო სქელი ფენა ედება წყალმცენარეების, პატარა, გაუმაძღარი თევზები უტრიალებენ ჩემს ლეშს, აი, ერთმა მომწიწკნა კიდეც, ოღონდ სილის საფარველში ვერ ატანენ მისი კბილები, უფრო მსხვილი ხრეშის ფენა კი სულ იზრდება, მე გულდაღმა ვწევარ, სახე ფსკერში მაქვს ჩაფლობილი, ზევიდან იზრდება საფარველი და გულზე მაწვება, სუნთქვა მიჭირს, პატარა თევზებისგან ყველაფერი ბნელდება, ისინი ჩემს თმებში იხლართებიან, რომლებიც უცნაურად გაზრდილან ამ მოკლე ხანში, ისინი ჭიჭყინებენ, ჩხუბობენ, უცებ ლიფსიტები ყვირილით გარბიან, რამდენიმე ისე ჩაიხლართა, რომ გაქცევა აღარ შეუძლია, ორი თუ სამი ბედს ეგუება, ჩუმდება, შორიდან დინჯად მოცურავს უზარმაზარი, გრძელცხვირა ნათელთევზა, ფსკერი შავი აღარ არის, ის წითლდება, მერე ფერები ირევა, ნათდება, ნათელთევზა კი სულ უფრო ახლო და ახლო მოდის, თმებში ჩახვეულ ლიფსიტებს ყლაპავს და კეფაზე მებჯინება, ჯერ ცხელი წვეტიანი ცხვირით სინჯავს, მაორთქლებს, მერე უკან იხევს, ისევ ეჯახება, ქალას ხვრეტს ცხელი, მლაშე ენით, ხვრეპს ჩემს ტვინს, მეტი აღარ შეიძლება ასე უმოძრაოდ ყოფნა, ცოტაც და აღარაფერი დარჩება ჩემგან, უმნიშვნელოდ, შიშით ვარხევ ლამის საფარველს, ის ჩემდა მოულოდნელად სულ ადვილად იშლება, სილა სკდება, წყალმცენარეები ქრებიან, წინ ვწევ ხელს, უზარმაზარი მრგვალი ქვა ხვდება შიგ, უცებ ვბრუნდები და ნათელთევზას ვესვრი _ ქვა ბზრიალით ვარდება ზღვაში, წყალი წყნარია და ლივლივა, რგოლები იშლებიან მილიონ დიდ რგოლებად და ქრებიან. მზე სახეში მაცხუნებს, ზურგი მშრალი, გაშეშებული მაქვს, სველი მკერდიდან ხარბად იკრიფება ორთქლი. მკერდზე მცივა, სასიამოვნოდ მაცხუნებენ მზის სხივები.

მე ყველაფერი მახსოვს, ოღონდ ის შორს არის, წარსულში, რაც არ მახსოვს, შემიძლია წარმოვიდგინო: იმის მაგიერ, რომ შიგნით შემეცურა, როცა თვალები დავხუჭე, უკან წამოვედი, ნაპირისკენ; საშინელი ეჭვი მიპყრობს: იქნებ განგებ დავხუჭე თვალები, ამის გამოსწორება ადვილია, საწყალი ირინა, აღარ მინდა არაფერი, აღარ შემიძლია აქ ყოფნა, შევდივარ წყალში მუხლებამდე, გახურებული მზის შემდეგ ის ცივი მეჩვენება, არა, აღარ შემიძლია თავის დახრჩობა, მე თვითონ განგებამ გადამარჩინა, განგებამ კი? არ ვიცი, არც მინდა ვიცოდე, ჩემი სხეული გრძნობს, რომ მყარ მიწაზე დგას და გუშინდელის გამეორება აღარ შეუძლია; მხოლოდ ახლა აღვიქვამ ცხადად, რაც მოხდა გუშინ ღამე, როგორ დაიწყო დღე, რატომ მოვკალი ირინა, არა, არ მომიკლავს _ ვათვალიერებ ჰორიზონტს, იქ არაფერი არ არის, უეჭველად იპოვეს და გამოიყვანეს _ ვარწმუნებ თავს, ვიცი ტყუილია, ისევ მივდივარ ნაპირისკენ, დამშრალი თვალები ტირიან, მაგრამ შეცურვა აღარ შემიძლია; შეუძლებელია ირინკა მკვდარი იყოს, ასეთი ცოცხალი, ასეთი მოძრავი, თითქოს თვალით ვხედავ როგორ წამოვიყვანე ყავის სმიდან, როგორ შევედით ზღვაში, როგორ დავარტყი ნიჩაბი, რის წინაც მითხრა რაღაც ძალიან მშვიდად და დარწმუნებით, წარმოსახვა უფრო შორს მიდის: ალბათ, ირინკა ნახეს დაჭრილი, უგონოდ ან მკვდარი, ჰო, მკვდარი, მკვლელს ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი თითიდან წაუძვრია, მე მაქვს ახლა ნეკზე გაკეთებული ის ბეჭედი, ის მკვლელი მე ვარ...

ცუდი პოეტივით ვიღლები განცდისგან, არაჩვეულებრივად მინდება რაღაცა, მინდა მთაში ვიყო ხევსურებთან, ან ვაჟა ვიყო მხიარული და თხილამურებზე ვსრიალებდე, არაფერი არ მომხდარა, არაფერი... სულ უფრო ჩქარა მივყვები ნაპირს... და ისევ ის! იმას მე ძეგლს ავუგებ და შემდეგ მოვიკლავ თავს, დავწერ მასზე უმშვენიერეს პოემას, ტრიალებენ სახეები გახურებულ ჰაერში და შიგ ავი ჯინივით ულვაშა კაცი ჩნდება, ოჰ, იმისი..., მზე აჭერს... მე მინდოდა პოემა დამეწერა უბოროტკაცოდ?!... მზე აჭერს... კეფას ნათელთევზასავით მიბურღავს, ოო, როგორ მომნატრებია ჩემი ოთახი... როგორ წამოვედი იქიდან... იქ სხვანაირია ყველაფერი, იქიდან სუპერმენი იბერება, მიზიდავს, ნუთუ ცოტა ხნის წინ მე თავის დახრჩობაზე ვიფიქრე, ა?! მიდი, იცოცხლე, იცხოვრე, წერე, გამოისყიდე. დახრჩობა?? არა, ჯერ შენ უნდა ირინას ძეგლი აუგო, ნუთუ მართლა უნდა ავუგო ძეგლი მასზე წერით, ნუთუ არ შემიძლია ვიცხოვრო მშვიდად გამოქვაბულში სიყვარულთან ერთად; ყველაფერს ჩემი ოთახი ეპატრონება, სიცხე მატულობს, იქ დაუწერელი ქაღალდები ყრია _ თეთრი, უხაზო ესკიზები, გაფანტული იატაკზე, პაპიროსის ნამწვები და არყის ბოთლები, ირინაც იქ არის, იმის იქით, ის კიდევ მოვა. ,,ირინა! აუ, ირინაა!» ვყვირი გულში, თითქმის მესმის მისი სუნთქვა, ოღონდ შორეული, და ჩემი ოთახის იქიდან, ვიცი, ვიცი, ის კიდევ მოვა, ახლა კი, დამანებეთ თავი, ჩვენებებო, მომეშვით! გესმით?!: მე მას უნდა ძეგლი ავუგო, მხოლოდ მისთვისვე ვრჩები ცოცხალი! სიბრაზის ამოხეთქვასავით იმართება ჩემი სხეული თავისი თავის წინააღმდეგ: გურამ! იყავი მკვლელი, ოღონდ ნუ იქნები მატყუარა!

მხოლოდ საკუთარი ვნებისთვის, შენთვის, შენთვის უნდა იცხოვრო შენ, და არა გაქვს არავითარი უფლება, სხვას დააბრალო ეს სიცოცხლე; შენ უნდა იყო, სანამ რამე განცდაა, სანამ არის რამე, საერთოდ, რასაც ხედავ, გრძნობ და გადმოსცემ.

.....

ისევ უძლური ირონია მეუფლება, ...მე მოვიკლავ თავს, როცა აღარ იქნება მოსალოდნელი ყველაფერი ის, რაც მოხდა, დინჯად, მშვიდად გავტენი იარაღს და ღიმილით ვესვრი ჩემს შუბლს.

,,ეს იქნება ერთადერთი ღირსშესანიშნავი ამბავი, ჩემო გურამ, შენს ცხოვრებაში, რომელსაც შემდეგ ვეღარ აღიქვამ თუ გადმოსცემ,» ვეუბნები ჩემს თავს, ნერვიულად მეღიმება, მე ხომ ასე ძალიან მიყვარს კარგი ხუმრობა, როცა მარტო ვარ ხოლმე ჩემს თავთან დარჩენილი.

[1958 წელი. მარტი, მოსკოვი.
1959 წელი. შემოდგომა, თბილისი]

ა ლ ა ვ ე რ დ ო ბ ა

ამ წელს მთელი გაზაფხული იწვიმა; წვიმდა მთელი ზაფხულიც, ხალხი დადიოდა საწვიმრებში და მსუბუქ პალტოებში, ყველა ამინდის გამოსვლას შემოდგომისთვის ელოდა, მაგრამ სექტემბერში უფრო მოუმატა სუსხმა, მხოლოდ საქართველოში პირველად ჩამოსულები დადიოდნენ თეთრ პერანგებში თმებჩამოშლილი, გალუმპულები და თავს ირწმუნებდნენ, რომ აქ გაცილებით კარგი ამინდია, ვიდრე ჩრდილოეთში; ჩამოდიოდნენ რიისკიდან, ოდერის ყინულოვან ოკეანეში შერთვის ადგილიდან, და ყვებოდნენ, რომ იქ ხალხი ბანაობს ზღვაში, შავდება, «მაინც რა მშვენიერი ამინდია კავკასიაში» ამბობდნენ ისინი აღტაცებით. საქართველოში კი სულ წვიმდა და წვიმდა, მაგრამ ასეა ცნობილი, რომ ჩვენთან ყოველთვის კარგი ამინდია და ჩამოსულები, უბრალოდ, არ უჯერებდნენ წვიმას.

რაღა შორს წავიდეთ, მეც ვერაფრით ვირწმუნე, როცა თელავში ჩავედი, რომ რთველების დაწყების წინ ასეთი მოწყენილი, სუსხიანი, უფერო ამინდი დგას კახეთში.

იწვიმა კიდევ სამი დღე; ოცდაშვიდში ალავერდობა იყო. ოცდაექვსში საღამოს გამოიდარა, ნესტიანი მზე გრძელი, გვერდებზე გადატყორცნილი სხივებით მთელი საათი იწვა ღრუბლების თავზე, რომელთა სიმძიმესაც ძლივს უძლებდნენ წყლისაგან გაბერილი მთებიც კი. მზის ჩაშვებასთან ერთად ნაწვიმარ ჰაერში მკაფიოდ იწყო გამოჩენა კავკასიონის მასივის გასწვრივ მწვანე ფრად გაწოლილმა მინდორმა. აქამდე დაბლობზე ამაყად წამომდგარი მთები ბინდთან ერთად შეუმჩნევლად წავიდნენ უკან, თითქოს მათ შვენებას სულ სხვა განგება მართავდა, უცნაურად შეერწყა ქედის სწორი კონტური ვაკის უსასრულობას.

წინ გამოდიოდა, იშლებოდა, ფარავდა მთელ გარემოს უსასრულო, ერთ მთლიან სხეულად ქცეული ალაზნის ველი.

ბოლო სხივებმა მიატოვეს კავკასიონის თოვლები და მასთან ერთად ბინდში ჩაფლეს წაბლისფერ-მოწითალო შემოდგომის ტყეც.

ჩავიდა მზე;

დადგა ის წამი, როდესაც სხივიან შუქს შეჩვეული თვალი ვერ ამჩნევს წვრილ, უძლურ მნათობებს. იდგა მთლიანი სიბნელე და წყვდიადში მოჩანდა სადღაც უსასრულო სიღრმიდან მომავალი უმანძილო მინდორი, ის კი არ მოჩანდა, არამედ ინტუიციით ხედავდა მას ადამიანის თვალი და გრძნობდა მის არსებობას კახელი კაცის სხეული. მხოლოდ ღამესავით ვრცელსა და უსასრულოს შეეძლო ამ წყვდიადის ასე შეცნობა.

შეუმჩნევლად, მიპარვით შეეჩვია თვალი სიბნელეს, საიდანაც უცებ უცნაური ძალით ამოხეთქეს ვარსკვლავებმა და მთლიანად დაიპყრეს კახეთის ცა, ამოვარდა პირველი ნიავი, ნამის წვეთივით შეჩერდა ხის ცალკე გამოშვერილ ფოთოლზე, ოდნავ

შეარხია ის, დაიყოლია თავისკენ, ის-ის იყო უნდა მიმწყდარიყო მისი არსებობა, რომ ჰაერის ახალი ნაზი ტალღა ჰარმონიულად მიეხმარა თითქმის მიმქრალ პირველ ნიავს და სხვა ფოთლებსაც აგრძნობინა მისი არსებობა. შეიყუჟნენ შემოდგომის მისუსტებული ფოთლები, მაგრამ ისეთი ალერსიანი, სასიამოვნო იყო გრილი, უვნებელი ქროლვა დასავლეთის ქარის, რომ თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰყვნენ მის ნებას და აშრიალდნენ დიდი ხეები, აშრიალდნენ ცაცხვები, ჩუმად ახმაურდა თელავის ათასწლოვანი ჭადარიც. საიდუმლო, უვნებელი ხმებით ამღერდნენ ცივის ფერდებიდან ალაზნის ჭალებში ჩაშვებული სიმღერები.

ბინდის ჩამოწოლასთან ერთად სევდა მოერია ციხის მაღალი ბურჯის თავზე მჯდარ ადამიანის თვალს, ის ცდილობდა ჩაჰყოლოდა ამ გრძნობას, გარინდებულიყო მარტო ყოფნის ნირვანაში, მაგრამ ბუნება ღამის ამ დროს გაცილებით ძლიერი იყო ყველა ადამიანურ გრძნობაზე; პირველი ფოთლის შრიალივით გაიფანტა ის სევდაც და იმ კაცის სხეული თავისთავად შეერწყა გარემოს ბავშვურ დღესასწაულებრიობას, ის წამით დაუბრუნდა პირველ შემქმნელს, აშრიალდა მასავით, დაილაპარაკა მისი ენით და აივსო სურვილით საკუთარი სიტყვებით მიემართა მისთვის, ამ სურვილმა დაარღვია პირველი ჰარმონია და შექმნა ახალი, ადამიანის ხმასთან ერთად, რომელიც ჯერ უხმო ვნებით დაიწყო, მერე ბგერაში გამოიხატა და ამღერდა.

იჯდა ბურჯის თავზე მარტო კაცი, ამღერებული ბუნების ძალისგან, მღეროდა ის მის შესახებ, მღეროდა მთლიანად ჩაფლული საკუთარ ბგერებში, მხოლოდ ამოსუნთქვებს შორის გრძნობდა, რომ სადღაც უცნობ ადგილას შორდებოდა მას და ეს შეგრძნება უცნაურად აკლებდა ბუნებისეულ დიდებას მის ხმას, ხმა ხდებოდა სევდიანი, უცებ ამოხეთქილი და გაბმული, ზოგჯერ ტირილამდე მისული იმ უმწეობით, რომ მთლიანად არ ესმის ტყის ხმა, ქარის ხმა, ალაზნის ველის შრიალის სურვილი და მარტო ხმა ეძებდა თავის ცალს, თავისნაირს, რომელსაც ეტყოდა ამ საბედისწერო შეუსაბამობის შესახებ.

მიწყდა მისი სიმღერა და ისევ დაიპყრო ყველაფერი ნიავის, ფოთლების, ატეხილი ჭალების ჰარმონიულმა შრიალა მუსიკამ, ბურჯის ძირში მიმალულმა ჭრიჭინამ დაიცახცახა, ნელი ნათებით შეერია შალაფას ციცინათელა და საიდანღაც მოვარდნილმა სიამაყემ აავსო ბურჯის თავზე მჯდომის გული, ის, დისჰარმონიისაგან გამოწვეული სევდის მაგივრად, გრძნობდა ახალ, იმავე ადამიანური ძალის შეგნებულ მორევას, რომელიც გამოყოფს მას ამ წყვდიადიდან, მუდმივი შრიალიდან. ჯდომელამ დაიწყო მან ისევ სიმღერა, ახლა ხმებმა კიდევ უფრო მეტი ძალა შემატეს მის სხეულს, წამოაყენეს ფეხზე და აამღერეს მთელი ხმით. მღეროდა კაცი თავისი ხმით, შრიალებდა ბუნება თავისი ხმით და მხოლოდ ახლა, შუაღამის ხანს, დამყარდა მთლიანი, უნაპირო დღესასწაული ალაზნის ველზე.

მთელი ოცდაშვიდის ღამე იხდიდა თავის დღეობას ჭალიდან გამოვარდნილი გედივით თეთრი ალავერდი.

უცნაური გადასვლა: «წინანდელმა რელიგიურმა
დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი
პირვანდელი მნიშვნელობა და ახლა
იქცნენ ლოთების, უსაქმურების ხანმოკლე
შფოთისა და დროსტარების ადგილებად».

/გაზეთებიდან/

სექტემბრის ბოლოს ალავერდში გამართული ტრადიციული ქრისტიანული დღეობები საშემოდგომო მოსავლის დიდი ნაწილის აღებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ატარებს ის განსაკუთრებით ინტერნაციონალურ ხასიათს, რაც საკმაოდ არაუცხოა საქართველოსთვის. ამ დღეობებზე ღამის სათევად ჩამოდიან დიდოები, თუშები, ლეკები, წოვები, ჩეჩნები კანტიკუნტად, ქისტები დიდი რაოდენობით, მთელი კახეთის გლეხობა, ვისაც კი მოუწვდება ამ ბოლოებამდე, და ყარაჯალელი თათრები, ე.წ. ელი. ელი მეღრეობეთა დაახლოებით მეათედს შეადგენს ყოველთვის, ისინი წარმოუდგენლად ვიწრო ურმებზე, პირამდე დატვირთული ბავშვებით, გალავნის ბოლოს ირჩევენ ადგილებს, სვამენ იქვე, ჭამენ და ჩუმად მიდიან, ღამენათევები, თავიანთ სახლებში; სამაგიეროდ, ნაღვინევი, დიდსამკუთხედთავა, უზარმაზარფაფახიანი დიდოები ჩხუბამდე დაძრწიან ურმებს შორის, უსიამოვნების ატეხისთანავე ქისტებს ტოვებენ შუაში და თვითონ გალავნის უკან იმალებიან.

მთელი ღამე ლოცულობენ, ილოცებიან, გალობენ, სვამენ, მღერიან ყოველგვარი წესრიგის გარეშე დარჩენილი მორწმუნენი თუ ურწმუნოები, დროებით შეშინებული ღვთის ძალისაგან. ქალები უმასპინძლდებიან კაცებს, ღამით კიდევ სუფევს რაღაცა ოჯახური, მოქცეული გარკვეულ რიგში. ღამენათევი პატიოსანი, ღვთის, შრომის პატივისმცემელი გლეხობა გათენებამდე აბამს საქონელს ჩარდახიან ურმებში და მზის ამოსვლამდე ტოვებს ტაძრის მიდამოებს.

ღრეობის ადგილას რჩება ღვინო, ჩარდახები საქეიფო და უაზროდ, უოჯახოდ, უინტერესოდ დარჩენილი ნამთვრალევი ხალხი. შიგ შუაგულისაკენ შემოდიან ლეკები, ირევიან ყველანი ერთმანეთში, სვამენ ერთად, იყრებიან, ისევ ირევიან, უხერხულად ფრუტუნებენ ჟინზე მოსული ცხენები მთვრალი პატრონების დანახვაზე. «დილის არაყი შეასვი, დილის არაყი», ისმის ყოველი მხრიდან.

შეუმჩნევლად ეპარება ღამეს ფერი; ამოდის მზე; დგება დილა უწვიმოდ, სავსე, სიცხიანი ბარაქიანი ყურძნისთვის, ნამდვილი კახური დღე, როცა მზე პირდაპირ შუაგულში აჭერს დედამიწას, სწოვს ნამის ნიშანსაც კი ყველაფერ გრილს, ოხშივრისგან მტვრად ორთქლდება მიწა.

უცნაურად, უნიჭო მოჩვენებებივით დაძრწიან გალავნის შიგნით თუ გარეთ დიდ ფაფახებში, თბილ მეცხვარულ ქურქებში გახვეული თუშები, ლეკები კოკროჭინა პატარა კეპებში, მაგარ ბოქსდარტყმული კახელი სოფლის «სტილნები», კლოში შარვლებით და ცეკვისგან დაღლეტილი ფეხსაცმელებით, გამომწვევად უყურებენ უზარმაზარ ქურქებში გამოხვეულ ლანდებს.

მთელ გზებზე ოთხივე მხარეს გაწოლილან ისევ ის ჩარდახიანი ურმები, პატიოსანი, მშრომელი გლეხებით სავსე, მიმავალი ღამისთევის შემდეგ თავიანთი სახლებისაკენ, მხოლოდ უსაქმურები, ან აქ საქმისთვის თავის მოსაბმელად დარჩენილები, ან როლიდან უცებვერგამოსულები ვერ ელევიან დღეობის ნასუფრალს, ხელს ითბობენ მეზობელი სოფლიდან ღვინის გასაყიდად მოსული ჩარჩები, დიდი რაოდენობით იღვენთება მზეზე წითელი, ჯოხზე წამოცმული მამლები, ფოჩიანი კამფეტები, ადუღებული ლიმონათი და კოპერატივის საეჭვო წარმოშობის საქონელი. გაუთავებლივ, უაზროდ ჭყიპინებს დაფა-ზურნა, უშედეგოდ ცდილობს თავი მოუყაროს ყველაფერს ერთად. უმუსიკოდ ლოთობენ შუა მზისგულზე კერძო თუშები, არეული ელში, ნახევრად თათრული, ნახევრად ქართული ლაპარაკით ბლუკუნებენ, ილოცებიან, ილანძღებიან, ეს-ეს არის უნდა მიწყდეს, მიიძინოს ღრეობამ, რომ ღამენათევებს უერთდება გამოძინებული თელაველი დახლიდარებისა და მძღოლების ახალი ნაკადი, განახლებული ძალით

იკვებება დოლ-გარმონი, ზურნა, ჭიანური; გვერდიგვერდ მიმდგარი რამდენიმე დასტა დამკვრელებისა დაუღალავად აცეკვებს ახლად მოსულებს; ისინი შედიან გალავნის შიგნით, გალავნის უკან და ზოგი, მეტ იშტაზე მოსული, საყდარშიაც იწევს. საიდანღაც ჩნდებიან ოთხკუთხმხრებიან კაბებში ნახევრად სოფლელი გოგოები, რომლებსაც არც კი უნახავთ ახლოდან კაცი როგორია, აქ კი ცდილობენ, «გამოსულობის» მიზნით, მიუკარებელ, ოღონდ სასიამოვნოდ გარყვნილად მოაჩვენონ ვინმეს თავი და გოჭებივით დაბორგავენ ზურნის ქვეშ. სრული დისჰარმონიაა ბიჭისა და გოგოს ცეკვას შორის, რომელიც სადღაც ერთდება და შემდეგ ღვინო თუ მოწოლილი სიცხე ისევა თიშავს მათ. სამაგიეროდ, უაზრობისგან უფრო ხურდება ცეკვის ტრანსი და უმაღლეს წერტილამდე ადის. ეს უზარმაზარი მთვრალი მასა უცნაური არაკავშირით ღრეობს ერთად. განაგრძობენ ღამენათევები სმას, ყოველგვარი ხალისის ან ყურადღების გარეშე მოსული მოცეკვავეებისადმი, ცეკვავენ დახლიდარ-შოფრები, სოფლის «სტილნები» თავისთვის; ერთ მხარეს, გალავნისაკენ პირით, ჩაწყობილია შუაცეცხლანთებული ჩარდახები თუ უჩარდახო საქეიფოები, დატვირთული ხინკლებით, ცხვრის ხორცით, საქონლის თავ-ფეხით, ერთნახადი ალალაით, ორნახადი ჭაჭის არყით, გამოცლილი და სავსე ტიკებით, რომელთა უცნაურად ორგანულ დამატებას წარმოადგენენ თბილად ჩაცმული მთიელი ქრისტიანები, მაჰმადიანები, ქურქიანები, მაზარიანები, ამ კილომეტრის სიგრძეზე გაშლილი ნატურმორტის პარალელურად, ფაფუკმტვრიანი გზის იქით, რომელსაც სულ ორი-სამი მეტრი განი აქვს, სუფევს სწორედ ის თავდავიწყებული მოძრაობა დაფა-ზურნის ქვეშ. ამ ორი მოპირდაპირე მხრიდან საოცარი სისწრაფით მირბი-მორბიან წარმომადგენლები ერთმანეთისკენ და სრული კუთვნილება ხდებიან იმ მხარისა, სადაც მივლენ. მატულობს ცეკვა მზესთან ერთად; ორი _ ერთი დიდმხრება, მთლიანად ოთხკუთხედი წვრილი თავით, მეორე, ახალგაზრდაზე უფრო ხალასი შესახედაობის, ასხლეტილტანიანი მოხუცი დილით დაწყებულ ცეკვა-შეჯიბრს აგრძელებს. გათენებისთანავე გაავსეს შაბაშით მათ ერთი დასტა, ყოველ შემოტრიალებაზე _ 25, 50, 100 მანეთიანებით, სამი საათი უკრავდა მათ რიტმში ტაშს გარშემოხვეული ხალხი, მერე რიტმი დაირღვა, გაცივდა ტაში, დაიშალნენ ოთხკუთხედი მსუქანი ბიჭის და შემართული მოხუცებულის მაყურებლები, ჩუმად გაიპარა დაფა-ზურნაც და სხვაგან დაიწყო დაკვრა. უარესი გახელებით განაგრძობდა ეს ორი ტრიალს, სრულიად გაოგნებული ყველაფერი იმის უაზრობისგან, რაც გარშემო ხდებოდა; ერთხელ დაძრული ტემპერამენტი, ვნება არ ნელდება, სინამდვილეში დაუძლურებული ფეხები უფრო მეტი ენერგიის მოწოლასა გრძნობენ საიდანღაც და ტრიალებენ გაუთავებლად, იჩოქებენ, მოწყვეტით ეცემიან მუხლისთავებით ქვა-მტვრიან შარაზე, ხტებიან შეკივლებით, შემახილით ამხნევებენ ერთმანეთს. უცნაური სიცარიელე და იქიდან გამოსული მუდმივი და უცვლელი ენერგია იგრძნობა ამ თავისთვის მომლხენ ხალხში.

ყბაზე ცალტუჩგაწეულ, სინანულნარევ ირონიასა და სევდას ჰგვრის კაცს ამ ორი უმუსიკო, უმაყურებლო, გახელებული მოცეკვავის დანახვა; გრძნობ, რომ აღარ არის ალავერდობა ალავერდობა, გრძნობ, რომ ეს რელიგიური დღეობა მხოლოდ ინერციაა, მისული სასაცილოობამდე. შემზარავ ტრაგიკომედიასა ჰგავს მთლიანად გუშინდელი ლხინის ბოლო, ამას ემატება ისიც, რომ ის, საერთოდ, ისტორიულადაც ბოლო დღეა; ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში, ზედ კანკელის ძირას, შეიძლებოდა ოდესმე გდებულიყო თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი. მხოლოდ აქა-იქ

დაინახავთ კუთხეებში მორცხვად მიყუჟულ შავკაბიან მლოცველებს, რომლებიც ღმერთს მხურვალედ სთხოვენ სათხოვარს.

აღარ შველის ალავერდობას აღარაფერი, არც ამ დროისთვის თბილისიდან მოღწეული ექსკურსანტები, გზაზევე დასიცხული, დაღლილები, არც ბრწყინვალედ გამოწყობილი აკადემიკოსები, რომლებიც ოდნავი, რელიგიური ღიმილით, პატივისცემით ათვალიერებენ ყველაფერს, ერთი დღით განთავისუფლებულნი ხანგრძლივი მეცნიერული შრომისგან, აქეთ წამოსული ეგზოტიკის მისაღებად. განსაკუთრებით უცნაურად, ტირილამდე სასაცილოდ გამოიყურებიან ამ მუქ ფერებში, თბილად ჩაცმულ ქურქიან მთიელებში რუსი გოგოები, ტურისტის ნიშნებით, დეკოლტეებითა და უსახელოებო კაბებით, მზისგან დამწვარი ცხვირებით, რომელთაც, მიუხედავად ასეთი კონტრასტისა თავისი ფორმით, მაინც ვერავინ ამჩნევს. უეცრად, აქ ჩამოსვლისთანავე, საოცარი სიცხადით, გულისტკენით გრძნობენ აქამდე გახელებით მომავალი, გზაზე მრავალნაწამები დამთვალიერებლები, მომზადებული თვითონაც ღრეობისთვის, რომ სრულიად არაფერი არ აკავშირებთ დამხვდურებთან. აქ მყოფი ხალხი მოსულებისთვის თბილისიდან, რუსეთიდან, თელავიდანაც კი უცებ იქცევა იმავე შავი ბლუზების, ადუღებული ლიმონათის, ქამრების, უნაგირების გაგრძელებად, რაც ასე უხვად მოუტანიათ გასაყიდად და მყიდველებს უმუშტროდ დაუტოვებიათ; თავის მხრივ, «აქაურები», ალბათ, ჩამოსულებს ჯოხზე წამოცმულ წითელ მამლებზე მეტ ფასს არ აძლევენ, რომლებისკენ მიხედვაც კი აზრად არ მოუვა არც ერთ მათგანს.

უცნაური განურჩევლობა, უმიზნო დაუოკებელ ვნებაში შეზრდილი, სუფევს გარეშემო და თითქოს ყველაფერს, როგორც რეჟისორის მთავარ ჩანაფიქრს, ხაზს უსვამს ორი ნაცნობი, ოფლში გაღვრილი მოცეკვავე, დარჩენილი უმუსიკოდ და უმაყურებლოდ. უყურებს მათ მანქანიდან ახლად ჩამომხტარი ჩვენი მოთხრობების გმირი და ცრემლებივით ადგება ყელში, უნდა რაღაც გააკეთოს, შეაჯანჯღაროს რითიმე ეს ხალხი. ის ნელა, უხმოდ უკრავს ტაშს ორ მოცეკვავეს, მერე წყვეტს და ეღიმება, იმდენად უაზროა მისი ეს ცდა.

დიდხანს დგას ის ასე, მზეს თავმიშვერილი, უყურებს ამ ორი მოცეკვავის თავშეუკავებელ რიტმს, რომელიც სირბილად, ხტომად არის ქცეული, ესმის მათი შეძახილები და გული ბოღმით ევსება, რომ ასე უყურადღებოდ, უმაყურებლოდ იხარჯება ამდენი ენერგია, სურვილი. უყურებს და უცებ რაღაცა სიცოცხლის მაგვარი, ხალისიანი ესმის საიდანღაც, თითქოს ახლა ფხიზლდება, ეღიმება მთელი პირით, იცინის სულელურად; უცნაური სანახაობა იშლება მის თვალწინ: შავი, მოქეიფე ხალხის გამკვეთად გაწოლილ თეთრ შარაზე ჩამოსულ რუს გოგოებს წრე შეუკრავთ, ტაშს უკრავენ, თვითონვე მღერიან ლეკურს. ორი შიშველმკლავება _ ერთი გოგო, მეორე ქალი _ ხტუნაობით ცეკვავს ლეკურს, იცინიან, ერთობიან მთელი გულით. კამპანიას ახლად შეერთებული კახელი ბიჭი ეხმარება ტაშის კვრაში, მერე ბიჭების რიცხვი იზრდება, ვიღაცას დოლ-გარმონი მოჰყავს და რას ხედავს ჩვენი გმირი! _ რამდენიმე ქურქიანი ლეკი, პირდაღებული, წრის ახლოს მდგარი, ჰყვება ტაშის კვრას, ხალხი იწევს მათკენ: აი, აქ იწყება ნამდვილი გართობა და თავდება ყველა დაღლილი, რელიგიური ინერცია, რომელიც, მიუხედავად ურწმუნობისა, თავისდაუნებურად მაინც არსებობს ალავერდის მიწის მკვიდრთა შორის. ისინი ამ უცხო ხალხისგან იგებენ თითქოს თავისი აქ მოსვლის ნამდვილ აზრს, მაგრამ ეს წამია გამოფხიზლების, არავის არ უნდა სხვისი გართობის ყურება და ისევ წყდება ყველაფერი.

შუადღეზე ცოცხალ სასაფლაოს ემსგავსება მოქეიფე ალავერდი, მოძრავი გამოთლილი ქვებით სავსეს. თითი-თითო ადიან «სამოსვალში» რუსები და ტოვებენ ალავერდს, საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს მიჩვეულ და ერთმანეთისაგან მოწყენილ მეალავერდეებს.

არავითარ გაუგებრობას არა აქვს ადგილი ამდენ მთვრალ ხალხში, არავინ არ ჩხუბობს, არავინ არ ატრიალებს წელზე ჩამოკიდებულ, საცოდავად მივიწყებულ ხანჯლებს, უბრალო წალაპარაკებაც კი არა ხდება. ისევ და ისევ ირევა უმიზნოდ ერთმანეთში შემოდგომის ბოლო ღვინო, ამოწურული ქვევრებიდან, მცხუნვარე მზე და მთვრალი ხალხი.

ძნელია ექსცენტრიული, ბუნებით ეგზოტიკით სავსე შემოქმედისთვის ყველაფერი ამის ყურება; ის სვამს ღვინოს, რომ ხელოვნურად აღიგზნოს ვნებები, დათვრეს სხვებივით, იქნებ მაშინ მაინც დაინახოს ის რაღაცა, რასაც ისინი ხედავენ, იმედიანი, მისი აქეთ წამოსვლის გამამართლებელი. მატულობს მის სხეულში კახური, ქვევრდაკრული სასმელის სასიამოვნო სითბო, შეუჩერებლივ დადის ხალხში, ედება ყველას, ელაპარაკება, ვერ ასმენს და აღარ ესმის არაფერი. მაგრამ გაკეთება, რამის გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას, აუცილებელია მისთვის, ის ასე ვერ წავა აქედან! ამ დროს ასეთი ბუნების კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია, ის ხდება ასეთ წუთებში უცნაურად ეშმაკი და უგუნურებამდე უშიშარი თავისი იდეის განსახორციელებლად. ყველაფერი კარგავს მისთვის მნიშვნელობას, გარდა ერთისა: არტისტულ არენად აქციოს ყველაფერი და მაყურებელი დააინტერესოს ამ წამში ერთი ამბით, ერთი მიზნით, ერთის ბედით. სწორედ ეს შინაგანი ინსტინქტი არტისტისა, მისცეს ყველას თავის გარშემო ერთი ინტერესი, მიზანი, მთლიანად იპყრობს მას. ის შიგნიდან ცახცახებს, მისი გონება უკვე სავსეა ამ შეგრძნებით, რომელსაც მხოლოდ სჭირდება მოქმედების დაწყება, პირველი აზრი. შემდეგ აქტიორი შედის თავის როლში, გახელებული ხალხი ტაშს უკრავს მას ან ესვრის ათას სიბინძურეს _ ამაზე როლში შესულ მსახიობს უკვე აღარ შეუძლია იფიქროს.

სანადიროდ გამოსული კატუნიას ნაბიჯებით ეპარება გურამი ურმის უკან საუკუნოდ ღვინის სასმელად ჩამჯდარ თუშ-ლეკების ჯგუფს, რომლის შუიდანაც განუწყვეტლივ ისმის თუშის ბორძიკა ხმა «მა სხვა რა ვქნათა, შავსვათ კიდევ...».

არ დაუნახავთ მთვრალ პატრონებს, როგორ აუშვა გურამმა მთიულური, მკერდგანიერი ცხენი, რომელიც თითქმის შეუმჩნევლად გაიყვანა ხალხიდან და უბელოს ზურგზე მოახტა.

ტარებით მიჰყავს მტვრიანი გზის გასწვრივ მაღლა ტყისკენ, უკანა რჩება ბუბუნი, ხმაური. მითოხარიკობს ცხენზე მჯდომი, დარჩენილი საკუთარ ვნებებთან, რომლებიც უფრო იტენებიან იმ შეხლის ჟინით, როდესაც ის გაჭენებული ცხენით მივარდება ისევ ხალხთან და რაღაც, რაღაც გადამწყვეტი მოხდება... მაგრამ ამაზე აღარ შეუძლია ფიქრი, ახლა მხოლოდ გრძნობების ასპარეზი რჩება. თავდება მინდორში შემოჭრილი ტყის ბოლო. აქედან აღარ მოჩანს არც ალავერდი, არც ხალხი, არაბუნებრივი სიჩუმე დგას ირგვლივ. ტყის პირას პატარა გრილი ფშანი გამოდის, იქვე უხვევს და ბუჩქების სიღრმეში იკარგება. უცნაური გაშეშება იპყრობს მარტო დარჩენილ მხედარს, ცხენი ცოტა წყალსა სვამს და ყურებდაცქვეტილი დგება მის შუაში. ოდნავი ჩქამიც კი არ ისმის. მთლიანად გამოთიშული გარემოსაგან, დგას გურამი და ამ სიჩუმეში, არარეალურობისაგან რამდენჯერმე გაძლიერებული, ისმის მთლიანი, დიდებული სიმფონია გაურკვეველი სურვილისა _ სად დაიწყო?, სად დამთავრდება?, რა უნდა მოხდეს? არაფერი არ ესმის მსმენელს, ეს არის მუსიკა

მთლიანი, ერთიანი, ყველა თავისი ხმით, ნაწილებით, ერთადერთი თავისდაცვაა მისგან არ გაინძრე, არ გაუძალიანდე და უცებ საოცარი სისწრაფით საიდანღაც თოფივით გავარდება ერთი ნოტა, დარჩენილი სიმფონიის გარეშე. იწუვლა კოღომ. მოწყვეტით გავარდა მხედარი სიგრილიდან გახურებული მინდვრისკენ, ფეხდაფეხ აიყოლა ცხენი, ათას ხმებად დაიშალა კოღოს წუილი, აიმტვრა ჩალა, ალაწუნდა გამხმარი შალაფა, რგოლებად დაიყოლა დასიცხული ჰაერი. გახურდა მხედარი, გაუსწორდა წამოწეული ცხენი და თვალის დახამხამებაში იქცა ერთ სხეულად ორივე.

_ ცხენი აშვებულა, _ ამბობს ურმის უკან საქმეზე გასული თათარი.

_ მაგას ცხენი არა სჯობს, გუშინ დოღი მოიგო, _ პასუხობს მთვრალი თუში და უაზროდ უყურებს ურემზე მიბმულ უცხენოდ დარჩენილ საბელს.

_ ჩემი უნაგირი აქა დევს, _ განაგრძობს თვალიერებას დაელმებული თათარი.

_ ე! ცხენი რა იქნა! - უცებ ყვირის აზრზე მოსული თუში და ხელების ქნევას იწყებს. მის ყვირილზე რამდენიმე კაცი ბანცალით იშლება ადგილიდან, ალბათ, იდეამოსული, რომ ამდენი ლოთობის შემდეგ შეიძლება იჩხუბო კიდეც, როგორც წესია.

_ აგე ხრამზე ჩაუვლია წყლისკენ.

_ ა?!

_ ჩვენ წინ, კაცო, თუშო, ვერ ხედავ ნაფეხურს?

თუში ხედავს.

_ ე!! ცხენი რა იქნა! _ ყვირის უფრო აზრზე მოსული.

უცებ იწყებენ ყველანი გუგუნს, მოძრაობის იშტაზე მოსულები, მუქარას და ის-ის არის უნდა დაიშალონ ცხენის მოსაძებნად თუ მისაძინებლად, რომ ტყის კიდიდან ლარივით გაწოლილ შარაზე გამოვარდება უგონობამდე მისული, სიგიჟედ ქცეული მთიულური ცხენი, უცნობი მხედრით. სიბრაზით და კიდევ სხვა ვნებით ატაცებული ჯგუფი, ადგილიდან ნაბიჯის დაუძრავად დგას და უყურებს.

მხედარი ვერ არჩევს ამ ჯგუფს, შორიდან მთელი ხალხი გალავნის გაგრძელებასავით მოჩანს, ის მხოლოდ გახელებულ ჭენებას გრძნობს, გრძნობს, რომ თავს ვეღარ უჭერს გახურებულ ფაშატს. გიგანტური თეთრი გემივით იზრდება მის წინ ულამაზესი და უდიდესი ტაძართა შორის ალავერდი და მიდის მისკენ საბედისწეროდ, როგორც ზღვაში მოულოდნელად ბურუსიდან გამოსულ მარტოხელა მენავეზე ხომალდი. არავის არ შეუძლია უცებ შეაჩეროს გემი. ვერ უჭერს თავს გურამი ცხენს და იზრდება მის ჩასაყლაპად ალავერდი. ყველაფერი ეს გარედან მაგრად პოეტურია და ამას გრძნობს ის გაორკეცებით შიგნიდან. და მოულოდნელად, ექსტაზის გახელებისას, მის წინ იხლიჩება მინდორი ხრამად და მის კიდეზე ის ერთ მთლიან მასად აღიქვამს ხალხს, გაღებული პირით. საბედისწერო სისწრაფით იკარგება თეთრი ტაძარი.

_ ოოუჰ, - იძახიან ერთხმად ფეხზე წამოვარდნილები, გარინდებულები ერთ ხმად. მათ დაინახეს, როგორ გადაეშვა ბზრიალა ლოდივით ცხენი მხედრიანად ხრამში.

_ აუუ ვაჰ, _ ისმის ყოველი მხრიდან ათად გაზრდილი ხმა. _ უვნებელი მხედარი, ამოვარდნილი ხრამიდან, მომატებული ძალით მიაგელვებს ხალხის შუაგულისაკენ ცხენს. მოულოდნელი მრავალფეროვნება სახეებისა საშინელი სისწრაფით გარბის თითქმის ცხენის ფლოქვების ქვევიდან: უშარვლო ბავშვი, ამოვარდნილი ასოთი, ბებერი ცხვირი შაოსანი ქალის, ნაწნავები, განიერი თეძოები ცეკვაშეწყვეტილი გოგოსი, გუდალოყება მეზურნე, გამხმარი მედოლე _ დოლი ხელიდან უვარდება და ბათქანით სკდება ქვაზე. კლდის ქიმივით იზრდება ოთხკუთხი სხეულით თავისი

ოჯახის წინ ჩამდგარი სახემოქცეული ლეკის თავი, პრიალებს მის ხელში ხანჯალი, არაჩვეულებრივ სისწრაფეს მატებს ჭენებას ის ორი ნაბიჯი, რომელსაც ის აკეთებს მასზე მეხივით წამოსული ცხენისკენ. გურამი ხედავს, სულ მოიღრიცა ლეკის სახე, გაიზარდა, უცებ კიდევ ოთხჯერ გაიზარდა, ათჯერ, ელვის სისწრაფით გახტა გვერდზე.

_ უუუუჰ, _ იჩუტება მის ქვეშ ცხენი, რომელსაც გაბერილ ფილტვებში გაუყარა ლეკმა ხანჯალი. რამდენიმე წამი გურამი ჰაერშია, ორ მალაყს აკეთებს მიწაზე და გარბის. მისდევს ლეკი, რომლის ბავშვსაც დაეცა ცხენი, მისდევს თუში, ვისიც იყო ცხენი, მისდევენ მისი ამხანაგები, მისდევენ სხვები, მიჭენავს საკუთარ ფეხებზე გურამი, საყდრის ეზოში შევარდნილი. ტყე პირდაღებული, დოყლაპია სახეებისა იზრდება მის წინ, მოძრაობენ სახეები, როგორც ცხენიანს ისე ეცლებიან გზიდან და უკნიდან მისდევენ. მიწიდან იზრდება მის წინ უცნაურად ფლეგმატური სახე კაუჭცხვირიანი, ყურებამდე გახლეჩილპირიანი თელაველი დახლიდარისა, თავის ძლიერი დარტყმით აგდებს ამ წამისათვის ამ არაჰარმონიულ არსებას, ახტება ზევიდან და გიჟურ იშტაზე მოსული, უცნაური, შეუჩერებელი, გადმოუცემელი ფიქრებით თავში შერბის ტაძარში. საყდრის მდუმარება ყიჟინაზე მეტია, მეორე წუთში მდევართა გუგუნით ივსება გუმბათის თაღი, ყიჟინით მისდევს ლეკი, თუშები, ელი, კახელები. ალავერდის ცნობილი მოხვეული კიბის თავში, ღვთისმშობლის პატარა ხატთან თავაუღებლივ ლოცულობს მოხუცი ქალი, «იმათზე ილოცე, დედავ, მე თვითონ ავიტან თავს». უმიზეზო სიხარულის მოწოლით, მხოლოდ ტუჩებით ამბობს გურამი. ოცსაფეხურიან ნათელ კიბეს ოთხი ნახტომით ფარავს და ბნელ მოხვეულ კიბეებში იკარგება. ამ სიბნელეში უცნაურად სავსე, ძლიერად მხიარულია მისი ბუნება, გრძნობს უკან გაბრაზებულ მქშინავ ნაბიჯებს, კიდევ ემატება მის ვნებას ბავშვური ხალისი.

სიმაღლეში ვიწროვდება, დაბლდება კიბის თაღი, წინ სიბნელეა, უკნიდან სინათლეს მქშინავი ლეკის დიდი ბოხოხი ფარავს. გარბის მაღლა მიმავალ საფეხურებზე გურამი, უკნიდან ბოხი, წრიპინა, ჩახრეწილი ხმების მთელი კედელი ხერგავს მის მიერ რაღაც წამების წინ გავლილ გზას.

_ სიუ, სიუ, _ უსტვენს ბიჭური ჟინით და სხვა რაღაცის ვერგამოხატვის გამო დაღლილი მდევრების ჯიბრზე გურამი.

_ თავდება კიბე! დავიჭერთ, _ ესმის იმედიანი, ბრაზიანი ნაწყვეტები უკნიდან, ხმები წინ ვარდება ექოდ გვირაბის მარადიულად დაწოლილ ვიწრო სიბნელეში და უცებ მის თვალებში იჭრება კახეთის მიწიდან ატყორცნილი მზის სხივების თვალისმომჭრელი სიკაშკაშე _ პატარა სარკმელთან ავარდნილი, მოწყვეტით დგება. აქ წყდება კიბეები და გუმბათის ზღურბლზე გადის. გუმბათი ლიპია, დაქანებული. აქლოშინებული, მხოლოდ ახლა გრძნობს ის ნამდვილ საფრთხეს. ყურთან ესმის ხანჯალმომარჯვებული ლეკის ღვინისოხშივრიანი სუნთქვა.

_ დრ_ბრიდდ, _ ურტყამს ის თუნუქის სახურავს ფეხებს, ეცლება მისი სხეული სარკმელს და შუქის მთელ სიმძლავრეს უშვებს გვირაბში. ლეკის წინ, რომელიც აქამდე სიბნელეში იყო, უცებ თავისუფლდება სხივიანი სარკმელი და იჭრება დაგორებული საგნის ხმა.

_ იუჰჰ! - იძახის ის ხანჯალგაშეშებული. _ დაგორებულააა...! _ ეს გამგმირავი ხმა მეორდება დაუსრულებლივ, კიბეების დაყოლებაზე, დაყოფილი ათას სხვა ხმებად; ნაბიჯებით, ტყაპუნით გარბიან უკან. შეშინებული ლეკი ხიდან მოწყვეტილი დათვივით ეშვება. მის პატარა ფანტაზიას ჰორიზონტი ეზრდება, ეჩვენება, რომ გამწყრალი, ალავერდის ღმერთისგან გამოგზავნილი თვითონ გიორგი, თეთრ რაშზე

მჯდომი, მოსდევს უკან. «ალაჰ!» _ იძახის ის და იმავე წამში, საფეხურზე ფეხაცდენილი, მიგორავს ქვევით შეშინებული, იმედგაწბილებული მუჰამედის რჯულისაგან, ღაღადითა სთხოვს ჩვენს ღმერთს სირბილ-სირბილ «აი, ქრისტე, შენი ჭირიმე».

ვიღაცა მოცეკვავემ, რომელმაც მოღერებული სახე მაღლა ასწია, ცეკვა ზედ თითის წვერებზე შეაჩერა და გაირინდა. გუმბათის კარნიზზე წონასწორობისთვის ხელგაშლილი მიდის გურამი. ის გაჩერდა და ქვევით, ხალხისკენ დაიწყო ყურება. მაღლა აიხედეს მეზურნეებმაც და დაკვრა შეწყვიტეს. ხალხმა დაინახა ეს მოჩვენება. აძგერდნენ ახალგაზრდა გულები გურამის სურვილით, აღელდნენ მოხუცები, ქალები; იმ მლოცველთა სახეებით, რომლებსაც არ ჩაუფიქრებიათ, რაზე უნდა ილოცონ, თვალს ვერ აშორებენ გუმბათს. გავარდა ხმა, რომ კაცი დგას გუმბათის კარნიზზე და ყოველ წამს შეიძლება დაიმსხვრეს, ხმა გავიდა გალავნის გარეთ, მერე ხევს გაღმა და იწყო ხალხმა გალავნის შიგნით დენა. «ოოუ!» _ იყვირა გურამმა, ხალხი ისევ ისე უძრავად იდგა, ამ სიმაღლიდან თითქმის ვერ აღწევს ხმა ქვევითამდე.

პირველ წუთებში ეფექტი მთლიანი იყო, მას მოეჩვენა, რომ მიაღწია იმ რაღაც სურვილს, რისი სახელიც სიტყვებით აღარც კი ახსოვდა. და იმავე წუთში, ამ მისი მთელი მოქმედების უმაღლეს წერტილზე, სადღაც გაქრა უსაზღვრო ვნებად ქცეული სურვილი. ზედმეტი გრძნობისგან დაცლილ აზროვნებას დაუბრუნდა მოულოდნელი სიცხადე და რაღაც განუსაზღვრელად ახლობელი, წონიანი ჩაიღვარა მის გულში. სადღაც ისევ ჩაბერეს ზურნას, მაგრამ მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

მან არ იცის კახეთი, ვისაც, ცივ-გომბორის ქედზე შემდგარს, არ დაუნახავს ალაზნის ჭალიდან ამოვარდნილი ალავერდი და მას არ განუცდია იმ დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც, თავისი ფეხით ავარდნილს ალავერდის თავზე, გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელ ვაზის ხეივნებში.

მთელი ამ ხედვის უზარმაზარ სივრცეში არ არის არც ერთი გოჯი, რომელსაც არ სწყალობდეს შემოქმედის დალოცვა, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს, ისტორიის სიღრმიდან დღემდე, მადლობა არ გადაეხადოს მისთვის და არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ. ტყის პირას გაგონილი, დაუწერელი, ერთად მოვარდნილი სიმფონიასავით იღვრება თვალის წინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი, უგეგმიანესი ალვნებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებლივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი, მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ უსიტყვო შრომასთან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ იმ ხალხშია, რომელიც ღრეობს ქვევით, მაგრამ ჩვენ ორი დღით დავიბენით, რომ ახალი ძალით გვეგრძნო ნამდვილი შემოქმედური სიამოვნება შრომისგან, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.

მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისგან შექმნილი, თვითონ კი... გუმბათის თავზე შერჩენილს, ღიმილი ერევა, ისეთ უაზრობად ეჩვენება აქ დგომა იმათ ყურადღების ცენტრში, ის ქვევით იხედება და ღიმილი სიცილად

ექცევა _ დაბლა უკვე დაშლილა ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ საშიშ ადგილას, ალვნებში მწყობრად ინთება სინათლეები და ჩამოსულს, მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს მის უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო სურვილს.

სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ.

[1959 წლის 28 სექტემბრის ღამე. თელავი]

დ ღ ი უ რ ი

გარემო ისე სავსეა შთაბეჭდილებებით, რომ მეშინია დღიურების წერა, თითოეული დაწყებული წინადადება თუ დროზე არ ალაგმე, რომანამდე შეიძლება გაიზარდოს, შრომის ჩვევა კი, სამწუხაროდ, ძალიან ცუდადა მაქვს განვითარებული, თან რომ არ ვწერო ის, რაც შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს, ჩემთვის შეუძლებელია; თითოეული ჩაუწერელი ამბავი ცრემლებამდე მეცოდება, როგორც მომწიფებულ ქალს თავისი უბავშვოდ არსებობა. ასეთ დროს მივდივარ დათმობაზე და, ჩვეულებრივ, შუიდან ვიწყებ, დღეს, გამონაკლისის სახით, დავიწყებ ბოლოდან.

ვზივარ ავტოსკოლის ნახაზ-ნაწილებით სავსე საკლასო ოთახში. თავი მიბრუის, მოტორის ზუსტი შემადგენლობა მაქვს ჩასაბარებელი, არაფერი არ ვიცი, მაინც ვერ ვაიძულე თავი გამოკითხვამდე, მასწავლებლის მოსვლის წინ მაინც, წავიკითხო რამე, ხელოვნურად ვაჭიანურებ, ჯობია ვწერო, დრო ისეც ცოტაა.

მაშ ასე! აქ ერთი ებრაელი ბიჭია, აბრამ ხაიმაშვილი _ ზედმიწევნით გულისხმიერი, არაფერს არ ტოვებს შეუმჩნეველს და ტირილამდე მონდომებით ლაპარაკობს; დაბალი, ოთხკუთხედი ტანიდან მარტო ხელებს ამოძრავებს, ისიც მხოლოდ ზევიდან ქვევით, წელიდან სახემდე _ ავტოკაცივით. ამ მოძრაობის პარალელურად სისტემატურად სწევს მაღლა ნიკაპწამოწეულ თავს, უკან როდის აბრუნებს ახლიდან ასაწევად, ამ მომენტის დაჭერა შეუძლებელია; ნიკაპი თავისი კონსტრუქციით მზესუმზირის საჭმელადა აქვს მომზადებული, მთელი ამ სწორხაზოვან მოძრაობათა რიგიდან მხოლოდ ის გამოდის გადამკვეთად, საოცარი სისწრაფით მირბი-მორბის მარცხნიდან მარჯვნივ, ლაპარაკის დროს, გეგონებათ, ჩენჩოს იფურთხება.

აბრამამ, თავისი გულისხმიერების წყალობით, ახლაც უცებ შენიშნა ჩემი ბათინკები, უფრო სწორად, ის დიდი ხანია შენიშნული ჰქონდა, მაგრამ მე ჩუმად ვიჯექი მთელი კვირა, სიტყვა არ მითქვამს არავისთვის. ახლა, ხმის ამოღებისთანავე, ის საიდანღაც გამოძვრა, სკამზე მოყუჩდა დაინტერესებული სახით, ნიკაპი უფრო წინ წასწია, ორი რაღაცა თქვა მანქანაზე, მერე უცებ დაიკუზა, მაღალყელიანის პირს ალერსით გადაუსვა ხელი და ყბა აამოძრავა _ ,,ზამშია, აი,» _ თქვა. პირდაღებული კურსანტები სასწრაფოდ მოგროვდნენ, უსვამენ ხელს ჩემს საზიზღარ, ბინძურ ბათინკებს, ეტყობა, იმდენი მჭორეს მათთვის უცხო, ახალ კარგკოსტუმა და დახეულ ფეხსაცმლიანი ბიჭი, რომ ახლა ეშინოდათ არ გამომჟღავნებულიყო ეს, თითოეული ცდილობდა სხვას არ ჩამორჩენოდა ქებაში. ერთი განსაკუთრებული დაჟინებით ირწმუნებოდა, რითაც სხვებიც დააეჭვა: ბათინკა კარგია, ოღონდ ჯობდა ქვევით ყოფილიყო ბუსუსი, ზევით სწორი პირიო.

,,ვააიი,» მოულოდნელად მთელი ავლაბრული ხმით გაწელა ხაიმამ და ჩემი ფეხსაცმელების დაცვა იკისრა, ,,რას ამბობს?!» ყბა გააქნია მთქმელისკენ და გამგებიანად გადმომხედა მე, ,,აი, ჯარში რო ვიყავით, მეტი წილი ზამშით ზევით იკერებოდა, ქვევით შეკერილი კი...» მასთან მოკამათე კურსანტი წვრილი, გამხრჩვალი ბიჭი, ირონიული წამოწიწმატებული სახით და საიდანღაც ბოხი ხმით, კედელივით დახვდა: ,,ხაიმასი გჯერათ?» თქვა მან, «როგორ, ქურქს რო კერავენ, ქვევით ბეწვია, _ არა, განა?! _ სითბოსთვის, ზევით ტყავი, აქ კი...?» ,,აქ რა! აქ რა?!» მოწყვეტით აჭყიპინტდა ხაიმა, დაიბნა, მერე უცებ მოიფიქრა, ,,აქ რა, ქვას წამოჰკრავ, გაიჭრება, წყალი იქნება, არა, ძმაო, ეს იცავს, ბუსუსი, პრიალა არ იცი? იჭრება, უცებვე იჭრება, ხიკ», შებზრიალდა ის, მდგომარეობიდან საბოლოოდ გამოსული, ,,ვააიი,» დააყოლა და მთქმელს, როგორც წარმოუდგენელ ტუტუცს, ისე შეხედა;
,,ეჰ, ზამში ზამშია,» წამოსცდა ზევიდან წამოყუდებულ დიდყურა ბიჭს, ჩამოფხატული წარბებითა და მრგვალი თავით, რომელზედაც მჩხვლეტარებად ჰქონდა ამოსული სწორი, შოფრული თმა, ,,ორივე მხარე ერთნაირი აქვს».

ეს კი ვეღარ აიტანა აქამდე ასე თუ ისე თავშეკავებულმა აბრამამ, ,,ვააიიიომე,» გაწელა ყოველგვარ ფონეტიკურ კანონს დაუმორჩილებელი ბგერა, ღრმად ამოისუნთქა გულამომჯდარი ფრინველივით, ხელების ქნევით წინ გაუშვა მეორე კლასისკენ ზარის დარეკვაზე აჩქარებული ბიჭები და ჩემთან დარჩა, ,,ვაიჰ მამჰ_უ, » ამოიხვნეშა ისევ, ახლა სიბრაზით და საიდუმლო გულისწყრომით, რომ იძულებულია ასეთი რეგვენის გვერდით იჯდეს, ,,ეგ მე მასწავლის?! ორი წელი ზამშზე მიმუშავია, თავისი პირი არა აქვს? ჰა, ნახე, რა თქვა?! კოსტუმის ნაჭერი რო ნაჭერია, აი, მე მაქვს ერთი ინგლისური ტრიკო, ერთი სწორი მხარეა, მეორე, ზოლიანი _ ბრტყელი, უბრალო საროჩკა აიღე,» ამოატრიალა თავისი უჯრედა პერანგი, ,,ეს და ეს ერთია? რა თქმა უნდა, არა, ნახე რა?! _ ისე, ეს ბათინკები კარგი საქმეა, იარე რამდენიც გინდა თოვლში, იმან რო თქვა დაცურდებაო, მაგას რა დააცურებს, რკინები აქვს! ვაჰ, ვაჰ! ახლა ვფიქრობ, ხო იცი, რომელი ვიყიდო _ ან ეგ, ან სალდათური ჩექმები, იცი, რაშია საქმე, ეგ ინტერესნია სასიარულოდ, რამდენიც გინდა იარე, ისე ის სჯობია,» ბოდიშის მოხდასავით, რომ ყველაფერში არ ვარგა ჩემი ფეხსაცმელები, განაგრძო ხაიმამ, ,,ისე ისა სჯობია ჩემთვის, რა თქმა უნდა, ხო იცი, ჭუჭყი, რამე, მანქანის ქვეშ შეძრომა, აქეთ, იქით, არა?» ,,მა რა,» დავეთანხმე, ,,არა,» ჩაურთო იმან, ,,ისე, ეგ მაინც კარგი რამეა,» მე ავუხსენი სად იყიდება ჩექმები, ეტყობა, ხაიმაშვილის რეპერტუარში უარის ან ვერგაგების თქმა არ შედის, მშვენივრად გაიგო ვაკეში მივარდნილ ადგილას მაღაზიის ადგილი.

შემოვედი და ვწერ, თავი ისევ მიბრუის, მომაგონდა, რომ დილით თითქმის დამაბარბაცა, მერე ტროლეიბუსში მანქანის ნაწილებს ვკითხულობდი და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ლია პავლოვსკაიასთან დაახლოება, რომელიც ჩემ გვერდზე იდგა და ვიღაცას გამარჯობა უთხრა, მე პირველად საკუთარ თავზე მივიღე მისალმება, გავუღიმე. მსუბუქი შურისძიების ნოტამ გამკრა გულში ამ გოგოსადმი, რაც ჩემმა უნებლიე შეცდომამ გამოიწვია.

ახლა გარეთ გიჟივითა წვიმს. ტტ-ტტტტტ-ტ ურტყამენ სახურავს წვეთები, წერა წვიმის რიტმს მიჰყვება, სულერთია რასა ვწერ, მე ვწერ, ვწერ, ვწერ, ვწერ.

წვიმა შესუსტდა, ახლა აღარ მინდა ვწერო, მინდა მხოლოდ წვიმას ვუსმინო, ბიჭები მოწყენილები დგანან კარებთან და გუბეებში აფურთხებენ, ვიღაც გრძელი ნაბიჯებით მოდის ასფალტზე _ ეს ძველი შტრიხია, რომელიც ყოველი წვიმისას მეორდება. ერთი მომენტია, წერა რომ შევწყვიტო, ვეღარ დავიწყებ, ამიტომ

მექანიკურად ვაგრძელებ ქაღალდზე ასოების გამოყვანას. ვიღებ ერთ ინტენსიურ კამათს, რომელშიაც მხოლოდ ჩემი მოწინააღმდეგე იღებდა მონაწილეობას, აზრი თავისას შვრება, იკარგება მთელი გარემო და აღელვებული ვაგრძელებ მუშაობას; თითქოს ამითი უნდა დამეწყო დღევანდელი დღიური, რადგან მთელი გზა ვპასუხობდი იბა ქაცანაშვილს, რომელსაც გუშინ მხოლოდ ვუსმენდი.

იბა წარმოშობით არის ქისტი, მთელი ბავშვობა მთაში გაატარა, ომის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში. ახლა ის წამყვანი ინჟინერია. მისი ნაცნობებისთვის ის კარგი კაცია, უფრო სწორად, ნამდვილი ვაჟკაცი, ჭკვიანი, ღირსეული პარტნიორი ყველა საქმეში. არაერთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, სადაც ის ადამიანური მოწოდების სიმაღლეზე იდგა მოქმედებებში, ამიტომ მეხის დაცემასავით გამაკვირვა მისმა ერთ სუნთქვად ამოღებულმა სიტყვებმა გუშინდელი ლაპარაკის დროს, პირველად მე ვიფიქრე, რომ ეს არის გზასაცდენილი ცელქი ბიჭის მორიგი ოინები, მაგრამ ჩავწვდი თუ არა უფრო ღრმად, დავინახე სულისკვეთება გულმართალი, მაგრამ კარჩაკეტილი მთიელის, მისი აბსურდამდე მისული აზრები. ის დიდი გატაცებით ლაპარაკობდა ასე თუ ისე დღის წესრიგიდან მოხსნილ ფრაზებს: თვითგამათრახება, რასა, ხალხის სიბევრე, სუსტები უნდა დაიხოცნენ, ფაშიზმის ჰუმანიზმი, სიმართლე ამ სფეროში, გულწრფელი, უეშმაკო ნაცისტები, ორასი ჯვაროსანი ბავშვი, რომელიც პალესტინისკენ მიმავალ გზაზევე დაიხოცა, რაინდი პერსევალი, არიული წრფელი, ცისფერთვალა რასა, სიტყვით _ იბას იდეალი, რასა, რომელსაც აქვს ცხოვრების უფლება, ,,ჩვენ უნდა დავიცვათ ძლიერნი სუსტებისაგან» და არა სუსტნი ძლიერთაგან, ,,მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ» _ ჰიტლერის გენიალური ფრაზა, რომელიც თითქმის მაღლა შეხტომითა თქვა იბამ. მე შევეცადე ოდნავ მაინც გადამეცა ჩემი აზრები, ოღონდ ისეთი კედელივით მიუდგომელი შეხედულება ჰქონდა მას, რომ, უბრალოდ, ვეღარ შევძელი, ის იდგა ჩემს წინ, გართული თვითგამათრახებით, რომ თვითონ არის შავი მონა, არაკეთილშობილი, ასეთია ბედი არსით შავგვრემანების, მან იცის ეს და ეს ცოდნა მაღლა აყენებს რაღაცით ქერებზე, რომლებიც არიან ბუნებით კეთილშობილები. მე ჩავიხლართე, არ მესმის, ის აქებს თუ აგინებს საკუთარ თავს, ან რა უნდა, საერთოდ, სიტყვა ,,თვითგამათრახებით» თქვას. თუმცა ის აზრი, რომ ვიღაც არის სუსტი და ამიტომ უნდა მოკვდეს, ძირშივე მიუღებელია ჩემთვის და მაიძულებს არ მიყვარდეს რაიმე, მსგავსიც კი ნაციზმისა. ეს განსაკუთრებით ადვილი გასაგებია ქართველი კაცისთვის, რომელმაც შორეული დროიდან შეინარჩუნა ეროვნული სახე /სხეულის სიჯანსაღითა და სულის სიმტკიცით/ ისე, რომ შინაგანად არ ზიზღებია არც ერთი ერი არასოდეს _ მტერიც კი. ამით საქართველო დიდი ჰარმონიით ავლენს არეული, აგრესიული თუ თავისდამცველი მსოფლიოს ფონზე, შინაგანად აუცილებელი წონასწორობის, ზომიერების გრძნობას _ ამაშია სისუსტე და სიძლიერე მისი.

დღიურის წერისას ბევრი ამბავი მოდის ნაწყვეტ აზრებად, ერთი შეხედვით, ყოველგვარი კავშირის გარეშე, მაგრამ ხელოვნურადაც რომ ეცადო მათი არდაკავშირება, ისინი (ამბები) მაინც გააბამენ ერთმანეთში შინაგან ჰარმონიულ კავშირს. დავუბრუნდები იმ გარემოს, რომელშიაც მიხდება მუშაობა; წვიმამ გადაიღო, მაგრამ ღრუბლები უძრავად, მოწყენით კიდიან ხეებზე, აივნებზე, რუხად გამოიყურება ავტოსკოლის ცისფერი კედელიც.

მე მასზე მიყუდებული ვკითხულობდი დაწერილს, როდესაც თითქმის უხმაუროდ ჩამიარა გვერდზე საშუალო ტანის გამხდარმა ბიჭმა. მას ეცვა გაცვეთილი ფეხსაცმელი ,,ლუქსი», გაუუთოებელი ტილოს შარვალი, ჩამოკიდებული, ზოლიანი

პერანგი, შეკრული სახელოებით. ვიწრო მხრებიდან თითქოს პირდაპირ ეწყებოდა დიდი, ოთხკუთხედი თავი, რომელზედაც არ იყო არც ერთი გამოკვეთილი ნაკვთი, თვალები მას თითქმის ცხვირისა და შუბლის სიბრტყეზე ეწყო (მიუხედავად ამისა, ის აბსოლუტურად არა ჰგავდა ჩინელს). ამ კაცს ხელში ეჭირა ავტოსკოლის რვეული, უსაზღვროდ მოწყენილი იყო ამ წამში ბუნება, წვიმის გაბერილი წვეთები ცრემლებივით ეკიდნენ ჟანგიან მილზე. ,,აი, ვის სჭირდება ტარების უფლება», მომივიდა თავში და გული გამევსო თითქოს არაფრისგან გამოწვეული სევდით, რომელიც სწრაფად შეცვალა უცებ მოვარდნილმა, ჩემი მსჯელობისთვის არაობიექტურმა სიბრაზემ. ამ ახალი გრძნობისგან აყვანილი, თითქმის სირბილით შევვარდი საკლასო ოთახში, გადაშლილი, გაკვირვებული ორი თეთრი ფურცელი თვალისმომჭრელად მეცა თვალში. აქ მივხვდი, რომ ჯერ არაფერი არ დამიწერია საერთოდ, უცნაური ნერვიულობით დაიწყეს მათ ავსება, აზრები აღარ მემორჩილებოდნენ; მე ვწერდი, გამომდინარე ახლად ნანახიდან: რა უფლება ჰქონდა, საერთოდ, გულში გაევლო ვინმეს, რომ არ უნდა იცხოვროს ამ კაცმა, რომელიც, აშკარად, სუსტია, რომლისთვისაც რვაასი მანეთი იქნება ყოველთვის შემოსავლის მაქსიმუმი. განა ამ უსაზღვრო სამყაროში იმდენივე უფლება არა აქვს ამ ადამიანს იცხოვროს და უყვარდეს თავისი თავი ისევე, როგორც თუნდაც ნაპოლეონს; ეს კაცი სწორედ იმითაა კარგი, რომ ასეთია, მე შევჩერდი და დავამთავრე წინადადება _ რასაკვირველია, თავის მხრივ, მასაც არავითარი უფლება არა აქვს განაცხადოს, რომ უნდა გაწყდნენ ძლიერები.

ხშირად ხდება ასე, წერ ქვითინით სავსე გულით, ხოლო სიტყვები გამოდიან მშრალი, გაკვირვებული _ სად არის აქ სამართალი?! _ თვითონ იმ კაცში და არა ჩემ დაწერილში!

ასეთი მიამიტი, სწორხაზოვანი მსჯელობების დროს ყოველთვის პატარა ბავშვის შეგრძნებები მეუფლება და ყველაფერს განვსაზღვრავ ერთი მცნებით: ვიტირებ თუ არ ვიტირებ, რომ მოკვდეს ეს კაცი? არ ვიტირებ, ისევე როგორც არ ვიტირე სტალინის სიკვდილისას _ მე მათ ორივეს შორიდან ვიცნობ. მაგრამ აქ არის გაკვირვების კოეფიციენტი, რასაც მე განვიცდი სხვადასხვა სიკვდილების დროს. ახლობლის გარდაცვალებისას მე ვტირი და არა ვფიქრობ, ისე ვმსჯელობ სიკვდილის ულმობლობაზე. როცა მოკვდა სტალინი, მე გაოცებული ვიყავი, ეს ჩემთვის საკმაოზე მეტად უცნაური მოვლენა იყო, დაახლოებით ისეთი, როგორიც არის ბავშვისთვის ომში წასული ორდენოსანი მამის დაღუპვის ამბის გაგება. ის უყურებს სურათს, რომელიც ფრონტიდანაა გამოგზავნილი და არაფერი, გარდა გაკვირვებისა, არ იპყრობს მის შეგრძნებას. ასევე ჩემთვის ამ კაცის, პროლეტარიატის ბელადის, სახელი გაერთიანდა რაღაც აზრთან, ჭეშმარიტებასთან და უცებ ის აღარ არის _ გარკვეული დრო იყო საჭირო, რომ ეს მცნება შემეცვალა მასთან დაკავშირებული სხვა მცნებით;

მაგრამ წარმოიდგინეთ, მე უფრო მეტად გაოცებული დავრჩებოდი, ამ წამში ამ კურსანტი ბიჭის სიკვდილის შესაძლებლობაც კი რომ დაეშვათ. ის ხომ ხელმოსაკიდს, თვალით დასანახავს თითქმის არაფერს არ აკეთებს – მაშ, როგორ შეიძლება მისი სიკვდილი?! მე ვფიქრდები და ვგრძნობ, საკმარისია, დავკარგო მშრალი მსჯელობის უნარი, რომ ავღრიალდე იმ დიდი კაცის ცრემლებით, რომელმაც იცის რა დაკარგა, იმდენად ახლობელი, შინაურია ეს ბიჭი ადამიანის არსებობისათვის /ფილოსოფიურად მას შეიძლება ერქვას პირველწყარო, ჭურჭელი სიცოცხლისა, მაგრამ მე ახლა სხვაგანა ვარ/, გეფიცებით ჩემ ყველა კარგებს, როგორც მეხუთე კლასელი, რომ ვერ ვიტყვი გამოუვალი არჩევანისას მას /კურსანტ ბიჭს/

უფრო გავიმეტებ სასიკვდილოდ თუ ჩემს ყველაზე ახლობელს. მთელი ამ კაცის სევდიანი, უშნო აღნაგობა, რომელიც თითქოს მართლა არ არის ცხოვრებისთვის შექმნილი, განსაკუთრებული ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ მას ისევე უნდა სიცოცხლე, როგორც უძლიერესთ ამა ქვეყნისა, რომ მას იმდენივე უფლება აქვს სიხარულზე, როგორც უბედნიერეს ადამიანს და, დასასრულ, ეს სევდიანი ფიგურა ამბობს, რომ ის არის კიდეც ბედნიერი, უსაზღვროდ ბედნიერი, ამის გამოხატვისთვის იმას არ სჭირდება ხტუნაობა, სიცილი, ეს ჩანს მის უმოძრაობაში, მის მოწყენაში, მხოლოდ წმინდად გარეგნულ უსურვილობაში.

მე თითქოს ავქლოშინდი და უცებ დავისვენე ამის დაწერის შემდეგ. დგება ერთადერთი წამი, მთლიანად უფიქრო წამი ამ დღის განმავლობაში, რომელსაც მე გამოვიყენებ, რათა, გარკვეული ისტორიული პროცესის გათვალისწინებით, გავამართლო იბას ის სიტყვები (ვიმეორებ მხოლოდ სიტყვები და არა მოქმედება), გაბრაზებულ გულზე რომ გავიხსენე.

როგორც ვწერდი, მე იბას ბავშვობიდან ვიცნობ, ვიცი მისი ცხოვრებიდან ბევრი რამ, თვითონ მისგან თუ მისი მეგობრების მიერ მოყოლილი. შევეცდები შევაჯამო ყველაფერი. ჩემი მეგობარი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ცხოვრობდა თავის სახლში, ქისტეთში. მიდიოდა ომი, სავსე მოულოდნელობებით, და, შინაგანი კანონზომიერებით, მათემატიკურად ზუსტი..

ამბები, ერთი შეხედვით, მოულოდნელი, განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობოდა ომის დასაწყისში, როდესაც ჰიტლერის არმიები წარმატებით ატარებდნენ ბრძოლებს, რის შედეგადაც ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი ჩაიგდეს ხელში. ყველაზე უცნაური მსოფლიო თვალისთვის მოხდა ის, რომ სულ რამდენიმე წლის წინ შეერთებული მრავალეროვანი სახელმწიფო, სხვადასხვა სარწმუნეობისა და ჩვეულებების მქონე, კი არ დაიშალა გასაჭირთან ერთად, არამედ უცნაური ძალით შეიკრა ცენტრისკენ. ბევრი ომამდელი მოწინააღმდეგე უცებ გახდა ერთგული დამცველი სახელმწიფოსი. ბევრი ,,ნაცმენი», რომელიც ამტკიცებდა რევოლუციამდელ აზრს, რომ უნდა იცხოვროს თვითონ მარტო, ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის გარეშე სხვა ერთან, _ შემოტრიალდა მთლიანად თავის იდეოლოგიაში და თითქოს უცებ იგრძნო ტკივილი, რომელიც მიაყენეს აქამდე მის არაღიარებულ მთლიანობას. შეგნებულად თუ ქვეშეცნეული პატრიოტიზმით დაიძრნენ ფრონტისკენ მთის მიყრუებული სოფლებიდან, იურტებიდან, უდაბნოდან, ციმბირიდან. საბჭოთა წყობილების უბოროტესი შინამტრებით, სისხლის სამართლის დამნაშავეებით და პოლიტიკური პატიმრებით ივსებოდა მოწინავე მებრძოლი პოლკები. ყოველგვარი შინაური გაუგებრობები აღმოიფხვრა ,,სასწაულმოქმედი» ძალით. ეს ცარიელი ფრაზები არ არის: ჯერ ერთი, დამტკიცდა ისტორიულად, მეორე _ შინაგანად ხალხმა იგრძნო რაღაცა დიდისთვის გაერთიანების ჯერ არნახული მოთხოვნილება. ეს სურვილი იგრძნო არა მარტო საბჭოთა ხალხმა: ამ შინაგან გარდუვალ ისტორიულ პოტენციას შეუერთდნენ ყველანი, სოციალისტური წყობილების მქონე ხალხები თუ არასოციალისტურისა /მეტ-ნაკლები მასშტაბით/, წავალ უფრო შორს: იგივე ვნება ამოძრავებდა ომის დამწყებ გერმანიასაც, მაგრამ მისი გზა განხორციელების ძირშივე იყო არაგულწრფელი, მათ ზევიდან მეტი როლი იკისრეს, ვიდრე ეს შეიძლებოდა აეტანა ხალხის ნებას. არც ჩვენ, არც სხვებმა ობიექტურად არ დავამარცხეთ ისინი _ მათი დამხობა იყო ისტორიული კანონზომიერება, მათ თავიანთი ფანფარონობისათვის, ხალხის ნების წინ წახტომისათვის მიიღეს საკადრისი პასუხი, ნაცისტებისაგან წამოყენებული

გაერთიანების იდეა იწყებოდა ზევიდან ერთი ერის პრიორიტეტით, რითაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების იმავე სურვილს აყენებდა შეურაცხყოფას. ფაშისტთა ვნება უცებ გახდა არაპოპულარული მსოფლიო ასპარეზზე გასვლისას, რადგან ამ ვნებაზე სხვასაც ჰქონდა იმდენივე უფლება, რაც მარტო გერმანიამ იკისრა თავზე ძალით მოხვევის გზით. მხოლოდ ჩვენმა საბჭოების სოციალისტურმა კავშირმა, შინაგანი სიმართლით, სწორად აუღო ალღო მსოფლიო ხალხების პოტენციალურ სურვილს, აღსანიშნავია აქედან, მისი განსაკუთრებული ობიექტურობა, როდესაც გერმანიის აღების შემდეგ იქ ხალხს არ გაუსწორდნენ როგორც მტრებს, არამედ მოექცნენ, როგორც ექცევიან დაბნეულ ბავშვებს და მისცეს ნორმალური, ე.ი. სხვისი ტოლი უფლებები _ არც მეტი, არც ნაკლები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს საქმის კეთებისას არცთუ ისე უმტკივნეულოა; გარკვეულ წერტილამდე ძნელია დაარწმუნო განგრენიანი კაცი, რომ მისივე სიცოცხლის გადარჩენისათვის აუცილებელი იყო ფეხის მოჭრა.

ბუნებრივია, ასეთ ფონზე, როდესაც ხალხები მთელი მასებით მიდიან ერთმანეთისაკენ გასაერთიანებლად, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანან ის ადამიანები, რომლებიც იცავენ ნეიტრალიტეტს ან აშკარა ჯიუტ ოპოზიციაში დგანან. დღევანდელი მსოფლიოსთვის, საბჭოთა კავშირის მაგალითზე, აღარ არსებობს პიროვნება, მაღლა მდგომი საზოგადოებაზე როგორც ლიტერატურულად, ისევე პოლიტიკურად. წინათ ცალკეული ადამიანი, განზე გამდგარი /წინ წასულის მნიშვნელობით/, ერთგვარად მოწინავე იყო _ მაღლა მდგომი _ პროგრესული, ახლა ყოველგვარი ასეთი მაღლა დგომა უგულებელყოფილია შინაგანი კანონების მიხედვით. თითოეული ადამიანი, არამდგომი ხალხთან ერთად, ყველა თავისი ტალანტის მიუხედავად, რეგრესულ ძალას წარმოადგენს /ამაში არ იგულისხმება პიროვნების ღირსების დაკარგვა/. ახლა დადგა ეპოქა, ჯერ არნახული მთლიანობისა. შემთხვევითი არ არის საბჭოთა კავშირში მიღებული ადმინისტრაციული ღონისძიება პიროვნების კულტის წინააღმდეგ _ ეს არის ერთგვარი სოციალური შეკვეთა, რომელიც დიდ ჰარმონიაშია საზოგადოების შინაგან მოთხოვნილებასთან.

დავუბრუნდები მოსათხრობის თემას: ბევრი ძლიერი ნებისყოფის, დამოუკიდებელ /ეგოისტურის გაგებით/ ცხოვრებას მიჩვეული კაცისთვის ძნელია შეეგუოს ასეთ ვითარებას და, მიუხედავად თავისი კარგი /ცუდი, თავისთავად იგულისხმება, არ ვარგა/ ადამიანობის, სურვილისა, თავისდაუნებურად იქცევა ხოლმე დამმუხრუჭებელ ძალად. ამას ჰქვია ბუნტი მოჩვენებითი პროგრესისათვის _ გამომდინარე შინაგანი განვითარების არასწორი გაგებისაგან ან სწორად გაგების პრეტენზიისაგან. ამის მაგალითი იყო ომამდელი იტალია და სხვა პატარა, ოღონდ ძლიერი /არა პოლიტიკურად ძლიერი/ სახელმწიფოები, აგრეთვე, ცალკეული პირები. ისინი თავიანთი როლის გაზრდისა და არავისთვის /მათთვისაც კი/ საჭირო დამოუკიდებლობისთვის, ომის მძიმე წუთებში დადგნენ მოწინააღმდეგის მხარეზე. ესენი, როგორც ცნობილია, იყვნენ პატარა ტომობრივი დაჯგუფებანი, ჩვენთან, კავკასიაში _ ქისტ-ჩეჩენთა მთელი მხარეები. ამ მოვლენაში უნდა ვეძიოთ ერთგვარი ისტორიული წყენის ელემენტიც: სულით ძლიერი მუსლიმანი მთიელები, აღჭურვილი პირადი ვაჟკაცური ღირსებებით, არასოდეს ყოფილან მაინცდამაინც საჭირო პოლიტიკური ძალა, სიმცირის, კარჩაკეტილობის გამო; ამიტომ სულ პატარა შემთხვევასაც კი არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ისინი მსოფლიო ასპარეზზე ეღიარებინათ. წინათ ამ მდგომარეობას იყენებდნენ თურქები, ხოლო ახლა სწრაფად მოექცნენ პირდაპირ გერმანიის გავლენის ქვეშ. დადგა საუკეთესო არტისტული

მომენტი მსოფლიო არენაზე დგომისა და მათ დაიღრიალეს მთელი ხმით: ჩვენ და გერმანია! /უნდა აღინიშნოს, ეს ხმა თითქმის არ გასცილებია მთებს/. მათ ჩაიდეს თავში, რომ მხოლოდ ამ ,,ორი სახელმწიფოს» გაერთიანებას შეუძლია გააკეთოს ნამდვილი, ჭეშმარიტი საქმე; ამ პერიოდში მათ თითქმის უყოყმანოდ გაყიდეს მეომარი საბჭოთა კავშირი.

მაშინ იბა იყო თექვსმეტი წლის ბიჭი, ის, ბუნებრივია, იდგა თავისი ტომის მხარეზე, მაგრამ ეს იყო ქვეშეცნეული სურვილი, მისი ნათესაური აუცილებლობა _ ის შიშველი მიდიოდა საბჭოეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველგვარი თეორიული აზრის გარეშე _ უიდეოლოგიოდ. მხოლოდ 1942 წლის ზამთრის პირზე გაჩნდა მათ სოფელში გერმანელი ოფიცერი, ის იარების მოშუშებასთან ერთად ნაცისტურ აგიტაციას აწარმოებდა ამ მხარეში. აღსანიშნავია ამ კაცის რკინისებური ლოგიკა, ძლიერი იარაღი უფროსის ყურისგდებას მიჩვეული მთიელების წინააღმდეგ. ძალას ამ ლოგიკისათვის იმ კაცს, ვილჰელმ შტოლცს, აძლევდა არაჩვეულებრივი შინაგანი რწმენა, ის არ ეწეოდა არასოდეს სიმულაციას თავისი სიტყვებით, ეს სწრაფად გაიგეს ქისტებმა და როგორც მეგობარი ისე მიიღეს საკუთარ წრეში. ზამთარში ამ მხარეში გზები იკეტება; ხუთი-ექვსი თვე იმოსებოდნენ ქისტები იარაღით და შტოლცის იდეოლოგიით.

შტოლცი თავის თავს მიიჩნევდა არაღირსეულ ნაცისტად ყოველგვარი თავის დამდაბლების გარეშე. მას დედა ებრაელი ჰყავდა, თვითონ იყო დაბალი, გამხდარი, შავგვრემანი, შავი მოძრავი თვალებით, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა არიული რასის გარეგნულ ნიშნებს. ეს თავის მიერვე გაცნობიერებული და სხვების თანადასწრებით აღიარებული ნაკლი საჭირო ტრაგიკულობასა და დამაჯერებლობას მატებდა მის სიტყვებს, ნათქვამს, ქერა, მაღალი ნაცისტების სასარგებლოდ.

იგი უყურებდა ტანაყრილ, ცისფერთვალა მთიელებს და არწმუნებდა, რომ ისინი მასზე, ამ განათლებულ კაცზე, მაღლა დგანან, გაცილებით მაღლა და ამის დასამტკიცებლად არ სჭირდებათ არანაირი ცოდნა, რადგან ეთნიკური ტიპი თავადვე მეტყველებს ყველა ცოდნაზე ნათლად _ მას აუარებელი ძალის დახარჯვა სჭირდება იმისთვის, რომ ინტელექტით შეივსოს, რაც აკლია.

მისი თეორიის ძირი იყო: შავები არიან არაკეთილშობილნი, ეშმაკები, მონები; ქერა, ცისფერთვალა არიელები კი _ კეთილშობილები, ბატონები; მათი, შავების, ვალია ემსახურონ ქერებს; ამ თავისი სისწორით ის ასიამოვნებდა მთიელებს და აქ იწყებოდა ამ კაცის ის ძალა, რომელიც მის სიტყვებს ასეთ დამაჯერებლობას აძლევდა: ის შინაგანი ცეცხლით იტენებოდა იმ უზარმაზარი ეგოისტური ტკბობისაგან, რასაც მონას ანიჭებს თავისი კეთილშობილი ბატონის ყველა საქმის ცოდნა იმაზე უკეთ. ეს მონა კვდება ბატონისათვის, იტანჯება, ათას რამეს იტანს, მაგრამ ის, რომ ამ საკუთარი თავის დაწიხლვით მასზე მაღლა დგება, იმდენად ძლიერი დასაყრდენია მისთვის, რომ პატრონისთვის სიკვდილის წუთებშიაც კი უზარმაზარი, მართლა მონური სიამოვნებით განიცდის ამ თავისი ნაკლით გამოწვეულ უპირატესობას, რაც, საიდუმლო ჰარმონიით, ბატონის ბატონურ წარჩინებას მის წინაშე ერთი წამითაც არ აყენებს ჩრდილს.

უცნაური შეთავსებაა ადამიანის ბუნებაში _ ჩაღრმავებისთანავე თავისგამათრახებით უცებ ისე მაღლა დგება, რომ ყოველგვარი შეცნობილი შეურაცხყოფა საკუთარი თავისა უკმაყოფილებს თავმოყვარეობას. შტოლცი არ ლაპარაკობდა მხოლოდ ცარიელი ფრაზებით, მას ჰქონდა წმინდა პლებეური ინსტინქტი ბრწყინვალე მხატვრული თხრობისა, დამყარებული იმავე ბატონების

საქმის მათზე უკეთ ცოდნაზე. ის იყო, ამ მხრივ, ტიპიური შემოქმედი _ სხვა დროში, შესაძლოა, პროგრესული პიროვნებაც კი.

მისი მონათხრობიდან ფსიქოლოგიურად საინტერესოა ერთი მოგონება თავისი პაპის ცხოვრების ბოლო წუთის შესახებ;

ჰყვება შტოლცი:

ჩემი პაპა იყო წმინდა სისხლის არიელი, ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის მსახური. მაგრამ გარეგნობით ის საოცრად მგავდა მე, დედით ებრაელს: შავი, ხშირი თმა, რომელიც, მიუხედავად სამოცდათხუთმეტი წლისა, შეჭაღარავებულიც კი არა ჰქონდა, შავი, მოძრავი თვალები /გადმოცემით ვიცი/, ტანით დაბალი და მოქმედი. სიტყვები, რომელსაც ის ამბობდა ხოლმე ბატონების მიერ შეთქმულების მზადების წუთებში, შემდეგ მათი იდეოლოგიის დასაყრდენი ხდებოდა. მისი გონება აზრებად აყალიბებდა იმ შინაგან ვნებებს, რომელიც მის პატრონებს ამოძრავებდა, თვითონ კი ყოველთვის ჩრდილში რჩებოდა. ამ ,,საიდუმლო» უსახელობაში დარჩენით ის ამაყობდა ზუსტად ისევე, როგორც ბატონთა უპირატესობით მის მიმართ. პაპაჩემს ეჯავრებოდა თავისი გარეგნობა, ამიტომ არასოდეს არ ინდობდა მას, თავისი, თითქმის საუკუნოვანი, ერთგული სამსახურის განმავლობაში ბევრჯერ დაუტანჯავს საკუთარი სხეული სხვის მაგიერ: მან რამდენიმე მძიმე საქმე დაიბრალა, რისთვისაც უღმერთოდ აწამეს. ამ წამების დროს დაკარგა მან ფეხი, ცალი ხელი და ორივე თვალი. მიუხედავად ასეთი დასახიჩრებისა, ეს მსახური პირველ უჩინარ კაცად რჩებოდა შეთქმულთა წრეში. მისი თითოეული დროზე ნათქვამი სიტყვა მთელ ორატორულ თქმად იღვრებოდა მაღალი Herr-ების პირში.

არგამართლება ბუნებრივი ხვედრია ასეთი ადამიანისთვის. ოთხმოცდაცხრა წლის პაპაჩემი /ის არასოდეს არა ყოფილა მოხუცი/ დაიჭირეს სხვა შეთქმულებთან ერთად და კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. განაჩენის სისრულეში მოყვანის დღეს მე თორმეტი წლის, ხუთი თვისა და რვა დღის ბავშვი ვიყავი. ჩემს გარდა, პაპაჩემის დასჯის საყურებლად ჩვენი ოჯახიდან არავინ წასულა. ბაბუა თვალით არასოდეს მენახა იმ დღემდე, მაგრამ ვიცოდი თითოეული წვრილმანი მისი გარეგნობიდან. ის იყო მიკრული ერთიმეორის გვერდზე ჩარჭობილ ერთ-ერთ ბოძზე. ცეცხლის ალის შეხებისთანავე საშინელი ხმით აღრიალდნენ მაღალი ქერა ბატონები, ტიროდნენ მთელი მათი ოჯახები, მოსულები ამ უბედურების საყურებლად. უცნაურმა ძალამ შემაოკა მე. თითქოსდა, არაფრისგან გამოწვეული სიამოვნება ვიგრძენი. ბოლოს და ბოლოს, გააჩნია რას როგორ შეხედავ, შეიძლება უყურო ხალხის ცეცხლზე დაწვას ისე, რომ მიიღო წმინდა არტისტული სიამოვნება. აქ საჭიროა ამაღლდე ბავშვის გონებამდე: სცენაზე დახოცილ არტისტებს ხომ ვეღარ ხედავ მეორე დღეს, ფაქტიურად, შენთვის ისინი კვდებიან როლებში დახოცვის დროს. მიუხედავად ამისა, ყველაზე პატარა, გამოუცდელ მაყურებელსაც კი, ცრემლით სავსე თვალებით, ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი /სცენაზე დახოცილები/ უკვდავებაში გადადიან და, რაც უფრო დიდია სანახავად ტრაგედია, მით უფრო თვალსაჩინოა ეს შტრიხი. საერთოდ, ასე უნდა ვუყუროთ ამ ცეცხლზე დაწვასაც. უყურო სიცოცხლეს ყველა მომენტიდან _ ეს ჩემი თვისებაა. განწირულთა შემზარავი ბღავილი, როგორც ორატორის სიტყვა, სავსე უდიდესი ვნებებით, რომელიც ერთ მასად კრავს ხალხს და თავის ნებაზე ათამაშებს, სწორედ იმით, რომ ლაპარაკობს იმას, რისი გაგონებაც ხალხს უნდა _ ტრანსში ჩავარდნამდე მოქმედებდა ჩემზე. მე ვგრძნობდი, რომ აღარა მქონდა არაფერი სანატრელი, გარდა იმისა, რასაც ვხედავდი: რომ ასე, დაუსრულებლად მეყურებინა ცეცხლის ალის თამაშისათვის ღრიალად ქცეული ხალხის სახეზე. და უცებ, უნებურად, შევხედე პაპაჩემს. ცეცხლის ენები თავისუფლად თამაშობდნენ მის

ბრმა თვალებზე, მძიმედ, უსიამოვნოდ მოვიწყინე, ის თავისი იქ ყოფნით ეშხს უკარგავდა მთელ სანახაობას, მაშინ ვიფიქრე, რომ ბაბუაჩემი ბოროტი კაცია და არ უნდა კარგად მოიქცეს, ე.ი. იღრიალოს. მე მისგან სხვაზე გადავიტანე მზერა.

წარმოიდგინეთ მოედნის შუაგული, შეგიძლიათ ისე უყუროთ, თითქოს ყველაფერი ეს ღამით ხდებოდეს, მკაფიოდ ჩანან ცეცხლის ენები, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ შუადღე, როცა მზის სხივები ემატება ცეცხლის სიმხურვალეს და, ორივე შემთხვევაში, სამყარო სავსეა ერთი მთლიანი ღრიალით, ცეცხლი ფარავს ბოძზე მიკრულთა სახეებს და უცებ დგება წუთი უცნაური, არაბუნებრივი სიჩუმისა, რისგანაც ყურები გიბრუის. დგას წამი, როცა კაცი უნდა იქცეს ფერფლად და ამ დროს, ბუნების დრამად ქცევის წამში, ისმის არაადამიანური ღრიალი სიჩუმით შეკრული მოედნის შიგნიდან _ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს აფეთქდა პაპაჩემი.

დგება ახლა უკვე პანაშვიდური სიჩუმე და ჩაფერფლილი ცეცხლის მაყურებელი ხალხი, დაღლილი, ქვითინებს.

_ ოუ, ვეღარ აიტანა ცეცხლის სიმხურვალე?! _ ამბობს ვერგამოფხიზლებული იბა, რომლის სახეზეც ალი თამაშობს და იქიდან უყურებს ქვენოს შუაკერასთან მჯდარ ორატორს.

_ არა, _ ამაყად პასუხობს შტოლცი, _ ეს იყო წამი, როდესაც მას აღარ შეეძლო თითოეული ნაწილით, ხმამაღლა არ ემცნო თავისი არსებობის შესახებ, _ ტკივილი მისთვის არაფერს ნიშნავდა! ამაშივე იყო, ალბათ, _ უკვე ექსტაზის გარეშე განაგრძობს შტოლცი, _ უზარმაზარი ერთად დაგროვილი სევდა ადამიანისა, რომ ის ისეთი არ დაიბადა, როგორიც უნდა დაბადებულიყო, ეს იყო ბუნტი საკუთარი თავის წინააღმდეგ. ჩვენ, შავები, აღვდექით ამ ბუნტის სახელით, ჩვენ არ გვინდოდა ტვინის ჭყლეტა, შეუცნობლის წვდომა, მაგრამ მაშინ ვერ ვიპოვიდით ჩვენს საჭიროებას ამ ქვეყანაზე, ჩვენ თვითონ შეგნებულად დავუმორჩილეთ თავი ბუნებრივი ცოდნით აღჭურვილ არიელებს. ისინი მათ, ვინც ჩვენსავით თვითონვე არ ცნობს იმათ პრიორიტეტს, ძალად აცნობიერებენ; ეს არის უკეთილშობილესი ხალხი, ისინი იბრძვიან ძლიერთა დასაცავად სუსტებისგან და, თუ არ გვინდა ჩვენ ვიყოთ სუსტები, უნდა ვიცოდეთ მათზე მეტი და ამით საერთო საქმეს ვემსახუროთ.

_ მერე? _ იკითხა იბამ.

_ მერე ყველანი გახდებიან კეთილშობილები.

_ ჩვენც?

_ ჩვენ მაშინ აღარ ვიქნებით.

_ ო, ნეტავი გამაწირვინა თავი მათი გულისათვის, _ ყოველგვარ ლოგიკასთან კავშირის გარეშე, მთელი არსებითა თქვა იბამ და შტოლცმაც განაგრძო პრაქტიკული გზების დასახვა.

წერას თავი გავანებე. უაზროდ ვუყურებ მასწავლებელს, რომელიც ჩემს გვარს ჟურნალში კითხულობს და დაფასთან მიძახებს. ტონს ხაიმაშვილი იძლევა, ის ყველაზე კარგად ამჩნევს, თავისი დაკვირვებულობის წყალობით, რომ მე სულ სხვა გაკვეთილს ვამზადებ და უხმოდ იცინის. სიხარულამდე ეშმაკურები ხდება კურსანტების სახეები, ალბათ, ასეთივე სახე მაქვს მე, როცა ფეხზე ამდგარი ვუყურებ მასწავლებელს. ,,მოტორის რამდენ მოძრაობას იცნობ?» მეკითხება ის ჩვენნაირივე სახით. კლასი გაჩუმებულია და ჩვენს დუელს უყურებს, მასწავლებელი წინასწარ ჭვრეტს მცდარი პასუხიდან გამომდინარე სიამოვნებას, ,,ბევრს,» არ ვაგვიანებ მე

სისულელის თქმას. ,,საინტერესოა, გარეთ როგორი ამინდია,» კურსანტებისაკენ მიდის მასწავლებელი და ისე მიყურებს, ახლა უკვე ყველა ბრუნდება აქეთ. უცნაური სიხარული მიპყრობს, ასეთივე სახე აქვს იმ ბიჭს, რომელიც ჩინელს არა ჰგავს. ხაიმას ხელები მერხიდან ოდნავ აწეული უჭირავს, ერთი პატარა შებერვაა საკმარისი, რომ იმან დაუკრას ,,დოლზე», სხვებმა ტაში დასცხონ და მე ავცეკვდე, თითქოს მასწავლებელიც წინააღმდეგი არაა, ოღონდ ამის გაკეთება საჭირო არ არის. ,,რად გინდა მესამე კლასი?» მომმართავს ის, ,,ხი, ხი,» ხითხითებენ რატომღაც სხვები, მე უაღრესად ტუტუცური სახე მიხდება. ეზოდან ღრიალით გადის ხრეშით დატვირთული სამოსვალი, ,,აი, ეს ბიჭები სამოსვალზე იმუშავებენ, კომუნიზმს ააშენებენ, შენ კი სტუდენტი კაცი ხარ, წადი, შენი საქმე აკეთე, თუ არ დაგიშლია, მოყვარულის უფლება აიღე, დღეიდან სიიდან გშლი, შენ მოტორის სწავლის თავი არა გაქვს, შეგიძლია წახვიდე». ტუტუცივით ვუყურებ მას და მეცინება, ეცინება ხაიმასაც, ვიღაცა ხარხარებს, ,,რა შენი საქმეა მესამე კლასი,» ვერ იკავებს ღიმილის ამოხეთქვას მასწავლებელიც. სიცილის ტონი მიცემულია, ნებადართული, ხარხარებენ კურსანტები, ვხარხარებ მეც, რამდენი სიხარულია, როგორ გვესმის ყველაფერი, ხაიმას აქაც მიღწევები აქვს.

საერთო მხიარულ ხმაურში ვტოვებ საკლასო ოთახს, თან მიმყვება უცნაური სიმხიარულე, ხმები, რეპლიკები, ჩემ წინ დევს ისეთივე ქუჩა, ხმაურიანი, მტვრიანი, იწყებს დაბნელებას ცა, ინთება პირველი სინათლეები, ო, როგორ დავიღალე მე... არ შემიძლია დავიჭირო ის მომენტი, როდის დავკარგე მხიარული განწყობა, არ მინდა არაფერზე ვიფიქრო, ოღონდაც ვინმემ არ გამომიყვანოს ჩემი უსხეულო ფიქრებიდან, არ მითხრას უხეში სიტყვა, მე არა ვარ ქრისტიანობის იდეალი, რომ შევუნდო ბრიყვთა, ამიტომ ვერ ვიტან უხეშ მომართვას სხვისგან, როცა მე თვითონ არ ვაძლევ თავს ამის უფლებას.

ჰო, ვიღაცა მთვრალმა ნაცნობმა შორიდან დამიძახა: ,,ბიჭო, ისე მოდიხარ, თითქოს ქვეყნის საქმეები გქონდეს გადასაწყვეტი,» დამძახებლისგან განუზომავი, მოულოდნელი რეაქციით აღელდა ჩემი ბუნება, სწორედ ამ წამში ვწყვეტდი მე ჩემი, გურამ რჩეულიშვილის, ქვეყნის საქმეებს, იმას, რომ ცუდია გქონდეს გვარი, რომელიც ბოლოვდება ,,შვილით,» მაგრამ ახლა რომ მოვაკლო ,,შვილი» და დავტოვო მხოლოდ ,,რჩეული», გამოვა ყოყოჩობა, კიდევ ვფიქრობდი, შოფრების სკოლის დატოვებასთან დაკავშირებით, ახალ ნაცრისფერ კოსტუმზე, ჟილეტით, დიდი ბაფთით და ტროსტით, რომლებითაც მინდოდა მევლო მომავალში, შემდეგ გამკრა შიმშილის გრძნობამ, ჯიბეში მოვსინჯე ორი მანეთი და თხუთმეტი კაპიკი _ ზუსტად ეკლერის ფული. სწორედ ამ დროს მიტრიალებდა თავში, რომ საერთოდ სისულელეა გვარი და მთლიანი უაზრობა იამაყო ამ გვარით, როგორც დანომრილი მორბენლისთვის უაზრობაა იამაყოს თავისი ნომრით, რომელიც კენჭის ყრისას მიაკუთვნეს, და რატომღაც ამ მძიმე მაღალყელიანებში განსაკუთრებით უხერხულად ვიგრძენი მთელი სხეული, რომელიც ფიქრობდა და რომელიც უსუსურობამდე უძლური იყო მისწვდომოდა ამ რაღაც დიდსა და საიდუმლოს, რომელსაც ასეთი ჩანჩალით, მძიმე ფეხსაცმელებით და სინამდვილის თავიდან ასაცილებელი აზრებით მისდევდა იგი. ამ დროს ეს ალალბედზე, უპასუხისმგებლოდ ნასროლი სიტყვები კეტივით ხვდება კაცს თავში: ეი, შენ! ისე მოდიხარ, გეგონება, ქვეყნის საქმეებს წყვეტ!

თითქოს ფხიზლდება ადამიანი გაოგნებისაგან, იყურება გარშემო, აღიქვამს მოძრავ ფიგურებს ცარიელ ქუჩაში და განუსაზღვრელი, თითქმის გამოუვალი ირონია ეპარება საკუთარი თავისადმი – აი, როდის გინდა იტირო ნამდვილად, ეძებ რაიმე

ხელმოსაკიდს, გასაქცევს ჩაღრმავებიდან, ებღაუჭები პირველივე შემხვდურ შეგრძნებას.

უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ ამ წუთში, რომ მშია.

იქვე გრძელ საკონდიტროში შევუხვიე ეკლერის საყიდლად;

პატარა მაგიდასთან მიმდგარი, ვჭამ ნამცხვარს, ჩემ პირდაპირ ზის დიდი თათარი მუშა, რომელიც ყოველთვის გლეხის დიდ შენარევს შეიცავს ხოლმე. მან მესამე ეკლერი მოითხოვა, მე უმიზეზოდ მესიამოვნა, რომ იმას ფული ჰქონდა. რაც შეიძლება ღრმად შევძვერი სკამში და შევეცადე ნელა მელოღნა ნამცხვარი, საქმე პირიქით წავიდა, ვერ მოვასწარი მოხედვა, რომ კრემი თითებამდე დამივიდა. მოწყენილმა დავუწყე მაღაზიის კარებს ყურება; იქიდან კოხტა ნაბიჯებით შემოვიდა სამი გოგო. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება ეკლერებზე გადავიტანე, ქვეშეცნეულად შეუწყვეტლივ განაგრძობდა ჩემი გონება თვითანალიზს და გარშემო მყოფთა საქციელს უკავშირებდა თავის თავს. ჩემს ენაზე ის გოგოები ჩურჩულებდნენ: შეხედეთ გურამს, ვითომ კარგი კაცია, ისე მიირთმევს არყის მაგიერ ნამცხვარს, თანაც ისეთი სახე აქვს, თითქოს გუშინ არ დარბოდა ქუჩაში ყვირილით, ხელების ქნევით, ნაჩხუბარი და მთვრალი. მე ავდექი, ნელა დავიძარი, აშკარად ვგრძნობდი ყველა კიდურის უხერხულობას, იმდენად ნაძალადევი წესიერებით მეჭირა ტანი. ჩემს უკან გამოვიდნენ ის გოგოები გამალებული წაბმული ჩუჩუნით, შევანელე სიარული, ისინიც შედგნენ, მერე მძიმე ნაბიჯით ავუყევი ქუჩას, მათი თვალები საზოგადოებრივი აზრივით მდევდნენ ყველგან, ულმობლად, გამყინავად, ჩემმა სხეულმა ვეღარ აიტანა მათი თვალების ქვეშ ეს არაბუნებრივი, წესიერი მოძრაობა, სავსე უაზრობით, არაფრით, ხაზგასმული ნელი ნაბიჯებისაგან ფეხი ამერია, ვგრძნობდი, სადაც არის დავკარგავდი წონასწორობას და ავღრიალდებოდი უცრემლო ხმით, როგორც უდაბნოში მზის სხივების ულმობლობას ვერსად გაქცეული მწყურვალე კაცი, ეს მომენტი იყო მთელი დღის აზრთა შეჯამების მწვერვალი, როგორ გაუძლებდა ის ხალხის აზრს და მოულოდნელად ვიგრძენი, რომ წავბორძიკდი, მე დავმარცხდი, როგორც ჯამბაზი თავის ნათამაშებ წარმოდგენაში.

და ამ წამში მესამედ, ,,უცებ», მე ისევ ვიგრძენი, რომ შევმსუბუქდი, გავბრწყინდი: წინიდან მოდიოდა ღიმილად ქცეული ნაცნობი ბროდიაგა, ჟუჟუნა თვალებით, დაბალი, თხელი, გახუნებულ, ყელამდე შეკრულ გიმნასტიორკაში, რომლის მიუხედავადაც არაჩვეულებრივად თავისუფლად გრძნობდა კისერს, ის სუფთად იყო გაპარსული, ეცვა ამოთხვრილი, ეტყობა, უქამრო შარვალი, კეპი ზედ შუბლზე ჰქონდა ჩამოფხატული. როგორც იმავე უდაბნოში ჩრდილის მომფენი ღრუბლის ნაფლეთი, მზის განუკითხავი ცხუნებისგან დამჩრდილავი, ისე აღვიქვი ამ კაცის გამოჩენა და ღრმად ამოვისუნთქე, რაც აუცილებელი იყო ძალის მოსაკრებად.

ეს ადამიანი მოდიოდა ქანაობით, არხეინად და მთელი გულით შემშურდა მისი, გიჟივით მომინდა სიმთვრალე, არაყი, პაპიროსი. «брат!» გავუწოდე ხელი, არასასიამოვნო, ყალბი ხმა ამომივიდა პირიდან, მაგრამ ამას აღარ შეეძლო ჩემი უკან დაბრუნება. იმან ხელი გამომიწოდა და ღიმილი განაგრძო «Корнилов мне сказал генерал Корнилов да, да... пошел домой, домой, домой...» «По соседству со мной нет ли?» ჩავურთე მე ნაძალადევი აგდებულობით, რომ მისთვის მიმემსგავსებინა ჩემი ქცევა, მაგრამ ხმა პირველი სიტყვასავით განსაკუთრებით მოგონილი გამომივიდა და სულ საცოდავი, დამცირებული გამოვჩნდი შავ კოსტუმში, ბრექით, თეთრი პერანგით ამ რუსი ღოთის გვერდზე, რომელიც ხელს მიჭერდა, ღიღინებდა, ხარობდა, რომელიც აბსოლუტურად არ მაქცევდა ყურადღებას, რომელიც არ აქცევდა ყურადღებას არაფერს – როცა მე ამ დროს, ასე ცხადად აღვიქვამდი მის აქ ჩემთვის

სასურველ ყოფნას და გაახლებული ძალით ვგრძნობდი ჩემს ზურგზე იმ გოგოების თვალებს. მაგრამ ამ ახალმა დაბრკოლებამ ჩემს გზაზე უცნაური იმუნიტეტი შემიმუშავა. უფრო ხელშესახებად დავიწყე აზროვნება, მინდოდა, რადაც უნდა დამჯდომოდა, მომეშორებინა იმ გოგოების დევნა, სულ ცოტა ხნით მაინც გავმხდარიყავი ისეთი დამოუკიდებელი, როგორიც ეს უთვისტომო მათხოვარა იყო _ ჟუჟუნა თვალებით, კეთილი, სიბრაზის გარეშე, სხვისი თვალების შეგრძნების გარეშე.

ეს კაცი იდგა ჩემს წინ და მღეროდა, მეც ავყევი, ოღონდ ისევ ყალბად, არასასიამოვნოდ, რის გამოც ცრემლები მომაწვა თვალებზე და პირველად შემეცოდა ჩემი თავი. შეგნებულად ავუხვიე ჩაბნელებული ყაზბეგის ქუჩისკენ, ხელი მის ზურგზე მქონდა მიდებული და ვაწვებოდი სახლისკენ, ვაწვებოდი ცარიელი ქუჩისკენ, რომ მე თვითონ აღარ დამენახა ჩემი შავი კოსტუმი, თეთრი პერანგი, ბრახუნები, რომლების ხმაც ჯიბრზე მთელ კვარტალში ისმოდა, მაგრამ სიბნელემ არ მიშველა, პირიქით, მისთვის კი ისევ ყველაფერი სულერთი იყო, ის განაგრძობდა თავისთვის, შეუჩერებლივ «а вот я, лично я, никогда, а вот сижу в траншее и не боюсь не, не, не... идет враг и стреляет тра, тра, та, та,» დაბარბაცდა ის, ხელი გაიქნია ტყვიამფრქვევივით აქეთ-იქით, «никогда не боялся», უცებ მობრუნდა ჩემკენ და მითხრა, ე.ი. თქვა _ ის კი არ მელაპარაკებოდა, ლაპარაკობდა – «не бойся никогда, мы, Советский Союз небоимся», ის ახლო მოიწია, «а вот я тебе секретчик скажу, там у нас стоят дуло вверх батарея супротив поджигателей», «ну что поджигатели» მოვურუსულე ისევ ნაძალადევი აქცენტით და ჩემს თავზე რომ მთლიანად არ დამეკარგა შთაბეჭდილება, მაგრად მოვკიდე ხელი მის უღონო სხეულს და წინ წავიგდე. ის მიცუნცულებდა _ უსხეულო, უხორცო, უწყინარი _ და მღეროდა; მე მივდევდი დიდი, აღჭურვილი კოსტუმ-ბათინკებით, და ,,ვტიროდი», რომ არ ვიცოდი ის საიდუმლო, რაც იცოდა ამ კაცმა, საიდუმლო, რის გამოც არის ის კმაყოფილი. ,,რა გქვიათ, ა?» ვკითხე ყურში. «а! Корнилов, конечно, Алексей Сидорич обязательно вперед, Алексей Сидорич.» მე გადავწყვიტე საკადრისი პატივი მეცა, სისულელე იყო მასთან, საერთოდ, რაიმე პოზის მსგავსის დაჭერაც კი, მაგრამ იმ წამებში იმდენად ვიყავი ამოვარდნილი ბუნებრიობიდან, რომ წინასწარი გადაწყვეტის გარეშე ვერ ვაკეთებდი ვერაფერს. «Алексей Сидорич, прошу сюда» გულზე ხელი მივიდე ღიმილით, ის თავისას აგრძელებდა «Мы поджигателей за раз К...» გაიქნია К-ზე კედლისკენ, «к стенке» დაამთავრა და რაც შეიძლებოდა კეთილად გაიღიმა; მე შემეშინდა: უცნაურად ბნელოდა ქუჩაში, მეორე სართულზე უსხივოდ ენთო ნათურა, ის იმის ქვეშ იდგა და სულ იღიმებოდა, თითქოს რაღაცას მივხვდი, სულ გაუბრაზებლად მოვიდა აზრი: ამ კაცს შეეძლო გაეწყვიტა ყველა და თვითონ მაინც სავსე დარჩენილიყო უმანკოებით, სიკეთით, იმდენი ობიექტური არასიბრაზე იყო მასში. «Все они против нас ничто» ისმოდა მისი ხმა სიბნელეში «во» მოკეცა ერთი თითი «Советский Союз двести миллионов, Китай восемсот миллионов, Неру еше...» «Мы три, Грузия» ვთქვი მე. «о, о правильно, еше три» მიითვალა სათვალავში _ მე თვალები გამიფართოვდა, რაღაც უცნაური ხდებოდა გარშემო, ვუყურებდი ამ არარაობას და ვგრძნობდი, რომ ის იყო ქვეყნის მფლობელი, რითი? რითი? რითი? გაუთავებლივ მოდიოდა ეს ერთი კითხვა ჩემს თავში, რომელი ცოდნის მფლობელია ის? საიდან მიიღო იგი? უცებ მომესმა, რომ მან რაღაც თქვა საფრანგეთის შესახებ და მისი აზრის გასაგებად ვკითხე «Который лучше, а, Франция или Америка», მე დამშვიდებით ველოდი, რომ იტყოდა «оба один х...», გუნებაში ასეც ჩავიწერე, მაგრამ როცა იმან არც კი მიაქცია ყურადღება ჩემს ნათქვამს და განაგრძო ომის

გამჩაღებელთა ზოგადი ლანძღვა, მივხვდი, რომ ისევ დავმარცხდი, ამ კაცისთვის არსებობდა მხოლოდ საბჭოთა კავშირი, რითაც ის აბსტრაქტულად გამოხატავდა თავის სიყვარულს, ღირსებას, რომ ის სწორედ იმით იყო კარგი, რაც ჰქონდა და იმ სურვილით, რომ ჰქონოდა ის, რაც არ ჰქონდა, დიამეტრულად მოწინააღმდეგე მხარე კი, ომის გამჩაღებლები, მისი ვიზიონერული გონებისთვის ისეთივე ზოგადის, ოღონდ ცუდის, გამომხატველი იყო. ამ ფრაზების უკან იმალებოდა შეცნობა სამყაროსი, ჩემთვის დაუნახავამდე მარტივი ამ წამებში, ხოლო მისთვის ცხადზე ცხადი. ეს ცოდნა აძლევდა მას საშუალებას ყოფილიყო მშვიდი, ბედნიერი, ბავშვივით უმწიკვლო, უცნაურად განურჩეველი სხვისი თვალისადმი, ადამიანებისადმი, თვით სიკეთის მცნებისადმიც კი; ეს მსუბუქი, ჰაეროვნად მოძრავი კაცი, დატვირთული მხოლოდ ჩემი ეპითეტებით /მე მეშინია არ დავამძიმო ის/, პაპიროსის სათხოვნელად შეჩერდა ვიღაცეებთან, რომლებმაც ცუდად დაუწყეს ყურება, მაგრამ ჩემი დანახვისას კარგად ჩაცმული ბიჭი აღიქვეს და მოუკიდ-მისცეს ,,ყაზბეგი». ალექსეი სიდორიჩმა შეატყო, რომ თუ მე არა, ისე არ მისცემდნენ პაპიროსს და აქ პირველად მცნო როგორც სხვა კაცი, მის გარდა. «Правильно, вперед ребятки, вперед генерал Корнилов приказал Алексей Сидорич человек не плохой, проводи его до дома, он человек боевой» _ ეტყობოდა, ვერ წარმოედგინა რა საჭირო იყო ასეთი სიტუტუცე _ გაცილება მეორე კაცის, უცნობის, სახლამდე და რახან ამ ფაქტს აქვს ადგილი, ე.ი. ამ ადამიანს, რომელიც მისთვის წუხდება, დაავალა ვიღაცამ, ეს ვიღაცა კი არის მის მიერ შექმნილი გენერალი კორნილოვი, თავისივე გვარის ოფიცერი, რომელიც ასმევს მას, ხალხს ავალებს გააცილოს, და რომელსაც, როგორც ლაპარაკიდან გამოირკვა, ალექსეი სიდორიჩი აბრალებს ყველა საყოფაცხოვრებო სიკეთეს; ალექსეი სიდორიჩით გატაცება მას, ეტყობა, ძალიან მოეწონა და მთელი გზა იმეორებდა «Корнилов приказал, проводи этого человека, меня знают, меня уважают...» «ჩუ, ჩუ ბიჭო, я тебя тайну скажу, там на горе супротив их танки стоят, пушки стоят», ის უფრო ახლო მოიწია ჩემკენ, ხელი მომიჭირა მაჯაზე და ჩურჩული დამიწყო; გარშემო არავინ იყო, მხოლოდ მაღაზიასთან ისხდნენ ღამის ყარაული ქალები, გამოხვეულები ქურქში, და თვლემდნენ ნახევარლაპარაკით.

«Это не плохо», ვთქვი მე ჩემთვისვე მოულოდნელად, უაზროდ, და უცებ სიხარულმა შემიპყრო, ისეთივე უაზრომ, როგორიც იყო ეს სიტყვები. ჩემი ტანი იდგა მოუხეშავი, ზედმეტი, ამ უხორცო კაცთან, რომელიც უბრაზოდ ემუქრებოდა ომის გამჩაღებლებს, «Ирак, Дамаск» იძახდა, ხელს სწევდა სუსტად, ნაზად, უდიდესი ჰარმონიით, ისე, რომ სულ მცირე ადგილსაც კი არ იჭერდა, საერთოდ, როცა მე ამდენ არასაჭირო სივრცეს ვიკავებდი გარშემო და მაინც გიჟურმა სიხარულმა შემიპყრო, სიცარიელემ, სიჩუმემ თავისებურად იმოქმედა და მე უსაზღვროდ ახლო მივედი რაღაცა საიდუმლოს გაგებასთან. ის კაცი გამოიწია ჩემკენ, მანიშნა, ყური დაბლა დამეწია, მე აღელვებული დავიხარე, მომეჩვენა ღამის სიმარტოვეში, რომ უნდა მომესმინა ის უდიდესი, ჯერ ართქმული, რაც გამათავისუფლებდა ყველაზე მძიმე ცოდვისაგან, ცოდვისაგან, რომელიც არ ჩამიდენია.

პატარა ფანარი ანათებდა ცარიელი ქუჩის შუაში მდგარი წინასწარმეტყველის კეთილ, უნაკვთო სახეს, კაბასავით ჩაშვებულ მწვანე გიმნასტიორკას, მე, როგორც არაცოცხალი შენობა, სმენად ქცეული ვიდექი მის წინ. საიდუმლოს გაგების ეს წამი იყო ნამდვილად ზღაპრული სიძლიერის, ამიტომ იყო ასეთი მოლოდინით დაძაბული ჩემი აღგზნებული ბუნება; მისი სიტყვების უფრო უკეთ შეგრძნებისათვის ხალათის სახელოზე მოვკიდე ხელი «Знаешь что я тебе скажу», გაიმეორა იმ კაცმა და გაგების მოლოდინის, სურვილის სიდიდისგან, თითქმის დავკარგე შეგრძნება

სხეულის, რომელიც ასეთი უაზრო, უხერხული მეჩვენებოდა აქამდე. ის განაგრძობდა: «Знаешь в чем наша тайна, а? там у нас...», ის დაიხარა და ფარნის მიმართულებით გაიშვირა ხელი, მეც ჩავიკუზე და თვალი გავაყოლე რაღაცის დასანახად «В Семеновке то...» ის ფანარს ვერ ამჩნევდა «пушки стоят супротив поджигателеи войны», ზევითა კუთხეში გაჩახჩახებულ ფანჯარას ფარდა ჩამოაფარეს და ქუჩაში უფრო დაბნელდა. მძიმედ დამეუფლა იმედის გაცრუებისა და უდიდესი საიდუმლოს გაგების შეგრძნება, ასეც ვიცოდი, მთელი ამ კაცის ცოდნა ეს არის, რაც თქვა! ესა ყოფილა ის საიდუმლო, რომლითაც მას შეუძლია იყოს ბედნიერი და არის კიდეც, მთელი გზა მეუბნებოდა ამას, წარმოუდგენელი სიცხადით აღვიქვი, რომ არ არსებობს არავითარი საიდუმლო, ე.ი. მას არა აქვს სახელი, არა აქვს სიტყვები, მას აქვს მხოლოდ შეგრძნება, ამიტომ შეგიძლია დაარქვა ყველა სიტყვა, რაც შენ მოგესურვება, გამოხატო ენაზე მომდგარი პირველივე წინადადებით, რომელიც ისევე არაფერს ეტყვის სხვას, როგორც ამ ვიზიონერის სიტყვები არ ამბობენ არაფერს.

ის კაცი კი იდგა ისეთივე კმაყოფილი, მოღიმარი, მერე ჩამომართვა ხელი, წავიდა და გასამრჯელოსავით დამიტოვა ორი სიტყვა «Спасибо, брат». დიდს ხანს ისმოდა კიდევ ქუჩის სიჩუმეში თვალსმოფარებულის სიტყვები, შიგ ჩართული რეპლიკით «Вперед, ребятки, вперед».

მე კიდევ დიდხანს ვიდექი მარტო, დარჩენილი ღამის ყარაული ბებერი ქალების მფარველობის ქვეშ, რომლებიც საკუთარი ჭორებით იყვნენ გართული. უჩვეულო, სასიამოვნო სიგრილე იდგა ზემო ვერაზე, მას არ არღვევდა არც მთვარის თეთრი შუქი, არც ჩახჩახა ნათურები, არც მანქანის ხმაური, სრულიად არაფერი, გარდა ჩემი ატეხილი, ინტენსიურად დაძაბული, ზოგჯერ ბანგივით გამაბრუებელი ნახევარფიქრებისა, სწორედ ეს უკანასკნელი გაჰყვა შეუჩერებლივ ალექსეი სიდორიჩის გზას. გზა კი მიდიოდა მაღლა, თითქოს სახაზავით გახაზული მამადავითის ქედისაკენ, რომელიც სიბნელესავით იდგა გზის ბოლოს და თავისი უტეხი სიღრმიდან გამოყოფდა გამჭვირვალე, ვარსკვლავიან სიბნელეს. ცა იყო აუღელვებელი, არ ჩანდა არსად მეტეორების წითელი წყდომა და თვითმფრინავის ლურჯი სინათლეები. ეს იყო მთლიანი ჰარმონია, რომელსაც უერთდებოდა მაღლა, მთის ძირისაკენ ლაპარაკით მიმავალი ლოთი.

ავიდა ეს კაცი ბოლო პერპენდიკულარულ ქუჩამდის, სადაც შეწყდა ქვაფენილი, მერე ღიღინით დაეშვა მოკლე ხევისკენ და თავისთვის შეიბუდრა დიდ სახლზე მიდგმულ პატარა ქოხში.

მთლიანად გამეფდა ბუნება გარემოზე.

შეუმჩნეველი ჩხრიალით იწყებდა ხევს გაფუჭებული ონკანიდან გადმოსული წყალი, დიდხანს უმტკიცებდა ქანდარასავით საწოლზე ასული ლოთი რაღაც უშფოთველ აზრს საკუთარ თავს. დიდი ხანია უკვე რაც მან ამ საწოლზე დაიძინა, მისი ტუჩები კი განუწყვეტლივ მოძრაობდნენ, აღიქვამდნენ, ყვებოდნენ რაღაცას, ზოგჯერ წყნარად, ზოგჯერ ბორგვით, ნაწყვეტებად, მხოლოდ დაძინებისას პირზე დარჩენილი ღიმილი რჩებოდა მის სახეს უცვლელად. ნახევრად ღია, მოლიცლიცე თვალები უძრავად ჰქონდა გაჩერებული და იქიდან ხედავდა ის დაუნახავს:

მისი ქოხის წინ კლდიდან მრგვლად მოჭრილ ეზოში ორად გაყოფილი პატარა ბავშვები თამაშობენ ლახტს, ისინი არც ისე პატარები არიან, ყველას უკვე ფორმის გრძელი შარვალი აცვია, ნაწილს ქამრები წრის კიდეზე აქვს დაწყობილი, ნაწილსაც

მრგვლად დახვეული მიუგდია გვერდზე ონკანის ძირში დაყრილ წიგნებთან. წყალი იპარება წიგნებთან და ასველებს მათ, თამაშით გართული ბავშვები ვერ ამჩნევენ ვერაფერს; დაბალი, ჩაფსკვნილი ბიჭი წამოეპარა უკნიდან თავის დოყლაპია ამხანაგს, ზურგზე შეახტა და წრიდან გაათრია, კინაღამ არ გადაცვივდნენ ორივენი დაბალ ხევში. თამაშობენ ბავშვები გართობით, თავმიცემით, ვერაფერს ამჩნევენ თავიანთ გარშემო.

ისევ იმარჯვა ჩაფსკვნილმა, მოხერხებულად გამოიყენა წრიდან მოტაცებულის უნიჭო სიარული, ჰკრა მას ხელი ქამრის დამცველისაკენ, ორივენი იქით გადაყარა და ერთი ღვედი მოიტაცა. წრეში დარჩენილებმა მეორე ქამრის დასაცავად გადაინაცვლეს, როგორმე უნდა დაჭრან მოწინააღმდეგე ამ ღვედის წაღებამდის, თორემ ორივეს გატაცების შემდეგ დაიწყება მათი წიაწობა, უწყალო ცემა შიგ წრეში მოწინააღმდეგის დაჭრამდე. ურტყამს დაბალი დარჩენილ ქამარს თავისგან მოტაცებულ ღვედს, რომ გარეთ გამოაგდოს ისიც; ქამარი მკვირცხლ, აყრილტანიან ბიჭს ხვდება შარვალზე, რომელიც მოქნევისას წინ უდგამს ფეხს, მერე სწრაფად სწევს უკან და პირში უცინის მოწინააღმდეგეს, დანარჩენები უკნიდან უვლიან.

ლახტის წრის შიგნით შიშველკანჭება ქალაბიჭა ლენა, განიერი კლოში იუბკით, გრძელ ნახტომს აკეთებს იმათ დასაჭრელად ისე, რომ ცალი ფეხი წრეს არ გასცილდეს, იწელება მთელ სიგრძეზე. ტრიალებენ თავდამსხმელები: ეს გოგო და ის ბიჭი _ რა გახდა ამისთანა?! ორი კაცი გაიტაცეს, ერთი ქამარი უკვე მზადა აქვთ და მაინც ვერ ახერხებენ მეორის წაღებას. თამაშის, შეჯიბრის ტემპერამენტით ივსება ყველაფერი.

მოქნეულმა ღვედმა თითქმის გაიტანა დარჩენილი ქამარი, დამორცხვებული და გაბრაზებული იგერიებს მკვირცხლი ბიჭი წრეზე მიტანილ გააფთრებულ იერიშებს.

_ გადმოდი აქეთ! _ უბრძანებს ლენა.

_ ლენა დადგა, ლენა, ლენა!! კანჭებში მაგას! _ ყვირიან გარედან.

ქვასავით ჩადგა შიშველა ფეხი ხაზიდან გადაწეულმა ლენამ ქამრის წინ. ფეხის მოუცვლელად იღებს დარტყმას დარტყმაზე. ყივიან ბიჭები. უხმოდ, ტკივილისგან მოკუმული ტუჩებით დგას ლენა. მისი სიჯიუტით უფრო მწარდება დაბალი და ჩაფსკვნილი. თამაში უკვე სერიოზულ ხასიათს იღებს. თითქმის ყველა ითიშება, გარდა ამ ორისა. ეთერში ისმის გაწელილი დუდუკისა და უცებ მოვარდნილი გახურებული დაფა-ზურნის ხმა. იქნევს, ურტყამს გამწარებით ჩაფსკვნილი, იტანს ქალის სიჯიუტით ლენა, დაუსივდა წვივი, ერთგან გაუსკდა ხორცი, მაგრამ არავინ არა გრძნობს ამას, არც ბიჭი, არც თვითონ; მთავარი ის არის, რომელი აჯობებს, თამაშის შინაარსიც კი კარგავს აზრს _ მანამდე გაიტანონ ქამარი, სანამ თვითონ დაიჭრებიან. თვალები ებერება ლენას, უკვე ბევრ ადგილას უსკდება წვივი და ხმას არ იღებს. ბიჭი ხედავს მის დაფლეთილ წვივს, თითქოს უნდა შეჩერდეს, მაგრამ თამაშის რიტმმა ისე აიტაცა, რომ უფრო მეტი გამწარებით ურტყამს ღვედს, თითქოს არ უჩანს ბოლო ამ ორი ადამიანის თამაშით წვალებას. გიჟურად სასიამოვნოა შეჯიბრი, ტანჯვამდე მისული. რამდენიმე წამიც და შეიძლება დაიღუპონ ორივენი. არ არის არავინ, ვინც შეძლებს შეაჩეროს ისინი, არც მასწავლებელია ახლოს, არც უფროსი _ ან დედა ან მამიდა, ბებიის ჭაჭანებაც კი არ არის.

სისხლი ნაკადად გადმოსდის ლენას დამსკდარი ფეხიდან. ბიჭებმა თვალებზე აიფარეს ხელი და ისე, უგრძნობლად, ყვირიან: «კიდე მაგრა, კიდე! კიდე!! კიდე!!!» ვერაფერს ვერ ხედავს ჩაფსკვნილი, ქამრისა და წითელი ფეხის გარდა, რომელიც მის წაღებას უშლის.

კინოკადრებივით იცვლება: ფეხი, ქამარი, ფეხი, ქამარი, სისხლი....

ოო, აღარ შეუძლია ჩუმად ყოფნა ალექსეი სიდორიჩს. ის საერთოდ ვერასოდეს ამჩნევდა ასეთ რამეებს თავის გარშემო, ყოველთვის ჩაურეველი იყო ყველაფერში, მხოლოდ თავისი მოკრძალებული ფილოსოფია იყო მისი უვნებელი ზრუნვის საგანი, ახლა კი თამაშის დაწყებისთანავე უნდოდა ჩარეულიყო და ეთქვა, რომ წიგნებს წყალი შეუდგა, რომ ისინი ფუჭდებიან, მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რამაც სულ შეაცვლევინა ზრუნვის საგანი და აიძულა აუცილებლივ ამოეღო ხმა, ის თავს გრძნობდა იმ ბიჭის მდგომარეობაში, რომელიც იძულებული იყო, რაღაცა ტრანსს აყოლილს, კანჭებში ერტყა გოგოსთვის; ერთი წამით გადაიბუდრა კიდეც მისმა გაშლილმა, ლოთურმა სულმა იმ ბიჭის სხეულში და საშინლად შეეცოდა ის და როცა იგრძნო, რომ ისინი სხვადასხვა ადამიანები არიან, ვეღარაფრით ვერ მოითმინა _ შუა, გახურებული რტყმის დროს დაებერა ფილტვები და სრულიად უნებურად, თავშეუკავებლად წამოილაპარაკა:

«Ребятишки, вперед, вперед, вперед» უცნაური იყო: სიტყვების შინაარსით ისევ გააქეზა ისინი, ისედაც გაგიჟებულები, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო რამ: ბიჭმა უცებ შეაჩერა ღვედის რტყმა, სწრაფად შემოირტყა ქამარი წელზე, გაქანდა ქუდისკენ, დაიხურა და უწყინარი სახით დადგა. სადღაც გაქრა ლენას ფეხზე დამსკდარი იარა, უკვალოდ გაშრა სისხლი და გოგოს სახეზე გაკვირვება გამოეხატა, ეს გაკვირვება გადაედო ჩაფსკვნილ ბიჭს, მერე მკვირცხლ, ტანაყრილ ბიჭს და, ბოლოს, ყველამ უცნაურად გაკვირვებული სახე მიიღო, იმდენად გაკვირვებული, რომ ეს გამომეტყველება გადაედო ალექსეი სიდორიჩსაც. ის იწვა თვალებდახუჭული და ცდილობდა, რომ არაფრით არ შეემჩნია თავისი შინაგანი მდგომარეობა, თავის გარეგნობაზე უკვე აღარა ზრუნავდა, იმდენად უიმედოდ გაოცებული იყო ის და უცებ მთელი არსებით შეეშინდა ალექსეი სიდორიჩს. ,,ნუთუ გაიგეს!» გაიფიქრა მან.

_ ალექსი, ლოთი ლექსო მომკვდარა, _ აყაყანდნენ ბავშვები და გაიქცნენ მისი ოთახისკენ, ისინი იჭედებოდნენ კარებში, ეცემოდნენ ზღურბლზე, დგებოდნენ ფეხზე და დაუსრულებლივ მირბოდნენ მისი საწოლისკენ «Надо было молчать, надо было молчать», აჭყეტდა დახუჭული გუგების ქვევიდან ალექსეი სიდორიჩი თვალებს.

გაჭედილი სიჩუმე ჩამოვარდა ქოხის პატარა ოთახში. ბიჭები ორად გაიყვნენ და გზა დაუთმეს ლენას: მას ეცვა მკაცრად შეკერილი შავი კოსტუმჩიკი, უცნაურად ცოცხლად, დაუნდობლად იყურებოდნენ მისი შავი თვალები ბავშვურ სახეზე ჩამოშვებული ვუალიდან. თითოეულ ბიჭს ფორმის მარცხენა სახელოზე შავი არშია შემოევლო წითელი კანტით. «მათ მაინც ყველაფერი იციან,» გაიფიქრა ლოთმა და უცნაურად დაუწყნარდა აცახცახებული სხეული, «Они мои господа, они сами знают», გაიაზრა მან, ამ ახალმა დასკვნამ უფრო დააშვიდა და შეარიგა ბედს.

ბავშვები, ლენას ხელმძღვანელობით, დიდი სისწრაფითა და დაკვირვებით მოქმედებდნენ, ეს არ ეპარებოდა მხედველობიდან მიცვალებულს, ის ამით თითქმის ამაყობდა კიდეც და უზომო კმაყოფილება იგრძნო, როდესაც შემორბენილმა ბიჭმა მოიტანა ამბავი, რომ საფლავი უკვე საკმაო სიღრმეზე არის გათხრილი, ,,ნუთუ კურთხევაც არ დაავიწყდებათ მიწას მიბარებისას,» გაუელვა ალექსეი სიდორიჩს და მაშინვე ლენამ ბრძანება გასცა:

_ სწორდი! _ ბიჭები გამწკრივდნენ ერთ ხაზზე და ყოველი მათგანის ყელზე გაჩნდა წითელი ყელსახვევი.

_ სმენა! _ გასცა ბრძანება ლენამ, _ ბიჭებმა ქუდები წელთან დაიჭირეს და გაიჭიმნენ.

_ პატიოსან, კეთილ, პარტიის, პიონერების პატრიოტს, მაგრამ, ამასთანავე, უმოქმედმიზნო ლოთს, ალექსეი სიდორიჩს, ეთხოვება ჩვენი ქუჩის პიონერთა კოლექტივი, _ მკაცრად, უდეკლამაციოდ დაიწყო ლენამ. ბიჭები პიონერული სალმის მდგომარეობაში უსმენდნენ, ლენა ამთავრებდა თავის სიტყვას: ის იყო ლოთი, არაფრის მაქნისი და, თუ აშკარა მაგალითად არ ავიღებთ, როგორ შეიძლება ამ ქვეყნიდან უნაყოფოდ წავიდეს კეთილი, პატიოსანი კაცი, ალკოჰოლის მიღებისგან გაბრუებული და მხოლოდ საკუთარ თავთან სწორი ფიქრებით მოხეტიალე, სხვაფრივ უნაყოფოა მისი ცხოვრება. «Вперед, ребятки, вперед», გაუთავებლივ იმეორებდა ალექსეი სიდორიჩი და სულმოუთქმელად უსმენდა პიონერხელმძღვანელის სიტყვას, მას გული იმდენად გაევსო, რომ რაღაც კარგის, მოქმედის თქმაც კი დააპირა, მაგრამ ის მკვდარი იყო და მის მაგიერ ლაპარაკობდა პიონერი ლენა: კვდება ადამიანი და სიკვდილი ამბობს, რომ არ ყოფილა მისი სიცოცხლე ტყუილად, მან ჩვენ გვიანდერძა: წინ, ბავშვებო, წინ, _ წინ, პიონერებო, წინ, _ გაიმეორეს ბავშვებმა და წამოიწყეს პიონერული სიმღერა.

საოცარი სიმსუბუქით აიტაცეს ხელში ლოთის გვამი, ჰიმნით გასწიეს საფლავისკენ, აქ ორმა უკანა მხრიდან შემოუარა აყალო მიწას, ზენიტში ასული მზისგან იკარგებოდა მათი ჩრდილები. აცხუნებდა, მნათობს თითქოს უნდოდა ამოეღო ყველაფერი მიწიდან, რისი ამოღებაც კი შეიძლებოდა. იმდენად პირდაპირი იყო სხივების ცემა, რომ გვამმა, საფლავის ფსკერისკენ დაშვებულმა, თითქმის გეომეტრიული სიზუსტით დაფარა თავისი ლანდი. ბავშვებს სახეები ქვევით ჰქონდათ დაშვებული, მხოლოდ ცხედარი იყურებოდა ზევით, მზისკენ, საშინელი ტკივილით იგრძნო მან ეს უცნაური დამთხვევა, თავისდაუნებურად ოდნავ შეინძრა, რომ როგორმე მეტი ჩრდილი მაინც გამოეცა მის სხეულს; ამ სრულიად არასაჭირო, უაზრო მოქმედებამ მკვდრისათვის უცნაური შედეგი გამოიღო: იმ ბავშვს, რომელსაც ის ფეხების მხრიდან ეჭირა, ჩაშვების დროს, ფეხი დაუცურდა და საფლავში ჩავარდა.

შიშისგან გაისუსა გარემო. გაქვავებულივით იდგა ლენა, აქ უკვე მას არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. ის გრძნობდა, როგორ ებერებოდა ცრემლით ბავშვური თვალები, ამავე მდგომარეობაში იყვნენ სხვა პიონერებიც; ისინი იქცნენ წეღანდელ დაღლეტილ, ლახტის მოთამაშე მოწაფეებად; იდგნენ გულგაღეღილები, უქამრო, ისევ გამოუჩნდა ლენას დაწითლებული კანჭები, ფოთოლიც კი არ ინძრეოდა მათ ახლოს, უმაღლეს წერტილს მიაღწია სიჩუმემ და უცებ საფლავიდან გაისმა საშინელი ქვითინი, ამოვარდნილი გმინვასავით: «მიშველეთ!» ყვიროდა ბავშვი, «უშველეთ, უშშშ» აშრიალდა ყველაფერი; ტირილად იქცნენ მოწაფეები, «უუს» ღრიალებდნენ ისინი; გარშემო არავინ იყო, მათ გარდა, უფროსი, ვისაც შეეძლო მათი ამხანაგის ამოყვანა, არ იყო არც ერთი სულიერი, გარდა ცარიელი სახლებისა, ქოხისა, გუბედ ქცეული წყლისა, უხმო ექოდ ქცეული გმინვისა, ამას გრძნობდა, გრძნობდა ტირილამდე, მკვდარი ალექსეი სიდორიჩი და უცებ მან მიაფურთხა ყველაფერს, მიაფურთხა იმასაც კი, რომ მკვდარი იყო და ფეხზე წამოდგა, ხელში აიყვანა ატირებული ბავშვი, მძლავრი მოძრაობით ააგდო საფლავიდან, შემდეგ თვითონაც ამოფორთხდა, მის მიერ ფეხის უსწორო დადგმისაგან ჩაშლილი მიწის ნაწილმა დენა დაიწყო საფლავში. რამდენიმე წუთის შემდეგ აღარაფერი აღარ დარჩა იმ ადგილას, სამარის მსგავსიც კი, რიტმულად გადავიდა ტირილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებში, სლუკუნით სიცილში, რაღაცნაირ შინაგან თავშეუკავებელ სიმხიარულეში და საოცრად დაემსგავსა კაკანს.

კა-კა-კა-კა-კა კაკანებდა აფხორილი, გაკვირვებული კრუხი; მისი წიწილები, აფორთხებულები ალექსეი სიდორიჩის გულზე, შარვლის დაკემსილ ჯიბეებში

ჩარჩენილ პურის ნამცეცებს კენკავდნენ; ნაზად მოიშორა ისინი ლოთმა, გაჭიმა ხელები, თითი წინ წაიღო და დააპირა ეთქვა «Вперед, ребятки, вперед», მაგრამ გამოფხიზლებულს თითქოს რაღაც მოაგონდა, რამაც მაინც ვერ შეუშალა ხელი და სათქმელი გაიმეორა: «ჰო, მზე პირს იბანს,» გაიფიქრა მან. გარეთ, გაშანშალებულ მზეზე, საიდანღაც საბედისწეროდ შერჩენილი ღრუბლიდან კოკისპირულად წვიმდა. მან მხარზე მიტოვებული ერთი წიწილა მუჭაში ჩაისვა, მერე დასვა მიწის იატაკზე. პატარა გოგმანით გაიქცა თავისი ყვითელი დებისკენ. ალექსეი სიდორიჩმა თვალი ჩაუკრა წიწილებს. «Вот и вы мои желтые цыплята, вперед, ребята, вперед» _ იჯდა სიდორიჩი გაკვირვებული თვალებით თავის საწოლში და ღია კარებიდან გარეთ იყურებოდა.

[1959 წლის შემოდგომა]

ის-ის იყო ღამდებოდა, საშინელი რუხი ამინდი იდგა და წვიმდა ზუსტად თბილისურად, არც ძალიან მაგრად, არცთუ ნელა; გრიალით ჩავლილი მოწყენილი მანქანები როგორღაც ახერხებდნენ ყველა პატარა წუმპეშიაც კი ჩაჭყლაპუნებას და საოცარი სიზუსტით წუწავდნენ ტროტუარებს, რომლებიც მათ ჯიბრზე ცარიელი იყო – ის, ვინც წასასვლელი გახლდათ კინოსა და თეატრში, უკვე წავიდა, ვინც არა, აღრენილი იჯდა სახლში, ყველაზე წყნარი, თვინიერი ადამიანიც კი ახერხებდა რაიმე შარი მოედო თავისი ქვეშემდგომისათვის, ებუზღუნა, ეტრიალა, ეთქვა ცოლისთვის, რომ ვერაფრით ვერ წარმოედგინა, მის ხელში როგორ გაძლო ოცდაათი წელი, თავის მხრივ ცოლისგანაც, ორმაგი კომპლიმენტი მიეღო. ჯერ მარტო ამ ოცდაათი წელში იმისი ტალახების წმენდა, რომელშიაც, რაც გინდა მშრალი ამინდი ყოფილიყო, მაინც ახერხებდა ქმარი ჩავარდნას, ღირდა იმად, რომ მიეტოვებინა და სხვას გაჰყოლოდა;

შეყვარებულს შეყვარებულისთვის, რომლებიც კინოს შესასვლელში ნაცრისფრად ატუზულები იდგნენ და ერთმანეთი უშნო და თავისთვის უღირსი ეჩვენებოდათ – ეთქვა, რომ დრო იყო დაშორების და მეორე დღისთვის შეხვედრის ადგილი ზუსტად ათჯერ გამეორებით აღარ დაენიშნა. «დამირეკე ხვალ ან ზეგ», ისმოდა ბინდბუნდში მიმალული გოგოს ხმა. «კარგად», თითქმის თავისთვის ამბობდა ბიჭი.

ყველაფერი იყო ისეთი რუხი და აუტანელი, და ვერაფრით ვერ დააჯერებდით ქუჩაში კედელს მიყუდებულ ვალიკოს, რომ ეს ასე არ იყო, რომ ამ ქვეყანაზე საერთოდ შეიძლებოდა ამ დროს, როცა წვიმს, როცა ასეთი ამინდია, ყოფილიყო კაცი სხვა ხასიათზე – ყველაფერს ის ამინდს აბრალებდა და არაფრით არ უნდოდა ნამდვილი მიზეზი გამოემჟღავნებინა თავისი თავისთვის. თუმცა ასეთ უადგილო გულახდილობას აღარცა ჰქონდა აზრი. მან ის უკვე იცოდა, იმ მიზეზის გამო დალია და იმ მიზეზით არ მიდიოდა სახლში. «ჩემისთანა კაცი, რომელიც აღარავის აღარ უნდა, გარეთ უნდა მოკვდეს», გული აიჩუყა მან რომანტიკული ფრაზით, რის გამოც თვალებზე ცრემლებივით მოაწვა და გააბოლა, მაგრამ გაბოლებამდე გაჯიუტდა ასანთი, რომელმაც წვიმასთან, მის ცუდ ხასიათთან პირი შეკრა და მხოლოდ მთელი კოლოფის მიხარჯვის შემდეგ დაინთო.

ბოლი ღრმად შეიწოვა მან, მერე გრძელ ხაზად გაუშვა წვიმის სწორ ხაზებს შუა ზიგზაგებად და ოდნავ გაიმართა, _ მასზე ყოველთვის გამამხნევებლად და «ვაჟკაცურად» მოქმედებდა პაპიროსი, პაპიროსს ქვეტექსტად ათასი რამე აქვს, განსაკუთრებით მძიმე სულიერი განცდის დროს მოწევისას: მეც კაცი ვარ ვნახავთ

/ირონია, მიმართული ეთერში/; რას ვიზამთ /ორმაგი ირონია/ და ერთი მაგათი /ტონუსის აწევის უმაღლესი დონე/. შემდეგი ნაფაზები თავის მიზანს ველარ აღწევენ და ეს რომ მწეველმა იცოდეს, ბოლომდე არასოდეს არ მოსწევდა პაპიროსს. ეს არ იცოდა ვალიკომ, ამიტომ ნამწვის ლევასთან ერთად ნელ-ნელა დაეცა ისევ მისი ხასიათი და ბოლოს, გამომწვარი «ყაზბეგით», რომელსაც ქაღალდის სუნმა დაჰკრა ბოლო შესუნთქვისას, წელში ისევ მოიხარა ნელ-ნელა და უფრო საცოდავი და უღონო ფორმა მიიღო, ვიდრე ეს წევის დაწყებამდე ჰქონდა. პირველი აზრი, რაც თავში მოუვიდა, იყო ის, რომ კიდევ მოეწია, მან მაგრად შეისუნთქა ჰაერი, ცივი, სასიამოვნოდ ცივი მისი აღგზნებული ბუნებისთვის, და ამ ღრმა ჩასუნთქვამ იგივე რეაქცია მოახდინა, რაც პირველმა სამმა ერთად. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება, რომ მის ზევით ფანჯარაში შეუსვენებლივ უკრავდა ვიღაც და მორიგეობით იცინოდა ერთი გოგო მაინც, ვალიკომ ქუჩას გახედა, ისევ ისეთი ნაცრისფერი და მოწყენილი იდგა ყველაფერი. «საწყლები», გაიფიქრა იმ ხალხზე, რომელიც ილხენდა, ის არც კი გაბრაზებულა, იმდენად დარწმუნებული იყო, რომ იმ მოლხენაში იძულება უნდა ყოფილიყო. გაიფიქრა ეს ვალიკომ და ჩაუფიქრდა საკუთარ თავს, საკუთარ ბედს. კარგი ვერაფერი წარმოიდგინა, იმდენად დიდ მორალურ დეპრესიას განიცდიდა. მე ვისარგებლებ ამ წამებით, როცა გმირი მხოლოდ თავისთვის ფიქრობს, ვინ იცის რას, და აღვწერ მის გარეგნობას, რომელიც ყოველთვის ეთანხმება შინაგან სულიერ ტრაგედიას: 24 წლის ბიჭი, მოშავო ულვაშებით, არც მაღალი, არც დაბალი, მხრებში გამართვის დროს ენერგიით სავსე და მოხრის დროს გამოფიტული, არავითარ შემთხვევაში 27 სანტიმეტრზე ნაკლები შარვლით, ლუქსის ფეხსაცმელებით, საეჭვო გემოვნებით შეკერილი თუ ნაყიდი პალტოთი და მწვანე შლიაპით, რომლის ქვევიდანაც მოჩანდა შავი ტალღოვანი თმის დასაწყისი, ორი ჩასმული კბილით და მათ შუა გაჩხერილი პაპიროსით. – აი, გარეგნობა _ ვინ უნდა ყოფილიყო და რაზე უნდა ეფიქრა მას, უეჭველია, ამ ასაკის ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო კომკავშირელი, ხოლო ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც მას შეიძლება დამართვოდა, უნდა ყოფილიყო კომკავშირიდან გარიცხვა, ყველა დაინტერესებული გამვლელი, საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური დაკვირვებების შედეგად, თამამად მივიდოდა ამ დასკვნამდე და ის არ შეცდებოდა არც ერთი წამით. მაშასადამე, ჩვენ წინ იდგა კომკავშირიდან უღირსი საქციელისათვის გარიცხული ახალგაზრდა კაცი, კი არ იდგა, არამედ ახლა უკვე მიდიოდა, საკუთარი დანაშაულის გრძნობით დამძიმებული, სახლისკენ, მიდიოდა მარტო, მიტოვებული ყველასგან, მასზე, საერთოდ, არც კი ფიქრობდა ვინმე _ მისი აზრით.

მაგრამ რა გულუბრყვილონი არიან პიროვნებები, რა არასამართლიანები, განსაკუთრებით გაბრაზების, აღელვების მომენტში – ვალიკოზე სწორედ ამ წამში ქარხნის კოლექტივის 25 პროცენტი, ე.ი. მთელი კომკავშირლობა, მსჯელობდა, არჩევდა მის ნაკლოვან და ჩრდილოვან მხარეებს, თავის ხარკს აძლევდა დადებითს და სწორედ ამ უკანასკნელზე დაყრდნობით გამოიტანა დასკვნა, რომ კომკავშირიდან გარიცხვა უნდა იყოს მისთვის სამაგალითო, დროებითი სასჯელი, ხოლო მისი სულიერი მდგომარეობის წესრიგში მოსაყვანად უნდა გაიგზავნოს მოწინავე მუშა-კომკავშირელი შალო, ბიჭი ღია, თითქმის წითელი თმებით, ყველასთვის საყვარელი ამხანაგი, ნდობით აღჭურვილი მმართველობაში თუ ამხანაგთა შორის. «მიყვარს წვიმიანი, ერთი შეხედვით, მოწყენილი ამინდი, აქ თითქოს ადამიანი მალავს თავის სიხარულს, რომელიც სითბოსა და სინათლეში შესვლასთან ერთად უნდა უცებ გამომჟღავნდეს», ფიქრობდა ფართო ნაბიჯებით წუმპეებში ჭყაპუნით მიმავალი შალო, რომლის ტონუსმაც ორმაგად აიწია, როცა იმ ფანჯარას ჩაუარა, საიდანაც

მუსიკის ხმა ისმოდა და სადაც ორი წუთის წინ იდგა ვალიკო. «აი, სამართლიანი, მხიარული დასვენება, გარეთ წვიმს, ისინი ილხენენ სამაგალითო შრომის შემდეგ თბილ, ნათელ ოთახში, თუმცა არც აქ არის ცუდი, გარეთ, წვიმაში, ჭყაპში, პირიქით, აქ არის ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება სიძნელეებს შორის, სავსე შემთხვევებით, უსენტიმენტოდ. მიაბიჯებდა ის მუსიკიანი ფანჯრის გაყოლებით და ევსებოდა სიამაყით გული, ერთგვარი უპირატესობის გრძნობით, რომ მან გვერდზე გადადო ყველა გართობა შაბათ დღეს და ვალის აღსრულებისათვის არ შეუშინდა სტიქიონს, გარდა ამისა მას კომკავშირული ნატურა ქვეშეცნეულად ახსენებდა, რომ ამინდი, როგორც ასეთი, ხასიათის გამფუჭებელი არ არსებობს და ყველა ამინდში შეიძლება აბიჯო წინ და ლაღად.

საოცარია რატომ არ მოსდიოდა იგივე ფიქრები თავში ვალიკოს, თუმცა იმას უკვე ჰქონდა გასამართლებელი საბუთი – გასამართლებელი საბუთი ცხოვრებაში მისთვის ყოველთვის პირველი იყო, ახლაც იპოვა ის – განა შეიძლება გიხაროდეს ასეთი ამინდი, ან რატომ უნდა გიხაროდეს, როცა გაგრიცხეს, მიგატოვეს.

«მე ვალიკოსგან გამოვიყვან კაცს, მთავარია არ შეუშინდე სიძნელეს», მიაბიჯებდა მასავით ნელა, ოღონდ სხვა ნაბიჯით მის უკან შალო, მანძილი მათ შორის არც იზრდებოდა, არც მცირდებოდა და ის სწორედ მაშინ შევიდა ვალიკოს ნაქირავებ ოთახში, როცა ვალიკომ პალტო სკამზე მიაგდო და შლიაპიანად ჩაჯდა საწოლში.

შალომ, სავსემ მოვალეობის გრძნობით, თავიდანვე აიღო სიტუაციის უფროსობა ხელში «რატომ ჯდები შარვლით, სველი შარვლით ლოგინში» – უთხრა მან ღიმილით და ხელი დაჰკრა კომკავშირელ ამხანაგს მხარზე….

[1960წ. ზამთარი]

სულ დანაწევრდა და აოხრდა გარე მტერთა თარეშითა და გამუდმებული შინაფეოდალური ომებით ისედაც მრავალტანჯული საქართველო, მოიშალა ცენტრალური მტკიცე მმართველობა, დაირღვა ტაძართა თუ ციხე-გალავანთა მშენებლობის მაღალმხატვრული სტილი; თავისებური ნაყოფი გამოიღო ამ გარემოებამ: განვითარდა თითოეული ცალკე საერისთავო ქართლ-კახეთსა თუ შორეულ მთებში, შეიქმნა მმართველობის ვერაგი, მოშუღლე, ინდივიდუალური სისტემები, ინდივიდუალური მშენებლობა, დასაყრდენი შესაფერი წესწყობილებისა.

ამ პერიოდში პირადი პატივმოყვარეობით შეპყრობილი ფეოდალები არავითარ ზომას არ იშურებენ მეფის თუ მეზობელი სამთავროს სავნებლად. უგზავნიან მოსყიდულ მკვლელებს ერთმანეთს, ასმენენ ყაენთან, მოტყუებით მოპატიჟებულ მეზობლებს ღვინით ათრობენ და ისე ხოცავენ, თვალებს სთხრიან, ასახიჩრებენ. ძმა ძმას არ ინდობს, საკუთარ მამას აგდებს გამძვინვარებული მებატონე ციხის თავიდან, ყველგან და ყველაფერს ცდილობს დააწეროს თავისი უღირსი სახელი და ამით უკვდავყოს თავისი «საქმეები».

შემზარავი, დაწვრილმანებული ვნებები ტრიალებენ მთელ ფეოდალურ მსოფლიოში, რომელთა გადამეტებასაც ცდილობს აღმოსავლეთის ურდოებისაგან ისედაც ძალაგამოცლილი ქართველი თავადი. აცამტვერებენ ამ არეულობით აღფრთოვანებული ყაჩაღი ლეკები გლეხკაცის საუკუნეების შრომას, ჩეხენ ვაზებს – ქართველის ამ უდიდეს ეკონომიკურ და კულტურულ დასაყრდენს, ხოცავენ და,

საკუთარი გლეხისადმი, საკუთარი სიძლიერისადმიც კი მტრულად განწყობილ თავადთა დახმარებით, მაღალი ფასის ტყვეებით ავსებენ მსოფლიო მონათა ბაზრებს.

ლხინს მისცემია კახეთის თავადი ჯანდიერი; გაშლილი სუფრის ბოლოსთან იზლაზნება ეშმაკი მოურავის მოუხეშავი სხეული.

_ სამახარობლო, ბატონო, ყვირის სუფრის ბოლოდან, _ გუშინ ღამით ჭავჭავაძეებს ლეკები დასხმიან და ოცი კაცი გაუტაციათ, ამდენივე მოუკლავთ.

აღფრთოვანებული ჯანდიერი წამოვარდება სკამიდან და თავისი «გამარჯვების» სადღეგრძელოსა სვამს, თუმნიანით ასაჩუქრებს მახარობელს, მეორე დღეს მას ესხმიან თავს ლეკები და, ალბათ, ისევ თუმნიანს იმსახურებს, ოღონდ ახლა ჭავჭავაძეთა მოურავი.

ძნელია ამ არეულობაში იპოვო ერთი კეთილშობილი ადამიანი მაინც, ვისაც თავისი ერისთვის გული შესტკივა.

აღფრთოვანებულია თავისი პიროვნებით არაგვის ერისთავი ბარძიმ, დიდი წარწერით შეამკო ანანურის ეკლესია, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი, დიდი პატრიოტი, უგანათლებულესი, უკეთილშობილესი პიროვნება, საქართველოს გეოგრაფიის აღმწერი, ასე წერს: «ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და არარაიდ ვინმე უჩნდა». ასევე შეიძლება დახასიათებულ იქნეს მთელი წინაპარ-შთამომავლობა არაგვის გულზვიად ერისთავებისა.

ბუნებრივია, მხოლოდ მტკიცე ზღუდეებით გამაგრებულ ციხესიმაგრეებს შეეძლოთ დაეცვათ ყველასთან და ერთმანეთშიც კი მტრულად მყოფი ეს მებატონეები. მათ მიერ დუშეთში აშენებული ბურჯ-გალავნები არაერთხელ იქნა დანგრეული და მიწამდე გასწორებული იმდენად, რომ დღეს მათი კვალიც კი ძნელი მისაგნებია; ამ შემთხვევაში წინდახედულმა ერისთავებმა სათადარიგოდ აიშენეს XVI საუკუნეში არაგვისა და ვეძის შესართავის ფერდაზე ანანურის ციხესიმაგრე, შეამკეს იგი ყველა საჭირო საცხოვრებელი შენობებით, წყალსადენით, მცირე და დიდი ეკლესიით და გალავანში დატანებული კოშკით, _ «შეუპოვრის» სახელწოდებით; ამ საბედისწეროდ აშენებულ კოშკშივე ცოცხლად იქნა ამომწვარი მათი გვარეულობის უკანასკნელი ნაშიერი დაუღალავი მოშურნის შანშე ქსნის ერისთავის მიერ.

დღესაც კარგადაა შენახული გვიანფეოდალური ხანის ამ ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნაგებობის მთელი კომპლექსი, თავისი საკულტო, საფორტიფიკაციო და სამოქალაქო მნიშვნელობის ძეგლებით. ასეთივე ბედი არ სწვევია ე.წ. ქვედა ციხეს, რომლის ზღუდის მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებიღაა შემონახული.

ვინც არ იცის მთელი საშინელება იმ ეპოქისა, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოვიდეს საქართველოს სამხედრო გზით მგზავრობის დროს ანანურის ციხის ნახვისას, არ ჩამოვიდეს მანქანიდან და პატივი არ სცეს ნიჭიერ, ხალხის წრიდან გამოსულ არქიტექტორთა ღვაწლს, რომელთა ნამუშევრის მხატვრული არასრულყოფილება, ადრეფეოდალური მტკიცე სახელმწიფოს დროინდელ ძეგლებთან შედარებით, მხოლოდ ხელოვნების ისტორიის სპეციალისტს შეიძლება ეცეს თვალში.

მრავალი პარალელი მოეპოვება ადრეულ ტიტანებთან, სვეტიცხოველთან თუ ალავერდთან, ანანურის დიდ გუმბათოვან ეკლესიას, არასრულყოფილების მიუხედავად. საქართველოს ძეგლთა შემსწავლელნი არ ტოვებენ უყურადღებოდ და გულნატკენნი, რაც შეიძლება კეთილსინდისიერად სწავლობენ მას.

ბევრი ახირებული ადამიანია სიძველეთა შემსწავლელთ შორის. მათთვის ყველაზე დამახასიათებელია შეყვარება რომელიმე ძეგლისა უცნაური, განსაკუთრებული

სიყვარულით, მათ რიცხვს ეკუთვნის ანანურის მუზეუმის დირექტორი საურმაგ მაისურაძეც.

ბევრი რამ გააკეთა მაისურაძემ ამ ძეგლის შესწავლისათვის, პირველ ყოვლისა, მოიშვა წვერები, შეიმოსა ოდნავ უცნაურად, სველი სავარცხლით უკან გადაივარცხნა ევროპულად გაყოფილი თმები, ფეხებზე ჩაიცვა მთიულური ბანდულები, წინდებში ჩაიტანა პაჭიჭებიანი შარვალი, ხოლო ზედა ტანი შეიმოსა თეთრი პერანგით, ჰალსტუხით და უკანასკნელი მოდის პიჯაკით, რისგანაც გამოვიდა უცნაური ჰიბრიდი არაგვის ერისთავთა დროისა, ნაჯვარი ჩვენს დროსთან; შემდეგ სოფელში ნაქირავები სახლიდან გადასახლდა ე.წ. რვაწახნაგა სადგომში, რომელიც ანანურის ციხის გალავანშია ჩადგმული და არსაიდან არა ნათდება, ამ გარემოებამ იგი მიიყვანა იდეამდე გამოეყვანა შიგ ელექტრონი, რამაც ბიძგი მისცა ამ, ოდესღაც, ალბათ, საპყრობილის ევროპულ ბინად გადაკეთებას _ საწერი მაგიდით, დაბალი ხის სავარძლებით და ერნესტ ჰემინგუეის სურათით, რამაც, თავის მხრივ, შეაძენინა თოფი, რომლითაც არასოდეს არ გაუსვრია; თოფი სწრაფად იქნა დაკიდებული თბილისის ფიტულების მაღაზიაში შეძენილ ირმის რქებზე.

გაფორმდა თუ არა გარეგნულად, დაიწყო ზრუნვა შინაგანი ბუნების გასამდიდრებლად. იყიდა ჰემინგუეის ახლად გამოცემული ორივე ტომი, «Иностранная литература»-ს ის ნომრები, სადაც რემარკის «ტრიუმფალური თაღი» იყო დაბეჭდილი და ვახუშტი ბატონიშვილის «აღწერაი სამეფოისა საქართველოსი», აგრეთვე «ქართლის მოქცევა» და «სახარება». ამ წიგნების წაკითხვას ის, რა თქმა უნდა, არ შესდგომია, იმდენად ორგანულად შეესისხლხორცა იგი ამ ორივე ეპოქას, ახლა საჭირო იყო მხოლოდ გარკვეული კავშირის დაჭერა სოფლელებთან, რომლებიც მასში ვერაფერ უცნაურს ვერა ხედავდნენ და ყველა მის მოქმედებას ისე იღებდნენ, როგორც აუცილებელს მუზეუმის დირექტორისათვის.

საიდანღაც თავისთავად გაჩნდა მოხუცი უპატრონო ქალი, რომელმაც იკისრა მისი პატრონობა, ქალს ერქვა მართა, რაც საურმაგმა სრულიად დამაკმაყოფილებლად მიიჩნია და გაუღიმა; მართამ ღრმად ამოიოხრა, თავისი ქვრივოხრული ისტორიის მოყოლის ნაცვლად, და წყლის მოსატანად გასწია სოფლისაკენ.

_ მართა, _ თქვა საურმაგმა, _ თქვენ ნამდვილი ღვთისმოყვარე ქალისა და წამებულის სახე გაქვთ.

_ ეჰ, რაც მე ტანჯვა მინახავს, _ გაუბრწყინდა მართას თვალები მოსაყოლად, მაგრამ საურმაგი მტკიცედ განაგრძობდა, _ მართა, თუ არ ვცდები, როდესაც შანშე ქსნის ერისთავი თავს დაესხა არაგვის ერისთავთ, მაშინ გალავანთან, წყალსადენში, რომელიც აგურითა და ქვის სწორი წყობით არის ნაშენი, რაც მიგვითითებს მის გვიანფეოდალურ ხანაში მშენებლობაზე ან, უფრო სწორად, ციხესთან ერთად მის წარმოქმნაზე, წყალი მოდიოდა.

_ ეეჰ, _ ამოიოხრა მართამ.

_ წადით, მართა, მოიტანეთ წყალი, _ ნება დართო საურმაგმა და თვითონ მთლიანად მიეცა ფიქრს დანგრეული წყალსადენის რეკონსტრუქციის შესახებ; მის თავში იხატებოდა შემზარავი სურათები მტრის მიერ მოღალატურად მოჭრილი წყალსადენის შესახებ და ფანტაზია უხატავდა ახალ პროექტებს ახალი წყალსადენის გამოყვანისა ახალი საშიშროების დროს;

საურმაგი ამ ფიქრებით იყო გართული, როდესაც მართას წყლით სავსე ვედროები მოჰქონდა ციხისაკენ, ხოლო მთელი დანარჩენი სამყარო მოეცვა უცნაურ, მოუთმენელ მოძრაობას.

უპირველეს ყოვლისა, ეს მოქმედება ეტყობოდა საქართველოს სამხედრო გზას, რომლის ორივე მხარეს შემდგარი ასობით მანქანა სიჩქარეების ცვლითა და ოხვრით მირბოდა ერთმანეთისკენ, უვლიდა გვერდს, ქრებოდა, ისევ იმართებოდა და ისევ მირბოდა.

პატარა, მოუსვენარი მწერებივით ჩანდნენ ისინი დარიალის ხეობის უზარმაზარ ლოდებს შორის, ხოლო მათ ხმაურს უცებ ყლაპავდა თერგის რახრახი, მიუხედავად ამისა, თითოეული მანქანა დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ის არის ძირითადი, ნამდვილი საქმისთვის მოწოდებული. ეს მატებდა მათ სირბილს მისწრაფებას, ენთუზიაზმს. «Мы работаем честно, мы отдыхаем всей душой и на это имеем право», ამ ლოზუნგით მორბოდა ორჯონიკიძიდან უკვე დათვის ჯვრის უღელტეხილზე ამოვარდნილი ტურისტული ავტობუსი. თითქმის შიშველმა მგზავრებმა უღელტეხილის ნისლში გახვევისთანავე სამგზავრო მოსასხამები ამოიღეს და სიმღერა შეწყვიტეს, მხოლოდ ტურისტული ჯგუფის ოცმეთაური ვალია იჯდა ისევ შიშველი მკლავებით და ხმამაღლა ამბობდა: « სტიქიის არავითარ მოულოდნელობას არ შეუძლია შემაცვლევინოს მე ნირი». ტურისტები უკმაყოფილოდ უყურებდნენ მანქანის რხევისგან ათამაშებულ მის დაუფარავ მხრებს, რომელზედაც ნესტის წვეთები აბურძგნილიყვნენ. «Ишь, какая выскочка!» _ იძახდნენ ისინი, აძაგძაგებული სიცივისაგან, რასაც ეს სიშიშვლე უფრო უსვამდა ხაზს, მაგრამ მანქანა სწრაფად ჩაქანდა ქვევით, ისევ გამოანათა მზემ, ისევ გაიღიმა ყველამ; ვალიამ მკაცრად გადახედა მოხუც გამხდარ ქალს, რომელმაც უკოლექტივოდ სცადა სიმღერის დაწყება: «მოდი, მოვიგონოთ ჩვენი საკუთარი სამარშრუტო სიმღერა», მკაცრად, ტუჩების აბზეკით თქვა მან. «Мы едем по Дарьяльскому ущелью,» _ კისრის წაგრძელებითა და სიმღერის ინტონაციით თქვა მორცხვმა ტურისტმა ბიჭმა და ვალიას მკაცრი გადახედვისას ისევ დამალა თავი, «არ ვარგა, აბა, ვინ მოიგონებს უკეთ», ტუჩების აბზეკით გაიღიმა ვალიამ და თვითონ დაიწყო: «მე უკვე მოვიფიქრე, ჩვენ ვინ ვართ? ტურისტები. რას ვშვრებით? ვმოგზაურობთ! რატომ? ეგზოტიკის მისაღებად, არა? მაშ ასე, სიმღერა დავიწყოთ ერთად, მარშის ხმაში: « «Мы создаем себе экзотику, экзотику!» აბა, ყველამ ერთად, მისამღერი «эк-зооо-ти-ку!» ამღერდა, ახმაურდა მთელი მანქანა და ისე დაეშვა მლეთის დაღმართზე ანანურისაკენ, რომ ვერც კი გაიგეს.

ანანურში კი ელოდათ ტურისტებს ნამდვილი ეგზოტიკა, ანანურის მუზეუმის დირექტორის სახით.

როდესაც ტურისტებით სავსე გადახდილი ავტობუსი გაჩერდა ანანურის ციხის კედლების ქვევით, გზაზე, საურმაგ მაისურაძე გადმომდგარი იყო გალავანზე და აუღელვებელი სახით ათვალიერებდა კიბეებზე ეგზოტიკის დასაწაფებლად ამოვარდნილ ტურისტებს. მას გვერდით ედგა მართა უაზრო სახით.

_ მართა, რა არის, თუ იცით თქვენ, შუა საუკუნეები? – დამარცვლა საურმაგმა.

_ ეეჰ, აბა, რა ვიცი, შვილო, მე, ქვრივოხერმა.

საურმაგი განაგრძობდა:

_ შუა საუკუნეები არის სრული უაზრო არეულობის ეპოქა, რომელშიაც პატივსაცემი ხდება ის, რასაც, საერთოდ, სხვა დროს არა სცემდნენ პატივს, ე.ი. ადამიანთა მოუსვენარი ვნებები, მართალია, უმიზნო გარკვეულ დროს, ოღონდ მაინც დიდი ვნებები, თავისი ადგილის საპოვნელად აშლილი და ამხედრებული.

_ ეეჰ, შვილო, _ ისევ ამოიოხრა მართამ და უცებ შეშინებული გაჩერდა, მის წინ მკაცრი სახით იდგა ჯგუფის ოცმეთაური ვალია და კითხულობდა:

_ ვინ არის აქ უფროსი, ჩვენ ბევრი დრო არა გვაქვს, გთხოვთ აგვიხსნათ, დაგვათვალიერებინოთ. ჩვენ რაც შეიძლება ბევრი ეგზოტიკა უნდა მივიღოთ მოკლე დროში.

გულის სიღრმეში საურმაგი მოუთმენლად ელოდა თავისი მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე გაშლას და, მით უმეტეს, დიდი სიამოვნებით ასეთ გოგონასთან, გეგმაში ჰქონდა დაეწყო საქართველოს ისტორიის სულ შორეული კუნჭულიდან, რომელიც თვითონაც არ იცოდა კარგად, მაგრამ გოგოს გულმკერდი ისე მომხიბლავად იყურებოდა, რომ მოულოდნელად ასეთი სახის ბოდიში მოიხადა:

_ მაპატიეთ, რომ არ არის საშუალება ღირსეული პატივი გცეთ, მე სულ ახლა დავბრუნდი... დიახ, ნადირობიდან, სამწუხაროდ, დათვისა და ჯიხვის ხორცი უკვე გამომელია.

_ ნუ იხდით ბოდიშს, _ შეუსწორა ვალიამ, - არც ბევრი მოყოლაა საჭირო, მხოლოდ მითხარით, რა მხრიდან და სად შეიძლება ყველაზე მაღლა ავრომა, თუნდაც აი, იმ კოშკზე, ჩვენ რაც შეიძლება მოკლე დროში მეტი ეგზოტიკა უდნა მივიღოთ.

_ ეგ კოშკი აშენებულია...

_ ავრომა საიდან შეიძლება?

_ მე მგონი...

_ არ გინდათ გვითხრათ, არა?

_ დიდი სიამოვნებით.

_ მოდით აქ ყველანი... ახლა გვეტყვიან, საიდან შეიძლება ავრომა.

_ აქედან, აქედან, _ თქვა მართამ და ხელი გაიშვირა მეორე მხარეს გასასვლელისაკენ, რადგან ვერ გაიგო რას ეკითხებოდნენ და ეგონა მეორე გასასვლელს კითხულობდნენ.

[1960 წ.]

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

წერილის მაგიერ:

მოხუცებული
(ნოველა დღიურ-ეპილოგით)

არქივში ინახება მოთხრობა «მოხუცებულის» მხოლოდ ერთი ავტოგრაფი (1_14გვ.). სავარაუდოა, რომ სხვა ვარიანტი არც არსებობდა. «მოხუცებული» გადმოგზავნილია მოსკოვიდან «წერილის მაგიერ» მომდევნო მოთხრობასთან («მატარებელი სტეპში») ერთად. მოსკოვიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში გურამი წერს:

«დედა და მამა!

გუშინ მივიღე თქვენი დიდებული ამანათი.....

მარინეს წერილი მივიღე _ წერდა _ შენი წერილები არ მოდისო, ტყუილია. თითქმის სამ დღეში ერთხელ ვგზავნი, ორი ნოველაც გამოვგზავნე ორ წერილად _ ალბათ, იკარგება, არც ჩემთან მოდის ხშირად წერილები _ ავიო უფრო სანდოა.

იყავით კარგად

თქვენი გურამი». (სრული სახით დაიბეჭდება მეხუთე ტომში).

«მოხუცებული» მწერლის მიერ არასწორადაა დათარიღებული: «1957 წელი 24 თებერვალი 11^{30}_12^{45}» (ავტორისეული მცდარი დათარიღების სხვა შემთხვევებისათვის იხ.: ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის, და ტომი 2, «ნადირობის» შენიშვნები). მოთხრობა დაწერილია მოსკოვში 1958 წლის (გურამი მოსკოვში წავიდა 1958 წლის 23 იანვარს) _ და არა 1957 წლის _ თებერვალში (1957 წლის თებერვალს მიეკუთვნება ბაკურიანის ციკლის მოთხრობები: «მოუნდა», «თოვლი დნება» და სხვ.). «მოხუცებული» არის 1958 წელს დაწერილი პირველი მოთხრობა. ეს უნდა იყოს მიზეზი, ისე როგორც «ნადირობის» შემთხვევაში, მისი მექანიკურად მცდარი დათარიღებისა. «მოხუცებულს» მოსდევს «მატარებელი სტეპში». ორივე ნაწარმოები დაწერილია «მარინას» შავი ვარიანტის მსგავს ფურცლებზე (გურამი «მარინაზე» მუშაობდა მოსკოვში თებერვალ-მარტში). ფურცლები შუაშია გაკეცილი, ნაწერია ორივე გვერდზე ლამაზი, მომსხო, გამოყვანილი ასოებით, თუმცა ჩანს, რომ ძალიან სწრაფად და ერთი ამოსუნთქვით. «მოხუცებული» ავტორის მიერ არ არის ნასწორები. ფურცლები - ალბათ, კონვერტში ჩასატევად - შუაშია გაკეცილი. ფანქრით დანომრილი გვერდები, ისე როგორც ზოგიერთი ხაზგასმული სიტყვა, სხვას (ვფიქრობ, მბეჭდავს) უნდა ეკუთვნოდეს. მოთხრობა დასათაურებულია ავტორის მიერ.

«მოხუცებულის» ბოლო წინადადება ებჯინება ფურცლის ქვედა კიდეს. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ სიტყვა «/ფარდა/», რაც, ცხადია, მოთხრობის დასასრულს მიანიშნებს, წერია მომდევნო გვერდზე. «ფარდას» მოსდევს თარიღი, დღიური (ტექსტის ნაწილადაა ჩათვლილი თვითონ მწერლის მიერ: «ნოველა დღიურ-ეპილოგით», იხ. ნაბეჭდი ტექსტი) და მამასადმი მიწერილი ბარათი:

«მამა: გადააბეჭდინეთ ესეც და გამომიგზავნეთ. საერთოდ დააჩქარეთ იმათი გამოგზავნა უეჭველად გადაბეჭდილი სახით.

გურამი.»

«მოხუცებულის» ავტოგრაფის ბოლო გვერდზე წერილია:

«მარინე!

საზიზღარი სიზმარი ვნახე _ თითქოს მალხაზს (გურამის ამხანაგი. იხ. ტომი 2, მალხაზის შესახებ დაწერილი მოთხრობების შენიშვნები. _ მ.რჩ.) ცალი ფეხი მუხლს ქვევით მოჭრილი ჰქონდა! გაიგე, რამე ხომ არ შეემთხვა! მომწერე წერილი!

მივიღე სამხედრო ბილეთი.

ჩამწერეს.

მივიღე ხუთი თუმანი და ამანათის გამოგზავნის ცნობა. დიდი მადლობელი ვარ! კარგი იქნება, თუ ფულის ნაწილს თვის თავში გამომიგზავნით ხოლმე _ დიასახლისი ვარაუდს დაიჭერს.»

ამონაწერი 1958 წლის ივნისის დღიურიდან:

«რუსიკოს (გურამის ამხანაგი, იხ. «ირინას» შენიშვნები) უთქვამს «მოხუცებულზე», გურამს კარგად გაუცვნია რუსებიო, ჩიკო (გურამ გეგეშიძე, ცნობილი მწერალი, გურამის მეგობარი. იხ. პირველი ტომის შენიშვნები) კი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ჩემი ამბები იყო, თუმცა მეც რუსების ამბები მეგონა, როცა დავწერე...»

«სიაში არქივიდან» (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის) _ «1. მოხუცებული».

«მოხუცებული» პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში: «სად გაექცევი ზამთრის ღამეს». რედაქტორი ნუგზარ წერეთელი.

მატარებელი სტეპში

არქივში ინახება უთარიღო და დასათაურებული მხოლოდ ერთი ავტოგრაფი (1_11გვ.). სავარაუდოა, რომ სხვა ავტოგრაფი არც არსებობდა (იხ. შენიშვნები მოთხრობისათვის «მოხუცებული»). ავტოგრაფის ფურცლები ფანქრით სხვის (სავარაუდოა, მბეჭდავის) მიერაა დანომრილი. ნაწერია შუაში გაკეცილ თაბახის ფურცლებზე მყარი, გამოყვანილი ასოებით. მსგავს თაბახის ფურცელზეა დაწერილი მოთხრობა «მოხუცებული» და პიესა «მარინას» შავი ვარიანტი. ამ პიესის წერა გურამმა მოსკოვში ჩასვლისთანავე, 1958 წლის იანვრის ბოლოს, დაიწყო (იხ. ტომი 4, შენიშვნები «მარინასათვის»). დათარიღებისათვის დამატებით ინფორმაციას იძლევა მამა-გურამის მიმოწერა (იხ. ტომი 5, წერილები). მამას წერილი გურამთან, თბილისიდან, დათარიღებულია 1958 წლის 13 თებერვლით (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მამა ყოველთვის სვამდა თარიღს წერილის ბოლოს. ამას სთხოვდა ის თავის მეუღლესა და შვილსაც. თუმცა გურამი, 1958 წლიდან მოყოლებული, ძალიან იშვიათად ათარიღებს როგორც წერილებს, ასევე მოთხრობებს). გურამის წერილი, რომელიც მოსდევს მოთხრობის ავტოგრაფს, პასუხია მამას წერილზე. ასე რომ, «მატარებელი სტეპში» დაწერილი უნდა იყოს თებერვლის შუა რიცხვებში. სწორედ ამ დროს ამთავრებდა გურამი პიესა «მარინას» შავ ავტოგრაფზე მუშაობას, ეს მომდევნო წერილიდანაც ჩანს: «პიესა თითქმის დავამთავრე.» როგორც თვითონ გურამი წერს მოთხრობის დასაწყისში (იხ. წინა მოთხრობის შენიშვნა), «მატარებელი სტეპში», ისე როგორც «მოხუცებული», გამოგზავნილია მოსკოვიდან წერილის მაგიერ. ნაწარმოებს მოსდევს «P.S.» (იხ. ნაბეჭდი ტექსტი), გურამის წერილი მამასთან. წერილი იწყება უშუალოდ მოთხრობის ბოლოს, იმავე გვერდზე. ნაწარმოებიდან გამოყოფილია მწერლის მიერ გავლებული სწორი ხაზით. ასეთი ხაზით გურამი, ჩვეულებრივ, ერთმანეთისაგან გამოყოფს ხოლმე ერთი ნაწარმოების ნაწილებს. საინტერესოა, რომ გურამი მოთხრობის ბოლოს მოთავსებულ წერილს არქმევს «P.S.»-ს. ვფიქრობ, ამ ფაქტში კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ მწერალი თავის ცხოვრებასა და შემოქმედებას ერთ მთლიანობად მოიაზრებს (იხ. ტომი 1, «ავტოგრაფების დახასიათებისათვის»; ტომი 2, 1957 წლის მარტი-თებერვლის მოთხრობათა შენიშვნები). წინადადება «რაც მთავარია: მოვიდა საბეჭდი მანქანები» მიწერილია სხვა მელნით, შესაძლოა, სხვა დროს. ხელნაწერის მეშვიდე გვერდის შუაგულში, სიტყვებთან: «გზის პირას ერთ მწკრივში ჩაწყობილი პატარა ოთხკუთხი ფანჯრებით», იმავე კალმით ჩახატულია რუსული “ხატა”. ჩანახატიდან იგრძნობა ზამთარი, “ხატას” ადევს თოვლი და საკვამურიდან ამოდის ბოლი.

ამონაწერი მამას წერილიდან, რომლის პასუხადაც არის დაწერილი «P.S.»:

«... ვახტანგ ჭელიძემ ორჯერ დამირეკა. ერთხელ გიკითხა: როგორ არის, ხომ არაფერი იცითო. მეორედ მკითხა: კურელას შესახებ ვუბეჭდავ და პასუხი ხომ არ მიუღიაო. მე ვუთხარი პასუხისა და ნებართვის შესახებ. ხვალ-ზეგ გავივლი რედაქციაში და ვნახავ… ჩემი წიგნი ამ 10-15 დღეში გამოვა. ამ თვის ბოლოსათვის შეიძლება დედაშენი გამოვგზავნო 15 დღით. ცოტა დაისვენებს და გაერთობა კიდეც.

შენი მამა. 1958. 13. II.»

«სიკვდილი მთაში» - ასე მოიხსენიებს წერილში გურამი ამ მოთხრობას - დაიბეჭდა «ცისკრის» 1958 წლის თებერვლის ნომერში.

ნანასა და გიორგის პროტოტიპები არიან იკა გელეიშვილი და მისი მეუღლე მზია წულეისკირი (იკა გელეიშვილის შესახებ ნახე მეორე და მესამე ტომში სხვა მოთხრობათა შენიშვნები). გურამი ძალიან აფასებდა იკას მხატვრულ გემოვნებას. 1956 წლის შემოდგომაზე ისინი რამდენიმე ხანს ერთად იყვნენ ახალ ათონში. იქ ნახეს ფილმი «Чайки умирают в гавани». გურამს ძალიან მოეწონა ამ ფილმის იკასეული ინტერპრეტაცია. ჩამოსვლისას, როგორც იცოდა ხოლმე, აღფრთოვანებული და აღელვებული მიყვებოდა ამის შესახებ. გურამი იკაზე: არაჩვეულებრივად განათლებული ბიჭია. იცი, რატომ არ წერს ან არ ხატავს და, საერთოდ, რატომ თქვა უარი ხელოვნებაზე? იმიტომ, რომ განსაკუთრებით უყვარს და აფასებს ხელოვნებას: მე კარგად ვგრძნობ ჩემს შესაძლებლობებსო. ამიტომაც აირჩია საინჟინრო. 1958 წლის იანვარში გურამმა მათთან ერთად იმგზავრა მატარებლით. გელეიშვილები საქორწილო მოგზაურობაში მიდიოდნენ მოსკოვში. ეს სიტუაცია, ვფიქრობ, საფუძვლად დაედო შემდეგ «ირინა და მეს» ბედნიერ წყვილსაც (იხ. შენიშვნები «ირინა და მესათვის»). მათ უპირისპირდება ნაწარმოების ლირიკული გმირი _ გურამი.

მომყავს მოსკოვიდან ჩემთან მოწერილი წერილი, სადაც სწორედ ამ შემთხვევაზეა ლაპარაკი:

«მარინე!

... დილით დავდიოდით სოჭის ბაქანზე, უცებ იკა დამეწია, წავედით მასთან ვაგონში (საერთაშორისო ორკაციანში). იქ იყო მისი ცოლი მზია. გამოვედით ერთად ვაგონ-რესტორანში. მზია უშლიდა იკას დალევას და სხვა რამეებს, მოწევას _ იკა სიყვარულით აშაყირებდა და უჯერებდა ყველაფერს. სიამოვნებდა, რო ვინმე ზრუნავდა. რატომღაც შემშურდა. ოღონდ მაშინვე პირიქით გარდავიქმენი. რაღაც იყო ასეთ დამოკიდებულებაში უცხო ჩემთვის. კარგია იკა, ბედნიერია. მართლა! _ მზიას, იკას ცოლს, ჩანთაში ჰქონდა ორი ფოტოსურათი, მათი ბავშვობის დროინდელი. ერთზე ეხატა იკა გაბუზული, მზია იკას დეიდას ეჭირა, მეორეში იკა იჯდა ნაცემივით და მზია თავზე ადგა. რასაკვირველია, იკამ იანგლა ამ თემაზეც.

კარგია, არა!

_ ნახე, სად დაწყებულა რომანი! (უბედურებაა, ყველაფერში ირონიულს ვხედავ) როგორც არი!»

პირველ სიაში: « მატარებელი სტეპში».

პირველად გამოქვეყნდა სათაურით «ტრამალი» 1965 წელს მოთხრობების კრებულში «სალამურა».

«ბატონო ტელემხედველებო ...»

მოთხრობა (1_24გვ.) უსათაუროა და უთარიღო. თარიღი მიახლოებით დადგენილია სტილის, შინაარსის, ხელწერისა და საწერი ქაღალდის მიხედვით («ირინა და მეს» შავი ვარიანტის ფურცლები. «ირინა და მეს" დათარიღებისათვის იხ.

შენიშვნები «ჩემი ლეტერატურული შეხედულებებისათვის»). თარიღისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მოთხრობაში ნახსენები ცოტნე ჯავახიშვილის დაბადების დღე: «გუშინ გავიგე, რომ გეყოლა ბიჭი _ მომილოცავს თქვენთვის, ტელემხედველებო, ახალი ჯავახიშვილის დაბადება ... აბა, პატარა ჯავახიშვილო, ღმერთო ჩემო, შენი სახელი მაინც ვიცოდე». (ცოტნე ჯავახიშვილი _ ბიოლოგი, დათო ჯავახიშვილის ვაჟიშვილი, დაიბადა 1958 წლის 5 მარტს. ცოტნეს დაბადება მოსკოვში გურამს შეატყობინა მამიდა ნათელა ჯავახიშვილმა, ცოტნეს ბებომ. წერილიდან ირკვევა, რომ ცოტნე ახალი დაბადებულია და სამშობიაროდან ჯერ არც არის გამოყვანილი. ასე რომ, მოთხრობა დაწერილია უშუალოდ «ირინა და მეს» დაწყებამდე ან მისი წერის პროცესში (თარიღისათვის იხ., აგრეთვე, «ირინა და მეს» კომენტარები).

ავტოგრაფი ნაწერია ძალიან გაკრული ხელით. ხელწერის მიხედვით, სავარაუდოა, რომ წერა ორჯერ არის განახლებული, თუმცა მთლიანობაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. გარდა თავისთავადი ღირებულებისა, მოთხრობა მნიშვნელოვანია როგორც გურამის თითქოს არამხატვრული, პუბლიცისტური სიტყვა თავისი ფიქრებისა და განცდების შესახებ უშუალოდ «ირინა და მეს» წერის პერიოდში.

არქივში, უმისამართო ფურცლებთან ერთად, ცალკე საქაღალდეში ინახებოდა შუაში გაკეცილი თაბახის ფურცლის («მარინას» შავი ვარიანტის ფურცელი), ძალიან გაკრული ხელით, ნაჩქარევად შევსებული, ოთხი გვერდი. შინაარსის მიხედვით, მიჩნეულია «ბატონო ტელემხედველებოსათვის» გაკეთებულ ჩანაწერად:

«... ის გასწავლით, რომ როდესაც გაზაფხული მოდის, მარტო იები და ენძელები კი არ ყვავიან, მარტო მოკლეკაბა გოგონები კი არ დასდევენ გრძელი პეპლის საჭერით პეპლებს. გინდა ზუსტი ასლივით ხატო, გინდა წერტილებით, გინდა კუბიკებით, არამედ კაცები დაძარღვული ხელებით და დიდი ტერფებით ნალავენ წამოქცეულ ხარებს პირველი გუთნეულის გასატანად. აბა, აიძულე იცეკვოს როკ_ენდ_როლ; _ Ни за что! _ აკლია ძირი _ ტემპერამენტი კი აქვს, ოღონდ სხვა მხარეს განვითარებული. ვცადოთ ვიცეკვოთ რამე ახალი.

ბაკურიანი - ყველა ამბობს - კარგია თებერვალში, როცა ხალხი არ არის. რატომ? იყოს ხალხი. თუ თავს იწონებთ ამითი, ირომანტიულებთ? გიყვართ სიმარტოვე. ვერც ერთი თქვენგანი მარტო ერთ კვირასაც ვერ გაძლებს იქ.

ქართველი ქალის გარეგნობაზე ედმუნდს. ის სავსეა _ რატომ წყვეტთ კორსეტით ან [წერტილით] წელში. თქვენ არ ხედავთ წერტილებით _ პროგრესი შიგნიდან, შინაგანი და გარედან, გარეგნული. გესმით! ნუ იქნებით სტილნი ბიჭები, რომლებმაც ისწავლეს [ბი] სიტყვები როკ-ენდ-როლ და ცეკვა კი არ იციან, არც უნდათ. სერიოზული ამბავი: უფრო საშიშია არ გაება იმაში, რასაც გიკრძალავენ, ვიდრე იმაში, რასაც არ გიკრძალავენ _ პირველი შეიძლება მოუვიდეს პატიოსან კაცს, მეორეზე ლაპარაკიც არ ღირს, მე მეცოდება პატიოსანი კაცი, რომელსაც ნიჭი არ ყოფნის სრული ანალიზის ან რომელიც იღუპება.

Я лгал или нет!

ბოლო:

ერლომე რომ წერს, ცხოვრება არა მარტო იმად არა ღირს, რომ გაუფრთხილდე, არამედ რომ ვინმეს აწყენინო. მე არ მინდა თქვენი წყენა, მაგრამ მეც ხშირადა ვარ ოჯახურ წრესთან და ძმაკაცებთან ერთად ტელემხედველი და არც მე მაწყენს ყოველივე ეს.

ნახვამდის,

ნემსის ჩხვლეტა _ რუსიკოს რამე სიტყვა.»

«მიცნობდეთ _ მე ვარ გურამ რჩეულიშვილი მწერალი და პოეტი! ზოგს ეღიმება, ხედავთ თურმე მეცა ვხედავ, ო რა ამაყად უყურებს თავის ოჯახის წევრებს, ან თავის ამხანაგებს, ან თავის შვილიშვილებს. .... იყიდეთ ტელევიზორები. იქ შეიძლება ნახოთ გურამ რჩეულიშვილი! და აივსოთ იმედით, რომ შეიძლება თქვენც მოგიწიოთ ამ ბედნიერებამ _ ტელეეკრანზე გამოსვლამ!

... თქვენს წინაშე მე გამოვდივარ როგორც მწერალი და მოქალაქე, მოქალაქე, რომელსაც ტელეცენტრის დირექცია უხდის 1500 მან. ფულად ოცდახუთწუთში, რათა შეგაქცევინოთ თქვენ თავი. .... ორიოდ სიტყვა ჩემი ნაწარმოებების შესახებ. მე იქ, ე.ი. ნაწერებში, ვცდილობ ვწერო ჩემს თავზე. ეს ერთადერთი ადამიანია, რომელზეც ღირს საერთოდ წერა ან ლაპარაკი... ბევრს ცრემლი მოსდის როგორც ჩემს ძველ ნაცნობს, რომელიც მიცნობდა როგორც გურამ რჩეულიშვილს და ახლა უბრალოდ უკვირს, რომ ხან ვაჟა ჯანდიერი ვარ, ხან უბრალოდ გიო, ხანაც მოხუცი ქიტესა. წერა არის პირველი საწყისი ტელეცენტრისა დაფუძნებული იმავე პრინციპზე _ ავტორს ხედავენ მკითხველები, ლანძღავენ უმეტესნი, მითუმეტეს ნაცნობები, ისინი ხომ კარგად იცნობენ მას და არაფერს კარგს მისგან არ ელიან, ... პოეტი ყვება თავის სიყვარულზე, თავის ცხოვრებაზე, თქვენ შესახებ კი არაფერი იცის, ასეთია ტელეცენტრის პრინციპი!

მე დავიბადე თქვენთან ერთად, გავიზარდე თქვენთან ერთად, სკოლაში დავდიოდი, დავდიოდი ისევ და ისევ თქვენთან ერთად კინოებში, თეატრებში და ექსკურსიებზე, ზაფხულობით ბორჯომში, მერე ზღვაზე, ზამთარში ბაკურიანში, ვიცვამ თქვენსავით ბუტილკა შარვალს 1956 წლიდან და არ ვატარებ ქუდს. ჩვენ ყველა ვიზრდებით ერთად, ვსწავლობთ ერთმანეთისაგან და ყველა ერთიდაიგივე წიგნიდან სწავლობს იმას, რაც მის ბუნებასთან ყველაზე ახლოა; მე თქვენგან განსხვავებით დავდივარ უჰალსტუხოდ, გაღეღილი გულით და მძიმე მაღალყელიანი ფეხსაცმელებით, ზოგჯერ შეურაცხმყოფელად პირდაღებულითაც, რადგან მაღალყელიანი ახლის შოვნა საერთოდ ძნელია, მე კი შევეჩვიე მათ, ისინი არიან მძიმე და ერთგული, მადგებიან ერთნაირად ოპერაში და მთაში, კინოში და ჩხუბში.»

გურამს, მართლაც, ყოველთვის მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა, სახლშიც კი. ეს იყო ოჯახში უსიამოვნებისა და დედას ღელვის ერთ-ერთი წყარო.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს ნუგზარ წერეთლის მიერ გამოცემულ წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

შაშას რევოლუცია,
ანუ რევოლუცია ორთაჭალაში, «ბამბის რიგზე»

ჩემი ძმის არქივის პირველივე მექანიკური დალაგებისას, 1960 წლის ადრე შემოდგომაზე, შეიქმნა ერთი საქაღალდე, რომელშიც მოთავსდა თაბახის ფურცლების დასტა, სადაც ნახსენები იყო სახელი «შაშა». ავტოგრაფებს შორის იყო ერთი თორმეტფურცლიანი რვეული, რომლის გამოცემის თარიღის მიხედვითაც (1957 წლის I კვარტალი) მიახლოებით დავადგინეთ ამ ჩანაწერების შექმნის დრო. რვეულის ყდას ატყვია მაშინდელი ჩვენი მუშაობის კვალი: «უსათაურო №2. შაშას

შესახებ...» ხელწერა ეკუთვნის ერლომ ახვლედიანს. რვეულის ყდის ზევითა ნახევარზე, მამაჩემის ხელით, მკრთალი ფანქრით წერია: «მგონი, უნდა იყოს ჩანაწერები პიესისათვის ან მოთხრობისათვის კოჭლი შაშას შესახებ.» ეს ჩანაწერი გაკეთებულია ჩემი ძმის გარდაცვალებიდან, ვფიქრობ, თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, ალბათ, მაშინ, როდესაც ახლა უკვე დედამ და მამამ სცადეს თავიანთი ვაჟიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მოწესრიგება. ერლომ ახვლედიანმა ჩემს შეკითხვაზე, ხომ არ ახსოვდა რაიმე ამ ნაწარმოების შესახებ, მიპასუხა: «ვიცი მხოლოდ, რომ გურამი აპირებდა დაეწერა რაღაცა კოჭლი შაშას შესახებ, რომელსაც საოცრად ჰქონდა განვითარებული სიმეტრიის გრძნობა. შემდეგ სადღაც წავიკითხე, რომ სიმეტრიის გამძაფრებული აღქმა დამახასიათებელია ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისათვის და გამიკვირდა _ საიდან იცოდა გურამმა ამის შესახებ». ერლომმა თურმე მაშინვე გადაათვალიერა ავტოგრაფი, მაგრამ საოცრად აბნეული, მოუწესრიგებელი ხელწერის გამო იმ ეტაპზე შეუძლებელი აღმოჩნდა მისი წაკითხვა (მოგვიანებით, გურამის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ, მან გადაწერა «შაშას რევოლუციის» ნაწილი). როგორც ჩანს, ეს ვერც ჩემმა მშობლებმა მოახერხეს. არქივის ბოლო (რიგით მესამე), საგულდაგულო, დალაგების შემდეგ საქაღალდეს, რომელსაც ჰქონდა წარწერა: «შაშას შესახებ...» შეემატა ახალ-ახალი ფურცლები იმ საქაღალდეებიდან, რომლებშიც მოთავსებული იყო უმისამართოდ დარჩენილი ნაწერები. აქვე აღმოჩნდა მოთხრობის თავფურცელიც, თავისი სათაურით, თარიღითა და რამდენიმე ჩანახატით: «შაშას რევოლუცია, ანუ რევოლუცია ორთაჭალაში «ბამბის რიგზე» აგვისტო 2_5 1958 წელი» (1გვ). თავფურცელზე მითითებული თარიღის თანახმად, ის შექმნილი უნდა იყოს მთლიანი ნაწარმოების დაწერის შემდეგ. თარიღის გვერდით, ფურცლის ქვედა კიდემდე, ერთმანეთის ზურგშექცევით, იმავე საწერ-კალმით ჩახატულია ორი პროფილი - ნაწარმოებში გმირების გარეგნობის დახასიათების მიხედვით, საფიქრებელია, რომ შაშასი და ძაგანიასი. ჩანახატი ჩასმულია შტრიხებში. მათ ქვემოთ ხატია ორი ხელი: ერთს უჭირავს ქარქაშიდან ამოღებული მახვილი (მახვილი იყურება ქვემოთ), მეორეს კი _ მაღლა აღმართული დროშა. ამ დროშას მოსდევს სხვა, უფრო პატარა, აფრიალებული დროშების რიგი, რაც ხალხის კოლონაზე უნდა მიანიშნებდეს. ჩანახატი შეიძლება მივიჩნიოთ ნაწარმოების ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდის ილუსტრაციად: შაშა უერთდება რევოლუციონერთა რიგებს. ამჟამად ყველა ფურცელს, შეძლებისდაგვარად, მოეძებნა თავისი ადგილი. ამოწურულია ჩემი შესაძლებლობები ამ მოთხრობასთან დაკავშირებული ჩანაწერების თუ ცალკეული ეპიზოდების მოძიებისა. საქაღალდეში, რომელსაც ახლა უკვე აწერია «შაშას რევოლუცია», მოთავსებული ნაწერები შეიძლება დაიყოს შემდეგ ნაწილებად:

სატიტულო ფურცელი
1. ჩანაწერები, გაკეთებული ნაწარმოების დაწერამდე
2. ჩანაწერები, გაკეთებული ნაწარმოების დაწერის შემდეგ
3. ძაგანიას სიზმარი
4. ნაწარმოებში ჩასამატებელი ეპიზოდი
5. ძირითადი ტექსტი

1. თორმეტფურცლიან რვეულში ნაწარმოების დაწერამდე გაკეთებული ჩანაწერები (1_5გვ. + 1_8გვ.):

«შაშა _ ოცდარვა წლის, უშნო შესახედაობის, ვერ ამბობს სუფთად ს-ს. გამოდის ს-ა და შ-ს შუა, მას თითქმის არასოდეს არავინ არაფერს არ ეძახის, არც დასცინიან, არც აქებენ, ის თვითონ ეძახის თავის თავს «შაშას», შესამჩნევად კოჭლია, რისთვისაც დედაც კი უსაყვედურებს ხოლმე, თითქოს შაშა ამაში დამნაშავე იყოს.

შაშას უყვარს დედა ძალიან, ოღონდ ჰგონია, რომ ვერ იტანს თვითონ, ისევე როგორც ჰგონია, რომ ვერ იტანს მას თვითონ დედაც _ მათი სიყვარული არასოდეს არა მჟღავნდება, მათ შორის არის უსიამოვნო დაძაბული დამოკიდებულება, რასაც ზრდის ისიც, რომ შაშა კოჭლია, დედა კი ერთ დროს ულამაზესი ქალი იყო. შაშა დედისადმი სიყვარულს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა უკანასკნელი ავადაა, სუსტია და მისგან მოითხოვს შველას. ოღონდ პატარა გამომჯობინებისთანავე, როცა დედა ნაცნობ უსიამოვნო ფრაზას ამბობს, საშა ცივდება და მასში თითქოს ზიზღისნაირი რაღაცაც კი იბუდებს ხოლმე. შაშა უსწავლელია მთლიანად, ოღონდ კითხულობს ბევრს, მისი გრძნობები და გონება მიძინებულია და იშვიათად იღვიძებს: მაგალითი, როცა გაიღვიძა. სახლის გარეთ ის არც და ვერც უკვირდება სხვებს, არც აინტერესებს არავინ. სახლში კი, პირიქით, საშინელი მგრძნობიარეა, საკმარისია დედის ერთი სიტყვა, რომ მთელი დღე მოეწამლოს, ან საკმარისია ასანთი არ იდოს თავის ადგილას, ფული იდოს არიოლზე, როცა ციფრი არა ჩანს, ან კატა იწვეს დივანის ფეხთით და არა შუაში ან საერთოდ რამე სიმეტრია ირღვეოდეს, ოღონდ თავის სახლში, სხვა მას არ ესმის, მისთვის იქით ყველაფერი საიდუმლოა და გაუგებარი, იმას მეტი გონების დაძაბვა უნდა, რაც მას არ შეუძლია. ყველაზე მეტად დედის გამოხედვა არ სიამოვნებს და მისი ერთიდაიგივე რამეზე ლაპარაკი.

ერთხელ დედა კოცნიდა საშას, საშა გრძნობდა ძილში ამას და თავი ისე ეჭირა თითქოს ეძინა _ ის ამ წუთში არაჩვეულებრივი ბედნიერი იყო. ვერაფრით ვერ აეხსნა დედის ასეთი საქციელი, ამ წამში მოინანია ყველაფერი, რაც კი უწყენინებია ის ან სხვაც _ სხვა არა, ეს სხვა რაღაც დიდი ცარიელი და სავსე ადგილივით იჯდა მის გონებაში. მთელი მისი ბუნება ამ წამში სავსე იყო სიკეთით, სიყვარულით და მონანიებით (საშას, რომელსაც არავითარი პრეტენზიები არა ჰქონდა სილამაზეზე, არ იზიდავდა კარგი ჩაცმა, პირიქით, ის იცვამდა ვითომ ცუდად და სინამდვილეში ისე, რომ მაინც რამდენადაც შეიძლებოდა მოხდენოდა, ამ სიეშმაკეს თვითონაც ვერა გრძნობდა. ალღოთი აკეთებდა ამას, რომ რაღაც ერთი საფეხური კიდევ დარჩენოდა წინ სილამაზისაკენ _ კარგად ჩაცმული საშა _ ეს იყო დედასთან ძირითადი უთანხმოება მისი, მასზე ყველაზე ავადმყოფურად მოქმედებდა თავის ჩაცმაში, რომელიც ყოველთვის აგდებული და ულაზათო ჩანდა, პატარა სიმეტრიის დარღვევაც კი სხვისგან და განსაკუთრებით დედისგან /ეს სიმეტრია ეწყობოდა, უპირველესად, საშას გონებაში/. სწორედ ამ ალერსის დროს დედამ საშას მარჯვენა მხარეს გადაგდებული ჯვარი მარცხნივ გადმოუგდო, საშას მარცხნივ ნაიარები ჰქონდა და, როცა ჯვარი მარჯვნივ ეგდო, მის გონებაში ეწყობოდა სიმეტრია. ამ პატარა ამბავმა _ დედისგან მისი მშვიდი სიმეტრიის დარღვევამ _ უცებ შეცვალა ის, სახე გაუხურდა, ცივმა ოფლმა დაასხა და რაღაც ბოროტი ჩაიჩურჩულა გულში. დედა მოსცილდა. საშამ კბილები გააკრაჭუნა, კისერი დაჭიმა, წამოსწია და ისევ მიეკრა ბალიშს.

დედა ეს ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც საერთოდ შეეძლო ეწყენინებინა საშა _ სხვები მისთვის არ არსებობდნენ _ ამ წამში საშა დარწმუნებული იყო, რომ მთელი არსებით სძულდა ეს ქალი.

* /შეიძლება გაკეთდეს, რომ სიკვდილის წინ გაუკეთა ასე დედამ საშას და მთლიანად მიუძლურდა, ამ ძალის შეგრძნებისას თუ ასე გახელდა საშა /დედის ძალის გამოჩენა საკმარისი იყო, რომ დარღვეულიყო საშას სიმეტრია/, მიუძლურებისას, პირიქით, უცებ ინანა, რომ აწყენინა თავის გულში დედას _ რატომ აწყენინა, ეს აღარ ახსოვდა, საერთოდ თავისი ამ სიმეტრიის კანონის შესახებ ის ვერაფერს ვერა გრძნობდა.

საშუალო გვარიშვილი საშა როცა ბრძოლაში მიდის, სხვა აღარავინ არის ქალაქში მისი წოდების _ ის უერთდება მაჩაბლის რაზმს.

გეორგა _ საშას ძმა. 25 წლის, მაღალი, ქერა, ვაჟკაცი, ლამაზი, მთლიანად მოკლებული ასიმეტრიულობის გრძნობას, მეომარი, ზერელე, დადის გოგოებში და საერთოდ ყველას საყვარელი.

დედა დარწმუნებულია, რომ გეორგა უფრო უყვარს, ვიდრე საშა, მხოლოდ თავისი სიკვდილის დღეს გრძნობს, უფრო სწორად, მოქმედებს ისე, საიდანაც ჩანს, რომ საშა უფრო ჰყვარებია: «შაშა, შაშა, რა გეშველება, შაშა» იმეორებს ის ჩურჩულით და კვდება.

გეორგა კარგი მეომარი, გულღია ვაჟკაცი, ის იბრძვის მეწინავეთა რიგებში და ომი მისთვის გართობაა, სილამაზე, ვაჟკაცობა.

მას უყვარს სამშობლო, ბევრს ლაპარაკობს მასზე, საერთოდ მას სხვა რამეებივით ემარჯვება ლაპარაკიც, ოღონდ ბრძოლაში მისთვის რაღაც არის სამშობლოს სიყვარულზე მაღალი _ ეს არის მისი ახალგაზრდული ჯომარდობა _ რაიც ყველაფერს ავიწყებს.

საშა არასოდეს არ ლაპარაკობს პატრიოტიზმზე და ვერც გრძნობს განყენებულად ამ სიტყვას, მტრების შემოსევა მისთვის არის ისეთივე სიმეტრიის დარღვევა, როგორც არაციფრზე დაგდებული ფული, ან კატა, დივანის ბოლოს მძინარე, შუის მაგივრად _ ის თითქმის არასოდეს არა მჯდარა ცხენზე და არ იცის ჯომარდობის გემო, ის დაიბადა იმ ასაკისა, რა ასაკისაც მოკვდება _ წლების მიუხედავად.

თავი: როგორ ღელდება და იცვლება საშა მჭედლებთან და ქალაქელებთან ერთად ბრძოლის ველთან მიახლოებისას.

თავი: ძმის მოვარდნა სახლში, რომელიც საშას ვერც კი ამჩნევს, მხოლოდ მომაკვდავ დედას ჰკოცნის, იარაღს ცვლის და მირბის. ის საშას ვერ ამჩნევს, საშას სიმეტრია ირღვევა კედელზე, ფარდაგზე, სადაც ეკიდა ორი ხმალი, გადაჯვარედინებული, რჩება მხოლოდ ერთი, ის იღებს იმ ხმალს, უნდა სხვაგან გადადოს, ან ჯერ: სხვა რამე გადააჯვარედინოს, მაგრამ არაფერი არ უხდება. როცა ჩამოიღებს, ისმის ქალაქელების ნაღარა, თარი, ჭიანური. ხმაურით მიდიან ერეკლესა და სამშობლოს დასახმარებლად, საშას ხმალი უჭირავს ხელში და ისე გამოდის გარეთ, მერე თვითონ არ იცის როგორ უერთდება ხალხს და როგორ მიდის მათთან ერთად.

დევლეთ _ სახელით სვანი _ ასე უწოდებენ მას, მეზობელი, მჭედელი, გულღია მუშა კაცი, ის ყველაფერს ლაპარაკობს, რასაც ამჩნევს ამ წუთში და არაფერი არ მიაქვს გულთან, ლაპარაკობს ბევრს, მისთვის არ არსებობს ჭკვიანური და უჭკუო, შაშას კი ბევრი რამე ხვდება გულზე მისი ლაპარაკიდან, რაზეც შემდეგ მთელი ღამე ფიქრობს.

საშას არ უყვარს როყიო დევლეთი, თანაც ვერ ეშვება რატომღაც, იმიტომ რომ ის ბევრს ლაპარაკობს და იმ ლაპარაკში ბევრია ისეთი რამე, რაც შაშას გულს ხვდება _ ესეც, ალბათ, სიმეტრიაა მის თითქმის მუდმივ დუმილთან _ დევლეთს არა აქვს შეგრძნება სიახლოვის და სიშორის _ მისთვის სულერთია ვის ელაპარაკება და რაზე. მთავარია ილაპარაკოს _ ის თითქოს განგებ ცდილობს, რომ ფიქრით ცხოვრება არ დაიმძიმოს და ლაპარაკობს, ბევრი, განურჩეველი ლაპარაკი ათავისუფლებს ზედმეტი ფიქრებისაგან.

ამ დროს იგრძნო, როცა ხტომით, კოჭლობით გავიდა ქუჩაში და დევლეთმა შეხედა ღიმილით, ის ისევ ლაპარაკობდა, იგრძნო, რომ ისიც უყვარდა.

კაცია _ გულჩახვეული კაცი, რომლის თვალებიც არ ასვენებენ შაშას, თითქოს დასცინიან და აგონებენ, რომ ის არაფრის მაქნისია, რომ ის კოჭლია და რომ ის დაავადმყოფებულია იმით, რომ თუ რამე ადგილზე არა დევს, აიღოს და დადოს, ბევრჯერ მოუკრავს თვალი შაშას მისი მზერისათვის, ის [კაცია] ყოველთვის ერთ კუთხეში ზის და მათხოვრობს. შაშას ის არც ეცოდება, არც არ ეცოდება, უბრალოდ, არ სიამოვნებს და ეშინია მისი მზერის, მას [კაციას] მარტო ცალი ხელი აქვს, მეორე იდაყვს ქვევით წაჭრილია. საერთოდ საშა მარტო იმას განიცდის, რაც პირადად მას ეხება _ იმან არ იცის, რომ სხვას შეიძლება უჭირდეს ან სციოდეს, თუ იცის _ ვერა გრძნობს, სამაგიეროდ პირად შიმშილს ერთი ორადა გრძნობს.

ახლა, როცა ხალხს შეერევა, კაციაც იქ არის, ის ისევ უყურებს საშას, საშა ცდილობს არ იკოჭლოს და იმართება. ბუნდოვნად გრძნობს, რომ იმ მათხოვარს აღარ შეუძლია დასცინოს მას, ახლა შაშა მთლიანად ამ მზერისაგან არის დაძაბული, ყველა მისი კუნთი გრძნობს ამ მზერას და რასაც არ უნდა აკეთებდეს, ვერ იშორებს, მხოლოდ უკან დაბრუნებისას ხედავს, რომ ის მათხოვარა გზაზევე მოუკლავთ ადრევე და უკვირს, რომ მისი თვალები ახლაც უყურებენ, ოღონდ იქიდან კი არა, სადაც მათხოვარა წევს, არამედ ისევ ზურგიდან, როგორც ყოველთვის.

_____

დედა ელაპარაკება შაშას სულ საქმეზე, პრაქტიკულობამდე, საშას არ ესმის როგორ შეიძლება საქმეზე ილაპარაკო გულით.

გეორგა _ პირიქით, მიუხედავად თავისი ვაჟკაცური ხალისისა და თავდავიწყებული დროსტარებისა _ პრაქტიკულია.

შაშა გაცილებით ზარმაცია, ვიდრე გეორგა.

შაშას ყველაზე ძალიან უშლიდა ნერვებს საჭმელზე ლაპარაკი.

* ერთხელ გეორგამ ფეხი გადააბიჯა ძირს დაგდებულ ყამას, ისე რომ ვერც შეამჩნია _ შაშა უყურებდა და ბუსუსებმა დააყარეს, თანაც ვერ აიძულა თვითონაც თავი, რომ აეღო ხელში. გარეთ გავიდა, მაგრამ თან სდევდა ეს სულ, ახლაც, როცა გეორგას უყურებდა, სულ ის აგონდებოდა, და თითქმის არ შეეძლო, რომ ის ჰყვარებოდა, მაგრამ თვითონ სახლში თითქმის არასოდეს არ აკეთებდა არაფერს, როცა გეორგა ოჯახის კაციც იყო».

2. ორად გაკეცილ თაბახის ფურცლებზე ნაწარმოების დაწერის შემდეგ გაკეთებული ჩანაწერები (1გვ.). (ასეთ ფურცლებზეა დაწერილი თვითონ ნაწარმოები). ჩანაწერების თანმიმდევრობა პირობითია:

«შენიშვნები წაკითხვისას:

I. შაშას ლოგინიდან გადაგდების /გვ. 10/ შეთანხმება ძაგანიას მოგონებასთან

II. ძაგანიას სახლის და შაშას სახლის ურთიერთგანლაგება

III. წამლის ამბავი თავში _ ვერ იშოვა /გვ.11/

IV. დედის ჯიუტი, უხეში ხასიათი არ შეეფერება ძაგანიას ქვრივის ამბავს /გვ. 18/

[გაკეთდება]: ძაგანიას ბოროტების შემდეგ გაუხდა ასეთი, ან მარტო მასთან იყო ასეთი.

V. საშას დამოკიდებულება რევოლუციასთან.

~~VI. მოპირდაპირე პოდიეზდი სადაც შაშა დაიმალა, უნდა გაკეთდეს, რომ შაშა იმავე ეზოში ცხოვრობს, ქვევით. (გადაშლილია მწერლის მიერ)~~

VII. ძაგანიას უნდოდა, რომ თავის გასვენებას თვითონვე დასწრებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ის ნამდვილად კარებიდან ჩაასვენეს».

მომდევნო ოთხი შენიშვნა (1_3გვ.) გადაშლილია მწერლის მიერ:

~~«1. შაშას თავიდანვე არ უყვარს დედა, ასე გონია დედის სიკვდილამდე.~~

~~2. სხვებს ეგონათ, რომ შაშა ვერასოდეს ვერაფერს ვერა გრძნობდა._ მხოლოდ ძაგანიას ინსტიქტურად ეშინოდა მისი.~~

~~3. შაშა იმიტომ ვერ იტანდა სიმეტრიის დარღვევას, რომ თითონ კოჭლი იყო, ასიმეტრიული და მისი გრძნობა ქვეშეცნეულად ცდილობდა ამის შევსებას.~~

~~4. ადრე I თავში უნდა შეხვედრა და დიალოგი შაშას ვინმესთან.~~

5. მთელი გზა არ ასვენებდა ასიმეტრიულობის გრძნობა _ შენობებსა, მის ფიქრებსა და მის ფიზიკურ სვლას შორის.

6. ბოლო: ჩემი დასკვნა: სწორეთ ამ ასიმეტრიულობაში არის უდიდესი ბუნების სიმეტრია.

სიმყუდროვე არ არის ოთახებში. არც პატარა და ანგრეულებში, არც დიდში და სუფთაში, სანამ პატარაში იყო /იმით ჯობდა პატარა/ უნდოდა დიდი ოთახი /მეტის მოთხოვნილება არ დაბადებია _ ამანაც შეაშინა/ (ცდის) შემდეგ არ შეიგრძნო სიამოვნება და უფრო დიდზე ფიქრს თავი დაანება /შუა გზაზე გაჩერდა/

I. ამიტომ დაიღუპა

ან

II. საერთოდ არ არსებობს დიდი რამე. ყველა პატარა და იმდენათვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც უმნიშვნელო!!!»

«(1-2გვ.) საშა ახდენს პირად რევოლუციას _ არ მოსწონდა კაცი _ მორჩა _ მოკლა! იმიტომ აიღო თოფი, იმიტომ გამოეხიზლდა სხვებთან ერთად».

_____

«მან თავისი ვალი შეასრულა»

_____

«ის ვინც დედას აყენებდა შეურაცხყოფას მოკლა

_ ბოლო: ზის მკვდარ დედასთან.

აზრი: დაიკარგა ძველი სიმეტრია და შეიქმნა ახალი, სხვანაირი, უცნობი, სახლში დევს მკვდარი დედა და კედელზე გადაჯვარედინებული თოფები კიდია.

* კოჭლობის გამართლება: მე უფრო კარგად ვიცი ვინ მოვკლა, ის იქით გაიქცა, როცა პირველად მოსაკლავი თითონ ძაგანია იყო».

_____

გადაშლილია მწერლის მიერ:

«~~ყოველთვის ეშინოდა შაშას რომ ძაგანიას თვალები არ დაეკარგა. მათზე უნდა ეძია შური და იმიტომ, იმიტომ ეშინოდა ამ თვალების მხედველობიდან დაკარგვა, იმიტომ ითმენდა ამდენ შეურაცხყოფას მათგან. ახლა იგრძნო ეს.~~

_____

სწორედ როცა კეთილად მოექცა ძაგანია და გული აუჩუყა, მაშინ მიბრიდავს შაშა, მიბრიდავს იმიტომ, რომ ის საცოდავი გამოჩნდა და თავისი თავიც შეაცოდა, იმას შეეცოდა შაშაც.»

გადაშლილია:

«~~გული ეტკინა, ტკენამ უშველა».~~

_____—-

«ისე რომ ძაგანიას ეშინოდა კიდეც და სერიოზულადაც»

_____—-

გადაშლილია:

«~~საშა გრძნობდა, რომ არც სხვებს უყვარდათ ძაგანია, მაგრამ სხვებთან ვერ ბედავდა ამდენს, საშიშს კი ის სხვები და ძაგანია ერთად ამზადებდნენ, საშა ეჩვევა ამ მდგომარეობას, მაგრამ ნახევრად ბრმის, მეზობელი ყოფილი ვერცხლის მჭედლის თვალები ახსენებენ ყოველთვის, რომ ის კაცია და დამცირება არ უნდა აიტანოს, რომ მას იგივე უფლება აქვს რაიც სხვას.~~»

გადაშლილია:

«~~ახლა მიდის მისკენ _ ლაპარაკი _ უაზრო~~»

_____-

«~~საშას პოლიტიკა ეს არის, საშას მეფე ის არის.~~»

მესამე თავისათვის (1_4გვ.):

«სწორედ როცა კეთილად მოექცა ძაგანია და გული აუჩუყდა, მაშინ მოკლა იგი შაშამ, იმიტომ რომ ის გამოჩნდა საცოდავი _ შეაცოდა თავი ე.ი. მოაჩვენა თავი ისეთად როგორიც არ იყო სინამდვილეში _ სინამდვილეში იყო არასაცოდავი, რადგან არცერთი ადამიანი არ არის საცოდავი და არავის არა აქვს უფლება თავი მოაჩვენოს საცოდავად სხვას, ვინც ამას შეეცდება ღირსია მიიბრიდოს ძაგანიასავით.

(პირველივე თავში უნდა)

შაშა მიუხედავად თავისი ნაკლებისა არასოდეს არავის არ აცოდებდა თავს, ამიტომ იყო რომ რამდენიც არ უნდა დაეცინათ მისთვის მაინც ეშინოდათ მისი და ეს დაცინვა უფრო თავის დაზღვევა იყო ამ შიშისაგან, რადგან დაცინვისას _ როცა თვითონ იმასხარავებდა თავს თავისდაუნებურად, ჩვეულებისამებრ შაშა _ მაშინ უვნებელი ხდებოდა.

ძაგანია: ბოლოს მიდის და კვდება იმ ანგრეულ ოთახში. აქ სიკვდილის წინ ხვდება ის, რო არა, ის ოთახი კი არ უნდოდა მას, არამედ სხვა რამე, უფრო დიდი ზოგადი, კარგი!!!»

_____

«დედის მხოლოდ ოცნება იყო ეს გვერდზე ოთახი _ როცა ოცნება იყო მაშინ იყო ტკბილი, დედის ოცნება იყო დახოცილიყვნენ ვინც იმ ოთახში ცხოვრობდა».

_____

«პირველი შეგრძნება ამქვეყნიური გამოცოცხლების შემდეგ _ Голод!

_ ე.ი. უნდა გავიდეს გარეთ _ გარეთ სინამდვილე _ რევოლუცია და შიში _ ის მსხვერპლი

ძაგანიას ის რაღაც არის მისი Злое начало _ რაც მოსვენებას არ აძლევს, თორემ სხვა უარესს აკეთებს თავისი სიკეთით ან სიკარგით და მშვენივრად გრძნობს თავს.

კაცს თითონ უნდა სწამდეს, რომ ის კარგია და მაშინ არის კარგი _ ოღონდ ზერელე წამებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ გულის სიღრმეში უნდა სწამდეს

ძაგანიას გულის სიღრმეში არა სწამს.

ჯერ შორს იყო წარსული, მერე იგრძნო რა ახლო იყო იგი მის აწმყოსთან და მომავალთან»

_____

«წარსული

აწმყო

მომავალი - წარმოდგენით არც მომავლის ეშინოდა ახლა, ირდგენდა ყველაფერ ცუდს. შეიძლება განჭვრიტო სულით, მაგრამ საქმით? რა იქნება? სხეული? ეს ფიქრები აფორიაქებდნენ მას: რა იქნება კონკრეტულად.»

«მუშაობის ბოლო (1_4გვ.):

(პირველი თავისთვის)

1. ასიმეტრიულობას ვაცილებ საშას,

2. ადრე ვამატებ დედასთან განწყობილებას, ვმარტავ, რომ იმ ერთი ალერსიანი სცენის გარდა, რომელიც ისე კატასტროფული წყენით დამთავრდა, მეტი არაფერი არა ყოფილა მათ შორის.

3. ვწერ ადრე თავში გაიოზის სიკვდილზე

ეპიზოდი: როცა გაიოზი მოკვდა, შაშა მასთან ერთად იყო და როგორღაც იმიტომ გადარჩა, რომ კოჭლი იყო და ვერ ეწეოდა. იქ დაებადა პირველად გაურკვეველი აზრი, რომ ის სხვას სწორედ იმითი სჯობდა, რომ კოჭლი იყო.

4. ვაღრმავებ იმ შეხედულებას პირველ თავშიაც და საერთოდაც, რომ საშა სხვებს სწორედ იმითი სჯობდა, რომ იყო კოჭლი!

5. პირველ თავში უნდა შეხვედრა და დიალოგი ვინმესთან.

თავი მეორე: ძაგანიას ცხოვრება

1. ძაგანიას ხასიათი _ დავიწყებ დიალოგით მაგიური თვალების ცივ მეწაღესთან.

2. ძაგანია არის კაცი, რომელსაც არაფერი არა აქვს და ყველაფერს მალავს, თავის გარშემო ქმნის ისეთ ყალბ სიტუაციას, თითქოს ბევრი რამე გააჩნდეს, რაც სრულიად არ სიამოვნებს თვითონვე და რისაც საშინლად ეშინია.

3. როცა ძაგანია ამასხარავებს შაშას, მხოლოდ იმიტომ, რომ შეეჩვია და არ იცის რა ქნას, როცა ხვდება, მას ეშინია შაშასი. ის მის ცივ უაზრო გამოხედვაში, და ფანატიკურ დამაჯერებლობაში ხედავს ყველაზე საშიშ რაღაცას.

4. ძაგანია სწორედ ამიტომ ცდილობს მხედველობიდან არ დაკარგოს შაშა, რადგან როცა ის მასთან არის, უჯერებს, როცა არ არის _ არ იცის რას აკეთებს შაშა ან რას ფიქრობს და მაშინ შიშატანილი კანკალებს.

5. ძაგანია გარეგნულად თავს არწმუნებს, რომ ის შიში, რასაც ის ქვეშეცნეულად განიცდის შაშასადმი, არ არის სერიოზული და ის გამოწვეულია შაშას მახინჯი გარეგნობით.

6. ძაგანიას ის "რაღაც» რა არის, ჯერ მე თითონ უნდა გავარკვიო.

7. ძაგანია მალავს პირველივე შემხვდურთან თავის აღელვებას.

წყლის დალევა არ უნდოდა, ტყუილად დალია, ის უნდა შეენახა უბრალოდ ნდომისათვის, რომ მის გარდა სხვა რამეზე არ ეფიქრა და ამ ფიზიკური ნდომისათვის დაემორჩილებინა თავისი სულიერი ღელვა, მაგრამ ვერ შეძლო.

ვისაც ეშინია რაღაცის რომ მას დანაშაულს დასწამებენ, ის თავისი ძირით / Злое начало/ არის დამნაშავე და ის მიიღებს /თუ მიიღო/ ღირსეულ სასჯელს ისევე როგორც ნამდვილი დამნაშავე, როცა დანაშაულს გრძნობს კაცი /რაც არ ჩაუდენია/, სხვებიც გრძნობენ მას ინტუიციით და ებრძვიან!!!

ახლა _ რაც მთავარია _ ხალხთან როცა არის, აღარ ეშინია, იმიტომ რომ თვალთახედვის არეში ჰყავს ისინი. მჟღავნდება შაშაზე!!!»

3. «ძაგანიას სიზმარი» (1_4გვ.). იქვე, სათაურთანვე, მიწერილია გურამის კომენტარი: «/ Ни то! Этот сон/»

«ძაგანიას სიზმარს» აქვს აღნიშვნა «2.*», რაც უნდა მიანიშნებდეს ტექსტში ჩასამატებელ ადგილს, თუმცა ასეთი აღნიშვნა ძირითად ტექსტში ვერ მოვიძიე:

«ძაგანიას სიზმარი:

იასონა ბოძის კუთხეში ზის, იასონა რიჟაა და თარსი, ძაგანიას თავიდანვე გული უგრძნობს, რომ რაღაც ცუდი მოხდება, მას კი ძალა ელევა, თან წევს და ვერ ინძრევა. რამდენი არა სცადა ხელი ვერ ასწია მაღლა, ის თავზე ბალიშს იხურავს, რომ იასონამ არ დაინახოს, მერე ძაგანია ამჩნევს, რომ იასონას არც აინტერესებს დაინახოს ის, ძაგანია თავსა ყოფს ბალიშიდან, ცალი თვალით უყურებს იმას, რაც ეზოში ხდება: იასონას შარვლები დაუხდია ბავშვებისთვის, საწყალი მაღალი თამაზისთვის და დაბალი ვანასთვის, ისინი კანკალებენ სიცივისგან, იასონა კი არც ინძრევა, ისე ურტყამს მათრახს. «თავის შვილებს რას უშვება, მე დამინდობს?» ფიქრობს ძაგანია და ისევ იხურავს თავზე ბალიშს, რომ იასონამ არ დაინახოს _ მცივა აბა! _ ყვირის იასონა; თაზო და ვანა ფიჩხს მოარბენინებენ. მოხუცი თმაგაძეძილი ბაბო ცეცხლს ანთებს, თავის ოთახებში თბილად შემძვრალი ხალხი მოძვრება, მორბის გარეთ, ცეცხლს ეტანებიან, აღარა რცხვენიათ არაფრის, იწევენ კაბებს, იხდიან შარვლებს, რომლებიც მუხლებზე რჩებათ ჩავარდნილი და ყველაფერს უშვერენ სითბოს; მათი უსირცხვილობისგან აღარ იცის რა ქნას ძაგანიამ, მერე ბალიშს იდებს თავზე და ზევიდან აჯდება თითონ, რომ აღარ დაინახოს, მაგრამ ყველაფერი ისე ცხადია, ისე აშკარა, რომ ეს არ შველის; იასონა შოლტს ატრიალებს ისე რომ არც ირხევა, შოლტის ბოლოსთან ერთად დახტის ბაბო, შვილიშვილებს აწიოკებს, ბალღები ხან ცეცხლის ერთ თავისუფალ კუთხესთან მივარდებიან, ხან მეორესთან, რომ გათბნენ, მაგრამ ბაბო არ უშვებს, ბოლოს ცეცხლის გარეშემო რკალი ივსება, გაგიჟებულები, გალურჯებულები სიცივისაგან, დარბიან ბავშვები ცეცხლის გარეშემო. ბოლო თავისუფალ კუთხეს ბაბო იჭერს, იასონა და ის ერთმანეთს თვალს უკრავენ, ორივენი თბებიან, თბებიან ყველა, თბებიან შურით, გამწარებით. ალი კი სულ მაღლა იწევს, ეკიდება მათაც, ოღონდ ისინი ვერა გრძნობენ, იმდენად ხარბები არიან. ცეცხლის

იქით, წრის იქით დარჩენილი მაღალი თაზო და პატარა ვანა დარბიან _ ძია, ძია _ იძახიან საცოდავად ისინი, ძია ძია _ გვცივა, გვცივა, ჩვენც რა _ იძახის ბოხათ თაზო _ ჩვენც რა! წრიპინებს ვანა. ძაგანია იყინება თითონაც, თან ეცოდება ბავშვები, თან ეცოდება. «საწყლები, საწყლები,» იმეორებს გუნებაში, «ნეტა რა ეშველებათ». სცივა ძაგანიას, ოღონდ ითმენს, ითმენს, იმიტომ რომ ბავშვებსაც სცივათ _ უუუ _ ტირიან პატარები, ბაბო კაბას მაღლა სწევს, უსირცხოდ უჩანს ყველაფერი განათებული ცეცხლით, პატარები კაბის ქვეშ იმალებიან, მერე ჩანან ცეცხლის წინ, იკრუნჩხებიან, იწვიან, იმანჭებიან, იწვიან, ოღონდ [ ] სიამოვნებისგან, უხარიათ ცეცხლი. სხვებთან ერთად ხტუნაობენ _

ოოო! უუუუუ!

და და და და და

რა?! რა?! რ ა რა

ერთი ორი

ჩვენ ვთბებით, ჩვენ ვთბებით

ჩვენ ვმღერით, ჩვენ ვმღერით

მოძრაობს მაღალი წრე რიტმულად, იასონა გაუნძრევლად ატყლაშუნებს შოლტს, ძაგანია კი წევს მარტო ოთახში, კანკალებს სიცივისაგან და რაც უფრო მეტს იხურავს უფრო ცივა, მერე ყველაფერს ყრის, ახლა აღარც მას ცხვენია, წევს ტიტველა და კანკალებს.

ეზოში კი იხრუკებიან, უხარიათ, ძაგანიას უნდა ცეცხლი, უნდა გათბეს, ახლა აღარ უკვირს რომ იქ იბრაწებიან და მაინც უხარიათ, იწვიან და იღიმებიან, თითონაც სიამოვნებით იქნებოდა მათ მდგომარეობაში. ძაგანია გრძნობს როგორ ეყინება მარჯვენა, მერე მარცხენა. იქ კი ცეცხლი მატულობს, მატულობს. არავინ არ ფიქრობს, რომ ძაგანიას ცივა, რომ ძაგანია მარტოა, რომ ის იყინება. მას გული ეზრდება, ცრემლები აწვებიან თვალებს, ის სადღაც მიმალულ ძალებს იკრეფს და ყვირის საწოლზე წამომჯდარი _ ვა, მე არ მინდა! _ და უკვე ნანობს რომ იყვირა, მან იცის, რომ ვერ გაუგებენ მას, მან იცის რომ რაღაც საშინელი მოუვა ახლა თუ გაიგონა მისი ხმა ვინმემ და შეშინებული იყუჟება კუთხეში, მაგრამ იასონამ უკვე გაიგონა მისი ხმა, იასონა საშიშია, რადგან იასონას ძაგანია მკვდარი გონია, და უკვირს რომ მკვდარი ყვირის «ვა შენც გინდა?» კითხულობს ის, მისი ხელი შედის ძაგანიას ოთახში და ფანჯრიდან ისვრის მას, მთელ მის სხეულში უცებ იღვრება სითბო. ძაგანია ზედ ალის თავზე წევს, ტრიალებს და გვერდებს ითბობს, ითბობს, ერთი გვერდი უხურდება, ტრიალდება მეორეზე, მეორე უხურდება, ტრიალდება ისევ და თბება, ალი მატულობს, ახლა უკვე თვალისმომჭრელი სისწრაფით ტრიალებს ძაგანია და გრძნობს, რომ ძალა აღარა ყოფნის უფრო ჩქარა დასატრიალებლად, რომ რომელიმე გვერდი არ გამოეწვეს, ქვევით კი ხალხი თბება თავისთვის, ქვევით ხალხს შეუძლია ჩააქროს ცეცხლი, მაშინ ძაგანია დაწვას აშკარად გადარჩება, მაგრამ არც ისინი არიან დამნაშავეები. მათ არ იციან რომ ძაგანია ალის თავზე იწვის და რომ ის საერთოდ ცოცხალია, ახსნა კი არ შეუძლია, რადგან ის მართლა მკვდარია და ხმა არა აქვს, ძაგანიას შიში იპყრობს, რომ მკვდარი ხმას ვერ იღებს, მერე ეჭვი იპყრობს თუ მკვდარია და ხმა არა აქვს, საიდან გაიგო იასონამ მისი ხმა, ის იასონას უყურებს, იასონა კი ისეთი ვერაგია, ვითომ ვერა ხედავს, რომ კაცი იწვის, რომელიც სინამდვილეში ცოცხალია და რომელიც მკვდარი გონიათ. სულ გამოეწვა ძაგანიას გვერდი. ის ახლა უფრო ჩქარა ტრიალებს და მთელი ხმით იძახის, მას დაავიწყდა რომ მკვდარია და იძახის «იასონ! იასონ!!» იასონი კი ხელებს ითბობს იმ ალზე რომელზედაც ძაგანია იწვის და უსტვენს «იასონს თავისი შვილები არ ენანება, მე

დამინდობს, მე დამინდობს?» იმეორებს ძაგანია თავისთვის. ხალხი კი ემატება, ახლა ორ წყებათ თბებიან და ერთი ხმით მღერიან, ერთ რაღაც გაბმულ სიმღერას, მათ ხმაურში არ ისმის ძაგანიას ხმები, რომლებიც მოითხოვენ შველას

«ოოოო
უუუუუ
ჩვენი შველა
ჩვენი შველა
ჩვენ ვიწვით და ჩვენა ვთბებით
ვისაც უნდა და არ უნდა
ჩვენი შველა, ჩვენი შველა»

ისმის მათი ბუნდოვანი ხმები, ძაგანია კაცია, ამ ცეცხლზე კი რკინაც დნება, ძაგანია იწვის, ნახშირდება და წყინს, რომ მისი ხმა ვერავინ ვერ გაიგონა, და წყინს, რომ არავინ არ დაინახა როგორ იწვებოდა ის ცეცხლზე, რამდენი გადაიტანა მან და კიდე რამდენი დარჩა, რადგან სულ პატარა, დანახშირებული ისევ ივსება ახალი შესაწვავი ხორცით და ისევ ტრიალებს «ჰი, ჰოჰი» ხითხითებს თავისთვის იასონა, ხელის გაუნძრევლად იქნევს შოლტს «მან იცის, მან იცის» იმეორებს ძაგანია და წამით მადლობის გრძნობით ივსება მისდამი «მას შეუძლია, მას შეუძლია» განაგრძობს იგი და არ იცის რას ფიქრობს იასონაზე, «მას არ უნდა, მას უნდა რომ დავიწვე» ხეთქავს მისი გახურებული სხეულიდან ბრაზი. იასონა კი ჩუმად, ისე რომ ხალხმა ვერ დაინახოს ხითხითებს «ხი,ხი,ხი ძაგანია, რა კაცია, ორიოკოდილა და ძაგანიაა»

გადაშლილია მწერლის მიერ:

«იასონა ძველი მოქეიფე კაცია და ძაგანიამ იცის, რომ თუ მან სიმღერა დაიწყო არ გაათავებს. ორიოკოდილა [ ] უერთდება ხალხი. ორიოკოდილა ოდილა დილა ია ძაგანია, ძაგანია, ძაგანია» ისე უკრავს იასონა, რომ ხალხმა ვერ გაიგოს.»

4. ნაწარმოებში ჩასამატებელი ეპიზოდი(1გვ.) სიტყვებიდან: «ბავშვობიდანვე იშვიათად ეფერებოდა დედა შაშას...» შემდეგი სატყვების ჩათვლით: «უნდოდა გაქცევა შორს, სადღაც, მაგრამ დედის კალთას იქით გზა არსაით ჰქონდა.» ჩამატებული ტექსტის ბოლო სიტყვები _ «ასევე დარჩა დღემდისაც» _ მსუბუქად არის გადახაზული მწერლის მიერ (ტექსტის გადაშლის სხვადასხვა ხერხის შესახებ ავტოგრაფებში იხ. ტომი 1. ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რვეულში მოთავსებული ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს ნაწარმოების დაწერამდე, შესაძლოა, ბევრად ადრეც კი: იქ უკვე გამოკვეთილია ლიტერატურული გმირის ტიპი კოჭლი საშას სახით, თუმცა ჯერ არა ჩანს ძაგანია, დასრულებული ნაწარმოების მეორე გმირი. აქვე ნახსენები კაცია, მათხოვარი, რომლის დამცინავ მზერასაც საშა მისი გარდაცვალების შემდეგაც კი გრძნობს, როგორცა ჩანს, გადაიქცა ძაგანიად. მნიშვნელოვანია, რომ თაბახის ფურცელზე დაწერილ «შენიშვნებში წაკითხვის შემდეგ» სიტყვა «ბრძოლა» შეცვლილია სიტყვით «რევოლუცია» და აღნიშნულია, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრი სიმეტრიის შესახებ შეიცვალა: «სიმეტრიულობას მთლიანად ვაცილებ შაშას...» გურამი, ვფიქრობ, აპირებდა ვრცელი ეპიკური ტილოს შექმნას, შეიძლება ისტორიული რომანისაც, რომლის მოქმედება ერეკლე მეფის ეპოქაში უნდა წარმართულიყო (აღსანიშნავია, რომ გურამი, თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობისას, ერეკლე მეფის თემას რამდენჯერმე მიუტრიალდა (ამონაწერი 1958 წლის 21 მაისის დღიურიდან: «აზრი ერეკლე მეორეზე მწიფდება». 1958 წლის ივნისის

ჩანაწერებში გვხვდება ისტორიული წყაროების ვრცელი ნუსხა, წასაკითხი წიგნების სია, რაც, მისი აზრით, დასჭირდებოდა მას ერეკლე II-ზე მუშაობის დროს). ნაწარმოების სივრცე ეპიკური სიუჟეტისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი გმირებით უნდა ყოფილიყო დასახლებული, თუმცა ამ ჩანაწერებშიც იგრძნობა უკვე ლირიკული ნაკადი. ამავე რვეულშია მოთავსებული, აგრეთვე, ჩანაწერები სიმეტრიის შესახებ, რაც, როგორც აღვნიშნეთ, გადმოცემით, ნაწარმოების შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო. «შენიშვნებში წაკითხვისას» ჩანს, რომ გურამს განზრახული ჰქონდა მოეხდინა კოორდინაცია «შაშას რევოლუციის» სხვადასხვა ეპიზოდებს შორის.

5. ძირითადი ტექსტი

«შაშას რევოლუცია» გურამს ორ თავად ჰქონდა გააზრებული: I თავი _ შაშა აზაურაშვილის შესახებ (1_12გვ.; 13-22გვ.), II თავი _ ძაგანიას ცხოვრება (1-26გვ.) და ძაგანიას მკვლელობა (27_36გვ.).

I. «შაშა აზაურაშვილი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ქვაფენილაყრილ ტროტუარზე....» (1_12გვ.) ნაწერია მსხვილი, გაშლილი, გაკრული ასოებით. ხელნაწერი ალაგ-ალაგ - ვფიქრობ, ხელახალი გადაკითხვისას - ნასწორებია მწერლის მიერ. იმ დროსვე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე, არქივში სხვა საქაღალდეში აღმოჩენილი შაშას ბავშვობის ეპიზოდი (რეტროსპექცია). ეპიზოდი ჩავამატეთ მეორე გვერდის მესამე ხაზზე, ავტორის მითითებისა (სიტყვა «აქ») და შინაარსის თანახმად. ხელნაწერის მესამე გვერდზე სიტყვებთან: «შაშა მოულოდნელად გამხიარულდა», ხაზებს შორის, ჩამატებულია წინადადება: «წამები, როცა გინდა და შეგიძლია მოატყუო შენი თავი ან უფრო სწორედ ნამდვილ, მგრძნობიარე სიმართლეს ეუბნები შენ თავს და მთლიანად გამოთიშავ სხვების აზრს ამის შესახებ». ასეთი მინაწერები, ჩემი აზრით, მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის კუთვნილებას წარმოადგენს (ე.წ. მუშა ტექსტს) და არა მხატვრული ტექსტის ნაწილს. ხშირად მას დეკლარაციული ხასიათი აქვს და მოთავსებულია ფრჩხილებში. ამავე ნაწილში, სიტყვების შემდეგ «ძლივს დაფორთხავდა ერთი ფეხით და ხელებით» _ გადაშლილია მთელი აბზაცი: «მაშინ დადიოდა მათთან ძაგანია, ფოჩიან კანფეტს უგდებდა ზოგჯერ შაშას; შაშა ლოღნიდა, ტკბილი ლორწო ჩამოდიოდა წინსაფარზე, ტუჩებზე, ეზილებოდა ჭუჭყს და კიდე ახალ კანფეტს ელოდა. ძაგანია კი იწვა დედამისის გვერდით, კოცნიდა, ეალერსებოდა, წყინდებოდა მარტო ჯდომა შაშას, გრძნობდა, რომ ვიღაც სხვა კაცი იყოფს მის უფლებას, რომ იწვეს დედას გვერდით, ტიროდა, მაშინ მეორე კანფეტს აძლევდნენ, დედა თავზე ხელს გადაუსვამდა, შაშა .....»

«მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უგრძვნია შაშას, რატომ ეჭირა წამლის შუშა ხელში» (13_22გვ.). მეცამეტე გვერდის დასაწყისში დიდი ფიგურული ასოებით წერია რიცხვი «2». მეორე ნაწილი დაწერილია გაკრული ხელით, შედარებით უფრო წვრილად და გაცილებით მჭიდროდ. ჩამატებები გაკეთებულია ხელახალი გადაკითხვისას.

II. ეს ნაწილი, ვფიქრობ, «სიაში არქივიდან» «ძაგანიად» რომ მოიხსენიება, მწერლის მიერ გამყოფი ნიშნებით პატარ-პატარა თავებადაა დაყოფილი (შენარჩუნებულია ნაბეჭდ ტექსტში). თუმცა საერთოა პაგინაცია (1_36გვ.). ამ ნაწილის დასაწყისში უფრო წვრილი ასოებით დაწერილი «წინ: საერთო რევოლუციური სიტუაციის აღწერა» მუშა ჩანართია და, ამდენად, არ არის მიჩნეული ტექსტის ნაწილად. დაწერილი უნდა იყოს

ხელახალი გადაკითხვისას. ტექსტად არ არის მიჩნეული, აგრეთვე, პირველი თავის ბოლოს (1_12გვ.), ახალი თავის დაწყების წინ, ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები: «/აუტანელი გახდა ოთახი, მარტო ჯდომა, იმიტომ გავიდა გარეთ, იმიტომ გადიოდა საერთოდ გარეთ/» და აგრეთვე, ასევე ფრჩხილებში მოთავსებული ბოლო წინადადება: «/უნდა გაიზარდოს I ოთახი, უნდა გაიზარდოს იქით გაფორთხვა, უნდა გაიზარდოს II ოთახი, ან საერთოდ არ გაიზარდოს/». ეს წინადადება დაწერილია სიტყვა «ფარდის» (რაც «დასასრულს» უნდა მიანიშნებდეს) შემდეგ. ხელნაწერის მესამე გვერდზე, სიტყვების შემდეგ _ «რა მისი საქმე იყო ასეთ დროს ხეტიალი», გადაშლილია: «გუშინაც გარეთ იყო, ოღონდ გუშინ კარგად ეცვა, ამის გახსენებაზე ცოტა დამშვიდდა, მგონი, გუშინაც დაინახა პოლიკარპ ნიკოვიჩმა, მაშინ ისე არ ეჩქარებოდა ნიკოვიჩს და (…) კიდეც, არა, რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ ძაგანია ბოგანოების მხარეზე არ დადგება, ამ ფიქრებმა ცოტა გაამხნევა კიდეც ის.» მეთვრამეტე გვერდზე, სიტყვების შემდეგ «რომელსაც უნდა ებრძოლოს და რომელზეც ის უეჭველად გაიმარჯვებს» დაწერილი წინადადება: «და აი, პირიქით, შაშას დედის სახით, იმარჯვებს სრულიად კეთილ, უდანაშაულო, შემთხვევით ობლად დარჩენილ იმ ოჯახის შვილზე. ის ოჯახიც, თავისთავად, არანაკლებ უბედური იყო!!!» არ არის ჩათვლილი ტექსტის ნაწილად ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო. ხელნაწერის მეოცე გვერდზე, ძაგანიას სიზმრის წინ, გაკეთებულია ჩამატების ნიშანი და წერია «1.», რაც, ცხადია, უნდა მიანიშნებდეს ჩასამატებელ ეპიზოდზე. ტექსტი ასეთი აღნიშვნით არქივში არ აღმოჩნდა. ცალკე ფურცლებზე დაწერილ «ძაგანიას სიზმარს» აწერია «2.» (იხ. ქვემოთ). ეს ვარიანტი დაწუნებულია ავტორის მიერ: «Ни то этот сон». იძულებული ვიყავით ტექსტად მიგვეჩნია გადახაზული სიზმარი.

«შაშას რევოლუცია» დაწერილია ოთხი დღის განმავლობაში, 2-დან 5 აგვისტომდე, «ირინა და მეს» და «ბატონო ტელემხედველებოს» მსგავს ფურცლებზე, რამდენიმე დაჯდომაზე, მაგრამ მაინც ერთი ამოსუნთქვით. თავდაპირველი მსხვილი, გაკრული ხელწერა, ისე როგორც ზევით დასახელებულ მოთხრობებში, მალევე იცვლება უთანაბრო, არამყარი ხელით. მეორე თავში კი გურამისათვის აბსოლუტურად უჩვეულო, მომცრო, გაურკვეველ, მიყრილ, დაქანებულ ასოებსა და პირამდე სავსე გვერდებში გადადის. იქმნება შეგრძნება, რომ «რაღაცა» («ძაგანიას «რაღაც» რა არის, ჯერ მე თვითონ უნდა გავარკვიო» _ ჩანაწერებიდან), რაც მწერლის გაურკვეველი, ბუნდოვანი სიღრმეებიდან იღვრება გარეთ, მხოლოდ სიტყვიერი ხელოვნების თავისებურების გამოა იძულებული გამოვლინდეს თანდათანობით და გრაფიკული გამოსახვა, უბრალოდ, ცდილობს არ ჩამორჩეს სათქმელს. მეორე ნაწილში (ძაგანიას ცხოვრება და მკვლელობა) პატარ-პატარა თავების პირველი სიტყვები დაწერილია შედარებით მყარი, თითქოს დამშვიდებული, თავშეკავებული ხელით. თუმცა ეს ხელწერა მალევე იცვლება ისევ სწრაფი, მიყრილი, დაქანებული ასოებითა და პირამდე სავსე გვერდებით. ამ ფაქტში თითქოს გრაფიკულადაა გამოვლენილი ნიუანსები მწერლის ალტერ ეგოს სულიერი ბიოგრაფიისა, ეტაპურად, ნახტომებით, დაბრკოლებების გადალახვით რომ მიიწევს «წინ», გულის სიღრმეებისაკენ. ბოლოს ნაკადი წყდება და ყველაფერს ჩამოეფარება «ფარდა».

გურამმა, როგორც ჩანს, არაჩვეულებრივი სისწრაფით დაამთავრა წერა. დაწერა ბოლო აბზაციც. ამ აბზაცს - ვფიქრობ, დამთავრებული ნაწარმოების ხელახალი გადაკითხვისას - უწოდა «პროლოგი» (ლაფსუს კალამია თუ გმირის ახალი გზის დასაწყისის მიმანიშნებელი!). ამის შემდეგ, ფრჩხილებში, სიტყვა «დასასრულის» მაგივრად, დაწერა სიტყვა «ფარდა». მაშინვე უნდა იყოს გაკეთებული სამომავლოდ

გასათვალისწინებელი შენიშვნაც: «/უნდა გაიზარდოს პირველი ოთახი, უნდა გაიზარდოს იქით გაფორთხვა, უნდა გაიზარდოს მეორე ოთახი/» და უკვე ფრჩხილებს გარეთ, თითქოს ნაჩქარევად ცალკე ხაზზე მიწერილი: «ან საერთოდ არ გაიზარდოს.» მართლაც, გურამი თვითონ ნაწარმოების ტექსტის არეზე გაკეთებულ მინაწერებს, ისევე როგორც ცალკე ფურცლებზე ჩაწერილ შენიშვნებს აღარ დაბრუნებია. მან გაკეცა ავტოგრაფი შუაში, როგორც იცოდა ხოლმე; შემდეგ ჩადო თაბახის ფურცელში, რომელიც ხელნაწერს ყდასავით შემოევლო; გაკეცილ ქვედა ნახევარზე, ჩვეულებისამებრ, დაწერა სათაური, თარიღი, გააკეთა რამდენიმე ჩანახატი; შემდეგ, თითქოს საიმედოდ შეფუთული ხელნაწერი, რომელიც გაბნევას მწერლის სიცოცხლეშივე ვერ გადაურჩა, შეინახა ლომბერის მაგიდის «საიდუმლო» უჯრაში. «შაშას რევოლუცია» «სამუდამოდ» მოსცილდა მხედველობის არეს. ამ მოთხრობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, არც ინტენსიურ შემოდგომის დღიურებში («წერა, წერა რვეულის გავსებამდე») გახსენებია ის მწერალს. როგორც ჩანს, მან მჭიდროდ დაუშვა «ფარდა» იქამდე, სანამ, ერთ მშვენიერ ნოემბრის დღეს, არ დაიწყო თავისი «ტრაგედია პირველის» წერა, რომელსაც უწოდა «იულონი». მხოლოდ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ანუ 1959 წლის აგვისტოში, როდესაც გადაწყვიტა მოთხრობების პირველი კრებულის გამოცემა და შეადგინა კიდეც სია, სამოცდამეათე ნომრად დაასახელა «ძაგანია» (და არა «შაშას რევოლუცია»). აქ არის ორი ვარიანტი: გურამმა ეს ნაწარმოები მოიხსენია, უბრალოდ, გმირის სახელის მიხედვით _ აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაწარმოების დაწერის შემდეგ აქცენტი გადატანილ იქნა მეორე მოქმედ პირზე, ძაგანიაზე, რომელიც ადრეულ ჩანაწერებში საერთოდ არ გვხვდება, ან კიდევ, მომავალ წიგნში ის აპირებდა შეეტანა მხოლოდ ნაწარმოების მეორე თავი _ «ძაგანიას ცხოვრება.»

მკითხველს გავახსენებ გურამის ადრეული მოთხრობების გმირებს: ბაკურიანიდან, ზღვიდან ან ალპინისტური ბანაკიდან ახლად დაბრუნებულ, მზეზე გარუჯულ, ღირსეულ ვაჟა ან ვამეხ ჯანდიერს, შეუპოვარ, უშიშ ცქიტოს და სხვებს, თავიანთი მწერალივით პატარა თავით, ლამაზი მხრების რხევით, «დინჯი ჟესტებით», შემართული კისრით, განიერი მკერდითა და ღონიერი ფეხებით ღირსეულად, თავშეკავებულად რომ გადაადგილდებოდნენ ქალაქში. რაინდული ქცევით, აშკარად გამოხატული კაცური ვნებით თუ ფიზიკური სიძლიერით ისინი მაშინვე იპყრობდნენ ქალებისა და მეგობარი მამაკაცების გულებს.

ასეთ გმირთან იყო გაიგივებული გურამ რჩეულიშვილი, «ახალი რენესანსის მაუწყებელი» (ვადიმ მიხაილოვი _ რუსი პოეტი, გურამის ამხანაგი. წარწერა ლექსების კრებულზე, რომელიც ჩემს ძმას აჩუქა), «შეუცნობლად წარმართი», «სამყაროს საიდუმლოების გაუთვითცნობიერებლად გამომხატველი» (გოგი ოჩიაური). ამას მოწმობს ნუგზარ წერეთლის წიგნიც, რომელშიც მწერლის ცხოვრებიდან არა ერთი თუ ორი საგმირო, ბიჭური ამბავი არის მოთხრობილი. ეს ამბები განადიდებს მწერლის პიროვნებას, რაინდულ ორეოლში ახვევს და მკითხველს არწმუნებს, რომ გურამის მოთხრობების გმირი არის თვითონ მწერალი, «შიგ შუა ცხოვრებაში ჩავარდნილი», რომელშიც აისახება და გამოსავალს პოულობს ცხოვრების ყველა წვრილმანი (მწერლის სიტყვების პარაფრაზი).

«შენ დაამსხვრიე ის ბორკილები, რომელსაც ატარებდნენ სხვები. ... შენ ასახიერებდი თავისუფლებას... შენი ცხოვრებისეული პარადოქსებით ამსხვრევდი

მეშჩანური მორალის დოგმებს, შენ, გარეგანად თითქოს ქაოტური, თავად იყავი უდიდესი შინაგანად მაორგანიზებელი ძალა. ...შენ, თითქოსდა მოჩვენებითი დისონანსი, თავად იყავი განსაცვიფრებელი ჰარმონია.... ელვასავით ფიცხი და თან კრავივით თვინიერი... მახსოვს შენი თვალების ცეცხლი, მახსოვს შენი შეუდარებელი, ცასავით კრიალა ღიმილი, შენი გააფთრება, შენი მჭექარება, მახსოვს, ამავე დროს, შენი დინჯი ჟესტები, რომლებიც შენ გამშვენებდნენ როგორც ჭეშმარიტ იბერიელს. უთუოდ შენზეა ნათქვამი: «ვაჟკაცი ამო-გემო სჯობს, რო გაჭირდება მჭექარი...” შენ ასახიერებდი თავისუფლებას, რომელსაც ყველა მიელტვის ცნობიერად თუ არაცნობიერად» (ზვიად გამსახურდია გურამზე. ეს სიტყვა პირველად ითქვა მწერლის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ მწერალთა კავშირში, გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ საღამოზე).

«ვინც გულდასმით დაჰკვირვებია გურამ რჩეულიშვილის ჩამოქნილ ელინურ აღნაგობას და მისი ფრთოსანი სულის გამოელვებებს, ოდნავ მაინც მიუხვდებოდა ჩანაფიქრს ვარსკლავთა სამყაროს» (მერაბ კოსტავა, ამონაწერი იმავე დღეს წაკითხული სიტყვიდან).

სპორტის სასახლის წინ დადგმული ახალგაზრდა ბიჭის ქანდაკების ფეხების მოდელად მოქანდაკე ჯუნა მიქატაძემ, მისივე თქმით, გურამის ფეხები აირჩია, თითქოს ტორსთან შედარებით უფრო განვითარებული, როგორც შეეფერება ჭაბუკს, რომელიც ბევრს დადის მთაში და ხშირად აჭენებს უბელო ცხენებს. გურამს აკადემიის ქანდაკების განყოფილების მეგობარი სტუდენტები სთხოვდნენ ყოფილიყო მათი მოდელი გაკვეთილებზე, მისი ჰარმონიულად, პროპორციულად განვითარებული სხეულის გამო.

და აი, საიდანღაც გაჩნდა შაშა. «შაშას დაბადება უკვე მისი შეურაცხყოფა იყო» («შაშას რევოლუციიდან». განვაგრძობ ციტატას: «შაშას დედა ერთ დროს ლამაზ ქალად ითვლებოდა»).

შაშას მაშინვე მოჰყვა ძაგანია. ძნელია ფიზიკურად სუსტ და გარეგნობით მახინჯ, ნაკლულ, მთელი ხუთი სანტიმეტრით მოკლეფეხა, ჩოლახა შაშაში, ბუქნა-ბუქნით ძლივს რომ გადაადგილდება ქალაქის ქუჩებში, ან დიდთავა ძაგანიაში, რომლის დაკუმული ტუჩები რაღაცნაირ სასოწარკვეთას, უნდობლობას და შიშს გამოხატავენ, მის გამხვრეტ თვალებში ამოიცნო მწერლის ალტერ ეგო. გმირის სხეულის გარეგნული დეფორმაცია გრძელდება მომდევნო ნაწარმოებებშიც. ოთხი თვით ადრე დაწერილ «ირინა და მეს» პროტაგონისტის უფერო, ჩავარდნილ თვალებსა და გაცვენილ თმაში უკვე ჩანს ამის დასაწყისი. მოთხრობის გმირს თითქოს წერის პროცესშივე სცილდება პოეტურობის, რაინდობის შარავანდედი. ზოგიერთმა მკითხველმა, გურამს სამართლიანად რომ აიგივებდა მისივე მოთხრობების გმირებთან, «შაშას რევოლუცია» და «იულონი» არც მიიღო. მათი აზრით, გამომცემელს, მწერლის ავტორიტეტის შესანარჩუნებლად, უარი უნდა ეთქვა ამ ნაწარმოებებზე, რათა მკითხველს არ შექმნოდა მასზე არასწორი შეხედულება.

ყველაფერი თითქოს იქიდან დაიწყო, რომ ალპინისტმა, მოთხილამურემ, გოგოების მოყვარულმა, ატლეტური აღნაგობის, ფიზიკურად ძლიერმა, მოჩხუბარმა, მოქეიფემ, ცხენოსანმა გურამ რჩეულიშვილმა ერთ მშვენიერ დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, დაიწყო წერა, რაც მას «საერთოდ არ სჭირდებოდა». გურამი

იზრდებოდა მოწესრიგებულ, სრულყოფილ, მშვიდ, მშრომელ ოჯახში, რომელიც ყოველგვარი გადახრების გარეშე, იერარქიული საფეხურების მტკიცე დაცვით ყველა დონეზე, მიიკვლევდა გზას წუთისოფელში და თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნდა ქვეყნის სასიკეთოდ ყოველდღიური უსიტყვო, თავდადებული და უანგარო შრომა, თუნდაც იმ რეჟიმის პირობებში, რომელიც არ მოსწონდა და შინაგანად ეწინააღმდეგებოდა კიდეც. ყოველდღიურ შრომას მის ოჯახში შიგადაშიგ ენაცვლებოდა და აწონასწორებდა დროული დასვენება და ქართული სუფრისათვის დამახასიათებელი ლხინი. ქართულ სუფრაზე თამადა, ისე როგორც სუფრის თითოეული წევრი მის კვალდაკვალ, ადასტურებდა იმ ძირითად ღირებულებებს («ცხოვრება ტვირთია», «ყველას თავისი ჯვარი აქვს», «სიყვარული მსხვერპლის გარეშე არ არსებობს», უმცროსუფროსობა, დაძმობა, დედაშვილობა, რძალდედამთილობა და სხვ.), რომლითაც ცხოვრობდნენ მათი წინაპრები. ამ ღირებულებათა დაცვისაკენ მოუწოდებდა გურამს მისი მშობლების ყოველდღიური ცხოვრების მაგალითიც. დიდობაში მიფიქრია, რომ დედასა და მამას პურიტანიზმი მომდინარეობდა არა ვნებების სისუსტიდან, არამედ ეფუძნებოდა ძლიერი ვნებების მოთოკვის უნარს, რაც მათი საოცარი სიძლიერის მაჩვენებელი იყო.

წერა გურამს «აბსოლუტურად არა სჭირდებოდა», «არ იყო მისი საქმე» (იხ. პირველი ტომის წინა და ბოლოსიტყვაობები), მისი ოცნებების კომპენსაცია ან მისი კომპლექსების სუბლიმაციის საშუალება. მართალია, ის დაიბადა და ცხოვრობდა «კმაყოფილ» («შენ /მიმართავს ამხანაგი გურამს _ მ.რჩ./ მწერალი ვერ იქნები, შენს სახლში კმაყოფილები ცხოვრობენ...» დღიურიდან), ასე ვთქვათ, ბიურგერულ ოჯახში, მაგრამ ცხოვრობდა ისე, სხვები რომ მხოლოდ ოცნებობდნენ და მთელი თავისი ქმედებით თუ აღნაგობით, მართლაც, «ახორციელებდა თავისუფლების იმპულსს». ასე რომ, გურამი არც გარეგნობით და არც მოქმედებით არ იყო მწერლის ტიპი. მისი პიროვნება სხივს ჰფენდა გვერდით მყოფ ადამიანებსაც, რომლებიც ბევრისათვის რაინდობას, ვაჟკაცობას, სამართლიანობას განასახიერებდნენ, ბევრისათვის კი - უნიჭო პოზას, ხულიგნობის, უწესო ქცევისა და უსაქმურობის მაგალითს იძლეოდნენ. ისინი «ცხოვრობდნენ ისე, როგორც უნდოდათ» და «არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ საზოგადოებას». ეს იყო ოფიციოზის აზრი, რაც თითქმის მთლიანად გურამის «დამსახურება» იყო.

თბილისში იყო, აგრეთვე, ახალგაზრდების სხვა ჯგუფი, რომელთანაც გურამს ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ის მათკენ მიისწრაფოდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მიუხედავად მისი ბუნების «მრავალწახნაგიანობისა, წერაზე გადიოდა ყველა სხვა წახნაგიდან გამომავალი ხაზი» (დღიურიდან). ამ ახალგაზრდებს, ე.წ. ინტელექტუალებს, ვიღაცამ მეტსახელად შეარქვა «ხორტისტები», უნგრელი ხორტას კვალდაკვალ. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ირაკლი რამიშვილი, ედიშერ გიორგაძე, ზურაბ კიკნაძე, ლევან მალაზონია და სხვები, რომელთაგან არაერთის მშობელი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი იყო. «ხორტისტებთან» ჩემი ძმის დამოკიდებულება, რომელიც ჩემთვის ედიშერ-გურამის ურთიერთობად გამოიკვეთა, გურამისათვის ძალიან სავსე, მრავალმხრივი და ბევრი პარამეტრით სიმბოლური იყო (ედიშერ გიორგაძე _ მწერალი, ჟურნალისტი. 1958 წელს გურამს მასთან ძალიან ახლო და ინტენსიური სულიერი ურთიერთობა აკავშირებდა. ამონაწერი დღიურიდან, გურამი ედიშერზე: «მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობა, რომელიც არის სულიერი და არა კომერციული»). ამ პერიოდის ბევრ დღიურს, ისე როგორც, ჩემი აზრით, «შაშას რევოლუციას», გასდევს ედიშერთან

ოპონირების კვალი. ეს ოპონირება იგრძნობა, აგრეთვე, 1958 წელს დაწერილ ორ ტრაგედიაში _ «იულონი» და «სულხანი და მე» (იხ. ტომი 4).

ერთხელ ამ ჯგუფმა, გურამისგან მახსოვს, გადაწყვიტა ფილმის გადაღება (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. «იულონის» კომენტარები მეხუთე წიგნში). მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ ცენზურა ამ იდეის ხორცშესხმის უფლებას არ მისცემდა. იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ. შეკრებებს ესწრებოდა გურამიც, ოღონდ არა როგორც ერთ-ერთი მათგანი, ანუ თანაავტორი, არამედ როგორც დამრტყმელი ძალა. ის ინტელექტუალებს ფიზიკურად უნდა დახმარებოდა ჩანაფიქრის განხორციელებაში.

ამ დროისათვის, 1957 წლის «ცისკრის» პირველ ნომერში, უკვე დაბეჭდილი იყო გურამის ხუთი მოთხრობა. დაბეჭდილი იყო, აგრეთვე, «უსახელო უფლისციხელი» და «სიკვდილი მთებში» (იხ. პირველი ტომის ბოლოსიტყვაობა). როგორც ამბობენ, «ცისკარმა» გურამის საშუალებით გაითქვა სახელი. თითქმის არავინ იყო, რომ არ ეღიარებინა მისი ნიჭი. «ცისკარს» ცენზურამ შეუქმნა გარკვეული დაბრკოლებები. უნივერსიტეტის კრებაზე, დიდ სააქტო დარბაზში, მოეწყო ჟურნალის განხილვა (იხ. პირველი ტომის ბოლოსიტყვაობა). ოფიციოზი აკრიტიკებდა ჟურნალს, რედაქტორს და მასში მოთავსებულ ახალგაზრდა მწერლებს, რომელნიც გაერთიანებულები იყვნენ “ჭაშნიკში”. და აი, ახალგაზრდა ნიჭიერმა ფილოსოფოსმა ზურაბ კაკაბაძემ (ის გურამზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი თუ იქნებოდა) გურამის მოთხრობების ქება დაიწყო დაახლოებით ასეთი სიტყვებით: «... _მართალია, ისინი ჯერ უმწიფარია თავისი ფორმით, მაგრამ ....» გურამის მეგობარმა გადმომცა გურამის რეაქცია ზურაბ კაკაბაძის სიტყვებზე (იხ. გურამ რჩეულიშვილი. მოთხრობები. ბოლოსიტყვაობა მ.რჩ.-სა.). ეს აზრი პირველი მოთხრობების ფორმის უმწიფრობაზე, ისე როგორც ედიშერ გიორგაძის ფრაზა «ни то» რომელსაც ჩემს ძმასთან საუბრისას თურმე ის ხშირად მიმართავდა (იხ. შემდეგ), ვფიქრობ, რომ გამოხატავდა გარკვეული ჯგუფის დამოკიდებულებას გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების მიმართ. ესენი იყვნენ ახალგაზრდები, რომელთაც თარგმანსა თუ ორიგინალში ხელი მიუწვდებოდათ მათი თანამედროვე ევროპელი მწერლების შემოქმედებაზე - აქ იყო: კაფკა, ჰემინგუეი, თომას მანი და სხვები. თუმცა სხვებსაც ჰქონდათ გურამზე მსგავსი აზრი. მაგალითად, სულხან ქეთელაურმა მითხრა (მწერალი, გურამის ამხანაგი): «რჩეულას დაბეჭდვის შემდეგ მახსოვს ბევრის უარყოფითი რეაქცია: ასე არ იწერება ლიტერატურაო, _ ამბობდნენ უნივერსიტეტში, _ ორიგინალობსო. მე ვეუბნებოდი _ მაგის ბუნებიდან გამომდინარეობს-მეთქი» და სხვ.

გარდა ამ ზოგადი მოსაზრებისა, მწერლის მიმართ ასეთსავე დამოკიდებულებას ადასტურებს ზემოთ ნახსენები პატარა ფრაზაც «Ни то». ეს ფრაზა გურამმა მიაწერა «ძაგანიას სიზმარს» («Ни то этот сон» იხ. აქვე, ნაწარმოებისათვის გაკეთებულ ჩანაწერებში) და შემდეგ, ალბათ, სწორედ ამ მიზეზით (სიზმარი აღმოჩნდა «ни то»), აღარ შეიტანა ის ძირითად ტექსტში.

ნაწყვეტი 1958 წლის შემოდგომის დღიურიდან (სრული სახით დაიბეჭდება მეხუთე ტომში):

«... სანაყინის აივანზე ედიშერი და ბესიკა სხედან, ბესიკა მეძახის, ბიჭი შუა სიტყვაზე ჩერდება. მე მოვდივარ მათკენ, ააა! აქ მოვრბოდი, აქ, ამ ხალხს არ სჯერა, რომ მე ვგრძნობ იმდენივეს, რასაც ისინი, მე მხოლოდ იმიტომ გამოვვარდი სახლიდან, რომ დამემტკიცებინა მათთვის ჩემი შინაგანი გემოვნება, შფოთი, დამემტკიცებინა, რომ ისინი მიყვარს სულით და მათგან ამისივე ღირსი ვარ. ეს ხალხი პატივსა სცემს ჩემ იმ ნაწილს, რაც მათი აზრით უცნობია მათთვის, მე მინდა

დავუმტკიცო, რომ ამაშიაც ცდებიან, რომ მე მათი ძმაკაცი ვარ ყველაფრით. ჩვენ ამხანაგები ვართ, ვანგლობთ, ვლაპარაკობთ, მე გამომაქვს სკამი გარეთ. ... მიყვარს, როცა სხვებს ვუყურებ, ისიც მიყვარს, როცა სხვები მიყურებენ, სულ ყველაფერი არის ნორმალური. სამივეს დამოკიდებულება ერთმანეთში ერთნაირია და მაინცა ვგრძნობ, ედიშერი და ბესიკი ერთი ხალხია, ჩემზე მაღალი გემოვნების. მათ ერთი რაღაცა აქვთ საერთო, მე ვდგავარ ცალკე და ჩემი ხუმრობა თუ სიტყვები ცარიელად ისმის, ედიშერი მიყურებს, ლაპარაკობს..., ვლაპარაკობ მეც, ვცდილობ, რამდენიმე ზუსტი ფსიქოლოგიური დაკვირვება მოვახდინო ხალხზე. ... ედიშერს გულში შურს, რომ მე მეტი უფლება მაქვს გოგოებზე ლაპარაკის ვიდრე იმას, მე რატომღაც მეტი მივლია გოგოებთან, როცა ის ჩემზე მეტად იყო ღირსი და ყოველთვის ასე ხდება, მის სახეზე ოდნავ შეწუხებული, უკმაყოფილო ღიმილი თამაშობს:

ჰო, ჰო, ყველაფერი ასეა, გურამი სწორია и все таки ни то ни то რაღაცა მაკლია, ამას ავადმყოფურადა ვგრძნობ მეც. ედიშერიც გაბრაზებულია რაღაცაზე, იმან იცის არავიზე ნაკლები უფლება არა აქვს, აბა რატომა ხდება ასე ... აქ ედიშერს ჩემდამი ნერვების აშლას ისიც უმატებს, რომ მე ვიჭრები მის უფლებებში მიყვარდეს ხელოვნება, მე თვითონაც ამისთვის თავს დამნაშავედა ვგრძნობ _ ჩვენ ორივემ ვიცით, რომ მე კიდევა მაქვს სხვა საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემიძლია წავიდე კოჭი გავაგორო, ამიტომ, როცა რამე ფსიქოლოგიურ დაკვირვებას ვახდენ, ან ხელოვნებაზე ვლაპარაკობ, მის სახეზე თამაშობს სინანული все таки ни то ეგ არ არის, გურამ, შენი საქმე. ედიშერი არასოდეს არ მიგდებს ყურს, ის მხოლოდ მიყურებს: ამ გარეგნობის კაცს არ შეიძლება რამე ღრმა, ნამდვილი ჰქონდეს, ამ ოჯახის კაცს არ შეიძლება. იქ კმაყოფილები არიან და, რაც ყველაზე საშინელია, მე არ ვიცი გრძნობს თუ არა ამას ედიშერი, ყოველ შემთხვევისთვის, ჩემთვის ცხადია: მე ვიქნები მასზე კარგი მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მწერლობაზე არა მაქვს უფლება და ეს მწერლობა მხოლოდ პატივმოყვარეობისათვის მინდა _ ეს რომ არა, მე ოცნება მირჩევნია .....

და მაინც, ჩვენ ძმაკაცები ვართ, გაცილებით უკეთესები, ვიდრე სხვები, ბევრი სხვები, მე ნამდვილად მიყვარს ორივენი და ისე განვიცდი როგორც ყველაზე ახლო ნათესავებს, უბრალოდ მწყინს, რომ მე მათი მარტო ძმაკაცი ვარ, მე მათ არ ვამტყუნებ, მეც ასე ვუყურებ ჩემს თავს _ ზუსტად ასე....

ზემელზე, შახტასტროის სახლთან, წერეთელი ნუგზარი დგას... ის ჩემი ყველაზე კარგი ძმაკაცია ერლომესთან ერთად ... ნუგზარს ზუსტად ისეთივე გრძნობა იპყრობს ჩემდამი როგორც მე ედიშერისადმი ... ნუგზარისათვის ედიშერი, ბესიკა და მე ერთი ვართ ამ საკითხში. ისე, ისიც მე თავის საუკეთესო ძმაკაცადა მთვლის, როგორც მე. ...

... აბსოლუტურად არა მყოფნის ენერგია ბოლომდე მივყვე რამეს, ბოლომდე მწამდეს რამე და მაინც ვიქნები დიდი მწერალი _ უსინდისობაა ბედის, მა რა არის _ როცა ედიშერი, გულით ხელოვანი, ბოლომდე უყვარს ის და არ იქნება დიდი მწერალი, არ დარჩება ისტორიაში _ ეშმაკმა წაიღოს, ახლაც ვდგავარ ნუგზარსა და ბესიკ-ედიშერს შუა, მინდა ნუგზარი წამოვიდეს, მაგრამ უცნაურად არ უხდებიან ეს ხალხი ერთმანეთს. .... იქით დგანან ისინი, აქეთ დგას ნუგზარი. არ ვიცი საით წავიდე. ორივე მხარე ფარულად მიყურებს საით წავალ, ისინი გრძნობენ ამას, მეცა ვგრძნობ, გულით მინდა ნუგზარი, მე ის მიყვარს, მაგრამ ამას სჯერა, შურს, ამას მტკიცება არ უნდა, იმათ უნდა დავუმტკიცო, იქ უნდა წავიდე. მე ისინიც მართლა მიყვარან, მაგრამ აღარ შემიძლია მათთან, ოთხივე ერთად კი უხერხულია, აბსოლუტურად არ უხდებით ასე ერთმანეთს. ...

... მე ვეხლები კედლებს ედიშერ-ბესიკასი და, მეორე მხრივ, ნუგზარის. როცა ერთი მაგდებს, მეორეა ჩემი ნუგეში, როცა მეორე მაგდებს, ხელოვნებისმცოდნეების ნიღაბს ვაფარებ თავს, ვეხლები კედლებს და მივდივარ ....

... დაშორების წინ ედიშერი იჯდა ვერაზე, მე ვიდექი ხეებთან, იდგა ბესიკაც, როცა ედიშერს შევხედე, სახეზე ისევ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა: И все таки ни то, что-то ни то და მე ვფიქრობდი что? что? что? დავშორდით, მე გავიფიქრე, როგორ დავშორდე ედიშერს, რომ არ იფიქროს ჩემი ამდენი ფიქრების შესახებ, მეორედ, ხაზგასმული სიკარგით არ დავუქნიე ხელი, შესაძლოა именно это, это ни настоящее, ყალბი არის, ни то. скорее всего так. 3 აგვისტო».

ჩემი აზრით, ედიშერ-გურამის, ისე როგორც ნუგზარ-გურამის ურთიერთობაში კონკრეტული გამოვლენა პოვა გურამისა და მისი ამხანაგ-მეგობრების (შეიძლება ითქვას, გარკვეული მკითხველის) ურთიერთდამოკიდებულებამ. ეს გამოჩნდა ზემოთ მოყვანილ დღიურშიც. შეიძლება წინდაწინ ითქვას, რომ ედიშერი არის ის პიროვნება, ის «ქვრივი» «შაშას რევოლუციიდან», რომელზეც შური იძია ძაგანია_გურამმა («ჩემი შურისძიებაა, რაც შეიძლება უკეთ დავწერო», დღიურიდან). მაგრამ ედიშერის სივრცის, ანუ ხელოვნების («შაშას რევოლუციაში» გვერდითა ოთახის), ხელში ჩაგდების შემდეგ, ის მოულოდნელად მიხვდა, რომ «ვიზეც მან გაიმარჯვა, მასზე უფრო საცოდავი იყო.»

ნუგზარის დამოკიდებულება თავისი მეგობრის მიმართ კარგად ჩანს წიგნში: «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ», სადაც ის თავისი მეგობრის აპოლოგეტად წარმოგვიდგება. ამ წიგნმა მეგობართა გარკვეული ჯგუფის გაკვირვება და ბევრის კი გაღიზიანება გამოიწვია. გურამის გვერდით მყოფი, რაღაც დროის მანძილზე მაინც, ახლობელ-მეგობრებისათვის ჯერ თითქოს გაურკვეველი იყო რა მოხდა, არათუ სიტყვებით გადმოეცათ სათქმელი. გურამის ერთ-ერთმა მეგობარმა, იკა გელეიშვილმა, მითხრა: «გურამის დაღუპვის ამბავი რომ გავიგე, პირველი ელდის შემდეგ, საოცრად გამიკვირდა, ვერ წარმომედგინა, რომ ის შეიძლება უბრალო შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყო. მის გვერდით ყოველთვის მქონდა შეგრძნება, რომ თავის ბედს თვითონ წარმართავდა. ...» 4 ივლისს გურამის დაბადების დღეზე შეკრებილ ამხანაგ-მეგობართა მსჯელობაში იგრძნობა ერთი რამ: მათი დამოკიდებულება თითქმის ნახევარი საუკუნის წინ გარდაცვლილი მეგობრისადმი ღიაა ახალ-ახალი ინტერპრეტაციებისათვის. ისინი თითქოს მოელიან გურამისგან, როგორც ცოცხალი პიროვნებისაგან, კიდევ რაღაცას, რაც უკეთ მოახელთებინებს მის ფენომენს. ჩემი აზრით, ნუგზარ წერეთლის ასეთი სწრაფი (თუმცა თურმე 20 წელი იყო გასული) რეაგირების მიზეზი თავისი მეგობრის დაღუპვაზე, რასაც პირველი წიგნი მოჰყვა, საძიებელია მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ჩემი ძმის მიმართ: ის გურამს გაცნობის პირველი დღიდანვე გამორჩეულ პიროვნებად აღიქვამდა (ამის დასტური მისი წიგნებია). იმ პროცესების აღსაქმელად, რომელშიც ტონის მიმცემი გურამი იყო, ნუგზარს არ დასჭირვებია ღირებულებების გადაფასება.

1958 წლის ერთ-ერთ დღიურში გურამი წერს:

« ... ყველაზე ძნელი აქამდე რჩება ეს: მოვიპოვო წერის უფლება. გავაკეთო ისეთი რამე, რაც მომცემს ამის უფლებას პატიოსანი სინდისით ვიმუშავო, არ მრცხვენოდეს, არ მერიდებოდეს ედიშერების, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ პერიოდში ჩემს

გულწრფელ ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გულწრფელი ნაწილი თავისთავადაც არაა გულწრფელი _ ძალიან ჩავიხლართე.»

აქ საინტერესოა ორი მომენტი:

ერთი _ გურამი თვითონ განაზოგადებს ედიშერის სახეს («ედიშერები») და მეორე _ ედიშერის «ни то» როგორცა ჩანს, გამოხატავს, რაღაც მომენტში, თვითონ გურამის დამოკიდებულებას საკუთარი თავის, როგორც ხელოვანის, მიმართ.

ის, რომ ხელოვნება არის მისი გულწრფელი ნაწილი და ეს გულწრფელი ნაწილი თავისთავადაც არაა გულწრფელი, ის, რომ წერა არ არის მისი საქმე და ეს მხოლოდ პატივმოყვარეობისათვის მოინდომა და სხვ., ეს განუსაზღვრა, ცხადია, თვითონ გურამმა თავის თავს და არა ედიშერმა. რა თქმა უნდა, გურამს თვითონ მიჰყავდა ეს დამოკიდებულება უკიდურესობამდე, ჰიპერტროფიულად ზრდიდა მას, როგორც მისთვის იყო ჩვეული, და უბრალო ნათქვამს პოზიციად აყალიბებდა.

«შაშას რევოლუციის», ისევე როგორც, საერთოდ, გურამის ცხოვრება-შემოქმედების, სიღრმისეული გააზრებისათვის, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, გოგი ოჩიაურისა და ჩემი ძმის ურთიერთობა, რაც დაიწყო ხევსურეთში, ჯერ კიდევ გურამის მოწაფეობის წლებში. მაშინ გურამი 16 წლის იყო, მეცხრე კლასის მოსწავლე, გოგი კი, ალბათ, ოთხი-ხუთი წლით უფროსი, უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი (გოგი თავდაპირველად სწავლობდა უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე). მათ შორის, მე მგონი, კარგა ხანს იყო უმცროსუფროსული დამოკიდებულება, რაც შემდეგ, დროთა განმავლობაში, წაიშალა.

გოგი ოჩიაური და გურამი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ 1950 წლის ივლისში ხევსურეთში, სადაც ჩემი ძმა პიონერთა სასახლესთან ერთად იყო წასული. პიონერთა სასახლის ექსპედიცია აერთიანებდა 150 ბავშვს. მათ შორის იყვნენ ახლა უკვე ცნობილი მწერლები, პოეტები და მეცნიერები: ოთარ ჭილაძე, ანზორ სალუქვაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, იკა გელეიშვილი, ერლომ ახვლედიანი, კარლო არსენიშვილი, ლალი მიქელაძე, ჯილდა ქორქია, ჯინა მიქაძე, ზეინაბ გობეჩია, მანანა ანთიძე, გურამ თიკანაძე, გულიკო მესხი, ლია მამულია, ციცინო მჭედლიშვილი, მერაბ კოკოჩაშვილი, დევი ფირცხალავა, დევი ბერძენიშვილი, თენგიზ მგელიაშვილი და სხვები. ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, ანზორ სალუქვაძე უკვე პოეტებად ითვლებოდნენ. ჯანსუღი თურმე სულ მზად იყო ექსპრომტების სათქმელად. უკვე შექმნილი იყო ანზორ სალუქვაძის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი «იასამანი», რაც რედაქტორმა ახლახან უკვე გარდაცვლილი მწერლის ლექსების კრებულის სათაურად აირჩია. ცხადია, იყო უფროსი თაობაც: სერგო ზაქარიაძე, მაშინ დათხოვნილი თეატრიდან (მისი მოღვაწეობა მხოლოდ კონცერტებით შემოიფარგლებოდა. ბავშვებს საშუალება ჰქონდათ, თითქმის ყოველ საღამოს მოესმინათ მის მიერ წაკითხული ქართული პოეზიის შედევრები); კოტე თოთიბაძე, სასახლის დირექტორი და ექსპედიციის ხელმძღვანელი; ნანა იანევსკაია, უნიჭიერესი ქალი, რომელიც თავის ბიძას კოტე თოთიბაძეს მზარეულად ჰყავდა წაყვანილი; რევი ჩიქოვანი, უკვე გამოცდილი ექიმი, და სხვები. ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, შემთხვევითი შეხვედრები მთაში ელგუჯა ბერძენიშვილთან, მზია ბაქრაძესთან, ნოდარ ანდღულაძესთან და სხვებთან, რომელთაც, თუ არ ვცდები, ირაკლი, თინა და გოგი ოჩიაურები მეგზურობდნენ ხევსურეთში. აი, მოხდა ისე, რომ

გურამი, ასაკით სხვებზე ორი-სამი წლით უმცროსი, არც პოეტი, არც მწერალი, არც მომღერალი, არც სიტყვაუხვი, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული, თურმე ბავშვურ ცელქობებსა და გიჟობებშიც კი რომ არ იღებდა მონაწილეობას, სრულიად მოულოდნელად, მოექცა ყურადღების ცენტრში და თანდათანობით თითქოს «ყველაფერი და ყველა მის გარშემო დატრიალდა». ყველაფერი დაიწყო იქიდან, როგორც მითხრეს, რომ პირველ დღეს, ბარისახოს სკოლა-ინტერნატში დაბინავებისთანავე, თბილისელმა გოგო-ბიჭებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ სკოლის წინა სერზე, უბელო ცხენზე ამხედრებული ხუჭუჭთმიანი ბიჭი, მთებზე ზევით-ქვევით რომ დააგელვებდა ხევსურულ დაბალგავიან ცხენს, იყო მათი ექსპედიციის წევრი გურამ რჩეულიშვილი. ეს სახელი და გვარი მაშინ თითქმის არავინ იცოდა.

როგორც უკვე აღვნიშნე (იხ. I ტომის შენიშვნები), გურამი ადრეული ბავშვობიდან დაჰყვებოდა მამას პატარ-პატარა ექსპედიციებში მთა-თუშეთსა, დაღესტანსა, დიდოეთსა და სხვა მაღალმთიან რაიონებში. ასე რომ, შეჩვეული იყო მთასა და ბარს, ცხენს, მთის ხალხთან ურთიერთობას, განსხვავებით ექსპედიციის წევრთა უმრავლესობისგან, რომელნიც, ანზორ სალუქვაძის თქმით, წყნეთს, კიკეთსა და ბორჯომის ხეობას არ გასცდენოდნენ (გურამთან ერთად გამონაკლისი იყო, ალბათ, გურამ თიკანაძეც). ხევსურეთში გურამი თავის სტიქიაში იყო. ის, რაც სხვებისათვის მისი პიროვნების არაორდინარულობას მოწმობდა, მისთვის იყო სრულიად ბუნებრივი: უბელო ცხენის ჭენება, «სადაც არ გადააწყდებოდა», ამის გამო ადგილობრივებთან ჩხუბი და აყალ-მაყალი, რაც, ისევ გურამის ხასიათის წყალობით, დამეგობრებით და, ხშირად, ძმად გაფიცვით მთავრდებოდა ხოლმე და სხვ.

აი, რამდენიმე ამონაწერი ექპედიციის წევრთა მოგონებებიდან (ჩაწერილია დიქტოფონზე ჩემ მიერ):

იკა გელეიშვილი: ჩვენ ყველანი რაღაც სისტემაში ვიყავით ჩართულები, გურამი ამოვარდნილი იყო ამ სისტემიდან. მირბოდა ხევსურებთან, იკარგებოდა, მერე უძმაკაცდებოდა ხოლმე. ჯირითობდა. ამ ექსპედიციის შემდეგ ბევრი ძმადნაფიცი შეიძინა. იმ ზაფხულს მერე ჩემს არსებაში გურამის სახეს და ხასიათს, განსაკუთრებით ხასიათს, უჭირავს ძალიან დიდი ადგილი (იკა გელეიშვილის სხვა მოგონებები ხევსურეთზე იხ. პირველ ტომში) და მისი მთავარი ღირსება ჩემთვის ახლაც - უკვე ხანში შესული კაცი ვარ - არის მისი სულის მასშტაბურობა. რომ აი, ყველა მისი ქცევა, რაც არ უნდა, გარეგნულად, ხულიგნური ყოფილიყო (ხშირად კი ჰქონდა ასეთი), მაინც ყოველთვის მასში იყო მასშტაბურობა, მნიშვნელოვნობა (ხულიგნობაში კი არა, არამედ იმაში, რაც მიუბიძგებდა მას ასეთ თუ ისეთ ქცევაზე) და აუცილებლად იყო კეთილშობილება ჩადებული (ჩადებული კი არა, პირიქით, გურამი იყო ჩადებული), მსახური იყო, აი, იმ დიდი, დიადი კეთილშობილებისა ... თვით ღმერთისა, ალბათ ... გამორჩეული ფიგურა იყო თავისი, თუ გინდა, ჩვევებით. მას კენტავრის მახასიათებელი ჰქონდა, რომ კაცი და ცხენი ერთია. მისთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლება კაცი ვერ ფლობდეს ცხენს. ყოველ შემთხვევაში, ის, ვის მიმართაც სიმპათიებით და მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული. თავისი პიროვნების არაორდინარულობა მას არ მიაჩნდა არაორდინარულობად, მიაჩნდა, რომ ნორმაა. რომ ყველა ისეთი ვაჟკაცი უნდა იყოს, ყველა ისეთი გამბედავი, უშიშარი. რა საქებარ ეპიტეთსაც არ უნდა გეუბნებოდე მე ახლა _ სულ ყველას ვიტყვი და სულ ყველაში დარწმუნებული ვარ, რო ეს

გურამისათვის დამახასიათებელი იყო... ეს მისთვის ნორმა იყო, სხვაც ასეთი უნდა ყოფილიყო. ვინც ასეთი არ იყო, იმას საერთოდ არ გაეკარებოდა...

ანზორ სალუქვაძე: ცხენზე არავინ იჯდა. იქ დავიწყეთ პირველად შეჩვევა. გურამ თიკანაძე ყველაზე გამოცდილი იყო, შეგუებული იყო მთას, მდინარეში ბანაობას ... გურამ რჩეულა იჯდა მარტო ცხენზე, სად ისწავლა ჭენება, არ ვიცი...

მანანა ანთიძე: შენი (მ.რჩ.) დარეკვის მერე დავიწყე ხევსურეთში გატარებულ დღეებზე ფიქრი, დავწერე კიდეც რაღაც, სულ თვალწინ მყავდა გურამი ცხენზე, უბელო ცხენებზე, - ხან ერთზე, ხან მეორეზე, - ფაფარს ჩაფრენილი. დადიოდა ხოლმე ზევით შიშველი, შარვალაკეცილი, ჭაბუკური, არაჩვეულებრივი ტორსი, ხუჭუჭი, როგორც ანტიკური გმირი, სანახაობა იყო, დინამიური როგორც ანტიკური ქანდაკება. გურამი ძალიან დასამახსოვრებელი ბავშვი იყო. ის არ იყო ძალიან პატარა, ის იყო ჭაბუკი, რომელიც კალაპოტში ვერ ეტეოდა, ძალიან გამოკვეთილად ჩანდა _ ის იყო, რაღაც, თავის სტიქიაში. ყველა აღნიშნავდა ამას. განუზომელ ინტერესს იჩენდა ხევსურული ტანსაცმლისადმი, ქამარ-ხანჯლისადმი. იყო უსიამოვნებაც ხევსურებთან ცხენების თაობაზე. მაგრამ მერე გურამი, როგორც წესი, უძმაკაცდებოდა ხოლმე. გურამი მეჩვენებოდა უსასრულოდ პატარა ჩვენთან შედარებით. ცელქი იყო, ოღონდ გალექსილი, მრავალსიტყვა, მოლაპარაკე არ იყო.

თენგიზ მგელიაშვილი: გურამს ჰქონდა თავისებური სუსტი წერტილები. ეს, პირველ რიგში, იყო ცხენები. ეს პირველი დღიდანვე გაირკვა. ბარისახოში ჩამოსული მწყემსები თავის ცხენებს საბალახოდ უშვებდნენ ჭალაში. ხშირად მათ არც უნაგირი და არც აღვირი არა ჰქონდათ. კარგად მახსოვს, გურამმა ერთი ცხენი დაიჭირა. ჩემი ქამარი ცხენს ამოსდო აღვირად და ჭენებით გული იჯერა. როდესაც შემდეგ წავიკითხე გურამის მოთხრობები, არ გამკვირვებია. გამახსენდა ის პერიოდი, გურამი რომ ჩვენთან ერთად იყო... სხვანაირი იყო, არ იყო ათქვეფილი თითქოს. არ იღებდა მონაწილეობას საერთო ცელქობებში ... თავისთვის იყო. ერთხელ გაიპარა ჭიუხებზე, მერე კრება მახსოვს... ექსპედიციიდან დაითხოვეს.

გურამ რჩეულიშვილი თავისებური, უაღრესად წყნარი, ზოგჯერ მეტისმეტად ფიცხიც, კეთილშობილი იუმორით და რაღაც განუმეორებელი სითბოთი და თავაზიანობით აღსავსე.... არ ხმაურობდა, არ უნდოდა ყურადღების მიქცევა, განსხვავებით, თუნდაც X-სგან ... თავმდაბალი იყო, ჩვეულებრივი, ამითი იყო გამორჩეული სხვებისგან...

მე, ჩემს ამხანგებთან ერთად, დავდიოდი საბანაოდ არაგვში. ხშირად მინახავს, იქ თამაზ ჯაფარიძე იჯდა და ხატავდა. ერთხელ, მახსოვს, როგორ მივიდა განმარტოებით მდგარ მხატვართან და ჩუმად უყურებდა. არც ცელქობა გვაკლდა. უფრო უფროსი ბიჭები იყვნენ ტონის მიმცემნი. გურამი არ უერთდებოდა ამაში სხვებს.

უმეტესად, მარტო უყვარდა სიარული. ჩვენც უფრო შორიდან ვუყურებდით მას. ცხენზე იყო ყოველთვის ამხედრებული.

ციცინო მჭედლიშვილი: გურამი არ ერეოდა საერთო სიტუაციებში თითქოს. ბიჭები თვრებოდნენ, ფარიკაობდნენ. გურამ თიკანაძე ამოვიდა ღამით კიბით გოგოებთან და წაართვა ტანსაცმელი. მაშინ სასადილოში გამართეს საღამო უფროსებისათვის, ქეიფობდნენ. ჩვენ ავიწყვიტეთ. მერე ჩვენ გავიპარეთ და წავართვით საძილეები. აი, გურამი ამ ამბებში არ იღებდა მონაწილეობას _ წართმევებში, ცელქობებში.

დევი ფირცხალავა: პირველად, ჩავედით თუ არა, გაიმართა დოღი მიცვალებულზე. სამძიმარზე პირველ მისულს ერგება რაღაც მიცვალებულის

ნივთებიდან. თავდაღმართზე მიერეკებიან ცხენებს ... მოულოდნელად, დაუკითხავად, მიუპატიჟებლად მოახტა გურამი ხევსურულ დაბალგავიან ცხენს და ხევსურებთან ერთად, მათი წესების დაუცველად, თავქუდმოგლეჯილი გავარდა წინ. კოტე თოთიბაძეს მოთმინების ფიალა აევსო და გურამს ექსპედიციიდან გაძევებით დაემუქრა. მერე, ერთხელ, უბელო ცხენს მოაჯდა გურამი და დააგელვებდა. უნაგირის მაგვარი რამ, მე მგონი, ხევსურებმა არც იცოდნენ. მეორე დოღი იყო შატილთან. გუდანის ხატობა იყო ... გაშლილი იყო ხინკალი. იქაც იყო დოღი, გურამი მოაჯდა უბელოს და გააჭენა ...

მინდია არაბული (პოეტი. გურამი და მინდია ექსპედიციის დროს ძმად გაიფიცნენ არაგვის პირას, მთელი წესების დაცვით, არაყში ჩაფშხვნეს ვერცხლი და სხვ.): უცხო კაცის სამგლოვიარო რიტუალში, მიცვალებულის დოღში, გურამს მონაწილეობის მიღების უფლება არა ჰქონდა. გურამმა თვითნებურად აჭენა ცხენი იმ დოღში. პატრონმა ეს შეურაცხყოფად მიიღო, ეწყინათ და ამიტომ გამოეკიდნენ.

ზეინაბ გობეჩია: თავზეხელაღებული იყო, თითქოს სიკვდილს ეთამაშებაო. ერთხელ ისე შეაშინა ყველა, რომ ექსპედიციიდანაც კი დაითხოვეს ...

მანანა ფირცხალავა: მახსოვს, ვიღაცის დაკრძალვის შემდეგ გამართეს დოღი. ამ სამგლოვიარო დოღში გურამიც მიაგელვებდა ცხენს... ეს კარგად მახსოვს, ჩვენ ვიდექით და რატომღაც ვღელავდით. დათრგუნული თაობა იყო ჩვენი. ჩვენს ფონზე გურამი შინაგანად თავისუფალი იყო მაშინ. მშრალი საჭმელი გვქონდა. ერთი ტომარა კანფეტი, ერთხელ, გაქრა. გურამმა კანფეტები ბავშვებს დაურიგა. ვერავინ მოიფიქრა ხევსური ბავშვების გამასპინძლება.

ციცინო მჭედლიშვილი: ერთხელ ოთარ გოგუაძე და გურამი გაიპარნენ ჭიუხებზე. ძლივს იპოვეს. ამის გამო მახსოვს კრება... ასეთი მარტო გასვლების კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ. მერე გურამი ჩანდა შორს, მთაზე, ჩვენ მოგვდევდა ... ჩვენთან ნაკლებად იყო კონტაქტში, უფრო ხევსურებთან ...

ჯინა მიქაძე: რამდენიმე წლით იყო პატარა, გამორჩეული, მომხიბლავი, სპორტული. ცხენზე უყვარდა ჯდომა, უფრო აინტერესებდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან კონტაქტის დამყარება. გურამთან დაკავშირებით ცხენების ისტორიებია საინტერესო... ერთი-ორჯერ, ამ ცხენების გამო, უსიამოვნებაც მოხდა. ცხენის პატრონები გაბრაზდნენ, როდესაც გაარკვიეს, რომ ვიღაცა ბალღი საბალახოდ გაშვებულ ცხენებს სიქას აძრობს. ერთხელ ექსპედიციიდანაც კი დაითხოვეს ... მგონი, ჩასვლის მეორე დღესვე, ჩვენმა ბიჭებმა რაღაც დააშავეს სოფლელებთან, კარგად არ მახსოვს, რაში იყო საქმე ... დამამახსოვრდა მხოლოდ, რომ საღამო ხანს თითქმის მთელი სოფელი წამოვიდა ჩვენი ბანაკისაკენ შეიარაღებული... ჩვენ შეგვეშინდა. გურამი მარტო მივიდა ხევსურებთან მოსალაპარაკებლად. შორიდან ვუყურებდით. ყველაფერი დაძმაკაცებით დამთავრდა...

ჯილდა ქორქია: სურათი გვაქვს გადაღებული: მდინარის პირას ვსხედვართ ყველანი და გურამი ვიღაცას ეჩხუბება. ამ დროს ჩავლებული აქვს გურამ თიკანაძეს. მერე, მახსოვს, რო წამოვარდა და უცებ გადაეშვა წყალში ... როცა დავამთავრეთ, ჩემთან სახლში ქეიფი გადავიხადეთ, გურამი იქ არ იყო... თითქოს უმნიშვნელო მონაწილე იყო ამ ექსპედიციისა, თან პატარაც ჩვენთან შედარებით და ბოლოში, უკვე მის ირგვლივ იყო რაღაც ჯგუფი, თანაც უფროსების. მახსოვს, გამიკვირდა, როგორ მოხდა ეს? აი, რევი ჩიქოვანი, უბრალოდ, არ შორდებოდა. გურამი მთელი დღე დაჯირითობდა ცხენით...

ლია მამულია: დევი ბერძენიშვილი და გურამი ამხანაგობდნენ ძალიან. გურამი ჩვენს გვერდით იყო. უბრალოდ, გვერდიდან არ გვშორდებოდა. ეს სასიამოვნო

განცდა იყო, გვყავდა დამცველი. მეტი არაფერი არა ყოფილა, არც უგრძნობინებია რაიმე. ჩვენ სულ ღელვაში ვიყავით: გურამი ხან ცხენზე შემოჯდებოდა, ხან ხევში გადაიჩეხებოდა ვინმეს ბარგის ამოსატანად, ხან ძმადნაფიცობდა, ხან ღამით ვარსკვლავებისაკენ გვახედებდა და რაღაცეებს გვაძებნინებდა. ხან ფეხით დავდიოდით, ხან ცხენით. შატილში ტანსაცმელი ვითხოვეთ, ამოგვიქექეს სკივრები, სულ ახალ-ახლებში, უხმარებში გამოგვაწყვეს. გურამ თიკანაძე გვიღებდა და გვიღებდა სურათებს. მერე გუდანის ჯვარზე ავედით. სანთლები დავანთეთ. ბიჭები სვამდნენ არაყს ... არაჩვეულებრივი სიტუაცია იყო. სერგო ზაქარიაძე კითხულობდა ლექსებს. გურამი გამორჩეული იყო. ბევრი ბიჭი გვახლდა. გურამი კაცი იყო. მიცავდა. ხან ხევში ვიჩეხებოდით, ვიღაცას ეჩხუბებოდა, არც ვიცოდი, ახლა მითხრა ვიღაცამ, შენ გამო იჩხუბესო. მხოლოდ რაინდი, მეტი არაფერი. ისე, არც ვიცოდი, თუ ვინმეს ეჩხუბა ჩემს გამო. ცდილობდა ურთიერთობას იქაურებთან. მახსოვს, სულ ხეობის და ხევის პირას მოსიარულე ... გეგონება, უფსკრულებს ეთამაშებაო. შოულობდა ცხენებს, ძმადნაფიცებს, სულ უფსკრულებში ეშვებოდა.

ლალი მიქელაძე: ერთხელ ისე შეგვაშინა, თავზეხელაღებული იყო, თითქოს სიკვდილს ეთამაშებაო... მარტო, ჭიუხებში გაიპარა. მახსოვს, მოიწვიეს კრება და დაითხოვეს. ამბობდნენ, თავის ძმადნაფიცთან, მგელიკა ჭინჭარაულთან, ავიდაო.

ის, რაც ახსოვს ექსპედიციის ყველა წევრს:

კარლო არსენიშვილი: მივდიოდით ჯორებით ლიქოკის ხეობაში, ჯორი წაიქცა, ბარგი ჩაცვივდა ხეობაში, გურამი ჩავიდა სწრაფად და ამოიტანა.

მზია ბაქრაძე: ჩამოვედით არხოტში. გოგის (გოგი ოჩიაურის) მონაყოლი დამამახსოვრდა გურამზე _ ვაჟკაციაო. ყვებოდა, როგორ დაგორდა ცხენი, ბარგი ჩაცვივდა ფერდობზე, გურამი ჩავარდა პირველი და ამოიტანა.

ელგუჯა ბერძენიშვილი: გურამზე ყვებოდნენ, ვიღაცას ჩაუვარდა ბარგი ხევში და ამოიტანაო...

ერლომ ახვლედიანი: ბევრი რამ არ მახსოვს გურამთან დაკავშირებით, იმიტომ რომ გურამი ყველგან იყო და ყველასთან ერთად იყო.

ვისთან ერთად ეძინა გურამს კარავში?

კარლო არსენიშვილმა თქვა: ერთ კარავში გვეძინა გურამს, მე და ერლომს.

თენგიზ მგელიაშვილმა თქვა: მე და გურამს ერთ კარავში გვეძინა.

იკა გელეიშვილმა თქვა: მე და გურამს ერთ კარავში გვეძინა.

გოგი ოჩიაური: ერთხელ მე და გურამს ერთ კარავში გვეძინა (იხ. ტომი პირველი, «თვირთვილას» შენიშვნები).

გოგი ოჩიაური შემთხვევით შეხვდა ექსპედიციას ბარისახოში და შემდეგ, როგორც ხევსურეთის მკვიდრმა, მათ რეალური დახმარებაც გაუწია, განსაკუთრებით კი შატილში ასვლისას, რაც სერიოზულ რისკთან ყოფილა დაკავშირებული. იმ წლებში აღმოსავლეთ კავკასიონზე, მართლაც, არსებობდა რეალური ხიფათი: ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ხუშპაროვის, იბას, იდრისას, ჩეჩნებისა და ინგუშების დიდი გადასახლების შემდეგ დარჩენილი, პოლიტიკური რაზმები. ხშირი იყო დაცემები და შეტაკებები. გარდა ამისა, ექსპედიციას ჰქონდა ძალიან ბევრი ბარგი. ძნელი იყო ბარგაკიდებული ჯორების აყვანა გზაზე, ტვირთის დამაგრება ჯორებზე და სხვ. გოგიმ თქვა: სერგო ზაქარიაძემ გარისკა და ჩვენც თან წაგვიყვანაო.

ლიქოკის ხეობაში გოგი ოჩიაური, ტვირთაკიდებული ცხენით და ჯორით, სისხამ დილით ჭალასოფლიდან გაუდგა გზას შატილისაკენ. ექსპედიციის ბავშვებიდან ის

თურმე იცნობდა მხოლოდ გურამ თიკანაძეს, რომელსაც მისი ამხანაგი გიგლა ფირცხალავა ძერწავდა. მაგრამ «რატომღაც» გოგიმ თანამგზავრად აირჩია ხუჭუჭთმიანი ბიჭი. ამ ბიჭს თავიდანვე მიუქცევია მისი ყურადღება. როგორც კი ხევს მიადგნენ, გურამმა თურმე მაშინვე სთხოვა მას ცხენის ჭენების უფლება. გოგიმ თქვა: მეორე ნაპირამდე სულ ორმოცდაათი მეტრი თუ იქნებოდა, მაგრამ შესვლით და გამოსვლით ოთხას-ხუთასი მეტრი შეიძლება გაგეკეთებინა. მოახტა გურამი ცხენს და პირველსავე მოსახვევში გაუჩინარდა. ჭალასოფლიდან ჩანდა ყველაფერი. ბარგაკიდებული ცხენი ჭენებ-ჭენებით მიდიოდა. დაქირავებული იყო ცხენი და ჭენება არ შეიძლებოდა. პატრონები ძალიან განიცდიდნენ. ჩაჩაურ ლიქოკელსაც ევალებოდა ყურადღების მიქცევა (ჩაჩაურ ლიქოკელი, უაღრესად საინტერესო და განათლებული პიროვნება, ექსპედიციის ოფიციალური მეგზური იყო. მასვე ჰქონდა შედგენილი მარშრუტი ექსპედიციისათვის). ვიღაცეები გაღმიდან თვალს გვადევნებდნენ თურმე, ყველაფერს ხედავდნენ და მერე ძალიან გვისაყვედურეს. ... შატილში გურამი უკვე სულ ცხენზე იჯდა და აჭენებდა...

... ცხრა აკიდებული ჯორი მიგვყავდა, ძალიან მძიმე ბარგით. გამყოლი, ჩაჩაურ ლიქოკელი, მთვრალი წამოვიდა. არაფრის თავი არა ჰქონდა. იქით საჭიროებდა დახმარებას. ჯორები ყრიდნენ ბარგს, ხან ერთგან, ხან მეორეგან. სერგო ზაქარიაძეს უკვე გაფუჭებული ჰქონდა ხელები თოკების მოჭერით. პირველი ღამე ჭალასოფელში გავათიეთ. ერთ გზაზე ჯორმა ძალიან დიდი ბარგი გადააგდო, უკვე ლიქოკის ხეობაში, ტყეში. ხევში დაგორდა რიუკზაკები, ჩანთები. ძალიან შეწუხდა ყველა. მახსოვს, გურამი მაშინვე დაეშვა დაღმართზე. მე აქედან დავეშვი. ჩავედით ძალიან სწრაფად. ბარგი ხევში ვიპოვეთ, 400 მეტრის სიღრმეზე იქნებოდა ხეობაში ჩავარდნილი, რიუკზაკები ძალიან მძიმე იყო, ავიკიდეთ, ამოვიტანეთ და ჯორებზე დავამაგრეთ (გოგი ოჩიაურის სხვა მოგონებები იხ. პირველ ტომში, «თვირთვილას» შენიშვნებში).

2002 წელს გამოქვეყნდა გოგი ოჩიაურის წიგნი «ევროპული ქანდაკების ბუნებისათვის». ამ ნარკვევმა საშუალება მომცა უფრო კარგად გავრკვეულიყავი ჩემი ძმის მიმართ გოგის დამოკიდებულებაში, რაც, მასთან ხანმოკლე საუბრების დროს მისი გადაკრულად ნათქვამი სიტყვებიდან, ყოველთვის ვიცოდი.

ამონაწერები წიგნიდან:

«... არსებითი ნიშანი, რაც სამყაროს ყველა ცოცხალს ფორმალურად აერთიანებს, არის მათი ფორმების სფეროიდული ხასიათი ...

... ცოცხალი(ს) ფორმების უსულო სხეულთაგან განმასხვავებელი შემდეგი მნიშვნელოვანი თვისება მათი არსებობის დინამიური ხასიათია ... ცოცხალი ფორმა წარმოიშვება თავისი მსგავსისგან, სუბსტრატიდან, რომელსაც შეიძლება არარსება ვუწოდოთ; ჩასახვისთანავე მიისწრაფვის აბსოლუტური ფორმისაკენ, ვიდრე ბუნებით განსაზღვრულ პერიმეტრს მიაღწევდეს სათანადო პროპორციის დაცვით; გარკვეული ხნით ინარჩუნებს მიღწეული სფეროიდული ხასიათის მოცულობას. შემდეგ, სასიცოცხლო ენერგიის დასუსტების გამო, კარგავს მოცულობის სფეროიდულობას, კნინდება, უძლურდება და, საბოლოოდ, კვდება: უბრუნდება სუბსტრატს, საიდანაც წარმოიშვა.

ცოცხალი ფორმის არსებობის დინამიური პროცესი ორად შეიძლება გავყოთ: აღმავალი, ზრდადი, სფეროს იდეისკენ ლტოლვის ნიშნებით, და დაღმავალი, კლებადი, სფერო-იდეადან არარსებისკენ უკულტოლვის იდეით ...

... დედამიწის მიზიდულობის ძალასთან წინააღმდეგობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და დაცვისათვის მუდმივი ბრძოლის გამო, ყველა ცოცხალი ფორმის კოსმიური, სფეროიდული საფუძველი მეტამორფოზას განიცდის და პლასტიურ ფორმად ყალიბდება.

... ცოცხალი ფორმის ორი მდგომარეობა ცენტრიდანული მისწრაფებით სფეროიდული პერიმეტრისაკენ და პერიმეტრის საზღვრებიდან ცენტრისაკენ უკულტოლვის გამო, ვიზუალურადაც და (შინა)არსითაც მკვეთრად განსხვავებულია.

... ქანდაკებაში ცოცხალი(ს) ფორმის ორი ურთიერთგამომრიცხავი ბუნება აისახა, ოღონდ მხოლოდ ევროპულ, ქრისტიანული რელიგიის საყოველთაოდ დამკვიდრების შემდეგდროინდელ ქანდაკებაში. ...

პლასტიური ფორმის შეცნობა ქანდაკების ხელოვნების ქვეცნობიერი არსის წვდომას უდრის, რომლის მთავარი გასაღები, ვფიქრობ, პლასტიური ფორმის ორი დაპირისპირებული ბუნების გამოვლენაა ...»

ნარკვევში გამოსახულ სქემაზე, სფეროს ორ პროექციაში, ორ წრეხაზში განთავსებულია პლასტიური ფორმის ორი გრაფიკული გამოსახულება, რომლებიც, პირობითად, ოთხი ნახევარრკალით არიან შემოფარგლულნი და აბსოლუტურ ფორმას შეეხებიან ოთხ წერტილში.

ერთი პლასტიური ფორმა ცენტრიდანული განვითარების შედეგია: ცენტრიდან, არარსებიდან, აბსოლუტური ფორმა იდეისაკენ ლტოლვას ასახავს, თავისი ბუნებით ცოცხალი(ს) ფორმის იდეის მატარებელია და შეესატყვისება ცოცხალი(ს) ფორმის არსებობის დინამიური პროცესის მხოლოდ აღმავალ ეტაპს, როდესაც ცოცხალი იზრდება და ფორმა-იდეისაკენ მიისწრაფვის.

ასეთი პლასტიური ფორმა (ფორმა სფეროიდული პერიმეტრით _ მ.რჩ.), სიცოცხლის იდეისაკენ აბსოლუტური ლტოლვის გამო, თვითონაც სიცოცხლის იდეითაა გამსჭვალული. მისი სასიცოცხლო ენერგია ავტონომიურია წარმოშობისა და ზრდის შინაგანი ცენტრიდანული ბუნების გამო. ამიტომ ასეთ პლასტიურ ფორმას სივრცეში დამხმარე ძალის გარეშე არსებობა არ უჭირს. მისი პერიმეტრის სფეროიდულობა ფორმის ცენტრიდანული ზრდით გამოწვეული წნევის შედეგია. სფეროიდულობის გამო იგი ნათელია და მისი ვიზუალური აღქმა განსაკუთრებულ პირობებს არ საჭიროებს.

სფეროიდული ფორმის მიერ არეკლილი სინათლე თითქოს გაგრძელებაა შიდა ცენტრიდანული სასიცოცხლო ძალებისა. მას მაყურებელი შეუცნობლად აღიქვამს ქანდაკების აურის სახით.

მეორე პლასტიური ფორმის ბუნება ცოცხალი ფორმის პერიმეტრიდან არარსებისაკენ უკუქცევის მაჩვენებილია. მისი იდეა სულიერების პრიორიტეტის დამკვიდრებაა, სხეულის განტევების შედეგად მიღწეული.

ფიზიკურისა და სულიერის ჰარმონიული თანაარსებობა მისი ბუნებისათვის მიუღებელია და სულიერებისათვის ფიზიკური სხეულის შეწირვას არ ერიდება.

მანამდე დაუშვებელი სხეულის შეწირვა სულიერების სასარგებლოდ გახდა გაუცნობიერებელი სტიმული ევროპული ქანდაკების საყოველთაო აღმავლობისა, ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოვლენისა (გოთური პლასტიკა, მიქელანჯელო) და შემდგომ, ზოგადად, სულიერებისა XIX და XX საუკუნის კლასიკოსების ხელოვნებაში.

სულიერებისათვის სხეულშეწირული პლასტიკის ბუნება ხელოვნებაში ქრისტიანული მსოფლაღქმის, საგნის სულიერი, მეტაფიზიკური არსის წვდომის პრიორიტეტის დამკვიდრებაა. ამგვარი პლასტიკა გულისხმობს სხეულის შეწირვის

აქტს არსებობის ირრაციონალური არსის გამოვლენისათვის. ასეთ პლასტიურ ფორმას ფიზიკური ძალა თვალსაჩინოდ შესუსტებული აქვს. იგი ქანდაკებაში ცოცხალის არსებობის დინამიური პროცესის დაღმავალი ეტაპის რეპროდუქციაა. ...

... დასაბამიდან, ვიდრე ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, არსებული ქანდაკების პლასტიური საფუძველი, აუცილებლად სფეროიდული ბუნებისაა. ამ მხრივ, მრავალი ათასწლეულის განმავლობაში, პირველყოფილი პრიმიტიული ქანდაკებიდან მოყოლებული, ეგვიპტურმა, შუამდინარეთის თუ არქაული და შემდეგ ანტიკური საბერძნეთის ქანდაკებამ არ იცის არც ერთი კერძო გამონაკლისი; მისი საფუძველი სფერული ბუნების პლასტიური ფორმაა, დაუზიანებელი ფიზიკური სხეულით.

ქანდაკების კოსმიური, სფერული საფუძველი მხოლოდ ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ შეიცვალა ფორმის ფიზიკური ბუნების დათრგუნვის შედეგად, სულიერების უზენაესობისათვის სხეულშეწირული პლასტიური ფორმით.

სულიერების მიღწევა ფორმის დემატერიალიზაციის წყალობით ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგდროინდელი ქანდაკების თვისებაა. ...

ასეთი ქანდაკება მხოლოდ ევროპის ხალხების ქრისტიანულ რელიგიასთან ზიარების შემდეგ ჩნდება, თუმცა უკვე საბერძნეთის ქანდაკების პლასტიური საფუძვლების დეგრადაციის დროს იჩენს თავს ელინისტური ხანის მიწურულის ნიმუშებში...»

გოგი ოჩიაური აქვე აღნიშნავს, რომ «ორი ურთიერთსაპირისპირო ბუნების პლასტიური ფორმების კონცეფციის არსებობა განეკუთვნება ქვეცნობიერის სფეროს და მათი გამოვლენის არეალი მარტო ქანდაკებას არ მოიცავს. პლასტიური ფორმის ამ გაუცნობიერებელი ბუნების შესაბამისად, ადამიანები ხშირად ასევე შეუცნობლად აღიქვამენ ან განსაზღვრავენ ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის არსს, რომლებსაც პლასტიკასთან საერთო არაფერი აქვთ.

მაგალითად, თუ ესა თუ ის მოვლენა თავისი ბუნებით სულიერების სფეროს განეკუთვნება, უმრავლეს შემთხვევაში სხეულშეწირული პლასტიკის ნიშნებით ხასიათდება ადამიანთა შეგნებაში და, პირიქით, როცა შემოქმედების არსი ან მოღვაწეობის ფორმა საპირისპირო ბუნებისაა...»

თუ გოგი ოჩიაურის მსჯელობას მოვიშველიებთ და გავიხსენებთ ექსპედიციის წევრთა მონათხრობს გურამის შესახებ, შეიძლება ვთქვათ, რომ მაშინ, ხევსურეთში, გურამის პიროვნება ყველას თვალწინ გამოვლინდა (წარდგა) როგორც «სიცოცხლის დადასტურების შმაგი სურვილის დემონსტრაცია» (გოგის აზრი როდენის ხელოვნების შესახებ, რომელიც ამავე ნარკვევშია გამოთქმული). ის, თითქოს «სიცოცხლის იდეით გამსჭვალული,» «მიილტვოდა არარსებიდან, ცენტრიდან აბსოლუტური ფორმისაკენ,» სისავსისაკენ და, მართლაც, «მთელი თავისი არსებით ახორციელებდა თავისუფლების იმპულსს». «უბელო ცხენის ფაფარს ჩაფრენილი, ზევით შიშველი, შარვალაკეცილი, ჭაბუკური, არაჩვეულებრივი ტორსით, ხუჭუჭი, როგორც ანტიკური გმირი, დინამიური, როგორც ანტიკური ქანადაკება», «სივრცეში საყრდენის გარეშე არსებობა რომ არ უჭირს». ამიტომ ასეც დაამახსოვრდა ის ექსპედიციის ყველა წევრს: «უფრო შორიდან», «უფრო მარტო», «უმეტესად ცხენზე ამხედრებული», «ხეობის და ხევის პირას მოსიარულე, გეგონება, უფსკრულებს ეთამაშებაო». გურამი იყო «ნათელი», «მისი ვიზუალური აღქმა განსაკუთრებულ პირობებს არ საჭიროებდა,» ალბათ, მართლაც, «ფორმის ცენტრიდანული ზრდით

გამოწვეული წნევის შედეგად», სფეროიდულობის გამო. ეს ქმნიდა გურამის გარშემო განსაკუთრებულ აურას.

აღსანიშნავია, რომ ზოგს სწორედ გოგიმ მიაქცევინა ყურადღება ჩემს ძმაზე. ჯინა მიქაძემ მითხრა, გოგი სულ აღტაცებული იყოო გურამით. გაუთავებლად ელაპარაკებოდა თურმე მას გურამისა და ცხენის ერთიანობაზე, პლასტიკაზე. როგორ ზის გურამი ცხენზე, როგორ ხტება ცხენიდან, როგორ ახტება, როგორ ჯირითობს, როგორი ანტიკური თავი აქვს, როგორ დადის, როგორ დგას და სხვ. ჯინას თქმით, გოგი მაშინ გურამის სუფთა პლასტიკურ ამბებზე იყო გაგიჟებული და მერე ვაჟკაცურ რაღაცეებზეო. გოგისათვის გურამი იყო «თავისი ბუნებით წარმართი, შეუგნებლად, ქვეშეცნეულად წარმართი, სამყაროს ჰარმონიულობის ინტუიტურად აღმქმელი და გამომვლენი» (იხ. პირველ ტომში «თვირთვილას» შენიშვნები).

«Неистовый Ролланд» _ ასე დაახასიათა თურმე ერთხელ გოგი ოჩიაურთან საუბრისას ჩემი ძმა პოეტ ანდრეი ვოზნესენსკის მეუღლემ. გოგის გაუკვირდა: ის ქალი არ იცნობდა გურამს, არც რაიმე იცოდა მის შესახებ, შემოქმედებიდან მიხვდაო. მე მიფიქრია გურამზე როგორც ჯელზე ცხოვრებაში, ოღონდ არ ვიცოდი, რომ ეს იგრძნობოდა მის შემოქმედებაშიო. ისე, მართლა ყველა გრძნობს, წაუკითხავადაც, გურამის მნიშვნელობას, დიდი და პატარა. თითქოს ყველამ იცის. მაპატიე, მაგრამ გურამი მარტო მე შემიძლია ვიგრძნო, _ მითხრა გოგიმ. _ მეეჭვება, რომ შენ შეძლო. გურამის სიტყვაში არის რაღაც კოდი, რომლის ახსნაც სიტყვას არ ემორჩილება. როგორც კი დაიწყებ მასზე ლაპარაკს, ქრება, სხლტება თვალსა და ხელს შუა. ეს კოდი მარტო მე მესმის. გურამი რომ გაიგო, ჯერ ერთი, უნდა იყო ხევსური, მერე _ განათლებული ხევსური.

გურამის ყველა სხვა ტიპის აღქმა გოგისათვის არის მიუღებელი, რადგან ის აშორებს მას იმ პირველ შთაბეჭდილებას, რაც, ამ ნარკვევიდანაც ჩანს, თავისთავად, ზოგადად, გურამისგან დამოუკიდებლადაც არის მისთვის ძვირფასი.

საინტერესო უნდა იყოს მაშინდელი ხევსურეთის ექსპედიციიდან კიდევ ერთი ამბის გახსენება:

იმ ზაფხულს თურმე გურამმა და X-მა იჩხუბეს. ეს ჩხუბი ყველას ახსოვს. (X.: «ძმაკაცმა ჩამაბარა ხევსურეთში თავისი შეყვარებული. ვხედავ, გურამი არ შორდება გვერდიდან. ყოველ ღამეს ნაბადში გახვეული ათენებს მის კარავთან. ვუსაყვედურე, ვუთხარი, ეგრე არ გამოდგება-მეთქი. არ დამიჯერა, მაინც გააგრძელა. ცერბერივით დარაჯობდა იმის კარავს ... მერე ვიჩხუბეთ, მერე დავმეგობრდით...»)

ბიჭებმა ჩხუბის ადგილად ამოირჩიეს მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, უშუალოდ სოფელ ბარისახოს ძირში, პატარა მინდორი, რომელიც გზიდან არ ჩანდა. მთავარმა მომრიგებელმა გურამ თიკანაძემ თურმე მათ შესარიგებლად ვერაფერი გააწყო. ჩემი ძმის მხრიდან სეკუნდანტობდა იკა გელეიშვილი. იკას ახსოვს მოჩხუბრებისაკენ ზურგშექცევით როგორ იჯდა მოღუშული გურამ თიკანაძე, ორი-სამი დამსწრე კი გაფაციცებით ადევნებდა თვალს. იკას თქმით, ჩხუბი სულ ორი-სამი წამი გაგრძელდა, მაგრად ურტყეს ერთმანეთს. უცბად გურამ თიკანაძე ელვის სისწრაფით შემობრუნდა მათკენ და მკაცრად იკითხა: «აღარ გეყოთ?» მოჩხუბრებმა ხელები ჩამოუშვეს, ჯერ ერთმანეთს ჩამოართვეს ხელი და მერე გადაკოცნეს. ყველას გულზე მოეშვა. გურამს ჰქონდა დაკაწრულ-დაჩეხილი სახე, სისხლი სდიოდა.

გოგი ოჩიაურმა მიამბო: სერგო ზაქარიაძემ შუაფხოში დამირეკა და მთხოვა არხოტში წავყოლოდი, ეგენი ისევ ბარისახოში იყვნენ. ბარისახოში დაბრუნებისას მოვიკითხე გურამი, სად არის-მეთქი. გოგოებმა მითხრეს, გურამი და X ლიქოკის

ხევზე წავიდნენ საჩხუბრადო. გურამს მოეწონა თურმე ერთი გოგო, რომელიც X-სათვის ჩაუბარებია ვიღაც ძმაკაცს. მე და სერგო ზაქარიაძე წავედით ცხენებით. გამოღმა დავინახე შურის ციხის კლდის ძირზე გამოსული ბავშვები. ძალიან ბევრნი იყვნენ. ჩხუბს უნდა დასწრებოდნენ. ერთს დავუძახე, მიცნო, მომესალმა. სად არის-მეთქი გურამი, ვკითხე. ვხედავ, გურამი მოდის მარტოკა, გამოტოპა არაგვი, გამოვიდა. გადავკოცნეთ ერთმანეთი, ძალიან აღელვებული იყო, სახეზე ლაქები ჰქონდა. რა იყო-მეთქი, ვკითხე, X-მა მცემაო, მითხრა.

საინტერესოა, რომ გოგი დღემდე აღელვების გარეშე ვერ იხსენებს იმ ჩხუბს და გურამის სიტყვებს: «მე ავღელდი, რას ქვია გცემა, რამე ხომ არ ეშლება-მეთქი. არაო, ნამუსიანად მცემაო. მე ვუთხარი, ნუ ამბობ ამ სიტყვას - მცემა, თქვი, ვიჩხუბეთ. რაღაც ისეთი იყო, დღემდე არ მშორდება უსიამოვნო შეგრძნება. ჩემი დამოკიდებულება X-სადმი იმის მერე გამოუსწორებელია. X გურამთან შედარებით დიდი იყო ტანად, შეიძლება უფროსიც იყო. არ იყო ნამუსიანი მაგათი ჩხუბი. მერე არხოტიდან რომ დავბრუნდი, გურამი აღარ მინახავს.»

როგორც ჩანს, გოგისათვის ძნელად შესაგუებელი იყო გურამის სახეზე ლაქებისა და ნაკაწრების დანახვა. ეს იყო თითქოს მისი კერპის «დაუზიანებელი ფიზიკური სხეულის» შებღალვა.

საინტერესოა ისიც, რომ გურამმა, როგორც ჩანს, ხევსურეთშივე იგრძნო თავის მიმართ გოგის დამოკიდებულება და მოუნდა, თვითონვე დაენგრია ის ხატი, რაც მისგან შექმნეს. ეს ჩვევა გურამს ბავშვობიდანვე ჰქონდა. თითქოს ეშინოდა, როგორც დედას უყვარდა ხოლმე თქმა, ვინმეს უფრო კარგი ან მეტი არ ჰგონებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ვფიქრობ, ამიტომ უთხრა მან გოგის ის, რაც მოსასმენად მისთვის ყველაზე მტკივნეული იქნებოდა: X-მა მცემა. თუმცა, თვითმხილველების თქმით, ამ ჩხუბის დროს იყო თურმე ერთი ნიუანსი, რაც გურამს გოგისთან საუბრის დროს შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ვფიქრობ, ამავე მიზეზით, გოგის შეკითხვაზე _ ვინ არის მამაშენიო _ გურამმა უპასუხა: მეცხვარეო (მამა იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გენეტიკოსი).

გოგისთან ლაპარაკის მერე გურამი დაეწია ერლომ ახვლედიანს და თავი მოიწონა მის წინაშე: მაგრა ვიჩხუბე, ვაჯობეო.

ასე რომ, გურამი მაშინ, ხევსურეთში, ყველას თვალწინ წარდგა თავისი განუმეორებელი ბუნებით, რაც დაბადებიდანვე დედას სიხარულისა და დარდის წყარო იყო, ერთდროულად. თითქოს იმ ზაფხულს გადაწყდა მისი გამორჩეულობის ბედი. გურამისაგან უკვე ყველა მოელოდა ცუდსაც და კარგსაც. ეს გაგრძელდა მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე. გურამი ამ მოლოდინს ყოველთვის გრძნობდა.

გოგისა და გურამის პირველი შეხვედრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გამართლდა გოგის წინასწარმეტყველება (იხ. წიგნი 1. «თვირთვილას» შენიშვნები) და 22 წლის გურამმა, როგორც აღვნიშნეთ, ყველასათვის მოულოდნელად, დაიწყო წერა.

მართალია, გურამის ადრეული მოთხრობები _ თუნდაც, ცხენების ციკლის, ბაკურიანის და სხვ. _ თითქოს ადასტურებდნენ გოგის პირველ შთაბეჭდილებას ჩემს ძმაზე, მაგრამ მათში თავიდანვე იყო ჩადებული პატარ-პატარა ნაღმები - თითქოს უკვე იგრძნობოდა «რაღაც», რაც ანიჭებდა მათ უცხო სიღრმეს და ღიად ტოვებდა სხვადასხვა განცდებისა და სიუჟეტებისათვის. მკითხველი დამეთანხმება, ალბათ,

რომ ამ მოთხრობებს, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი შეუპოვარი სულისა, გაუნელებლად მიჰყვება აუხდენელი ნატვრების სერია, «ყველა გმირის სახის გამოუვალი მარცხი», როგორც წერს გურამი ერთ-ერთ დღიურში. განვაგრძობ ციტატას: «_ იულონი, გურამი ... ერლომის «დიდი მონა», ან «ნელი ტანგო» ჩემი, ნუთუ ეს დეკადანსია, თუნდაც, ჩემთვის, იმიტომ რომ წერის დროს ვგრძნობ, შექმნის საშინელ სურვილთან ერთად, საკუთარ თავზე, თითქოს, ვიღაცის დაღლის ვერმოშორებას, რაც თვითონ წინადადების დაწყობაშიც კი მიშლის ხელს...» ეს «რაღაც», როგორცა ჩანს, ჯერ მწერლისათვისაც გაუცნობიერებელი, პასუხის მოლოდინში, მას ხილული სამყაროს სხვადასხვა მხარეს ახეთქებდა და არ აძლევდა საშუალებას, მართლაც რომ, მთლიანი სამყაროს ინტუიტურად აღმქმელს, წარმართული უშუალობით ბუნებასთან ერთიანობით დამტკბარიყო და ყოფილიყო იმ წარმართულ სიმაღლეზე როგორც ვაჟკაცობის, რაინდობის, ჰარმონიულობის - თითქოს თვითონ სიცოცხლის - სიმბოლო.

1958 წლის აგვისტოს ბოლოთია დათარიღებული ერთი დღიური, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს «შეურაცხყოფის» გამომხატველ სემანტიკურ ველს: «ამ *გრაზს* ვაპატიებ თავს,» «ეს ჩემი *თავდაცვაა», «შურს ვიძიებ* მასზე» და სხვ. დღიური იწყება ასე: «ახლაც *შეურაცხყოფამ დამსვა მაგიდასთან. უკვე კარგა ხანია, რაც ვიტან* ამ *შეურაცხყოფებს მე: ყველა ფსიქოლოგს თავის ვალად მიაჩნია, რომ აღმოაჩინოს ჩემი თვალების უაზრო გამოხედვა (რაც მე, როგორც თვითონ ფსიქოლოგს, ყოველთვის ცუდ ხასიათზე მაყენებს ხოლმე სარკეში ჩახედვის დროს), მერე აღმოაჩინონ ჩემი სახის სისუსტე და მთლიანად ჩემი მოქმედებების უაზრობა, რომელიც გამოდის შიშისაგან და უაზრო პოზისაგან. ჰო, ყველაფერი ეს, სამწუხაროდ, სწორია .... ავიღებ კონკრეტულ მაგალითს ჩემი მორიგი მეგობრული შეურაცხყოფისა, რამაც, კერძოდ, აიძულა ჩემი სიზარმაცე დაეწერა ყველაფერი, თუნდაც, უბრალოდ, იმიტომ რომ ჩემს თავში გარკვევის საშუალება მომეცეს და იმ საწინააღმდეგო აზრებს თავისი თანმიმდევრული და უფრო საფუძვლიანი შინაარსი მიეცეს, ვიდრე ზეპირად, თავის თავთან მარტო, თავის დაცვის დროს, იმიტომ რომ ძნელია თავი დაიცვა, როცა გეუბნებიან, გაქებენ, რომ შენ ხარ კეთილშობილი, რაც, იმათი აზრით, არაფრით განსხვავდება სისულელისაგან, სიახლოვე ისე მიდის, რომ ხალხი არც «სულელის» და «კეთილშობილის» თქმას ერიდება ერთად _ კერძო შემთხვევაში, გოგი....»*

ამ დღიურში აღწერილია გურამისა და გოგი ოჩიაურის ერთი შეხვედრა რესტორანში. იქ იყო გიორგი შენგელაიაც, მაგრამ, ძირითადად, მხოლოდ მაყურებლის როლში. მათი დიალოგი, რაც, ფაქტობრივად, როგორც ამ დღიურიდან ჩანს, უფრო გოგის მონოლოგი იყო, ჩემი აზრით, წარმოადგენს მაგალითს ორი ადამიანის ურთიერთობისა _ როდესაც ერთის სიტყვა (ამ შემთხვევაში გოგის _ მ.რჩ.) მიემართება მეორის (გურამის _ მ. რჩ.) შინაგან ხმას, რასაც, მართალია, სიტყვით, გარეგნულად, ის მთლიანად უარყოფს, მაგრამ ამ მიმართვით, ამავე დროს, აღიარებს კიდეც მის არსებობას.

მომყავს ამონაწერი დღიურიდან (მთლიანად დაიბეჭდება მეხუთე ტომში. აქვე მინდა გავაკეთო ერთი შენიშვნა: როგორც დღიურიდან ირკვევა, გურამი იმ დღეს თავს იკავებდა დალევისაგან. უფრო სწორად, წვეთს არ სვამდა. გოგიმ არყის პირველივე ჭიქის დალევის შემდეგ მოიხადა თურმე ბოდიში, რადგან წინდაწინ გრძნობდა, რომ სასმელი ძალიან მოეკიდებოდა).

« ... ისე, ქერები (გურამს ჰქონდა ღია ფერის თმა, შეიძლება ითქვას, რომ იყო ქერა, თაფლისფერი თვალებით და ოდნავ შეპარული ჟღალი წვერით და ასეთივე ულვაშებით. წვერი არასდროს მოუშვია. ულვაშებს კი ხან იპარსავდა და ხან არა. დღიურში ერთმანეთს ენაცვლება გოგის პირდაპირი და გურამის შინაგანი სიტყვა _ მ. რჩ.) თვითონ კარგი ხალხი ხართ, კეთილშობილი, ქერა ეგეთი ფერია, თუ დაკვირვებიხარ, მაგალითად, ჩემი ტრაგედიაა, რომ შავი ვარ და შავი თვალები მაქვს, ბიძაჩემმა მითხრა ერთხელ, შენ არ იცნობ, ქერა კაცს ენდეო, ქერა ღმერთია, შავი _ მონა, ჩვენ პლებეები ვართ, შავები... ვგრძნობდი, რომ გოგის ჩემ წინააღმდეგ რაღაცა ჰქონდა სათქმელი, იმ დროს ისიც გრძნობდა, რომ პირადად ჩემს წინააღმდეგ, საერთოდ, საქმე დაიწყო ქერების ქებით: ქერები იყვნენ ღმერთები, კეთილშობილები, რომლებისაც შურდა გოგის, როგორიც უნდოდა რომ ყოფილიყო, როგორიც არ იყო. გოგის ძმა ირაკლი არის ქერა ბუნებით და უსათუოდ კეთილშობილი, მაგრამ ის თავისთვის კეთილშობილია, იმას არ შეუძლია კეთილი საქმე გააკეთოს, რადგან მას არა აქვს სინდისის ქენჯნა, ეგ თვისება ქერებს საერთოდ არა აქვთ, შავი არის მონის ფერი, მონას აქვს ცოდვა _ მე ვეთანხმები _ ეს ცოდვა არ ასვენებს მას _ ეს ქენჯნა გვაქვს ბუნებით შავებს, საერთოდ, ეს არ გვასვენებს ... შავი არის მონის ფერი, მონას აქვს ცოდვა ... მას უნდა იყოს ქერა _ ქერა ღმერთია _ ქერა რაინდია, რაინდი ბრიყვია, რაინდი თავისთვის კეთილშობილია, შავი სხვებისათვის ცხოვრობს, შავი წამებულია. მე შავი არა ვარ, მე მინდა დავეთანხმო გოგის, ოღონდ მე ქერა ვარ, ასე მოხდა, ასე უნდა გოგის .... მე მიკვირს საიდან გავჩნდი მე მათ პირდაპირ: ქერა, სიბრიყვით კეთილშობილი, პოზიორი ...»

გოგის უარყოფითი ენერგიით დატვირთულ სიტყვებში, იმაში, რაც ამ სიტყვების იქით იყო, გურამმა ამოიცნო თავისი მონათესავე სული. ვაგრძელებ ამონაწერს ამავე დღიურიდან: *«...გოგი გულწრფელია, იმას ტანჯავს წარმართი, იმას ტანჯავს სინდისი, ისევე როგორც მე ... არაჩვეულებრივ ნათესავს ვუყურებ მასში ... მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მლანძღა, მაინც შემიყვარდა ... ... შენ გულში სადღაც ძალიან საწყალი და მართალი ხარ* (გოგის სიტყვები, მიემართება გურამს _ მ.რჩ.) _ *ჰო, ვარ, ოღონდ მე ამით ვამაყობ, გოგი მაგით მლანძღავს, ამ სიტყვებს როცა ამბობს, ის უმაღლეს ზღვარზეა ანთებული. მე ვიცი, რომ ისიც (გოგი) ისეთივე ალალი და მართალია, მე ვიცი, რომ მისი მთელი სინდისის ქენჯნები აქედან მოდის, მაგრამ ის დიდი ბავშვია და ჭირვეულობს, არ უნდა თავს გამოუტყდეს, ის ისე პოზიორობს საკუთარ თავთან, როგორც მე სხვებთან. მე სხვებთან არა ვპოზიორობ, ამ ცილს მე თვითონ ვწამებ ჩემს თავს. უბრალოდ, ასე უფრო კარგადა ვგრძნობ თავს ...»*

გოგისა და გურამის ამ შეხვედრამდე რამდენიმე კვირით ადრე უკვე დაწერილი იყო «შაშას რევოლუცია», სულ ერთ-ორ თვეში დაიწერა «იულონი». ამ ნაწარმოებებში უკვე გამოვლენილი იყო მწერლის შინაგანი ხმა, რომელსაც არც ერთი წუთი არ ასვენებდა თავის თავში «მოუწესრიგებელი სინდისის საქმეები» და ყველაფერს წერდა, გაიაზრებდა უკვე როგორც «საბრალდებო აქტს» (23 სექტემბერი: «არ შემიძლია არ დავწერო, როგორც საბრალდებო აქტი»).

გურამის მკითხველს გავახსენებ პირველ პიესას, «მარინას», რომელიც დაწერილია მოსკოვში 1958 წლის თებერვალ-მარტში. აღსანიშნავია, რომ მარინასთან დაკავშირებულ ყველა რემარკაში, მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს მის ოთახში «თხელ, მაღალფეხება სკამს», რომელზეც ის შესვლისთანავე ჯდება («შედარებით პატარა ოთახი. ამ ოთახში თხელ, მაღალფეხება სკამზე ზის მარინა», «მარინა შედის ოთახში და თხელ, მაღალფეხება სკამზე ჯდება», «ჯდება, გაქვავებული, გრძელფეხა სკამზე», «შედის თავის ოთახში, უფრო ღამდება, ჯდება თხელ, მაღალფეხება სკამზე»

და სხვ.). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ოთახი, სხვა მხრივ, არაფრით არის მნიშვნელოვანი. «შაშას რევოლუციაში» გურამი, ჩემი აზრით, ასევე საგანგებოდ წერს ორ მასიურ მუხის სკამზე, მაღალი ზურგებით, რომლებზეც გამოსახული იყო მსაჯულის გერბი: «ორი მასიური მუხის სკამი მაღალი ზურგებით, ერთზე კიდევ იყო დარჩენილი მსაჯულის გერბი, მეორისათვის ადრევე მოეძროთ, ისინი ისე იდგნენ, რომ ეტყობოდა მათზე არასოდეს არავინ ჯდებოდა,» ან კიდევ: «რამდენადაც შეეძლო კეთილად გაუღიმა რაღაცას. მერე ასეთივე სუსტი, არაამქვეყნიური მოძრაობით წავიდა დიდი, მაღალი, ზურგიანი სკამისაკენ, რომელიც მეორე სკამის გვერდით იდგა შიშველა კედელთან და რომელსაც მსაჯულის გერბი ჰქონდა შერჩენილი. მოუხერხებლად ჩამოჯდა მის კიდეზე. სულ ერთი ბეწო, წერტილივით ჩანდა ნახევრად ბნელ, ცარიელ ოთახში, უზარმაზარი სკამის კიდეზე მჯდარი ძაგანია.... «, ან კიდევ: «ცარიელი ოთახის კიდეში მსაჯულის დიდ ხის სკამზე მიკრულ ძაგანიას გააჟრჟოლა...» (მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ ბოლო წინადადებაში მწერალი უკვე პირდაპირ ლაპარაკობს «მსაჯულის სკამზე». შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიჩქარეში, წერის დროს, მას, უბრალოდ, წამოსცდა «მსაჯულის სკამი». ეს სკამები ნაწარმოებებში გადაიქცევა იმ განსაკუთრებულ ადგილებად, რომლებზეც მჯდომ გმირებს ეუფლებათ სინანულის განცდა. ასეთი მომენტების დროს ისინი განვლილ ცხოვრებას, რაიმე ქმედებას გაიაზრებენ როგორც მცდარს, უკუღმართს (იხ. აქვე «შაშას რევოლუცია», შენიშვნები «მარინასათვის» მეოთხე ტომში). მნიშვნელოვანია, აგრეთვე, «იულონში» გამართული «სასამართლო» და იმ ოთახის აღწერილობა, სადაც «სასამართლო» მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ 1957 წლის რომანის სათაურში პირველად გაისმა ეს სიტყვა: «სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად». იქმნება შეგრძნება, რომ სინანულდაუფლებული ჩემი ძმა თავის გმირებთან ერთად თვითონვე ჯდებოდა ამ სკამებზე და ასამართლებდა თავს.

გურამმა «შაშას რევოლუცია» დაწერისთანავე, ისე, რომ არც უთქვამს რაიმე მის შესახებ (ერლომმა იცოდა, თუმცა წაკითხვით არც მას წაუკითხავს მაშინ), საერთოდ მოაცილა თვალს.

არ იყო ისე, თითქოს მას არ უნდოდა ამ ნაწარმოებს ვინმეს გულში ეპოვა გამოძახილი, ისე როგორც შემდეგ «იულონს», ასევე ლომბერის მაგიდის საიდუმლო უჯრაში წლების განმავლობაში რომ აღმოჩნდა გადამალული. მახსენდება ოდესიდან გამოგზავნილი ერთი წერილი. ამ წერილში ის თავის თავს ადარებს პირველ მეჯლისზე განმარტოებით მდგარ ნატაშა როსტოვას, რომელიც, ცრემლებით სავსე თვალებით, მოუთმენლად მოელის ვინმეს მიერ მასში იმ რაღაცის ამოცნობას, მხოლოდ მისთვის რომ არის ჯერ ცნობილი. ერთ დღიურში, როგორც ჩანს, ისევ ამ სურვილით სავსე, გურამი წერს: «ამას რომ ვწერ, მინდა შენ გამიგო, ნუთუ ამ გაგების გარეშე არ შეიძლება?» გურამმა გადადგა კიდეც სუსტი ნაბიჯები: მაგალითად, მე მომცა წასაკითხად «იულონი», ერლომმაც იცოდა რაღაც. სხვა შემთხვევები არ მახსოვს, არ ვიცი, თუმცა, მგონია, არც ყოფილა. ვფიქრობ, გურამმა წინდაწინვე იცოდა, რომ დიალოგი მკითხველთან იმ ეტაპზე განწირული იქნებოდა. თითქოს ჯერ არ იყო ამის დრო დამდგარი. ერთი მხრივ, ლაპარაკს, ახსნას, ალბათ, არ ექნებოდა აზრი. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ დიალოგები, თუნდაც გურამისა და ერლომის, სავსე იყო მწერლის შინაგანი ხმით (იხ. დღიურები მეხუთე ტომში), ძირითადი ამბავი, როგორც ჩანს, არ ექვემდებარებოდა გამხელას. მისი არსი თითქოს საიდუმლოებაში იყო, სრულ სიჩუმეში: «ნუთუ აუცილებელია ყველაფერი საიდუმლო იყოს?» ან კიდევ: «მალვა უნდა» (რუსთაველი) მალვა? რატომ? რატომ?

რატომ?» ან თუნდაც: «ჭკვიანი ისაა, ვინც კარგა მალავს თავის აზრებს», «მე უფრო კმაყოფილი უნდა ვიყო, თუ გოგიმ ვერ გამიგო», «ჰო, ყველაფერი ეს («ჩემი სახის სისუსტე», «უაზრო გამოხედვა» და სხვ._მ.რჩ.), სამწუხაროდ, სწორია, მაგრამ სწორედ ამიტომ, ისე რომ პირდაპირ არც მე მჯერა, რატომღაც მე მაინც იმაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ვარ, ვიდრე საერთოდ შეიძლება ვიყო _ ჯერ ეს სხვებისათვის საიდუმლოდ რჩება» და სხვ. მსგავსი აზრები გაბნეულია სხვადასხვა დღიურში.

არ შედგა არც გურამისა და გოგის გულწრფელი დიალოგი. გოგის თქმით, ისინი თურმე 1960 წლის შემოდგომაზე ერთად აპირებდნენ დაღესტანში დათვებზე სანადიროდ წასვლას (გურამს უთქვამს, იქ მეგობრები მყავსო) და ყველაფერზე ლაპარაკს, რაც გურამის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ვერ განხორციელდა.

ფაქტი ერთია, რომ გოგისათვის მაშინ, ისე როგორც, ჩემი აზრით, ჩემი ძმის გვერდით მდგომი უკლებლივ ყველა ამხანაგ-მეგობრისათვის, მით უმეტეს, ჩემთვის, მიუხედავად გურამის საოცრად გულღია, გახსნილი, მიმნდობი, თითქოს ბავშვურად გულუბრყვილო და უეშმაკო ხასიათისა, აბსოლუტურად უცნობი იყო ისეთი გურამი, რომელსაც შეეძლო არსობრივად, ეგზისტენციალურად განეცადა შემდეგი სიტყვები: *«მე ბუნებით არტისტი ვარ, მიყვარს ხალხი, აპლოდისმენტები, ოღონდ უნიჭო ვარ, მე მიყვარს გარეგნულად ბალაგანი, ბალაგანის არტისტობა, ოღონდ ჩემს გულში ბერი ზის, რომელიც ნელა და ენერგიულად ითრევს თავისკენ ჩემს სულს. გოგიში, პირიქით _ ის იკავებს თავს _ აქედან, ბალაგანი ითრევს მის ბერს გარეთ. ის ებრძვის ამ ცდუნებას და დგას ისევე შუა გზაზე როგორც მე. ბოლო: გოგიში აჯობებს ბერი, ის წავა უკან თავისი ნიჭის სასარგებლოდ, მე თუ არ მოვკვდი, რისი იმედიც არა მაქვს, წავალ უკან ბერობისაკენ ჩემი ნიჭის სასარგებლოდ, რომელშიც აისახება მთელი ეს ვნება გადაძალვისა, რასაც ჰქვია სინდისის ქენჯნა... «* (ამონაწერი იმავე დღიურიდან).

აი, კიდევ რამდენიმე ამონაწერი ამავე პერიოდის დღიურებიდან:

«რა ბედნიერია ხალხი, ვისაც შეუძლია პირდაპირ ისულელოს (...) მერე უბრალოდ დაიძინოს და ახლიდან. ვისაც იმდენად წმინდა აქვს სინდისი, რომ არ ქენჯნის. საინტერესოა რა დავაშავე? ალბათ, ის, რომ ასეთი აზრები მომდის _ ცოდვის _ რაც ნახევარ დანაშაულს უდრის, თუ მთელზე მეტს არა...»

«რა ცოდვა აქვს ჩემს სულს ასეთი, რომ ვერ ისვენებს, სად დაკარგა სიკეთის უფლება, რომ ამდენი ტანჯვა სჭირდება მისი უფლების მოსაპოვებლად _ შოლტით უნდა ვრეკავდე ცხენებს დღე და ღამე და ფეხით მივდევდე...»

«ჩემი მიზანია არა ის, რომ მოვიპოვო წერის უფლება, არამედ ის, რომ მოვიპოვო უფლება არა ვწერდე _ ვცხოვრობდე და კმაყოფილად ვგრძნობდე თავს ცოდვების მონანიების გარეშე, რის პირდაპირ ნაყოფსაც წარმოადგენს ჩემთვის წერა...»

«საკმარისია დავკარგო შიშის გრძნობა, რომ შევურიგდე, შევურიგდე იმას, რისთვისაც დიდი ხანია ვემზადები. ეს არის უმაღლეს ძალად სულის აღიარება. ეს ტენდენცია ძლიერია ჩემში.»

იმის დასტურად, რომ ჩემი ძმის სულიერი ცხოვრება ისეთ სიღრმეებში იყო გადატანილი, ისეთ ნაჭუჭში გამომწყვდეული, რომ გარეთ კაკუნის ხმაც კი არ გამოდიოდა (მწერლის სიტყვების პარაფრაზი წერილიდან ერლომს) და რომ ის სრულიად უცხო იყო მის გვერდით მყოფი უახლოესი ადამიანებისთვისაც კი, მომყავს ამონაწერი ერთი დღიურიდან:

«როგორ შეეძლო გუშინ ჩემს დას ეთქვა, როცა იგნატოვზე ვლაპარაკობდი _ როგორ მომაბეზრეთ თავი?! ... როგორ შეუძლია მე ასე მითხრას ხელაღებით, როცა მშვენივრად იცის, რომ ხელოვნება ჩემი თითქმის არაფერი არ არის და უცებ ასე

ამაგდოს, თითქოს მეც იმათსავით ხელოვნებით ვერთობი (ჩემი მიზანი ხომ მხოლოდ ის არის, ვიცხოვრო სავსედ და კარგად). ... ეს მარინემაც იცის, რომ ისინი არა ვარ, ოღონდ საშინელი უხეში ტიპია. წამით გაჰკრავს ხოლმე გულში რაღაც, იტყვის, მეც ასეთი ვარ, ალბათ, სხვებთან. თუმცა ძალიან ძნელია, რომ თვითონ იგრძნო რამდენი ტკივილი შეგიძლია მიაყენო სხვას, როცა შენ თვითონ სულ პატარასაც ასე აღიქვამ ხოლმე....» (1958 წლის ნოემბერი). ამ დღიურში კარგად ჩანს, რომ გურამი ზედმეტად აფასებდა ჩემს შესაძლებლობებს, როდესაც წერდა: «მარინემ ვითომ არ იცის, რომ მე იმათსავით ხელოვნებით არ ვერთობიო», ან კიდევ გულისხმობდა ჩემს იმ ნაწილს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ცდილობს როგორმე გარკვეს იმ მოვლენებში, მის გვერდით რომ ხდებოდა.

მახსოვს, ერთხელ, ეს დაახლოებით უნდა ყოფილიყო გიგი აბაშიძის დაკრძალვის დღეს, მთელი ოჯახი გვიან საღამოს დავბრუნდით შინ. სახლში მოსვლისთანავე მომინდა ამხანაგთან წასვლა, გურამი არ მიშვებდა, დედა თითქოს დავითანხმე. ავიღე ჩანთა და ხტუნვა-ხტუნვით დავეშვი კიბეზე. გურამი კუთხეში დამეწია, გზა გადამიკეტა, მაგრად მომკიდა ორივე ხელი და მითხრა სახლში დავბრუნებულიყავი. «აი, ნახე, გავიზრდები და სამაგიეროს გადაგიხდი, შურს ვიძიებ», წამოვისროლე ცრემლმორეული ხმით, როგორც კი მივხვდი, რომ, ჩემდა გასაკვირად, გურამი არ ხუმრობდა. ეს იყო გურამის მხრიდან, ალბათ, ძალადობის თუ სიუხეშის ერთადერთი შემთხვევა. ცხადია, თქმის დროსვე სიტყვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. მაგრამ მოხდა საოცრება: გურამს უეცრად შეეცვალა ღიმილიანი სახე, თითქოს რაღაცამ შეძრა, მაშინვე გამიშვა ხელები და მიტრიალდა. მივხვდი, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა. ცხადია, აღარც წასვლა მინდოდა და აღარც დარჩენა. უხალისოდ დავბრუნდი შინ და ჩემს კუთხეში შევიყუჟე. მხოლოდ ახლა გავიაზრე, რომ სულ ახალი დაწერილი იყო «შაშას რევოლუცია», რომ იმ დღეებში იწერებოდა შემოდგომის დღიურები, გურამი შინაგანად უკვე ემზადებოდა «იულონის» დასაწერად. ჩემ მიერ ისე წამოსროლილ სიტყვებს ის არსობრივად გაიაზრებდა და მათი სიღრმისეული ბუნებისაკენ ეძიებდა გზებს.

გურამის გარდაცვალების შემდეგ, ძალიან მალე, დედამ და მამამ სთხოვეს გოგი ოჩიაურს თავიანთი ვაჟიშვილის საფლავის გაკეთება. გოგისა და გურამის პირველი შეხვედრიდან სულ ათი წელი იყო გასული. გოგიმ შექმნა საფლავის არქიტექტურა და მისივე თხოვნით ბოლნისიდან ჩამოტანილ ქვაზე ამოტვიფრა კომპოზიცია, რაც მას მერე სამუდამოდ დაუკავშირდა ჩემი ძმის სახელს (ამჟამად ის გურამის ხუთტომეულის გარეკანია). გოგიმ თავის ნახატში მოახდინა იმის აბსტრაგირება, რაც მას უყვარდა და მოსწონდა უმცროს მეგობარში და, როგორც წარმართ გმირს, მთვარე და მზეც დაუხატა აქეთ-იქიდან გამორჩეულობის ნიშნად (იხ. პირველ ტომში «თვირთვილას» შენიშვნები). მაგრამ მხატვრის სურვილის წინააღმდეგ «იმოქმედა დროის იმპერატივმა» (გ.ო. მიქელანჯელოს შესახებ). ნახატზე აღბეჭდილია «სულიერებისათვის სხეულშეწირული» ჭაბუკი, რომელიც ცხენზე ამხედრებული მიისწრაფოდა უკვდავებისაკენ და, თავისი დიდი წინაპრების გურამიშვილისა და ბარათაშვილის კვალდაკვალ, «ქნარზე ხსნიდა თავის გამოცანას». ამ ნახატში სულიერება მიღწეულია ფორმის დემატერიალიზაციის წყალობით. მხედარი, თითქოს, მართლაც, «არ ზის ცხენზე. არც ცხენს, არც მხედარს თითქოს წონა არა აქვთ» (იხ. «თვირთვილას» შენიშვნები).

გარეგნულად კი ყველაფერი ისე იყო მაშინ, როგორც ამბობდა გოგი იმ დღეს, აგვისტოს დღიურში რომ არის აღწერილი: «აი, შენ, _ იწყებს გოგი, _ მე დავდივარ კინტოდ, აუ, აუ მხრები, ჩადღლეზილი გული, ვაჭირებ საქმეს», «კაცი, რომელიც ისე ტუტუცია, რაც მოუნდება აკეთებს, წარმოიდგინეთ, თოფსაც კი ისვრის, დაწერს ფუყე მოთხრობებს ..... შენ სულელი ხარ, ყველას აჩვენებ შენ თავს, პოზებს იჭერ ...» «მე (გოგი ო. თავის თავზე _ მ.რჩ.) მაგას არ ვიზამ, მე ჭკვიანი ვარ, მე ვიმალები, ჩემსას კაცი ვერ გაიგებს, მე წარმართი ვარ, წარმართები არიან ხევსურები, წარმართი იყო ოდისევსი...»

აი, კიდევ ერთი ძალიან ცნობილი, მართალია, უფროსი, მაგრამ გურამის თანამედროვე, ფილოსოფოსის აზრი (რამდენადაც მახსოვს, ეს შეეხებოდა გურამს): «როგორ შეიძლება კაცს, რომელსაც აქვს პოზა, პოზიორია, აინტერესებს სხვისი აზრი _ იყოს ჭეშმარიტი ხელოვანი.»

იყო ძალიან ბევრი, ხშირად სამართლიანი, აუგად ნათქვამი სიტყვა გურამის მიმართ, მისი მაკომპრომეტირებელი ეპიზოდები, რაც, ტყუილ-მართალი ჭორების სახით, თავს იყრიდა ჩემს მშობლებთან და წარმოადგენდა მათი მუდმივი ღელვისა და უსიამოვნების წყაროს.

ამონაწერი დედაჩემის დღიურებიდან: «ამ დიდ დანაშაულს თელავში (დედა გულისხმობს თელავში გურამის მიერ ცხენის გატაცებას, რასაც მოჰყვა სასამართლო. იხ. ნუგზარ წერეთლის წიგნი: «აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენ წინ.» _ მ.რჩ.), ცოტა დრო არ გასულა და, მეორე დანაშაული დაუმატა. არ ვიცი, რას მივაწერო გურამის მოქმედება, თითქოს კარგია, კეთილია, უყვარს თავისი მშობლები, მაგრამ ამ თავისებურებებს თავს არ ანებებს. ერთ დღისით, ნასვამი, სახლიდან გასულიყო ვაჟა გიგაშვილთან ერთად, წაუღია მამამისის სანადირო თოფი, რომელიც სულ მთლად უპასუხისმგებლოდ გაუსროლია ჰაერში ლენინის მოედანზე, რასაც მოჰყვა გურამის დაპატიმრება. სასწრაფოდ მაცნობეს ამხანაგებმა. რა ვიცი, ნეტავ კი ადგილზე მოვმკვდარიყავი. ელდა მეცა, ვეღარც მოვისაზრე, რა უნდა გამეკეთებინა. ერთადერთი, შემეძლო იმ წუთში მომეძებნა მიშა, რომელიც ძალზე შეწუხდებოდა, მაგრამ მოსაზრების უნარს მაინც არ დაკარგავდა. რა ძნელია ჩემთვის ამ წარსულის მოგონება და წერა, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო ეს მძიმე ამბები. ძნელად თუ ადვილად, უფრო - ძნელად, გამოვიდა გურამი ამ მძიმე დანაშაულიდან. სულ შფოთი და დავიდარაბა, ძნელია ჩემი შვილი და თან ძალიან კარგია. ამ პატარა დეტალს, რატომ არის კარგი, მე და მამამისი ვამჩნევთ, ყველა ფაქტი, ნამოქმედარი კი საშინელია.... სადამდე შევძლებ, უკვე დავბერდი, ისეთი გული გამიხდა, თუმც ვცდილობ, როგორმე შევაძლებინო ჩემს თავს ... ძალიან ძნელდება გურამის თავისებურებების გადალახვა ... ვერ მივაღწიე, მიიღოს ფორმა დამშვიდებული ადამიანის, რომელსაც უყვარს თავისი კუთხე ... ხშირად მეტყვის ხოლმე: «დედა, შენისთანა ბედნიერი ქალი იშვიათია, ისეთი კარგი შვილი გყავს, საამაყოა ამისთანა შვილის გაზრდა. გამაეჭვიანებს ხოლმე, იქნებ, მართლა. არ ვიცი, რა არის საამაყო _ ყველა მოქმედება გურამისა კი სავალალოა და გულის მოსაკლავი. მიდის დრო, გურამი თითქოს თანდათან რთულდება. რად ეკიდება ასე ზერელედ ცხოვრებას ... თანდათან კარგავს ადამიანობას...»

აი, რას წერს მარიკა საყვარელიძე გურამს მოსკოვში: «რაც შენ წახვედი მოსკოვში, რუსთაველზე თოფი არავის უსვრია. ჭავჭავაძის ქუჩაზე მოწყენილობაა ... იცოდე, ჭკუით იყავი, თვითეული შენი ნაბიჯი, ამბავი, აქ ჩამოაქვთ.»

ნუგზარ წერეთელი გურამს მოსკოვში: «შენი ამბები თბილისში სხვადასხვა ვარიაციებით დადის, ლეგენდად იქეცი.»

ჯუმბერ თითმერიას მონაყოლი:

ეს უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, 1958 ან 1959 წელი. გურამი, რეზო გაბრიაძე და მე პეტრიაშვილის ქუჩაზე ვიყავით რეზოსთან სახლში. რეზო წერდა, ხატავდა კიდეც, მაგრამ ფართო წრეებისათვის ჯერ არ იყო ცნობილი, ახალი ჩამოსული იყო ქუთაისიდან. მეც, სულ ერთი-ორი წელი თუ იქნებოდა, რაც თბილისში ვცხოვრობდი. რეზომ გამოგვიტანა წითელი ღვინო. გურამი დაჯდა სკამის ზურგზე. რეზომ სთხოვა გურამს, ისე დაჯექი, როგორც ჩვენა ვსხედვართო. გურამმა ყური არ ათხოვა, რეზომ გაუმეორა. გურამმა შეასხა ღვინით სავსე ჭიქა სახეში. რეზომ არაფერი უთხრა და თხოვნა გაუმეორა. გურამმა ისევ შეასხა ღვინო, რეზომ ისევ არ გასცა ხმა. დავიშალეთ. ცოტა ხნის შემდეგ უნივერსიტეტში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. გურამმა რეზოს დაუჩოქა და სახალხოდ სთხოვა პატიება: ამ კაცს მე შეურაცხყოფა მივაყენე და ხმა არ გამცაო.

ერთხელ, მითხრა გოგი ოჩიაურმა, სახლში ავდიოდი. გურამი და ნიაზ დიასამიძე შემხვდნენ, სამაიაში შედიოდნენ. გურამმა დამიძახა და მოვიდა ჩემთან. ძალიან ნასვამი იყო. ერთი ბოთლი არყის ფული მთხოვა. მე ვუთხარი _ რა მოჩვენებითი არტისტიზმია, ნიაზს ბაძავ-მეთქი. არ გაიკარა ჩემი სიტყვა გულზე: მითხრა, თუ ფული გაქვს, მომეციო. ეს იყო ბოლო შეხვედრა. ერთხელ მანანა მეგრელიძემ (გურამის ახლო მეგობარი) უთხრა: «გურამ, გირჩევნია, მოკვდე, სანამ ჟ.დ-დ (იმ დროის ცნობილი ლოთი) გადაიქცევი და შენი თავი დაგაკმაყოფილებსო». ერთხელ გადასასვლელზე ლამაზ გოგონას დაუვარდა სავარცხელი. გოგი ოჩიაური დაიხარა სავარცხლის ასაღებად. გურამმა დაასწრო და მიცემის მაგივრად ფეხით დაამტვრია. ამბობდნენ, ერთხელ ვიღაცას ყურზე ისე უკბინა, რომ, მგონი, მოაჭამაო. ერთხელ კი იმ გოგონას, რომელიც უყვარდა, ქვაფენილზე წამოწოლილმა აუხსნა სიყვარული. ერთს კი, რომლის გულის მოგებასაც ცდილობდა, შესთავაზა: მოდი, ხეზე ავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ ყველაფერზეო. გურამის ჩაცმა ხომ პრობლემად იყო გადაქცეული როგორც მშობლებისათვის, ისე - დღიურებიდან და მოგონებებიდან ჩანს - ჩვეულებრივი გამვლელებისთვისაც. ერთხელ თურმე მზია და თამრიკო ერისთავები შეხვდნენ გურამს პეტრიაშვილის აღმართზე. თამრიკოს არ მოეწონა გურამის ჩაცმულობა _ შავი, «ჩადღლეზილი» პერანგი, დიდი ბათინკები, რაღაცნაირი შარვალი _ და ჰკითხა მამიდას, რატომ ეცვა გურამს ასე უცნაურად. მამიდამ უპასუხა: «Пощещина общественному вкусу». მოსკოვში ბიძია-მამიდების მიერ გაგზავნილ წერილებში ყველგან იგრძნობა დედაჩემის გაუთავებელი დარდი გურამის გარეგნული ფორმის გამო.

ამონაწერი ძია შალიკო ნიჟარაძის (დედის ძმა) წერილიდან (გაგზავნილია გურამთან მოსკოვში. იხ. მეხუთე ტომში გურამის დღიურები და წერილები):

«გურამ, შენი გარეგნობა არ უნდა იყვეს განსხვავებული ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. ე.ი. ზამთარში ქუდი უნდა გეხუროს, გული და პალტო შეკრული უნდა გქონდეს და სხვა მაჩვენებლებიც დაცული, რაც ადამიანს ახასიათებს. ნუ ეცდები, შენი გარეგნობით ხალხს დასცილდე.»

მამიდა ნათელას (ჯავახიშვილი) წერილი:

«გურამ!

... მიხარიან, რომ მანდ ყოფნით კმაყოფილი ხარ, თუმცა კარგად ვერ გავიგე _ მართლაც, რა აზრი აქვს მანდ შენს ყოფნას, თუ სულ სახლში ზიხარ (და «ართობ» ბებერ რუსებს).

მოსკოვში სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს. აუარება საინტერესო რამაა სანახავი და შენ კი სწორედ ამაზე არაფერსა მწერ _ ნახე რამე, იყავი სადმე?

... გიგზავნი წერილს, რადგან მწერ, რაც იწერება, ის აუცილებლად უნდა წაკითხულ იქნასო!! მაინც რატომ?

... აბა, შენ სცადე და დაწერე ყველა შენი, სრულიად გულწრფელი, ზრახვები, ფიქრები, სურვილები ....დაუკვირდი შენს თავს _ შენს ნამდვილ სახეს _ და ეს ზედნაშენი, რომელიც ამ ბოლო წლებში გარსად შემოგეხვია, შენთვის მაშინ სხვისი თვალით დასანახი გახდება. დაუკვირდი შენს თავს, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს შენზე ეს ახალგაზრდა. შენ არ იფიქრო, რომ მე არ მესმოდეს ეს შენი განწყობილება, მე ამის მიზეზებს უფრო ღრმად ვხედავ, ვინემ ბევრი და არა მარტო შენს ბუნებაში (ყველაზე ნაკლებ), არამედ იმ სოციალურ გარემოში, რომელმაც ასეთი სულიერი სიღატაკე მოუტანა ჩვენს ახალგაზრდობას, გამოფიტა და, მართლაც რომ, მშრალ (მატერიამდე) დაიყვანა.

ზოგი ამას შეეგუა, ზოგი კი, მათ შორის, შენც ამას ვერ ეგუები და ეძებ გამოსავალს და ეს გამოსავალი სხვადასხვაა. რასაკვირველია, მხოლოდ სასიამოვნო ფაქტია, რომ პირველებს არ ეკუთვნით არც შენ და არც დათო _ თუმცა სულ სხვადასხვანაირად ეძებთ გამოსავალს. ... შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ მწერალს ჩვეულებრივი ადამიანის გარსი არ უნდა ჰქონდეს, ანუ ამაზე ფიქრი მხოლოდ ხელს შეგიშლის იყო ნამდვილი ოსტატი შენი საქმისა. აბა გადახედე! ყველა დიდი მწერალი სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა, მაპატიე, მაგრამ მხოლოდ რუსებს შეუძლიათ შეათავსონ ორი ასეთი რამ _ «ბროდიაგობა» და მეცნიერება, მწერლობა. მაგრამ რაღა მაგ კაციჭამიებს დავემსგავსოთ?» (სრული სახით იხ. მეხუთე ტომში).

ერთხელ, ამბობდნენ, რომ გურამი რუსთაველის ქუჩაზე მარტო, ფეხმორთხმული, იჯდა და თხოულობდა ფულს. ვიღაც შლიაპიანმა კაცმა არ ჩაუგდო ფული, გურამმა მოხადა შლიაპა და ზევით აისროლა. ერთხელ გურამი დაიჭირეს. თურმე ვიღაცას უპირებდა სადარბაზოში პიჯაკის გახდას. გამოექომაგა გიორგი შატბერაშვილი - დაზარალებულს სხვადასხვა არგუმენტებით უმტკიცებდა, რომ გურამს პიჯაკი არ აინტერესებდა. ის ხსნიდა მწერლური უცნაურობით: მწერალს უნდა ცხოვრებაში განიცადოს მძაფრი სიტუაციები, რათა, თავის გმირებს ასეთსავე სიტუაციებში რომ ჩააყენებს, რეალისტურად გამოუვიდესო. ეს უცნობი კაცი თურმე რაღაცნაირად დაიყოლია შატბერაშვილმა. შემდეგ ამ კაცს გაუგია, რომ გიორგი თავის დროზე გადასახლებული ყოფილა და გაგიჟებული მივარდნილა რედაქციაში, ეს ერთი ბანდააო.

არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ეს ეპიზოდები სიმართლეს _ ერთი კი ვიცი, რომ ჩვენ, ოჯახის წევრებს, გურამის გარდაცვალების შემდეგ ყოველი მათგანის საჯაროდ გახსენების დროს უხერხულობა გვიპყრობდა და ვერ ვხვდებოდით, რა მიზანი ჰქონდა ამ გახსენებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ თვითონ მთხრობელიც შუა ლაპარაკში თითქოს იბნეოდა და ვეღარ ხსნიდა, რატომ მოიგონა ესა თუ ის, ფაქტობრივად, გურამის მაკოპრომეტირებელი ეპიზოდი.

ერთხელ, ჩემთან საუბრისას, გურამის გარდაცვალებიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მახსოვს, ასე ახსნა მანანა მეგრელიძემ გურამის უცნაური ქმედებანი: «ეს იყო მწერლის ექსპერიმენტი. უნდოდა ენახა, რა რეაქცია ექნებოდა გარემოს. გურამი ისრუტავდა სხვის რეაქციას. მისი ექსპერიმენტი იყო უანგარო. მას აინტერესებდა დაეფიქსირებინა იმათგან მიღებული შთაბეჭდილება. მისი ანგარება იყო ესთეტური,

შემოქმედებითი.» შეიძლება მანანას მოსაზრება თანხმობაშია გურამის ერთ ჩანაწერთან, 1958 წლის ოდესის დღიურში რომ შემხვდა (იხ. ტომი 5): «ჯერ აკეთებს რამეს, მერე იმათზე წერს, განცდილზე. მიდის იქამდე, რომ კლავს ამხანაგს, უცებ ქლიავდება _ გადამლაშება.» ან კიდევ იმ აზრებთან, «იულონში» რომ არის გამოთქმული: «მე კი ეს არის ვაგრძელებ თქვენს დაწყებულ წარმოდგენას. მე ამის გულისათვის კაციც კი მოვკალი», «მე მხოლოდ მწერალი ვარ, ამიტომ მიხარია კაცის სიკვდილი, მერე დავწერ ამის შესახებ.»

შეიძლება კი ყველაფერი თავს იყრის ისეთი ტიპის განცხადებებში, გურამის დღიურებსა და ნაწარმოებებში რომ არის გაბნეული:

მალხაზი (გურამის მეგობარი. ნახე მეორე ტომში მოთხრობები «მალხაზით») უფრო პატიოსანია, იმიტომ რომ ბოლომდე აკეთებს იმას, რაც უნდა, რასაც გაივლებს გულში, არ იტოვებს უპატიოსნების ზღვარს. ამ დანაშაულს შეიძლება მიუყენო სასჯელი, პასუხი აგებინო. გულისთქმისათვის კი არ სჯიან. მასაც (გურამსაც) ხომ გაუვლია გულში ქურდობის სურვილი, ხომ უჭამია სხვისი ნაქურდალი. იქნებ, მხოლოდ იმიტომ არ ქურდობს, რომ ეშინია? ბევრად უფრო საშიშია გამოუმჟღავნებელი, ჩამალული ცოდვა, რომელსაც სასჯელსაც ვერ მიუყენებ ზოგადი კანონებით, ხელს ვერ შეახებ. განა მალხაზი რომ ქურდობს, არ გამოდგება იმის დასტურად, რომ თვითონაც შეუძლია იგივე ჩაიდინოს?!

ესთეტური იყო ეს ექსპერიმენტები თუ ეთიკური? ზნეობასთან იყო დაკავშირებული თუ ხელოვნებასთან? ძნელია, დაბეჯითებით რამის თქმა, გარდა ერთისა, რომ ცხადია, გურამს არც ვინმეს პიჯაკი აინტერესებდა და არც მათხოვრობით შეგროვილი ფული და, საერთოდაც, ჭიანჭველა არ გაუჭყლეტია ბავშვობისას, არათუ ვინმესათვის მოეჭამა ყური (მოგონება: ერთ ზაფხულს კახეთის რომელიღაც სოფელში სტუმრად ვიყავით ნათესავებთან. ოჯახის მოხუცმა ბებომ გურამს ქათმის დაკვლა სთხოვა, უარი არ უთქვამს, როგორც საერთოდ იცოდა ხოლმე, როცა რაიმეს სთხოვდნენ. მოჰკიდა ქათამსა და ცულს ხელი და წავიდა. დააგვიანდა, დაუწყეს ძებნა, შორიდან დაინახეს, რომ გურამი უცნაურ რაღაცას აგებს. თოკის ერთ ბოლოზე დაუმაგრებია ცული და ხეზე ჩამოუკიდია. ქათამი დაუბამს კუნძზე. თოკის მეორე ბოლო თვითონ უჭირავს და ხეს ამოფარებული ცდილობს თოკი ისე გამოქაჩოს, რომ ცულმა ქათამს თავი მოაჭრას. ცხადია, ვერაფერს ახერხებს და საშინლად წვალობს. ყველაფერს მიხვდნენ და შერცხვენილი გურამი ულაპარაკოდ გაათავისუფლეს ამ დავალებისგან).

ყველაფერ ამას, რაც გავიხსენე, ცხადია, არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ გურამთან _ ამაყი, თითქმის ყოველთვის მზეზე გარუჯული, დამწვარი კეხიანი ცხვირით, წვრილად ჩახვეული თმით, ხშირად - თუშური ქუდით, მაღალსაყელოიანი თეთრი პერანგით, მძიმე ბათინკებით რომ დააბიჯებდა უნივერსიტეტის ბაღში, ალპინიადებზე, ბაკურიანში, როგორც «შემორჩენილი სიწმინდის» სიმბოლო (შემოდგომის დღიურიდან: «...მაშინ პირველ კურსზე ვიყავი, ვითვლებოდი გულღია, ვაჟკაც ბიჭად, ნიჭიერად, ზერელედ. მეცვა, როგორც ახლა, ბათინკები და მეხურა თუშური ქუდი, რისგანაც გოგოები აღტაცებულები რჩებოდნენ და ისე მიყურებდნენ, როგორც შემორჩენილ სიწმინდეს, თუმცა არავინ ამჟღავნებდა სურვილს მეტი სიახლოვის...»). როგორც უკვე ვთქვი, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეოდა ასე არც ვაჟა (თუ ვამეხ) ჯანდიერი, არც შეუპოვარი ცქიტო. ეს არ იყო უბელო ცხენების ჭენება, უშიშრობა, ანუ გმირობა_ვაჟკაცობა_რაინდობა, რის

სიმბოლოდაც წარმოუდგა გოგის გურამი მაშინ ხევსურეთში, რაც მას, ალბათ, უღვიძებდა იმედს, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის - არსებობს, მაგალითად, გურამ რჩეულიშვილი. სხვათა შორის, 1957 წლის ზამთარში ბაკურიანში საფუძველი ჩაეყარა გურამისა და ერთი ძალიან ლამაზი გოგონას ურთიერთობას, რაც, როგორც ვიცი, გოგის დაკვალიანებით დაიწყო. ერთხელ თურმე მას ამ გოგონასთვის უთქვამს: ერთადერთი, ვისთვისაც მემეტები, ეს გურამ რჩეულიშვილიაო. შეიძლება გოგი მის საოცრად ხორციელ, ამქვეყნიურ, მართლაც რომ, წარმართულ სილამაზეში ისევ იმ თავისი «ცენტრიდანული იდეის» განსხეულებას ხედავდა. როგორც ჩანს, მისთვის ისიც, გურამივით, «გამსჭვალული იყო სიცოცხლის იდეით აბსოლუტური ფორმისაკენ სწრაფვის» გამო. ის გურამი, რომელიც გოგისთან ერთად მაშინ რესტორანში იჯდა, ფაქტობრივად, განასახიერებდა მის გაცრუებულ იმედებს.

სად წავიდა ცხენზე ჯირითი, ალპინიზმი, ცურვა, თუნდაც დილის ვარჯიში, საუნივერსიტეტო კონფერენციები, პირველი მოთხრობები, რომლებიც ძალიან მოეწონა მკითხველს (დედა გურამს: «რას ჩააცივდი ამ პიესებს, აქამდე რამდენ ლამაზ ნოველას დაწერდი...»). თემო ბერიძე იხსენებს: გურამი გაგრაში 1960 წლის ზაფხულში საოცრად დაღლილი ჩანდა. სულ ერთხელ შევიდა ზღვაში საბანაოდ და მაშინვე გამოვიდა (იხ. კომენტარები 1956 წლის ზღვის მოთხრობების, რომლებშიც ნაამბობია, სულ ოთხიოდე წლის წინ როგორ ფარავდა ის კილომეტრებს წყალში ყოველ დილით და როგორი ხალისით და სპორტული აზარტით ეუფლებოდა სხვადასხვა სტილით ცურვას). გარდა მოგონებებისა, მისი ბოლო წლების ფოტოსურათებიც მოწმობს იმ საოცარ ცვლილებას, რაც მან განიცადა 22 წლიდან, ანუ წერის დაწყებიდან, 26 წლამდე. მახსოვს, ერთხელ, როგორ აღელდნენ დედა და მამა, გურამის ერთმა მეგობარმა 1960 წლის ხოვლის ექსპედიციის ფოტოსურათები რომ მოიტანა. ამ სურათებზე აღბეჭდილ საოცრად დაღლილ, თითქოს უკვე მობერებულ ჩემს ძმას არაფერი საერთო არ ჰქონდა სულ ორი-სამი წლის წინ «უფსკრულებთან მოთამაშე», თითქოს მუდმივად მზეზე გარუჯულ, თმახუჭუჭა ჭაბუკთან. მამამ წყენით თქვა: «რა საჭიროა ასეთი სურათების გავრცელება!» მერე გადამალეს კიდეც. აღმოვაჩინე მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ. გურამის გარეგნობამ, როგორც ჩანს, «მოიკრიბა მისი შინაგანი სამყარო» (გურამი იულონზე, «იულონიდან»), მისი სხეული საოცრად გამტარი გახდა სულიერ სამყაროში მიმდინარე ბრძოლებისა და ძვრების.

როგორც ადრე არაერთხელ აღვნიშნე, მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებული იყო მხოლოდ შვიდი მოთხრობა (იხ. პირველი ტომის ბოლოსიტყვაობა). «ალავერდობისა» და, განსაკუთრებით, «ირინას» პირველი რედაქციები შორს იყო ორიგინალიდან, მაგრამ ასეთი სახითაც კი მკითხველმა ისინი მხოლოდ გურამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ყველა, ოჯახიან-ახლომეგობრებიანად, ხედავდა მხოლოდ მის გარეგნობას, რომელიც თანდათანობით თითქოს სულ უფრო და უფრო «კარგავდა თავის ფორმას», «კარგავდა ადამიანობას».

«ყველა ხედავდა მის სიმთვრალეს და არაფერი იცოდა მისი დიდი სურვილის შესახებ» («გოგან გაგანიადან.» მინაწერი არეზე).

«ის, რასაც დაცვა სჭირდებოდა, ჯერ არავინ იცოდა» (ბრალმდებელი იულონზე _ «იულონი», ტომი 4).

«ძაგანიას კი ტანჯავდა მისთვის შეუცნობელი ძალა, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა დაემალა სხვებისგან, ამ საიდუმლომ მისცა საოცარი გამძლეობა» («შაშას რევოლუციიდან»).

ამონაწერები სხვადასხვა წერილებიდან და დღიურებიდან (ნიშანდობლივია, რომ ერლომ ახვლედიანსა და ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილი წერილები არ არის გაგზავნილი. სრული სახით დაიბეჭდება მეხუთე ტომში):

ერლომ ახვლედიანს:

«მთელი ეს ოცდახუთი წელი საკმარისია იმისათვის, რომ კაცმა, ვისაც აქვს თავმოყვარეობა და ჩემდენი სურვილები, მშვიდი სინდისით მოიკლას თავი. ეს არის უაზრო, უსარგებლო ბრძოლა კვერცხის ნაჭუჭში მოქცეული წიწილისა, რომელსაც, ათასნაირად მომზადებულს გამოსაჩეკად, ვერაფრით ვერ გამოუმტვრევია გამოსასვლელი, მე არ ვეძებ სხვაში ჩემს უმწეობას, მაგრამ «დედის» ვალია (ობიექტური ვალი) სადღაც ოდნავ შეუთხელოს ნაჭუჭს კედელი, მაგრამ ის საზოგადოება, წყობა, ამხანაგები, თვითონ ოჯახი ყველაზე მეტად და ჩემი ბუნებრივი, წმინდად ლიტერატურულ-პოეტური მონაცემები, მხოლოდ იმის ცდაში არიან, როგორმე გაასქელონ ეს ნაჭუჭი საერთოდ გამოუმტრვეველობამდე, ისე რომ, კაკუნის ხმაც კი არ გამოდიოდეს იქიდან. ჰო, უზომოდ სქელია ბაკანი გასამტვრევად... მე კი ძალიან დიდი ვარ იმისათვის, რომ შიგ დავეტიო. ასე ვორთქლდები არყისგან, როცა ვსვამ _ ნერვიული რევმატიზმებისაგან, როცა სასმელის დალევა აღარ შემიძლია _ ლიტერატურა კი მხოლოდ ანანიზმია იმ დიდი სურვილისა, რაც ღმერთმა გაჩენის პოტენციაში მომცა.»

ვახტანგ ჭელიძეს:

«მე მგონი, აქედან უნდა იყოს ეპოქალურად დროზე წამოწეული სენი-ალკოჰოლიზმი, ასე უღმერთოდ მოდებული მთელ მსოფლიოში, სენი, რომელიც აყუჩებს ემოციებს, ინტელექტს და ადამიანს საშუალებას აძლევს დაუფიქრებლად მიჰყვეს დროის თავბრუდამხვევ რიტმს. ჩემთვისაც, როგორც დროის ყველა სენით შეპყრობილი კაცისათვის, ყოფნა-არყოფნის ის დიდი კითხვა ხანდახან ასე პატარავდება და წვრილმანდება: _ სმა თუ არსმა? და თუ შექსპირის კითხვა ყოფნის დასტურით გადაწყდა /ვმსჯელობ პრიმიტიულად/, აქ უნდა უარყოფით გადაწყდეს, რადგან ჩემში ამ კითხვის მოსვლა თვითონ ძირშივე უარყოფითია. ეს მოხდება აუცილებლივ და უფრო ჩქარა იმ შემთხვევაში, თუ, გარდა შენი ვიზიონერული მირაჟებით საუბრისა, საშუალება გექნება პირდაპირ, სიტყვით, ნაწერით ესაუბრო ხალხს /მე ვმსჯელობ ჩემი ღვინით ლოთი და სხვა რამით მთვრალი მეგობრების უზარმაზარი რიცხვის სახელით/, ეს პრობლემა დგას ჩემს და თქვენს წინ, როგორც ქართველი და მსოფლიო უბრალო ადამიანების წინ, ისევე როგორც სხვა, უფრო დიდი, ადრე ნათქვამი, ამაში ჩახლართული და ამაზე მაღლა მდგომი პრობლემები;»

დედას, გაგრიდან, 1960 წლის 22 აგვისტო:

«... გეფიცები, ცრემლები მომერია, როცა წარმოვიდგინე, როგორ გაურბიხარ საზოგადოებაში ჩემზე ან ჩემთან დაახლოებულ თემაზე ლაპარაკს, რადგან იცი, რომ აუცილებლად ცუდი უნდა თქვან.

შევუნდოთ ხალხს! შენზედ უკეთ ვინ იცის, რომ არც ისინი ცდებიან ბევრ რამეში, მაგრამ ისიც ხომ იცი შენ ძალიან კარგად, ხომ დარწმუნებული ხარ გულის სიღრმეში,

რომ მე არა ვარ ცუდი ადამიანი. მაშ, მაპატიე ამ ცოდნისათვის ჩემი ცუდი საქციელი, მაპატიე ყველაფერი, რისი პატიებაც არ შეიძლება. რომ ყველა მაქებდეს, შენც მაქებდე და სინამდვილეში კი გრძნობდე, რომ არა ვარ ქების ღირსი. ჯობია, დამეთანხმე _ გაგინებდნენ და არ იყო ამ გინების ღირსი, თუნდაც აკეთებდე ცუდს, ვიდრე გაქებდნენ და ტყუილა; აკეთებდე კარგს და იყო ცუდი კაცი, თვალთმაქცი.

თვითონ იცი, რომ როცა ჩემზე ცუდს ამბობენ, მე სიტყვით მხოლოდ ვუორკეცებ ხოლმე მთქმელს თავის აზრს, რადგან ზიზღს იწვევს ჩემში ყოველგვარი თავის მართლება. ... თუმცა ძნელია თვითეული კალმის მოსმა ჩემთვის ამ სიყალბესა და თვალთმაქცების ხელში, მაგრამ ღვაწლი ორმაგად ძვირფასი იქნება და ყველაზე პირველად მინდა, რომ შენ გაიგო ეს. როგორც ვწერდი, მაპატიე ბევრი რამე.»

ასე რომ, გულის სიღრმეში დატყვევებული ძირითადი ამბავი ამაოდ მოელოდა ამოცნობას.

ჩემი ძმა, როგორც დედასთან მიწერილ ბოლო წერილში წერს, მართლაც, ნაბიჯს არ დგამდა თავისი სახელის რეაბილიტაციისათვის. შეიძლება ითქვას, პირიქითაც კი, დედას თქმის არ იყოს, თითქოს ეშინოდა, ვინმეს უფრო კარგი არ ჰგონებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. როგორც ჩანს, გურამი თვითონაც საოცარი მღელვარებით ადევნებდა თვალს გულის სიღრმეში მიმდინარე პროცესებს. იულონივით (იხ. ტომი 4, «იულონი») მასაც ესროდნენ სახეში ტალახიან ბურთს მთელი ძალით (მე მგონი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ რაღაც მომენტში ის თვითონ აღიქვამდა ასე _ მ.რჩ.), ასხამდნენ წყალს და ხშირად, სულ მთლად ამოწუწული, გარეგნულად მშვიდად, ხმისამოუღებლად ტრიალდებოდა და მიდიოდა.

ამონაწერი დღიურიდან:

«შენ გეწყინა საჯაროზე რაღაც და ბოიწზე... მარტო სიმართლის კი არ გეწყინა, რომელიც შეიძლება არც მოგეჩვენოს მართალი, ისე აბდაუბდათ იყო ნათქვამი. შენ გეწყინა სწორედ ის, რომ ეს ვთქვი მე, გეწყინა იმიტომ, რომ შენ არ მთვლიდი მე ჭკვიანად და შენ გრძნობდი, რომ მე, მიუხედავად შენდამი სიყვარულისა, მიუხედავად სურვილისა მეთქვა სწორი, შურსა ვძიობდი, ამასთანავე, სულ ცოტა, მაგრამ მაინცა ვძიობდი შურს, რადგან შენ მე მაწყენინე და რაც უფრო მეტ პატივსა გცემდი, მით უმეტეს... ბოლო, შურისძიებაზე, შემეძლო არც მეთქვა, მაგრამ იმდენად ცხადად ვხედავ ჩემს ფიქრებს და სხვის შინაგან დამოკიდებულებას მისდამი, რომ, მგონია, სხვებიც ასე არიან და ყოველთვის ვარჩევ თვითონა ვთქვა ხოლმე, რადგან ძირითადი მაინც იმალება, მე მართლა არავისზე არა ვძიობ შურს.»

ამ ამონაწერში, მე მგონი, კარგადა ჩანს მწერლისათვის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი დილემა («შურსა ვძიობდი» _ «მართლა არავისზე არა ვძიობდი შურს» (სხვა იხ. აქვე, გაბნეული დღიურებიდან ამოკრებილ სხვადასხვა მაგალითებში. მაგ.: «გულწრფელი ნაწილი, რომელიც თავისთავადაც არაა გულწრფელი» და სხვ).

გურამში მიდიოდა საოცარი ბრძოლა. როგორც ჩანს, წერის დაწყებისთანავე (წერა დაიწყო 1956 წლის თებერვალ-მარტში) მასში დაძრულმა ორმა ძლიერმა ნაკადმა 1958 წლის ზაფხულისათვის თავის კულმინაციას მიაღწია. ეს იყო, ალბათ, ისე, როგორც დოსტოევსკი წერს თავის ერთ-ერთ რომანში: `Дьявол с Богом борется а поле битвы сердца людей~ (ამონაწერი მწერლის ოდესის დღიურიდან). ეს ბრძოლა დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთი მხრივ, იყო ხალხი, რომელიც მას

«ტორეადორივით» სულ «არენაზე», «სცენაზე» აღაქმევინებდა თავს. მთელი მისი არსება, მისი გმირებივით, სავსე იყო ათასი თვალით, რომლებიც მას გაჩერების საშუალებას არ აძლევდნენ. ის აქეთ-იქით ეხეთქებოდა კედლებს, მისდევდა ხალხი ყიჟინით და ისიც გარბოდა. ძაგანიასავით (იხ. ძაგანიას სიზმარი) ცეცხლის ალზე იხრუკებოდა გაუჩერებლივ, რადგან დამწვარი ხორცი მაშინვე ივსებოდა ახლით და იწყებდა წვას. ეს, როგორც ჩანს, იყო სუფთა ჯოჯოხეთის განცდა. შაშასავით ის, როგორც მგელი, მხოლოდ ცალ ფეხზე დასვენების უფლებას აძლევდა თავს, რომ არ განელებოდა ბრძოლის სურვილი, არ დავიწყებოდა შურისძიების გრძნობა, შეურაცხყოფა, რასაც მას ყოველდღე აყენებდნენ. ამ ხმას მიჰყავდა გურამი დაპირისპირების, გამორჩეულობის, განსაკუთრებულობის, გენიოსობის სურვილამდე. ის იკვებებოდა პატივმოყვარეობის ვნებით. ეს იყო მისი გარეგანი ხმა. და მეორე მხრივ კი, მისი შინაგანი ხმა, «რაღაც» «დიდი და მძიმედ მსუბუქი», თავისუფალი შურისძიებისა და შეურაცხყოფის ვნებისაგან, «ძალიანა ჰგავდა სიკეთეს და კერძოდ არავის არ ეკუთვნოდა», «თვითონ იყო ნამდვილი და არა სჭირდებოდა სხვებისაგან ამის ზედმეტი მტკიცება ან დადასტურება» (გურამის დღიურებიდან). ეს ხმა მიისწრაფოდა «ნეტარი უსახელობისაკენ».

ამონაწერი დღიურიდან:

«რაღაცა ცოდვა მაწვალებს, ეს ცოდვა მაწერინებს და წერა მაძლევს ზურგს, რომ ჩემს თავში გავერკვე, ისეთივე ზურგს, როგორც მომცემდა ათი კაცის მოკვლა. მე წერას უდიდესი მკვლელობის ტოლად მივიჩნევ, თუ უფრო მეტი არა. ჩემთვის ეს საშინელი წამებაა, ყველა დაჯდომა, ყველა სიმართლე, მაგრამ მე ეს მჭირდება იმისათვის, რომ ჩემს თავთან მართლის თქმის უფლება მოვიპოვო _ რად მინდა ეს? ეს მე არ მინდა, ეს უნდათ ჩემს დემონებს, რომლებიც არ მასვენებენ ერთი წამიც და საკმარისია კარგი გავხდე, მაფორიაქებენ, მეუბნებიან, რომ მე უსუსური ვარ და იმიტომა ვარ კეთილი, ჩემს სხეულს სჭირდება დასაბუთება, რომ ეს ტყუილია, რომ მე მაგიტომ არა ვარ კეთილი, რომ რასაც ვაკეთებ, იმის უფლება მაქვს _ ნუთუ ამისათვის კაცი უნდა მოვკლა კიდევ _ მე, უნაზესმა კაცმა, არადა, არ მყოფნის სული სიკეთისათვის, ისევე როგორც სხეული ღონისათვის და სიბოროტისათვის (სიბოროტის სხეული მე სხეულში შემაქვს), თანაც ჩემი სხეული არ არის ბოროტი _ ნორმალური ტანი, ყოველგვარი ბიცებსების გარეშე _ სწორედ ამიტომ სჭირდება მას დასაბუთება, რომ იყოს კეთილი, მას შემდეგ, რაც ის სიბოროტის (დიდი სიბოროტის) უნარს დაამტკიცებს. ოხმე, რა საშინელებაა, შენს თავზე ამყარო ექსპერიმენტები. თან ასე გესმოდეს ყველაფერი და მაინც უძლური იყო და თან ყველა გარეშემო ზერელედ გთვლიდეს, ეს სწორედ იმიტომ, რომ არც ერთი ნამდვილი სიბოროტე არ გიქნია (სხვას თავი დავანებოთ, შენი თავი) და რა მიზიდავს ამ სიბოროტეში! რა ცოდვა აქვს ჩემს სულს ასეთი, რომ ვერ ისვენებს, სად დაკარგა სიკეთის უფლება, რომ ამდენი ტანჯვა სჭირდება მისი უფლების მოსაპოვებლად ... შოლტით უნდა ვრეკავდე ცხენებს დღე და ღამე და ფეხით მივდევდე.»

«გასაგები იყო არა კონკრეტულად რაიმე, არამედ ყველაფერი ერთად» («იულონიდან»).

«ჩახლართული» ვნებები მხოლოდ «მხატვრულ ბუნდოვანებაში იწყებენ სინათლით სუნთქვას» (ამონაწერი გურამის ლექსიდან).

1958 წლის 2 აგვისტოს გურამი იწყებს «შაშას რევოლუციის» წერას, რათა კრატერის სიღრმეებიდან ამოხეთქილ შეუცნობელ, მღვრიე, გავარვარებულ, წამლეკავ ლავას, რამაც «კა და კოს» გულში დაჭრილი მეომარი გურამ-გურამი, წყლის პირას მისული, უწყლოდ მოკლა (იხ. მეოთხე ტომი), სიტყვების თანმიმდევრობაში მოჰფინოს ნათელი («ზოგი წერს იმიტომ, რომ იცის, მე ვწერ იმიტომ, რომ არ ვიცი», დღიურიდან). ის დაჯდა მაგიდასთან შეურაცხყოფითა და შურისძიებით აღსავსე, ისე როგორც სულ სამი კვირის შემდეგ დაჯდა ზემოთ ნახსენები 30, 31 აგვისტოთი დათარიღებული დღიურის დასაწერად («მე შეურაცხყოფამ დამსვა მაგიდასთან», იხ. აქვე). ამ გრძნობამ, როგორც აღვნიშნე, მთლიანად მოიცვა ის იმ პერიოდში. შეურაცხყოფას აყენებდა გურამს ყველაფერი, ისიც კი, რასაც მასთან თითქოს არ ჰქონდა პირდაპირი კავშირი: ულამაზო ტანი, ულამაზო ჭამა (განსაკუთრებით ქალების), ულამაზო საბანაო კოსტიუმი, ჩაცმა-დახურვა, ცხვირის მოხოცვა, სიუხეშე, თავისი დამოკიდებულება სხვების მიმართ, სხვისი დამოკიდებულება მის მიმართ _ თითქმის ყველა წვრილმანი, რაც გარეგანი, მატერიალური სამყაროს კუთვნილებას წარმოადგენდა. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ, როგორც კი გურამი ჩვენი სადარბაზო კარის მექანიკურ ზარს გადაატრიალებდა (არ მახსოვს, ერთხელ თუ რამდენჯერმე, მთავარია, რომ ამ ზარს ყველა ვცნობდით), იმ წუთიდან იმუხტებოდა ყველაფერი. თუმცა, ჩვეულებრივი გაგებით, გურამი იყო საოცრად უპრეტენზიო, არამომთხოვნი ოჯახის წევრი (ამონაწერი 1957 წლის დღიურიდან: «შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს გრძნობას, მერე ვინ? ჩემივე თავმა. მე ვარ, როგორც ყოველთვის, ყველაფერში დამნაშავე. ასე მწამს _ სხვა ვერაფერს დამიშავებს, ვერც მასიამოვნებს, თუ მე არ მინდა.» «მე მივდიოდი მარტოკა სახლში საშინლად შეურაცხყოფილი ჩემი თავისაგან, რომელსაც არ გააჩნია არც ერთი მონაცემი, რომ უფლება ჰქონდეს იყოს მწერალი ან, საერთოდ, მოაზროვნე: არც განათლება, არც გარეგნობა, არც ღონე, არც ღირსების ან პატიოსნების შეგრძნება და, საერთოდ, არაფერი, არც ნიჭი. ერთი სიტყვით, არა აქვს არავითარი ნუგეში, ღირსება, გარდა სოფისტური დასკვნისა, რომ ამ არაღირსებაში არის სწორედ ღირსება, რისიც მე, არ ვიცი, როგორ დავწერო, მჯერა თუ არ მჯერა _ ორივე ამათგანი სწორია»).

მართლაც, შეურაცხყოფის გამომხატველი სემანტიკური ველი ძალიან ვრცელია ამ ნაწარმოებში და აერთიანებს სრულიად სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვებს: «დამცირება,» «დაცინვა», «წყენა,» «ცრემლები,» «ცივი ხმა,» «ჩოლახობა,» «უკიბეოდ» ან «ფანჯრიდან ჩამოკიდებული კიბით შესვლა სახლში,» «შურისძიება», როგორც «შეურაცხყოფის» უშუალო შედეგი, «ფოჩიანი კანფეტები» და სხვ. მარტო ერთ აბზაცში სიტყვა «შეურაცხყოფა» ცხრაჯერ იხმარება. თუმცა, როგორც მთხრობელი ამბობს, თითოეული გმირი «შეურაცხყოფას მხოლოდ საკუთარ შეურაცხყოფას არქმევდა სახელად». განვაგრძობ ციტატას: «ახლა სხვისიც გახდა ის (იგულისხმება «შეურაცხყოფა» _ მ.რჩ.), სხვამაც გაიყო მასთან ერთად; მათ აყენებდნენ შეურაცხყოფას, მას, მის დედასაც, მის ძმასაც, მან იცოდა კიდეც, რომლებსაც ერქვათ ეს სახელი. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ.»

ასე რომ, გურამმა ამ რომანშიც გააგრძელა წერა საკუთარი თავის შესახებ («მე ვწერ ჩემს თავზე, ცოტა სხვაზეც. ამასაც ვიყენებ ჩემი თავის საჩვენებლად»). ის ანგრევდა ჰარმონიულ სხეულს («რომელიც თავისთავადაც არ იყო ბოროტი, ზედმეტი ბიცებსის გარეშე...»), «შეჰყავდა» მასში «სიბოროტის სხეული», თითქოს გადიოდა ბეწვის ხიდზე. ჯერ გადაიქცა ჩოლახა, ცხვირმოგრეხილ შაშად, მერე დიდთავა ძაგანიად. «შაშას რევოლუციიდან» მოყოლებული, მან დაიწყო ნაწარმოების სივრცის დასახლება

გარეგნობით არაორდინარული, ერთმანეთის საპირისპირო გმირებით. მათი გარეგნული დეფორმაცია მიჰყავდა უკიდურესობამდე: აქ იყო წვრილკისერა, დიდთავა იულონი, დევგმირული სხეულის მქონე გოგან_გაგანია, აშა-ქალი, რომლის სიმახინჯე შიშსა და ძრწოლას იწვევდა სოფლელებში, თუნდაც, საკუთარი სხეულის მოძულე, დასახიჩრებული შტოლცი («დღიურიდან») და სხვ. შაშასა და ძაგანიას გარეგნულ დეფორმაციაში, ისე როგორც ძაგანიას ბავშვობის დროინდელ ოთახში, გარე სამყაროს, კარის ნაცვლად, ფანჯრიდან გადაკიდებული კიბით რომ უკავშირდებოდა, აისახა სხვისი თვალი, მხოლოდ გარედან რომ აღიქვამდა მას. ცხოვრებაში ხედავდა მის ჰარმონიულად განვითარებულ სხეულს, «კმაყოფილ ოჯახს», «ზერელე» ბუნებას («რადგან არც ერთი ნამდვილი სიბოროტე არ გამიკეთებია», დღიურიდან), თავისი «ფორმით ჯერ უმწიფარ», «ფუყე» თუ «საოცრად ნიჭიერ», «უაღრესად თანამედროვე» მოთხრობებს, ჰემინგუეის «გადმომმღერებელს», ხულიგნურ თუ რაინდულ ქცევებს, ამას არა აქვს აქ მნიშვნელობა. მთავარი იყო, რომ ის გამუდმებით აღიქვამდა მას გარედან, რაღაცა პარამეტრით მაინც, ნაკლულ კაცად და ამით აყენებდა შეურაცხყოფას.

შეიძლება სადღაც, ქვეტექსტში, ძაგანიას ბინის ფანჯრიდან გადაკიდებულ კიბეში, რომლის საშუალებითაც მისი ოჯახი გარე სამყაროს უკავშირდებოდა, ამოიცნო ჩვენი სარდაფის სართულის სადარბაზო რენინგერის ქუჩაზე. გარეთ გასასვლელად ჩვენ გვჭირდებოდა ხვეული კიბით ზევით ასვლა. ოთახის ფანჯრებიდან ჩანდა მხოლოდ მოსიარულე ხალხის ფეხები. დედა ძალიან ხშირად ოცნებობდა ფანჯრებზე, საიდანაც შეიძლებოდა გადმოხედვა. ალბათ, ასეთ მომენტებში ახსენდებოდა ქუთაისის «ზალის» დიდი ფანჯრები, საკუთარი დედა, ორივე იდაყვით ფანჯრის რაფას დაყდრნობილი, ბაბუას მოლოდინში რომ გადაჰყურებდა ჩვენს წყნარ ქუჩას. ლარსზე, მართალია, ვცხოვრობდით მეორე სართულზე, მაგრამ ფანჯრები არც იქა გვქონდა, ოთახები ცალმხრივად ნათდებოდა შუშაბანდიდან. ფაქტობრივად, დედას ოცნება განუხორციელებელი დარჩა. ზოგად შტრიხებში, ძაგანიას დედის მოუსვენარ, ხმაურიან ბუნებაში და გაუთავებლივ რაღაცისკენ მომწოდებელ სიტყვებში, ისე როგორც მამის პასიურ, ჩუმ ხასიათში, რომელიც, თავის ფიქრებში გართული, თითქოს ამ საერთო ხმაურიანი ურთიერთობების მიღმა ცხოვრობდა, ძაგანიასა და დედის, შაშასა და დედის ურთიერთობებში, შეიძლება ამოიცნო, რა თქმა უნდა, სიღრმეებში გადატანილი და ზოგჯერ კი თავდაყირა დაყენებული, ჩვენი ცხოვრების ნაცნობი მოტივები. საინტერესოა, რომ მოსკოვში გურამთან მიწერილი წერილებიდან მხოლოდ მამას წერილებია მთლიანად თავისუფალი დედაჩემის გავლენისგან. მგონი, არც ერთში არა წერია რაიმე დიპლომისა და გურამის გარეგნული ფორმის შესახებ, რაც დედას განუწყვეტელი ზრუნვის საგანი იყო. მეცნობა ის ძველებური ჭიანაჭამი ფარდაგიც ძაგანიას მოგონებებიდან, პაპაჩვენმა ახალგაზრდობაში ერზერუმიდან რომ ჩამოიტანა. ის, ერთხანობას, მეზობელთან გამავალ კარზე იყო ჩამოკიდებული. ოთახის დალაგების დროს დედა გასწევდა ხოლმე ამ ფარდაგს ტახტთან ერთად. მაშინ ჩანდა აჭედილი კარი, რომელიც მეზობლის უფანჯრო, პატარა, ბნელ ოთახში გადიოდა.

დედაც ხედავდა მხოლოდ გარეგნობას: «თითქოს თუ არა ეს გარეგნობა, საერთოდ არ დაამყარებდნენ მასთან კავშირს» («შაშას რევოლუციიდან»). აქ იყო კიდევ უფრო მეტი: თვითონაც, გურამი, თითქოს მხოლოდ თავისი სხეულით იყო გატაცებული (ამონაწერი დღიურიდან: «სხეულთან ბრძოლა წარმოადგენს ჩემს უპირველეს მოთხოვნილებას»). სხეული სჭირდებოდა მას სხვისი თვალისაგან თავის დასაცავად,

თავისი არსებობის დასამტკიცებლად (ამონაწერი დღიურიდან: «ვიწექი ტახტზე, მთლიანად მოვიკუნტე, თითქმის ადგილს არ ვიჭერდი. არავინ მიყურებდა, სხეული არა მჭირდებოდა»). აქ, ისე როგორც ედიშერის «ни то»-ში, ჩანს თვითონ გურამის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. გურამის ცხოვრებიდან ბევრი დეტალის გახსენება შეიძლება, დაწყებული თითქმის რიტუალური ჩაცმა-დახურვით და დამთავრებული პატარა სარკით, საიდანაც კინკრიხოზე თმის ცვენის არაჩვეულებრივი სისწრაფით წინ მიმავალ პროცესს ადევნებდა თვალს.

გურამმა დაიწყო «შაშას რევოლუციის» წერა და წერის დროს, გეგონება, მართლაც, «საშინელი ექსპერიმენტების» ჩატარებისას, შეურაცხყოფისა და შურისძიების ვნებებს გამოკიდებული, ამ ვნებებს მიღმა, ის «მოულოდნელად» გადააწყდა, უკვე როგორც მის გარეშე არსებულ ფაქტს («зримый факт», გურამი ხელოვნებაზე, დღიურიდან), «გულის სიღრმეში ჩაძირულ «რაღაცა ყველაზე ძვირფასს», რასაც გარეგნობასთან კავშირი არა ჰქონდა. ამ სამყაროში თავისი უადგილობით, უსაგნობით გაკვირვებული, ის იყურებოდა გარეთ და თითქოს შეგუებულიც კი ჩანდა თავის მდგომარეობასთან. ეს იყო შინაგანი ხმა. ნაწარმოების პირველსავე ეპიზოდში ამ ხმის ამოძრავებამ რაღაცა წამს გააშეშა უცხო თვალის გარეშე დარჩენილი შაშა და დაავიწყა მახინჯი სხეული (სიტყვებთან «შაშა მოულოდნელად გამხიარულდა» არეზე გაკეთებულია მუშა ჩანართი: «წამები, როცა გინდა და შეგიძლია მოატყუო შენი თავი ან, უფრო სწორად, ნამდვილ, მგრძნობიარე სიმართლეს ეუბნები შენს თავს და მთლიანად გამოთიშავ სხვების აზრს ამის შესახებ.»). ამ ხმამ იხსნა ძაგანიას გულის სიტყვა «ტყვეობიდან» და ის უეცრად «მიხვდა, რომ უღმერთოდ უნდოდა დალაპარაკებოდა ვინმეს, ხმა გაეცა ქრისტიანულად, ადამიანურად ეთქვა ვინმესათვის, რომ ის დიდი ხანია ცდილობს გაიჩინოს მეგობარი.... « ისე როგორც გურამის ცხოვრებაში, «შაშას რევოლუციის» გმირებიც ხედავენ მხოლოდ ერთმანეთის გარეგნობას, ესმით მხოლოდ ის ხმა, რომელიც გარე სიბრტყეშია, რომელიც განასხვავებს მას სხვისგან, აპირისპირებს მასთან, შეურაცხყოფილია მისგან და არაფერი იცის იმის შესახებ, რაც მსგავსია ამ სხვისა, რომელსაც არ შურს არავისი და არავისგან არ არის შეურაცხყოფილი («მათ არ აინტერესებდათ მისი «მე», არც თავისი «მე». თუმცა ამ «მეზე» ხშირად ლაპარაკობდნენ.» «ამ «მეს» შესახებ მათ არაფერი იციან, თუმცა ეს «მე» მათგან ვისწავლე», დღიურიდან). ამ საერთო დაპირისპირებასა და განსხვავებულობაში, მთხრობელის მიერ კუნძულებივით ამოკრებილ, წამიერად დაძრულ შინაგან სიტყვასთან შედარებით, სხვა ყველაფერი ჩანს გარეგანი, უმნიშვნელო და თავზე მოხვეული. გარეგნობა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სხვისი თვალი. თუ ეს თვალი დასძლიე, მაშინ გრჩება «შენი თავი უცხო დამოკიდებულებების გარეშე» («ვირბენ, სანამ არ დავრჩები მარტო, ერთი ერთზე, უცხო დამოკიდებულებების გარეშე», დღიურიდან). შეურაცხყოფა ზედაპირული გრძნობაა და არა ადამიანის არსებითი თვისება. ამას მოწმობს ისიც, რომ შაშა და ძაგანია ცდილობენ მხედველობის არიდან არ დაკარგონ ერთმანეთი, რათა არ დაავიწყდეთ, არ გაუნელდეთ შურისძიების სურვილი. ზოგჯერ ხელოვნურადაც კი ზრდიან თავის გონებაში ყველაფერს როგორც შეურაცხყოფას, რომ მეტი სიძულვილი დაუგროვდეთ ერთმანეთის მიმართ, რათა ადვილად გადალახონ თავშეკავების ზღვარი.

თუ გურამის სიტყვებს ვირწმუნებთ თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის შესახებ: «მე ვწერ ჩემს თავზე, ცოტა სხვაზეც, სხვას ვიყენებ ჩემი თავის საჩვენებლად», ან კიდევ, რაც მან თავის მეგობარს უთხრა «იულონზე» _ «ამ

ტრაგედიაში ყველა დაიწყებს თავის ძებნას, აქ კი მხოლოდ ერთი გმირია და ის გმირი მე ვარ», შეიძლება იგივე ითქვას «შაშას რევოლუციაზეც»: ამ ნაწარმოებშიც ერთი გმირია, მთხრობელი, მწერლის ალტერ ეგო, რომელიც აერთიანებს ყველა მოქმედ პირს, ხოლო შაშასა და ძაგანიას ცხოვრების სიუჟეტური ხაზი გამოავლენს მწერლის სულიერი განვითარების სხვადასხვა საფეხურს, მის შინაგან სამყაროს. მწერლის ალტერ ეგოს ევალება მხოლოდ მაქსიმალური გულწრფელობით მიჰყვეს თავის შინაგან ხმას (გულწრფელობის სურვილი გურამთან ლოცვასავითაა), რაც საბოლოოდ მიაკვლევინებს იმას, რის შესახებაც ის ერთ-ერთ დღიურში მარტივი სიტყვებით წერს: «საწყალი ის ბიჭი, საწყალი მე.» იქმნება შეგრძნება, რომ მთხრობელი მოგვითხრობს ორი სრულიად განსხვავებული გმირის პარალელურ ბიოგრაფიას (შაშა და ძაგანია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, ისე როგორც, ბუნებრივია, უნდა განსხვავდებოდნენ ადამიანები, რომელთაც ამ ქვეყანაზე სხვადასხვა სივრცე უჭირავთ თავისი სხეულით, ასაკით, საცხოვრებელი ადგილით და სხვ.), მათი მსგავსების, სიღრმისეული ერთიანობის, საერთო ძირის საჩვენებლად და, ამასთანავე, იმ გამრუდებული სარკისა, რომლის წყალობითაც გარეთ გამოდის მხოლოდ მათი განსხვავებულობა, ერთმანეთისაგან საოცარი დაშორება (ამის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს შემდეგი მინაწერიც: «ძაგანიას გაუკვირდა, ისე ჰგავდნენ მათი ოთახები ერთმანეთს». საინტერესოა, აგრეთვე, რომ იმ თავში, რომელსაც მწერალი არქმევს «ძაგანიას წარსულს», რამდენჯერმე, შეცდომით, «ძაგანიას» მაგივრად ის წერს «შაშას». ამავე თავში გაკეთებულია ასეთი მუშა ჩანართი: «და აი, პირიქით, შაშას დედის სახით იმარჯვებს სრულიად კეთილ, უდანაშაულო, შემთხვევით ობლად დარჩენილ იმ ოჯახის შვილზე. ის ოჯახიც თავისთავად არანაკლებ უბედური იყო!!!» იქმნება შეგრძნება, რომ გურამმა, ძაგანიასა და შაშას მსგავსება წერის პროცესში გაიაზრა). შეურაცხყოფითა და შურისძიებით შეპყრობილი თითოეული გმირი, შაშასავით, ამაოდ ელოდება, რომ ამოიცნობენ მასში იმ «რაღაცას», რასაც მის გარეგნობასთან, მის სხეულთან, შაშას შემთხვევაში _ მის ჩოლახობასთან, არავითარი კავშირი არა აქვს.

ასე რომ, შემოქმედებით პროცესში თვალსაჩინო ხდებოდა ის გრძნობები და ურთიერთობები, დროისა და სივრცის მიღმა რომ მყარდება ადამიანებს შორის, რაც სხეულის, ხოლო სულ ერთი წლის შემდეგ დაწერილ «ნათელაში» - ასაკის არარსებითობასაც კი გამოავლენს (ამონაწერი დღიურიდან: «როგორ მივმხვდარიყავი, რომ ნატაშა მე ვარ, როდესაც ნატაშა ქალია!» _ იგულისხმება ნატაშა როსტოვა «ომი და მშვიდობიდან»). «გულში ყველა კარგია», «გულში ყველა მართალია» (დღიურიდან). «მართალი გული» კი ჩაძირული იყო სიღრმეებში. იქიდან გარეთ ხმა არ გამოდიოდა. ამ მოთხრობაშივე წერია იმის შესახებაც, რომ ყველა სხეული ერთნაირად კარგია, ერთნაირად შეუძლია დაიტიოს შინაგანი სიტყვა. «პირიქითაც კი, შეიძლება ის (შაშა _ მ.რჩ.) იმით სჯობდა სხვებს, რომ იყო ჩოლახა და რაც უფრო მეტი ჩოლახა იყო, მით უფრო» («შაშას რევოლუციისათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან). ამას მოწმობს ნაწარმოების ბოლო ეპიზოდიც, როდესაც დაჭრილი ძაგანია კიბეზე აფოფხების დროს ნელა დასწევს თავს და ზედ უხერხული მოძრაობით, საოცარი სინაზით გადაისვამს ხელს. ამ მოფერებით ის აღიარებს, უბრუნდება თავის სხეულს, უკარო ბინას, თავის კუთვნილ სივრცეს ამ სამყაროში.

ამ რომანის ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში შაშას შურისმაძიებელი ხმა ასევე შურისძიებით შეპყრობილ, შეურაცხყოფილ, ურწმუნო («მათ თურმე ღმერთი არა სწამთ», «პირჯვარს არ იწერენ», «ეკლესიაში არ დადიან») რევოლუციონერთა ხმას უერთდება. მაგრამ ის სიუჟეტი, რომელიც შიშისა და სასოწარკვეთილების

დამანგრეველ ემოციებში ჩაფლულ ძაგანიაში დაბადებს სინანულის განცდას, «როგორც წამალს», და აღმა-დაღმა სვლებით სულიერი ფერისცვალებისაკენ წაიყვანს, გამოავლენს ადამიანის პოტენციურ უნარს და, ამდენად, საწინდარია შაშას მომავალი ფერისცვალებისაც.

ამით არის ეს ნაწარმოები ღია და ისე, როგორც გურამის ყველა სხვა ნაწარმოები, იყურება მომავლისაკენ, შაშას ფერისცვალებისაკენ. რეტროსპექტულ სხივსა ჰფენს ის, აგრეთვე, ორი თვით ადრე დაწერილ «კა და კოს», სადაც მწერალი, გულში დაჭრილ მამაც მეომარ გურამ-გურამთან ერთად, ვნებით სავსე, ამაოდ ეძიებდა წყლის წვეთს, რომ ოდნავ მაინც გაგრილებოდა გული, რომელსაც ეკიდა ცეცხლი. «ცეცხლის ცვარად შეცვლა» ხელეწიფებოდა თურმე მხოლოდ მონანიე, წრფელ გულს.

«შაშას რევოლუციამდე», მოსკოვ-ოდესის პერიოდში (1958 წლის იანვრის ბოლოდან ივნისის პირველ რიცხვებამდე), უკვე დაწერილი იყო რამდენიმე მოთხრობა, პიესები, დღიურები, ლექსები. 1958 წლის მაისში ოდესის დღიურში გურამი წერს, რომ მას უკვე თამამად შეუძლია თავის თავს უწოდოს ხელოვანი - «და მერე იცი, ხელოვნება რა არის?». ამ თვეებს მწერლის შემოქმედებაში შეიძლება ესთეტიზმის პერიოდი ვუწოდოთ. 1958 წლის აგვისტოსათვის ჩემი ძმა უკვე გრძნობდა თავს “В легком челноке исскусства” (ბლოკის სიტყვები გურამის ოდესის დღიურიდან), საიმედო, «უშიშარ ადგილას». მან უკვე იცოდა, რომ მიაღწია თავისი ცხოვრების მიზანს: გაიმარჯვა, დაიპყრო «გვერდითა ოთახი» _ გახდა ხელოვანი, მის კუბოს უკვე პატივით ჩამოასვენებდნენ კიბეზე. და აი, სწორედ ამ დროს, როდესაც ის სავსე იყო შემოქმედებითი გეგმებით (ამის დასტური დღიურები და იმ თვეებში შექმნილი ნაწარმოებებია) და, პატივმოყვარეობით შეპყრობილი, მიისწრაფოდა დიდებისა და უკვდავებისაკენ, თითქოს სრულიად მოულოდნელად (შეიძლება, ნაწილობრივ, ეს იყო განსაცდელის შეგრძნება, დაკავშირებული ჩვენი გარე ნათესავის, ბავშვობის მეგობრის გიგი აბაშიძის სასიკვდილო ავადმყოფობასთან), «უზომოდ დამშვიდებული», სინანულით სავსე, ძაგანიასთან ერთად დაჯდა მსაჯულის სკამზე და მაშინვე გადაეშვა მოგონებებში, საიდანაც იღვრებოდა წარსული, როგორც დაუსრულებელი ცოდვების ჯაჭვი (არ შეიწყალა ქვრივ-ობოლი, დაიპყრო მათი ოთახი და გააძევა საკუთარი სახლიდან, მრუშობდა, თვალთმაქცობდა. გაუბედურებული ქვრივის შესაცდენად გული ეშმაკობით და სიბოროტით, ხოლო ბაგე და ენა კი მოთაფლული, ვითომ ქრისტიანული სიყვარულით ჰქონდა სავსე). უკვე ხელოვნების ნიშნით მიმავალი თავისი ცხოვრების გზა გურამმა გაიაზრა როგორც გაუკუღმართებული. ამ გზაზე მას ერთადერთ მამოძრავებელ ძალად, «დემონურად რომ ჰყავდა ის შეპყრობილი», წარმოუდგა შეურაცხყოფისა და შურისძიების ვნებები, რომელნიც მიისწრაფოდნენ ხელოვნების, ანუ «სხვისი («ედიშერ-ბესიკების» _ მ.რჩ.) სივრცის», დასაპყრობად, რადგან წერა არ იყო მისი საქმე, ეს უფრო პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა, თორემ ისე, მშვიდი, წყნარი ცხოვრება ერჩივნა (გურამის სიტყვების პარაფრაზი).

გურამი, ძაგანიას კვალდაკვალ, «უცებ მიხვდა, რომ ის, რაზეც ოცნებობდა, იყო ბოლო და ამ ბოლოს არ ჰქონდა მისთვის არავითარი აზრი. მან დაკარგა საბოლოოდ რწმენა, რომელსაც თავის თავში ზრდიდა, უვლიდა, რომელზედაც ამყარებდა მომავალ სიმშვიდეს, იმედებს და არათუ დაკარგა, არამედ მთელი არსებით შეიჯავრა უცებ.»

«შაშას რევოლუცია» ყველაზე სრული ნაწარმოებია, თუმცა მისი სიღრმისეული აზრი თითქმის ამოუცნობლობამდეა ჩაძირული მასში. აქ, ერთდროულად, მწერლის შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტის (ხელოვნება_ცხოვრების

ურთიერთმიმართების ძიება) ყველა ეტაპია მოცემული. ეს გასაგებსა ხდის, თუ რატომ შეიტანა გურამმა ის მოთხრობების სიაში, კრებულისათვის რომ ადგენდა, და არ შეიტანა უფრო ადრე დაწერილი «ირინა და მე», რომელსაც გარეგნულად უფრო დასრულებული ფორმა ჰქონდა. «შაშას რევოლუცია», ერთი მხრივ, რეტროსპექტულ სხივსა ჰფენს ადრე დაწერილ «პაპა გოგოთურს» (1956 წელი), «უსახელო უფლისციხელს» (1957 წელი), «ირინა და მეს» (1958 წელი) და სხვ., მეორე მხრივ კი, წინასწარმეტყველებს მომავალ შემოქმედებასაც: «იულონი,» «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები», «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა», დაუმთავრებელი ტრაგედია «სურამის ციხე» და სხვ. ამ ნაწარმოებში მან შეძლო ბოლომდე მიჰყოლოდა შინაგან ხმას, წარსულისა და აწმყოს გავლით შესულიყო თავის მომავალში და გაეაზრებინა ისიც, როგორც დიდი ხნის წარსული ამბავი (მწერლის სიტყვების პარაფრაზი ნაწარმოებიდან).

I სიაში _ «70. ძაგანია».

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ «XX საუკუნეში», მარინე რჩეულიშვილისა და ზაალ სამადაშვილის რედაქციით, 1994 წელს კი, იმავე რედაქციით, - ცალკე წიგნად («შაშას რევოლუცია», ბოლოსიტყვაობა მარინე რჩეულიშვილისა).

«გურამ რჩეულიშვილი უკვე მთელი
თვე ცხოვრობდა მოსკოვში...»

მოთხრობა უსათაუროა და უთარიღო. წერია თორმეტფურცლიანი რვეულის ორივე გვერდზე (1_14გვ.). ნაწერია მუქი მელნით, გაკრული, მაგრამ მყარი ხელით. პირველი წინადადების («გურამ რჩეულიშვილი უკვე მთელი თვე ცხოვრობდა მოსკოვში») მიხედვით, ეს ნაწარმოები თავდაპირველად მივიჩნიე დღიურად, რომელიც მოსკოვში თებერვლის თვეში უნდა ყოფილიყო დაწერილი (გურამი მოსკოვში ჩავიდა იანვრის პირველ რიცხვებში). ავტოგრაფებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ასეთ რვეულებში (რვეულის გამოცემის თარიღია 1957 წლის IV კვარტალი) მსგავსი ფერის მელნითა და ხელით დაწერილია 1958 წლის შემოდგომის დღიურები და ჩანაწერები «იულონის» შავი ვარიანტისათვის. შემოდგომამდე ასეთი ტიპის რვეულები არქივში არ ჩანს. მწერლის სახელი და გვარი შავ ხელნაწერებში გვხვდება ხოლმე 1958 წლიდან. ნაწარმოები ან დამთავრებულია, ან არა. ყოველ შემთხვევაში, აქ წყდება ნაწერი (იხ. ტექსტი.).

არ არის გამოქვეყნებული.

თეთრი მონები

არქივში ინახება თორმეტფურცლიანი უყდო რვეულის ორივე გვერდზე მუქი მელნით და ძალიან გაკრული, დაქანებული, მომსხო ასოებით ნაწერი მოთხრობის შავი ვარიანტი(1_12გვ.). მოთხრობა დასათაურებულია. არა აქვს თარიღი. დაწერილია, როგორც ჩანს, ერთ დაჯდომაზე. ვფიქრობ, ხელახალი გადაკითხვისას ჩამატებულია ერთი-ორი წინადადება ასეთივე მელნით, რამდენიმე წინადადება კი ქიმიური ფანქრით. მსგავსი მელნითა და ხელით, მსგავს რვეულში, დაწერილია

«გოგან გაგანია» (იხ. მომდევნო ავტოგრაფის შენიშვნები). მოთხრობის შავი ვარიანტი დაწერილი უნდა იყოს წყალტუბოში ყოფნისას.

«თეთრი მონები» გადათეთრებულია (1-10გვ.) თბილისში ისეთსავე ფურცლებზე, როგორზეც 1959 წლის შემოდგომაზე «ირინა და მეს», «დევების ცეკვის» და ამ პერიოდის სხვა მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფები. მსგავსია ხელწერაც. ეს ხელნაწერი არ არის დასათაურებული, არა აქვს თარიღი. 1959 წლის შემოდგომაზე პატარა, მაგარ ფურცლებზე _ ასეთი ფურცლები, ჩვეულებრივ, ჩანახატებისათვის იხმარება ხოლმე _ გაკეთებულია ჩანაწერი თეთრი ვარიანტისათვის, რაც შემდეგ შეტანილია მოთხრობაში. ჩემ მიერ შემოთავაზებული დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს ეს პატარა ფურცლებიც, რომლებიც მხოლოდ 1959 წლის აგვისტოს შემდეგ ჩნდება არქივში. ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი «დევების ცეკვის» შავი ვარიანტი, ზოგიერთი ჩანაწერი «ჩემი ლიტერატურული შეხედულებებისათვის» და სხვ.

ხელნაწერის პირველ გვერდზე, თაბახის ფურცლის მარჯვენა მხარეს, ფანქრით, ვფიქრობ, მბეჭდავის მიერაა დაწერილი: «II». იმავე ფანქრით, ალბათ, ისევ მბეჭდავის მიერ, ხაზგასმულია რამდენიმე წინადადება. გურამის მიერ გადაშლილია ცალკეული სიტყვები და ერთი-ორი წინადადება. ნაწერია მწერლისათვის ჩვეული ლამაზი ხელით. ავტოგრაფის ბოლო გვერდზე, სავარაუდოა, ისევ მბეჭდავის მიერ, ჩაწერილია ჩვენი სახლის ტელეფონი: «3-24-20», მის ქვემოთ კი _ გურამის სახელი და გვარი.

ჩანაწერი «თეთრი მონების» თეთრი ვარიანტისათვის (გაკეთებული უნდა იყოს თბილისში):

«იქ იდო მისი გემი, ვაჭარი წავიდა მთლიანად და, შეთანხმების თანახმად, დადო შავი გოგო ნაცრისფერთავა ძუძუებით. კაპიტანმა მოასწრო პირველი კარტის დანახვა, რომელიც დუმბას დაუდო და სიმხნევე მიეცა _ თვითონ ამოიღო ტუზი, რამაც უფრო ასწია ხასიათში. დუმბამ შეამჩნია, რომ მისი კარტი იცოდნენ და მაინც არ ამოიღო ხმა, ის ხედავდა ბანკირის თვითეულ მოძრაობას, რადგან სხვა საგნები ბოლისგან დაფარული იყო, დუმბამ იდაყვით ოდნავ ამოსწია ნაგანი. სხვა ვერავინ ხედავდა კარტს. აქტიურად, მათთვის თამაშს არა ჰქონდა არავითარი

დუმბამ მოითხოვა მესამე კარტი. კაპიტანს ეჭირა მარცხენაში მთელი ქაღალდი, მარჯვენათი გასაწოდებლად ამოიღო ქალი _ პირველი ისროლა მონებით ვაჭარმა, რადგან შეასრულა ოცდაერთი და, როგორც მოგებულს, მეტი საფრთხე ელოდა..»

1959 წლის ივლისში გურამი დედას ზღვაზე ატყობინებს, რომ დაწერა ორი მოთხრობა ფოლკნერის სტილში. სავარაუდოა, რომ ერთი მოთხრობა არის «თეთრი მონები». მეორე კი, თუ წერილი თბილისშია დაწერილი, _ «ნათელა», თუ წყალტუბოში, მაშინ შეიძლება გულისხმობდეს «გოგან გაგანიას» (იხ. შენიშვნები შემდეგი მოთხრობისათვის).

მოთხრობა არ არის გამოქვეყნებული.

«შუა რუსთაველის ქუჩაზე ორმეტრიანი ...»

არქივში ინახება ამ უსათაურო და დაუთარიღებელი ნაწარმოების ორი დამოუკიდებელი ვარიანტი (1_12გვ. და 1_10გვ.), აგრეთვე - რამდენიმე ჩანაწერი

მოთხრობისათვის. ჩანაწერები გაკეთებულია მწვანე ფერის მაგარყდიან პატარა ბლოკნოტში, რომელიც ეკუთვნის წყალტუბოს პერიოდს (იხ. მეხუთე ტომი). გადახვევები მოთხრობის ერთ-ერთი ვარიანტის სიუჟეტში და ჩანაწერები, რომელთაც შემოჰყავთ გარკვეულ დროსა და სივრცეში დასახლებული სხვადასხვა მოქმედი პირი, მოწმობენ, რომ გურამი, ისე როგორც «შაშას რევოლუციის» შემთხვევაში, აპირებდა ვრცელი ეპიკური ტილოს შექმნას. ამ ჩანაფიქრზე, სავარაუდოა, გურამმა წერის პროცესშივე თქვა უარი.

ორივე ავტოგრაფი დაწერილია, მართალია, მსგავს, მაგრამ სხვადასხვა ცალხაზიან თორმეტფურცლიან რვეულში. ასეთივე ხელითა და მელნითაა დაწერილი «თეთრი მონები», ერლომთან და დედასთან მიწერილი წერილები (ჩვეულებრივ, გურამი მოთხრობებს წერდა თაბახის ფურცლებზე, დღიურებს კი, უმეტესად, რვეულებსა და პატარა ბლოკნოტებში. ამ მხრივ, ეს ავტოგრაფები წარმოადგენს გამონაკლისს). ორივე ავტოგრაფი დაწერილია მწერლისათვის უჩვეულოდ მომსხო, მომრგვალო (ასეთი ხელი ჰქონდა გურამის დედას), თავდაპირველად გამოყვანილი, ხოლო შემდეგ ძალიან გაკრული, ნაჩქარევი, შიგადაშიგ გაურკვეველი ხელით და, როგორცა ჩანს, პირამდე სავსე მუდმივი კალმით. სადღაც გაქრა ადრეული ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი «ლ», «რ», «დ» და სხვა ასოების გურამისეული კონფიგურაცია. ავტოგრაფებზე დაკვირვება მოწმობს, რომ ორივე ვარიანტი ერთსა და იმავე დღეს თუ არა, ერთმანეთის მიყოლებით მაინც არის დაწერილი.

სავარაუდოა, რომ «გოგან გაგანია» (პირობითი სათაური მთავარი გმირის სახელისა და გვარის მიხედვითაა მიცემული), ისე როგორც «თეთრი მონები», შექმნილია 1959 წლის ივლისის პირველ რიცხვებში წყალტუბოში, სადაც გურამი «აუტანელი რევმატიული ტკივილების» გამო იმყოფებოდა (იხ. ტომი 4, შენიშვნები «იულონისათვის»). ივლისის შუა რიცხვებში ის წამოვიდა წყალტუბოდან ანდრო ჭიჭინაძის დაკრძალვაზე (ანდრო ჭიჭინაძე, ჩიჩიკა _ გვარიდან ნაწარმოები მეტსახელი _ გურამის მეგობარი, ულამაზესი ვაჟკაცი, რომლის ფიზიკური და სულიერი სილამაზე მთელ თბილისს და, მათ შორის, გურამსაც განსაკუთრებით იზიდავდა. ერთხელ გურამმა თქვა: ჩიჩიკა ერთადერთია, ვის გვერდითაც მავიწყდება ჩემი გარეგნობა და თავი მასავით სრულყოფილი მგონიაო. ოდესიდან მოწერილი წერილიდან: «არ ვიცი, მითქვამს შენთვის თუ არა, რომ მაღალ კაცთან გვერდზე დგომას ვერ ვიტან. ყოველთვის გავურბივარ, რამდენადაც შეიძლება, სიახლოვეს. მაგრამ არის სიმაღლე, რომელსაც ვერ გრძნობ. ასეთია ჩიჩიკა. როცა მასთან ვარ, ის მთლიანად გადმოდის ჩემში და მეც ვხდები ისეთივე ლამაზი და მაღალი, როგორიც არის ის...» ამონაწერი ოდესის დღიურიდან: «ახლა მივხვდი _ ალბათ, როგორც ჩიჩიკას ყურებისას ისეთივე და უფრო ლამაზი მგონია თავი, ასევე ტოლსტოის კითხვისას, და იმიტომ ვბედავ წერას.» 1959 წლის ივლისში ანდრო ჭიჭინაძე შეიქნა უბედური შემთხვევის მსხვერპლი: გვიან ღამე, წვეულებიდან დაბრუნებისას, მელიქიშვილის ქუჩის გადაკვეთის დროს, თითქმის თავის სახლთან დაეჯახა მანქანა).

მოთხრობის პირველი ვარიანტის დასაწყისში აღნიშნულია პირველი თავი: «I». ამ ნაწილის დამთავრების შემდეგ კი მეორე _ «II». მეორე ნაწილი იწყება ქიმიური ფანქრით დაწერილი სიტყვებით: «სოფელი: თბილისელებს უნდოდათ მთაწმინდისთვის, ოღონდ ნება არ მივეცით.» ეს წინადადება, ვფიქრობ, დაწერისთანავე უნდა იყოს გადაშლილი მწერლის მიერ. მეორე გვერდზე იმავე ქიმიური ფანქრით წერია ლექსი: «იმ მიუწვდომელ მშვენიერებას...» (დაბეჭდილი

იქნება მეოთხე ტომში). ამავე გვერდზე ჩაწერილია კიდევ პატარა ერთსტროფიანი ლექსი: «მთის ფერდაზე, იქ, სადაც ხეობა ...» (დაიბეჭდება მეოთხე ტომში).

მეორე ვარიანტის ბოლო გვერდზე რუსულ ენაზე გაკეთებულია ორი ჩანაწერი:

«Не любить, не презирать
только стоять и чувствовать это смешение
на арену на сцену»
(«იულონისათვის»)
«В роли Ж
- проста как жизнь –
- А что мне жизнь!!!»

შენიშვნები მეორე ვარიანტის არეზე:

«საქმე იყო სიმთვრალეში. ღონეში. არ იცოდნენ გოგანის დიდი სურვილი.»

«ნამთვრალევი იწვევს Nihil-ს». თავი ბრუვდება, აზრზე მოდიხარ, გაკეთება არ შეგიძლია. აღარაფერი აღარ გინდა».

ერთ რვეულს მამაჩემის ხელით აწერია: «გოგან გაგანიას შესახებ», მეორეს კი ჩემი ხელით _ «გოგან გაგანია.»

მწვანე ბლოკნოტში გაკეთებული ჩანაწერები «გოგან გაგანიასათვის»:

«გოგანი კიბეებზე
0. სათითაოდ გადმოსვა ყველა უკან სხვენის კარებთან,
2. მანამდე: აკოცა უცხოელ ქალს ტუჩებში, რომელიც ბავშვივით აიყვანა ხელში და საჩქმეტად ძიძავას და პამპას გადასცა.
3. შევარდა თუ არა გოგანი, მაშინ მიაწყდნენ ესენი კარებს.
4. გოგანმა კარი გაუღო და მაშინ დაუწყო ბჭობა.
5. ბჭობა:
0. ჩასვლა და რამის დიდის გაკეთება მოუნდა და უცებ შეიპყრო უცნაურმა Nihil-მა და გადაწყვიტა ის, რაც იქ ჩასვლით უნდა გაეკეთებინა, აქედან ერთბაშად გადავარდნით აეღო.

_ რადგან სულ ერთი იყო მისთვის გზა და ყველა გზა, სადაც დიდს გააკეთებდა, და ის არავინ არ იცის, რომელი უფრო უარესია _ გადავარდნა, როცა ძალის ზენიტში ხარ თუ არა.

_ ეს მოუვიდა პატარა სოფლის გოგონებისგან, რომელთაც ის ძალიან დიდი ეგონათ და, რაც თვითონ იგრძნო, რომ არ იყო. _ კიდევ დიდი მოქმედება.

———— ვაჭრობა სადგურზე
ბაზარი: ძაგანია ხვდება გოგანის მამას
მამა ვაჭრობს ძვირად, ძაგანიას ნახევარი უნდა მარტო.

_ არ მაქვს.
_ აფსუს, გოგანი.
_ რავა!
_ მოკვდა და იმ საქმეზე ვარ.
_ მართლა მოკვდა?
_ დეიმსხვრა.
_ მოიტეხავდა აბა რამეს.

_ აღარ არის გოგანი.

_ აუჰ!

სოფლის მეორე ბოლოს:

_ აუჰ!

_ აუჰ! - აწივლდა მთელი ბაზარი და ეცა ძიძავას.

_ ამან მეიპარა.

_ ამან, ამან… ვაი ჩემს თავს.

ეცნენ ძაგანიას.

_ რას ერჩოდი ჩემს ბოვშვს.

0. ძაგანიას კოჭლი დედა თავწაკრული ისე მიდიოდა, რომ მეფეს ჰგავდა თავისი ამალით.

სოფელი _ სამეგრელო, გურიის საზღვარი _ დედა იყო გურული, ხევს გაღმიდან, კესარიოსა საფლავზე: გრძნობდა, რომ, ქალაქელობის მიუხედავად, იმასავით ვერ იტანდა გონებას მისი შვილი, რომელიც არც სჭირდებოდა და რომ მასავით ამაყი და დიდი სულის პატრონი იყო».

_____

«ისინი, ვინც ქვევით იდგნენ, ერთობოდნენ იმით, ის კი ვერა მათით. ეს ჩუმი გონებრივი უპირატესობა აგიჟებდა მას, მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ეს ეშმაკობა არ არის გონება, რომ ის იმიტომ არ მოხვდა სახურავზე რომ უჭკუოა და გიჟია, რომ, თუ არ დაუჯერებდნენ, ის ისევე გადააბრუნებდა ქალაქის მანქანას. იმან იგრძნო, რომ არ კმარა მარტო ღონე შენი ძალის დასამტკიცებლად. და მოუნდა სხვა რამეც, რთული. ეს იყო უფრო უბრალო და დიდებული, უშიშარი, პირდაპირ გამოსული მისი დიდი ბუნებიდან, და გადახტა».

_____

«სადგურის უფროსი არის რაჭველი»

_____

«გოგანმა თავი იგრძნო გმირად აქ, ამ სიმაღლეზე, მაგრამ დაინახა თუ არა (...) ძაგანიამ გამოერკვა. ახლა თავი იგრძნო მასხრად აგდებულად, იმიტომ რომ მაღლა ავიდა და გამოასწორა. გადახტა. ბოლო მომენტი გადახტომის არის ნამდვილი Nihil.»

_____

«0. აღარ დაეტია თავის ძალაში და სადღაც გაჰკრა გონების სურვილმა, რომელზეც თავისი დიდბუნებოვნების გამო პრეტენზია არა ჰქონდა. ახლა მოუნდა გაგება, რატომ იდგა ყველა ქვევით, როცა ეს გიჟობდა, მოუნდა გაეგო, უცებ რომ გაეზარდა თავისი ძალა ამ ცოდნით და გადაეშვა თავისი მწვერვალიდან უფსკრულში, სადაც ვისაც უცდია ჩასვლა, აღარავინ ამოსულა.»

_____

«გოგანი იმ ასაკში იყო, რომ ძალის მომატება აღარ შეეძლო _ ამოწურა თავისი ძალა _ სხვა საქმე კი აქ აღარაფერი ჰქონდა _ ახლა მას უნდოდა გამხდარიყო სხვებივით «ჭკვიანი», «იმათნაირი,» ვინც აქ არ აძვრებოდა და არ ააყირავებდა მანქანას, და ის გადახტა? в неизестное для него царство разума, куда умнейшие люди лазили, но не находили кроме (...) что они знают то, что ничего не знают и доживали спокойно свой век, но он не мог довольствоваться этим, ибо он был свежейшим и сильнейшим самородком и прыгнул головой и признал побеждённым и несмотря на то, что он прыгнул в бездно таким диким ликованием чувства победы.

ბოლო მომენტი იყო Nihil. ჰაერში კი არაფერი არ უგრძვნია, გარდა ისევ გადავარდნის წერტილიდან გაღვიძებული ვარდნის ძალის მთელი სიდიადის და მძაფრი განცდის უბადლოების შეგრძნებისა, რამაც აიძულა ნაკუწებად დაშლილი კაცი ისევ წამოვარდნილიყო ფეხზე და დაეღრიალა _ აუ, გოგან!

მისი სხეული ყოველგვარი ტრაბახის გარეშე ამაყობდა თავისი თავით _ როგორც Самородок.

0. კესარიოსა _ კიოდა მთელი ღამე, როგორც ბრძოლაწაგებული მთავარსარდალი.»

მომყავს «გოგან გაგანიას», ჩემი ვარაუდით, პირველად დაწერილი ვარიანტი:

«შუა რუსთაველის ქუჩაზე ორმეტრიანი მთვრალი ფალავანი გოგან გაგანია მოდიოდა გაშლილი ხელებით.

_ ჰა, ჰაიტ, _ იძახდა გოგანი.

_ ჰოო, ჰოუ, _ აყოლებდა ხმას ძუმბა.

_ პია, პა, აპ, _ კიოდა პამპა.

დალეულ კამპანიას უკან მისდევდა რვა პოლიციელი და ხალხის მთელი ხროვა. უცებ სხარტად დაიგრიხა ამხელა კაცი, ტანით მარცხნივ გადაუხვია და წინ გადაუდგა ძლივს ერთ მეტრზე დამუხრუჭებულ მანქანას, წინა საფარს სტაცა თათები, წელში მოიხარა, მანქანის კარებამდე გადაიშალნენ ზედ დადებული ნიკაპიდან მისი, გულამდე ჩამოშლილი, წვერები.

შოფერმა თავი საჭის ქვეშ ჩაყო, ისე შეაბრიალა გაბურძგნული წვერებიდან შავმა, სიმძიმის აწევისაგან დასისხლიანებულმა თვალებმა.

ხალხი გაინაბა, აქეთ-იქიდან პატარა ძუძა და პამპა, თითის წვერებზე აწეულები, ოფლში გაწუწულები, ამ სურვილით შველოდნენ გოგანს. ძლივს მოასწრო შოფერმა გადმოხტომა, რომ მანქანა ჰაერში გასწორდა, უკანა თვლებზე დადგა, კიდევ ერთხელ გადატრიალდა, ისევ გადატრიალდა და თვლებზე დადგა.

_ ვარ თუ არა გოგანი! _ დაიღრიალა გოგანმა და ყურებამდე გაიღიმა.

_ უუჰჰ, _ იხუვლა ხალხმა.

_ არის თუ არა გოგანი! _ იწივლა ძუძამ.

_ აუტ, გოგან! _ იკივლა ახმახმა.

_ ბატონო გაგანია, გეყოფათ ეს ამბავი, _ დაიძახა ერთმა მილიციელმა, მეორეს თვალი უყო, იმან სხვებს და წავიდნენ გოგანისაკენ.

_ გოგან! _ უჩურჩულა პამპამ.

ძუძამ ვეღარ მოასწრო ჩურჩული და ბარძაყზე ქვევიდან უჩქმიტა, როგორც პატარა კაცებმა იციან, მწვავედ და დასამჩნევად. უცებ მოიხედა ამხელა კაცმა უკან, სულ გაეღო ტუჩები მილიციელების დანახვაზე, ორ ცალს ხელი სტაცა ქამრებში, მკლავებზე შეიყარა:

_ საით წაგიყვანოთ, კაცო? _ ჰკითხა ხარხარით.

_ ა, საით კასო? _ მიუბრუნდა ძუძაც დაცინვით გვერდში ამომდგარ სხვა მილიციელებს და დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ პირზე ააფარეს ხელი, გადაუგრიხეს მკლავები და ჩუმად გააპარეს უკან. გაიწია პამპა გოგანისაკენ საჩქმეტად, მაგრამ იმასაც გასწვდნენ.

_ აუ, გოგან! - ძლივს მოასწრო ხელის დაფარებამდე პამპამ. გოგანმა მაღლავე გაუშვა ხელი მილიციელებს, რომლებიც პარტყუნით დაცვივდნენ ქვაფენილზე, და მტევნები თავისკენ წაიღო წასაშენად.

_ ახლავე, ბატონო გოგან, _ იღრიალეს პოლიციელებმა და ხელი გაუშვეს ორივეს. ბავშვივით მოადგა ცრემლი გოგანს, წინ გასწია ორივე ხელი და მისკენ გამოქანებული ორივე დაბალი _ ერთი მსუქანი და ერთი გამხდარი _ ძმაკაცი ხელში აიტაცა.

_ აუუ! _ ღრიალებდა ხალხი. გოგანმა მაღლა ასწია ორივენი.

_ აუუ! _ ღრიალებდა ხალხი.

_ ჩვენს ფალავანს, ჩვენს მოჭიდავეს, ჩვენს ჩემპიონს, გოგანს, სიცოცხლე. (ველარ გაუძლო გულმა, იმხელა გაეზარდა _ გული უფრო დიდი გაეზარდა. იდგა გოგანი. სოფელი, დედ-მამა.) ხალხისგან, ღვინისაგან და თავისი ძალისაგან გაოგნებული გოგანი, თავისი ორი ძმაკაცით ხელში, გადმოვიდა შუა ქუჩიდან და ხალხის მთელი არაოს თანხლებით დაიძრა «ზარია ვოსტოკას» რედაქციის კარებისაკენ.

ერთმანეთს აწყდებოდა პოდიეზდში ხალხი. ქუჩა ველარ იტევდა მოსულებს.

_ ზევიდან უნდა ველაპარაკო ჩემს ხალხს! _ წამოიძახა გოგანმა. ისინი, ვინც ძალიან უკან დარჩა, შემობრუნდნენ და გასავალი ჩაკეტეს. აივსო ქვაფენილი, აივსო შუა ქუჩა. დადგნენ მანქანები, აივსო მოპირდაპირე ქვაფენილი, დადგნენ ეტლები, იყურებოდნენ სახურავისკენ _ იქითკენ, საიდანაც გოგანი უნდა გამოსულიყო _ მეეტლეები, შოფრები, გათხოვილი ქალები, გასათხოვარი ქალები, ისინი, ვისაც სახლში ეჩქარებოდა და ისინი, ვისაც არაფერი საქმე არა ჰქონდა. საშინელი ხმაური, ჩოჩქოლი იდგა ქუჩაში, ახლად მოსულებს უნდოდათ გაეგოთ, რაში იყო საქმე, ძველები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა ეთქვათ, რომ არ გამოჰპარვოდათ სახურავზე გოგანის გამოჩენა და აი, უცებ ის, ვინც იცოდა რაში იყო საქმე და ის, ვინც არ იცოდა, რაში იყო საქმე, ერთნაირად გაყუჩდა. სახურავის კიდეზე იდგა ამოზრდილი თვითონ შენობაზე, დიდი, მკერდამდე გაშლილი წვერებით, მაღლა და განზე გაწეული ხელებით, ცნობილი ფალავანი, მძვინვარე ვაჟკაცობის განსახიერება გოგან გაგანია. ხალხი ერთმანეთს მიაწყდა და მთელმა ქუჩამ უკან დაიხია, რიდისა და შიშის ელფერმა გადაჰკრა ყველას და გაიმარჯვა ცნობისმოყვარეობამ, ხალხმა თავისდაშეუმჩნევლად დააღო პირი.

_ ძუძავ, ბიჭო! _ ბოხად, გულუბრყვილოდ და აბსოლუტურად სხვა ტონით, ვიდრე ხალხს ეგონა, თქვა გოგანმა.

_ ჰო, გოგან! - ამოსძახა ძუძამ.

_ არი, ბიჭო, ვინმე, ჩემი მომრევი ამ ქვეყანაზე?

_ აჰ, _ იკივლა პამპამ.

_ რავა? _ იკითხა ამხელა კაცმა.

_ აჰ! _ იწივლა ძუძამ.

_ მასეც ვიცოდი, _ თქვა გოგანმა, რამდენიც შეეძლო შეისუნთქა და ხალხს ჩახედა.

_ <u>ა, ხედავთ ხალხს? იმათ ტოლა მინდა ვიყო</u> (ავტოგრაფში გადაშლილია - მ. რჩ.)

_ რავა გეკადრება, გოგან! _ ახლოს მივიდა პამპა.

_ ჰა?! - შეიცხადა ძუძამ.

_ ვითომ ამ სიმაღლე ვარ მე?

_ აბა!

_ ერთი უნდა ჩავხტე, დავეზომო და ისევ ამოვხტები უკან.

_ დეიმტვრევი, გოგან, კაცო.

_ მე?

_ რავა გეკადრება, პამპა, მაგის თქმა! _ წაიწრიპინა გოგანის გულის მოსაგებად ძუძამ.

_ ა, აგერ ნახავ, თუ არ დეიმტვრევა.

_ ვინ, გოგანი?! _ ისევ იწივლა ძუძამ.

_ შეიძლება არც კი დეიმტვრეს, _ უკან დაიხია პამპამ.

გოგანი იდგა სახურავის კიდეზე, გულზე დაყრილი წვერებით, გვერდზე და მაღლა გაშლილი ხელებით. ხალხისაგან, ღვინისაგან და თავისი ძალისაგან გაოგნებული. იდგა და იწვოდა იმისი ტანი, ხალხის თავზე გადაფრენის, იმათ ფეხებთან დავარდნის და ისევ გამართვის ჟინით. მან იცოდა, მისი ყოველი კუნთი გრძნობდა თავის ძალას. ქვევით ყურებისაგან დაღლილმა თვალებმა დაკარგეს მანძილის შეგრძნება. ამ წამში მას მოეჩვენა, რომ სულ ერთი ნაბიჯი იყო საკმარისი ქვევითამდე, რომ ისევ ისე ( ) შუა ქუჩის თავში და გოგანმა გაიცინა, დაირახრახა.

_ ჰო, გოგან! _ ეშმაკივით შეუჩუჩხურა ძუძამ, რომელსაც არყისაგან საერთოდ არეული ჰქონდა ჭკუა და ვერც კი წარმოედგინა, თუ მის დევ ძმაკაცს შეიძლებოდა რამე მარცხი მოსვლოდა, რომელსაც გადაედო გოგანის ტანში ვეღარდატევა და ისეთი სურვილი, რომელიც მხოლოდ პირუტყვული მიმქრალი ინსტინქტით იგრძნო ძუძამ და რომელიც ახრჩობდა ამ წამში გოგანის მთელ სხეულს.

_ აუჰ! _ დაიძახა პამპამ, _ დეიმტვრა კაცი. ძლივს შეიკავა თავი, რომ სახურავიდან გადაშვებულ გოგანს არ გადაჰყოლოდა. ერთი წამით ჩამორჩა აფხაზს მეგრელი, _ ორივე ხედავდა იმწამს, როცა მიფრინავდა დევკაცი, ორივემ დაინახა გაშლილი ხალხი, ტიტველა ტროტუარი, რომლის შუაშიც დაეცა გოგანი, ისევ წამოდგა, გაიმართა, ხელგაშლილმა აიხედა მაღლა და ზედ წამოსულმა ხალხის წრემ ორი, სახურავზე დარჩენილი, ძმაკაცისგან დაფარა მისი სხეული.

_ ა, ხო გითხარით, ფეხზე დადგა! _ ნიშნის მოგებით თქვა ძუძამ. <u>მეშვიდე ფურცელი:</u>

_ ეგ, მე არ ველოდი თუ?! _ შეესიტყვა პამპა. _ მოდი, ახლა ჩვენც გადავხტეთ.

_ აჰ, არ მითხრა. ჩვენ სად შეგვიძლია! ის კი არა, მაგხელა კაცი იყო და ძლივს ჩააღწია. ჯერ ამდენი ხანი მიფრინავდა, აღარ გახსოვს?! «ჩაასწრო კი?!» _ უცებ გაუელვა უფრო დამყოლ და ეშმაკ ძუძას და პამპას უთხრა:

_ ყოჩაღ, ხო იცი, შენ ძალიან გული მიეცი, ორმაგი ვაჟკაცი გახდა ახლა, ხო იცი.

_ აბა, აბა! - გამკვირცხლდა მსუქანი და კინაღამ ცხვირი არ მიალეწა მომტვრეულ კიბეზე ფეხაცდენილმა. ამან თითქოს აზრზე მოიყვანა და იმანაც გაიფიქრა ბოლო რამდენიმე წუთში გამოფხიზლებული გონებით: რა სასწაული უნდა ყოფილიყო, რომ აქედან გადავარდნილი კაცი მთელი დარჩენილიყო. ორივე ძმაკაცი ახლა უკვე ჩუმად, ერთმანეთის გადაბრალების სურვილდაკარგულები, მირბოდნენ კიბეებზე: წინ ძუძა, უკან პამპა. ორივე ჩუმად ბუტბუტებდა ლოცვას, რომ ცოცხალი ენახათ გოგანი. გამოიხედავდა მარდი მეგრელი უკან, შეხედავდა წინ გაქცეულს მრგვალი აფხაზი და ცრემლები აწვებოდა ორივეს, ახლა უკვე ორივემ ნამდვილად იცოდა, რომ გაგანიასთან ერთად სამივემ რაღაცა დიდი სისულელე გააკეთა, გამოუსწორებელი და მათი სატირალი. ძაძა მზად იყო გადაჰხვეოდა პამპას ტირილით და საერთოდ გარეთ აღარ გასულიყო, უცებ მიაწყდნენ ისინი ცარიელა პოდიეზდის კარებს. ყოველ შემთხვევისთვის შედგა ამ წამში თავისდაუნებურად ეშმაკი მეგრელი, წინ გაუშვა ქუჩაში კიბეებიდან პირდაპირ დაგორებული აფხაზი და უკან მიჰყვა.»

ამ მოთხრობის დათარიღებისათვის, ისე როგორც მისი სიღრმისეული აზრის გასაგებად, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ერლომ ახვლედიანისადმი მიწერილი, ოღონდ შემდეგ გაუგზავნელი, წერილი (სრული სახით დაიბეჭდება მეხუთე ტომში). წერილი დაწერილია წყალტუბოში 1959 წლის ივლისის პირველ რიცხვებში, მაშინ, როდესაც იწერებოდა «გოგან გაგანია».

ამონაწერები წერილიდან:

« ..... ძალიან გევრს ნიშნავს ჩემთვის ის ფაქტი, რომ გავჩნდი. მისია ამ ამბისა მდგომარეობს იმაში, რომ სხვებისათვისაც იმდენივეს ნიშნავდეს «ეს ფაქტი». მთელი ეს ოცდახუთი წელი საკმარისია იმისათვის, რომ კაცმა, ვისაც აქვს თავმოყვარეობა და ჩემდენი სურვილები, მშვიდი სინდისით მოიკლას თავი. ეს არის უაზრო, უსარგებლო ბრძოლა კვერცხის ნაჭუჭში მოქცეული წიწილისა, რომელსაც, ათასნაირად მომზადებულს გამოსაჩეკად, ვერაფრით ვერ გამოუმტვრევია გამოსასვლელი. მე არ ვეძებ სხვაში ჩემს უმწეობას, მაგრამ «დედის» ვალია (ობიექტური ვალი), სადღაც ოდნავ შეუთხელოს ნაჭუჭს კედელი, მაგრამ ის საზოგადოება, წყობა, ამხანაგები, თვითონ ოჯახი ყველაზე მეტად და ჩემი ბუნებრივი წმინდად ლიტერატურულ-პოეტური მონაცემები მხოლოდ იმის ცდაში არიან როგორმე გაასქელონ ეს ნაჭუჭი, საერთოდ, გამოუმტვრევლობამდე ისე, რომ კაკუნის ხმაც კი არ გამოდიოდეს იქიდან.

_ ჰო, უზომოდ სქელია ბაკანი გასამტვრევად. უაზროდ და ნაცრისფრად სქელია, ისე რომ არც კი იცი, იმის რომელ ადგილს შეუტიო. მე კი ძალიან დიდი ვარ იმისთვის, რომ შიგ დავეტიო და ასე ვორთქლდები არყისაგან, როცა ვსვამ და ნერვიული რევმატიზმებისაგან, როცა სასმელის დალევა აღარ შემიძლია. ლიტერატურა კი მხოლოდ ონანიზმია იმ დიდი სურვილისა, რაც ღმერთმა გაჩენის პოტენციაში მომცა _ სხვა არის ფილოსოფია ან დოკუმენტური ნაწერები _ ეს პირდაპირი გზაა ძალაუფლებისაკენ, დიდი პოლიტიკისაკენ, რომლის ნიჭიც ყველაზე ნაკლებად მაქვს _ უკუპროპორციულად სურვილთან. როგორც ხედავ, საკუთარი ნიჭიც კი ჩემი წინააღმდეგია.

მაგრამ მე, ერლომ, ადამიანი ვარ, მასში დემონივით ჩასახული წინ ვარდნის სურვილით, რომელსაც მე (ისევე როგორც ყველა) თავის ბრჭყალებში ვყავარ მოქცეული. მხოლოდ ეს თვისება კაცობრიობის პოტენციისა არ მაძლევს უფლებას, აღარ ვიყო საერთოდ ან აღარ ვიყო ისეთი, როგორიცა ვარ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიქცევი ცოცხალ ლეშად და ფიზიკური სიკვდილის გარეშე მკვდრად, ამას ეძახის ჭკვიანი ხალხი სიმშვიდესა და დარბაისლობას, მაგრამ მე არ მინდა, მეზიზღება ერთიცა და მეორეც, მე ღამე ძილიც კი არ მინდა. მე მუშაობაც, წერაც კი არ მინდა _ მე მარტო ის მინდა, ვიდგე და უკან ამოუსუნთქავად ვისუნთქავდე მთელ ჰაერს _ შენ გესმის, რომ ეს ეგოიზმი ეგოიზმზე მაღლა დგას, რადგან მე იმაში, რასაც ეგოისტობას ეძახიან, არასოდეს არ გამიმჟღავნებია ეს თვისება.

_ რა აიძულებს გიჟს ასეთი თაყვანი სცეს ბონაპარტეს _ მხოლოდ ის იდეალური კაცობრიობის დემონური წინ ვარდნის სურვილის აბსოლუტური და გენიალური გამოხატულება, რომელმაც მთელი მსოფლიოდან მოიყარა თავი ერთ ადამიანში _ ამ კატეგორიას ეკუთვნის მთელი კაროვის ბაღი ფეხბურთელებიან-ხორტისტებიანად _ ესენი არიან თვითონ პატარა ნაპოლეონები, რომლებიც ჯერ ისევ არიან ჭკვიანები იმისთვის, რომ შეეძლოთ იყვნენ გულწრფელნი და ეშინიათ უკლებლივ იმ ადამიანისა, რომელიც მათ სურვილში მათზე განუზომლად ძლიერია. ასეთი გიჟური, ავადმყოფური სურვილები, სხვაზე კარგად გესმოდეს ფეხბურთი ან დოსტოევსკი _ არ ნიშნავს ერთის ან მეორის სიყვარულს, ყოველ შემთხვევაში, ის სულ მთლად მიყრუებულია და ექვემდებარება მხოლოდ სურვილს, გესმოდეს _ იყო სხვაზე მეტი. ამათ ნაპოლეონის ჩრდილისაც კი ეშინიათ, ამ ჩრდილის ეშინოდა ტოლსტოისაც, დოსტოევსკისაც, რადგან ეს ორი უდიდესი ტალანტის, «გულახდილობის» მქონე ადამიანი ქვეშეცნეულად ხედავდა, რომ მათ საკუთარს ზღვარი ედებათ იქ, სადაც ვლინდება ნაპოლეონი, რომ მთელი მათი შემოქმედება სხვა არაფერია, გარდა იმ

ვნებისა, რაც პირდაპირი გზით წვავდა ნაპოლეონს (აიღე «დიდი ინკვიზიტორი» ძმები კარამაზოვებიდან, თავისი ხალხთა და გონებათა გაერთიანების სურვილებით).

ამიტომ აღდგა ორივე ნაპოლეონის სალანძღავად, განსაკუთრებულ სიმაღლეს ამ საქმეში მიაღწია ტოლსტოიმ, _ იეზუიტური სიამოვნება განიცადა მის ლანძღვაში ამ უზარმაზარმა კაცმა, რომელიც თვითონ мучительно наслаждался своим величием и не смог вынести своего ничтожества перед всевышним, რომელსაც აშკარად სიკეთის გაირაღით გამოუცხადა ბრძოლა _ ტოლსტოი სიკეთეში, დიდებულებოვნებაში გაეჯიბრა ღმერთს (აქამდე არასოდეს არ მისულა ნაპოლეონი _ რადგან ტოლსტოის ჰქონდა ენა, რომელიც უფრო ადვილად იპყრობს მთელ მსოფლიოს, ვიდრე იარაღი) და გამოიწვია მხოლოდ მისი დაცინვა, ამიტომ, თავის მხრივ, он начал издеваться с некоторым легкомыслием над Наполеоном. Точно также как издеваются люди над собственными недостатками не углубляясь в них.

აი, ნამდვილი მოწოდება დიდი ადამიანებისა, შიგ ჩასახული განხორციელებული გათანაბრებისა და ისევ წინ გავარდნის სურვილით, უფრო დიდები _ ტოლსტოი, ნაპოლეონი მიდიან ღმერთისაკენ გასათანაბრებლად, მაგრამ ხედავენ, რომ მის იქით გზა არ არის და კვდებიან თავის მოუკვლელად _ თავს იკლავენ ისინი, რომელთათვისაც ღმერთისაკენ გზაზე წინ დევს მისაღწევად ტოლსტოის, ნაპოლეონის გზები...

ის (ტოლსტოი) ნაპოლეონში ხედავდა თავის იმ ნაკლს, რასაც ჰქვია პატივმოყვარეობა, რომლისგანაც დასამალად ის სოფელში გაიქცა, შავი ჩოხა ჩაიცვა, ფეხზე გაიხადა და ხაზი გაუსვა იმას, რასაც გაურბოდა _ ტოლსტოი იყო კაცი, რომელიც დაჭკვიანდა ორმოცი წლის ასაკში და ახლიდან გაგიჟდა 89 წლისა - ვნების, სურვილის ასეთი დიდი წვა თითქმის უცნობია - ამიტომ მას ისტორიამ აპატია ნაპოლეონის ლანძღვა - ეს ამითი მხოლოდ დასცინოდა ადამიანის, კერძოდ, თავის სურვილს ღმერთად გახდომისა - ის იყო ისევე გაკრული ჯვარზე, ოღონდ თავისი თავისაგან, როგორც ქრისტე, ტოლსტოი უფრო მეტად წაგებული იყო ნაპოლეონზე, რადგან ტყვე ნაპოლეონს აღარ შეეძლო ბრძოლა, ტოლსტოის ამ არშეძლების უფლება არა ჰქონია. შეიძლება ამ რუსს შეშურდა ფრანგისა, რომელმაც ეროვნული სიმსუბუქით, ობიექტურად მეტს მიაღწია, ვიდრე ამდენი წამების შემდეგ თვითონ _ ცხადია ერთი: ორივე ეს კაცი იყო ადამიანი მებრძოლი ერთდროულად მთელ მსოფლიოსთან, ღმერთთან და საკუთარ თავთან... მსოფლიოს ყველაზე მეტად აგრძნობინა თავისი თავი ნაპოლეონმა, ღმერთსა და თავის თავს - ტოლსტოიმ - ამავე გზას ადგა ბაირონი, მან სუბიექტური განცდა ღვთაებრივ ვნებამდე აიყვანა და თავი ღმერთად გამოაცხადა. ამისაგან დაიღუპა ჩაილდ პაროლდივით და ტოლსტოის «ომი და მშვიდობასავით», რომლის ბოლოსაც _ მხოლოდ როგორც უიმედო ნაპერწკალი, რომ ცხოვრება არ წყდება (რას იზამ) _ ბრწყინავს პატარა ნიკოლას სახე _ სხვა ყველაფერი იხოცება _ და რაღაცნაირი უშველებელი დარდი გიპყრობს, რომ ასეთი დიდი, როგორიც ეს რომანია - უბადლო მსოფლიოში, ასეთი უაზრო და უმწეოა და ბოლოში ყველა გეჩვენება სულელი - ღირდა კი ამდენი ბრძოლა?»

ვფიქრობ, «გოგან გაგანიას» არც ერთი ვარიანტი არ უნდა იყოს დამთავრებული, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე ერთ-ერთი - ჩემი აზრით, ბოლო ვარიანტი - შემეტანა ტომის ძირითად ნაწილში, ისევე როგორც შევიტანე სხვა დაუმთავრებელი ნაწარმოებები მათი მნიშვნელობის გამო მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მთლიანური და, ამავე დროს, ეტაპური გააზრებისათვის.

მკითხველი დამეთანხმება, ალბათ, რომ, ერთი მხრივ, მოთხრობის პირველივე ეპიზოდები სავსეა შეგრძნებით იმ ნანატრი «ამბისა», რომლის ამაო მოლოდინიც იგრძნობა პირველი ორი წლის ნაწარმოებებში (იხ. მეორე ტომი. მკითხველს გავახსენებ «მილიციელი ვანოს» ბოლო წინადადებას: «ჩემს უბანზე შემთხვევა არ მომხდარა»). მეორე მხრივ, ის თითქოს ამზადებს სულ რაღაც ორ თვის შემდეგ დაწერილი «ალავერდობის» ბოლო სცენას: «ყველაზე მაღალი შენობის» სახურავზე - «ალავერდობაში» კი ალავერდის გუმბათზე - ასული გმირი, თავის ხალხთან ზევიდან ლაპარაკის სურვილით სავსე, გადაჰყურებს მის ქვემოთ შეკრებილ ადამიანებს და რაღაც წამს თითქოს მიაღწევს კიდეც მიზანს: მოექცევა ყურადღების ცენტრში და ერთი შეგრძნებით, ერთი აზრით გააერთიანებს ყველას.

როგორც ჩანს, გურამს უნდოდა შეექმნა თავისი სხვა ლიტერატურული გმირებისაგან აბსოლუტურად განსხვავებული, თითქმის ლეგენდარული, პიროვნება. გურამის სიტყვებით თუ ვიტყვით (იხ. აქვე, წერილი ერლომს), გოგან გაგანია იმ ლიტერატურულ გმირთა თუ რეალურ პიროვნებათა გალერეას უნდა მიეკუთვნებოდეს, რომლებიც, საკუთარი სიდიადის, დიდბუნებოვნების განცდითა და რაღაც დიდის გაკეთების სურვილით სავსენი, ბრძოლას უცხადებენ ერთდროულად მთელ მსოფლიოს, ღმერთს და საკუთარ თავს.

მნიშვნელოვანია სხვაობა ამ ორი ვარიანტის ბოლო ეპიზოდებს შორის (ერთი ვარიანტი მოყვანილია ძირითად ტექსტში, მეორე კი _ შენიშვნებში). პირველ ვარიანტში, ოთხსართულიანი სახლის სახურავის კიდეზე მდგომი, თითქოს თვითონ შენობაზე ამოზრდილი, «მთელჰაერჩასუნთქული» გოგან გაგანია ხალხის თავზე გადაფრენის, იმათ ფეხებთან დავარდნის და ისევ გამართვის ჟინით რომ იწვის, თავისი ძალის, უშიშრობის, «უბადლობის» დასამტკიცებლად გადახტება «ზარია ვოსტოკას» შენობის მეოთხე სართულიდან. გოგანი დაეცემა ქვაფენილზე, ისევ წამოდგება, გაიმართება და ხელგაშლილი აიხედავს მაღლა. «ჰაერში არაფერი უგრძვნია, გარდა ისევ გადავარდნის წერტილიდან გაღვიძებული ვარდნის ძალის მთელი სიდიადის და მძაფრი განცდის უბადლოების შეგრძნებისა, რამაც აიძულა ნაკუწებად დაშლილი კაცი ისევ წამომდგარიყო ფეხზე და დაეღრიალა: «აუ, გოგან! მისი სხეული ყოველგვარი ტრაბახის გარეშე ამაყობდა საკუთარი თავით..» (ჩანაწერებიდან). ცხადია, ეს იყო «ტყუილი», «რა სასწაული უნდა ყოფილიყო, რომ აქედან გადავარდნილი კაცი ცოცხალი დარჩენილიყო» (ნაწარმოებიდან). როგორც ჩანს, ამ «ტყულისაგან» თავის დასაღწევად, ქვაფენილზე მთელი ძალით დანარცხებული გოგანის სხეული გურამმა დაფარა გარშემოხვეული ხალხის წრით. თითქოს არც თვითონ უნდოდა მიწაზე გაშხვართული დევგმირის უსულო სხეულის დანახვა და არც გოგანის განსაკუთრებულობით შეპყრობილი ძმაკაცებისათვის მისი ჩვენება («ზედ წამოსულმა ხალხის წრემ ორი, სახურავზე დარჩენილი, ძმაკაცისგან დაფარა მისი სხეული».. ნაწარმოებიდან). გურამმა ჩანაწერებში ასე შეაფასა ეს ნახტომი: «ის გადაეშვა თავისი მწვერვალიდან უფსკრულში, საიდანაც აღარავინ ამოსულა.» როგორცა ჩანს, ამ გადახტომის შემდეგ, ბოლო რამდენიმე წამში გამოფხიზლებული გონებით, გოგანის ძმაკაცებთან ერთად გურამიც მიხვდა, რომ ისიც ელოდა სასწაულს. ამ სასწაულის საფუძველს ის თავისი გმირის (საკუთარი თავის) განსაკუთრებულობაში ხედავდა (თითქოს ის ხელში უნდა აეტაცათ ანგელოზებს, რომ «არსად წასცდენოდა ქვაზე ფეხი», ფსალმუნიდან).

დევგმირული გარეგნობის მქონე გოგან გაგანიას სახით გურამს უნდოდა შეექმნა ზეკაცი, რომელიც მთელი თავით მაღლა დგას სხვა ადამიანებზე როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. მან შეწყვიტა მოთხრობის წერა.

იგივე ნაწარმოები გურამმა დაიწყო ან მაშინვე, ან მეორე დღესვე თავიდან (ამას მოწმობს ავტოგრაფებზე დაკვირვება). რეტროსპექტული თხრობისას თითქოს უფრო მშვიდად, გაშლილად შემოიტანა სხვადასხვა ეპიზოდი გმირის ცხოვრებიდან და, საბოლოოდ, გოგან გაგანიასთან ერთად, განსაკუთრებულობის შეგრძნებით, ვნების სიმძაფრით, დიდებისა და პატივმოყვარეობით აღსავსე, «ძალის ზენიტში», ისევ ყველაზე მაღალი შენობის სახურავზე აღმოჩნდა და, თავისი ძალის დამტკიცების სურვილით შეპყრობილმა, ისევ ზევიდან გადმოხედა ხალხის მასას, რომელიც პირდაღებული და შეშინებული მისჩერებოდა მას ქვემოდან.

მკითხველს ყურადღებას მივაქცევინებ შემდეგ ეპიზოდზე:

«_ ხომ არ გეშინია, გოგან? _ შეაშველა მან ხმა.

კარნიზთან მდგარი გოგანი შეტორტმანდა და ერთი კაცივით ამოისუნთქა როგორც სახურავზე მჯდომმა და ერთმანეთს იმ წამში მიკრულმა ორმა ძმაკაცმა, ისევე მთელმა ხალხმა, რომელთაგანაც თვითეულმა შიშის ელექტრობის განსამუხტავად, რომ წამში შეიძლებოდა იმათი იქიდან გადმოვარდნა, გვერდზე მდგომს მაგრა ჩასჭიდა ხელი და გაჩნდა მთელი ჯაჭვი ხელჩაკიდებული ხალხისა, რომლებსაც ხერხემალსა და ლაჯებს შუა მსუბუქმა შიშმა გაურბინა ქარივით, სახურავზე მჯდარი შეშინებული ძიძავა და პამპა ერთმანეთზე მიკრულები, რაც შეიძლება მაგრად აჭერდნენ ფეხს კარნიზს, თითქოს ამითი იქ, ქვევით მდგარებთან უნდოდათ შეერთება.

მხოლოდ გოგანი იდგა მარტო, სრულიად გაოგნებული ღვინისაგან, ხალხისაგან და საკუთარი ძალისაგან, რომელიც აქ, ჰაერში გამოკიდებულს, აღარაფრისათვის არა სჭირდებოდა და აღარ იცოდა საით წაეღო. სრულიად უაზროდ თამაშობდნენ მისი მხრები და საიდანღაც არაფრისაგან მოვარდნილი შიში, გამოწვეული ყველაფერი იმის დაკარგვით, რასაც ამყარებდა მხრების ძალაზე, უკანკალებდა ქვედა ყბას.»

გურამ რჩეულიშვილის დღიურებსა თუ პირად წერილებში გაბნეული წიაღსვლები მიანიშნებს, რომ ბევრი რამ იყო ჩემი ძმისათვის ბიძგის მიმცემი სულიერი ცხოვრების გზაზე. და, თავისთავადაც, რა იყო ახალი და გასაკვირი იმ ფაქტში, რომ სიკვდილის წინაშე ყველა ერთია: «სუსტიც და ძალგულოვანიც», მაგრამ მხატვრულ შემოქმედებას ჰქონდა მისთვის რეალური ფაქტის ძალა («Какой зримый факт происходит», დღიურიდან. ისევ დღიურიდან: «ცივ ცოდნას არა აქვს მნიშვნელობა»). გურამი, რომელიც, მართლაც, თავისი გმირების ცხოვრებით ცხოვრობდა (მწერლის სიტყვების პარაფრაზი), გოგან გაგანიასთან ერთად უდიდესი სურვილებით სავსე და, ამასთანავე, თავვერგართმეული თავის გრძნობებს, თითქოს პირველად, ფიზიკურად შეეჯახა სიკვდილის შიშს. ამ შიშმა გააერთიანა თავისი ძალისა და «უბადლოების» შეგრძნებისაგან თავბრუდახვეული ასმეტრიანი ფალავანი, სუსტი, დამფრთხალი, არაფრისუნარიანი მისი ძმაკაცები და ქვევით მდგარი პირდაღებული მასა («ხომ არა ჰგავს ის ამათ და ხომ არ არის მათსავით სუსტი, რადგან იმათაც ეშინიათ აქედან გადმოვარდნის და მასაც»). მწერალი ამ პატარა დაუმთავრებელ ნაწარმოებში გვირგვინს ხდის საკუთარ თავში «ზეკაცის» შეგრძნებას. ჩემი ძმა თითქოს უეცრად მიხვდა, რომ ადამიანში «დემონივით ჩასახული წინ ვარდნის სურვილი», რომელსაც ყველა თავის კლანჭებში ჰყავს მოქცეული, ხალხთან ზევიდან ლაპარაკის, «ხალხთა

და გონებათა გაერთიანების», მთელი ხალხის თავის თავში დატევის, მთელი სივრცის დაპყრობის, «მთელი ჰაერის ჩასუნთქვის» და, საერთოდ, სხვისი ჯობნის სურვილები, სხვა არაფერია, «გარდა იმ ვნებისა, რაც პირდაპირი გზით წვავდა ნაპოლეონს, ტოლსტოის, რომელნიც დიდბუნებოვნებაში გაეჯიბრნენ ღმერთს და სიკეთის, სიძლიერის, ყოვლისშემძლეობის ბაირაღით გამოუცხადეს ბრძოლა». გურამმა გოგანში კიდევ ერთხელ, თითქოს უკვე აშკარად, დაინახა თავისი ის ნაკლი, რასაც ჰქვია პატივმოყვარეობა (იხ. წერილი ერლომს). პირველი ვარიანტის მეორე ნაწილის პირველივე ფრაზაში (გადაშლილია მწერლის მიერ) ჩანს მწერლის პატივმოყვარული დამოკიდებულება გოგანის მიმართ: ქალაქელებს გოგანის დასაფლავება უნდოდათ მთაწმინდაზე, მაგრამ სოფლელებმა ნება არ მისცეს.

როგორცა ჩანს, გოგან გაგანიათი გურამს უნდოდა შეექმნა კიდევ ერთი თავისი ალტერ ეგო, სავსე იმ სურვილებით და შეგრძნებებით, რითაც ის, თითქოს უკვე მთლიანად, სულიან-სხეულიანად იყო მოცული. ეს იყო, ჩემი აზრით, საკუთარი მისიის, შესაძლებელია, ჯერ ბუნდოვანი («მე ჯერ ვივსები რაღაცით და მერე ვიგებ რა არის ეს რაღაც...» დღიურიდან), მაგრამ უკვე რეალური შეგრძნება: მისი დაბადების ფაქტი ისეთივე მნიშვნელოვანი გამხდარიყო სხვებისათვის, როგორც ეს მისთვის იყო მნიშვნელოვანი (გურამის სიტყვების პარაფრაზი წერილიდან ერლომ ახვლედიანს). მაგრამ გურამისათვის, როგორც ჩანს, ჯერ არ ჩანდა ის რეალური ძალა (ან შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალა ისევ მიეფარა თვალს, რადგან უკვე დაწერილი იყო «შაშას რევოლუცია»), რომელსაც ხელეწიფებოდა ნაწილებად დამტვრეულის («ყველაზე მაღალი სახლის სახურავიდან» გადმომხტარი «ეს ნაწილებად დამტვრეული კაცი...») ხელახლა შეკავშირება.

მეორე ვარიანტის ბოლოს, ქანცის გაწყვეტამდე გულამოვარდნილ ხარხარში, რაც ამ სცენაში მონაწილე ყველა ადამიანს გააერთიანებს, ისმის თითქოს უხსენებლის ხმა.

გურამმა ისევ მიატოვა «გოგან გაგანიას» წერა. პასუხი, გამოსავალი, გაგრძელება ჯერ არ ჩანდა. ალბათ, ამისი დრო არ იყო დამდგარი. თუმცა მწერლის ცხოვრება-შემოქმედების გზაზე არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებოდა მოვლენები.

ამონაწერი 1957 წლის დღიურიდან:

«ვატყობ: მურტალი სუსტი ვარ ყველაფერში: მაგაშია ჩემი ძალა. ვერ: მაშინვე მივატოვებ: ასე მივატოვე სცენარი: დავწერე უკეთესი, ასე იყო მესამე, რომანივით; სისუსტე მაძლევს ძალას. ასევე ვარ ყველაფერში: ვერ: _ მაშინვე მივატოვებ.

_ არა.

_ ხო.

_ ჰო.

_ სისუსტეა ჩემი ძალა.»

წელი 1957. თებერვლის 4.

11_ 11.20»

გურამმა, ვფიქრობ, უკვე იცოდა, რომ გოგან გაგანიას ნახტომიდან არარაში («გოგანის ნახტომი იყო Nihil»_ ჩანაწერებიდან) უნდა დაწყებულიყო ყველაფერი.

ყოველგვარი პარალელის გავლების გარეშე (რადგან ამის საფუძველს არ მაძლევს არც საარქივო მასალა და არც მოგონება) მინდა გავიხსენო მეოცე საუკუნის, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავი, რომელიც მოხდა 1959 წლის 17 მარტს თბილისში (სამი თვის შემდეგ დაიწერა «გოგან გაგანია»):

«მიუხედავად ასაკისა, მიუხედავად აღნაგობისა, მიუხედავად შენობის სიმაღლისა და მიუხედავად ყოველივესი ... აიღო ვენური სკამი, მიიტანა ფანჯარასთან, გამოაღო ფანჯარა, ორმაგი ფანჯარა, ავიდა ჯერ სკამზე, მერე ფანჯრის რაფაზე და ..... «სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილს შურდულივით დაენარცხება» (ამონაწერი ჯავახაძის წიგნიდან «უცნობი»).

გალაკტიონ ტაბიძეს ჩემი ძმა პირველად «ზაფხულის ერთ მშვენიერ ღამეს» შეხვდა. ამონაწერი ნუგზარ წერეთლის წიგნიდან «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ»: «ზაფხულის ერთ მშვენიერ ღამეს, ლექციების დამთავრების შემდეგ, გურამ რჩეულიშვილი და მე რუსთაველის პროსპექტისაკენ მივსეირნობდით. უეცრად თვალი მოვკარით ნელ-ნელა მომავალ გალაკტიონს. მარტო იყო. შავი კოსტიუმი ეცვა, პერანგის საყელო ღრმად ჰქონდა ჩახსნილი.

დიდის მოწიწებით მივესალმეთ. შემოგვხედა, გაგვიღიმა და გაჩერდა. გვკითხა ვინ ვიყავით, რას ვაკეთებდით. როცა გვარებიც მოვახსენეთ, რაღაც კმაყოფილად ჩაიცინა და ჩაილაპარაკა _ კარგია, ძამიკო.....

შემდეგ ხელი მარჯვენა ხელზე მომკიდა, პერანგი გადაიღეღა და ცხელ, გახურებულ მკერდზე დაიდო _ «აი, ნახე, ძამიკო, როგორ ფეთქავს ერთი საწყალი ქართველი სახალხო პოეტის გული,» და თითქოს ცრემლები გადმოსცვივდა დაბინდული თვალებიდან.»

მეორე შეხვედრა იყო 1959 წლის იანვარში.

«თბილისში ყინავდა ..... იქვე შევედით კაფეში ... უცებ კაფეში გალაკტიონი შემოვიდა, შავი გრძელი პალტო ეცვა... ამ სიცივეში ქუდი არ ეხურა და სქელ თმა-წვერზე თითქოს თრთვილი დასდებოდა... გალაკტიონმა სათითაოდ გამოგვკითხა ვინ რა პროფესიის წარმომადგენელი ვიყავით. გურამ რჩეულიშვილი გალაკტიონის პირდაპირ იჯდა. მას ცოტა მოკიდებული ჰქონდა სასმელი და როცა შეკითხვით მიმართეს, თუ რა პროფესიისა იყო, ეტყობა გულის სიღრმეში გაბრაზდა, რომ გალაკტიონმა ამდენი შეხვედრის შემდეგაც ვერ იცნო, თანაც ამ დროს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მოთხრობები «ცისკარში» და ფიქრობდა, რომ ასე თუ ისე იცნობდნენ, ანდა მოუნდა ზოგჯერ მოხდენილად შეფერებული ორიგანალობის გამოვლენა იმ მიზნით, თუ რა გავლენას მოახდენდა დიდ პოეტზე მისი პასუხი და შეკითხვაზე მიუგო: «Я лично комерсант» (ამონაწერი ნუგზარ წერეთლის წიგნიდან «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ»).

რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის ზუსტად, რას ფიქრობდა გურამი ამ დროს ან რას ფიქრობდა გალაკტიონი, როდესაც ახალგაზრდებს შუაღამისას გაუბა საუბარი. ერთი იყო ცხადი, გურამმა უკვე იცოდა, რა ჩიხშიც იყო შესული გალაკტიონი და რომ ამაზე ლაპარაკს არავითარი აზრი არა ჰქონდა.

ეს იყო ორი «უცხოს» შეხვედრა.

ამონაწერები გალაკტიონიდან:

«მე ვიცი, რომ ვერ ავცილდები იმ საზღვარს, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული.»

«მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ.»

«მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლოვანი თვალების გარდა.»

გურამ რჩეულიშვილის მეორე ტომის შენიშვნებიდან (გვ.387):

«საინტერესო დამთხვევა». გ. რჩეულიშვილი:

«დედაო ღვთისა, მზეო მარიამ,

როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.»
1957 წელი. 28 მაისი. გურამ რჩეულიშვილი.
დავწერე დამოუკიდებლად გალაკტიონ ტაბიძისა.»

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

«გავიდა ზამთარი, გაზაფხული, მოვიდა ზაფხული....»

ვფიქრობ, რომ ეს უთარიღო და უსათაურო ნაწარმოები (ავტოგრაფი 1-16გვ.), ისე როგორც მომდევნო სამი მოთხრობა («უცნაურ ამბებს მიყვებოდა...», «კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ» და «მე ვიდექი ბარის შუაგულში»), ქმნის ერთგვარ ციკლს, რომელსაც, პირობითად, შეიძლება ჩრდილო კავკასიის მოთხრობების ციკლი ვუწოდოთ (გურამის ნაწარმოებთა ციკლური ხასიათის შესახებ პირველი ტომის ბოლოსიტყვაობაში უკვე იყო ნათქვამი. 1956-57 წლების ნაწარმოებები გაერთიანებულია ბაკურიანის, ზღვის, გაზაფხულის, სიყვარულის, ცხენების ციკლებად, სამ-სამ ამბებად და სხვ. ასევე შეიძლება, ჩემი აზრით, 1958-59 წლებში დაწერილი გარკვეული მოთხრობების ერთ ციკლად შეკვრა. აქ უპირველესად გამოვყოფ მოთხრობებს, რომლებიც, სათაურით «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები», თვითონ მწერლის მიერაა გაერთიანებული. შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე ჩრდილო კავკასიურ მოთხრობათა ციკლი, რომელიც გურამს უნდა დაეწერა ჩრდილო კავკასიაში ყოფნისას ან უშუალოდ იქიდან ჩამოსვლის შემდეგ. ამ წლების მოთხრობების სხვა გამაერთიანებელ ნიშნებზე მითითებული იქნება კონკრეტულად თითოეული ნაწარმოების შენიშვნაში.

პირველი ორი მოთხრობა, ვფიქრობ, შექმნილია ან ჩრდილო კავკასიაში ყოფნისას (რაც უფრო სავარაუდოა), ან ჩამოსვლისთანავე. ბოლო ორი თბილისში უნდა იყოს დაწერილი. ამ ნაწარმოებთა მხოლოდ შავი ავტოგრაფები არსებობს.

დედა-მამა-გურამის მიმოწერის მიხედვით (დედა და მე იმ ზაფხულს ხოსტაში ვისვენებდით) შესაძლებელია მიახლოებითი თარიღის დადგენა.

1959 წლის 30 ივლისს მამა დედას სწერს წერილს ხოსტაში: «გურამის ჯანმრთელობის საქმე ჩვეულებრივადაა. თუმცა კარგად შეიძლება იყოს. გამხდარია. ჩვეულებრივად, კარგად არ ჭამს. ხან ხაშზე მიმყავს ხოლმე, ხან რესტორანში და ხან სახლში ვუკეთებ რამეს. ერთი სიტყვით, ამის ჯანმრთელობის გამოსწორება კარგად შეიძლება, თუ სმას თავი გაანება და მუშაობა დაიწყო.

ახლა მეუბნება, ვლადივოსტოკში, ჟელეზნოვოდსკში ან პიატიგორსკში გამიშვითო ... წავიყვან და მოვაწყობ სადმე იქ სრულ პანსიონატზე. რომ მოკეთდება, მერე კი სამსახური უნდა დაიწყოს.

მოკლედ, ამ სიცხეში არც მკურნალობა შეიძლება და არც ცხოვრება. მთაში არ მომდევს და, მართალი გითხრა, ძალას არც ვატან, რადგან ქციაზე სულ ჯანღი და ბურუსია ხოლმე. ნესტიანი მთაა. ისე საშიში არაფერია და უკეთესი მდგომარეობა აქვს მასთან შედარებით, რაც წინათ ჰქონდა.

მე მგონი, თბილისიდან გასვლა და ხეტიალის მოშლა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობას და მუშაობის სურვილსაც.

ხანდახან რაღაცეებს წერს. ამბობს, უნდა დავბეჭდოო.» 1959. 30. VII.

როგორც ჩანს, მამამ შეასრულა გურამის თხოვნა და თან წაიყვანა ჩრდილო კავკასიაში, სადაც ის პროფესორ მუხინის მიერ იყო მიწვეული.

მამას მოგონებებიდან:

«1959 წელს პროფესორმა მუხინმა, რომელიც იმ დროს ჩრდილო და ამიერკავკასიის მეცხვარეობის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა, მიმიწვია თავისი და მისი თანამშრომლების მუშაობის გასაცნობად. გურამს ძალიან უნდოდა ჩრდილო კავკასიის ნახვა და თან წავიყვანე. ორჯონიკიძეში სასტუმროში გავჩერდით. მუხინმა ძალიან მთხოვა მასთან დავბინავებულიყავით, მაგრამ გურამმა არ ქნა და სასტუმროში დარჩა. იმას თავისუფალი დრო აინტერესებდა, ჩვენგან დამოუკიდებლად ყოფნა. დავიარეთ როგორც ჩეჩნეთის, ისე ინგუშეთის, ოსეთის ტერიტორია, შემდეგ წავედით ნალჩიკში. ნალჩიკში იმ დროს სოფლის მეურნეობის განყოფილებას განაგებდა ვერა კუძიევა. კუძიევამ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენთვის ეჩვენებინა თავიანთი მიღწევები მეცნიერებასა თუ სოფლის მეურნეობაში. გვაჩვენა ცხენების სანაშენეც. იქ ყაბარდოული ჯიშის ცხენებს აშენებდნენ. გურამს ერთ-ერთი, მთლიანად შავი, ულაყი განსაკუთრებით მოეწონა. ითხოვა ცხენზე შეჯდომა. უთხრეს, ეს შეუძლებელია, რადგან ულაყი გაუხედნავიაო. გურამმა არ დაიჯერა და მაინც მოახტა ულაყს. ცხენმა აყარა ტლინკები და ძირს ჩამოაგდო, მაგრამ იმწუთშივე თავიდან მოექცა ზურგზე და გააჭენა. ამ სანაშენო ცხენებს ძალიან დიდი ფასი ჰქონდათ. გურამმა მთხოვა, როგორმე ვიყიდოთ და თან წავიყვანოთ თბილისშიო. ვუთხარი, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. კუძიევამ იგრძნო გურამის ასეთი დაინტერესება ამ ცხენით და ძალიან მოინდომა ჩვენთვის ესიამოვნებინა და ხელსაყრელ ფასში მოყიდვას შეგვპირდა. გადავწყვიტეთ, შემოდგომაზე ჩავიდოდით და ამ ულაყს ვიყიდდით. გურამმა უკვე წინდაწინ შექმნა პრობლემა _ ცხენი ეზოში უნდა გვყავდესო. მე წინააღმდეგი წავედი და ვეუბნებოდი, რომ უდაბნოში წავიყვანდი (უდაბნოში მამას ჰქონდა საცდელი მეურნეობა და დიდი ლაბორატორია. ნაწილი თანამშრომლებისა იქ მუშაობდა _ მ. რჩ.), ნებისმიერ დროს ჩავიდოდა და რამდენსაც უნდა იმდენს აჭენებდა. ცხენის ყიდვა გაგვიჭიანურდა და ეს საქმე მოუგვარებელი დაგვრჩა. ნალჩიკის ხელმძღვანელობა კარგა ხანს გვინახავდა ამ ცხენს. ერთი-ორჯერ შემომითვალეს კიდეც, რომ დროულად წამეყვანა.”

(ისევ მამას მოგონებებიდან: “ერთხელ, მახსოვს, ასე 14-15 წლის გურამი ბაკურიანიდან ავიყვანე ქციის საძოვრებზე, ფარებს ვათვალიერებდი. გურამი ზევით ავიდა, იქ მოახტა ერთ უბელოს და თავდაღმართზე გამოაჭენა. კისერზე მოექცა, ცხენს მხოლოდ საცხვირე ჰქონდა. მაინც მოახერხა და არ გადმოვარდა. მეცხვარეები გაკვირვებულები უყურებდნენ _ ამ ბიჭმა რა ქნა, მაგ ცხენზე გადაჯდომას ჩვენ ვერა ვბედავთო”).

ასე რომ, ჩრდილო კავკასიის ციკლის პირველი ორი მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს აგვისტოს დასაწყისში, ერთმანეთის მიყოლებით. ამას მოწმობს, გარდა თემატიკისა, მსგავსი თაბახის ფურცლები, მკრთალუჯრედებიანი (ასეთ ფურცლებზე სხვა არც ერთი ნაწარმოები არ გვხვდება), და გურამისათვის უჩვეულო, ოდნავ დაქანებული ხელწერა, საწერი მელანი. პირველი მოთხრობა, მართალია, იწყება მყარი, თეთრი ავტოგრაფისათვის დამახასიათებელი, ხელწერით, მაგრამ მეორე გვერდიდანვე ნაწერი დაქანებული და არამყარი ხდება. ხოლო მომდევნო მოთხრობა თავიდანვე არამყარი, დაქანებული ასოებითაა ნაწერი. ვფიქრობ, რამდენიმე სიტყვა ხელნაწერში გადაშლილია და ჩამატებული წერის პროცესშივე. ისინი, ისევე როგორც გურამის უმეტესი მოთხრობები, ერთი ამოსუნთქვით უნდა იყოს დაწერილი.

მეორე გვერდის შუაში, ნაწერზე, ჩახატულია კაცის პროფილი. ვფიქრობ, ავტოპორტრეტია.

იბეჭდება პირველად.

«უცნაურ ამბებს მიყვებოდა ტაქსის შოფერი...»

არსებობს მხოლოდ ერთი, გაკრული, დახრილი ასოებით ნაწერი ავტოგრაფი(1-_6 გვ.). მოთხრობა უსათაუროა და უთარიღო. ხელნაწერი არ არის ნასწორები. თარიღისა და შექმნის ისტორიისათვის იხ. წინა მოთხრობის შენიშვნა.

ქვეყნდება პირველად.

კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ

1959 წელს გურამმა გადაწყვიტა არქეოლოგიაში მუშაობა. მახსოვს, თქვა: შუა საუკუნეები მაინტერესებსო. ის აპირებდა მწერლობა შეეთავსებინა ისტორიკოსობასთან. საქართველოს ისტორიის მუზეუმს არა ჰქონდა თავისუფალი საშტატო ერთეული. საქმის მოგვარებას დაგვპირდა სერგო დურმიშიძე (აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ოჯახის ახლობელი, იმ დროს ჩვენი მეზობელი _ მ.რჩ.). ძია სერგოს ძალიან უყვარდა გურამი და აფასებდა კიდეც მის ნიჭს, რითაც ჩემი ძმა მაშინ უფროსების მხრივ არც ისე განებივრებული იყო (სერგო დურმიშიძის მოგონებები გურამზე იხ. წიგნში: «ზოგი რამ წარსულიდან», 1987). ძია სერგომ გურამს გამოუყო უმცროსი მეცნიერ-მუშაკის ერთი შტატი. მუშაობის დაწყების პირველივე დღეს გაირკვა, რომ სამი წლის განმავლობაში მუზეუმში სტაჟიორად, შტატის მოლოდინში, მუშაობდა გურამის ყოფილი თანაკურსელი მარინა ბულეიშვილი. გურამმა ძია სერგოს სთხოვა, მის სახელზე გამოყოფილი საშტატო ერთეული გადაეცათ მისი ამხანაგისათვის და კატეგორიულად განაცხადა, რომ აღარ აპირებდა მუშაობას. მარინა ბულეიშვილი დააკმაყოფილეს. ცოტა ხანში ძია სერგომ თავიდან, ისევ სპეციალურად გურამისათვის, დააშვებინა კიდევ ერთი შტატი. ასე რომ, ჩემმა ძმამ 1959 წლის 27 მარტს დაიწყო მუზეუმში სიარული. თავი გაანება 1960 წლის 11 ივნისს (არქივში ინახება გურამის განცხადება მუზეუმიდან წამოსვლის თაობაზე) იმ მიზეზით, რომ ვერ შეძლო მწერლობისა და ისტორიკოსობის ერთმანეთთან შეთავსება.

გურამის გარდაცვალების შემდეგ, 1960 წლის შემოდგომაზე, საქართველოს ისტორიის მუზეუმის თანამშრომელმა (მე მგონი, ეს იყო გურამის ახლო მეგობარი მარიკა საყვარელიძე) გადმოგვცა ერთი საერთო რვეული (ვფიქრობ, ეს რვეული ბალტიისპირეთში უნდა იყოს გამოცემული, გურამს, ალბათ, ოდესიდან ჩამოჰყვა) და კალმისტარი. როგორც ჩანს, გადმოცემისთანავე რვეულის ყდაზე მამაჩემმა დაწერა მასში მოთავსებული მოთხრობების სია: «1. კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ; 2. უსათაურო («ვიდექი ბარის შუაში…»); 3. უსათაურო, ხევსურთა ცხოვრებიდან.” მოთხრობების სიის ქვემოთ ჩემი ხელით დიდი ასოებით წერია: «მუზეუმიდან» და «გადასაბეჭდია». ამავე რვეულში იდო პატარა, მაგარ ფურცლებზე გაკეთებული ჩანაწერები დაუმთავრებელი ნაწარმოებისათვის «საიდან მოვდივარ...», აგრეთვე, ასეთსავე ფურცელზე ჩაწერილი ფრაზა ბიბლიიდან (იხ. შენიშვნა ამ ნაწარმოებისათვის).

არქივის კვლევისას დათარიღებისათვის შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმის თანახმად, სამივე ეს ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს მუზეუმში 1959 წლის ზაფხულში, აგვისტოს თვეში. გურამმა, როგორც ჩანს, შეასრულა მამას თხოვნა (იხ. შენიშვნები წინა ავტოგრაფებისათვის) და განაახლა მუზეუმში სიარული. «კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ» პირველი მოთხრობაა ამ საერთო რვეულში. არსებობს ამ ნაწარმოების მხოლოდ შავი დასათაურებული და უთარიღო ავტოგრაფი (1-9გვ.). მოთხრობა ნაწერია მყარი, გაკრული ხელით. ხელნაწერი მწერლის მიერ არ არის გასწორებული. ვფიქრობ, სხვა ნაწარმოებების მსგავსად, ისიც ერთი ამოსუნთქვით უნდა იყოს დაწერილი.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წლის კრებულში: «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

«მე ვიდექი ბარის შუაში...»

ეს არის ამ საერთო რვეულში დაწერილი მეორე მოთხრობა (იხ. წინა მოთხრობის შენიშვნა). ავტროგრაფი (1_9გვ.) უთარიღოა და უსათაურო. სხვა მოთხრობების მსგავსად, ისიც წერია საერთო რვეულში, ფურცლის ორივე გვერდზე. ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებით მთავრდება ჩრდილო კავკასიის მოთხრობათა ციკლი.

სათაურით «შპილკა», ის პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს ნუგზარ წერეთლის რედაქციით გამოცემულ კრებულში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ნათელა

არსებობს ამ მოთხრობის ერთი დაუთარიღებელი ავტოგრაფი (1-35გვ). მწერლის მიერ დანომრილია მხოლოდ 1-32გვ., მომდევნო გვერდები დაუნომრავია. ბოლო ცარიელი გვერდის ქვედა ნახევარზე ძალიან დიდი, არათანაბარი ასოებით, კალმით, ვფიქრობ, უკვე სხვა დროს, დაწერილია სათაური. ორივე მხარეს ნაწერ თაბახის ფურცლებს ეტყობა, რომ ერთ დროს, შუაში უნდა ყოფილიყო გაკეცილი, სათაურიანი გვერდი ასრულებდა ყდის როლს. ავტოგრაფი ჩვეულებრივი შავი, არაქიმიური, რბილი, თითქოს წაუთლელი, სქელწვერა ფანქრითაა ნაწერი (როგორც პირველი ტომის ბოლოსიტყვაობაში აღვნიშნე, გურამი თითქმის არასოდეს არ წერდა ფანქრით: მეშინია ის, რაც დაიწერა, სამუდამოდ არ დაიკარგოსო). ხელწერა ძალიან გაკრულია, თითქოს ნაჩქარევი. ხელნაწერს ეტყობა წერის პროცესში, თანდათანობით, როგორ ბლაგვდებოდა ფანქრის რბილი წვერი. რამდენჯერმე გურამი, როგორც ჩანს, იძულებული გახდა შეეწყვიტა წერა ფანქრის წვერის წასათლელად. ხელწერას ატყვია, აგრეთვე, აზრის სიმძაფრისა და დინების კვალი. ზოგჯერ კი ახალი აბზაცი, თითქოს რაღაცა ეტაპის დაძლევის შემდეგ, მყარი ხელწერითა და მწერლისათვის დამახასიათებელი გამოყვანილი «ლ»-თიც კი იწყება. მოთხრობა, ვფიქრობ, სახლში არ უნდა იყოს დაწერილი. როგორცა ჩანს, გურამმა დამთავრებისთანავე გადაიკითხა ხელნაწერი, რადგან რამდენიმე ადგილას იმავე, ოღონდ წათლილი, ფანქრით ზოგი სიტყვა გადაშალა, ზოგს კი ხელახლა შემოავლო ფანქარი. ზოგიერთი ჩასწორება გაკეთებულია არა მოთხრობის დაწერის შემდეგ, არამედ გზადაგზა, წერის პროცესში. ორ ადგილას წითელი ფანქრით, მბეჭდავის მიერ უნდა იყოს გახაზული ცალკეული ძნელად წასაკითხი სიტყვა. პირველი სამ-ნახევარი გვერდი გადახაზულია მწერლის მიერ, თავდაპირველად, იმავე ფანქრით, რომლითაც დაწერილია მოთხრობა, შემდეგ კი სქელი, ლურჯი ფანქრით. ოცდამერვე გვერდზე წვრილი ასოებით, მკრთალად

წერია «გ. რჩეულიშვილი». აღსანიშნავია, რომ მწერლის მიერ გადახაზული ტექსტი შესულია ყველა ადრე გამოქვეყნებულ ვარიანტში. ამ გამოცემაში გავითვალისწინეთ მწერლის ბოლო ნება და - მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ზოგადი თვალსაზრისით – ეს გადახაზული გვერდები ტექსტში არ შევიტანეთ. ასე რომ, მოთხრობა იწყება ექსპოზიციის გარეშე, რაც გურამის შემოქმედებისათვის, ალბათ, მართლაც, უფრო ბუნებრივია. მკითხველს შევახსენებ მეორე ტომში მოთავსებულ იმ მოთხრობებს, რომლებიც თითქოს დასაწყისის გარეშე, შუიდან იწყება (იხ. ტომი 2.).

მწერლის მიერ გადახაზული გვერდები:

«ზამთარსაც აქვს თავისი ვნებები, ოღონდ უფრო ღრმა და დაფარული, ვიდრე წელიწადის სხვა დროებს. მთელი ცხოვრება გადადის შიგნით, შენობებში, ხალხი გარეთ ბინიდან მხოლოდ იმიტომ გამოდის, რომ მეორე ბინაში შევიდეს, ამიტომ არის, რომ ზამთარში გარეთ ყველა ჩქარობს, გარდა თოვლისა, რომელიც დევს უძრავად, გარდა ღრუბლებისა, რომლებიც გაუპობლად, ნაცრისფრად დაბურული, ბარდნიან შეუსვენებლივ თეთრ ბრტყელ ფიფქებს. ამ დროს შენობებში ცხელა და ის ფიქრი, რომ გარეთ ცივა, აიძულებს ხალხს დიდხანს იგორაონ საწოლებში. ნახევრად შიშველი მთიელი ქალები, სავსე მკერდებით, შუადღემდე პარპაშებენ ბუხრების წინ, ნელა, ზლაზვნით ივარცხნიან თმებს, უკეთებენ შეშას და საათობით იყურებიან ფანჯრებიდან. ხანდახან ისინი ხედავენ მარხილს, ცხენის დაბერილ ნესტოებს, საიდანაც ნაკადად გამოდის ცხელი ორთქლი, ხედავენ ალეწილ სახიან ვაჟებს, რომლებიც არ ზოგავენ ცხენებს და მათი გახურებული სახეები ბუხართან ჯდომისგან ედება ცივ ფანჯარას, სიცივე მთელ სხეულში ურბენს, უფრო კარგად აგრძნობინებს ქალურ სიცხოველეს, და მათი მხრები უნებურად იწყებენ ძაგძაგს.

რასაკვირველია, ზამთარში ყველგან მუშაობენ, ხოლო ისინი, რომელნიც სახლში სხედან, მხოლოდ ისვენებენ, ელოდებიან თავიანთ ტოლს. მუშაობა არ წყდება თიანეთის სოფლებშიც, /მთელი ზამთარი მიდის წინა წლის შრომისაგან დაღლილი ორგანიზმის დასვენებაში და ახალი, მომავალი ზაფხულისათვის სამუშაოების მომზადებაში. ასობით საქონელი იწველება ამ თვეებში კოლმეურნეობების ფერმებში, ამდენივე ქალი თანა ჰყვება საქონელს, მუშაობის დროს უთვალთვალებს რძის მზიდავ ვაჟებს. იტენება მათი სხეულები ფარული, ღრმა ვნებით და სულ პატარა ბიძგი აკლია ამ ვნებას, რომ დაიღვაროს უზარმაზარ სიყვარულად.

სახლშიც, გარეთაც მთელ მომუშავე ხალხს ვნებები ერთი და იგივე აქვს _ განსაკუთრებით სოფლებში _ ამ კანონს მხოლოდ პოეტი არ ემორჩილება, რადგან პოეტი არასოდეს არ მუშაობს, აქედან გამომდინარე, არც ისვენებს არასოდეს, მისი გონება თუ სხეული ერთნაირად ატაცებულია როგორც ღამე ძილის დროს, ისევე ექვს საათამდე, როცა სხვები მუშაობენ, ექვსი საათის შემდეგ, როცა სხვები ისვენებენ. მას ისევე შეუძლია სიყვარული ზამთარში, როგორც გაზაფხულზე და ის თავის სურვილების ნაყოფს ყოველთვის იმკის, წელიწადის დროებისა თუ დილის საათების განურჩევლად. ეს შინაგანი დაძაბულობა შემოქმედისა აიძულებს მის გარშემო მყოფთ ქვეშეცნეულად აივსონ საკუთარი ფიქრებით, ეჭვებით, კარგისა თუ ცუდის სურვილით ერთმანეთისადმი, შეამჩნიონ თავიანთი ცხოვრებიდან ის, რასაც არ აქცევდნენ მის მოსვლამდე ყურადღებას. ყველაფერი ეს ხდება ქვეშეცნეულად, გარემოსა თუ პოეტის რაიმე გარკვეული ცდის გარეშე.

ამ მოთხრობას მე ვწერ გიოსა და ნათელას შესახებ. გიოს არასოდეს ლექსი არ დაუწერია, ხოლო ნათელა სულ 8 წლის მთიელი გოგონაა, რომელიც წერას ახლა სწავლობს, მაგრამ სრულებით არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ იყო პოეტი, წერდე და თუ მე მოვიხსენიე ამ შესავალში შემოქმედი, მხოლოდ იმისათვის, რომ გიოს ბუნებისათვის წინასწარ მიმეცა გარკვეული სახე, გარკვეული სახე მიმეცა იმ სიტუაციისათვის, სადაც გიო სრულიად შემთხვევით მოხვდა, კერძოდ, თიანეთის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ის შეხვდა ნათელას.»

მოთხრობის დათარიღებისა და შექმნის ისტორიისათვის:

მამას ნაამბობიდან: 1959 წლის ზაფხულში თიანეთში მქონდა ერთდღიანი საქმე, გურამიც თან წავიყვანე. სიონიდან გადავედით დიდი გზით. ვილისით ვიყავით წასულები. საჭესთან თავდაპირველად მძღოლი იჯდა, მერე გურამი დაჯდა და ამის შემდეგ მანქანას ისა მართავდა მთელი გზა. საშინელი სისწრაფით მივქროდით. მძღოლი ნერვიულობდა.

ჩემი აზრით, გურამმა «ნათელა» დაწერა თიანეთიდან ჩამოსვლისთანავე, ან შეიძლება თიანეთშივე, რაც უფრო სავარაუდოდ მეჩვენება, რადგან მას, როგორც უკვე ვთქვით, ფანქრით არ უყვარდა წერა. ვფიქრობ, თიანეთს წინ უძღოდა მამასა და გურამის მოგზაურობა ჩრდილო კავკასიაში, რასაც მოჰყვა ჩრდილო კავკასიის მოთხრობათა ციკლი.

1959 წლის ზაფხულში დედა და მე ვიყავით ზღვაზე, ხოსტაში. არქივში შემონახულია გურამის დედასთან წყალტუბოდან ხოსტაში მიწერილი წერილები. ერთ-ერთში წერია, რომ წყალტუბოში მის გვერდით ცხოვრობდა ვინმე ნათელა წ., პატარა ტანის სუსტი, ულამაზო გოგონა, საბჭოთა კავშირის გმირი. შესაძლოა, ეს სახელი, რომელიც სხვა არც ერთ მოთხრობაში არა გვხვდება, ამანაც უკარნახა.

1959 წლის გვიან ზაფხულში გურამმა «ნათელა» შეიტანა მოთხრობების სიაში, რომელსაც კრებულისათვის ადგენდა, თუმცა ის, ისე როგორც ბევრი სხვა ამ სიაში შეტანილი მოთხრობა, არ გადაუთეთრებია. აღსანიშნავია, რომ «ნათელა» ერთ-ერთი იმ მოთხრობათაგანია, რომელიც მწერლის არქივში სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა. მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

მკითხველს მინდა გავაცნო ნაწყვეტი «გოგან გაგანიას» რვეულში მოთავსებული ერთი ლექსიდან:

«იმ მიუწვდომელ მშვენიერებას
ბავშვი რომ ხედავს
ქალის სხეულში

თავის პატარა გაურყვნელი, წმიდა ხელებით

როცა დაბერილ თეთრ ძუძუებს
ვნებით უჭყლიტავს,
ვცდილობ მივაგნო.
როგორც ერთი წლის დაბადებიდან

მოურიდებლად თავის დედას გაუხსნის საკინძს
ვარდისფერი ძუძუსთავების დასაწაფებლად,
ისევე წმინდა,
ისევე დიდი,
არის სურვილი ჩემი (?)
მხოლოდ მორალი დაწესებული გარეშემო
მე შეურაცხმყოფს,
ტყუილ ბრალსა მდებს,
და მეც ბრალდებულს,
ცოდვისთვის შობილს,
გულის სიღრმეში მიხარია ეს განაჩენი.»

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში გურამი ცდილობს მიაგნოს, ეზიაროს იმ «მიუწვდომელ მშვენიერებას», რომლის არსებობის შესახებ მან თითქოს მხოლოდ გონებით იცის. ეს არის ხორციელი ვნება, თავისუფალი თავისი თავისაგან, ამაღლებული და არა უარყოფილი, როდესაც მიწიერი იძენს სულიერების ნიშანს და სულიერი კი მიწიერისას. ბარათაშვილის კვალდაკვალ, როგორც ჩანს, ამის მაგალითად მას ესახება ჩვილის ხმა, «ოდეს იგი ენითა სასუფევლის / უალერსებს წიაღთა თავის მშობლის». გურამის ლექსში სიტყვებს: «ისევე წმინდა, ისევე დიდი არის სურვილი ჩემი» მოსდევს დიდი კითხვის ნიშანი, რომელიც ტექსტის კუთვნილება არ უნდა იყოს, თუნდაც, თავისი უჩვეულო სიდიდის გამო. ჩემი აზრით, მწერალი დაწერისთანავე დაეჭვდა თავისი ვნების «სიწმინდეში», «სიდიდეში» და, «ცოდვისთვის შობილს», გულის სიღრმეში ურჩევნია იყოს ბრალდებული. «ენის გაკილვით» ის თვითონვე წაბილწავს თავისი შეგრძნების ნეტარ წამებს (მთლიანად იხ. ტომი 4). ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ხორციელი ვნების ასამაღლებლად, გასასულიერებლად შემოვიდა მის შემოქმედებაში პატარა ნათელა, რომელიც ამ ლექსის შემდეგ ძალიან მალე უნდა იყოს დაწერილი. «საიდან მოვდივარ-ში» მაღალ მთაზე ავარდნილ, თეთრ ცხვრის ქურქში, ნესტიან, გრილ ბურუსში გახვეულ, «ყოველთა ვნებათაგან თავისუფალ» («დაკარგა ყოველგვარი ნდომა, სურვილი») მწერლის ალტერ ეგოს, გურამს, უკვე თითქოს რეალურად ეუფლება განცდა «არაამქვეყნიური თუ ზედმეტად მიწიერი ნეტარებისა» და დასტურად სხეულის, ხორციელი ვნების პოტენციური სისპეტაკისა, მიწიერი შეგრძნებებიდან კვლავ იგივე ხატი წარმოუდგება: ნერვიულად ატირებული ბავშვი, რომელსაც დედამ ძუძუ მისცა გასაჩუმებლად და ისიც, ტუჩებით ზედ მიკრული, გაინაბა, რადგან მიაღწია უმაღლეს სურვილს. ცხადია, ეს შეგრძნება, რაც, თავდაპირველად, ზემოთ მოყვანილი ლექსის წერისას დაეუფლა მას, ისე როგორც ის, რაც «ნათელაში» ხდება, ლირიკული გმირის გარკვეულ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს და გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ერთ პერიოდს უნდა მიანიშნებდეს (1959 წლის ივლის-აგვისტო). ეს მოსაზრება განმტკიცებულია, აგრეთვე, სხვა ფაქტებით (იხ. ქვემოთ), მოგონებებითა და ტექსტოლოგიური ანალიზით.

ჩემი აზრით, მწერლის ცხოვრება-შემოქმედებას, პირველი მოთხრობიდან დაწყებული, მიჰყვება «ვერმიღწეულის ვნება». ამის საფუძველი ემპირიულ დონეზე,

ვფიქრობ, საძიებელია მის პირველ აუხდენელ სიყვარულში (იხ. ტომი 1. «ცქიტო და სელიოდკას» შენიშვნები). ასეთ ფონზე «ნათელა» აღიქმება როგორც ნატვრის ასრულება. მისი სიუჟეტი თითქოს იმ სამყაროდანაა («ღმერთო ჩემო, რა ერქვა იმ ახალ სამყაროს, რომელშიც მოულოდნელად აღმოჩნდა გიო?»), სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აქ არ იკარგება ადამიანის «ანთებული მზერა», მიმართული მეორე ადამიანისაკენ. «რაღაცა ყველაზე ძვირფასი», მაგალითად, თუნდაც ის, რაც «შაშას რევოლუციაში», ღრმად გულში ჩამარხული, უსაგნოდ იყო დატოვებული, აქ რეალურობას იძენს. საინტერესოა, რომ ეს არის მწერლის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც ჩემი ძმა «სრულიად მოულოდნელად» უბრუნდება მზია ჩაჩავაზე ფიქრს.

ამონაწერი მწერლის 1956 წლის მარტის დღიურიდან: «ჩემს გულს ორივე უნდა, ორივე ერთი გაგებით, რომ ერთში იყოს როგორც სულიერი ისევე ფიზიკური მხარე სიყვარულისა. მე მინდა სიყვარული, ტოლი ჩემი, თავისი სულით და ხორცით. აი, ჩემი საგაზაფხულო სევდის მიზეზი». გურამი მიისწრაფვის მზია ჩაჩავასაკენ. როგორც ჩანს, მას მიაჩნია, რომ გახლეჩილი სული და სხეული მხოლოდ მზიაში შეიძლება გამთლიანდეს. მკითხველს გავახსენებ ამ ტომში მოცემულ ორ ნაწარმოებს, სადაც დაუფარავად შემოდის ქალის სახელი «მზია» და წინა ტომში დაბეჭდილ მოთხრობას «ლეილა სარკესთან». ამ ნაწარმოების შავ ხელნაწერში ჩანს, თუ რა გულდასმით ცდილობდა გურამი სახელი მზია შეენიღბა ქალის სხვა სახელით (იხ. ამ მოთხრობის შენიშვნები). ჩემი ძმა, თურმე, მართლაც ისე, როგორც 1960 წელს მზიასადმი მიწერილ წერილში წერს, ყველა ქალის უკან ხედავდა მზიას. თუმცა გარეგნულად, ამხანაგ-მეგობრებისათვის, ისე როგორც ოჯახის წევრებისათვის, ეს იყო უკვე დიდი ხნის დავიწყებული ამბავი.

ამონაწერი 1958 წლის ოქტომბრის დღიურიდან:

«ვეხლები კედლებს (ნუგზარ _ ედიშერის)… და მივდივარ და მხოლოდ წერის დროს, არა, ნაწერის დაბეჭდვის დროს, არა, რაღაც ჩემთვისვე შეუცნობელ ადგილას ვრჩები მარტო, დაე, იყოს ეს ადგილი სახელად ტროლეიბუსი, აქ, ამ ადგილას ერთდებიან ისინი ერთად, ისპობა მათ შორის ზღვარი, ისინი არიან ხალხი, ისინი ღრიალებენ და აიძულებენ ჩემს გულს უყვარდეს რაღაცა დიდი, ზოგადი, რომელშიაც სასაცილომდე პატარად მოჩანს ძმაკაცობა, ხელოვნება ედიშერისა, ხელოვნება ნუგზარის, ჭიდილი ჩვენ სამში მაგნიტდება, ერთმანეთისაკენ ლტოლვა ყველა ამინდში და შეხლისთანავე დაშორება, ის დიდი გარშემო ეხვევა ყველაფერს, ამ დიდს არა აქვს ლტოლვა, ამ დიდს არა აქვს დრო, დამოკიდებულება, ეს არის დიდი და მძიმედ მსუბუქი და ის ძალიანა გავს სიკეთეს, რომელიც კერძოდ არავის არ ეკუთვნის.»

ამონაწერები «ნათელადან»:

«ის მიდიოდა დიდი ნაბიჯებით, კვალიდან კვალზე ადგამდა მძიმედ ფეხებს, ის იყო ბედნიერი, რომ მის ქვევით სწორედ აყალო, შავი მიწა იყო, ის მიაბიჯებდა და გრძნობდა სრულ ერთიანობას, სისავსეს გონებასა და სხეულს შორის, რისგანაც ებერებოდა ფილტვები, უხურდა სახე, წითლად უღვიოდა მთელი ორგანიზმი, მისი ნაბიჯები ყოველი გოროხის უკან დატოვების შემდეგ უფრო უცნაურად მძიმე, მსუბუქად მძიმე ხდებოდა. დაკუნთული მკერდი ადიოდა მაღლა და უფორმო სიხარული, მოკლებული ყოველგვარ კონკრეტულობას, მიწასთან ერთად ეხებოდა ჰაერსაც, დილის გაურყვნელ, უცოდველ ჰაერს. ის იყო იმ მდგომარეობაში, რომლის შემდეგაც ადამიანს შეუძლია მხოლოდ მაღლა აფრინდეს, თან აიტანოს მიწაც, ეს

უზომოდ ბუნებრივია ასეთ მდგომარეობაში, რადგან არც ჰაერი ეჩვენება მას მსუბუქად, არც მიწა, არც თავისი თავი, უბრალოდ, ამ დროს არაფერს წონა არა აქვს, სწორედ ამაში არის სიმძიმე, ოღონდ დიდი, გრძნობადი სიმძიმე, რომელიც არც ერთ ბუნების კანონს არ ემორჩილება».

«ის იყო ძალიან პატიოსანი ბიჭი, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ეს, რაც ამ წამში მოხდა, ის, რაც ამ გოგონამაც იგრძნო, _ რომ იგრძნო, ეს იყო ეჭვის გარეშე, _ არ იყო მხოლოდ დიდისაგან პატარის შემჩნევა, უბრალო ცნობისმოყვარეობა, – ის, საერთოდ, ყველა ასაკობრივი დამოკიდებულების გარეშე იდგა, _ მაგრამ ის არ იყო არც სიყვარული, როგორიც შეიძლება ჩვეულებრივი მომწიფებული ქალისადმი, ეს იყო სულ სხვა რაღაც, ალბათ, ის, რაც შეეფერებოდა გიოს დილანდელ განწყობას, როცა საგნები კარგავენ წონას და კაცს შეუძლია ჰაერთან შეერთება.»

ასე რომ, «ნათელაში» თითქოს რეალობად, ამქვეყნიური სამყაროს კუთვნილებად იქცევა მწერლისათვის იმ «მძიმედ მსუბუქის» შეგრძნება, რის შესახებაც ის 1958 წლის დღიურში წერდა. მოთხრობის დაწყება _ «შემოდგომის ხვნის შემდეგ ამოტრიალებული ნიადაგით», ანუ ექსპოზიციის გარეშე (რის შესახებაც ზემოთ იყო ნათქვამი), ვფიქრობ, იმითაცაა კიდევ გამართლებული, რომ ეს ფრაზა, როგორც მუსიკალური ნაწარმოების პირველი ბგერა, ცხადია, მთელი ნაწარმოების ფონზე, რეტროსპექტულად, ყოველგვარი შესავლის გარეშე, თითქოს იმ სიღრმისეულ სამყაროს მიანიშნებს, რაც, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში თვალით უხილავ შრეებშია ჩამალული (საინტერესოა, რომ ამ ხერხს მწერალი სხვა მოთხრობებშიც მიმართავს. მკითხველს გავახსენებ ძაგანიას ანგრეულ, დაულაგებელ ოთახს, რომელიც ასოცირდება გმირის შინაგან სამყაროსთან, ან კიდევ «საიდან მოვდივარში» იმ მომენტს, როდესაც მთხრობელი გმირის აფორიაქებულ ხასიათს სკივრიდან გასამზეურებლად გამოფენილ ნივთებს შეადარებს და სხვ.). ასე რომ, მოთხრობის პირველივე აბზაცში იქმნება განსაკუთრებული დრო და სივრცე, რაც ხდება საფუძველი გმირის (გმირიც განსაკუთრებულია! დაჯილდოებული გარკვეული უნარით) სიღრმისეული სიტყვის ამოძრავებისა _ «სხვა ყველაფერი უნებურად ხდება ამ ფიქრის ქვეშ». «სხვა ყველაფერი» არის ის, რაც შეეფერება «გიოს დილანდელ განწყობას, როცა საგნები კარგავენ წონას და კაცს შეუძლია ჰაერთან შეერთება.» ლირიკული გმირისათვის სამყარო, ცისა და მიწის საოცარი სიახლოვისა და თავისი სითბოს უშურველად გამცემი მზის ფონზე («პატარა ღრუბელიც კი არ არის მათ შორის»), წარმოდგება ერთმანეთისაკენ მისწრაფულ, ღია, ურთიერთგამჭოლ, ჰარმონიულ მთლიანობაში, ბარიერებისა და ზღვრების (გაიხსენე ძაგანიას ხილვა «შაშას რევოლუციაში»), ბრძოლისა და წინააღმდეგობების, აზრთა ჭიდილის გარეშე, თავისუფალი პატივმოყვარეობისა, შურისძიებისა და შეურაცხყოფის ვნებისაგან (მკითხველს გავახსენებ, რომ გმირის სახელი არის გიო და არა გურამი, ან შაშა ან სხვა ვინმე). შესაძლებელია, რომ ეს არის სწორედ ის სამყარო, რასაც ხედავს გურამი «ირინას» მინაწერისათვის გაკეთებულ ჩანაწერებში (იხ. «ირინა და მეს» შენიშვნებში ჩანაწერები «მინაწერისათვის»). ამ სამყაროში ისეთი «მარტივია» ადამიანი, რომ ხალხი «უმოციქულოდაც», ე.ი. მეორე ადამიანის, თუნდაც მწერლის, ჩაურევლად, უგებს ერთმანეთს. ეს არის ის გაგება, «საითკენაც მიისწრაფვიან ურთულესი მეცნიერული კამათები». ასეთი შეგრძნება, ალბათ, მხოლოდ წამიერად ეძლევა ადამიანს და თავის მოჯადოებულ, მაგნიტურ წრეში მოაქცევს ყველაფერს მის გარშემო, უსულო სამყაროსაც კი. თითქოს, მართლაც არსებობდეს რაიმე «ენა უასაკოთა და უსულთ შორის.» «ნათელას» რედაქტირებისას მნიშვნელოვანი იყო

ჩემთვის მთავარი გმირის ეს შეგრძნება. ამ თვალთახედვით გამართლებას პოულობს მოთხრობის ის სიტყვები, რაც ადრეული გამოცემებისას შესწორებული იყო რედაქტორის მიერ, როგორც არამართებული ფორმები (მაგ.: მანქანა «გაფუჭდა» «აიშალას» ნაცვლად, მანქანა «მიჰქროდა» «მირბოდას» ნაცვლად, მანქანის «ხმა» მანქანის «ყვირილის» ნაცვლად და სხვ.).

მას შემდეგ, რაც თითქმის პირველივე ეპიზოდში ხრამიდან ამომხტარი გმირის წინ უამრავი ფერებითა და სხივებით აბრჭყვიალდება მზე და ის უეცრად მიხვდება, რომ მარტოა და «საშინლად მოუნდება ლაპარაკი», შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობის სიუჟეტში ყველაფერი უკვე მზადაა «კურთხეული სამკუთხედის» შესაკრავად («ჩვენ ვიქნებით ბედნიერნი თუ არ დავარღვევთ ღმერთისაგან კურთხეულ და შეკრულ სამკუთხედს: ღმერთი, მე და მოყვასი. ამ სამკუთხედში დიდი მადლი ტრიალებს; ეს არის სიმბოლო ყოვლად წმინდა სამებისა, სიმბოლო სიყვარულისა, იგია სათავე ადამიანური სიყვარულისაც.» პატრიარქის საკვირაო ქადაგებიდან), ორი ტოლი ადამიანის შესახვედრად. ეს შეხვედრა (აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში თავდაპირველად დაწერილი «გაიცნო» _ «სადაც მან გაიცნო პატარა ნათელა» _ მწერალმა გადაშალა და ზევიდან დააწერა «შეხვდა»), ერთი მხრივ, მართლაც, თითქოს ზღაპრის სამყაროდანაა, ოცნების ასრულებაა და, მეორე მხრივ კი, არის უმარტივესი, სრულიად ბუნებრივი რეალობა. ამ სამყაროში «მთავარია გინდოდეს მეორე ადამიანთან შეხვედრა და აუცილებლად შეხვდები მას» (მწერლის მიერ გადაშლილი სიტყვები). «ნათელაში» ჩანს მოპოვებული სულიერი წონასწორობის რაღაც მომენტი. ნათელასა და გიოს შეხვედრა წარმოგვიდგება ამ გაუხლეჩელი სამყაროს ხილულ სიმბოლოდ თუ დამამტკიცებელ საბუთად. აქ სიტყვებს, მარტივ, სადა დიალოგებს, ურთიერთობებს პერსონაჟთა შორის, მათი რეალისტურობის მიუხედავად, თითქოს წონა არა აქვთ, რეალური სიტყვა აქ უხილავი სამყაროს ექოსავით გაისმის. ამიტომაა, ალბათ, რომ, თავისუფალი ყოველგვარი სიმბოლიკისა და ქვეტექსტისაგან, ისინი თითქოს ზედროულ, ზოგად ურთიერთობებს გამოხატავენ (აქ მკითხველს გავახსენებ, აგრეთვე, მეორე ტომიდან მოთხრობას «ბაბუა და შვილიშვილი», რომელიც, ვფიქრობ, მსგავს განცდას ბადებს). ეს განცდა კი არ უარყოფს სინამდვილეს, რეალობას, არამედ მას უხილავი სამყაროს ნაწილად აქცევს, ისე როგორც სულსა და სხეულს ერთ მთლიანობაში მოიაზრებს.

გურამს მოეწონა ჯეიმს ჯოისის «დუბლინელები,» საოცარი სიღრმე დაინახა მასში, - მითხრა ერთხელ თემო ჯაფარიძემ. მართლაც, «დუბლინელების» ერთ-ერთი ცენტრალური მოთხრობა «მკვდრები» ნახსენებია ჩემი ძმის 1958 წლის დღიურში. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამოძახილი იყოს «ნათელას» ბოლო ეპიზოდი, სადაც გურამი, ისე როგორც თავის დროზე ჯეიმს ჯოისი «დუბლინელებში», სამყაროს სიღრმისეული ერთიანობის და, შესაძლებელია, მისი არსობრივი სიწმინდისა და სისუფთავის გამოსავლენადაც მოიხმობს თოვლს, რომელიც თანაბრად მოეფინება მთელ სამყაროს და ერთნაირად ფარავს ცოცხალსა და მკვდარს, ხოლო «ნათელაში» - გიოსა და ნათელას ნაფეხურებს: «ფიფქები ფარავდა ამ დიდ ნაფეხურებსაც, ისევე როგორც დაფარეს პატარა, გაუბედავი ნაბიჯებისგან დატოვებული ნაფეხურები». «თოვლით» მწერალს, ისე როგორც თავისებურად აგებული დიალოგებით, თითქოს სურს გამოხატოს რაღაც ზედროული, სივრცისა და დროის გარეშე არსებული, ისეთი,

რაც ობიექტურად, პირადი განცდის ჩაურევლად, ათანაბრებს სამყაროს და ხილულად წარმოაჩენს მის მთლიანობას, ერთიანობას. «თოვლი» სიმბოლური მნიშვნელობით გურამის შემოქმედებაში, ჩემი აზრით, პირველად სწორედ ამ მოთხრობაში გამოჩნდა. მკითხველს მინდა ყურადღება მივაქცევინო, აგრეთვე, თოვლზე დაუმთავრებელ რომანში «საიდან მოვდივარ» («თეთრ თოვლებზე მწვანე ბუჩქი აიყარა..... მრგვალ ბუჩქებს შუა სამ-ოთხტოტიანი იასამნები აყვავდნენ. ისინი წელში ირხეოდნენ, ტოტებს ხელით შლიდნენ და ღმერთს თავის ყვავილს აწვდიდნენ», «დილაზე მზია ვიპოვე წელამდე თოვლში, მოდიოდა შატილიდან» და სხვ.), «ბათარეკა ჭინჭარაულში», სადაც მოქმედება მიმდინარეობს წელიწადის იმ დროს, როდესაც «აღარ არიან ქედების ძირში ნაზი იები, აღარ იკრიფება ქედზე შეფენილი შავშალა ხილი; იმათ ადგილზე დაუსრულებლივ დევს თოვლი და ათოვს ზევიდან»; «დევების ცეკვაში» თოვლი დევს მთების მაღალ წვეროებზე, იქ, საითკენაც მიისწრაფვიან ძმები ხორჯოლანები. ეს სიმბოლოც ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად იქცა ჩემთვის მწერლის ცხოვრება-შემოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩოს გააზრებისას (1959 წლის აგვისტო-სექტემბერი). ამ მხრივ, საინტერესოა, აგრეთვე, ქალწულობის თემა, ყველა ზემოთ ნახსენებ ნაწარმოებს რომ გასდევს და კვლავ მათ სიღრმისეულ ერთიანობას წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით, ეს ოთხი მოთხრობა შეიძლება ერთ ციკლად იქნეს მოაზრებული.

«ნათელა» პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ «მნათობში» 1964 წელს, №12, შემდეგ - 1965 და 1985 წლების კრებულებში.

«საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა....»

ავტოგრაფი შედგება მჭიდროდ ნაწერი ორმოცდაორი გვერდისაგან. პაგინაციის აღმნიშვნელი რიცხვი, რომელიც წერია ფურცლის თავში, შუა ადგილას, და დასმული აქვს წერტილი, ამავე დროს, მიანიშნებს ქვეთავსაც. მეორე თავიდან პაგინაციის აღსანიშნავად დაწერილი ორი რიცხვიდან [მაგალითად: 18(24)] პირველი რიცხვი მიანიშნებს მეორე თავის გვერდს და ქვეთავს, მეორე რიცხვი კი - ორივე თავისათვის საერთო პაგინაციას და ქვეთავსაც. მთელი ნაწარმოები უფრო წვრილი ასოებითაა ნაწერი, ვიდრე ჩვეულებრივ წერდა ხოლმე გურამი. ბოლო გვერდებისაკენ ხელწერა კიდევ უფრო წვრილი და გაკრული ხდება. ავტოგრაფის მოწვრილო ხელწერა იმ ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული, რომ გურამს, როგორცა ჩანს, გადაწყვეტილი ჰქონდა თითო გვერდზე მოეთავსებინა თითო ქვეთავი, რომელიც ზოგჯერ სულ ორი აბზაცისაგან შედგება. ზოგიერთ ქვეთავში ხელწერა კიდევ უფრო წვრილდება, რათა არ დაირღვეს პრინციპი: ერთ გვერდზე _ ერთი ქვეთავი. ზოგჯერ კი, მართალია, ერთი-ორი წინადადება მეორე გვერდზეც გადადის, მაგრამ მაშინ ქვეთავის აღმნიშვნელი რიცხვი წერია ამ გადასული წინადადებების ქვემოთ. ამ წიგნში მოცემულ ტექსტში დაცულია ხელნაწერში ქვეთავების დანომრვის თავისებურება. ავტოგრაფი დაწერილია იმავე მელნითა და კალმით, როგორითაც წინა ორი მოთხრობა ჩრდილო კავკასიის ციკლიდან, იმავე მოლურჯო-მომწვანო საერთო რვეულში, მსგავსი ხელწერით (იხ. წინა მოთხრობების კომენტარები). პირველი გვერდები იწყება თითქოს ახალი ენერგიით, შედარებით გამოყვანილი ასოებით. თუმცა მყარი ხელწერა, ამ პერიოდის სხვა ავტოგრაფების მსგავსად, მალევე გადადის

გაკრულ, შიგადაშიგ დაქანებულ ასოებში. რამდენიმე მინაწერი არეზე და ხაზებს შორის ჩატევის მიზნით წვრილად დაწერილი სიტყვები, ისე როგორც, ზოგიერთი გადაკეთებული სიტყვა, მაფიქრებინებს, რომ ხელნაწერი თავიდან არის გადაკითხული მწერლის მიერ, შეიძლება მაშინ (ეს უნდა ყოფილიყო 1960 წელი), როცა მან გადაწყვიტა განეახლებინა რომანზე მუშაობა. ბოლო გვერდები დაწერილია თითქოს უფრო წმინდა ან გაწმენდილი კალმით. ეს უსათაურო და უთარიღო - ვფიქრობ, დაუმთავრებელი - ნაწარმოები შექმნილი უნდა იყოს 1959 წლის ზაფხულში (იხ. შემდეგ).

ზოგიერთი თავი იწყება ბრჭყალებით, თითქოს მწერალს უნდოდა შიდა მონოლოგის მინიშნება. რადგან ამას ეპიზოდური ხასიათი აქვს და, როგორც ჩანს, წერის პროცესში თვითონ მწერალმა თქვა უარი თავის განზრახვაზე, ამიტომ ამ გამოცემაში ტექსტის ეს თავისებურება არ არის დაცული.

ხელნაწერის გვ. 13, მინაწერი არეზე, პაგინაციის აღმნიშვნელ რიცხვთან: «სჯობს მესამე პირში, საერთოდ.»

გვ. 16. მინაწერი არეზე, გვერდის ბოლოს: «ველარ გრძნობს რად არ მოიქცა სწორად _ იცის, მაგრამ ველარ გრძნობს _ ყველაზე საშინელი ამბავია».

გვ. 18. მინაწერი არეზე სიტყვებთან «ხევსური ვერ გასცვლის თავის სალ კლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა»: «გადამსახლებელი კომისია, რომელიც მშვენივრად გრძნობდა უმოქმედოდ თავს და სულ არ ფიქრობდა ხევსურებზე, უცებ შეფუცხუნდა. რამდენიმე პატაკი წარუდგინა მთავრობას, რომ შატილის, არხოტის და ბარისახოს თემები წინაღუდგებიან და მათი გადასახლების შესახებ გადაწყვეტილებას არ ემორჩილებიან /ფაქტიურად, ასეთი გადაწყვეტილება არც კი არსებობდა, მაგრამ ის სასწრაფოდ გამოსცეს თვითონ ხევსურთა მოთხოვნის საფუძველზე/»

გვ. 18. მინაწერი არეზე სიტყვებთან «სადაც კი შეიძლებოდა ხმა მიაწვდინეს»: «არ უნდა». აქვეა დასმული მწერლის მიერ დიდი კითხვის ნიშნები.

გვ. 22. მინაწერი არეზე სიტყვებთან «უცებ ცხენმა მთელი ძალით მოქაჩა აღვირს»: «ეს უნდა დაიწეროს ისე, თითქოს გურამი ხედავს».

არქივში ინახება, აგრეთვე, ექვს პატარა, მაგარ - ჩვეულებრივ, ჩანახატებისათვის განკუთვნილ - ქაღალდზე გაკეთებული ჩანაწერები ნაწარმოებისათვის (ისინი იდო იმ რვეულში, რომელშიც ნაწარმოებია დაწერილი). ჩანაწერები და ძირითადი ტექსტი დაწერილია ერთი კალმით და ერთი ფერის მელნით. ჩანაწერების ერთი გვერდის მარცხენა ზევითა კუთხეში წერია: «გ. რჩეულიშვილი 1960 წ.», რაც, თავდაპირველად, ჩემ მიერ ამ ნაწარმოების არასწორი დათარიღების საფუძვლად იქცა. თარიღი გამოყოფილია ტექსტიდან შტრიხებით, რაც მას გარკვეულ მნიშვნელობას სძენს.

ნაწარმოების შექმნის ისტორია, რაც ემყარება მწერლის არქივისა და ცხოვრება-შემოქმედების კვლევას, ასე მესახება:

როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები), 1959 წლის 15 ივლისს გურამი წყალტუბოდან ჩამოვიდა ანდრო ჭიჭინაძის დაკრძალვაზე. 30 ივლისის წერილიდან (მამა დედას, ხოსტაში) ირკვევა, რომ მამას უნდა გურამის წაყვანა ჩრდილო კავკასიაში. მამა წერს იმასაც, რომ იქიდან ჩამოსვლის შემდეგ გურამი აპირებს განაახლოს მუზეუმში მუშაობა, რაც, როგორც წერილებიდან

ირკვევა, მან ავადმყოფობის გამო შეწყვიტა. მამა და გურამი მიემგზავრებიან ჩრდილო კავკასიაში, რასაც მოჰყვება ჩრდილო კავკასიის მოთხრობათა ციკლი. თავდაპირველად ის წერს ორ მოთხრობას: «უცნაურ ამბებს მიყვებოდა ტაქსის შოფერი» და «მე ვიდექი ბარის შუაში». ჩამოსვლის შემდეგ გურამი აგრძელებს მუზეუმში სიარულს და იმ საერთო რვეულში, რომელიც უკვე ვახსენეთ (იხ. შენიშვნები წინა მოთხრობებისათვის), წერს კიდევ ორ მოთხრობას ამ ციკლიდან. შემდეგ მამასთან ერთად ის ერთი დღით მიდის თიანეთში. ჩამოსვლისთანავე სახლში ან თიანეთშივე, რაც უფრო სავარაუდოა, წერს «ნათელას». შემდეგ ისევ მიდის მუზეუმში და იმავე ხელწერითა და საწერ-კალმით, რითაც დაწერილია ჩრდილო კავკასიის ციკლის ბოლო ორი მოთხრობა, იწყებს უკვე ამ ნაწარმოების წერას, რომელიც, შესაძლებელია, წერის პროცესშივე გადაიზარდა, ჩემი აზრით, რომანად (ამონაწერი დღიურიდან: «ყველა მოთხრობა, თუ დროზე არ გაჩერდი, შეიძლება რომანადაც გადაიქცეს»).

ეს უნდა ყოფილიყო 1959 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვები (აგვისტოს ბოლო ნახსენებია თვითონ ნაწარმოებშიც).

საინტერესოა, რომ ბევრი რამ მიეცა დავიწყებას დიდი ხნის წინანდელი ამბებიდან, მაგრამ 1959 წლის აგვისტოს სიცხეები ბევრს ახსოვს. ნუგზარ წერეთელმა მითხრა: 1959 წლის აგვისტოში საშინელი სიცხეების დროს, მახსოვს, მე და რუსიშვილი მუზეუმში მივედით გურამთან. ის მუზეუმის ქვედა სართულში თავის ოთახში იჯდა და რაღაცეებს წერდა.

გოგი ოჩიაურსაც გაახსენდა, რომ 1959 წლის აგვისტოს ერთ განსაკუთრებულად ცხელ დღეს ის ზემელზე შეხვდა გურამს, შევიდნენ რესტორან «გემოში». რესტორნიდან თურმე საკმაოდ ნასვამები გამოვიდნენ და წავიდნენ კიროვის ბაღში. მკითხველს გავახსენებ რომანის 4_15 ნაწილების ქრონოტოპს: კიროვის ბაღი აგვისტოს სიცხეების დროს («საშინელია ეს დღეები, რომლებიც, ჩვეულებრივ, აგვისტოს ბოლოს წაეწყობა ხოლმე ზედიზედ»). ნაწარმოებში განსაკუთრებულადაა აღნიშნული ისიც, რომ გურამი, მწერლის ალტერ ეგო, ამ დროს პირველადაა თბილისში. მართლაც, აგვისტოში გურამი, ისე როგორც მისი გმირი ამ ნაწარმოებიდან, უმეტესად ან მთაში იყო ხოლმე, ან ზღვაზე. მახსოვს, მითხრა გოგიმ, კიროვის ბაღში გურამი ვიღაც გოგოსთან მივიდა და ჩვენი თავი წარუდგინა: გაიცანით, გოგი ოჩიაური და მე _ გურამ რჩეულიშვილი, ამისთანა ბიჭები თბილისში არ არიანო. გოგოებმა გვითხრეს, თქვენ ხულიგნები ხართო და წავიდნენ. ჩვენ იმ სკამზე დავსხედით. გოგიმ თქვა: რესტორანში ბევრს ვლაპარაკობდით ხევსურებზე; მოვუყევი ხევსური გოგოს ამბავი, რომელმაც შეურაცხყოფისაგან მოიკლა თავი.

შესაძლებელია, გურამი მეორე დილასვე ადრიანად წავიდა მუზეუმში, რომელიც მდებარეობდა კეცხოველის ქუჩაზე, შევიდა სარდაფის სართულში მოთავსებულ თავის ოთახში და დაწერა ის სიტყვები, რითაც ეს რომანი იწყება: «საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა». ჩემი აზრით, ამ სიტყვებით ჩაერთო ის, იმ «მაძიებელ» გმირთა გალერეაში, რომელთაც წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი უწოდებს «საბრალოს»: «ჭეშმარიტად, ამბობს წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი: «ჩემი ცხოვრების დასაწყისში დასასრულია და დასასრულში საწყისი ჩემი, მე არ ვუწყი საიდან მოვედ და არც ის ვიცი, სად ვიმყოფები და, საბრალო, ვერც იმას ვხვდები, თუ საით წავალ. ასეთია ხვედრი ყოველი კაცისა.» შემდეგ, როგორც მისთვის იყო ჩვეული, მან ძალიან სწრაფად შეავსო ამ რვეულის 42 გვერდი და, ვფიქრობ, ასევე უეცრად დაანება თავი: გურამმა გადაწყვიტა მოთხრობების მომზადება კრებულის

გამოსაცემად. მალე, როგორც ჩანს, ამასაც გაანება თავი და - ასე მგონია, თავისთვისვე მოულოდნელად - დაწერა «ბათარეკა ჭინჭარაული», რომელშიც სრულყოფილი ფორმა პოვა მზიასა და ბათარეკას ამბავმა, გოგი ოჩიაურისგან გაგონილმა (მზიას მამის სახელი «ბათარეკა» გოგისვე ეკუთვნის. იხ. შენიშვნები «ბათარეკა ჭინჭარაულისათვის»). მერე კი დაწერა «დევების ცეკვა».

ამ დათარიღების (1959 წელი) სასარგებლოდ მეტყველებს, აგრეთვე, რომანისათვის გაკეთებული ჩანაწერების ანალიზი. თავდაპირველად, ამ ჩანაწერების ერთ-ერთ გვერდზე აღნიშნული თარიღის («1960 წელი») თანახმად, რომანის დაწერის დროდ მივიჩნიე ეს წელი.

ჩანაწერები (გვერდები დაუნომრავია. ფურცლების თანმიმდევრობა პირობითია)

<u>ერთი ფურცელი:</u>

«ვერაფერმა ვერ მოკლა მინდია, მოკლა გურამის დაცვამ, გურამმა მოკლა ის, ვინც მოკლა ბერდია _ გურამს ტურისტობა არ შეუძლია, როცა ჩავა, უნდა ჩაერიოს იმ ცხოვრებაში. ამოწურავს და მორჩა, მოდის უკან.

არც ტურისტობა შეუძლია და არც ბოლომდე შესვლა იმათ მდგომარეობაში, ყოფაში.

მხოლოდ ფრთას წაჰკრავს, ააფორიაქებს და უკან ბრუნდება.

სიგიჟისა და ნორმალურობის შესახებ, ზღვრის შესახებ. დიდი პიროვნების აუცილებელ ნორმალურობაზე.

_____

!!! როცა ისევ გურამთან დავბრუნდები: _ არის ორი კუთხე მხედველობისა. ერთი, რომელშიაც მხოლოდ მრუშობას ხედავს, თვით სიწმინდეში მეშჩანობას! მეორე, რომელიც გარყვნილებაშიაც წმინდას ამჩნევს. ორივე ტენდენციაა: გურამი იღებს ცხოვრებას ისეთს, როგორიც არის, და მხოლოდ იმათ ქცევებთან კი არა, საკუთარ საქციელთან აქვს საქმე.»

<u>მეორე ფურცელი:</u>

«სიბრძნე თავისთავად შეზღუდვაა _ ტოლსტოი. (ერლომესგან?)»

<u>მესამე ფურცელი:</u>

«ხევსურეთში გადასასახლებელი ხალხის ბელადად იქცევა და აქ უყვარდება გოგო _ იქ (I) ბელადობაა _ პირველობა! აქ სიყვარული? ორივე ერთად (რთული სიტუაციაა, არ შეიძლება, მაშინ, სიყვარულის შემთხვევა თუ გამჟღავნდა, აღარ დაუჯერებენ)»

<u>მეოთხე ფურცელი:</u>

«ვინც გაიქცნენ, ესენი იყვნენ ბარში გადასახლებული ხევსურები, აქეთ სააგიტაციოდ წამოსული, ერთ-ერთ აგიტატორს მოსისხლე აღმოაჩნდა აქ, თანაც გადასახლებაც არ უნდოდა არავის და ამიტომ დასცხეს.

——— . ———–

ალყაშემორტყმული შატილი მეოცე საუკუნეში, უცნაური ეგზოტიკაა. ქვევით მილიციელების უხეში ფორმები. ამ დროს გურამს გამოაქვს თავის ქალები აკლდამებიდან და ბრედავს.

——— . ———–

გურამმა მთელი სოფელი შეაჯიბრა მთავრობას და უღალატა თუ არა?! არ იცის, გამოიქცა, მოსწყინდა და ყველაფერი დაწყებულის უაზრობა იგრძნო.

——— . ———–

აქედან წასული ხევსური ღამე ბერდიას და მზიას დაესხმება თავს, მათ აშაქალი კლავს. ის ხევსური ჯერ მზიას იტაცებს. ბერდო ისვრის, ოღონდ სიარული არ შეუძლია. აშაქალი ცხენით ეწევა, ეს ხევსური ქისტია სინამდვილეში, რომელიც გამილიციონერდა და მერე ჭინჭარაულად ასაღებს თავს. და მას გეგმაშიც ჰქონია მზიას მოტაცება, ოღონდ ადრე იცნეს ერთი იმათგანი და მოკლეს, უცებ ღამე წააწყდება მზიას.

——— . ———

გურამი მას რატომ ათავისუფლებს და ხევსურებიც რატომ უშვებენ: ჯუბას ქვევიდან მილიციელის ფორმა დაუნახა, სხვებმაც დაუნახეს, ამიტომ ასე ადვილად გააშვებინეს _ მთავრობასთან დავა არ უნდოდათ.»

<u>მეხუთე ფურცელი:</u>

«სიუჟეტისთვის: ბათარეკას ცოლი, მთავრის ქალი, გურამთან ამბავს იწყებს, როცა მოუსწრებენ, ძუძუზე კბილს დაადებინებს და იშვილებს.

მზიასთან ამბავი

ბებერი ბერდია მოკლავს მილიციონერს, რომელიც ის ქისტი გამოდგება, გაქცეული ბარში

——— . ———-

თავის ქალების ბრედვა მძაფრი სიტუაციების დროს».

<u>მეექვსე ფურცელი:</u>

«რა მინდა მე ამ ხალხს შორის, რომელიც ადგილს იცვლის და ნამდვილი ცხოვრება ჯერ არ დაუწყია, რა მინდა მე იმ მეზაფხულეებთან, რა მინდა მე ყველა იმათთან, ვინც უკან დარჩა, წინ წასულს _ ადამიანი უკან ჩამორჩა, საერთოდ, თავის შექმნილს, «დროთა კავშირი დაირღვა და მუხთალმა ბედმა მე რად მარგუნა იმისი შეკვრა.» ამ საუკუნეში აწმყომ გაუსწრო აწმყოს. გურამი იკვებება <u>ნამდ. ცხოვრ. ანარეკლით</u> (ჩამატებულია _ მ.რჩ.), თეატრით (მეზაფხულეები, ხევსურეთი) და არა თვითონ ნამდვილი ცხოვრებით».

<u>მეშვიდე ფურცელი:</u>

«სიცხეში პირველები უმტკივნეულოდ პირველობენ, აქ არც ჯიბრია.

მე _ ვეჯიბრები სირბილში, აქ უკვე სხვა ნოტაა».

ცალკე ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერი:

«აუწთომელსა ნუ ეწუთრები, გარდასულს ნუ ინანი და რომელი შენთვის არა გინდოდეს ბოროტი, სხუასა ნუ უზამ და სცხონდე.»

1960 წელს გურამს, როგორც ჩანს, უნდოდა განეახლებინა მუშაობა რომანზე. მას მუზეუმში დატოვებული ჰქონდა რვეული და კალამი (რვეული, როგორც სხვა მოთხრობების შენიშვნებში უკვე აღვნიშნე, გადმოგვცეს მხოლოდ გურამის გარდაცვალების შემდეგ). ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ძირითადი ტექსტი და ჩანაწერები ერთი კალმითა და მელნითაა დაწერილი, თუმცა, ვფიქრობ, სულ სხვა დროს.

სავარაუდოა, თავდაპირველად, გურამმა აღნიშნა დრო, როდესაც მან განაახლა რომანზე მუშაობა _ დაწერა თარიღი და გვარი (რაც ამ პერიოდში იშვიათად გვხვდება) პატარა, მაგარი ფურცლის მარცხენა ზედა კუთხეში და ამ ფურცელზევე

გააკეთა ჩანაწერი: «ვერაფერმა ვერ მოკლა მინდია». ჩემი აზრით, ჩანაწერებში ჩანს, რომ რომანის ეს ორმოცდაორი გვერდი უკვე დაწერილია. ზოგიერთი ჩანაწერი (მაგალითად: «რა მინდა მე იმ მეზაფხულეებთან…»), ვფიქრობ, უკვე დაწერილი რომანის რეტროსპექტულ ანალიზს წარმოადგენს.

1960 წლისათვის, როდესაც გურამმა ამ ჩანაწერების წერა დაიწყო, უკვე შექმნილი უნდა ყოფილიყო «ბათარეკა ჭინჭარაული», «დევების ცეკვა», «ალავერდობა», «დღიური» და, რაც მთავარია, ამ რომანის ის ეპიზოდი, სადაც ნახევრად ჭინკა, მახინჯ, ყველასაგან მოკვეთილ აშაქალს, რომელსაც მთელი ცხოვრება, ბავშვობის შემდეგ, მართლაც რომ «გამოცდის ჟამად» ექცა, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მსგავსად, გამოეცხადება ღმერთი და როგორც ღვთის რჩეულს, როგორც მეგობარს, «თავისი მაღალი ხმით დაბლად გაუბამს საუბარს». ხეობაში მოსიარულე ქუდმოხდილი ღმერთი, ნიავს მიშვერილი კრიალა შუბლით, პერანგზე შეხსნილი პირველი ღილით და სხვა, არის, ალბათ, მწერლის პიროვნული გამოცდილება. შესაძლებელია, ეს იყო ის მიზეზი, რატომაც შეწყვიტა ან ვერ გააგრძელა ჩემმა ძმამ წერა იმ ეტაპზე და გადაწყვიტა შეეკრიბა უკვე დაწერილი მოთხრობები და მოემზადებინა გამოსაცემად კრებული.

ჩემი აზრით, ამ ჩანაწერებში ჩანს, რომ 1960 წელს, როდესაც გურამმა გადაწყვიტა, რამდენიმე თვის წინ დაწყებულ რომანზე განეახლებინა მუშაობა, მან იგრძნო, რომ უკვე გადალახული ჰქონდა იმ ცხელი აგვისტოს უაზრო დღე, როდესაც ჯერ კიდევ არ იცოდა, საიდან მოდიოდა, საით მიდიოდა და რა უნდოდა და წინ იყო წასული! (დღიურიდან: «წავალ წინ, უკან აღარ მოვიხედავ»). წინ წასულს უკან დარჩა თავისი თავი, როგორიც იყო ის 1959 წლის ზაფხულში, ხან იქ რომ წაჰკრავდა ფრთას და ხან აქ. ის, რომ «ტურისტობა არ შეუძლია, რომ «საცა ჩავა, ერევა სხვის ცხოვრებაში» და არ შეუძლია იყოს მხოლოდ ზერელე მაყურებელი და სხვ., ვფიქრობ, გურამმა ცოდვად აღიქვა 1960 წლის თვალთახედვით (გაიხსენე მოხუცებული ქალი, უარი რომ უთხრა გურამს, რომელსაც უნდოდა დახმარებოდა მას ვარაზის ხევის აღმართზე წყლით სავსე ვედროების ატანაში. იხ. ტომი 1. შენიშვნები). ადრე შეიძლება ამაყობდა კიდეც ამ თვისებით, რაც მას თავის განსაკუთრებულობაში არწმუნებდა. ამ დროს კი ის თითქოს რეალურად მიხვდა: ეპიზოდური დახმარება, მსხვერპლის გაღების გარეშე, არ არის ჭეშმარიტი დახმარება. როგორც ჩანს, გურამს ეუფლება გრძნობა, რომ ის ჩამორჩა თავის მიერ შექმნილ გმირებს, თავის მიერ შექმნილ მხატვრულ სინამდვილეს და იკვებება მხოლოდ თეატრით, ნამდვილი ცხოვრების ანარეკლით, რომ ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე წინ მიდიან, იზრდებიან და დაბრკოლებებს ლახავენ მისი გმირები მის მიერვე შექმნილ მხატვრულ სამყაროში.

გურამი თითქმის პირველივე დღიურში წერდა იმ ცეცხლის შესახებ, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს დაინთო მის გულში (იხ. ტომი ხუთი, 1956 წლის მარტის დღიური). ამის შემდეგ მწერლის ბევრ დღიურს, ისე როგორც მისი მხატვრული შემოქმედების გმირთა სულიერ ბიოგრაფიას მიჰყვება შეგრძნება ამ ცეცხლის, რომელიც გაუთავებლივ მიისწრაფვის თითქოს განელებისაკენ, წყლისაკენ. ამ მხრივ, «კა და კოს» (1958 წელი. იხ. ტომი 4) გულში დაჭრილი, გულზე ცეცხლმოკიდებული მეომარი, ამაოდ რომ ეძიებს სიგრილეს ვეირამუტის მკერდში და, საბოლოოდ, წყლის პირას მისული, უწყლოდა კვდება, ამ მაძიებელ გმირთა განზოგადებულ სახედ შეიძლება წარმოვიდგინოთ. მკითხველს გავახსენებ ძაგანიას სიზმარს «შაშას რევოლუციიდან»: «სისხლი ჩადიოდა ჭაობში, ჭაობი ხურდებოდა, ორთქლი

ასდიოდა, იწვოდა სიცხისაგან ძაგანია, ძაგანიას წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი ....სახე ჭკნებოდა სიცხისაგან, ყელი უხმებოდა წყურვილისაგან, მაგრამ მის ქვევით სისხლის ფხვნილი კრავდა ჭაობს და წყლის დალევა შეუძლებელი იყო. წინ კი მოჩანდა სუფთა ჭაობის წყალი, რომლის ნაპირებზეც მშვიდად ისხდნენ ბაყაყები; ძაგანია მთელ სხეულს ძაბავდა, რომ როგორმე მიესწრო იმ ადგილისათვის, სანამ ისიც შეიკვრებოდა... ... მის მარცხნივ მშვენიერი ცხენი ება ...ახლა ველარსად გაექცეოდა წყალი... ისევ გაიღვარა ოფლში და ვერ მიაღწია წყალს, წყალი იყო მისი ერთადერთი მიზანი ... მუხლმოსხლეტით დაეცა წყლის პირზე, სველ ჭაობში».

ამ თვალთახედვით, მწერლის მთელი შემოქმედების ფონზე, «საიდან მოვდივარ»-ის სიმბოლიკა, ვფიქრობ, აშკარა უნდა იყოს. «მაღალი მთის წვერზე ასული» მწერლის ალტერ ეგო ძლივს, ამდენი წლების შემდეგ, შეიგრძნობს «ათასი წყლებით დასერილ» სამყაროს. წყლის სემანტიკური ველი ჩაითრევს ყველა სიტყვას, თუნდაც უშუალოდ წყალთან არ იყოს დაკავშირებული, მზესთან ერთად «საოცარ ჰაერსა» ქმნის და თავის განუმეორებელ ადგილს იჭერს «ერთ მუსიკად შეკრულ ათასი წყლის ხმებში», წყლის სიმფონიაში, რომელიც იქმნება «ახლად დაბადებული მილიონი ნაკადულებით», «ცვრიან ბალახში შეყრილი მილიონი წყლის წვეთებით», «ქვებიდან მრგვალი ბურთებით ამოსული წყლით მშრალი ქვებით რომ ეშვება ჩანჩქერისაკენ», მთის ნაკადულების, ჩანჩქერების, ბროლის მდინარეების და სხვ. ჩუხჩუხით, სირბილით, რაკრაკით … ვფიქრობ, ნაწარმოების პირველი თავების, ისე როგორც კონკრეტულად მეთექვსმეტე თავის გააზრება თითქმის მთლიანად სიმბოლურ პლანში შეიძლება. მისი კულმინაციაა ზევით აწეულ, შუაში გაყოფილ ბურუსში შემოსული სწორი მზის სხივი, რომელიც ეცემა მთის წვერს, ანუ იმ ადგილს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ შიშველ, ახლა უკვე ნესტიან, გრილ ბურუსში, თეთრ ცხვრის ქურქში მაგრად გახვეული (მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ იქვე, მთაზე, «თექაში გახვეული მწყემსის ბიჭია» წამოწოლილი) გურამი წევს. მან უკვე იცის, რომ ეს ის წყალია, რომელიც «უდიდეს ცეცხლსაც კი დააწყნარებს, ოღონდ ისე თავისებურად, ზომიერად, რომ არ ჩააქროს.» აქ თითქოს მთავრდება ლირიკული გმირის «უნებლიე მოგზაურობა», უმტკივნეულო ხდება ის მარადიული კითხვაც, რომლითაც იწყება ნაწარმოები და «არაბუნებრივ სიწყნარეში» დაეუფლება მას «ნეტარი უსურვილობა» («გაუქრა ყოველგვარი ნდომა, სურვილი.» 1958 წლის ნოემბრის დღიურიდან: «მიხვდა რისთვის ცხოვრობს ადამიანი, დაინახა გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს და უცებ ყველაფერი გახდა მარტივი. რა გზა იყო ეს? გიყვარდეს ყველა და დაკარგო ვნებები, სურვილები… … იგრძნო, მერე გრძნობა გადაიქცა ცოდნად და გაქრა»), მიწიერი შეგრძნებებიდან კვლავ იგივე ხატი წარმოდგება გმირის წინ _ ნერვიულად ატირებული ბავშვი, რომელსაც დედამ ძუძუ მისცა გასაჩუმებლად და ისიც, ტუჩებით ზედ მიკრული, გაინაბა, რადგან მიაღწია უმაღლეს სურვილს (იხ. «ნათელას» შენიშვნები). ამ არქეტიპში გურამისათვის, როგორც ჩანს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღდგება ხორციელი ვნების სიწმინდე.

წყლის სიმბოლიკაში შესვლას, ალბათ, სჭირდებოდა გარკვეული საფეხურების გავლა. აქ გურამი (ნაწარმოების გმირი) ასახელებს თავის ასაკს _ ოცდახუთი წელი (მწერლის რეალური ასაკი რომანის წერის დროს) და გაიაზრებს ამ შეგრძნებას როგორც მნიშვნელოვან მომენტს გმირის (თავისი) ცხოვრების გზაზე.

ნაწყვეტები ამ ნაწარმოებიდან დაიბეჭდა 1985 წელს ჟურნალში «ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში», თამაზ კვაჭანტირაძის რედაქციით.

მთლიანი სახით იბეჭდება პირველად.

ბათარეკა ჭინჭარაული

არქივში ინახება მოთხრობის როგორც შავი (1+1_8გვ.), ასევე თეთრი (1_9გვ.) ავტოგრაფი. თარიღი არა აქვს არც ერთ ხელნაწერს. დასათაურებულია მხოლოდ თეთრი ავტოგრაფი. ვფიქრობ, დაწერილი უნდა იყოს შემოდგომაზე. შესაძლებელია, რომ კრებულისათვის მოთხრობების სიის შედგენა (იხ. ბოლოსიტყვაობა) შეაწყვეტინა სწორედ ამ ნაწარმოებმა, შემდეგ კი «დევების ცეკვამ», რომელიც მალევე მოჰყვა «ბათარეკა ჭინჭარაულს.»

შექმნის ისტორიისათვის:

1959 წლის აგვისტოში გოგი ოჩიაური და გურამი ერთმანეთს შეხვდნენ ზემელზე, შევიდნენ რესტორან «გემოში». რესტორნის შემდეგ წავიდნენ კიროვის ბაღში. ბევრს ლაპარაკობდნენ თურმე ხევსურებზე. გოგი ოჩიაურმა თქვა: მე ვუამბობდი, თუ როგორ ძლიერადა აქვთ ხევსურებს განვითარებული «დოლგ ჩესტი», ამიტომაც ხევსურეთში ძალიან ხშირია-მეთქი, ვუთხარი, ახალგაზრდების თვითმკვლელობა. მერე მოვუყევი, რომ ერთ პატარა გოგოს უნდა წაეღო დედისათვის სამკალში საჭმელი, დაავიწყდა, თამაშში გაერთო. მამამ უსაყვედურა, როცა დედა მშიერია და შენ გელოდება, რა დროს თამაშიაო. პატარა გოგომ თავი ჩამოიხრჩო ხეზე. მახსოვს, გურამმა მკითხა, მამამისს რა ერქვაო. სახელი არ მახსოვდა, ნუ, ვთქვათ, ბათარეკა-მეთქი, ვუთხარი. პატარა გოგოს თვითმკვლელობა მოვუყევი როგორც ერთ-ერთი რიგითი ამბავი, როგორც ილუსტრაცია ხევსურების ამ თვისების, რადგან წყენაზე, თავმოყვარეობის შელახვის გამო თავის მოკვლა ხევსურეთში ამბად არ ითვლება. იმ დროს კენტავრზე ვმუშაობდი, ამის შესახებაც ვუთხარი გურამს. მერე ეს ყველაფერი, მე მგონი, «ბათარეკა ჭინჭარაულში» გაერთიანდა (იხ., აგრეთვე, «საიდან მოვდივარ»-ის შენიშვნა).

(მოგონება: ერთხელ, მახსოვს, გურამი რაღაცაზე გამიბრაზდა და აბაზანაში ჩამკეტა. როგორც მისი დღიურიდან ირკვევა, მერე თურმე შეეშინდა, თავი არ მოიკლასო და მალევე გამიღო კარი. ასე რომ, გოგის მონაყოლი გამოეხმაურა გურამის შინაგან მზადყოფნას: შეურაცხყოფილმა ადამიანმა ადვილად შეიძლება თავი მოიკლას).

ამონაწერი «შაშას რევოლუციიდან»:

«აჩ, აჩ», ესმოდა ხმები, «ააა», უცებ გაიმართა ის, მის მარცხნივ მშვენიერი ცხენი ება, შვებით ამოისუნთქა მიწაზე გაწოლილმა, ახლა ველარსად გაექცეოდა წყალი, ხოხვით წავიდა მისკენ, აქამდე უზომოდ მძიმე ბეჭები, რომლებიც ხოხვაში ხელს უშლიდნენ, გაიშალნენ ფრთებივით და ის მაღლა აიყვანეს, როგორ დაჯდა ცხენზე, არ უგრძვნია. «აჩუუ», დასძახა ძაგანიამ და უცებ გადაუარა წყურვილმა, «აჩუუ», დასძახა ძაგანიამ და მუხლამდე ჭაობში საკუთარ ფეხებზე ხტუნაობით გავარდა, «აჩუუ», იძახდა ის და მირბოდა, ხელში აღვირი ეჭირა და მათრახს მხედრულად იქნევდა, «აჩუ!» იძახდა უფრო ხმამაღლა, ოღონდ უკვე ყელში მოწოლილი ბოღმით. ეშინოდა თავისთავს გამოსტყდომოდა, რომ ის, რასაც მიაჭენებდა, იყო საკუთარი ფეხები და არა ცხენი, ეშინოდა დაეკარგა ეს საბოლოო იმედიც, «აჩუ, აჩუ, უუ», იძახდა გამწარებული უაზროდ, საკუთარი ხელით იცემდა თავში მათრახს, იბრუებდა საფეთქლებს, ოღონდ არ შეეგრძნო სიმართლე, ოღონდ არ გამტყუნებოდა ეს უკანასკნელი იმედიც. ისევ გაიღვარა ოფლში და ვერ მიაღწია წყალს, წყალი იყო ახლა მისი ერთადერთი მიზანი,

ფეხებმა უღალატეს, მოკრუნჩხულს დაუბუჟდა ისინი, ერთიც შემოჰკრა ძილში თავს მათრახი და მუხლმოსხლეტით დაეცა წყლის პირზე, სველ ჭაობში.»

იკა გელეიშვილის მოგონებიდან (იხ. მეორე ტომის შენიშვნები): გურამს კენტავრის მახასიათებელი ჰქონდა, მას მიაჩნდა, რომ ცხენი და კაცი ერთია.

ამ თვალთახედვით საინტერესოდ მეჩვენება, აგრეთვე, შემდეგი ამონაწერი «ალავერდობიდან»:

«...იჩუტება მის ქვეშ ცხენი, რომელსაც გაბერილ ფილტვებში გაუყარა ლეკმა ხანჯალი. რამდენიმე წამი გურამი ჰაერშია, ორ მალაყს აკეთებს მიწაზე და გარბის. მისდევს ლეკი, რომლის ბავშვსაც დაეცა ცხენი, მისდევს თუში, ვისიც იყო ცხენი, მისდევენ მისი ამხანაგები, მისდევენ სხვები, მიჭენავს საკუთარ ფეხებზე გურამი, საყდრის ეზოში შევარდნილი. ტყე პირდაღებული, დოყლაპია სახეებისა იზრდება მის წინ, მოძრაობენ სახეები, როგორც ცხენიანს, ისე ეცლებიან გზიდან და უკნიდან მისდევენ.»

როგორც ჩანს, გოგის მონაყოლში ჩემი ძმა კიდევ ერთხელ ამოიცნობს თავს კენტავრში, ნახევრად კაცსა და ნახევრად ადამიანში, რომლის მისეული ინტერპრეტაცია მთელი სისრულით «ბათარეკა ჭინჭარაულში» გამოვლინდა.

მოთხრობის შავი და თეთრი ავტოგრაფები დაწერილია მსგავს ფურცლებზე. ასეთივე ფურცლებზეა ნაწერი 1959 წლის შემოდგომაზე სხვა მოთხრობათა თეთრი ვარიანტებიც.

შავი ავტოგრაფის პირველი წინადადების მყარი ხელწერა მალევე გადადის გაკრულ, ოდნავ დაქანებულ ასოებში, თუმცა, განსხვავებით ზოგიერთი ავტოგრაფისაგან, რომელიც ასეთივე ხელითაა ნაწერი, აქ შენარჩუნებულია თაბახის ფურცელზე ხელნაწერის ჩარჩო. ხელნაწერს ეტყობა, რომ ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ვფიქრობ, წერის პროცესშივე უნდა იყოს შეტანილი რამდენიმე შესწორება და ჩამატებული წინადადება.

თეთრ ავტოგრაფს აქვს თავფურცელი, რომელზეც დიდი, გამოყვანილი ასოებით წერია მოთხრობის სათაური. მოთხრობა დაწერილია გურამის ადრეული მოთხრობებისათვის დამახასიათებელი ლამაზი, გამოყვანილი, მომსხო ასოებით. პირველი გვერდი წითელი ფანქრით ნასწორებია, როგორც ჩანს, რედაქტორის მიერ.

«ბათარეკა ჭინჭარაულის» ავტოგრაფებთან ინახება ცალკე თაბახის ფურცელზე მწერლის მიერ გადაშლილი წინადადება: ~~«ქვითკირის მიუდგომელ შენობად აღმართული საქართველოსა თუ ხევსურეთის საზღვრის უკიდურეს წერტილში».~~ სავარაუდოა, რომ მწერალი, თავდაპირველად, ასე აპირებდა «ბათარეკას» დაწყებას.

შავ და თეთრ ხელნაწერებს შორის სხვაობა, ძირითადად, შემოიფარგლება ქვემოთ მოყვანილი ცალკეული ფრაზებით:

შავი, გვ.1: «მხოლოდ ეს კუთხე გაუწირავს ღმერთს ციცაბო ფერდობებისა და ბასრი ჭიუხების ანაბარად».

თეთრი, გვ.1: «მხოლოდ ეს კუთხე გაუწირავთ ღმერთებს ციცაბო ფერდობებისა და ბასრი ჭიუხების ანაბარად».

შავი, გვ.1: «მოწყვეტილი ვაკის სამყაროდან ცხოვრობდა ეს ხალხი არაგვის ხეობებში დაყოფილი ოთხ ძირითად ნაწილად: პირაქეთში ბარისახოსა და ბაცალიგოს, ხოლო პირიქეთში არხოტისა და შატილის თემებად.»

თეთრი, გვ.1: «... დაყოფილი პირაქეთის ბარისახოსა, ბაცალიგოს და პირიქით არხოტის, შატილის თემებად».

მხოლოდ შავში, გვ.2: «რომელიც ცივ წყალს ასხავს კანონის მთელ სისასტიკეს».

- შავი, გვ.3: «მისი სახე გაკვირვებულ, მორჩილ ქალურ ღიმილადაა ქცეული;»
თეთრი, გვ.5: «მისი სახე გაკვირვებულ, გაბრწყინებულ თვალებადაა ქცეული».

შავი, გვ.3: «ბათარეკას პატარა გოგო».
თეთრი, გვ.4: «ბათარეკას ცამეტი წლის ქალიშვილი»

შავი, გვ.3: «სადღაც, გულის სიღრმეში, ამ სიმარტოვისგან განსაკუთრებით კარგად გრძნობს გოგოს გული, რომ ის ლამაზია, ამ შეგრძნების მუდმივი თანხლება უსურვილობამდე კარგსა ხდის მას.»
თეთრი, გვ.5: «სადღაც, გულის სიღრმეში, ამ სიმარტოვისგან განსაკუთრებით კარგად გრძნობს მზიას სხეული, რომ ის უნაკლოა, ამ შეგრძნების მუდმივი თანხლება, სხვისი ყოფნის უსურვილობის ზღვარამდე, კარგსა ხდის მას.»

შავი, გვ.6: «მის თავზე ხეობიდან ავარდნილ ხარირემს გამოუდგა, მთელ ღამეს სდია უგონოდ და დილით მოკლა. გატეხა პირი. მშვილდის მოსაზიდად მოღუნული ხელი გაუშეშდა. აეყარა ძარღვები მკლავიდან და სიმებივით გაიბა მხარსა და მტევანს შუა, ტანი ცხენის სხეულად შეეზარდა, სამიზნედ მოღერებული კისერი გვერდზე მობრუნებული გაუშეშდა. მხოლოდ საისრე ხელს ამოძრავებდა თავისუფლად და უსვამდა სიმებად ქცეულ თავის ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი არ შეეძლო ნადირობისა და იმ ნეტარების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა.
თეთრი, გვ.7: «მთის დატეხილ ხერხემალზე ხეობიდან ავარდნილ ხარირემს გამოუდგა, მთელი ღამე სდია გონებაგაშავებულმა და დილით მიეწია. ისრის სასროლად მოზიდულ მშვილდს მზის პირველი სხივი დაეცა ოჩოპინტრეს თვალთან ერთად. ხელიდან გაუვარდა პირისგამტეხს სასროლი, მოსაზიდად მოხრილი მკლავი გაუშეშდა, აეყარა ძარღვები წყრთასა და მხარს შორის, არფის სიმებივით გაება და დაიჭიმა, ტანი ცხენს შეეზარდა, რომ არ შეჩერებულიყო მისი ჭენება ნადირის საძებნელად და მეტი სიმწუხარე მიეყენებინა ნადირობის უნარს მოკლებულისათვის; მხოლოდ საისრე მარჯვენა ხელი დარჩა თავისნებაზე მოძრავი; ჩამოჰკრავდა ამ ხელს სიმებადქცეულ ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი არ შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა.»

შავი, გვ. 7: «თითქოს რაღაც კიდევ მოემატა მზიას პოეზიას და თვალები უფრო გაუბრწყინდა»
თეთრი, გვ.9: «თითქოს რაღაც კიდევ მოემატა მზიას პოეზიას და ქუთუთოები უფრო გაუბრწყინდა»

შავი, გვ.8: თავდაპირველად ეწერა:
«ეს დამორცხვება ასე გამოხატა მან.
_ ქალავ!
_ ა! _
_ რის მაქნისი ხარ, სახლში მჯდომარე. დედა ავად არს, არ იცი, ქვენოს წევს,

სისხლი სდის, არ იცი! _ ნელა დაიწყო თავის აღგზნება.

_ ა!
_ ათასი ჭირი, ქალავ!
მზიამ სარკმელისაკენ მიიხედა, ამ მოშორებამ სითამამე და ბრაზის გადმონთხევის უფლება მისცა ბათარეკას. მან სილა გაარტყა თავის გოგოს და ბუბუნით დაეშვა კიბეებზე.»

შავის ბოლო ვარიანტი:
_ ა! _ კეკლუცად, თითქოს მამა კი არა, სხვა მშვენიერი კაცი იდგა (ისე ამოხდა).
_ ათასი ჭირი, ქალავ!
მზიას არ უნდოდა ამ სიტყვების გაგება და შეწუხებულმა სარკმლისაკენ მიიხედა. თვალების ამ მოშორებამ სითამამე და ყველაფრისგან გამოწვეული (ჩამატებულია: «... შვილის დანახვაზე რაღაც დანაშაული იგრძნო, რომლის არც გამოსწორება შეიძლებოდა, არც ბრალი ჰქონდა თვითონ ხელმოსაკიდი გულში და ამის დასაფარად გაარტყა) ბრაზის გადმონთხევის უფლება მისცა.»
თეთრი, გვ. 9: იგივე აბზაცი იხ. ნაბეჭდ ტექსტში.

შავი დაუნომრავი გვერდი, რომელიც თეთრში არ არის გადატანილი:
«~~ბევრი ხეობაა ხევსურეთში, უფრო მეტი სოფელი და გვარი.~~ (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ. რჩ.) ოჩიაურები, ცისკარაულები და წიკლაურები ცხოვრობენ არხოტში, წინ-ხადუში არაბულები, ლიქოკში ლიქოკელები; განსაკუთრებით კარგად ინახება ადათები პირიქით მთებში, ქისტების მეზობლად, მუდმივ მოყვრობაში მათთან და უფრო მეტ შუღლში. ყველაზე ახლოა მაჰმადიანთა საზღვრებთან შატილი, ჭინჭარაულების სამოსახლო. პირაქეთიდან გზა ამ ადგილისაკენ დათვის ჯვარზე გადადის, არდოტიდან ანტიოქიაზე, ხოლო არხოტიდან გურის მიუდგომელი ხეობით; გაცილებით ბევრი გზა აკავშირებს მას ქისტეთთან, არღუნის ბილიკები, შევარდნილი ხევი, ჯარეგო, მაჰმადიანთა სიამაყე, უფრო ახლო კავშირშია ჭინჭარაულებთან. სახიფათოა ეს კავშირი, მოძმე სოფლები კი შორს არიან. ოთხ-ხუთსართულიან უზარმაზარ, ოთხკუთხედ კოშკებად აშენდა ტერასაზე შატილი, ერთი ბეწვა ადგილი აივსო ქუჩებითა და შუკებით. მის კარებში შესული ცხენიანი მხედარი ქუჩაში აუსვლელად მივა თავის სახლში დიდი გვირაბით, რომელიც ყველა კოშკს შემოივლის. წინათ აქ ასოცი კოშკი იყო, მერე დარჩა ოთხმოცი, მერე სამოცი, ახლა ცხრა კომლიღა ცხოვრობს.»

ერლომ ახვლედიანის თქმით, გურამმა «ბათარეკა ჭინჭარაული» დაწერისთანავე გადაათეთრა და «ცისკრის» რედაქციაში მიიტანა, მაგრამ არ დაუბეჭდეს, ძალიან სქემატურიაო.

«ბათარეკა ჭინჭარაული» დაიბეჭდა პირველივე კრებულში «სალამურა» 1961 წელს.

დევების ცეკვა

არქივში ინახება როგორც შავი (1_15გვ.), ისე თეთრი, დაუთარიღებელი, ავტოგრაფი (1+1_7გვ.), აგრეთვე, ჩანაწერები შავი ავტოგრაფისათვის (1_4გვ.), (1გვ.). სათაური წერია თეთრი ავტოგრაფის თავფურცელზე დიდი, ლამაზი ასოებით.

შავი ავტოგრაფი დაწერილია პატარა, მაგარ ფურცლებზე, რომელთაც, ჩვეულებრივ, ჩანახატებისათვის იყენებენ ხოლმე. ასეთივე ფურცლებზეა გაკეთებული ჩანაწერი «თეთრი მონების» თეთრი ვარიანტისათვის, დაწერილია გურამის მიერ შედგენილი მოთხრობების სია კრებულისათვის, ხოსტაში ჩვენთან გამოგზავნილი წერილი, ჩანაწერები «ალავერდობისათვის», ჩანაწერები «ირინას» თეთრი ვარიანტისათვის და სხვა ნაწერები, დათარიღებული 1959 წლის აგვისტო-სექტემბერით («დევების ცეკვის», «ბათარეკა ჭინჭარაულის», «ირინა და მეს», «თეთრი მონების» და «ლიტერატურული შეხედულებების» თეთრი ავტოგრაფები დაწერილია ერთნაირ თაბახის ფურცლებზე, რაც მათი შემოდგომით დათარიღების ერთ-ერთ კრიტერიუმად იქცა).

ჩანაწერები პატარა, მაგარი ფურცლის ნახევარზე: .

I გვერდი: «დედის გულს არ ემეტება ქალის გათხოვება, მისი კარგი უნდა, მხოლოდ თავის თავთან ერთად: მარტო დარჩენის ეშინია». ? კიდე!»

II გვერდი: «მუდმივი ზმანება _ ვაჟისთვის თავის შეწირვა _ ქალისთვის, რომ შეეწიროონ.

სრულდება ორივეს ნება.»

ჩანაწერები გაკეთებული თეთრი ვარიანტის ფურცლებზე:

«ღამის წყვდიადში ბატონდებიან ადამიანის გონებაზე თავშეუკავებელი ვნებები, ყველანაირად შევიწროებული, ხელოვნურად შენიღბული და შეძლებისდაგვარად მიჩქმალული მზის სინათლეზე. აღარაფერს არ შეუძლია შეაჩეროს, ლაგამი ამოსდოს მათ. სიბნელეში იკარგება ყოველგვარი აზრი, ავადმყოფური თუ ჯანსაღი, და განუსაზღვრელად ბატონდება მხოლოდ ჭეშმარიტი არსი _ ვნება, შეუჩერებელი ლტოლვა ერთისადმი, ერთისაკენ, ერთნაირი ძალით. ძილში მთელი ღამე თრთის, მხდალად, ზედიზედ იმარჯვებს მიამიტი და ეჭვებშეპყრობილი, გატანჯული სამაგიეროსგან, შექმნილი სიცოცხლის ნამდვილი არსით გორგავს მოაზროვნე ადამიანი. ღამის გულწრფელობით ებრძვიან ერთმანეთს მძინარე სხეული და დაუოკებელი სული. <u>საინტერესოა, რომელია რომლის ანარეკლი დღე ღამისა თუ პირიქით? (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ.რჩ.)</u>

ახლა კი მთვარის ამოსვლასთან ერთად რომელიც ხაზს უსვამს (წყვდიადი) ერთია () ცხელი. არავის და არაფერს არ შეუძლია შეაჩეროს თორმეტი ძმა ხორჯოლანის საბედისწერო ძუნძული ლოდებით ჩახერგილ ხევში მთების იქით თეთნულდის ძირში მძინარე სოფლისაკენ, სადაც წყნარად ცხოვრობს მათი ვნების ქალბატონი ქოჩქელანების ასული. თავაუღებლივ გარბიან დაბლიდან მაღლისკენ დევკაცები.

არ შეანელოთ თქვენი სირბილი ვაჟკაცო ძმებო!

საგედისწეროდ მიგრგვინავენ სვანის ვაჟები ლოდებით ჩახერგილ ხევში მთის წვერისაკენ, მთის იქით ფერდაზე თეთნულდის ძირში მძინარე სოფლისაკენ, სადაც აქამდე წყნარად ცხოვრობდა მათი სურვილის გატონი ქოჩქელანების ასული. თავაუღებლივ გარბიან დაბლიდან მაღლა დევკაცები. არ შეანელოთ თქვენი სირბილი ძმებო!»

«ძილი არის ბუნების მშვენება! ხოლო ყველაზე კარგი ძილი მთებს შორის თეთნულდმა იცის, ის იცდის ყველაზე მეტ ხანს, ზურგს უკან მალავს თავისი სილამაზის სარკეს და როცა ყველაფერი შეწყვეტს მის გარშემო მოძრაობას, იხდის თავის საფარველს, მაღლა სწევს ნელი, ჰარმონიული მოძრაობით აქამდე ზურგს უკან დამალულ მთვარეს, ძილისგან გაბრუებული იხედება შიგ, იშმუშნება, რამდენიმე დარჩენილ ქულა ქათქათა ღრუბლის ბალიშზე მისდებს თავს და სიზმრებად იქცევა,

რიჰა-ა! დიდება მარიამს უშგულისას ვინ იცის ვის აუხდება მშვენიერი ქალწულის მუდმივი ზმანება.»

«ბევრი ვაჟი იბადება მთის სოფლებში, გაცილებით ცოტა ქალიშვილი, და რომ შეიძლებოდეს მეომარი კაცის უდედაკაცოდ გაჩენა, სულაც გადაშენდებოდნენ ქალები სვანეთში.»

შექმნის ისტორიისათვის:

გურამ გეგეშიძემ თქვა: დაახლოებით 1959 წლის ადრე შემოდგომაზე, გურამი დილაადრიან მოვიდა ჩემთან სტუმრად. ახლად დაწერილი მოთხრობა წავუკითხე. მაინცა და მაინც საინტერესო არაფერი იყო ამ მოთხრობაში, მერე არც ერთ კრებულში არ შემიტანია. კითხვის დამთავრებისთანავე გურამი წამოხტა და სახლში გაიქცა, რაღაცა მაქვს დასაწერიო. საღამოთი ახლა მე ავედი მასთან (გურამ გეგეშიძე მაშინ ცხოვრობდა სოლოლაკში, მაჩაბლის ქუჩაზე; ჩემს ძმას კი ცოტა ხნით ოქროყანაში ჰქონდა ნაქირავები ბინა და იქა მუშაობდა. ვფიქრობ, რომ «დევების ცეკვა» და «ბათარეკა «ჭინჭარაული» იქ დაწერა. _ მ. რჩ.). გურამმა წამიკითხა რაღაც. როგორც მერე გაირკვა, ეს იყო «დევების ცეკვის» პირველი ვარიანტი. ჩანახატებივით იყო, კარგად ვერც გავიგე. შემდეგ გადააკეთ-გადმოაკეთა, როგორც ჩანს, და ასეთი მშვენიერი და კოხტა მოთხრობა გამოვიდა. ასე რომ, გურამ გეგეშიძე იყო «დევების ცეკვის» პირველი მკითხველი. ვფიქრობ, რომ გურამ გეგეშიძემ იმ საღამოს გურამისგან მოისმინა ამ მოთხრობის შავი ვარიანტი, რადგან სხვა ტექსტი არქივში არ ინახება და ვფიქრობ, რომ არც არსებობდა საერთოდ. შავ და თეთრ ავტოგრაფებს შორის კი სხვაობა, ძირითადად, ეხება მხოლოდ პირველ ორ გვერდს და შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული სიტყვებითა და წინადადებებით.

გურამი ბავშვობიდან განსაკუთრებულად ძლიერი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩეოდა. ამ დროისათვის კი მისი ჯანმრთელობა რატომღაც საგრძნობლად შეირყა. ერლომ ახვლედიანმაც თქვა: ბოლო წელს გურამი საოცრად დაღლილი ჩანდა, ჯანმრთელობით არ იყო კარგად, ასე მგონია. ერთხელ მუზეუმში ვიყავი მასთან, საშინლად მტკიოდა კბილი. გურამი მაგიდაზე იწვა. მასთან იყო მარიკა საყვარელიძე. შევჩივლე ორივეს ჩემი კბილის ტკივილი. მარიკამ, რომელსაც ძალიან უყვარდა გურამი, მითხრა, შენ კბილი გტკივა და ნახე, გურამი რა ცუდად არისო. მგონი, გული ჰქონდა ცუდად.

გურამის იმდროინდელი ფიზიკური მდგომარეობა კარგად ჩანს 1959 წლის ზაფხულში მამასა და დედას მიმოწერიდანაც (იხ. აქვე ამ პერიოდის სხვა მოთხრობათა შენიშვნები). მშობლების გარდა, ამას ცოტა ვინმე თუ ამჩნევდა, რადგან გარეგნულად ის ძველებურად აგრძელებდა ინტენსიურად მოუსვენარ, დაუდგრომელ ცხოვრებას.

საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს იქმნება გოგან გაგანია, ძმები ხორჯოლანები _ საოცარი ფიზიკური ძალის გმირები, რომელნიც მთელი თავით მაღლა დგანან მათ გვერდით მყოფ ადამიანებზე. ამ გმირებს, გურამის კვალდაკვალ, მხოლოდ დევკაცები შეიძლება ვუწოდოთ. ცხადია, აქ დევი მიანიშნებს მხოლოდ განსაკუთრებული ფიზიკური ძალის ადამიანს და არა ზღაპრულ პერსონაჟს, დევკერპსა და დემონს.

გურამის მოთხრობათა სიუჟეტებში რომელიღაც მომენტიდან თითქოს იწყება გმირების სწრაფვა სიმაღლისაკენ: ჯერ გოგანი ადის ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე, გიო «ნათელაში» გადის გზას ქალაქიდან თიანეთის მაღალი მთებისაკენ, დაუმთავრებელ რომანში გმირი გარბის ქალაქიდან და ხევსურეთში ყველაზე მაღალი მთის წვერზე მოექცევა, «დევების ცეკვაში» ძმები ხორჯოლანები მიისწრაფვიან დაბლიდან მაღლა, მთის წვერისაკენ, «ალავერდობაში» გმირი ადის ჯერ ბურჯის თავზე, მერე გუმბათის თავზე. ეს ნიშანიც მათი ერთ პერიოდად (1959 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) გაერთიანების ერთ-ერთ კრიტერიუმად იქცა.

ამონაწერი 1958 წლის ნოემბრის დღიურიდან:

«შენ უკვე ჭკუა ისწავლე _ ჩალის გემო საბოლოოდ გაიგე; რომელი ჩალის? ჩალა, რამდენიც გინდა იმდენია აქ, ამ ქვეყანაში. შორიდან კი მზე ანათებს, დიდი, ბრჭყვიალა, თბილი, მიმზიდველი და მზემდე სწორი გზა მოჩანს. აი, მიზანი. აი, იქით ღირს გაქანება, რადგან მზე შენს ზურგზე არაა დამაგრებული და იქამდე შეიძლება მისვლა _ მთავარია განზრახვა, თორემ მისვლით, მიხვალ, მერე რამდენად მიმზიდველია ასეთი მიზანი, წინ სწორი გზაა _ დედამიწა უკვე იცი, რომ მრგვალია, იქ კი _ მეტი ფიქრი საჭირო აღარაა _ მიზანი ჩანს, გაიქეცი იქითკენ, გავარდი, გაფრინდი და ჩემს რჩევას ყურს ნუ დაუგდებ _ არ შეიტრუსო ისე როგორც სანთლისაკენ მიმფრინავი პეპელა, რომლისთვისაც რა იცი შენ, რომ სანთელი მზე არ არის და კიდე რა იცი შენ, რომ მისი მიზანი, როცა სანთლისაკენ მიფრინავს, სწორედ ფრთების შეტრუსვა ან საერთოდ მასში დაწვა არ არის. მაშ ასე, კარგ გზას გისურვებ! თუმცა რჩევებს ყურს არ ვუგდებ, გინდა დავუგდო, შენ უკვე იცი რა ტკბილია მიზნისაკენ სირბილში დაწვა …»

მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ ცეცხლიდან, რომელშიც იწვის თორმეტი ძმა ხორჯოლანი, ამოდის არა კვნესა და გოდება, ზარ-ტირილი, ღრიალი, თუნდაც ისე, როგორც «დღიურში» შტოლცის ცეცხლში დაწვისას, «არამედ ათასი მუსიკის ხმები არყის სიმფონიასავით, სიყვარულის სიმფონიასავით ტკაცუნით ამოდიან ფიჩხიდან და ფერხულს უკრავენ: რაშავ-დელა!» შეიძლება გურამი ამ ნაწარმოებში რეალურად შეეჯახა იმას, რის შესახებაც ზემოთ მოყვანილ დღიურში წერდა: «რა ტკბილია მიზნისაკენ სირბილში დაწვა.» ან კიდევ იმ შეგრძნებას, რის შესახებაც «იულონში» წერდა: «იყო მსხვერპლი, ეს არის უდიდესი ბედნიერება.»

«დევების ცეკვა» გამოქვეყნდა მწერლის მოთხრობების პირველივე კრებულში «სალამურა» 1961 წელს.

ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები

არქივში ინახება მოთხრობათა ციკლი, სათაურით «ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები», რომელსაც გურამი ერთ ნაწარმოებად მოიხსენიებს ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილ წერილში: «მე, როგორც ზევით ნათქვამი *ნაწარმოების* შესავალში აღვნიშნე...», ან კიდევ «ეს *ნაწარმოები* სწორედ საჭიროა ...» და სხვ. (იხ. ქვემოთ). ამავე წერილში გურამი «ირინა და მეს» უწოდებს ამ ნაწარმოების «პირველ თავს» («ბატონ სერგი ჭილაიას *პირველი თავი,* «ირინა და მე», ყველაზე ძალიან მოეწონა»). «ცისკრის» მაშინდელი თანამშრომელი ქალბატონი ციალა ჩხეიძე პირად წერილში «ირინა და მეს», «ალავერდობასა» და «დღიურს» მოიხსენიებს «ერთ დიდ მოთხრობად» («повесть»), რაც, ცხადია, ისევ გურამისგან უნდა მოდიოდეს (იხ. აქვე). ციკლს წინ უძღვის შესავალი წერილი («თეორიული განმარტება»). ამ წერილში ჩემი ძმა აღნიშნავს, რომ «ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები» მან დაწერა «რამდენიმე დამოუკიდებელ მოთხრობად, რომელთა შორის მხოლოდ აზრობრივი კავშირია მისი გაღრმავების, მიზნის ზრდის პრინციპით დაწყობილი, ჩავარდნებითა და დროებითი მიგნებით». «ალავერდობის» შავი ვარიანტის მოკლე შესავალშიც აღნიშნულია მწერლის განზრახვა ერთ ნაწარმოებად გააერთიანოს რამდენიმე «უსიუჟეტო ამბავი», რომელთაც უნდა ჰყავდეთ საერთო გმირი, შემოქმედი («აი, აქ, *ერთ რვეულში, ის აღწერს რამდენიმე საინტერესო, თითქმის უსიუჟეტო ამბავს*, რომელსაც გარკვეული, თავისებური პრეტენზია აქვს მხატვრულობაზე». როგორც ვხედავთ, მწერალი აქ თითქოს მათ ჟანრულ განსაზღვრასაც ცდილობს. ჩემი აზრით, გურამი მათ «უსიუჟეტოს» უწოდებს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს მოთხრობები არ თავსდება სიუჟეტის ტრადიციულ გაგებაში და უფრო მწერლის სულიერი პროცესების ეპიკურ განხორციელებას წარმოადგენს, მის პირველ ლიტერატურულ შეხედულებებს გამოხატავს). ამაზე მეტყველებს თვითონ «ალავერდობის» ტექსტიც: «უყურებს მათ მანქანიდან ახლად ჩამომხტარი *ჩვენი მოთხრობების გმირი* და ცრემლებივით ადგება ყელში». ცხადია, მრავლობითი რიცხვი, თავის დროზე რედაქტორის მიერ, ალბათ, მექანიკურ შეცდომად მიჩნეული, მხოლობითით იქნა შეცვლილი. ეს ფაქტი, გარდა სხვა დოკუმენტური მასალისა, მოწმობს, რომ «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებს» აერთიანებს ერთი გმირის სულიერი ბიოგრაფია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურამი «ალავერდობის» შავი ვარიანტის მოკლე შესავალში პირველად ახსენებს ფრაზას «პირველი ლიტერატურული შეხედულებები», რაც შემდეგ ციკლის საერთო სათაურად იქცა (ზოგიერთ შემთხვევაში, ის ამ ნაწარმოებს მოიხსენიებს როგორც «ლიტერატურულ შთაბეჭდილებებს» ან «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებს»). სათაური და თარიღი არა აქვს ამ ნაწარმოების არც ერთ ავტოგრაფს. სათაურები, თავისი ქვესათაურებით, მოცემულია მხოლოდ ციკლის შესავალი წერილის ბოლოს:

«დასათაურება
1. ირინა და მე

/პირველი შემოქმედებითი ნაკადის შემოჭრა ჩემს არსებობაში და მისი ცხოვრებასთან ვერშეთავსება/

2. ალავერდობა

/მიზნის განხორციელების ძიება და ადგილის სწორად ვერპოვნა/

3. დღიური

/ერთი დღის მანძილზე შემხვდური ხალხი და მე/

4. რევაზ მაყაშვილი და ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული ბრიგადა

/ადამიანის სურვილი გახდეს საზოგადოების წევრი, მთლიანად გამზიარებელი მისი ინტერესებისა და დაბრკოლებები ამ გზაზე/»

ამ «დასათაურებისა» და, ნაწილობრივ, მოგონებების საფუძველზე მოხდა მოთხრობების აკრეფა და ერთ მთლიანობად გააზრება (აღსანიშნავია, რომ ავტოგრაფები ერთად არ ინახებოდა. ვახტანგ ჭელიძე ფიქრობს, რომ ამ ნაწარმოების გადაბეჭდილი ვარიანტები სხვა მასალებთან ერთად დაიკარგა «ცისკრის» რედაქციაში მისი რედაქტორობიდან გათავისუფლების შემდეგ). ციკლი დათარიღებულია არქივის კვლევისას შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმის თანახმად. ის მოიცავს მწერლის ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობის ძალიან მნიშვნელოვან პერიოდს (1958 _ 1960 წლები): «ირინა» დაწერილია 1958 წლის მარტში (თეთრი ვარიანტი - 1959 წლის შემოდგომაზე), «ალავერდობა» და «დღიური» - 1959 წლის შემოდგომაზე, თუმცა ის დღიური, ამ მოთხრობას რომ უდევს საფუძვლად, თარიღდება 1958 წლის შემოდგომით (აღსანიშნავია და, მართლაც, გასაკვირი, რომ მის არც ერთ ამხანაგს არ ჰქონდა წაკითხული «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» არც ერთი მოთხრობა, გარდა, ცხადია, რედაქციის წევრებისა, განსხვავებით 1956-1957 წლებისაგან, როდესაც გურამი სიამოვნებით უკითხავდა ხოლმე თავის მეგობრებს ახლად დაწერილ ნაწარმოებებს. გურამის გარდაცვალების შემდეგ, არქივის პირველი მექანიკური დალაგებისას, გადავაწყდით ერთ-ერთ უსათაურო მოთხრობას. ერლომ ახვლედიანის თქმით, ეს უნდა ყოფილიყო «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» მესამე მოთხრობა «დღიური» («ალავერდობა» და «ირინა და მე» გამოვიდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ). ერლომსავე გაახსენდა მაშინ, რომ სადღაც უნდა ყოფილიყო რაღაც მოთხრობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირლების ცხოვრებიდან, რომელიც გურამს, მგონი, «ლიტერატურული შეხდულებების» მეოთხე მოთხრობად უნდოდაო და სხვ.

«თეორიული განმარტება» (ასე მოიხსენიებს გურამი ციკლის შესავალ წერილს ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილ წერილში), რომელიც წინ უნდა უძღოდეს ნაწარმოებს, დაწერილია 1959 წლის შემოდგომაზე, სამი მოთხრობის დაწერის შემდეგ. ასე რომ, შესავალ წერილში მოცემულ «დასათაურებაზე» დაყრდნობით, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები» გამოიკვეთა როგორც ერთი მთლიანი მრავალჟანროვანი ნაწარმოები: პუბლიცისტური ხასიათის წერილი («ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» შესავალი _ «თეორიული განმარტება»), ორი მოთხრობა («ირინა და მე» და «ალავერდობა»), დღიური («დღიური») და მეოთხე მოთხრობა, რომელიც, ჩემი თავდაპირველი ვარაუდით, დაიწერა ორი-სამი თვის შემდეგ როგორც ლიბრეტო კინოსცენარისათვის, სათაურით «ჩვენ ერთად მივდივართ». თითოეული, ფაქტობრივად, ქმნის ეტაპს გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების გზაზე და გამოავლენს მწერლის სულიერი ბიოგრაფიის

სიღრმისეულ შრეებს. ამ ნაწარმოებში ევოლუციურად გამოვლინდა გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტი: ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთმიმართების ძიება.

ხელოვნებისა და ცხოვრების უკომპრომისო ურთიერთდამოკიდებულებამ, თავდაპირველად, მთელი სიძლიერით იჩინა თავი ციკლის პირველ მოთხრობაში («პირველ თავში») «ირინა და მე», საიდანაც დაიწყო ახალი ეტაპი გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში.

«ირინა და მე» გურამმა დაწერა 1958 წლის მარტში მოსკოვში, სადაც ის დიდი ხნით შეიკეტა იუჟინსკის შესახვევში, მალაია ბრონნაიას ქუჩაზე მდებარე რუსული «ხატას» ტიპის სახლში.

წერილი მოსკოვიდან:

«გუშინწინ გადმოვედი ახალ ბინაში, ცენტრში. გორკის ქუჩიდან სულ ასი მეტრია. უკეთეს ოთახს თბილისშიც ვერ ვინატრებდი. სულ ბინაში არის ორი ოთახი. ერთი დიდი, სადაც ცხოვრობენ მოხუცი ძალიან სიმპათიური ცოლ-ქმარი. დიასახლისი თვითონ მირეცხავს, მოაქვს ჩაი, საერთოდ აბსოლუტურად არ მაწუხებს. მე ვარ წინა ოთახში, სულ ცალკე. ჩემი ოთახიდან დერეფნის გავლის შემდეგ ცხოვრობენ ისინი, ჩემს პირდაპირ არის სამზარეულო.

ოთახი, სადაც მე ვცხოვრობ, საკმაოდ მოზრდილია, მე მგონი, მანდ რო ვიყავი, იმაზე დიდია. დგას დიდი საწოლი, კარადა სარკით, მაგიდა, თაროები ძალიან ლამაზი შპალიერით, კუთხეში ხატი კიდია და ღამის ნათურის მაგიერ ქვეშ უნთია მწვანე პატარა სანთელივით. არის საათი და სავარძელი, მართლა, გვაქვს რადიომიმღები და ტელევიზორი. ისე რომ, ბრწყინვალედ მოვეწყე, ჩემზე ნუ იღელვებთ, ვმუშაობ, ვსეირნობ მარტო და წყნარად. იყავით კარგად…»

მეც მახსოვს გურამის ოთახი საკმაოდ განიერი სამუშაო მაგიდით, კუთხეში, თუ არ ვცდები, ღვთისმშობლის ხატით და მის ქვეშ დანთებული კანდელით. ერთ-ერთ მოსკოვურ დღიურში გურამი წერს: ერთადერთი კარგი ტონის საზოგადოება მოსკოვში, რომელშიც ვტრიალებ საკმაოდ სწრაფად, ნახტომებით, ზიგზაგებით, ნერვიულად, არის ჩემი საკუთარი თავი. აქ კი არც ისეთი მოწყენილობაა. მართლაც, ამ ოთახში მან მალევე დაწერა პიესა «მარინა», რამდენიმე მოთხრობა და გადმოგვიგზავნა წასაკითხად. მარტში დაიწყო მზადება ახალი მოთხრობის დასაწერად, ჩაინიშნა რამდენიმე სცენა, დიალოგი (იხ. შენიშვნები «ირინა და მესათვის»). 1958 წლის, ალბათ, მარტის ბოლოსათვის კი უკვე დაწერილი იყო «ირინა და მე». ამ დროს მოსკოვში ტარდებოდა საქართველოს დეკადა. დედამ აისრულა ოცნება და დედა და მე გავემგზავრეთ მოსკოვს გურამის სანახავად. მახსოვს ჩემი ძმისათვის უჩვეულოდ წვრილი, მიყრილი, თითქოს დამრეცი ხელწერით კიდით კიდემდე შევსებული თაბახის ფურცლები, გაშლილად რომ ეწყო გურამის სამუშაო მაგიდაზე. ისინი თითქოს ამოწმებდნენ მათი ავტორის რთულ, ინტენსიურ, ჩემთვის მიუწვდომელ სულიერ ცხოვრებას, რაღაც უცხო სიუჟეტს, უცხო სიღრმეებს, რომელთან ზიარების არც უნარი და არც სურვილი არა მქონდა მაშინ. მახსოვს ისიც, ერთი-ორჯერ როგორ ავიცდინე მათი წაკითხვა. საინტერესოა, რომ არც გურამს უთქვამს რაიმე ამ მოთხრობის შესახებ, არც წასაკითხად მიუცია ვინმესთვის,

როგორც იცოდა ხოლმე, განსხვავებით, თუნდაც, იმავე პერიოდში დაწერილი სხვა ნაწარმოებებისაგან, რომელთაც თბილისში წასაკითხად გვიგზავნიდა, ხანდახან «წერილის მაგიერაც» კი.

1959 წლის აგვისტოში, ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით «საიდან მოვდივარის» დაწერის შემდეგ, გურამმა, ოჯახის წევრებისათვის სრულიად მოულოდნელად, გადაწყვიტა გამოეცა მოთხრობების კრებული: უკვე ბევრი დამიგროვდაო. შეადგინა კიდეც ორი სია: ”გადაბეჭდილები” და “ხელნაწერები”. ამ სიებში არ არის შეტანილი “ირინა და მე”. შემდეგ, ისევ “მოულოდნელად”, მან თავი დაანება კრებულის გამოცემაზე ფიქრს და შეუდგა “ირინა და მეს” მომზადებას პუბლიკაციისათვის. მთელი ამ ხნის განმავლობაში გურამს ეს მოთხრობა თითქოს არც კი გახსენებია. თუმცა, მწერლის მთლიანი შემოქმედების გაცნობისას, მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ფიქრი “ირინაზე”, რომელშიც მთელმა მისმა იმდროინდელმა განწყობამ და სულიერმა მდგომარეობამ მოიყარა თავი, ფაქტობრივად, მას არც შეუწყვეტია.

როგორცა ჩანს, გურამს უნდოდა ისეთი ფორმა მიეცა ამ მოთხრობისათვის, რომ მეტ-ნაკლებად მისაღები ყოფილიყო ის როგორც ოფიციალური, ისე მკითხველის შინაგანი ცენზურისათვის. გარდა ყველაფრისა, ვფიქრობ, მისთვისაც აუცილებელი იყო «ირინას» რეტროსპექტული ანალიზი. ამ დროისათვის უკვე დაწერილი იყო «შაშას რევოლუცია», «იულონი», «სალომე და გურამი», «ნათელა» და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც «კალამს მინდობილი» (გურამის ეს სიტყვები დღიურიდან თითქოს გასაგებს ხდის, თუ რატომ დაარქვა მან ამ ციკლს «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები») მწერლისათვის, როგორცა ჩანს, ბევრი რამ გაირკვა.

გურამმა გააკეთა ჩანაწერები «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტის «მინაწერისათვის». «მინაწერში» მან სცადა რეტროსპექტულად გაეაზრებინა თავისი ცხოვრების ის პერიოდი, თითქმის ორი წლის წინ (მოთხრობის თეთრი ვარიანტი დაწერილია ერთი წლისა და ექვსი თვის შემდეგ) ამ მოთხრობის შექმნა რომ განაპირობა. როგორც სხვა შემთხვევებში, ინფორმაცია მათი შექმნის ისტორიისათვის თვითონ ამ ჩანაწერებშივეა მოცემული (იხ. «ირინა და მეს» შენიშვნები). ჩემი აზრით, ამ შესავალს არა მარტო უნდა დაეცვა მოთხრობა ოფიციალური ცენზურისაგან, არამედ ერთგვარი შუამავლის როლიც უნდა ეტვირთა მკითხველსა და მწერალს შორის.

1959 წლის სექტემბერში გურამი სახლში იყო შეკეტილი და ინტენსიურად მუშაობდა. მე მგონი, ამ დროს უნდა იყოს დაწერილი «დევების ცეკვა» და «ბათარეკა ჭინჭარაული» (იხ. შენიშვნები). ალბათ, დედაჩემისათვის ის უჩვეულოდ ჩუმი იყო თუ ზედმეტად დაფიქრებული, რადგან მან დაჟინებით სთხოვა ალავერდობაზე მიმავალ მამას თან წაეყვანა ის «გულის გადასაყოლებლად». მამა დღეობაზე მიდიოდა თავის ასპირანტებსა და მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად. მახსოვს, თავდაპირველად უარობდა, ეშინოდა გურამმა არ დალიოს, ჩხუბი და დავიდარაბა არ მოჰყვეს შემდეგ ამ დალევასო. მიუხედავად იმისა, რომ გურამი უკვე 25 წლისა იყო, თავისი მოულოდნელი ქცევებით ის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა და უფროსისათვის არ იყო მაინცადამაინც სასურველი და ადვილი კამპანიონი ასეთი მგზავრობისას. მამა არ შემცდარა. მართლაც, ისე როგორც მოთხრობაშია აღწერილი, გურამმა დღეობაზე აუშვა ვიღაცა თუშის ცხენი, რომელიც, აჩიკო წვერიკმაზაშვილის (მამას ასპირანტი, ჩვენი ნათესავი) თქმით, სულ ადგილზე ცეკვავდა. ახლომახლო პატრონი არავინ ჩანდა. გურამი მოახტა უბელოს და

მინდორში გაუჩინარდა. ცოტა ხანში პატრონიც გამოჩნდა, დაიწყო ღელვა, წრიალი. ქისტს სულ ხანჯლისკენ მიჰქონდა ხელი და განუწყვეტლივ იმუქრებოდაო, _ თქვა აჩიკომ. გურამი თურმე გახვითქული ცხენით კარგა ხნის შემდეგ მოვარდა მხოლოდ. ქისტი ხანჯლით იწევდა გურამზე, ძლივს აკავებდნენ. ჩემი ძმა, როგორც თქვეს, ღიმილით უყურებდა მას, როგორც იცოდა ხოლმე აშკარა საფრთხის წინ პირისპირ დგომისას. მალე ყველაფერი ჩაწყნარდა, შერიგდნენ. მერე გურამი ისევ დაიკარგა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და უცებ ვიღაცამ დაიძახა: აგე, გურამიო! აიხედეს და ხედავენ: გურამი დგას ალავერდის გუმბათზე, ცალი გაშლილი ხელი ზევითა აქვს აწეული, თითქოს დაძახებას ან მისალმებას აპირებსო. ცოტა ხანში ჩამოვიდა გუმბათიდან. ჩვენს შეკითხვაზე (მიამბო მამას ასპირანტმა ავთო ჯავახიშვილმა), რა გინდოდა, ბიჭო, იქო, გვითხრა: ისე ავედი, მაინტერესებდა ზევიდან როგორა ჩანდა ყველაფერიო.

ალავერდობის შემდეგ მამა, თავის სტუმრებიანად, ართანაში დაპატიჟეს სიმაშვილებმა, «ღვთის და შრომის პატივისმცემელმა გლეხებმა» («ალავერდობიდან»), რომელთაც სტუმრების დასახვედრად ადრევე მიატოვეს დღეობა. ამ წვეულებამ და მასპინძლებმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინეს გურამზე, ისევე როგორც, თურმე, გურამმა - მათზე. ალავერდობიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩემი ძმა არაჩვეულებრივი სიყვარულითა და პატივისცემით მიყვებოდა სიმაშვილებზე _ მათ მოწესრიგებულ კარ-მიდამოზე, კახელი გლეხების თავდაჭერის უნარსა და ზომიერ ლხინზე, ბავშვებისა და ქალების არაჩვეულებრივ ხალისიან მომსახურებაზე, უმცროს-უფროსობაზე, მოხუცებულ, დიდ პაპა გიორგიზე - გარეგნულად მთლიანად დაუძლურებული როგორ იჯდა სუფრის თავში და როგორ იწყებოდა მისგან ყველაფერი: მრავალჟამიერი, სადღეგრძელოები და სუფრაზე შემოტანილი კერძების ჩამოტარებაც. ისინი თურმე მთელი ღამის განმავლობაში მღეროდნენ ქართულ სუფრულ სიმღერებს ისე, რომ სიმღერა ერთხელაც არ გაუმეორებიათ. გურამი აღფრთოვანებული მიყვებოდა გიორგის ძმა აბრიაზე. შეიძლება მისი მრავალჟამიერის დაუსრულებელ, სულ მაღალ და მაღალ მოქცევებში, თავდაჭერილ ღიმილსა და ნაღვლიან გამოხედვაში დაინახა მან ის «ვერმიღწეულის ვნება», რომელზეც სულ ცოტა ხნის წინ წერდა «ბათარეკა ჭინჭარაულში». ეს იყო პირველი შეხვედრა ჩვენი ოჯახისა სიმაშვილებთან. აქვე გაიცნეს ჩახუტაშვილებიც, დათვებზე მონადირე ულამაზესი ვაჟკაცები, რომელთაც ნადირობასა და ვაჟკაცობაში მთელ შიდა კახეთში ბადალი არა ჰყავდათ. მახსოვს, გურამს ვუთხარი: თუ ასე მოგეწონა, მოდი, დავპატიჟოთ სიმაშვილ-ჩახუტაშვილები 9 დეკემბერს, ჩემს დაბადების დღეზე, და ჩვენს ამხანაგებთან ერთად მოვილხინოთ-მეთქი. გურამს ეწყინა, მითხრა: ისინი მსახიობები კი არ არიან, მშრომელი ხალხია, რომელთაც ყველა წუთი გათვლილი აქვთ და ხალხის გასართობად არა სცალიათო. სიმაშვილებსაც ძალიან მოსწონებიათ გურამი და განზრახული ჰქონდათ თურმე მისთვის მოეწათლვინებინათ პატარა ავთანდილი (ის ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ ჩემმა მეუღლემ, გეიდარ ფალავანდიშვილმა, მონათლა). სანდრო სიმაშვილს ახსოვს, გურამი ჩუმად იჯდა სუფრის კუთხეში. შუაღამისას, მითხრა სანდრომ ოცდაათი წლის შემდეგ, მოვამტვრიე კარალიოკისა და ხურმის გრძელი ტოტები და ყურძნის აკიდოებთან ერთად ცალ ხელში დავიჭირე, მეორე ხელში კი შამფურზე აცმული მწვადები მეჭირა, და ასე, ზევით აწეული ხელებით, სიმღერით «კახეთო, ჩემო კახეთოო...» ავედი აივანზე. მოულოდნელად გურამისა და ჩემი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ის თითქოს რაღაცამ შეძრა. მეც არ ვიცი რატომ, თვალებზე

ცრემლმორეულმა გავაგრძელე სიმღერა. მთელი სუფრა ამყვა. ბევრჯერ მიმღერია, მაგრამ ის შეგრძნება, არასდროს დამავიწდება.

ართანიდან მამა, თავისი სტუმრებით, ღამის ორ საათზე დაბრუნდა თელავში, წვერიკმაზაშვილებთან. გურამი ღამის გასათევად მამასთან ერთად არ დარჩა, წავიდა ჯიმი დიღმელიშვილთან (მოგვიანებით ჯიმი გადავიდა დედის გვარზე _ რჩეულიშვილი). მამა თურმე გაბრაზდა და განერვიულდა გურამის ახირებაზე. ჯიმი იმ დროს ცხოვრობდა ნადიკვრის ქუჩაზე, ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე. მისი ბინის ორი ფანჯარა ამ მყუდრო ქუჩაზე გამოდიოდა. 1959 წლის 28 სექტემბერს, განთიადისას, გურამმა აქ დაწერა «ალავერდობა» ცალხაზიანი რვეულის ფურცლებზე. ჯიმის დედა, დეიდა ნანო რჩეულიშვილი, სკოლის მასწავლებელი იყო და, ალბათ, რვეულის ფურცლები მას გამოართვა (ასეთი ფურცლები არქივში აღარა გვხვდება). თბილისში ჩამოსვლისთანავე გადაათეთრა მან მოთხრობა და სულ ერთ-ორ დღეში, დილით ადრე, ჯერ კიდევ ლოგინში მყოფ მამასა და დედას წაუკითხა პირველად. მახსოვს, ერთ დილით, თაბახის ფურცლებით ხელში (ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო სწორედ «ალავერდობის» თეთრი ხელნაწერი), როგორ გამოვიდა გურამი ჩვენი მშობლების საძინებლიდან, იქვე, შუშაბანდშივე, ჩამოჯდა სკამზე და თქვა: «ახლა ვიცი, რასაც გავაკეთებ. მესამე მოთხრობად ავიღებ ჩემს რომელიმე დღიურს. უკვე ვიცი, რომელს.» მართლაც, 1958 წლის შემოდგომის ერთ-ერთი დღიური მალევე გარდაიქმნა მესამე მოთხრობად, რომელსაც ასევე უწოდა _ «დღიური». გურამი უჩვეულოდ დამშვიდებული ჩანდა, რაღაც სიმყარე იგრძნობოდა მასში, დიალოგის სურვილი. ის თითქოს აღარ იყო გაუცხოებული. «ალავერდობის» წაკითხვის შემდეგ გაუცხოების გრძნობა გურამის მიმართ გამიჩნდა უკვე მე. მთავარ გმირში ვეღარა ვცნობდი ჩემს ძმას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მალევე გაირკვა, სიუჟეტი აღებული იყო ცხოვრებიდან და ისედაც არაფრით გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის ამ მოთხრობის გმირის, გურამის, ხიფათიანი თავგადასავალი. დედამ და მამამ უკრიტიკოდ მიიღეს «ალავერდობა». დედა გახარებული იყო: კიდე კარგი, მიშა, გურამი თან წაიყვანე, აი, რა კარგი მოთხრობა დაწერაო, _ ამბობდა ის.

როგორცა ჩანს, «ალავერდობის» შექმნამდე (1959 წლის სექტემბერი) გურამს უკვე გააზრებული ჰქონდა მოთხრობათა ციკლი, რომლის «პირველი თავიც» უნდა ყოფილიყო «ირინა და მე» (ასე რომ, საბოლოოდ მოინახა «ირინას» ადგილი. მახსოვს, მითხრა: «ცალკე არ მინდოდაო»). ამ დროისათვის უკვე დაწერილი იყო ჩანაწერები თეთრი ვარიანტისათვის. ამ ჩანაწერებმა შემდეგ მოთხრობის «მინაწერის» (იხ. აქვე) ფორმა მიიღო. «ალავერდობის» შავი ხელნაწერი იწყება შესავლით, რომელიც გულისხმობს ამდაგვარი ტექსტის არსებობას.

ასეთია მოკლედ «ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებების» შექმნის ისტორია.

ჩემმა ძმამ თითქმის დაწერისთანავე გადაათეთრა მოთხრობები და თქვა: ახლა მათ ისეთ შესავალს გავუკეთებ, რომ უარს ვეღარ მეტყვიან დაბეჭდვაზეო. მართლაც, მან ამ სამ მოთხრობას წარუმძღვარა შესავალი _ «თეორიული განმარტება». მკითხველი, ალბათ, თავადაც დარწმუნდება შენიშვნების ტექსტის გაცნობისას, რომ ეს «თეორიული განმარტება» ამოიზარდა «ირინა და მეს» «მინაწერისათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან, «ალავერდობის» შავი ვარიანტის წინ წამძღვარებული შესავლიდან და თვითონ «მინაწერიდან».

ასე რომ, 1959 წლის, ალბათ, ნოემბერ-დეკემბრისათვის უკვე დამთავრებული იყო ერთ ციკლად აღქმული და ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული სამი მოთხრობა,

თავისი შესავლით _ «ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები»: «ირინა და მე», «ალავერდობა» და «დღიური». ნაწარმოები, რომელიც «თეორიულ განმარტებაში» მეოთხე მოთხრობად არის დასახელებული (იხ. შემდეგ), ამ დროისათვის ჯერ არ იყო დაწერილი.

1959 წლის გვიან შემოდგომაზე გურამმა, ყველას გასაკვირად, წამოიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» გამოსაქვეყნებლად. ამონაწერი დედას დღიურიდან (ვფიქრობ, დაწერილი უნდა იყოს გურამის გარდაცვალების შემდეგ): «საშინლად მიკვირდა - გურამი, თითქოს განურჩეველი ასეთი რამეების მიმართ, როგორ იბრძოდა მათ დასაბეჭდად, ასეთი მონდომებული თავისი მოთხრობების დაბეჭდვაზე ის არასოდეს მინახავს. მე და მამა განცვიფრებულები ვადევნებდით თვალს.»

მახსოვს, როგორ დაჰქონდა მას რედაქციის თითოეულ წევრთან თავისი ლამაზი, გამოყვანილი ხელით გადაწერილი, შემდეგ კი უკვე გადაბეჭდილი, სამი მოთხრობა და ყოველდღე, სულ უფრო და უფრო მოწყენილი, როგორ ბრუნდებოდა შინ. არც ერთ ოჯახის წევრს, ჩემიანად, კარგად არ გვესმოდა, რატომ უნდოდა მას ასე ძალიან მათი დაბეჭდვა და ყველაფერს, როგორც ახლა ვფიქრობ, პატივმოყვარეობით ვხსნიდით. გურამის ბოლო, მესამე, პუბლიკაცია იყო 1958 წლის ივლისში («სიკვდილი მთებში»). მართალია, განსაკუთრებით არასოდეს ცდილობდა ის თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას და, თუმცა ახლად დაწერილი მოთხრობების უმეტესობა მიჰქონდა ხოლმე რედაქციაში, ყოველთვის უსიტყვოდ ხვდებოდა უარს მათ დაბეჭდვაზე, გურამის ადრეულ შემოქმედებაში კარგად (იხ. ტომი 1, «ოცდაერთი», 1956 წლის დეკემბერი) ჩანს, სინამდვილეში რა მოუთმენლად მოელოდა მკითხველთან შეხვედრას. აქვე უნდა აღვნიშნო ის საოცარი მოთმინება, რომელიც თურმე ყოველთვის თან ახლდა ამ მოუთმენლობას.

აქ მახსენდება გურამის ერთი თავისებურება: ადრეული ბავშვობიდანვე ის არ იყო მარტოკაცი, თეზიკოსავით ოცნებებით სავსეს (გმირი კინომოთხრობისა «ბევრი ბავშვები ერთად»), თავისი ოთახის სიმყუდროვიდან, ფანჯრიდან რომ ედევნებინა თვალი ცხოვრებისათვის, ან, იულონივით (ამავე სახელწოდების ტრაგედიის გმირი) თავის ფიქრებში გართული, დაკმაყოფილებულიყო «სახლიდან გარეთ ქუჩის ბოლომდე და მერე უკან» სიარულით. «შიგ შუა ცხოვრებაში ... ჩავარდნილი», ის იყო ყოველთვის და ყველგან მოვლენების ეპიცენტრში. გურამის ამ თავისებურების დამადასტურებელი უნდა იყოს მისი სიტყვები: «არ შემიძლია ვწერო და შევინახო, თუნდაც ისე, როგორც ერლომმა». მახსოვს, ერთხელ, განაწყენებულმა, როგორ მითხრა: «მე შენთვის ვწერდი, ალბათ, ახლა სხვა მკითხველი უნდა ვიპოვოო», ახლად დაწერილი მოთხრობის წაკითხვა რომ დამეზარა და მერე კარგად რომ ვერ გავიგე. დღიურებში ზოგჯერ იგრძნობა, ზოგჯერ კი პირდაპირ წერია, რომ თავისი ხალხის გარეშე (აქ უნდა იგულისხმებოდნენ მისი ახლო მეგობრები, რომელთაც უზიარებდა ის თავის ფიქრებს, ლიტერატურულ შეხედულებებს) მას ერთი წუთითაც არ შეუძლია ცხოვრება.

ასე რომ, როგორც აღვნიშნეთ, გურამმა, ყველას გასაკვირად, საოცარი ენერგიით დაიწყო ბრძოლა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» გამოსაქვეყნებლად. ერთხელ, მახსოვს, თქვა: ჩემთან პირადი საუბრისას ყველას (იგულისხმება რედაქციის წევრები) მოსწონს ეს მოთხრობები («ჩლშ» - მ.რჩ.), სათითაოდ, ყველა თანახმაა მათ დაბეჭდვაზე. შემდეგ რაღაც ხდება, მარტო რომ რჩებიან. ერთმანეთს აბრალებენ და, ბოლოს, რედაქცია უარს მეუბნება. ან კატეგორიულად და საბოლოოდ

მითხრან უარი, ან დამიბეჭდონ, დრო არ ითმენს. უნდა ერთად შევყარო ყველა და ჩემი თანდასწრებით ვალაპარაკო ერთმანეთთან.

სულხან ქეთელაურის მონაყოლი: ზემელზე შემხვდა ძეგლის წინ, მაშინ იბეჭდებოდა. «ალავერდობას» უჯანჯლებდნენ. წყნეთში მიდიოდა სერგი ჭილაიასთან: უნდა მოვათავოო, არ ესმით ლიტერატურაო.

გურამის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ჭელიძემ მითხრა: «ძნელი გასაგები იყო ახალგაზრდა კაცისათვის, რა ხდებოდა კულისებში, რა დრო იყო მაშინ!» (ბატონი ვახტანგ ჭელიძე გურამის გარდაცვალების შემდეგ მალევე გაათავისუფლეს «ცისკრის» რედაქტორობისგან. 1957_1960 წლებში «ცისკრის» სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე, პროზის განყოფილების გამგე გიორგი შატბერაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, გიგლა ხუხაშვილი, სერგი ჭილაია და სხვები).

გურამის რთული სულიერი მდგომარეობა, ისე როგორც მისი დამოკიდებულება «ჩლშ»-ის პუბლიკაციისადმი, კარგად ჩანს ბატონ ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილ წერილში. წერილი დათარიღებულია 1960 წლის 23 იანვრით. დედას მოგონება: გურამი სახლში იყო შეკეტილი და განუწყვეტლივ მუშაობდა. თან, მახსოვს, ძალიან ღელავდა. მერე ერთ დღეს მისწერა წერილი ვახტანგ ჭელიძეს. მამას მოგონებების თანახმად კი, გურამმა ეს წერილი საავადმყოფოში დაწერა და სთხოვა, გადაბეჭდილი, ვახტანგისათვის გადაეცა. არქივში ინახება მხოლოდ ორი ნაბეჭდი ვარიანტი. ხელნაწერი დაკარგულია. ინახება, აგრეთვე, ჩანაწერები წერილისათვის. წერილი, როგორც გურამის გარდაცვალებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ გაირკვა, ვახტანგ ჭელიძეს არ მიუღია. დედას მიახლოებით ახსოვს გურამის სიტყვები. მის კითხვაზე, საჭირო კი იყო, გურამ, ვახტანგისათვის ასეთი მკაცრი წერილის მიწერაო, გურამმა თურმე უპასუხა: ძალიან საჭიროო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაგებინო, ვინა ვარ. სულ თავდახრილი დავდივარ მაგათთან. ალბათ, ეს ყოველთვის არ არის სწორიო. შეიძლება მამაც ფიქრობდა, რომ წერილის ტონი არ შეეფერებოდა ახალგაზრდა კაცისას და ამიტომაც შეიკავა თავი მისი გადაცემისაგან. ალბათ, იყო სხვა მიზეზებიც, რაც მაშინ კიდევ უფრო მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველი ჩანდა, ვიდრე ახლა. როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდება, ეს წერილი (მთლიანი სახით დაიბეჭდება მეხუთე ტომში), მიუხედავად ჩემი ძმის სურვილისა ყოფილიყო მაქსიმალურად გულწრფელი, სავსეა დაუმთავრებელი აზრებით, მინიშნებებით, თითქოს სუმბურით. ჩემი აზრით, აქ გამოთქმულ მსჯელობას - ისე როგორც გურამის პუბლიცისტურ სიტყვას საერთოდ - სიცხადესა და გამჭვირვალობას სძენს ჩემი ძმის მხატვრული სიტყვა, ის «ბუნდოვანება, რომლის ყველა ნაწილი სინათლით სუნთქავს» (ამონაწერი გურამის ლექსიდან. იხ. მეოთხე ტომი). ჩემი აზრით, მხოლოდ «ხელოვნების გულწრფელობაში» («ხელოვნებას მხოლოდ გულწრფელობა სწამს», ამ წერილიდან) გამოვლინდა მთელი სისრულით მწერლის ცხოვრების წარმმართველი სიუჟეტური ხაზი, მისი არამხატვრული სიტყვის, ისე როგორც მისი ცხოვრებისეული სიუჟეტის, საფუძველი.

ამონაწერები ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილი წერილიდან:
«ბატონო ვახტანგ!

მე თქვენ უნდა მენახეთ რამდენიმე ხნის წინ ჩემი ნაწარმოების შესახებ, რომლის ბედითაც თქვენ ჩემზე არანაკლებად დაინტერესებული ხართ, როგორც თავად მითხარით და რაც მე მჯერა როგორც ჭეშმარიტება. სამწუხაროდ, ჯერ მოსვლა არ შემიძლია, ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, ხოლო დრო და ჩემი ტემპერამენტი არ ითმენს, რომ არ გაგაგებინოთ ჩემი აზრი ზოგიერთი საკითხის შესახებ და არ მოვისმინო თქვენი შეხედულებები.

რა თქმა უნდა, ჩემი ამ წერილის და აზრის თქმის საგანი არის ლიტერატურა, ფართო გაგებით პოლიტიკა, ეკონომიკა, ცენზურა და აქედან გამომდინარე სულიერი მდგომარეობა. გარკვეულად, მკაფიოდ, თუმც არა იმ მაღალ მხატვრულ დონეზე, როგორც ეს თქვენ და მე დაგვაკმაყოფილებდა, ვეხები ზევით ჩამოთვლილ საკითხებს «ჩემს ლიტერატურულ შთაბეჭდილებებში», რომლის ბედიც, მე მგონი, თქვენებთან ბატონ გიორგისთან, მუხრან მაჭავარიანთან, გიგლა ხუხაშვილთან და ბატონ სერგი ჭილაიასთან საუბრის შემდეგ დადებითად გადაწყდა (დაბეჭდვის მხრივ). არის გარკვეული სამართლიანი შენიშვნები ჩემი დაუდევრობისა და მხატვრული დაუსრულებლობის შესახებ, მაგრამ ძირითადი კამათის საგანი მაინც რჩება ჩემი იდეოლოგია.

ბატონმა სერგი ჭილაიამ და სხვებმა ბრძანეს, რომ იდეოლოგიურად ის მთლიანად გამართულია, მხოლოდ იმ ნაწილის /სადაც იდეოლოგიაზეა ლაპარაკი/ დაბეჭდვისაგან იკავებენ თავს;

იყო უფრო სერიოზული შენიშვნებიც ავტორისათვის, მაგ. მუხრან მაჭავარიანს ეჭვი შეეპარა ჩემს გულწრფელობაში, რომელსაც მე თითქოს ვფარავ ზედმეტი გულწრფელობის სურვილით. ეს ისეთი სერიოზული შენიშვნაა, რომლის უარსაყოფად მე მზადა ვარ ვიბრძოლო უფრო დიდ არენაზე კამათის დროს, ვიდრე ეს ერთ ადამიანთან კამათია, ალბათ, ეს ეჭვი გამოწვეულია ჩემი ქცევის იმ გარეგნული მხარეებით, რომელიც ხშირად გარკვეულ ამორალობამდე მიდის და სხვის თვალში, როგორც პიროვნების დამახასიათებელი ფაქტი, ისე გროვდება. შესაძლოა, მუხრანს, ამ შემთხვევაში, სულ სხვა მოსაზრებები (წმინდა ფილოსოფიურ-ლიტერატურული) ამოძრავებდა, ყოველ შემთხვევაში, მე ყოველთვის ვრჩები მისი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი, ამიტომ მისმა ასეთმა ეჭვის შეტანამ ჩემს გულწრფელობაში განსაკუთრებულად იმოქმედა ჩემზე. მე კმაყოფილი ვიქნებოდი, რომ მუხრანსაც წაეკითხა ეს სიტყვები და შემდეგაც, სადაც ბევრია ნათქვამი იმ კამათის შესახებ, რომელიც ჩვენ გვქონდა.

…

მე არა ვარ ჩემი მოწოდებით გაჩენილი პოლიტიკური სარბიელისათვის – არა მაქვს ამისი ნიჭი – ეს გარკვეულად დიდი ტრაგედიაა ჩემი ტემპერამენტისათვის.

რა უნდა აკეთოს გურამმა, რომელიც სრულიად უცებ, როგორც შემოქმედი, და კანონზომიერად ისტორიისათვის, კანონგარეშე რჩება ერთის შეხედვით.

მე მწამს ტალანტი და მისია და თუ იბადება ადამიანი შემოქმედების სურვილით, ე.ი. მას აქვს საქმე! ერთს - იყოს ხიდი ამ საქმისაკენ /მთელი «დაკარგული თაობის» ლიტერატურა/, მეორეს – აკეთოს უკვე თვითონ საქმე!

…

აქ, თითქოს, ყველაფერი ბუნდოვანია, მიუხედავად ბევრი სიცხადისა, რაც შემოქმედების პროცესში მისწრებამდე აუცილებელია, სწორედ აქ არის საჭირო თავის შესაცნობად, მოწოდების ადგილის საპოვნელად, გარკვეული თავისუფლება და არა მხოლოდ ერთ ან ორ ჭკვიან კაცთან, არამედ მასასთან მთლიანად ერთად საუბარი.

დიდია, ამ მხრივ, ჩემი შემოქმედებითი განზრახვები გამოწვეული ამ ტკივილით, რომელსაც ჩემი საქართველოს სიპატარავე, უსუსურობა იწვევს, უფრო დიდია ჩემი სიამაყე, რომ ვარ ერთა შორის ყველაზე ადამიანური ერის შვილი – აქ, ჩვენთან, როგორც არსად, ისე ვლინდება ადამიანი მთელი თავისი არტისტული, წვრილბუნებოვანი თვისებებითა და უდიდესი გაქანებით, რომელიც მსოფლიოს სწვდება: რუსთაველი, სააკაძე, ბარათაშვილი, სტალინი.

აუარებელი უკვდავი სახეები დგას ჩემს წინ დიდი ლიტერატურის საგანძურიდან, ადამიანთა თავზე დანთქმული ბედისწერის წყალობით, თვალდათხრილი ოიდიპოს მეფე, დონ-კიხოტი, სიმბოლო, რომ მარტო ერთი ადამიანის სურვილს არ შეუძლია სიკეთე მოუტანოს ხალხს და აქედან გამოწვეული მისი სასაცილო მდგომარეობა, მისტერ პიკვიკი იგივე თითქმის, ოღონდ სუფთად ბურჟუაზიული მასშტაბით – აქედან მისი სახის ნაკლები მონუმენტალობა, თავადი მიშკინი – ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს მკრთალად გამოხატული თვისება კი არა – სასაცილო მდგომარეობა, არამედ, არამკვეთრი ხასიათი, გულუბრყვილობა – მიუხედავად ამისა, მაინც მათ რიცხვშია რუსული ბუნების მთლიანად გამოხატვის წყალობით /ეს კლასიფიკაცია, დაახლოებით, თვითონ დოსტოევსკის აქვს მოცემული/. აქვე არის ჩაილდ ჰაროლდი, მსოფლიოში ნიავივით მქროლავი და ამავე დროს, სადღაც, ძალიან მძიმე ხვედრის მატარებელი. არის რა თქმა უნდა ფაუსტი, მეფისტოფელი, ოღონდ ისინი არიან ორი ერთად, აქედან დიდი სიმძლავრე მთელი ტიტანური წარმოებისა და შეფარდებითი სისუსტე თვითოეულისა ცალ-ცალკე. ტოლსტოი, როგორც მთლიანად თვითონ ლიტერატურული გმირი თავის თხზულებებთან ერთად; ეს არის ზოგადად აღებული დიდი გალერეა სხვადასხვა ერთა ძირითადი ხასიათებისა, რომელთაგან თვითეული უზომოდ ახლოა ქართველი კაცის ბუნებასთან, ინტელექტთან, ემოციებთან. ავიღოთ ტოლსტოი, მთლიანად მცდარი ინტელექტუალურ სფეროში, – სამაგიეროდ არ არის კაცი მასზე ჭეშმარიტი, როდესაც იგი მხატვრულ კალამს ემორჩილება თავისდაუნებურად. სტრიქონი არ ტყუის თავის თავისა და იმ ადამიანების შესახებ, ვინც მას გვანან.

ჩვენი კერპი, ჯერ კიდევ არაღირსეულად დაფასებული მსოფლიო თეატრში, რუსთაველი, აბსოლუტური დამამტკიცებელია ქართველის ამ მრავალხმიანობისა, როგორც თავისი თხზულების გარეგანი სიუჟეტით, ისევე მის გმირთა შინაგანი ხასიათების ჩამოყალიბებით.

ამას გარდა, ამ ტიტანთან ფილოსოფიურად და შინაარსობლივად გააზრებულია მსოფლიო ვნებით შეპყრობილი ქართველის სულიერი სილაღე მისული მისტერიულ ძახილამდე – ჩვენ ვართ მთელი მსოფლიო, მასავით კარგი და ცუდი, მსოფლიო თავისი ტანჯვით, პოვნით და ცუდშიაც გამართლებული თავისი არსებობით – არ არის ცუდი, ცუდიც კარგია, ცუდმა შეყარა არაბი, სპარსი და ინდოელი უკვდავ მეგობრებად!

აი, ჩემი ზოგადი ლიტერატურული სურვილები: შევქმნა თანამედროვე ქართველი ადამიანი თავისი მკვეთრად გამოხატული და განსხვავებული ვნებებით – ტრაგიკული და სასაცილო. გარკვეული სამუშაოები, ამ მხრივ, მე უკვე ჩატარებული

მაქვს. ეს არ არის დიდი მისია, არა ზოგადად, არამედ ჩემთვის და არა გარკვეული გულუბრყვილობის ან სხვა რაიმე უარესი ტერმინის დარქმევის გამო, არამედ, უბრალოდ, ვგრძნობ, რომ სხვა რაიმეზე უფრო ასეთ ასპექტში წერა მაინტერესებს და შემიძლია.

მაპატიეთ, მე გამიტაცა წერამ და თქვენთან გულწრფელი საუბრის სურვილმა, დავუბრუნდები ისევ კონკრეტულ საქმეს, ე.ი. ჩემი «ლიტერატურული შთაბეჭდილებების» დაბეჭდვის საკითხს. მე, როგორც ზევით ნათქვამი ნაწარმოების შესავალში სრულიად გულწრფელად აღვნიშნე, ეს მართლა არ არის მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე, მაგრამ არსებობს წიგნები «очень своевременные и нужные» ეს ნაწარმოები სწორედ საჭიროა თავისი აზრებით ემოციებთან კავშირში. მაგ. აზრებმა გარკვეული როლი უნდა ითამაშონ როგორც მათ ახლა დაბეჭდვაში, ისევე შემდეგი ნაწარმოებების გამოქვეყნების დროს /ჩემი თუ სხვისი/.

დრომ მოითხოვა მიმეცა ჩემი მოთხრობებისათვის იდეოლოგიური საწყისი, ბიძგი იმ შეუჩვეველი კულტურული მკითხველისათვის, ვისაც სულ ჰემინგუეი, რემარკი, დასავლური სევდა ეჩვენება ყველგან. მათ ეს მოთხრობები უნდა აღიქვან ისე, როგორც ავტორი ფიქრობს და არ დაამახინჯონ, უფრო მეტიც, შარი არ მოსდონ სხვა მხრიდან.

წავალ უფრო შორს, გულწრფელად გეუბნებით, გარკვეული ხალხი მწერალთა კავშირიდან, ვინც წაიკითხა /წაიკითხა მხოლოდ ბატონმა სერგი ჭილაიამ, გაიგო სრულიად სწორად, მომცა პატივსაცემი შენიშვნები/, თქვენ თვითონ იცით, არ დათანხმდებოდნენ მის დაბეჭდვაზე, რომ არ ყოფილიყო ის შესავალი, რამაც ისინი დაარწმუნა ჩემს გულწრფელობაში, ხოლო წაკითხვის შემდეგ აღნიშნა, რომ შესავალი სწორია, საჭიროა, მართალია, მაგრამ ახალგაზრდა კაცისათვის საჭირო არაა ასეთი მსჯელობა და სხვა. კარგად მათ კი იციან, წაიკითხეს ეს შესავალი და ვისთვისაც ის არის ძირითადად განკუთვნილი, რა სინდისით უნდა მივაწოდო იგი? რა თქმა უნდა, შემდეგში, თუ კიდევ გამოვა კრებულში ან სხვაგან, აღარ იქნება საჭირო ეს თეორიული განმარტება, ხოლო ამ ეტაპზე აუცილებელია. მე მწამს თქვენი ყურადღება ჩემდამი და ჩემი აზრებისადმი, დარწმუნებული ვარ ამ ნათქვამსაც გაითვალისწინებთ დაბეჭდვის დროს. რაც შეეხება აზრებს ამ ნაწარმოების შესახებ, სხვადასხვაა. მაგ. ბატონ სერგი ჭილაიას პირველი თავი «ირინა და მე» ყველაზე ძალიან მოეწონა, როდესაც მუხრან მაჭავარიანი სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა /ე.ი. გაცილებით უფრო მოსწონს ბოლო ორი მოთხრობა/. ასეთი, ერთმანეთის გამომრიცხველი, აზრები ბევრია. მე ვეთანხმები ორივე მხარეს, რადგან თავისი კუთხიდან ორივე მართალია / პირადად მე, როგორც მკითხველი, მაჭავარიანის მხარეს დავიჭერდი/. დაე, ასე განსაჯოს ეს საკითხი საზოგადოებამაც, რაც მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ქართულ ლიტერატურას, მითუმეტეს, რომ ამ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს თავისი მიმმართველი თეორიული გეზი, რომელიც არ ჰქონდათ პირველ მოთხრობებს. დღემდეც კი, წარმოიდგინეთ, მხვდება ხალხი, რომელიც მეკითხება – რა მიზნით დავწერე «ნელი ტანგო» და ხომ სწორია ის, რომ სიკვდილი არაფერია და ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს არა ახალი ჭეშმარიტება ცხოვრების თავისი გზით გაგრძელების შესახებ, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თავისთავად სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი, ცხოვრება

თავისი გზით გრძელდება. ეს ჩემი განწყობა, როგორც ეტყობა, ნაწარმოების სუსტი მხატვრულობის გამო, შიგ არა ჩანს – ეს ერთი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება როგორც გადმომმღერებელს ევროპული თუ ამერიკული «დაკარგული თაობის» მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა, მხატვრულთან კავშირში, გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ /საზოგადოებამ, თქვენ და მე/ ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალებში ყურება.

ახლა მეჩვენება, რომ /აღსარებას/ ვწერ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს წერილი თქვენ უნდა წაიკითხოთ, ნუგეშსა მგვრის, რა თქმა უნდა.

მინდა პატარა (...)შევიტანო ჩემს აზრებში. ეს ყველაფერი ბრწყინვალეა, მაღალი და გამარჯვებით მოსიარულე, რასაც მე ვწერ, ეს არის საუკეთესო, ამაღლებული ჩემში, მაგრამ ადამიანის ბუნება იმდენი წვრილმანებისაგან შედგება, რომ საუკეთესო ნაცნობიც კი, მიუხედავათ ნათელი, კარგი აზრებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამორალური და აბეზარი შეიძლება მოგეჩვენოთ. ხშირად ასეთი მდაბალი აზროვნების, გარკვეული გულამრეზის დროს მეუფლება ხოლმე აზრი: ხომ არ გადაწყდა ყოფნა ან არყოფნა უკვე ყოფნის სასარგებლოდ? იქნება აღარ განიცდის ადამიანი გონებისა და გრძნობის ამ უზარმაზარ შემოტევას წინანდებურად მძაფრად და ყოფნით გადაწყვეტამ /ვუბრუნდები წერილის დასაწყისს/ ხომ არ გამოიწვია ხელოვნებაში დრამატული სიუჟეტის დაქვეითება. აქ, ჩემი აზრით, ადგილი უნდა ჰქონდეს ეპოქალურად გონებისა და ემოციის გარკვეულ დამდაბლებას, ამ ვერ დაწევას პოლიტიკური თუ ტექნიკური ტემპისადმი /რომელსაც ქვეშეცნეულად თვითონვე მოიმოქმედებს კაცობრიობა/, მე მგონი, აქედან უნდა იყოს ეპოქალურად დროზე წამოწეული სენი _ ალკოჰოლიზმი, ასე უღმერთოდ მოდებული მთელ მსოფლიოში, სენი, რომელიც აყუჩებს ემოციებს, ინტელექტს და ადამიანს საშუალებას აძლევს დაუფიქრებლად მიჰყვეს დროის თავბრუდამხვევ რიტმს. ჩემთვისაც, როგორც დროის ყველა სენით შეპყრობილი კაცისათვის, ყოფნა არ ყოფნის ის დიდი კითხვა ხანდახან ასე პატარავდება და წვრილმანდება: - სმა თუ არ სმა? და თუ შექსპირის კითხვა ყოფნის დასტურით გადაწყდა /ვმსჯელობ პრიმიტიულად/ აქ უნდა უარყოფით გადაწყდეს, რადგან ჩემში ამ კითხვის მოსვლა თვითონ ძირშივე უარყოფითია. ეს მოხდება აუცილებლივ და უფრო ჩქარა იმ შემთხვევაში, თუ გარდა შენი ვიზიონერული მირაჟებით საუბრისა, საშუალება გექნება პირდაპირ სიტყვით, ნაწერით ესაუბრო ხალხს /მე ვმსჯელობ ჩემი ღვინით ლოთი და სხვა რამით მთვრალი მეგობრების უზარმაზარი რიცხვის სახელით/, ეს პრობლემა დგას ჩემს და თქვენს წინ, როგორც ქართველი და მსოფლიო უბრალო ადამიანების წინ, ისევე როგორც სხვა, უფრო დიდი, ადრე ნათქვამი, ამაში ჩახლართული და ამაზე მაღლა მდგომი პრობლემები;

მე შევწყვეტ თავზე ძალდატანებით ჩემს წერილს, რადგან ისეც ზედმეტად შეგაწუხეთ, მაგრამ მე მწამს, რომ ასეთ თემებზე საუბარს ყოველთვის მაპატიებთ.

თქვენი მეგობარი, თუ მომცემთ უფლებას ასე ვუწოდო ჩემს თავს.

გურამ რჩეულიშვილი

1960წ. 23 იანვარი.

ორი წლის სიჩუმის შემდეგ ნაწარმოების დაბეჭდვის სისწრაფეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩემი უაღრესად არეული ეკონომიური, ისევე მორალურ-სულიერი მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. – გთხოვთ, გაითვალისწინოთ. ბატონმა სერგი ჭილაიამ ქალბატონ ციალა ჩხეიძეს სთხოვა თავზე აეღო "ლიტერატურული შეხედულებების» სტილისტურად წესრიგში მოყვანა.

დიდი პატივისცემით და მადლობის გრძნობით მოიკითხეთ ქალბატონი ციალა ჩემს მაგიერ, მოიკითხეთ, აგრეთვე, მთელი თქვენი ჟურნალის ვაჟკაცური და მეგობრული კოლექტივი.»

ვახტანგ ჭელიძის თქმით, გურამი, მიუხედავად თავისი ვაჟკაცური ხასიათისა, იყო საოცრად მორიდებული, თავმდაბალი, თითქმის მორცხვი. მომყავს ამონაწერი ციალა ჩხეიძის სარეკომენდაციო წერილიდან, რომელიც მან მელორ სტურუას მისწერა მოსკოვში და გურამს გაატანა თან (თუმცა ადრესატს არც ეს წერილი მიუღია). აქ იგივე აზრია გამოთქმული გურამზე: «ჩვენი რედაქცია გზავნის მოსკოვში ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს გურამ რჩეულიშვილს. მოდის საკმაოდ დიდი ხნით, 4 ან 5 თვით, პირველად. უნდა დაგვიწეროს ნარკვევები, უთოოდ მოთხრობებსაც შთააგონებს «უფალი». გურამი თვითონ ძალიან მორიდებული ბიჭია, თუ ძალიან არ დასჭირდა სხვისი შეწუხება, არავის მიაკითხავს.»

ასე იცნობდა მას «ცისკრის» კოლექტივი, უფროსი მეგობრებისა თუ კოლეგების წრე. ამიტომ ყველასათვის მოულოდნელი იყო ის აურზაური, რაც ჩემმა ძმამ ატეხა მაჩაბლის ქუჩაზე, კომკავშირის ცეკას შენობის პირველ სართულზე, სადაც მაშინ «ცისკრის» რედაქცია მდებარეობდა. გურამი რედაქციაში ედიშერ გიორგაძესთან ერთად წავიდა. ედიშერი ეზოში ელოდებოდა. გურამი მარტო შევიდა რედაქციაში. ედიშერმა მითხრა: ცოტა ხანში ოთახიდან მომესმა ძალიან ხმამაღალი ლაპარაკი, ხმაური. ვხედავდი რაღაც ხდებოდა, მაგრამ თავი შევიკავე, არ შევედი, ვიფიქრე, არ ეგონოთ, რომ გურამი ამხანაგებით დაესხა მათ თავს. კარი ნახევრამდე მუყაოთი იყო დახურული. უცებ გამოჩნდა გურამის ტანი მუყაოს ზევით, ეტყობა, მაგიდაზე ახტა. გავქანდი კარისაკენ, თან ისევ მეშინოდა, არ ეფიქრათ, რომ გურამმა ხალხი მიიყვანა. ამ დროს იღება კარი, გამოდის გიორგი შატბერაშვილი, ხელგადახვეული გამოჰყავს გურამი და თან ეუბნება: დაწყნარდი, გურამ, ხომ გაქვს ჩემი ხათრიო. მერე გურამმა მითხრა: გიორგის ხათრით გამოვედიო.

1960 წლის თებერვალ-მარტში გურამი, თავისი ამხანაგების რჩევით (გიორგი შენგელაია, ვანო ყიფიანი, რომელიც მაშინ კინოსტუდიის მშენებლობაზე მუშაობდა და რომელმაც თურმე გაიგო, რომ კინომრეწველობა აპირებდა ახალგაზრდა მწერლების ჩაბმას თავიანთ საქმიანობაში), წავიდა კინოსტუდიაში «ცოტაოდენი ფულის» გასაკეთებლად, თავისი «უაღრესად არეული ეკონომიური მდგომარეობის გამოსასწორებლად» (წერილიდან ვახტანგ ჭელიძეს). ამბობენ, რომ ინიციატივა ელდარ შენგელაიასგანაც მოდიოდა. ვანო ყიფიანის თქმით, გურამს ფული სჭირდებოდა თავისი მეგობრის, თემურ გერსამიას, სასწრაფოდ მკურნალობისათვის. თემურს, თურმე, მაღალი სართულიდან გადმოვარდნის შემდეგ დაემართა «სტოლბნიაკი» და ძალიან ცუდად იყო. გარდა ამისა, ისევ ვანო ყიფიანის თქმით, გურამი ოცნებობდა მოტოციკლეტის ყიდვაზე. უნდოდა ხევსურეთში ასვლა და თავისი ერთ-ერთი ძმადნაფიცისათვის მისი ჩუქება.

გიორგიმ და გურამმა კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში, თავდაპირველად, მიიტანეს «თორტიზელი ქალიშვილი» (დაიბეჭდება მეოთხე

წიგნში). ეს სცენარი სასცენარო საბჭომ დაიწუნა. შესთავაზეს დაეწერა რაიმე საბჭოთა თემატიკაზე. გიორგიმ მითხრა, გამიკვირდა, გურამმა არ იუარა, თქვა: ვიცი, მაგათ რაც მოეწონებათო და სასწრაფოდ დაწერა ლიბრეტო კინოსცენარისათვის «ჩვენ ერთად მივდივართ». ვანო ყიფიანის გადმოცემით, გურამმა ლიბრეტო დაწერა იქვე, კინოსტუდიაში (შეიძლება ეს იყოს მართლაც ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცლებზე ძალიან გაკრული ხელით დაწერილი ტექსტი, ამ ლიბრეტოს პირველი შავი ვარიანტი. იხ. ტომი 4). ეს იყო საბჭოთა თემატიკა, რომელიც გურამს უკვე თითქმის წერის დაწყების პირველი დღეებიდანვე უტრიალებდა თავში და, როგორც საარქივო მასალა მოწმობს, «ჩლშ»-ის აზრის გაჩენისთანავე ჩაფიქრებული ჰქონდა ამ ციკლის მეოთხე, დამამთავრებელ მოთხრობად. ამ ლიბრეტოს თეთრი ვარიანტიც გადაწერილია ისეთივე ლამაზი, გამოყვანილი ხელით, ოღონდ უფრო მჭიდროდ, ვიდრე «ჩლშ»-ის პირველი სამი მოთხრობა, თუმცა განსხვავებულია საწერ-კალამი. გიორგიმ თქვა, საბოლოოდ, ლიბრეტო მიიღეს, ცოტაოდენი ჰონორარი მისცეს კიდეც და, მე მგონი, გურამი იმ ფულით წავიდა ზღვაზეო. არქივში ინახება ლიბრეტოს თაობაზე კინოსტუდიის დასკვნა, დათარიღებული 1960 წლის 10 მაისით.

ზაფხულის დასაწყისში ჩემი ძმა, უკვე მთლიანად იმედგადაწყვეტილი ბეჭდვის თაობაზე, მამიდა ნათელა ჯავახიშვილის რჩევით, წავიდა ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. მამიდა ნათელამ სთხოვა ექსპედიციის ხელმძღვანელს (ნაპო ზაქარაია), რომ თან წაეყვანა გურამი (იმ დროისათვის ის უკვე აღარ მუშაობდა მუზეუმში). მამიდას უთქვამს მისთვის: ძალიან დეპრესიულ ხასიათზეა და იქნებ ცოტა გული გადააყოლოსო. ერთ საღამოს დედა მოულოდნელად შეეჯახა ფიქრებში წასულ გურამს პეტრიაშვილის ქუჩაზე, პურის მაღაზიასთან. ის ექსპედიციიდან ბრუნდებოდა. დედამ ახარა: სერგი ჭილაიამ დარეკა, სამივე მოთხრობას ვუბეჭდავთო. გურამი, თურმე, საოცრად აღელდა და უთხრა: შენ კი გაგიხარდა, მაგრამ, მთავარია, როგორ მიბეჭდავენო. დედამ თქვა, როდესაც საბოლოოდ გაირკვა, რომ უბეჭდავენ ორ მოთხრობას და არა სამს და თან ისე არა, როგორც თვითონ უნდოდა, ძალიან აღელდა. ასე იყო თუ ისე, გურამმა მაინც დატოვა მოთხრობები «ცისკარში» და ექსპედიციაში დაბრუნდა. ცოტა ხანში ურბნისში ვიღაცამ აივანზე აშენებულ მერცხლების ბუდეს ბათინკი ესროლა და ჩამოაგდო, აღარ შემიძლია ამათი ჟღურტულის მოსმენაო. ამ შემთხვევის შემდეგ გურამმა, როგორც ამბობენ, მაშინვე აიკრიფა გუდა-ნაბადი და უკვე საბოლოოდ დატოვა ექსპედიცია.

ურბნისიდან დაბრუნების შემდეგ მან გადაწყვიტა წასვლა ქციის ექსპედიციაში, უკვე მამასთან ერთად. დედამ ჩაულაგა ბარგი, ლეიბ-საბანი და ფიქრობდა, რომ ის ერთ თვეზე ადრე არ დაბრუნდებოდა შინ. გიოლინა ჭიჭინაძე, გურამის მეგობარი და მამას თანამშრომელი, რომელთან ერთადაც გურამი ადრეც ყოფილა ექსპედიციებში, იხსენებს, რომ იმ ზაფხულს ის უჩვეულოდ ჩუმი და მოწყენილი ჩანდა. ექსპედიციისგან მოშორებით, ციხისჯვარში, მამამ, თურმე, ბინა დაუქირავა სამუშაოდ და დიასახლისს ჩააბარა მოსავლელად. გურამი ძალიან კმაყოფილი იყო, მამასთვის უთქვამს: ალბათ, რამდენიმე თვე დავრჩებიო აქ. მაგრამ, ყველას გასაკვირად, სულ ერთ-ორ დღეში დაბრუნდა უკან (ამის შესახებ იხ. გურამის ბოლო წერილი დედასთან, ტომი 5). დედამ თქვა: ქალი მყავდა მოყვანილი და ლეიბებს ვკერავდით. გურამმა ბარგი სარდაფში გადამალა და ისე ამოვიდა სახლში. გამიკვირდა, ვიფიქრე, ცოტა ხნით რაღაც საქმეზე თუ ჩამოვიდა-მეთქი. როცა გავიგე, რომ დაბრუნებას აღარ აპირებდა, ვუთხარი: ნეტა, ლოგინი მაინც წამოგეღო თან, ბარემ შენს ლეიბსაც გავაკეთებდი-მეთქი. გურამი გახარებული ჩავიდა სარდაფში და ამოიტანა თავისი ბარგი. ამის შემდეგ, ძალიან მალე, ჩემი ძმა თემო ბერიძესთან

ერთად წავიდა გაგრაში. შესაძლებელია, რომ მან ფული კინოსტუდიიდან სწორედ ზღვაზე წასვლის წინ აიღო.

წასვლამდე, ამბობენ, გურამმა შეიარა რედაქციაში და ნახა «ცისკრის» აკრეფილი სვეტები. იქ მყოფი პიროვნების გადმოცემით, მან, თურმე, ხელში აიღო ანაბეჭდები, დახედა, საოცრად გაფითრდა, მაშინვე დადო ისინი მაგიდაზე და თქვა: ამის წაკითხვა მე არ შემიძლია, როგორც არის არისო, და სწრაფად დატოვა რედაქცია.

ბრძოლა აშკარად და გამოუსწორებლად წაგებული ჩანდა. როგორც გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რაც გადაურჩა ცენზურას, იყო ამ უღრესად სუბიექტური პროზის უაღრესად დამახინჯებული არა რედაქცია, არამედ რედაქციისეული ვარიანტი, რაც, ფაქტობრივად, მწერალთან შეუთანხმებლად გაკეთდა, უკვე არა ციალა ჩხეიძის, არამედ რედაქციის სხვა ახალგაზრდა მწერალთა მიერ, რომელნიც ჟურნალის პროზის განყოფილებაში მუშაობდნენ. შეცვლილი იყო «ირინა და მეს» ყოვლად «უცოდველი» ექსპოზიციაც (იხ. ჟურნალ «ცისკრის» 1960 წლის აგვისტოს ნომერი). იმ რედაქციის შემდეგ «ირინა და მე» ყოველ ახალ გამოცემაში სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა დედანს. ასევე «დახვეწილი» იყო «ალავერდობაც». შესწორებული და ამოღებული იყო ის პასაჟები, რაც «ხელს უშლიდა», რედაქციის აზრით, მოთხრობის ლაკონიურობას და გამჭვირვალობას, რადგან ისინი, მათივე თქმით, საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ მწერლის ავტორიტეტს. ციალა ჩხეიძის ნაპო ზაქარაიასთან მიწერილ წერილში (იხ. ტომი 5. წერილები) ჩანს რედაქციის დამოკიდებულება გურამის მიმართ: გურამი დამწყები მწერალია, საჭიროა მისი სტილის დახვეწა. არ უვარგა ენა. ჯერჯერობით დაღვინების, მომწიფების პერიოდშია. უნდა მეტი იმუშაოს თავის თავზე. უნდა დაეუფლოს წერის ხელოვნებას.

«ცისკრის» «მეგობრულმა კოლექტივმა» ისე «მოუწესრიგა» გურამს ყველაფერი, რომ ის თითქმის სასოწარკვეთილი წავიდა ზღვაზე. კედელი, მის წინ ცენზურის სახით რომ აღიმართა, რეალურად აუღებელი აღმოჩნდა. მამას გადმოცემით, გურამი ძალიან შეწუხებული იყო იმითაც, რომ პირველ მოთხრობას დაარქვეს «ირინა» და არა «ირინა და მე», როგორც თვითონ ჰქონდა განზრახული (მკითხველს გავახსენებ გურამის სხვა მოთხრობებს: «მოხუცი და მე», «სულხანი და მე», «სალომე და გურამი», «ერთი დღის მანძილზე შემხვდური ხალხი და მე» და სხვა მოთხრობები, სადაც სათაურშივე ჩანს მწერლის პიროვნება, მისი ინტერესი ყველაფერი გაიაზროს თავისთან მიმართებაში).

გურამის ავტოგრაფებზე მუშაობა, მათი გამოსაქვეყნებლად მომზადება, როგორც გიორგი შატბერაშვილი აღნიშნავს მამასთან მიწერილ წერილში (იხ. ტომი 5. აგრეთვე, ტომი 1, «ავტოგრაფების დახასიათებისათვის»), ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ ტომეულების მომზადების დროსაც ხშირად საჭირო ხდებოდა, გარდა ზოგადი სარედაქციო პრინციპებისა, რაც არქივის კვლევის დროს შევიმუშავე, გამეთვალისწინებინა ყოველი ცალკეული შემთხვევის თავისებურება და მიმეღო გადაწყვეტილება კონკრეტულად ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. გარკვეულ სირთულეს იწვევდა წინამდებარე გამოცემაში ამ ციკლის რედაქციაც, რადგან მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი იყო უშუალოდ მასთან დაკავშირებული პრობლემები. ამჟამინდელი გამოცემის პრინციპი, გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ მწერლის ბოლო ნება და ტექსტი დაიბეჭდოს უცვლელად, მხოლოდ ნაწილობრივ თუ აადვილებდა საქმეს. პრობლემური იყო სწორედ იმის გააზრება, რა შეიძლებოდა მიგველო ტექსტად დღეს, როდესაც აღარ მოქმედებდა ოფიციალური ცენზურა, საბჭოთა სისტემის სახით, რამდენადაც, აკადემიური გამოცემის თავისებურების

თანახმად, ცენზურისათვის დაწერილი პასაჟები უნდა დარჩენილიყო ტექსტის გარეთ.

1956 წლის გაზაფხულით დათარიღებულ, ირონიულ-პაროდიული შეფერილობით დაწერილ პატარ-პატარა მოთხრობებში (იხ. ტომი 1), რომელთა უმეტესობას თითქმის არა აქვს დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება, სქემატურია და ზოგიც დაუმთავრებელი, შემოდის საბჭოთა კავშირის თემა. ამ ტომში მოთავსებული პატარა მოთხრობა «ის-ის იყო ღამდებოდა» (1960 წელი) ისევ ამ თემას შეეხება. შეიძლება ითქვას, რომ ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობისას, სხვადასხვა ნაწარმოებებში, დღიურებსა თუ ჩანაწერებში, ჩემი ძმა არაერთხელ უბრუნდება ამ პრობლემას. ის თითქოს მუდმივად ცდილობს გაერკვეს იმ შეუსაბამობაში ფორმასა და შინაარსს შორის, სიტყვასა და საქმეს შორის, იმ ტყუილ, ფარისევლურ ურთიერთობებში, რაც, ფაქტობრივად, დამახასიათებელი იყო საბჭოთა წყობილების ყველა რგოლისათვის. საბჭოთა სისტემის მიმართ მწერლის ზოგადი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, კარგად ჩანს 9 მარტზე დაწერილი მოთხრობის («სკოლიდან გამოვარდნილი ბავშვები»...) ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში: მომხდარით შეძრწუნებული მოხუცებული კაცი იღებს ცარცს და ტანკზე გამოსახულ საბჭოთა ვარსკვლავს გვერდით მიუხატავს «სვასტიკას». ფაშიზმისა და სოციალიზმის ფაქტობრივ იგივეობრიობაზე გურამი ვრცლად წერს 1958 წლის დღიურში (იხ. «დღიურის» შენიშვნები).

საბჭოთა სისტემა ზოგადად და კონკრეტულადაც, ცენზურის სახით, იყო ის ცხოვრებისეული ჩარჩო, «ბაკანი», აუღებელ კედლად რომ აღიმართა ჩემი ძმის ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე. ამ კედელს ის მთელი სიმძაფრით შეეჯახა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» პუბლიკაციის პერიოდში. მწერლისათვის იმ დროს საბოლოოდ გაირკვა, რომ მის მიერ დაწერილი ვერცერთი «არაყალბი» სიტყვა მის სიცოცხლეში დღის სინათლეს ვერ ნახავდა (დღიურიდან).

«ჩლშ-ის» რედაქციისას, მას შემდეგ, რაც დღიურებიდან და მთელი შემოქმედებიდანაც ჩემთვის უკვე ნათელი გახდა მწერლის ზოგადი პოზიცია, ყველაზე ადვილი იქნებოდა აპრიორულად მიმეჩნია, რომ ამ ციკლში შემავალი საბჭოთა წყობილებასთან დაკავშირებული პასაჟები, რომელთაც, ერთი შეხედვით, დადებითი ელფერი აქვთ, ცენზურის თვალის ასახვევად დაიწერა და მთლიანად ამომეღო ტექსტიდან. მაგრამ ჩნდებოდა ეჭვი: იქნებ «ჩლშ», თავის შესავლიანად, არის ნაწარმოები, რომლის მთავარი მოქმედი პირი («ჩვენი მოთხრობების გმირი»), _ მწერალი, მეოცე საუკუნის სამოციანი წლების საბჭოთა მოქალაქე, დაბადებიდანვე ამ დროისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გარემოცვაში რომ ცხოვრობს, _ გარკვეული კუთხით, იზიარებს კიდეც ამ ღირებულებებს და ნაწარმოებში გმირის ევოლუცია სწორედ ამ ღირებულებებთან მიმართებაშია გამოვლენილი? ზოგადად, ამის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს შემდეგი სიტყვები ციკლის შესავლის შავი ვარიანტიდან: *“საინტერესოდ, უცნაურად, ერთგვარი გულუბრყვილობით მსჯელობს ჩვენი ავტორი, ის ბევრ რამეში ემთხვევა ჩემ (არაავტორულ) შეხედულებებს, უფრო მეტში სცილდება, საკმაოდ საინტერესოა მასთან კამათი, მაგრამ ჯერ მივყვეთ მის პირველ ლიტერატურულ შეხედულებებს, უფრო კარგად შევიცნოთ მისი გარემოს აღქმის უნარიანობა, სამყარო, რომელსაც ის ხედავს თავის გარშემო, მაშინ შესაძლებელი იქნება იმ მხარეების უფრო კარგად დანახვა, რომელიც მას პირველი მწერლური ცდების დროს გამორჩა».* ამ შემთხვევაში ტექსტის ნაწილად უნდა მიგვეჩნია ყველა დაწერილი სიტყვა და მთავარი გმირის საბჭოთა სისტემასთან

მიმართების თავისებურების გარკვევა, ნაწარმოების მთლიანობაში რომ გამოიკვეთება, მხოლოდ მკითხველისთვის მიგვენდო.

რა თქმა უნდა, ამ «თეორიული განმარტების» სიღრმისეული გააზრება, ისე როგორც ციკლში საბჭოთა სისტემაზე დაწერილი სხვა პასაჟების (მაგალითად, მოთხრობა «დღიურში»), მხოლოდ ნაწარმოების მთლიანობაშია შესაძლებელი. (სამუშაო ჰიპოთეზად რედაქტორისათვის შეიძლება გამოდგეს გურამის ერთ-ერთ დღიურში გამოთქმული მოსაზრება: «კვლევის დროს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სიძნელეები: ყოველთვის არის ერთი უარმყოფელი (ფსიქოლოგიურად) მეორისა, ძალიან ძნელია ძირითადის დაჭერა, ამიტომ კონკრეტულად უნდა აღწერო ძირითადი ამბები და დასკვნა, უფრო მეტად, მკითხველს მიანდო. დასკვნა იქნება ძირითადად ემოციური ხასიათის»).

უკვე აღვნიშნეთ, რომ გურამი, თავდაპირველად, იბრძოდა პირველი სამი მოთხრობისა და «თეორიული განმარტების» (შესავალი წერილის) დასაბეჭდად. ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილ წერილში ის ასაბუთებს «ამ ეტაპზე» მისი დაბეჭდვის აუცილებლობას და «ამ ეტაპში» უთუოდ საბჭოთა ცენზურას გულისხმობს. ამის დამადასტურებელია ჩემი ძმის ჩემ მიერ ადრე მოყვანილი სიტყვები: «ისეთ შესავალს გავუკეთებ, რომ დაბეჭდვაზე ველარ მეტყვიან უარს» (ამის დამადასტურებელია, აგრეთვე, ცოტა ხნით ადრე პიესა «მარინას» მოქმედების გადატანა პარიზში, მას შემდეგ, რაც რედაქციამ უარი უთხრა პიესის დაბეჭდვაზე: საბჭოთა სასამართლოში ასეთი რამ არ შეიძლება მოხდესო. (იხ. ტომი 4. «მარინას» შენიშვნები). მწერლის ამ კომენტარმა საშუალება მომცა წინამდებარე გამოცემაში უარი მეთქვა «თეორიულ განმარტებაზე» (ციკლის შესავალი წერილი იხ. ქვემოთ).

მართალია, ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილ წერილში გურამი მსჯელობს ციკლის მხოლოდ შესავალ წერილზე, მაგრამ მწერლის პოზიცია ჩემთვის გზის მიმანიშნებელი გახდა სხვა შემთხვევების დროსაც. მაგალითად, ჩემი აზრით, ეს უნდა გავრცელდეს «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტისათვის ნაწარმოების შექმნიდან წელიწადნახევრის შემდეგ გაკეთებულ «მინაწერზეც» (შესავალი წერილი, ფაქტობრივად, ამოიზარდა «მინაწერისათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან. იხ. «ირინა და მეს» შენიშვნები). აღსანიშნავია, რომ «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტი ერთადერთი შეთხვევაა მწერლის შემოქმედებაში, როდესაც მხატვრული ტექსტი ნაწარმოებში ხელოვნურად არის შეწყვეტილი და შიგ ჩართულია დიდი ხნის შემდეგ დაწერილი პასაჟი. ეს, ვფიქრობ, არაორგანულია გურამის შემოქმედებისათვის, რომელიც თითქოს ერთ მთლიან, უწყვეტ ნაკადად მოედინება («წერა კი მოდის იღვრება,» «ერთი უწყვეტი მორევი...» და სხვ.) და არასოდეს არ არის შემდგომი მუშაობისას გადაკეთებულ-გადმოკეთებული, ჩამატებულ-შესწორებული. «მორევის» ხელოვნური შეწყვეტა და ტექსტში ჩართვა დიდი ხნის შემდეგ დაწერილი «მინაწერისა», სადაც მწერალი რეტროსპექციისას თითქოს არამხატვრული, პუბლიცისტური სიტყვით გაიაზრებდა თავის «შეცდომას» (იგულისხმება ირინას მკვლელობა) და იკვლევდა ამ «ვადით გაუსვლელი დანაშაულის» მიზეზებს, განპირობებული უნდა ყოფილიყო როგორც ოფიციალური ცენზურის, ისე მკითხველის შინაგანი ცენზურის არსებობით, მკითხველისა, რომელიც ამდაგვარ «სისხლიან» სიუჟეტს ქართულ ლიტერატურაში არ იყო შეჩვეული. მახსოვს, გიგლა ხუციშვილმა გურამს უთხრა: «იწუნებენ, ამბობენ, სიკვდილის აპოლოგიააო». ამასვე უნდა გულისხმობდეს ვახტანგ ჭელიძის სიტყვები, რომელიც გურამს თავის დღიურში აქვს მოყვანილი: «გუშინ რაც შეიძლებოდა მსუბუქად, ოღონდ პირდაპირ

მიმითითა ვახტანგ ჭელიძემ, რომ ვწერ ისეთ საგნებზე, რომლებიც არ არიან სასიამოვნო» (ამ «არასასიამოვნო» ამბებში უნდა უგულისხმებოდეს ირინას მკვლელობა). ამასვე წერს გიორგი შატბერაშვილი მამასთან მიწერილ წერილში უკვე გურამის გარდაცვალების შემდეგ: «მე, გულწრფელად, ის ვარიანტი უფრო მომწონს, რომელიც «ცისკარში» დაიბეჭდა. განსაკუთრებით, დასასრული, რომელიც გაწმენდილია ზედმეტი სისხლისაგან, ქაოტიურობისაგან და იმავეს ამბობს უფრო ლაკონურად და მინიშნებით, რასაც ვრცელი ტექსტი». აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თავიდანვე, 1960 წელსვე, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები» დაიბეჭდა შესავლის, ხოლო «ირინა და მე» «მინაწერის» გარეშე.

წინა ორი ტომის გაცნობისას მკითხველი, ალბათ, თავადაც დარწმუნდა, რომ ნაწარმოებების უმეტესობა მწერლის არქივში მხოლოდ შავი ვარიანტითაა წარმოდგენილი. იგივე შეიძლება ითქვას ამ ტომზეც. ცხადია, ასეთი შემთხვევების დროს იძულებული ვიყავი მკითხველისათვის მიმეწოდებინა მწერლის უშუალო შემოქმედებითი პროცესის დროს დაბადებული სიტყვა (იმ შესწორებებით, რის შესახებაც პირველი ტომის ბოლოსიტყვაობაში უკვე ვილაპარაკე). საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ გურამი ძალიან ენდობოდა ამ სიტყვას და, ალბათ, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ თეთრ ვარიანტში ის იშვიათად ცვლიდა (ამუშავებდა თუ «ჩარხავდა») მას. ყველაფერი ამის გამო, მქონდა ცდუნება დამებეჭდა მწერლის უშუალო, ჯერ მის მიერ გაუანალიზებელი, გაუთვითცნობიერებელი «რეპორტაჟი» მოსკოვიდან, ანუ «ირინა და მეს» შავი ვარიანტი. რადგან ამ ნაწარმოების თეთრ ვარიანტს თითქოს აკლია ის უშუალობა, ინტიმურობა, რაც წერის მომენტში დაბადებულ სიტყვას აქვს და შემდეგ დაწერილი პასაჟიც («მინაწერი»), ამავე მიზეზით, გადამეტანა შენიშვნებში, როგორც მხოლოდ ისტორიის კუთვნილება. მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ მივიჩნიე კეთილგონივრულად (იხ. «ირინა და მეს» თეთრი და შავი ხელნაწერების შედარება შენიშვნებში). წინამდებარე გამოცემაში ტექსტად მიჩნეულია ნაწარმოების თეთრი ვარიანტი, ოღონდ, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, «მინაწერის» გარეშე.

რედაქციისას პრობლემური იყო, აგრეთვე, «დასათაურებაში» ნახსენები მეოთხე მოთხრობის (“რევაზ მაყაშვილი და ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული ბრიგადა”) საკითხი: შემეტანა თუ არა ამ ციკლში მეოთხე ნაწარმოებად 1960 წლის გაზაფხულზე დაწერილი ლიბრეტო კინოსცენარისათვის «ჩვენ ერთად მივდივართ», ანუ მიმეჩნია ის «დასათაურებაში» ნახსენები მეოთხე მოთხრობის სანაცვლოდ დაწერილ ნაწარმოებად თუ არა.

ზოგადად ემთხვეოდა ყველაფერი. მსგავსი იყო ლიბრეტოს («ჩვენ ერთად მივდივართ») და «დასათაურებაში» მეოთხე მოთხრობად ნახსენები მოთხრობის («რევაზ მაყაშვილი და ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული ბრიგადა») თემატიკა: პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა. ორივეგან საზოგადოება წარმოდგენილი იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული ბრიგადის სახით. მსგავსი იყო ძირითადი ამბავი _ «ადამიანის სურვილი გახდეს საზოგადოების წევრი, მთლიანად გამზიარებელი მისი ინტერესებისა, და დაბრკოლებები ამ გზაზე» (მეოთხე მოთხრობის ქვესათაური «დასათაურებიდან»). ნაწარმოებში ლიბრეტოსათვის დამახასიათებელი ლაკონიურობით, ტრაგიკულ-პაროდიულადაა გადმოცემული ამბავი პიროვნებისა

და საზოგადოების ურთიერთმიმართების შესახებ, ნაჩვენებია ის დაბრკოლებები, რომელიც ელობება გმირს თავისი ცხოვრების გზაზე კონკრეტულ დროსა და სივრცეში, კერძოდ, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. «დასათაურებაში» გმირის გაუცხოება საზოგადოების მიმართ ჩანს თავადურ გვარში (რევაზ მაყაშვილი), ლიბრეტოში კი ამ გაუცხოებაზე თავიდანვე მიგვანიშნებს გურამი, საკუთარი სახელი «ჩლშ-ის» ლირიკული გმირისა («უპასპორტო მოქალაქე», «ბინის დავთარში ჩაუწერელი ადამიანი», «თავისი გარკვეული ადგილის გარეშე», «ამოვარდნილი კალაპოტიდან» და სხვ.*),* რომელიც გადაადგილდება ნაწარმოების მხატვრულ სივრცეში, მოთხრობიდან მოთხრობაში, საზოგადოებაში თავისი ადგილის საპოვნელად და დასამკვიდრებლად.

როგორც აღვნიშნე, 1960 წლის გაზაფხულისათვის გადაუჭრელობამდე გამძაფრდა სამი მოთხრობის ბეჭდვის საკითხი. ვფიქრობდი, რომ ამ გარემოებამ საბოლოოდ გადაწყვიტა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» ლირიკული გმირის აბსურდული სიკვდილი ლიბრეტოს სიუჟეტში. გმირი განწირული იყო დასაღუპად, რადგან მან ვერ იპოვა საზოგადოებაში თავისი ადგილი, «ვერ შეძლო გამხდარიყო კოლექტივის ღირსეული წევრი» და სხვებთან ერთად «ფეხაწყობილს ეარა მწკრივში». მკითხველს გავახსენებ ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილი წერილიდან ერთ პასაჟს: « ... მაშ, რა უნდა აკეთოს გურამმა, რომელიც სრულიად უცებ, როგორც შემოქმედი, და კანონზომიერად ისტორიისათვის, კანონგარეშე რჩება, ერთის შეხედვით.

მე მწამს ტალანტი და მისია და თუ იბადება ადამიანი შემოქმედების სურვილით, ე.ი. მას აქვს საქმე! ერთს - იყოს ხიდი ამ საქმისაკენ /მთელი «დაკარგული თაობის» ლიტერატურა/, მეორეს – აკეთოს უკვე თვითონ საქმე! …

აქ, თითქოს, ყველაფერი ბუნდოვანია, მიუხედავად ბევრი სიცხადისა, რაც შემოქმედების პროცესში მისწრებამდე აუცილებელია, სწორედ აქ არის საჭირო, თავის შესაცნობად, მოწოდების ადგილის საპოვნელად, გარკვეული თავისუფლება და არა მხოლოდ ერთ ან ორ ჭკვიან კაცთან, არამედ მასასთან მთლიანად ერთად საუბარი.»

აღსანიშნავია, რომ არქივში არსებობს 14 ოქტომბრით დათარიღებული ჩანაწერი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე. ეს არის დაახლოებით «ალავერდობის» შექმნის პერიოდი. არსებობს, აგრეთვე, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ქაღალდზე გაკეთებული ჩანაწერები მეოთხე მოთხრობისა და «ალავერდობისათვის», რაც მიანიშნებს, რომ მათი შექმნის იდეა მწიფდებოდა ერთდროულად.

ამ თვალთახედვით, ლიბრეტო მესახებოდა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» მაგისტრალური სიუჟეტის ბოლო ეტაპად, მის ბუნებრივ გაგრძელებად და ტრაგიკულ დასასრულად. შევიმუშავე კიდეც გეგმა: დამებეჭდა ის როგორც ციკლის ბოლო მოთხრობა, ოღონდ განსხვავებული შრიფტით, იმ «უბრალო» მიზეზით, რომ გურამმა ის პირველ სამ მოთხრობასთან ერთად თვითონვე «არ აკინძა» და ა.შ. მაგრამ მას შემდეგ, რაც უკან მოვიტოვე ყველაფერი, დაკავშირებული «ჩლშ»-ის სამი მოთხრობის შექმნის ისტორიასა თუ მათ მხატვრულ გააზრებასთან, და პირისპირ დავრჩი ნაწარმოებთან, რომელსაც იმ ეტაპზე ციკლის მეოთხე მოთხრობად მივიჩნევდი, მივხვდი, რომ ჩემი წინა გადაწყვეტილება მოკლებული იყო საფუძველს: 1960 წელს დაწერილი ლიბრეტო, აბსოლუტურად ადეკვატური «დასათაურებაში»

ნახსენები მეოთხე მოთხრობისა, არ შეიძლება ყოფილიყო ციკლის დამამთავრებელი ნაწარმოები.

უპირველესი და ყველაზე «უბრალო» მიზეზი, ალბათ, იყო ის, რომ «ჩვენ ერთად მოვდივართ» არ ყოფილა დაწერილი როგორც მეოთხე მოთხრობა. შესაძლოა, იმ დროისათვის მწერალმა გადაიფიქრა კიდეც მისი შექმნა! «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» ტექსტი, რომლის დასაბეჭდადაც გურამი მაშინ იბრძოდა, შედგებოდა, როგორცა ვთქვი, სამი მოთხრობისა და შესავალი წერილისაგან. ადრე აღვნიშნე, რომ ლიბრეტო დაიწერა თითქოს იძულებით, მას შემდეგ მხოლოდ, რაც არ მიიღეს გურამის მიერ წარდგენილი სხვა ლიბრეტოები (იხ. აქვე, ლიბრეტოს შექმნის ისტორია).

გარდა ზემოთ მოცემული განმარტებისა, აქ მნიშვნელოვანია გურამის ცხოვრება-შემოქმედების, ისე როგორც კონკრეტულად «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების», მაგისტრალური სიუჟეტის (ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების თავისებურების ძიება) მთლიანური გააზრება, აშკარად ღიაობისა და მომავლისაკენ რომ არის მისწრაფული, განსხვავებით ლიბრეტოს ჩაკეტილი, თითქოს თავის თავში დამთავრებული სიუჟეტისა, რომლის ლოგიკური დასასრული, მართლაც, მხოლოდ გმირის აბსურდული დაღუპვა შეიძლება იყოს (იხ. მთლიანი ტექსტი, ტომი 4): გურამი არ გამოეხმაურა კომკავშირლებისადმი მიმართულ მოწოდებას, მორიდებოდნენ ზევიდან გადმოსაგდებად გამზადებულ გავარვარებულ რკინას, რადგან ის არ იყო კომკავშირელი. «გურამ! გურამ! ყვირიან ყველანი. მაგრამ გვიანღაა. რკინის ნაჭერი გადმოგდებულია! თავგატეხილი ეცემა ძირს გურამი. აღარ გახდება აღარასოდეს ის კომკავშირის კოლექტივის წევრი!». «ხომ შეიძლებოდა ასეთი კაცი არ დაღუპულიყო, ნუთუ იღბალია? – არა, ეს არც იღბალია, არც უბედური შემთხვევა. ეს კანონზომიერებაა: ვისაც არ შეუძლია ახლა, ამ ეპოქაში, გახდეს კოლექტივის წევრი, ის დაიღუპება!» «ვინ იყო ეს წევრი, რატომ დაიღუპა იგი? – დაიღუპა იმიტომ, რომ ვერ შესძლო კოლექტივთან ერთად მუშაობა. – ეს არ ვარგა, დაუშვებელია, ამას შეიძლება მოჰყვეს ტრაგედია – ფაქტი სახეზეა.» ასევე აბსურდულად იღუპება ლიბრეტოს ერთ-ერთი გმირი, გლეხის ბიჭი შიოშვილი: «მათზე წამოსული ამწევი კრანისგან ტყუილად შეშინებული შიოშვილი, უკან გადამხტარი, ქურაში ვარდება და თვალისდახამხამებაში ქრება. ცირა თვალებს არ უჯერებს, ეძახის, იხედება, იცის და არ სჯერა, ფიქრობს: იყო ის ბიჭი საერთოდ თუ არა?! იგი გარბის, უძახის ამხანაგებს, ყველანი საშინლად განიცდიან მომხდარს, ზოგს არც კი სჯერა. აქ მხოლოდ გავარვარებული ცეცხლის ქურა ჩანს.

შიოშვილის ტრაგედია დიდი მსჯელობის საგნად იქცევა, მის შემდეგ მთლიანად იცვლება ცირა და ერთი-ორი ოდნავ ცუღლუტურად განწყობილი სხვაც. მთელი სერიოზულობა მუშაობისა იგრძნო თითოეულმა, უფრო კარგად გაიგეს, რომ აქ წყდება უდიდესი მნიშვნელობის საქმე» (ამონაწერები ლიბრეტოდან «ჩვენ ერთად მივდივართ»).

«ყველა გმირის გამოუვალი მარცხი _ იულონი, გურამი,… ერლომის «დიდი მონა», ან «ნელი ტანგო» ჩემი, ნუთუ ეს დეკადანსია?! თუნდაც ჩემთვის იმიტომ, რომ წერის საშინელ სურვილთან ერთად ვგრძნობ საკუთარ თავზე ვიღაცის დაღლის ვერ მოშორებას, რაც თვითონ წინადადების დაწყობაშიც კი მიშლის ხელს. შეიძლება თუ არა, თუ ეს მართლა დეკადანსის ბოლოა, ვაქციო იგი რენესანსად ჩემივე თავში» (ამონაწერი გურამის დღიურიდან).

მართლაც, გურამის ნაწარმოებთა გმირების უმეტესობა იღუპება. იღუპება თორმეტი ძმა ხორჯოლანი «დევების ცეკვაში», გურამ-გურამი «კა და კოში», «ნელი ტანგოს» გმირი, მოხუცი მონადირე პირველივე მოთხრობაში, ლევიკო-მეოცნებე კინოპიესაში «ბევრი ბავშვები ერთად» (იხ. ტომი 4), ძაგანია «შაშას რევოლუციაში» და სხვ. მაგრამ გმირის სიკვდილის დროს იბადება შეგრძნება, რომ «არაფრისათვის არაფერი არა ხდება, თვით არასაჭირო სიკვდილიც კი» («იულონიდან»). გმირის ფიზიკური დაღუპვა ნაწარმოების სიუჟეტში, რაღაცა ძალით, ახალი გზის დასაწყისად გადაიქცევა ხოლმე სხვა გმირებისათვის, დაახლოებით ისე, როგორც არის ნათქვამი «კა და კოს» ჩანაწერებში: «გურამ-გურამი რომ არ მომკვდარიყო, კა და კო ზედაპირს იქით ვერ შეაღწევდნენ», ან «იულონში»: «თეზიკო რომ არ მომკვდარიყო…» (იხ. ტომი 4. შენიშვნები), ან კიდევ «შაშას რევოლუციაში»: «ძაგანიამ იგრძნო, რომ რაღაცა ძალიან დიდი ცოდვის წინაშე იდგა და ის უნდა ყოფილიყო ამ ცოდვის მსხვერპლი თვითონ. ამ დიდ ცოდვას რაღაც ცოდნა უნდა მოეტანა მისთვის..»

გურამის ნაწარმოებების ეს თავისებურება, სიკვდილის მნიშვნელობა ადამიანის სულიერი ცხოვრების გზაზე, ლიბრეტოში ირონიულ-პაროდიულადაა ნაჩვენები:

«ამ საღამოს განსაკუთრებული თავდადებით მუშაობდა მთელი ბრიგადა. დაიწყეს გავარვარებული მეტალის ამოღება; «კომკავშირლებო, გამოდით აქეთ!» მოისმა რუპორში ჟორას ხმა; ყველანი გამოვიდნენ, ქარხნის ხმაურში ჩანდა როგორ არ გამოეხმაურა გურამი კომკავშირლად დაძახებას და თავჩაღუნულმა განაგრძო მუშაობა. მთელი ქარხანა დაიძაბა, ოღონდ გვიან იყო: წამოსულმა ვარვარა მეტალმა თითქმის მთლიანად ამოწვა იგი. საშინელი სიმწუხარე გამეფდა ირგვლივ, ძლივს შესძლო ბრიგადირმა, თავად უზომოდ დამწუხრებულმა, განწყობილების ოდნავ შერბილება; <u>მეორე დღეს ზეიმი უფრო სერიოზული, წონიანი და მრავლისმთქმელი გახდა.</u>

ხომ შეიძლებოდა ასეთი კაცი არ დაღუპულიყო, ნუთუ იღბალია? – არა, ეს არც იღბალია, არც უბედური შემთხვევა. ეს კანონზომიერებაა. ვისაც არ შეუძლია გახდეს კოლექტივის წევრი, ის დაიღუპება!

ნახეთ, როგორ ტირიან მისი ბრიგადის წევრები, როგორ განიცდიან, რამდენი უსიამოვნება სიცოცხლეში და სიმწუხარე თავისი უდროო სიკვდილით მიაყენა მან ყველას.

ქარხანა კი მუშაობს ძველებურად, უფრო კარგადაც, ვიდრე უწინ. დაუსრულებელ ნაკადად გადმოდის ფოლადის ნაკადი – მეტალურგიული ქარხნის მუშების საერთო სიამაყე» (ამონაწერი ლიბრეტოდან «ჩვენ ერთად მივდივართ». ხაზი ჩემია _ მ.რჩ.).

ასე რომ, მართალია, ლიბრეტოს სიუჟეტში, გურამის ბევრი სხვა ნაწარმოების მსგავსად, გმირი იღუპება, მაგრამ აღარ ჩანს ის იმედი, რაც «საყოველთაო ნგრევიდან შობს ჭვრეტის საგანს».

როგორც უკვე ვთქვით, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება ღია ქრონოტოპისაკენ მიისწრაფვის («შესაძლებელი რომ იყოს ლიტერატურულად, მე ამ ამბავს დავტოვებდი უბოლოოდ.» დღიურიდან). ეს შეგრძნება ხშირად უშუალოდაა დაკავშირებული მზესთან, მზის სხივთან, რომელიც ხანდახან «მოქმედი პირივით» შემოდის ხოლმე ნაწარმოებში და თავის სხივებსა და სითბოსთან ერთად შემოაქვს თითქოს უხილავი, მარადიული სამყაროს რეალობა (იხ. «პაპა გოგოთური», «ირინა და მე», «ნათელა», «შაშას რევოლუცია», «საიდან მოვდივარ» და სხვ.). ხშირად გმირის განცდები, სულიერი წიაღსვლები, უშუალოდაა დაკავშირებული მზის ჩასვლასა თუ ამოსვლასთან, მზის შუქის მატებასა თუ დაკლებასთან (ამ მხრივ, ძალიან უხვ

მასალას იძლევა «შაშას რევოლუციის», «ნათელას» და სხვ. ნაწარმოებების სიმბოლოთა სისტემაზე დაკვირვება). მზის სხივი იჭრება ხოლმე გურამის შემოქმედების მხატვრულ სივრცეში, გმირის სხეულში, როგორც მისი სულიერი ბიოგრაფიის ფარული წარმმართველი. მკითხველს შევახსენებ «ირინა და მეს» ბოლო ეპიზოდს, როდესაც გურამის კეფაზე მიბჯენილი მზე თითქოს ხვრეტს მის თავის ქალას და ცხელი, მლაშე ენით ხვრეპს მის ტვინს, თითქოს მთლიანად იპყრობს მას. შეიძლება ითქვას, რომ მზე არის მწერლის შემოქმედების ცენტრალური სიმბოლო (ჩემი აზრით, ამ თვალთახედვით, საინტერესოა გურამის მიერ 1960 წლის 19 აგვისტოს (გურამი გარდაიცვალა 23-ში) გაგრიდან დედასთან მიწერილი ბოლო წერილი. ამონაწერი წერილიდან: *«რამდენიმე წუთის წინ ჩავიდა მზე; მე ვიჯექი ზღვის ნაპირას და ვუყურებდი; დისკოს სანამ ძალა ჰქონდა ათასნაირად იბრიცებოდა, მერე მრგვალად გაშეშდა, როცა უფრო მიუახლოვდა ზღვას, უცებ სვეტივით ჩაეშვა შიგ, მომაგონდი შენ და მომაგონდა ჩემი ბავშვობის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაშიაც ყოველთვის იგონებდი ხოლმე ქციას და განსაკუთრებით მზის ამოსვლას ცხრაწყაროზე, რომლის შებრუნებული პროცესიც მე რამდენიმე წუთის წინ ვნახე და მაშინვე შენ წარმომიდექი…»).*

გურამის შემოქმედების ამ ზოგადი თავისებურების ფონზე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბუნებისაგან მთლიანად მოწყვეტილ, ჩაკეტილ სივრცეში თითქოს ამოქოლილია ყველა ჭუჭრუტანა, საიდანაც მზემ შეიძლება შეაღწიოს შიგნით. ეს არის სამყარო მზის ისეთი დაბნელების დროს, როდესაც მზეზე ორიენტაცია საერთოდ დაკარგულია, აბსოლუტურად უგულებელყოფილია მზის შორეული პერსპექტივაც კი. მკითხველს გავახსენებ გურამის პირველ ტრაგედიას, «იულონს», სადაც მოქმედება, მართალია, ასევე ჩაკეტილ სივრცეში მიმდინარეობს და მხოლოდ ჭერში დაკიდებული პატარა ნათურით ნათდება, მაგრამ პიესის მსვლელობისას, გმირთა შინაგანი ხმების ამოძრავებასთან ერთად, ჭერში დაკიდებული ნათურა, თავდაპირველად, თითქოს პაპა გოგოთურის ჭერხოდან შემომავალ მზის სუსტ სხივად იწყებს გარდაქმნას, პიესის ბოლოს კი ათას სინათლედ უბრუნდება გმირს და, საბოლოოდ, აღიქმება როგორც ამ ჩაკეტილი სივრციდან გასასვლელი გზა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები» არის ნაწარმოები მწერლის ალტერ ეგოს პიროვნებად ჩამოყალიბების შესახებ. ეს პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული მის სულიერ სამყაროში აღსარება-სინანულის შინაგანი ენერგიის გახსნა-ამოძრავებასთან და, ფაქტობრივად, ამ ნაწარმოების მაგისტრალური სიუჟეტის არსს, სისავსეს ქმნის. ლიბრეტოში სივრცის ჩაკეტვა, ჩახუთვა არ იწვევს გმირის შინაგანი სამყაროს სივრცის გაზრდას, სულიერ სამყაროში ჩაღრმავებას. ის მთლიანად თავისუფალია მოულოდნელი გარდაქმნებისა და ცვლილებებისაგან. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სივრცე თითქოს წინასწარ არის “დახაზული” («აქ მხოლოდ გადასასვლელებზე გადადიან.» ჩანაწერებიდან). გურამის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაწარმოების «სივრცეში არა პიროვნება, არამედ მხოლოდ «კოლექტიური შრომის ნაყოფი, ტექნიკა იკვეთება», «ტექნიკის ასეთ ფართო პროგრესთან ერთად, მოხდა ერთი ადამიანის როლის აშკარა დაცემა», თითქოს «ადამიანი ქარხნის გამოწვასთან ერთად თვითონაც გამოიწვა» (ჩანაწერებიდან.). რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აღიქმება მეოცე საუკუნის, ტექნოკრატიული სამყაროს, მოდელად. ნაწარმოებში ის თითქოს იზრდება მრგვალ დედამიწად

(«საიდანაც არსად არაა გასაქცევი, სულ შეუსვენებლივ რომ ირბინო დღედაღამ, მაინც.» დღიურიდან) და ვიწროვდება საბჭოთა კავშირად, იმ დრო-სივრცედ, სადაც, «საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მიმდინარეობს მისი, გურამ რჩეულიშვილის, მოგზაურობა ამ ქვეყანაზე» (დღიურიდან).

ჩემი აზრით, ფილოსოფიური იგავის ჟანრში დაწერილ ამ ნაწარმოებში, სადაც მთლიანად უგულებელყოფილია მწერლის შემოქმედების ცენტრალური სიმბოლოები (გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების სიმბოლოთა სისტემის შესახებ იხ. მეხუთე ტომის ბოლოსიტყვაობა) და, ზოგადად, მისი ცხოვრება-შემოქმედების წინ, გარდაქმნებისაკენ მისწრაფული სიუჟეტი, ერთ მთლიანობად წარმოდგება ტექნოკრატიული საუკუნე, ტოტალიტარული სახელმწიფო და სიცარიელის წინაშე მდგარი პიროვნებადაკარგული ადამიანი. როგორც ჩანს, ლიბრეტოს წერისას გურამმა ღრმად შეიგრძნო ეპოქის კრიზისის საფუძველი. ეს იყო არა იმ ადამიანის კერძო ბედი, რომელიც «დედამიწის ამ ნახევარსფეროში» (საბჭოთა კავშირში _ მ.რჩ.) დაიბადა, არამედ, საერთოდ, ეპოქის კრიზისი, რომლის საფუძველს ის, როგორც ჩანს, ტექნიკურ გაუცხოებაში ხედავდა. ამაზე წერს გურამი იმ პერიოდში დაწერილ დღიურებში, ისე როგორც ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილ, ზემოთ ნახსენებ, წერილში («არნახული ეპოქაა ეს საუკუნე: ადამიანმა გაცილებით გაუსწრო თავისსავე თავს. ადამიანმა, რომელმაც შექმნა ტექნიკა, ვერ შეძლო გარდაექმნა თავი მის შესაფერად.» «ადამიანი მეტალის გამოწვასთან ერთად თვითონაც გამოიწვა» და სხვ. იხ. ტომი 5). აღსანიშნავია, რომ გურამის პიესებში, რომელიც 1957 და 1958 წელსაა დაწერილი, - იხ. ტომი 4, _ ისე როგორც, საზოგადოდ, მის დღიურებში, ჩანს, რომ მწერალი მძაფრად აღიქვამდა ტექნოკრატიული სამყაროს არსს, იმ სამყაროს არსს, რომელიც ცდილობდა ადამიანისათვის ბუნება შეეცვალა ტექნიკით, ცდილობდა «ღმერთი შეეცვალა რაკეტით და ადამიანის უსასრულობისაკენ სწრაფვა რაკეტისათვის ჩაედო ხახაში და ისე გაეტყორცნა კოსმოსში». იხ. ტომი 4, «სალომე და გურამი»).

ამონაწერები დღიურიდან:

«მსოფლიოში არსებობს ორი სახის მელანქოლია: დასავლურ-ევროპული ამერიკითურთ და საბჭოური. იქით სატირა მთლიანად შესცვალა უაზრო ანგლობამ, უშტრიხო ხუმრობამ და უგრძნობო აზრმა, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სრულიად დაუფარავად იპარება საშინელი სიცარიელე, დაღლილობა, უმწეობა, უღონო ცდები გქონდეს კიდევ რაიმე ნიშანი ეგზოტიკისა, ძველი საუკუნეების მოქალაქისა, როდესაც პიროვნება იკვეთებოდა სივრცეში თავისთავად. ხოლო ახლა სივრცეში მხოლოდ კოლექტიური შრომის ნაყოფი _ ტექნიკა იკვეთება, ტექნიკის ასეთ პროგრესთან ერთად მოხდა ერთი ადამიანის როლის აშკარა დაცემა. თითქოს ორი ეს სხვადასხვა რამ არის და ორივეს თავ-თავისი გზა აქვს. ერთს უკან, მეორეს წინ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დასავლეთში წინ წასული ტექნიკის ხალხი ან სხედან და თავს იქექავენ, ან უშნოდ, უნიათოდ მსჯელობენ, ან გაბრუებამდე არ ფიქრობენ.

მეორე სახის მელანქოლიაა გამეფებული საბჭოების ქვეყანაში. აქ, ძირითადად, მასა აღტაცებულია უკიდურესობამდე ყველაფრით. ეს აღტაცება უცნაური განგია მათთვის, ეს არგამოფხიზლება გამოიხატება სიგიჟემდე მისულ, სწრაფად ააღებად სიხარულში ყველაფერი ამის გამო, ამ მდგომარეობაშია თვით მთავრობა, მისი მეთაური, მისი მრევლი. აქ ხალხი მოგვაგონებს თეატრში მჯდომ მასას, რომელსაც თითქოს ალყა აქვს დარტყმული, რომლის გარღვევის პირველივე მცდელიც აუცილებლივ უნდა დაიღუპოს, ამიტომ ყველანი სხედან და უყურებენ უცნაურ

სპექტაკლს, სადაც წამდაუწუმ გამოაქვთ დროშები და ვაშას იძახიან, ხალხიც ვაშას იძახის, ვინც არ იძახის, სპობენ როგორც საერთო განწყობის ხელოვნურად ჩამგდებს, ბოლოს რჩება მხოლოდ ისეთი ხალხი, რომელსაც უკვე გადაავიწყდა როგორ დაიწყო ყვირილი, რომელსაც არც უნდა სხვა მდგომარეობა, უჩვეულო ტუტუცური აღტაცებაა ყველას სახეზე გამოხატული _ რაც შეიძლება მეტი აღტაცება! ისეთი ლოზუნგი, რომ ერთი მაინც არ ჩავარდეს მელანქოლიაში, თორემ გადასდებს სხვას. მელანქოლიკი გადამდები ბაცილაა. მელანქოლიკებში შედის ხალხი, რომელიც აზროვნებს, რომელიც არ ყვირის _ ყველაზე შეუწყნარებელია ეს სიტყვა და მე მგონი, ორივე განაკისათვის. იქით ეცხადება მას, უბრალოდ, საზოგადოებრივი ზიზღი, მასხრად აგდება, აქეთ, უფრო კარგადაა, ამ მხრივ, მე მგონი, საქმე დაყენებული _ ულაპარაკოდ სპობენ როგორც სარეველას... ჩემი მოგზაურობა ტარდება, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ადამიანთა ვნებების იმ ნაწილში, სადაც ტუტუცური აღტაცებაა გამეფებული, მუდმივად ჰორიზონტის სიშორეზე მყოფი კომუნიზმის სახელით.»

ის მაძიებელი გმირი, რომლის სულიერი ცხოვრების ევოლუცია სამ მოთხრობას გასდევს, ლიბრეტოს სიუჟეტში ადგილს ვერ პოულობს საზოგადოებაში, ვერ «პასპორტიანდება», ვერ «ეწერება ბინის დავთარში», «ის ვერასოდეს ვერ გახდება კომკავშირელი», აბსურდული სიკვდილი ამ გმირის ცხოვრების ლოგიკური დასასრულია. ეს არის მწერლის ალტერ ეგოს პრობლემის გადაწყვეტა ემპირიულ დონეზე, იმ სამყაროს დონეზე, რომელსაც ეს გმირი ისტორიულად ეკუთვნოდა და რომელიც თითქოს მას სხვა გზას აღარ უტოვებდა. ეს არ არის მხოლოდ ამ მაძიებელი გმირის კერძო ბედი. ეს არის ქვეყანაში შექმნილი ვითარების შედეგი. მის ბიოგრაფიაში ჩანს დროის ნიშანი _ 60-იანი წლების ისტორიული გარემო (ვანო ყიფიანს _ იხ. აქვე ლიბრეტოს შექმნის ისტორია _ უკითხავს გურამისთვის: რაზეა ლიბრეტო? გურამს უთქვამს: იმაზე, რომ მარტოკაცი ცოდოაო ამ ქვეყანაზე).

შეიძლება ითქვას, რომ ლიბრეტოში გამოვლინდა მწერლის ცხოვრება-შემოქმედების გარე სიუჟეტური ხაზი, ის, რაც ჩანს, რაც ყველასათვის არის გასაგები, ის, რაზეც ბევრს აქვს გამოთქმული თავისი აზრი. მახსოვს, პირად საუბარში ტარიელ ჭანტურიამ გაიხსენა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» პუბლიკაციის ისტორია და მითხრა: «გურამი იყო იდეოლოგიური საფრთხობელა, ჭელიძე პანიკაში იყო. სწორ და სამართლიან ქვეყანაში ახლაც იქნებოდა ის ცოცხალი. სამწლიანი პაუზის შემდეგ ხელახლა იბეჭდებოდა, ძალიან ღელავდა, ნერვიულობდა, რომ არ უბეჭდავდნენ, ეგზალტირებული იყო, ახალგაზრდა კაცი ბრუნდებოდა მწერლობაში ამდენი ტანჯვის ფასად. 10-15 დღეს ვერ მოერია. რა უნდოდა გურამის დაღუპვას. ათასჯერ შეიძლებოდა დაღუპულიყო, ჭეშმარიტი მწერალი მწერლობის გარეთ იყო დატოვებული. ამიტომ მოხდა ეს ტრაგედია. ახალგაზრდა კაცის დაღუპვა ძნელი არ არის. საკვირველია, რომ ის სახლში ბრუნდება, ფათერაკებგამოვლილი» (ტარიელ ჭანტურია იმ დროს «ცისკარში» მუშაობდა. ჩემს შეკითხვაზე, როგორი იყო გურამის დამოკიდებულება მისი მოთხრობების რედაქციის მიმართ, ტარიელმა თქვა: ჩვეულებრივ, გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს სიამოვნებით ასწორებდა, ყოველთვის თანახმა იყო მათი გასწორების. მაინც ისტორიკოსი იყო და, წვრილმანი ფილოლოგისაგან განსხვავებით, არა ჰქონდა პრეტენზია ფილოლოგიური ნორმების კირკიტისა. ერთხელ მითხრა: მე ფილოლოგი არა ვარ, გამისწორე, რაც მიგაჩნია, რომ არასწორად არის დაწერილიო. ოღონდ, თუ საქმე სტილურ შესწორებას შეეხებოდა, ძალიან ნერვიულობდა, იცავდა. ტარიელ ჭანტურიას თქმით, გურამის ნაწერზე იყო სტილური ძალდატანება. ცდილობდნენ მიეყვანათ ის ისეთ ენობრივ კონდიციამდე,

როგორიც იყო კლიშე. გურამს უნდოდა გამოეხატა თავისუფალი შემოქმედის ბუნება. უთხრეს, «ირინას» ბოლო შეცვალეო, სხვანაირად არ ბეჭდავდნენ, ეს მაშინ მკრეხელობად აღიქმებოდა. იძულებული გახდა წასულიყო კომპრომისზე. ძალიან ღელავდა. მე ვაწყნარებდი: რა უჭირს, არ არის ისეთი კომპრომისი, ხასიათები იგივე დარჩა, რა მოხდა მერე. გურამმა იქვე შეცვალა ჯერ ერთი წინადადება. მე ვუთხარი, ასე სათითაო წინადადებას ხომ არ შეცვლი-მეთქი, წადი სახლში და ისე დაწერე თავიდან. ბოლო ვარიანტი თვითონვე დაწერა. ჩემთან მუშაობით კმაყოფილი იყო. შემდეგ გადავეცით «ალავერდობა» და «ირინა» სარედაქციოდ გივი გეგეჭკორს, ვახტანგ ჭელიძის მოთხოვნით. როგორც ჩანს, გივი გეგეჭკორმა დაასრულა «ირინას» რედაქცია და შეცვალა უკვე «ირინას» პირველი ნახევარიც, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო საშიშროება უკვე არც მკრეხელობისა და არც იდეოლოგიის. «კომუნისტში» დევი სტურუას წერილის შემდეგ ვახტანგ ჭელიძე უკვე შეშინებული იყო. დაზარალდა მწერლის მხატვრული, თავისუფალი აზროვნება. მახსოვსო, თქვა მან, გურამის გაუთავებელი წრიალი სარედაქციო კოლეგიის ერთი წევრიდან მეორისაკენ, ერთი აგზავნიდა მეორესთან, არავის უნდოდა პასუხისმგებლობა ეკისრა. გურამი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისი დებიუტი არ შედგა).

ასე რომ, გარდა, ერთი შეხედვით, ფორმალური არგუმენტებისა, რაც ლიბრეტოს «ჩვენ ერთად მივდივართ» მეოთხე მოთხრობად არმიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებდა, უკვე აპრიორულადაც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მუდმივად წინ, მომავლისაკენ მიმსწრაფი არსის მქონე საეტაპო ნაწარმოების დასასრული არ შეიძლებოდა ყოფილიყო გმირის «აბსურდული დაღუპვა», ანუ ისეთი «არარა», რაც არ შეიცავდა თავის თავში ახალი ცხოვრების დასაწყისს.

მართალია, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» გმირი ბოლომდე უცხო რჩება, თითქოს «ადგილს ვერ პოულობს საზოგადოებაში», მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ: მოთხრობიდან მოთხრობაში მისი გზა მიდის მხოლოდ წინ. მკითხველს გავახსენებ «ირინა და მეს» ბოლო ეპიზოდს, როდესაც მწერლის ალტერ ეგო ასეთი დიდი ტრაგედიის, «ვადით გაუსვლელი დანაშაულის» ჩადენის შემდეგ «მიდის, თითქმის მირბის, შორს, ხმელეთის სიღრმისკენ ზღვიდან, ზღვის უაზრო, გახურებული ნაპირიდან, ერთი მთლიანი სურვილით შეპყრობილი: რაც შეიძლება ჩქარა მოხვდეს თავის ოთახში, რომელიც ახლა სულ ახლებური ვნებებით სავსე და სხვანაირად საჭირო ეჩვენება ყოველი მხრიდან» («მინაწერიდან»). «…იქ სხვანაირია ყველაფერი, იქიდან სუპერმენი იბერება, მიზიდავს, ნუთუ ცოტა ხნის წინ მე თავის დახრჩობაზე ვიფიქრე, ა?! მიდი, იცოცხლე, იცხოვრე, წერე, გამოისყიდე. დახრჩობა?? არა, ჯერ შენ უნდა ირინას ძეგლი აუგო, ნუთუ მართლა უნდა ავუგო ძეგლი მასზე წერით**,** ყველაფერს ჩემი ოთახი ეპატრონება, სიცხე მატულობს, იქ დაუწერელი ქაღალდები ყრია _ თეთრი, უხაზო ესკიზები გაფანტული იატაკზე, პაპიროსის ნამწვები და არყის ბოთლები, ირინაც იქ არის, იმის იქით, ის კიდევ მოვა. …მე მას უნდა ძეგლი ავუგო, მხოლოდ მისთვისვე ვრჩები ცოცხალი! … დავწერ მასზე უმშვენიერეს პოემას… ოო, როგორ მომნატრებია ჩემი ოთახი...» («ირინა და მეს» თეთრი ვარიანტიდან).

«ალავერდობის» ბოლო ეპიზოდში სულიერი გამოცდილებებით გამდიდრებულ გმირს, ალავერდის გუმბათზე თითქოს მზის სხივებში შესვლის შემდეგ, ეუფლება შეგრძნება, რომ უნაყოფო და ამაო იყო მისი ცდა, ერთ წერტილში გაეერთიანებინა, გამოეფხიზლებინა უაზრო სიტუაციაში ჩართული დისჰარმონიული, ერთმანეთისაგან გათიშული მეალავერდეები, რომელთა რელიგიური ინერცია

ჯოხზე წამოცმულ მამლებამდეა დასული. მას შეიპყრობს მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა, რომელიც რეტროსპექტულად სულ სხვანაირად გააზრებინებს თავის ქმედებას და, საერთოდ, თავის განვლილ ცხოვრებას. მთლიანად ქრება ხატი: მასა _ შემოქმედი, რომელიც მხსნელად უნდა მოვლენოდა «გოჭებივით წინ და უკან მბორგავ, გაოგნებულ მეალავერდეებს.» აქ მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას ბედის ირონიაზე. თავის დროს გურამის «ალავერდობა» უარყოფილ იქნა და მისი ზნეობრივი მხარე ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული, რადგან გუმბათზე ავარდნილ ყმაწვილში ხედავდნენ ნიცშეანური ზეკაცის იდეალების ტრფიალს. მათი აზრით, ალავერდის გუმბათზე არბის განდიდების მანიით შეპყრობილი გმირი, რათა ზევიდან გადმოხედოს ხალხს, რომელსაც ის ბრბოდ აღიქვამს.

თავდაპირველად ალავერდობა, ყბამოქცეული, დოყლაპია, კაუჭცხვირიანი, ყურებამდე გახლეჩილპირიანი, არაჰარმონიული მეალავერდეებით სავსე, გურამისათვის იქცა ამ სოფლის მორალურ-ზნეობრივი დაცემის სიმბოლოდ. სამყაროს ცოდვით დაავადების მიზეზი მან დაინახა ადამიანში, რომელსაც ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში შეჰქონდა დისონანსი. მხოლოდ ნაწარმოების ბოლო ეპიზოდში ბურჯის თავზე სამყაროს ფარულ აზრს ნაზიარები ნაწარმოების გმირი, წინა სულიერი გამოცდილებით გამდიდრებული, არასრულყოფილ გარემოში მოულოდნელად აღმოაჩენს სულიერ საწყისს, რაც უპირისპირდება გარეგნულ ქაოსს. გუმბათის თავზე ასული გმირისათვის შეუცნობელი კანონზომიერებით შექმნილი სამყარო გადაიშლება როგორც ღმერთის არსებობის მატერიალური გამოხატულება. ჰარმონიული, სიკეთით სავსე, სრული, მშვენიერი სამყაროს ცენტრში ის დაინახავს ადამიანს, რომელიც გრანდიოზული, ყოველდღიური უსიტყვო შრომით განაგრძობს ღვთის მიერ დაწყებულ საქმეს, რადგან, «შემოქმედის ხატად შექმნილი, ის მისი სახეა თავის უმთავრეს, შემოქმედებით, ნიჭშიც». სამყაროს ცოდვით ავადობას, დისჰარმონიულობას, არასრულყოფილებას გმირი გაიაზრებს როგორც ამ სამყაროს დროებით მდგომარეობას, «ორი დღით დაბნევას.» აღსანიშნავია, რომ გურამი თავის თავს არ გამოყოფს ამ «ორი დღით დაბნეული» ხალხისგან («ჩვენ ორი დღით დავიბენით»). გურამმა ადამიანის ყოველდღიურ სწრაფვაში სიკეთისაკენ, სისრულისაკენ დაინახა ქრისტეს მადლის დაფარული ქმედება და თავისი «უსაზღვრო ვნებად ქცეული სურვილი», რომელმაც ის გუმბათზე ააგდო და ხალხს დააშორა, გაიაზრა როგორც უნაყოფო, ძირშივე უაზრო, რადგან უეცრად მიხვდა, რომ სინათლე, სიცოცხლე, მიზანი უკვე თავისთავად არის სამყაროში და არ საჭიროებს ამის გარედან შეტანას. მწერალს აქ ესახება რაღაც, ჯერ გაურკვეველი, მომავალი მოქმედების გზა. ეს აზრი ლაკონიურადაა გამოხატული ფრაზაში - «ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში», ან თუნდაც - ფრაზაში ჩანაწერებიდან: «გუმბათის აშენებულ ტაძარს აღარ უნდა მეტი პატივი, პატივი უნდა ვცეთ ახალ, ჯერ აუშენებელ ტაძარს», ან ისევ სხვა ჩანაწერში: «ბევრად უფრო ადვილია სხვას გაუადვილო…სავალი გზისა, ვიდრე შენ თვითონ იყო ეს მოძმე.» (იხ. აქვე, შენიშვნები «ალავერდობისათვის»). გუმბათის თავზე მდგარი გმირი, როდესაც ის გაუყოფელ სიახლოვეს იგრძნობს შემოქმედთან, იგრძნობს იმ ძალას, რომლითაც სავსეა სამყარო, კიდევ უფრო მეტი სიახლოვის სურვილით ჩამოდის გუმბათიდან და მიდის ალვნებისაკენ, ხალხისაკენ, რადგან ის, რაც მან იგრძნო, შორს არის ხალხთან, ცხოვრებასთან დაპირისპირებისგან. უცნობი ძალა, რომელიც მასში შეიჭრა, მისი ეგოიზმის და გაუცხოების გავლით, მიისწრაფვოდა ყოფიერებაში დასაბრუნებლად. «ალავერდობის გმირს» თითქოს ეძლევა სიცოცხლის ახალი იმპულსი და, ვნების

სიმძაფრით სავსე, მიდის ისევ წინ, ახლა უკვე ხალხისკენ, ალვნებისაკენ. (აღსანიშნავია, რომ თეთრ ხელნაწერში მწერალი იმ განცდის დასაზუსტებლად, რომ ბრუნდება ხალხთან, რომელსაც ის სულ ცოტა ხნის წინ დაუპირისპირდა, შავ ხელნაწერში დაწერილ სიტყვას «ტყისაკენ» ცვლის სიტყვით «ალვნებისაკენ»).

«დღიურის» ბოლო ეპიზოდში, იმ «დაუნახავში», რასაც «ლოთი-წინასწარმეტყველი» ხედავს თავისი ქოხის წინ მოლიცლიცე თვალებით (უფსკრულის პირას, კლდიდან მრგვლად მოჭრილ ეზოში, ბავშვები თამაშობენ ლახტს), ფოკუსირებულია წუთისოფლის ულმობელ კანონებს რაღაცა ძალით დამორჩილებული, გიჟურ ტრანსში ჩათრეული, ჯობნა-არჯობნის ვნებით შეპყრობილი სამყარო, წუთი წუთზე დაღუპვის პირას რომ არის მისული. სხვადასხვა ტიპის მრგვალი სივრცეები ამ ეპიზოდში _ ორად გაყოფილი ლახტის წრე, მრგვლად დაგდებული ქამრები, მრგვლად მოჭრილი ეზო და სხვ., - ჩემი აზრით, ადვილად ასოცირდება ჩაკეტილ სივრცესთან, «მრგვალი დედამიწის» დასაზღვრულობასთან, სადაც, ალავერდობაზე მოცეკვავე ქისტების მსგავსად, ადამიანები ტრიალებენ უაზრო ფერხულში და გამოსავალი ვერ უპოვიათ. ამ ეპიზოდში ზოგადდება მთელი რიგი სიტყვებისა, რაც ბუნებრივია დედამიწის ორივე «ნახევარსფეროს» ადამიანებისათვის: «უკნიდან წამოეპარა თავის დოყლაპია ამხანაგს...», «ისარგებლა მოწინააღმდეგის სისუსტით, გამოიყენა წრიდან მოტაცებულის უნიჭო სიარული, ჰკრა მას ხელი... ორივენი იქით გადაყარა» და სხვ. მაშინ, როდესაც ლენას (ლახტის წრეში მდგომი გოგონა) დამსკდარი წვივებიდან ნაკადად გადმოდის სისხლი და პატარა ბიჭი კიდევ უფრო მეტი გამწარებით აგრძელებს ღვედის დარტყმას გოგონას დაფლეთილ წვივებზე, როცა ექსტაზი მიაღწევს კულმინაციას («გიჟურად სასიამოვნოა შეჯიბრი ტანჯვამდე მისული») და ეშმაკი თითქოს უკვე აშკარა ზეიმს იწყებს, «ლოთი-წინასწარმეტყველი» მოულოდნელად იგრძნობს თავს იმ ბიჭის მდგომარეობაში, რომელიც, რაღაც ტრანსს აყოლილი, თითქოს იძულებით ურტყამს გოგონას კანჭებში. «ერთი წამით გადაიბუდრა კიდეც მისმა გაშლილმა, ლოთურმა სულმა იმ ბიჭის სხეულში და საშინლად შეეცოდა ის». ეს იყო არა მარტო თანაგრძნობა ლოთის მხრიდან, არამედ «საკუთარი თავის შეგნებული გაიგივება» იმ ბიჭთან, რომელიც ღვედს ურტყამდა შიშველკანჭება გოგოს დაფლეთილ წვივებზე. მას მიეცა უნარი აღექვა და ეგრძნო სამყარო ისე, როგორც აღიქვამდა მას ის ბიჭი _ «ეს არის ნიჭი სხვადყოფნისა» («ეს არის არა მარტო თანაგრძნობა, არამედ საკუთარი თავის შეგნებული გაიგივება სხვა პიროვნებასთან იმდენად, რომ აღიქვამ და გრძნობ სამყაროს ისე, როგორც აღიქვამს ჭირში მყოფი. ეს არის ნიჭი სხვადყოფნისა», ილია მეორის საახალწლო ეპისტოლედან). ლოთი ფიზიკურად იქცა სხვად და თვითონაც ჩაება სისასტიკის სიტუაციაში. მან რეალურად ჩაიდინა ცოდვა («შუა გახურებული რტყმის დროს...»), რომელსაც სინამდვილეში არ სჩადიოდა. სხვადქცევის მისტერიის წამში სხეულის ტყვეობიდან მთლიანად განთავისუფლებული «ლოთი-წინასწარმეტყველი» («თავისუფლება ჭეშმარიტების შეცნობას მოაქვს») როდესაც მიხვდება, რომ ისინი არიან ორი სხვადასხვა ადამიანი და რომ იმ სხვამ არ იცის თავისი გულის სიღრმე, სადაც მხოლოდ «კარგია» (დღიურიდან: «გულში ყველა კარგია»), საშინლად შეეცოდება ის და იგრძნობს თავის მისიას _ უთხრას მას ამის შესახებ. ეს არის მისია მწერლის. აი, კიდევ რატომ უწოდებს გურამი ლოთს «წინასწარმეტყველს» _ «წინასწარმეტყველის იარაღია სიტყვა» (ამ ეპიზოდში თითქოს ხორცს ისხამს იოანე ოქროპირის შეგონება: «როცა ვინმე ცუდად გექცევა იფიქრე იმ ტკივილზე, რასაც განიცდის ის ამ დროს და მაშინ არათუ რისხვით არ აღივსები მის

მიმართ, არამედ ცრემლებსაც კი დაღვრი... ვინც დაჭრა სატანამ, შენ მაინც ნუღარ ესვრი მას ისარს, არამედ ის ისარიც ამოუღე, რომლითაც დაჭრილია.»). ამ მისიის შესასრულებლად «სხვის საქმეში მუდმივად ჩაურეველ», «მხოლოდ თავის თავთან სწორი ფიქრებით მოსიარულე», «უმოქმედ-უმიზნო», «კეთილ, პატიოსან, ოღონდ ალკოჰოლის მიღებისაგან გაბრუებულ», «მხოლოდ თავისი მოკრძალებული ფილოსოფიით გატაცებულ» ლოთს სჭირდება მსხვერპლის გაღება. და, მართლაც, რაღაც აიძულებს მას გაიღოს ეს მსხვერპლი და აუცილებლად «ამოიღოს ხმა». გრძნობის სისავსისგან ის, უნებურად, თავშეუკავებლად წამოილაპარაკებს სიტყვებს: «წინ, ბავშვებო, წინ», რომელსაც წესით, თავისი ლექსიკური მნიშვნელობით, უფრო უნდა გაეხელებინა მოთამაშეები. მაგრამ ეს სიტყვები, რომელსაც, სინამდვილეში, ეზოში მოთამაშე ბავშვები ვერც კი გაიგონებდნენ, იქცა ხდომილებად («მოხდა ისეთი რამ...»), რამაც თანმიმდევრულად შეცვალა სიტუაცია. მისი შეგრძნება, რომელიც საფუძვლად ედო სიტყვას"წინ", საკმარისი აღმოჩნდა მათი შინაგანი ხმების ასამოძრავებლად. ლოთის სიტყვებმა გამოიყვანა უფსკრულის პირას მოთამაშე ბავშვები უაზრო შეჯიბრიდან. ბავშვები ერთ წამში ეზიარნენ ჭეშმარიტებას და მოიქცნენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ, საერთოდ, სიკეთესა თუ სიმართლესთან ზიარებისას. შეწყდა სისასტიკის სიტუაცია - მტრობა, შური, მტაცებლობა, შეჯიბრი, რომელშიც ბავშვები თითქოს თავისდაუნებურად იყვნენ ჩათრეული. ეს მოხდა ფიზიკური ენერგიის დაუხარჯავად, ფიზიკური ქმედების გარეშე. ის ერთადერთი სიტყვაც, რომელმაც, ლოთის გასაკვირად, სასიკეთო შედეგი გამოიღო, იმდენად ჩუმად იყო ნათქვამი (ფაქტობრივად, მან მხოლოდ წამოილაპარაკა), რომ «ჰაერი არც შეუძვრია» და, საერთოდ, გაურკვეველიც კი იყო, გაიგონეს თუ არა ბავშვებმა ის.

ეპიზოდის დასაწყისში ქალაბიჭა ლენა იშიშვლებს წვივებს და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადგილას ხორცი უსკდება და დაფლეთილი წვივებიდან სისხლი ნაკადად გადმოსდის, ის ფეხმოუცვლელად იღებს დარტყმას დარტყმაზე, ხდება «უსირცხვილო», თითქოს, მართლაც, შიგნით დაგროვილი ბალღამი, აუგი გარეთ გამოდის («რაკი ადამის ძე მიდრეკილია სნეულებათ, შიგნით დაგროვილი ბალღამი გარეთ უნდა გამოსულიყო, როგორც ხალხი გავიდა გარეთ და განწმენდილი დაბრუნდა უკან»). ამ ეპიზოდში თითქოს გაისმის ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: «მოიხადე პირბადე, აიკრიფე კალთები, გაიშიშვლე წვივები და გადადი მდინარეზე. გაშიშვლდება შენი სარცხვინელი და გამოჩნდება შენი აუგი.» «თუ შემოსვა მადლია, რადგან შემოსილობა ბუნებრივი მდგომარეობაა ადამიანის და ვინც შიშველს მოსავს, სათნოდ იქცევა – გაშიშვლება სასჯელია». სიყვარულის სიტუაცია, ახალი ადამიანის დაბადება, ბავშვებს შემოატრიალებს, რაც, პირველ რიგში, გარეგნულად მათი შემოსვით გამოიხატება: : «ბიჭმა უცებ შეაჩერა რტყმევა, სწრაფად შემოირტყა წელზე ქამარი, გაქანდა ქუდისაკენ, დაიხურა და უწყინარი სახით დადგა, სადღაც გაქრა ლენას ფეხებზე დამსკდარი იარა, უკვალოდ გაშრა სისხლი...» ლენა იფარავს წვივებს, იკეთებს პირბადეს («ვუალს ჩამოუშვებს ბავშვურ სახეზე») – თითქოს ხდება კეთილშობილი.

გურამის მოთხრობებში ხშირად გვხვდება სიტუაციები, ეპიზოდები, რომელთა მოქმედების წარმმართველია შეჯიბრი. ეს შეჯიბრება სხვადასხვა ადამიანებს შორის ყოველთვის იწყება აღტკინებით, ვნებით, რაც მათ ერთმანეთის ჯობნის, დაჩაგვრის ჟინით ავსებს. კულმინაციის მომენტში ის ყოველთვის გადადის სრულ უაზრობაში ან მთავრდება კატასტროფით, სიკვდილით და, საბოლოოდ, ირკვევა, რომ ყველაფერი არის მხოლოდ «ბრძოლა ბრძოლის გულისათვის» და მეტი არაფერი. ამპარტავანობის

ვნებით შეპყრობილი ადამიანი ხედავს მხოლოდ კონკრეტულ მიზანს, აღიქვამს მხოლოდ კონკრეტულ დაბრკოლებას, რომელიც ამ მიზნის მისაღწევ გზაზე ხვდება, რადგან ის ამჩნევს მეორე ადამიანის მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც ხელს უშლის მას სურვილის აღსრულებაში. ყოველთვის ირკვევა, რომ მიზანი მხოლოდ ამ ხელის შემშლელი დაბრკოლების თავიდან მოშორებაა, რის შემდეგაც ადამიანს ისევ ახალი დაბრკოლება ეღობება, რომლის მოშორება ასევე სასწრაფო და აუცილებელი ხდება. აქ მკითხველს მინდა გავახსენო, როგორ იბრძოდა «საკუბოვე ოთახისათვის» ძაგანია, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მიხვდა მხოლოდ, რომ ამ ბრძოლას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

«დღიურში» სხვადასხვა, ერთი შეხედვით, სრულიად უკავშირო სიუჟეტურ ხაზებს შორის (ავტოსკოლა, თავისი სტუდენტებით; იბა ქაცანაშვილი, თავისი თავგადასავლებით; ბევრი სხვადასხვა პატარ-პატარა ამბავი), ისე როგორც ცხოვრებაშია ხოლმე, ებმება უხილავი, სიღრმისეული ურთიერთობები. «შიგ შუა ცხოვრებაში ჩავარდნილმა» გურამმა, მწერლის ალტერ ეგომ, შესაძლებელია, სრულიად მოულოდნელადაც კი, აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში ამ სხვადასხვა სიუჟეტური ხაზების, ისევე როგორც უშუალოდ მისი ცხოვრება-შემოქმედების მაგისტრალური სიუჟეტის ბიძგის მიმცემი და მამოძრავებელია ამპარტავნობის ვნება - ხან როგორც ქვეტექსტი, ხან კი როგორც გარე სიუჟეტური ხაზის უშუალო ნაწილი, როგორც ადამიანთა ცხოვრების და მოძრაობის წარმმართველი. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ფარული, აშკარა, ათასნაირად შენიღბული ამპარტავნობა გურამის 1958 წლის შემოდგომის დღიურების, ისე როგორც მისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებების მნიშვნელოვან საფიქრალს წარმოადგენს. ამპარტავნობის გარეშე დარჩენილია მხოლოდ ლოთი-რუსი-»ბროდიაგა», რომელსაც გურამი უწოდებს «წინასწარმეტყველს»: «პატარა ფანარი ანათებდა წინასწარმეტყველის კეთილ, უნაკვთო სახეს» (აღსანიშნავია, რომ სიტყვა «წინასწარმეტყველი» რეალურ დღიურში არ არის). როგორც ჩანს, ის ადამიანური თვისება, რითაც მწერალი გამოარჩევს ლოთ «ბროდიაგას» გარემოსა და პირადად მწერლის ალტერ ეგოსაგან და საშუალებას აძლევს გურამს «წინასწარმეტყველი» უწოდოს მას, არის ლოთის სრულიად უანგარო, უვნებო, ამპარტავნობისაგან თავისუფალი არსებობა, წმინდა გარეგნული უსურვილობა, თავისუფლება სხვისი თვალისაგან, საზოგადოებრივი აზრისაგან, რაც მას დამოუკიდებელსა ხდის. გურამის ლოთს არა აქვს კერძო, პირადი ინტერესი. ის კმაყოფილია თავისი მდგომარეობით, თუმცა მას არაფერი აბადია. ის ბეჩავია და უთავმოყვარეო. გურამს ლოთი წარმოუდგება მომავლის საიდუმლოს მფლობელად, მომავლის საიდუმლოსი, რომელსაც მისთვის «აბსოლუტური» ღირებულება აქვს, რომელიც მას გარეთ გამოაქვს და გაუთავებლად იმეორებს... დანარჩენი ყველაფერი სულერთია მისთვის. ეს საიდუმლო საშუალებას აძლევს მას არ ჰქონდეს სხეულის შეგრძნება, დროისა და სივრცის შეგრძნება, საშუალებას აძლევს სივრცეში საერთოდ არ დაიკავოს ადგილი, იყოს ჰარმონიული, ჰაეროვანი, კეთილი, ობიექტური სიბრაზის გარეშე, უწყინარი, უმანკო და ბავშვივით უმწიკვლო.

«კალამზე მინდობით» ამ ეპიზოდში ხორცი შეისხა კიდევ ერთმა უხილავმა სინამდვილემ: ის შეგრძნება, რომელმაც მნიშვნელობით აავსო «ლოთი-წინასწარმეტყველის» მოწოდება «წინ», რომელმაც ადამიანი შემოსა და თავის გულის სიღრმეებს დაუბრუნა, ბეწვის ხიდზე გადიოდა. საკმარისი იყო ამ შეგრძნებას შეჰპარვოდა სულ უმნიშვნელო ამპარტავნობა და ანგარება, რომ მოუბრუნებლად

დაღუპულიყო, დანგრეულიყო, გაუფასურებულიყო ბავშვებში სულ ახლახან გაღვიძებული კეთილი საწყისი და თავიდან დაწყებულიყო ყველაფერი. მკითხველს გავახსენებ ლახტის თამაშის ეპიზოდიდან იმ ადგილს, როდესაც დამშვიდებული ბავშვები «ლოთ-წინასწარმეტყველს» მიასვენებენ სასაფლაოსაკენ, მზე ზენიტშია და დედამიწას ნამის ნიშანსაც კი აცლის. ამ დროს კმაყოფილების მწვერვალზე მყოფი ლოთი, შეშფოთებული, მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ იმდენად პირდაპირია სხივების ცემა, რომ საფლავის ფსკერისაკენ დაშვებული მისი გვამი თითქმის გეომეტრიული სიზუსტით ფარავს თავის ლანდს და სხეულს საერთოდ არა აქვს ჩრდილი, თითქოს არც არსებობდეს. «ლოთმა საშინელი ტკივილით იგრძნო ეს უცნაური დამთხვევა, თავისდაუნებურად ოდნავ შებორძიკდა, რომ როგორმე მეტი ჩრდილი მაინც გამოეცა მის სხეულს...» «ჩლშ»-ში მწერლის ალტერ ეგოს, აღტაცების მწვერვალზე მყოფს, თითქმის ყოველთვის უდგება თითქოს უფსკრულში ჩავარდნის, დაღმა სვლის მომენტი და აი, ახლაც, მწერალმა ნათლად დაინახა, რომ ლოთის მიერ ამ სრულიად არასაჭირო უაზრო მოქმედებამ მკვდრისათვის უცნაური შედეგი გამოიღო: იმ ბავშვს, რომელსაც ის ფეხით ეჭირა ჩაშვების დროს, ფეხი დაუცურდა და საფლავში ჩავარდა... და, აი, უცებ ისინი ისევ წეღანდელ დაღლეტილ, ლახტნათამაშებ მოწაფეებად იქცნენ, იდგნენ ისევ გულგაღეღილები, უქამროდ, ისევ გამოჩნდა ლენას დაწითლებული კანჭები. წყალი იქცა გუბედ. მაგრამ ცოდვის შეგრძნება, როგორც ყოველთვის, აქაც სინანულის, მისი გამოსყიდვის ტოლფასია. ახალი ძალით ანთებული, უნებლიე ანგარებისაც კი აღმნუსხველი, ამ შეგრძნებისაგან ძალმიცემული ლოთი მიაფურთხებს ყველაფერს, იმასაც კი, რომ მკვდარია და ფეხზე წამოდგება. ხელში აიყვანს ატირებულ ბავშვს, მძლავრი მოძრაობით ზევით ამოაგდებს და შემდეგ თვითონაც ზევით ამოფორთხდება, თითქოს მკვდრეთით აღდგაო. ამის შემდეგ ჩაშლილი მიწის ნაწილი იწყებს საფლავში დენას და წუთების შემდეგ აღარაფერი რჩება იმ ადგილას, სამარის მსგავსიც კი.

«დღიურში» მწერლის ცხოვრება-შემოქმედების ბევრი სიუჟეტური ხაზი პოულობს თავის გაგრძელებას და საწყისსაც. «ჩლშ”-ის მაგისტრალური სიუჟეტი, ანუ ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების ძიება, რომელიც ამ მოთხრობაში ახალ საფეხურზე ადის, წარმოადგენს ამ სხვადასხვა სიუჟეტური ხაზების განვითარებისა და გადაკვეთის საფუძველს. ეს მაგისტრალური სიუჟეტი «დღიურს» ციკლის მესამე და, ჩემი აზრით, დამამთავრებელ ნაწარმოებად აქცევს. ხელოვნების მნიშვნელობა გურამისათვის ამ მოთხრობაში ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ ერთხელ სხვა, ვფიქრობ, სრულიად საწინააღმდეგო კუთხითაც მოტრიალდა. როგორც ჩანს, ხელოვნების «სინათლით მსუნთქავი ბუნდოვანება» გურამმა გაიაზრა როგორც ჭეშმარიტების წვდომის თავისი გზა, საიდუმლოს შეცნობის და გადმოცემის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, გურამი, ჩემი აზრით, უკვე შეგნებულად დაუკავშირდა «ალავერდობის» შემოქმედებითი ექსტაზის მომენტებს, რომელთა დროსაც ის ეზიარა პირველშემქმნელის ხმას.

ამ დროისათვის, ალბათ, სულ ერთი-ორი თვის დაწერილი იქნებოდა «ბათარეკა ჭინჭარაული», რომელშიც ოჩოპინტრეს მიერ დასჯილი, ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი გმირი თავის სიმებად ქცეულ ძარღვებს ათქმევინებს სათქმელს (შდრ. 1958 წლის აგვისტოს დღიურში ამონაწერს ბლოკიდან: «В легком челноке исскуства»). «დღიურში» ლოთის სხეულში «გადაბუდრებულმა» მწერლის ალტერ ეგომ თითქოს, მართლაც, «ქნარზე ამოხსნა თავისი ამოცანა». გურამმა თითქოს უკვე საბოლოოდ იგრძნო თავისი მოწოდება _ სიტყვით გადაეცა ხალხისთვის ის, რისი გაგებაც

მისთვის «წამისყოფით» გახდა შესაძლებელი. ეს გზა მოითხოვდა მისგან «უზარმაზარ მსხვერპლს». ამ ეტაპზე ხელოვნება ესახებოდა მას იმ «უხილავ ჯვარად», იმ «მსხვერპლად სიმართლისა», რაც მას თავისი მომმისათვის უნდა გაეღო. ეს არის «ჩლშ"-ის სიუჟეტის დასასრული: დაბრუნება ხელოვნებასთან, დაბრუნება სიტყვასთან, დაბრუნება «ირინასთან», ახალ ეტაპზე (აქ არის ბევრი რამ, რაც სცილდება შენიშვნების კომპეტენციას და სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. საინტერესოა, ამ მხრივ, «ირინა და მეს» "მინაწერისათვის" გაკეთებული ჩანაწერები, სადაც მწერალი მსგავს აზრს გამოთქვამს: ხელოვანი მსხვერპლია). მკითხველი დამეთანხმება, ალბათ, რომ ეს არის სრულიად განსხვავებული «ირინა და მეში» გამოთქმული მოსაზრებისაგან, როდესაც მას ხელოვნება მხოლოდ თავისი ეგოიზმის ნაყოფად წარმოუდგა («მე მას უნდა ძეგლი ავუგო, მხოლოდ მისთვისვე ვრჩები ცოცხალი! სიბრაზის ამოხეთქვასავით იმართება ჩემი სხეული თავისი თავის წინააღმდეგ: გურამ! იყავი მკვლელი, ოღონდ ნუ იქნები მატყუარა! მხოლოდ საკუთარი ვნებისთვის, შენთვის, შენთვის უნდა იცხოვრო შენ, და არა გაქვს არავითარი უფლება, სხვას დააბრალო ეს სიცოცხლე»).

მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ლოთი-წინასწარმეტყველი თამაშის დაწყებისთანავე, თავისთვისვე მოულოდნელად, აპირებდა ჩარევას ბავშვების ცხოვრებაში. მას უნდოდა ეთქვა, რომ «წიგნებს წყალი შეუდგა, რომ ისინი ფუჭდებიან», მაგრამ ახალმა სიღრმისეულმა გრძნობამ «სულ შეაცვლევინა ზრუნვის საგანი». მკითხველის თვალწინ ერთ წამში შეიცვალა ლოთის დამოკიდებულება ადამიანების და მოვლენების მიმართ. მისი ყურადღება, მისი მზერა გარეგანი ამბიდან გადავიდა შინაგანი ამბისაკენ. მოკვდა «ძველი ლექსო» და დაიბადა ახალი ადამიანი თავიდან, სულიერად. აი, რატომ უხარია ლოთს ასე ძალიან თავისი თავის _ «ძველი ლექსოს» - დასაფლავებას რომ უყურებს. აი, რატომ წვიმს ასე კოკისპირულად ცაზე მარტო დარჩენილი ღრუბლიდან მოთხრობის დასასრულს, რატომ იბანს მზე პირს და რატომ არის ჩუმი სიხარულით სავსე მთელი ეპიზოდი («ერთი გადარჩენილი სულით ხარობს ღმერთი... ცაზე სიხარულია»). «დღიურის» ბოლო ეპიზოდის ფრაზაში _ «მზე პირს იბანს» _ ერთიანდება მწერლის მთელი ცხოვრება-შემოქმედების, ისე როგორც უშუალოდ «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების», ორი მნიშვნელოვანი სიმბოლო: მზე და წყალი.

«დღიურის» ლახტის თამაშის ეპიზოდი მოკლებულია გარეგნულ ბრწყინვალებას. ამ ეპიზოდში ლოთ «წინასწარმეტყველში» ამოძრავებულმა შინაგანმა განცდამ შეძლო მაგიური წრის გარღვევა, სხეულის შემოსაზღვრულობის დაძლევა და მასში «სხვის» გამოსახვა. მხოლოდ შინაგანი განცდით იქნა მიღწეული ის ჭეშმარიტი ერთიანობა, საითკენაც მიისწრაფვის უშუალოდ «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების», ისე როგორც საერთოდ მწერლის ცხოვრება-შემოქმედების, სიუჟეტი (საინტერესოა გურამის ამ პერიოდის ნაწარმოებთა სათაურები: «ჩვენ ერთად მივდივართ», «ჩვენ ერთად ყოფნისათვის ვიბრძვით», «ბევრი ბავშვები ერთად» და სხვ. «ალავერდობის» ჩანაწერებიდან: «არ არსებობს ერთიანობა გარეგნული რიცხვით», «შინაგანი ერთიანობის პრობლემა»).

ასე რომ, გურამის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, «ჩემი ლიტერატურული შეხედულებები» ღიაა და თავისი სიუჟეტის გასაგრძელებლად მომავლისაკენ იყურება («წინ, ლოთი ღია კარიდან გარეთ იყურებოდა»). «წინ, ბავშვებო, წინ» - ამ სიტყვების მოქმედების ძალა მომავალშია. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადი გახდა ჩემთვის ამ მოთხრობის სიღრმისეული აზრის წვდომისას: გურამი უკვე რეალურად გრძნობდა თავის მოწოდებას «წინ!» - ოღონდ არა მარტო თვითონ, არამედ სხვასთან

ერთად. ამ შეგრძნების გამოძახილი იყო, როგორც ჩანს, სიტყვები, რომელიც პირად საუბარში უთქვამს ჩემთვის: არ შემიძლია ვწერო და შევინახო, თუნდაც ისე, როგორც ერლომმა, ამის უფლება მე არა მაქვს.

ლიბრეტოში «ჩვენ ერთად მივდივართ» არა ჩანს გამოსავალი, მაშინ როდესაც «დღიურში» ხსნის გზა უკვე ნაპოვნია. აქ თითქოს საფუძველი ეყრება მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მომავალ სიუჟეტს. ეს არის შიდა სიუჟეტური ხაზი და ის ისევ წინ მიდის! იქით, «იქითის იქით». შიდა სიუჟეტური ხაზი ამზადებს «სურამის ციხეს.» მისი არსი საიდუმლოებაშია («ამას მხოლოდ კულისებში გადავწყვეტ.» დღიურიდან).

ჩემი ადრინდელი არგუმენტები, რაც ლიბრეტოს ციკლის მეოთხე მოთხრობად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებდა, საფრთხის წინაშე აყენებდა «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» სწორ რედაქციას, რომელშიც მხოლოდ მწერლის ბოლო ნება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. მისი მიკვლევა კი, ძალიან ბევრ შემთხვევაში, შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მთლიანი შემოქმედების ფონზე (ის ცნებები, სიმბოლოთა სისტემა და სხვ., რაც, ფაქტობრივად, ამ სიუჟეტის არსს, სისავსეს ქმნის და იძლევა კიდევ დამატებით არგუმენტებს ლიბრეტოს ციკლში არშეყვანის სასარგებლოდ, სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს).

ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები

(«თეორიული განმარტება»)

არსებობს «ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებების» შესავლის რამდენიმე დასათაურებული, უთარიღო ავტოგრაფი. დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). შავი ავტოგრაფი (1_12გვ.) დაწერილია ძალიან გაკრული ხელით, თაბახის ფურცლის ორივე მხარეს. ასეთივე თაბახის ფურცლებზეა დაწერილი 1959 წლის შემოდგომის ავტოგრაფების უმეტესობა. ხელნაწერი ალაგ-ალაგ ჩასწორებულია მწერლის მიერ, ვფიქრობ, ხელახალი გადაკითხვისას. თეთრი ავტოგრაფი (1+1_11გვ.) დაწერილია მსგავსი თაბახის ფურცლების ორივე მხარეს ლამაზი, გამოყვანილი, საშუალო ზომის ასოებით. შიგადაშიგ ნასწორებია მწერლის მიერ. თეთრსა და შავ ავტოგრაფებს შორის უმნიშვნელო სხვაობაა. თეთრი ავტოგრაფის ბოლოს დამატებულია ციკლში შემავალი მოთხრობების დასათაურება. გთავაზობთ ამ ავტოგრაფის სრულ ტექსტს:

<u>ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები</u>

ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები დავწერე რამდენიმე დამოუკიდებელ მოთხრობად, რომელთა შორის მხოლოდ აზრობრივი კავშირია მისი გაღრმავების, მიზნის ზრდის პრინციპით დაწყობილი, ჩავარდნებითა და დროებითი მიგნებით. აქ მსუბუქად ვეხები საერთოდ ლიტერატურას, მის შემქმნელ პიროვნებას და იმ გარემოს, სადაც ის იქმნება; ასეთი კონკრეტული პირობები წამოაყენა ხელოვნების თანამედროვე დონის განზოგადებამ საბჭოთა კავშირში.

როგორც ცნობილია, სოციალისტური სახელმწიფო თითოეულ მოქალაქეს და მასთან ერთად შემოქმედს, უყენებს სულ სხვა პირობებს, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი; ჩვენთან გარედან, მაღლიდან, ისევე ზრუნავენ ადამიანებზე, როგორც თვითონ ის ზრუნავს თავის თავზე შიგნიდან. ერთი შეხედვით, აქ უხეშ, არასაჭირო ჩარევასაც კი აქვს ადგილი, მაგრამ თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამონაკლისს, ეს გარედან ჩარევა დიდი ჰარმონიითაა დაკავშირებული შინაგან სურვილებთან _ ავიღოთ ისევ ლიტერატურა.

თავშეუკავებელი, თითქმის უკონტროლო თავისუფლებით სარგებლობს დასავლეთში ხელოვნება. ეს, რასაკვირველია, მისი მხატვრული დაოსტატებისათვის კარგად მოქმედებს, იქმნება გემოვნების, დახვეწილობის ნიმუშები. საკმარისია ნახოთ რაიმე კინო, ან წაიკითხოთ რომანი, ლექსი, დაათვალიეროთ გამოფენა, ყოველი კუნჭულიდან პირდაპირ აცხუნებს ტაქტი, გემოვნება, არაზედმეტობა /მხედველობაში მაქვს თანამედროვე კლასიკა/ და ... ამას ძნელია დაამატო რაიმე, თუ ჩავუღრმავდებით ექსპონატს, უცნაურ სიცარიელეს ვიგრძნობთ, რომელიც, როგორც წესი, იფარება, თვითონ შემოქმედისგან შეცნობილად თუ ქვეშეცნეულად, ირონიით. ვნებები მათ შემქმნელებს თითქმის ერთნაირად მოყრუებული აქვთ, მხოლოდ გამახვილებული რჩება მხატვრულობის შეგრძნება და წერა მიდის პრინციპით: თქვა სხვაზე უკეთ, იხუმრო თავის დროზე, გაახვიო შესაფერ ირონიაში შენივე ნაწარმოებები. აქ, ამ ეტაპზე, ყველაფერი ცნობილია და ქრება ის ქვეშეცნეული ნაპერწკალი, ნამდვილი შემოქმედი რომ ჰქვია, ნაპერწკალი, რომლის წარმოშობის მომენტები და სიძლიერე თვითონ არ იცის ყველაზე დიდი გონებით აღჭურვილმა ხელოვანმაც კი.

როცა კითხულობ დასავლურ თანამედროვე კლასიკურ ლიტერატურას, წაკითხვასთან ერთად მოდის ფიქრი: თუ ყველაფერი იცის მწერალმა, რატომ წერს მაშინ? იმ ინერციით, რომ სხვები წერდნენ? რასაკვირველია, მარტო ამიტომ არა, მაგრამ რაშია საქმე? აქ, საზოგადოებამ მის გარშემო დაკარგა მასზე მუდმივი კონტროლი და თავაშვებულმა თავისუფლებამ უნიადაგოდ, უსაგნოდ დატოვა ისინი. განვიხილოთ ჩვენში ყველაზე მიღებული, ცნობილი რემარკი; მისი გმირები, როგორც წესი, არიან უნიადაგონი და ეს მდგომარეობა მათ კი არ გააქანებს ადგილის მოსაძებნად, არამედ ხდის მხოლოდ ყველაფრის მცოდნეებად; ყოველ გაჭირვებას, სულიერს თუ ფიზიკურს, ისინი დიდი ბუნებრიობით იღებენ. ასეთ პირობებში მათ მზად აქვთ დაუშრეტელი ირონია. თუ გმირი ერთი წამით დაიბნა, ავტორი დიპლომატიურ სიჩუმეს იცავს, არ არის არაფერი, რაც გააკვირვებდეს მაინც მას ან მის ტიპს, ერთი წამით მაინც ამოაგდებდეს, პირდაპირი თქმით, გააგიჟებდეს ჰამლეტივით, დონ-კიხოტივით ან დოსტოევსკივით, ან ოიდიპოს მეფის მსგავსად, არა, ისინი არიან სიტყვასიტყვით ყველაფრის მომლოდინე ამ ცხოვრებისაგან, ყველაფრის მცოდნენი. ისმება კითხვა, იქნება მართლა ამოშრიტა კაცობრიობამ თავისი ვნება _ აქ ერთი დოგმა დაუმტკიცებლად შეიძლება ითქვას _ მაშინ ის აღარ იქნებოდა საერთოდ. მაშ რა არის დასავლური ცხოვრება, დასავლური ხელოვნება? ალბათ, ეს არის გამოცდა ადამიანის უშნოდ დაჭკვიანების(გ), ხოლო შემოქმედისათვის ამ მოწყენის როლში მისი ასახვის, როდესაც ორივე მხარე ერთმანეთზე კარგავს კონტროლს.

ევროპა მსჯელობს ყველა საკითხზე და მიდის წინ ნათქვამი პირობების გამო ჩიხამდე; ამერიკული ლიტერატურა გაცილებით ცოცხალია ამ მხრივ. ის ჩასახვის დღიდან თითქმის მხოლოდ გარშემო მომხდარ ამბებს ერთგვარ კარგ მხატვრულ ჯამს უკეთებს, რის დროსაც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ავტორი არ ერევა თავისი

წვით, ვნებებით ნაწარმოებებში. მთელი რთული განსხვავებანი ამ ორ კონტინენტს შორის, სადღაც ღრმად თანამედროვეობაში, თითქოს მარტო რიტმამდე დადის.

ამ მხრივ, აღმოსავლეთი მხოლოდ მინიატურებით იფარგლება, სადაც მეტი სიბრძნის თქმა შეიძლება. ეს, ჩვეულებრივ, ის სიბრძნეებია, რომელსაც ადამიანი ვერასოდეს ვერ აკეთებს, ვერ აკეთებს თვითონ მისი დამწერიც, ამიტომ აღნიშნავს და ვიღაცას არიგებს რაღაცისათვის. არის, რა თქმა უნდა, ხელოვნებაც, რომლის წყალობითაც მათ კითხულობენ.

ამ მხრივ, საიმედო პოზიცია უჭირავს საბჭოურ ხელოვნებას. მოვიყვან ამ ეპოქისათვის ერთგვარად დამახასიათებელ, წამყვან კინოს მაგალითს. ხშირად უკვირთ ხოლმე, როცა შედარებით არაბრწყინვალე «მხატვრულობით» გადაღებული ჩვენი ფილმი იღებს პრემიებს სხვა ქვეყნებში და საყოველთაო აღიარებას პოვებს. _ რატომ ხდება ეს? დავიწყებ შორიდან;

ჩვენი სამამულო ხელოვნების განვითარებაში ჩანს ორი პერიოდი: ერთი, რომელიც იყო და მეორე, რომელიც იწყება.

პირველი, ეს არის სუფთად რევოლუციური, დიდი ლიტერატურა, როდესაც შემოქმედი მხარდამხარ მიჰყვებოდა ხალხს, მის თითოეულ სუნთქვას და ეს უშუალო კონტაქტი იმდენად ძლიერი იყო, რომ პირდაპირი, თითქმის უშუალედო გზით იქმნებოდა გენიალური ნაწარმოებები; იდგა ხალხი, რომელიც შევიდა რომლებიც შევიდნენ მსოფლიო ხელოვნების უმეტოქეო საგანძურში: მაიაკოვსკი თავისი რევოლუციური, ერთი შეხედვით, სიუბრალოით, რიტმით, ეიზენშტეინი, ნიკოლაი ოსტროვსკი და შოლოხოვი თავისი ეპოსებით, ილფი და პეტროვი რევოლუციური, პირდაპირი, მძლავრი იუმორით. მათგან განსხვავებულია გორკი, მას ძირები უფრო ადრე აქვს ეპოქალურად.

მაგრამ, აი, გავიდა პირველი ენთუზიაზმი, პირველი ერთად ბრძოლა და თითქოს რევოლუციას უღალატა ხელოვნებამ. მყარ, მაგრამ ჯერ კიდევ სახიფათო გზაზე დადგა ოქტომბრის მონაპოვარი, ახალგაზრდა, სოციალისტური სახელმწიფო იღებს სტაბილურ სახეს და თავის ოდნავ შემრყევსაც კი, კანონზომიერად, უყურებს როგორც არამოკეთეს _ პრინციპით: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა. მმართველობამ უფლება აიღო ხელოვნებაზე, რომელმაც აშკარა ბრძოლის დამთავრების შემდეგ თავისი გზით დააპირა წასვლა. სახელმწიფომ მას თვითონ დაუწყო სწავლება ზევიდან, რასაც უცხადრიტმოდ დარჩენილი შემოქმედება თვითონ ველარ ამჩნევდა ქვევიდან. _ ამან, თავისგან ვერ განცდამ, ზევიდან კარნახმა, რასაკვირველია, გამოიწვია ჩავარდნა ხელოვნებაში. გავყვეთ იქით: იმ დარჩენილ, ან ახლადწარმოშობილ, უნიჭო შემოქმედთ |თავის პრინციპში, რადგან შუალედში არ შეიძლება დაიბადოს გენიალური პიროვნება/ მაინცდამაინც უნდოდათ მტლად დადებოდათ მათ ახალი წყობა და არა პირიქით. გაიმარჯვა ისტორიულმა სიმართლემ, დიდი ნაწილი გაქრა ასეთი ხალხისა, ფაქტიურად, როგორც ვთქვით, მათ არაფერი გამოჩენილის შექმნა აღარ შეეძლოთ, შეიძლება მრავალი მოწინააღმდეგე პოეტის ლექსის მოყვანა. ისინი იყვნენ მხოლოდ ნიჭიერები და მორჩა. არ ყოფილა ისტორიაში არც ერთი ეპოქა, ყველაზე დიდი ლიტერატურული ჩავარდნის დროსაც კი, რომ თავისი ხელოვნება არა ჰქონოდეს. რას აკეთებდა ამ პერიოდში ჩვენი საბჭოთა ხელოვნება? ის იქცა ოდების, ხოტბის შემსხმელად თითოეული სახელმწიფო დირექტივისა, მდგომარეობისა პირდაპირი გზით. იყო აქ სინამდვილეში არაგულწრფელობა? _ არა, რა თქმა უნდა. აიღეთ ომის წლები, როდესაც ჩვენ გვინდოდა მხოლოდ პატრიოტული ლოზუნგები ლიტერატურისგან!

იყო აქ თვითგამორკვევის, პირადი განცდების დრო?! არა! ეს თვითონ არის ერთგვარი საზოგადოებრივი თავისშეცნობა.

ამ ეტაპზე, ისტორიულად აუცილებელი ხოტბების დონეზე, ვხედავთ ჩვენ ხელოვნებას და სადღაც, ჰარმონიულად იპარება ახალი სხივი, გამოწვეული ომის შემდგომი სახელმწიფოს მდგრადი, უძლიერესი მდგომარეობით. აქ უკვე აღარ არის ეჭვი, ჩვენმა წყობამ გაუძლო პირველ დიდ გამოცდას. დგება მშვენიერი, დიდებული ნიადაგი ხელოვნების ახალი განვითარებისათვის, რომელიც დგას ჯანსაღ, არსებული ოდების ძირზე, მაგრამ სიახლე იწყება არა მისი პირდაპირი გაგრძელებით ზევიდან, არამედ ქვევიდან, შიგნიდან წასვლით ამ ხოტბებამდე, მათი შინაგანი პრინციპის შეცნობის გზით. რადგან დიდი, ნამდვილი ხელოვნება ადამიანთა ყოველგვარი, მოძრავი ვნებების ქებას წარმოადგენს და არა ირონიას ან მათ ძაგებას. მეორე პერიოდის დაწყების წინ ხელოვნება იყოფა სახელმწიფოსაგან მხოლოდ ერთი მიზნით, რომ თავისი შინაგანი კანონებით ეს უზარმაზარი მასალა ადამიანთა რევოლუციური ვნებებისა გადაამუშაოს, შეიცნოს, გაიგოს დიდი შემოქმედების მხრიდან, ხატოს, დადგას, წეროს დაუსრულებლივ.

იწყება ნამდვილი, დიდი ლიტერატურის რენესანსი, შესაფერი სახელმწიფო ძლიერების, უკვე შექმნილი სოციალისტური, ისტორიულად გამოცდილი, ტრადიციებისა.

აქ მოყვანილი აზრები დარჩენილი არიან ყოველგვარი ფაქტიური თუ ლოგიკური დასაბუთების გარეშე, მაგრამ ისინი არიან ჯიუტად მართალი _ ასეთია ჩვენი წყობა. _ არა გვაქვს? არ ვამტკიცებთ, ისე ვიძახით გვექნება! და მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ «საიდანღაც» ჩნდება ყველაფერი. აქ არის მხოლოდ შინაგანი სიმართლე. ჩვენი ლიტერატურის ვალია ამ შინაგანი სიმართლის გონებრივი შეცნობა, ამოყვანა მაღლა, მხატვრული გაგება, თავისი არსით ოდის პრინციპამდე ასვლა სიღრმიდან.

რომელ ერთა გაერთიანებასაც არ უნდა ვეკუთვნოდე, მე, უპირველეს ყოვლისა, ვარ ჩემი ეროვნული შემოქმედებითი ტრადიციით ქართველი. საინტერესოა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ამ ქვეყნის როლი ზოგად ასპარეზზე. ჩვენ მშობლიურ ლიტერატურას დიდი საერთო აქვს სხვა ქვეყნების კლასიკასთან, ახალიდან რუსულ-საბჭოურ ლიტერატურასთან და საერთოდ, მათ ტრადიციულ ხელოვნებასთან. _ უპირველესად, აქ აღსანიშნავია _ წინააღმდეგ დასავლური თანამედროვე ირონიისა, რაც აუცილებელ სიმსუბუქეს, სისუსტეს მატებს ნაწარმოებს _ აღსანიშნავია გრძნობათა სიმყარე. _ მოკლედ, პრიმიტიულად ტირილი ან სიცილი, ერთგვარი სიხეპრევე, კარგი გაგებით, რომლის გარეშეც ნამდვილი ხელოვნება წარმოუდგენელია. _ მაგრამ ქართულ, ლაღად გრძნეულ ხელოვნებას, აქვს ერთი ისტორიული ნაკლი, ზოგ შემთხვევაში ღირსებამდე ასულიც. აქ ლიტერატურა ვითარდებოდა თქმებით, სხარტად გამოთქმული სიბრძნეებით, მშვენიერი გუნებისეული სიბრძნენარევი ლექსებით. ეს, ერთგვარად, დამოკიდებული იყო პატარა სახელმწიფოს მუდმივად არამდგრად მდგომარეობაზე, არ იყო საშუალება ხელოვანისათვის, ხალხისთვის, გარდა აფორიზმული თვითგამორკვევისა, ჩაჯდომოდა ვრცელ ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ მსჯელობებს.

შემთხვევითი არ არის მსოფლიოს სიამაყის «ვეფხისტყაოსნის» შექმნა ამ პატარა ერის სტაბილურად ფეხზე დგომის ხანმოკლე პერიოდში, როდესაც საშუალება მიეცა გაქანებისა შემოქმედს. მის შემდგომ ასეთი პირობა თითქმის აღარა ყოფილა. მიუხედავად ამისა, დიდი პოტენციალური ნიჭის წყალობით, იბადებოდნენ გენიალური მწერლები, მოღვაწეები, მხატვრები: ორბელიანი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ფიროსმანაშვილი. კლასიკური პროზა, როგორც წესი, პოეზიას ზევით

ნათქვამი მიზეზის გამო, მაინც ჩამორჩებოდა /გარდა ამ მიზეზისა არის აქ ქართველის პოეტური ბუნებაც «დამნაშავე»/.

ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი /გენიალური ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შემდეგ/ გადადგა ილია ჭავჭავაძემ, მაგრამ მასთანაც იგრძნობა ერთგვარი, ზოგჯერ არასაჭირო პოეტური, შტრიხული სიბრძნე, ეს უკვე აღარა აქვს საქართველოს შესანიშნავ პროზაიკოსს დავით კლდიაშვილს და მის შემდეგ თუ წინ ისევ და ისევ შეუდარებელი პოეზიის ზღვაა მხოლოდ, რომელშიაც მხოლოდ კუნძულებივით არის ამოსული ბელეტრისტული სახის ნაწარმოებები.

ხშირად ჩვენ, ქართველები, ვიშველიებთ ფრაზას: პატარა, მაგრამ კარგი, ჩვენ რომ ბევრი ვიყოთ და სხვა. ეს სიბევრის პოტენციალური სურვილი სრულიად ბუნებრივია ჩვენისთანა გაქანების, ვნების ხალხისთვის _ მხოლოდ მაშინ შეიძლება გაკეთდეს ჭეშმარიტად დიდი საქმე. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი ერიდან გამოსული პოლიტიკური მოღვაწეები უდიდეს როლს თამაშობდნენ თავისი პირადი ღირსებებით მსოფლიო ასპარეზზე; შემთხვევითი არ იყო მათი არწაუშლელი როლი დიდი ოქტომბრის რევოლუციაშიც. აქ, ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგად, თითქოს ჩვენ გავბევრდით, ვიმრავლეთ, ჩვენმა დაუდეგარმა ბუნებამ ნახა გამოსავალი, ნახა მიზანი სოციალიზმის შენებაში /არ იგულისხმება გამონაკლისი, ან ის რაც გარეგნულათ არ იხატება/. აქ ხელოვნებაშიც, პოლიტიკაშიც, ვნებაში ძირი ყველგან დარჩა წმინდად ისტორიულად ქართული, ხოლო მიზანი, იქცა ზოგადსაკაცობრიო, კონკრეტულად საბჭოური. აქედან იშლება, იწყება პერსპექტივა ქართული დიდი პროზის განვითარებისათვის. ეს ის ვნებაა, რომლის მესამედიც არ დაგვიცლია ჩვენ ქართველებს, ის ვნება ჩვენ არ გვეკითხება, ის ჩვენზე ძლიერია და ჩვენი ვალია მას მხოლოდ ფორმა მივცეთ, ისევე როგორც სხეულის ვალია, ფორმა მისცეს სულს.

გარკვეულ, ვლაპარაკობ გულწრფელად, ვალს ვიღებ მე ჩემს თავზეც, ისე არ დაიწერებოდა ეს სიტყვები, ეს ნეტარი ტვირთი არის ყველასი საერთოდ, ამაში ერთნაირი როლი უნდა ითამაშოს როგორც ქართველმა მკითხველმა, საზოგადოებრიობამ, ისევე ხელოვან-მწერლებმა.

მე ჩემ, წინასწარ აღვნიშნავ, არამთლიანად მხატვრულ, ერთგვარად პრიმიტიულ ნაწარმოებებს, შეგნებულად ვდებ საზოგადოების წინაშე, ღრმად დარწმუნებული, რომ ქება თუ გაკიცხვა მისი და, რაც მთავარია, მსჯელობა, ფიქრი, სარგებლობას მოუტანს საერთო ლიტერატურული აზრის განვითარებას.

საკითხი თავისთავად დასმულია; ახლა მინდა მე თვითონ გავათვითცნობიერო რამდენად საჭიროა, ამ მხრივ, ჩემი ნაწარმოებები, რომელშიაც პირდაპირი მნიშვნელობით, ბუნებრივია, არც ერთი პასუხი არ არის მოცემული ზევით დასმულ კითხვებზე, ერთი შეხედვით, ისინი სულ სხვა საგანს ეხებიან და ძირითადად წარმოადგენენ ჩემს შესვლას, ადგილის დაკავებას საზოგადოებაში. ამ მხრივ, მე ჯერ ვარ «უპასპორტო მოქალაქე», ასეთებივე არიან ჩემი გმირებიც. საინტერესოა, ერთ-ერთი საუბრის დროს, ჩემ თანდასწრებით გამოითქვა აზრი, რომ ჩვენს საზოგადოებრიობას არა სჭირდება ნაწარმოები, სადაც მოქმედებს «ბინის დავთარში ჩაუწერელი ხალხი», თავისი გარკვეული ადგილის გარეშე, ეს ისეთი მოსაზრებაა, რომლის ანგარიშის გაწევაც აუცილებელია, აუცილებელია ისიც, რომ ჩემმა «უპასპორტო» გმირებმა იპოვონ თავისი ადგილი; ჩვენ საბჭოურ ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა მაგალითი ასეთ გმირებზე წერით მათი «გაპასპორტიანებისა». უფრო მეტიც, ეს პირდაპირი ვალია ხელოვნების იმ მაღალი ეტაპისათვის, რომელზედაც ჩვენა ვდგევართ; _ მაგრამ რა გზით შეიძლება ეს ამბავი

განხორციელდეს - ისე რომ გვერდი ავუაროთ ასეთ ხალხს? არა, რასაკვირველია! ისე რომ გავკიცხოთ, ვამხილოთ ისინი? - ეს ჟურნალისტიკაა, ხოლო ნამდვილი ხელოვნებისათვის არ არსებობს არასაჭირო, ცუდი ხალხი, არიან ამოვარდნილები კალაპოტიდან, სხვა იდეებით შეპყრობილები, ვიდრე ობიექტური სისწორე მოითხოვს, ბოროტმოქმედნი, გარკვეული მიზეზების შეიძლება არგამმართლებლის გამო, არის ყველანაირი ხალხი, ოღონდ ყოველი მხრიდან მხოლოდ ნამდვილი ადამიანები _ მისი გამოხატვის ათასნაირი ვნებით. ამიტომ ასეთი ლიტერატურული გმირები კი არ უნდა ილანძღოს, არამედ თვითმხილების გზით უნდა მივიდნენ თავიანთ თავის ნამდვილ, მოქალაქეობრივ ადგილსამყოფელთან. ამ მხრივ, არაინტერესმოკლებულია ჩემი ნაწარმოებები ჩემს პიროვნებასთან, რომელიც მასში საკმაოდ კარგად ჩანს, კავშირში.

დასათაურება

1. ირინა და მე

/პირველი შემოქმედებითი ნაკადის შემოჭრა ჩემ არსებობაში და მისი ცხოვრებასთან ვერშეთავსება/

2. ალავერდობა

/მიზნის განხორციელების ძიება და ადგილის სწორად ვერპოვნა/

3. დღიური

/ერთი დღის მანძილზე შემხვდური ხალხი და მე/

4. რევაზ მაყაშვილი და ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული ბრიგადა

/ადამიანის სურვილი გახდეს საზოგადოების წევრი, მთლიანად გამზიარებელი მისი ინტერესებისა, და დაბრკოლებები ამ გზაზე/

ჩანაწერები «ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებების» შავი ავტოგრაფისათვის:

ერთი ჩანაწერი შავი ავტოგრაფისათვის(1_3გვ.) დაწერილია ბლოკნოტიდან ამოხეულ სამ გვერდზე. ასეთივე ფურცლებზე, ფანქრით, გაკეთებულია ჩანაწერი მეოთხე მოთხრობისათვის (იხ. აქვე), რომელიც დათარიღებულია 1959 წლის 14 ოქტომბრით. ორივე ჩანაწერის ფურცლის ბოლოს გადასხმულია ერთი და იგივე მელანი, რაც, დათარიღებისათვის შემუშავებულ სხვა კრიტერიუმებთან ერთად, უფრო ზუსტი დათარიღების საშუალებას იძლევა: 1959 წლის ოქტომბერი (აქვე წერია უცნობი ტელეფონის ნომერი 3-67-51).

«заграничная литература сделала кое-какие успехи» ჩვენთან შედარებით, მაგრამ განვიხილოთ ძირები _ იქ ძირითადად საქმე მიდის მათი არსებული ცხოვრების გინებით, მოწყენა, მხოლოდ სევდა, ვნებაგამოცლილი სექსი. ჩვენთან დაბლიდან მაღლა ადის ლიტერატურა მხოლოდ ქება _ ენთუზიამი, ძირი ჩვენსას ჯანსაღი აქვს, რადგან ცუდი, დაღმავალი, ნამდვილი შემოქმედებისათვის არ არსებობს, მაგრამ ჩვენმა ხელოვნებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო ძირებიდან ამოსვლა თავის განცდებში _ ახლო მომავლის ვალია, რაც აქვს აქამდე ქვეშეცნეულად, ახლა გაიგონ შიგნიდან, უფრო ღრმად _ ჩვენ წყობას აქვს უკვე ისტორია, ხალხს კი ის საკმაოდ გაუჯდა სისხლში.

«Всезнайка Ремарк тогда к чему писать раз заранее все знаешь».

მეორე ჩანაწერი შავი ავტოგრაფისათვის გაკეთებულია მაგარი პატარა ფურცლის, ჩვეულებრივ, ჩანახატებისათვის რომ იყენებენ ხოლმე, ორივე გვერდზე. ასეთივე ფურცლებზეა დაწერილი "დევების ცეკვის" (იხ. შენიშვნები ამ მოთხრობისათვის), "თეთრი მონებისათვის" გაკეთებული ჩანაწერების შავი ვარიანტები, მოთხრობების კრებულისათვის შედგენილი სამივე სია (ეს სიაც თარიღდება 1959 წლის ზაფხულით), იმ პერიოდში დაწერილი პირადი წერილები და სხვ. (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. სხვა მოთხრობათა შენიშვნები).

«1. ლიტერატურული დამოკიდებულება აზროვნების მხრივ, პროზაში, რუსეთ-საქართველოს შორის. არა ირონიული დასავლეთივით, არამედ მდგრადი. სიცილი ან ტირილი.

2. საქართველოში არსებული თქმები - სხარტი, პოეზია - ინტუიტური. ხანმოკლე შესვენება, პატარა ერი.

3. თანამედროვე საშუალებანი, როცა მას განაგებს პოლიტიკურად (უშიშროებას, სწრაფვას) სრულიად ახალი, მრავალეროვანი, საინტერესო საბჭოთა კავშირი - ახალი ერის საფუძველი - რჩება ისეთი განსხვავებები როგორც სხვადასხვა ოჯახებსა და ინდივიდუალურ ხასიათებს შორის.

5. პროზის სათავე და (არჩევანი) ქართული ძირი _ მიზანი საბჭოური.

6. საბოლოოდ, საქართველო პატარა ერი აღარ არის _ ის წარმოადგენს დიდ ერს. იმრავლეთ! |სადღეგრძელო| აი, ვიმრავლეთ ამ გზით.»

მესამე ჩანაწერი გაკეთებულია მკრთალი, გაკრული ხელით თაბახის ფურცლის ნაგლეჯზე. ასეთი ქაღალდი გვხვდება 1959 წლის შემოდგომაზე:

«ვნებები მათ თითქოს ერთნაირად მოჩლუნგებული აქვთ, მხოლოდ გამახვილებული რჩება მხატვრულობის შეგრძნება და წერა მიდის პრინციპით: თქვა უკეთ სხვაზე, იხუმრო თავის დროზე, გაახვიო შესაფერ ირონიაში ყველაფერი. აქ, ამ ეტაპზე, ყველაფერი ცნობილია. ქრება ის ქვეშეცნეული ნაპერწკალი, რასაც ნამდვილი შემოქმედი ჰქვია."

ჩანაწერი თეთრი ავტოგრაფისათვის (1გვ.):

დაწერილია ისეთსავე თაბახის ფურცლებზე, როგორზეც «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» სხვა მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფები (იხ. აქვე), ლამაზი, გამოყვანილი ასოებით, მუქი მელნით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ჩანაწერს უშუალოდ უნდა მოჰყოლოდა თვითონ ნაწარმოებები. ამას მოწმობს, გარდა შინაარსისა**,** ნაწილის დამთავრების ნიშანი: «— . —». ამ ნიშნის ქვემოთ პატარა ასოებით, სხვა კალმით, ვფიქრობ, ხელახალი გადაკითხვისას, გურამის მიერვე მიწერილია «|არ ვარგა|». ამ ავტოგრაფს აქვს თავისი შავი ვარიანტი (იხ. შენიშვნები «ალავერდობის» შავი ვარიანტისათვის). ამ ვარიანტით იწყება «ალავერდობის» შავი ხელნაწერი, რომელიც მთავრდება ისეთივე ნიშნით «___. ___». თეთრი ავტოგრაფისათვის გაკეთებული ამ ჩანაწერის, ისე როგორც მისი შავი ვარიანტის, მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» (იგულისხმება შესავალი) შავი ვარიანტი, დაწერილი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნაფიქრი და გააზრებული მაინც იყო «ალავერდობის» შექმნამდე.

«საინტერესოდ, უცნაურად, ერთგვარი გულუბრყვილობით მსჯელობს ჩვენი ავტორი, ის ბევრ რამეში ემთხვევა ჩემს (არაავტორულ)შეხედულებებს, უფრო მეტში სცილდება, საკმაოდ საინტერესოა მასთან კამათი, მაგრამ ჯერ მივყვეთ მის პირველ ლიტერატურულ შეხედულებებს, უფრო კარგად შევიცნოთ მისი გარემოს აღქმისუნარიანობა, სამყაროსი, რომელსაც ის ხედავს თავის გარშემო, მაშინ შესაძლებელი იქნება იმ მხარეების უფრო კარგად დანახვა, რომელიც მას პირველი მწერლური ცდების დროს გამორჩა.

ყველაზე სავსეა ბავშვის ცხოვრებაში თავისი გარდუვალობით ის ხანა, როდესაც ის ფეხს იდგამს და უდედოდ იწყებს სიარულს გაუბედავად, ბორძიკით, ხშირად, ხელის მოშველიებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად. ფეხის ადგმასთან ერთად, ფაქტიურად, ეხილება მას თვალებიც: ეს პირველი გამოსვლაა ბუნაგიდან, სადაც ასეთი ნაცნობი, სრულყოფილი და ადვილი იყო ყველაფერი. გამოსვლისთანავე წარმოუდგენელი მასშტაბით იზრდება სამყარო, სინათლე, დაუსრულებელი სინათლე თვალებსა სჭრის ყოველი მხრიდან და ოდნავ თვალის მიჩვევისთანავე, უზარმაზარ გიგანტებად ეჩვენება ახლად მოსულს პატარა სოკოები, მწერები. დაახლოებით, ეს პერიოდი, ზუსტი ასლი ჯეკ ლონდონის "თეთრი ეშვის" განცდებისა, მაინტერესებს მე ჩვენ ავტორში. აი, აქ, ერთ რვეულში, აღწერს ის რამდენიმე, ზემოთ განმარტებული თვალსაზრისით საინტერესო, თითქმის უსიუჟეტო ამბავს, რომელსაც გარკვეული თავისებური პრეტენზია აქვს მხატვრულობაზე.

—— . ——
\არ ვარგა\"

ირინა და მე

არქივში ინახება «ირინა და მეს» შავი და თეთრი დაუთარიღებელი, უსათაურო ავტოგრაფები. შავი ავტოგრაფი დაყოფილია სამ ნაწილად: I. (1_12გვ.) სიტყვებამდე: «_ დაიღალე? _ იკითხა მეისრემ. _ ჰო, _ თქვა გურამმა», II. (1_12გვ.) სიტყვებამდე: «ცდილობ გაფანტო აზრები, რომელიც მოაქვს უეჭვობას», III. (1_16გვ.) ბოლომდე: «მე ხომ ასე ძალიან მიყვარს ხუმრობა, როცა მარტო ვარ ხოლმე ~~ჩემ თავთან~~.» (აქ და ყველგან ტექსტი გადაშლილია ავტორის მიერ _ მ.რჩ.).

თეთრ ხელნაწერში (1-52გვ.) მოთხრობის ნაწილებს საერთო პაგინაცია აქვთ.

შავი ავტოგრაფის მესამე ნაწილის მეოთხე გვერდის ბოლოს (წინადადების შემდეგ: «ირინკა მოჩვენებასავით ანთებს ლამფას, ფეხაკრეფით მიდის, იხდის, წვება, იძინებს თუ არა არ ვიცი, ის სადღაც იქით არის და ოდნავ ეხება უცხო სახესავით ჩემ შეგრძნებას, გადადის ქაღალდზე მოხუცის სახესთან, ყალიონთან, ზღვის ტალღების ხმაურთან ერთად, რომელსაც ლამფის შუქზე ვეღარ ვხედავ, მისი მხოლოდ ხმა მესმის შორეული და ყრუ») წერია თარიღი: «15 მარტი. 1958 წელი. მოსკოვი, კრემლი არა. «Б. Южинский.» ამ თარიღის, აგრეთვე, მწერლის შემოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩოს შექმნისათვის შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმისა და მოგონებების საფუძველზე მოხდა "ირინა და მეს" დათარიღება. თეთრი ავტოგრაფი დათარიღებულია (1959 წლის ადრეული შემოდგომა) ასევე მოგონებებისა და მთლიანი ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე. თეთრი ვარიანტის დათარიღებისათვის, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, მასალა მოიპოვება თვითონ

ნაწარმოებშიც: «მინაწერი: გავიდა ბევრი დრო, დაახლოებით ორი წელიწადი» («მინაწერი» «ირინა და მეს» თეთრი ავტოგრაფისათვის დაწერილია წელიწად-ნახევრის შემდეგ, იხ. აქვე.). ავტოგრაფი არ არის დასათაურებული. მოთხრობის სათაური, ისე როგორც ამ ვრცელი ნაწარმოების სხვა მოთხრობებისა, წერია «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» (შესავლის) თეთრი ვარიანტის ბოლოს (იხ. აქვე). მკითხველს გავახსენებ, აგრეთვე, «ირინა და მეს» ქვესათაურს, რომელიც აქვეა მითითებული: «პირველი შემოქმედებითი ნაკადის შემოჭრა ჩემს არსებობაში და მისი ცხოვრებასთან ვერშეთავსება».

არქივში ინახება, აგრეთვე, გურამის ხელით ნასწორები, მის სიცოცხლეში გადაბეჭდილი ვარიანტი, რომელიც უნდა მიეტანა მას, ჩემი ვარაუდით, რედაქციაში და რომელსაც ჩვენთვის დედნის მაგივრობა შეეძლო გაეწია. სამწუხაროდ, ეს ტექსტი უკვე შესწორებულია ჩემ მიერ ჟურნალში გამოქვეყნებული ვარიანტის მიხედვით.

არსებობს ჩანაწერები მოთხრობის როგორც შავი, ასევე თეთრი ავტოგრაფისათვის.

ჩანაწერები მოთხრობის შავი ავტოგრაფისათვის:

პირველი ჩანაწერი «ირინასათვის» გაკეთებულია ისეთივე თაბახის ფურცლებზე, როგორზეც პიესა «მარინას» შავი ავტოგრაფი («მარინაზე» მუშაობა გურამმა დაიწყო 1958 წლის იანვრის ბოლოს, მოსკოვში ჩასვლისთანავე). მსგავს ფურცლებზეა დაწერილი მოსკოვიდან ბაკურიანში ჩემთან გამოგზავნილი პირველი წერილი (იხ. ტომი 5, წერილები). ასეთ ფურცლებზე თბილისში არაფერი არაა დაწერილი. სავარაუდოა, რომ გურამმა ეს ფურცლები მოსკოვში ჩასვლისთანავე შეიძინა. ასე რომ, «მარინაზე» მუშაობა, ისე როგორც «ირინას» შავ ვარიანტზე, გურამმა დაიწყო მოსკოვში. გარდა ამისა, ამ მოსაზრებას განამტკიცებს «ირინა და მეს» ე.წ. «ბედნიერი წყვილი» - რეზო და ლეილა. მათი პროტოტიპები არიან გურამის მეგობარი იკა გელეიშვილი (იხ. პირველი წიგნის შენიშვნები მოთხრობისათვის «სიკვდილი მთებში» და ამ ტომში შენიშვნები «შაშას რევოლუციისათვის») და მისი მეუღლე მზია წულეისკირი. «ბედნიერი წყვილი» საქორწილო მოგზაურობაში მიდიოდა მოსკოვში და გურამმა მათთან ერთად იმგზავრა მატარებლით 1958 წლის იანვრის შუა რიცხვებში (იხ. აგრეთვე, მოთხრობა «პირველად ტრამალებში» ამავე ტომში, რომელშიც სწორედ ეს მოგზაურობა უნდა იყოს აღწერილი. ისიც დაწერილია, ვფიქრობ, მოსკოვში ჩასვლისთანავე).

უკვე აღვნიშნე, რომ გურამის შემოქმედებას მაგისტრალურ სიუჟეტად მიჰყვება ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთმიმართების ძიება (იხ. ტომი 2). თავდაპირველად, ამ სიუჟეტმა თავი იჩინა მოთხრობაში «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა ...» (1957 წლის დეკემბერი). ამ მოთხრობის გმირის მიერ შექმნილი მხატვრული კომპოზიციის თემა «მეგობრის მკვლელობა» საფუძვლად დაედო შემდეგ პიესა «მარინას» სიუჟეტს (იხ. ტომი 2). ამავე მოთხრობაში გმირის განცდები კი, გამოვლენილი შინაგან მონოლოგში, რომელშიც ის ერთმანეთს უპირისპირებს ხელოვნებასა და ცხოვრებას, იქცა «ირინა და მეს» სიუჟეტის მამოძრავებელ იმპულსად («... თვალწინ ჩემი დღევანდელი ნახატი და ლეილა მედგა. ნეტა რომელი უფრო მეწყინა, ნეტა რომელი? ... სიცოცხლე მაინც სულ სხვაა. უზომოდ მომინდა ისევ ლეილა ... საკმარისია ასეთი ძლიერი განცდა, რომ ახალი ნახატის იდეა მომივიდეს. არა, მოვკლავ ხატვაში ლეილას. თუმცა ახლა მირჩევნია ლეილა აქ იყოს და მოკლას ხატვა....» იხ. აგრეთვე, სხვა შემთხვევები მეორე ტომის შენიშვნებში).

როგორც ჩანს, «მარინასა» და «ირინას» მხატვრული იდეა ერთდროულად მწიფდებოდა. 4 მარტისათვის გურამს უკვე დამთავრებული ჰქონდა «მარინას»

გადათეთრება. 15 მარტისათვის კი უკვე დაწერილი იყო «ირინა და მეს» შავი ვარიანტის უმეტესი ნაწილი.

საინტერესოა «ირინას» მაგალითზე გურამის შემოქმედებითი პროცესისათვის თვალის მიდევნება:

1. «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა...» ამ მოთხრობაში გურამთან პირველად დაუპირისპირდა ერთმანეთს გამოკვეთილად ცხოვრება და შემოქმედება _ [1957 წელი]

2. სქემატურად ჩაწერილი მოთხრობა გიოს შესახებ (იხ. ქვემოთ, აქვე). ამ ჩანაწერში, როგორც მკითხველი თვითონვე დარწმუნდება, მოთხრობის ძირითადი სიუჟეტი, ისე როგორც ცხოვრების მიმართ გაუცხოებული ლიტერატურული გმირის ტიპი, უკვე მოცემულია _ [1958 წლის იანვარ-თებერვალი].

3. «ირინა და მეს» შავი ვარიანტი. ხელოვნებისა და ცხოვრების უკომპრომისო ურთიერთდამოკიდებულება _ [1958 წლის მარტი].

4. «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტი იქცა საეტაპო ნაწარმოებად, ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მწერლის შეხედულების ევოლუციის ამსახველი ციკლის პირველ მოთხრობად _ [1959 წლის შემოდგომა].

გიოს შესახებ დაწერილი მოთხრობის ზოგადი სქემა (გარდა ყველაფრისა, ამ ჩანაწერის ადგილი მწერლის შემოქმედებაში მტკიცდება გმირის საკუთარი სახელითაც. თავდაპირველად მას უნდა რქმეოდა გიო, რაც შემდეგ, «ირინასა და მეს» შავ ვარიანტშივე, შეიცვალა გურამით. იხ. ტომი **2,** 1957 წლის ბოლო მოთხრობები «გიოთი». გიოს არქმევს გურამი, აგრეთვე, «ნათელას» გმირსაც):

«რეზოს ოთახი. ედიშერი ზის სავარძელში. რეზო და ნანა ცეკვავენ. კუთხეში უკრავს მაგნიტაფონი.

_ შენი მედიკო როდის მოვა?

ისმის ზარი

_ აი, მოვიდა, _ ამბობს ედიშერი.

შემოდის გიო.

_ ვა, გიო!

_ გამარჯობათ.

_ ისევ ზევიდან? _ ცეკვას განაგრძობენ.

_ ჰო.

_ გაზაფხულია, მსიამოვნებს.

_ მარტო რა სასიამოვნოა, გოგოსთან ერთად მესმის კიდევ,

_ მე გოგოები არ მიყვარს.

_ ნანა იცინის.

გიოს თხოვენ დაუკრას გიტარაზე. გიო უკრავს. მელოდია სევდიანია და ყველას ცუდ ხასიათზე აყენებს, მერე მოდის მედიკო, უცებ რთავენ მაგნიტოფონს, ცეკვავენ გამალებული. გიო მიდის.

_ მოხვალ ლექციაზე? _ ეკითხება ედიშერი.

_ არ ვიცი, _ გიო პასუხობს.

_ თვითონ არ იცის რა უნდა, _ ამბობს რეზო.

_____

დილა.

რეზოს (მე მგონი, შემთხვევითაა ნახმარი სხვა სახელი. აქვე «გიოს» მაგივრად წერდა ისევ «რეზოს», გადაშალა და ზევიდან დააწერა «გიო». - მ.რჩ.)*საწოლთან მიდის დედა. ეუბნება გამხიარულდეს, წავიდეს ლექციაზე, გიო დგება, მიდის.*

I

გიო მარტო მიდის ფუნიკულიორის საცალფეხო ბილიკზე. აი, ის გადმოძვრა ბეტონის დაბალ ღობეზე ვერანდასთან და შეერია ნაძვნარში. ღამეა. გაზაფხული. ბილიკი დაქანებულია. დიდ ~~მოგრეხილ~~ ფეხებს განდაგან ისვრის, ხელები ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი და ~~დიდი შავი ოდნავ მელოტი თავი მაღლა აწეულ საყელოში უქანავებს. უხერხულად მოძრაობს მისი დიდი არაპროპორციული~~ აქა იქ ძველ ბოძზე დაკიდებული სინათლეები ბჟუტავენ. ბუჩქები შრიალებენ, წყვილები ხელჩაკიდებულები, ჩახვეულები და ერთმანეთისგან დაშორებით სხედან აქა იქ. ზევით რესტორანი გაჩახჩახებულია, ისმის საცეკვაო მუსიკის ხმები. ნელა ეშვება გიო ქვევით.

_____

ფუნიკულიორის ლიანდაგის ქვეშ მოხუცი მეისრე ზის. ის გართულია თავისი საქმით, კედელში ნუშის ყვავილებია გარჭობილი, დატვირთული ტრამვაი ყიჟინ-სიცილით გადადის მისი ბეტონის ქოხის ზევიდან. მას ხელები ზეთში აქვს და რკინის იარაღებს წმენდავს. საცალფეხო ბილიკი მის ქვევით გადის.

_____

გიო მოდის. ის გზას არ უყურებს

ჩერდება მეისრის ქოხთან.

_ გზა ქვევითაა _ ამბობს მეისრე ისე რომ არც უყურებს

გიო დგას, ტრამვაი მოდის ქვევიდან და ზევიდან. ჰაერი მხიარული ხმებით ივსება. მეისრე გარეთ გამოდის, უყურებს განათებულ ვაგონს, ვიღაც გოგოები ყვავილებს ისვრიან. ყვავილი გიოსთან ეცემა. ტრამვაები ერთმანეთს შორდებიან, მიდიან ზევით და ქვევით, შუაში რჩება მრგვალი გამთიშველი ნიადაგი.

~~იქით მამადავითის ეკლესიაა~~

~~_ მოეწონებოდ~~ გაგეარშიყნენ ნახე? _ ეუბნება მოხუცი

გიო უნიათოდ იღიმება, ბრუნდება, მოხუცი მიდის თავის ადგილას, მუშაობს. გიო მიყვება გზას, ჩამოცდება მამა-დავითს და შედის ქალაქში.

_____

უნივერსიტეტის შემდეგ

ორთაჭალა

რესტორანი მტკვარზე. თარზე უკრავენ ავარადან მოტივს ლუჩიაააა _ ისმის.

მერე მიდის ყარაჩოხლურები, ერთი ოფიციანტი ლანგრით ცეკვავს. მუსიკოსებს ფულებს ურტყავენ შუბლში _ შაბაშ!

გიო მთვრალი ზის მაგიდასთან. წინ არყის ცარიელა ბოთლი უდევს და მწვადი ხელუხლებელი

_ ჯიგარო ჯან რას იბღვირები _ ესმის მხიარული ხმა, მოდი აქეთ ერთად დავლიოთ მარტო რა გინდა. გიო უბღვერს. ეშვებიან, ზის ისევ მარტო.

იქით მასზე ანიშნებენ. ეტყობა იმაზეა ლაპარაკი. სვამს.

_ მართლა რას ვიბღვირები, რა ვქნა _ ამბობს თავისთვის მთვრალი, თავზე იკიდებს ხელებს, კიდე სვამს.

მოდის ოფიციანტი.

_ ბიძა მე სულ ვიბღვირები _ ეუბნება გიო

_ ვინ გითხრა კუკლა-ჯან _ ცბიერობს ის. მიდის. გიო მთვრალია. ~~მოგონებები გამოდიან მისი თავიდან.~~

უნივერსიტეტში

~~უნივერსიტეტი. კოკრები ის არი იფურჩქნებიან, გადაღლილი პალტოებით დადის ხალხი. გიო მარტო ზის. პალტო მოსხმული აქვს. ბუჩქების იქით მოდიან, სხედან გოგოები. ნანა და მარინა. გიოს ესმის მათი ხმები. უნდა წავიდეს, მაგრამ ვერ მიდის, არ შეუძლია.

~~_ უკვე ყველაფერი მორჩა? _ ეკითხება მარინა~~

~~_ ხო, 15-ში დავნიშნეთ ის ისეთი კეთილია, ჯერ მისი ღიმილი დირს მთელ გიოდ რა ვქნა არ მიყვარს ეგ ბიჭი~~

~~_ გიო? შენც თქვი რა საყვარელია~~

~~_ საწყალი მარტო შეუძლია იბღვიროს~~

~~_ მე ვერ ვიტან ეგეთებს~~

~~_ არა მაინც კარგია იდიოტი არ მიყვარს, ღმერთო ჩემო, არ გაიგოს თორემ ხომ იცი ყველაფერს უნდა ელოდეს მისგან კაცი, არ მესმის რა ადამიანია, ვიცოდი რომ ვუყვარდი არც კი მითხრა, ყველა მეუბნება ერიდეო.~~ (აქ და ყველგან ტექსტი გადაშლილია ავტორის მიერ _ მ.რჩ.)

_____. _____

დილა.

უნივერსიტეტი. ~~წელა მიდის გიო.~~ ტრამვაებიდან ეტენება გარეთ ხალხი, ხტებიან, მირბიან. ლექცია იწყება. დიდი მოძრაობაა. უცებ ცარიელდება ბაქნები. მიდის გიო. წელა. მიდის პირველ კორპუსში, საათი უჩვენებს ლექციის დაწყების დროს. შიგ აღარ უშვებენ. ჩამოდის მიდის ბაღის სიღრმეში. ჯდება მრგვალ მაგიდასთან. ბაღში კანტი-კუნტად შემოდიან დაგვიანებული სტუდენტები. მოდიან მარიკა და ნანა. მარიკა ახალ გაფურჩქნულ კვირტს წყვეტავს. ყარაული ჯავრობს. გოგოები ასუნინებენ. იცინიან. მირბიან ბაღის სიღრმეში. შორიდანვე ხედავენ გიოს.

_ ოჰო გიო _ უცებ იწყენს მარიკა (ნანა)

_ კაცი რომელიც ვერ იცინის, ყოველ შემთხვევაში შენ როცა გიყურებს _ ამბობს ნანა

მიდიან მასთან. ჯდებიან სკამზე.

_ შეიძლება?

_ გამარჯობათ _ ამბობს გიო

_ ლექცია დაიწყო? _ სერიოზულად ეკითხება ნანა.

_ დაიწყო _ ამბობს გიო

_ ოო _ იძახის ნანა _ მე კი ვახო მელოდება შესავალში, გავიქეცი _ მირბის

_ ნანა მოიცა _ უძახის მარიკა

_ მოვალ ახლავე

სხედან ჩუმად ორნი.

_ დაიწყო _ ამბობს გიო

_ ხო დაიგვიანე, მე კი თერთმეტზე მეწყება.

_ მე გაზაფხულზე ვამბობ _ ამბობს გიო

საწყალი კვირტი ჯერ არ გაფურჩქნილა

_ და რა მშვენიერი დილაა, არა? კიდე რა კარგი ამინდია, არა? _ იღიმება ეშმაკურად
_ ჰო
_ მე წავედი, მაგვიანდება
_ მოიცა მარიკა
_ რატომ? ~~სიყვარულის ახსნას ხომ არ აპირებ~~ იცი ჩემი ქორწილია თუ გინდა მოდი, მე წავედი დაბღვერილო

შეხვედრა რეზოსთან დაკვრა გიტარაზე იქ ეპიზოდი
1. მოხუცთან
2. მოხუცი ქალი
3. პროსტიტუტკას ცემენ, გიო იხსნის
4. მადლობა იმ გოგოსი /უყვარდება იმ გოგოს, ეუბნება, რომ პროსტიტუტკაა და მის [მეტს ეცდება არ შეიყვარებს!]
5. გიოს მიყავს სახლში
6. სახლში შუხური
7. მიდიან ზღვაზე
8. ეჭვის მიზეზები
9. გიოს შეყავს ზღვაში
10. პროსტიტუტკა პატიოსანია: ამბობს, არ შემიძლია არ მივცე.
მოკლავს. აი, მისი მუდმივობა. უყვარდი მუდმივად.»

არქივში ინახება «ირინა და მეს» შავი ვარიანტის მსგავს ფურცლებზე, ისეთივე ხელწერით, მკრთალი მელნით შევსებული გვერდები, რაც, გარდა შინაარსისა, მაფიქრებინებს, რომ ისინი დაწერილია მოსკოვში, «ირინა და მეს» შავი ავტოგრაფის წერის პერიოდში ან უშუალოდ წერის დაწყებამდე.

ამ ჩანაწერების მოქმედი პირი არის უკვე გურამი და არა გიო. გმირის განწყობილება მსგავსია «ირინას» გმირისა. მასში გადმოცემულია გურამის მოსკოვური ცხოვრების პატარა ეპიზოდი:

«ოთახის კარები დიასახლისმა შეაღო. გურამი იჯდა სავარძელში და სკამზე გადაკიდებულ შავ ბოსტონის კოსტუმზე მიკრულ კატის ბეწვებს უყურებდა; ოდნავ გაღიზიანებული წამოიწია: «_ შეიძლება? _ მოისმა ღია კარებიდან ვერა პავლოვნას ხმა, კარებში ჯერ კატა შევარდა და ფანჯრის რაფაზე ახტა, მერე დიასახლისი შევიდა ბაჯბაჯით _ დღეს სელიოდკა გვექნება გაფუფქული კართოფილით, მერე შავი ყავა, მოდი ჩემთან, პისკუნ, მოგეფერო, ჯერ ერთი წლისაც არ არის, ამის წინ რომ კატა გვყავდა, თოთხმეტი წელი ცხოვრობდა ჩვენთან ერთად, ეს ერთი წლისაც არ არის, საყვარელია არა, მოდი ჩემთან, მოდი _ მან აიყვანა, გულზე მიიკრა კატა. გურამი უაზროდ იღიმებოდა ზრდილობისათვის, თან კოსტუმზე მიკრულ ბეწვებს უყურებდა _ საცარია, როგორ უყვარხართ თქვენ, გავაღებ თუ არა კარებს მორბის, კარგი ნიშანია, მაშასადამე გოგოებსაც ეყვარებით _ გურამს ცოტა მოეღიტინა გულზე და ბრაზმა გადაუარა. დიასახლისმა კატა დასვა, კიდე ერთხელ გაუმეორა მენიუ, გაულიმა და ბაჯბაჯით გავიდა. გურამმა გაშტერებით დაუწყო კატას ყურება. სახეზე თავისდაუნებურად დარჩენილი ღიმილი ჰქონდა, სარკისკენ მიიხედა. ოდნავ ეუცხოვა თავისი გამომეტყველება და მოიღუშა. პისკუნი მოიკუნტა რაფაზე, ჩუმად ჩაიკნავლა თვალების ხამხამით. გურამს ზიზღი მოაწვა გულზე, უცებ სტაცა ხელი

კუდში, გააქანა, კატამ დაიკნავლა. მან მთელი ძალით ისროლა კედლისკენ, პისკუნი ფეხებით მიახტა, ცოტა მოპორჭყნა და ჩუმად მიიყუჟა კარებთან; კარები ისევ გაიღო.

_ მოგიტანოთ უკვე? _ მოისმა დიასახლისის ხმა, ღია ადგილში კატა სწრაფად გავარდა _ პისკუნი სად არის? _ იკითხა მან, მერე დაინახა, თვალები გაუბრწყინდა. _ მოგეწყინა უჩემოდ, ლამაზო? _ დაიხარა, ხელში აიყვანა ისევ და ალერსი დაუწყო.

_ არ მინდა ჯერ, _ თქვა გურამმა _ როცა მოვალ შემდეგ/

_ რა, მიდიხართ, დიდი ხნით?

_ არ ვიცი, ალბათ საღამომდე.

_ თქვენი ნებაა, ოღონ ძალიანა გთხოვ ნუ დალევ/

ქუჩაში ქუდი გაისწორა გურამმა, საყელო აიწია, ასე გაცილებით უფრო უხდებოდა,. ციოდა. გრძნობდა როგორ უწითლდებოდა ცხვირი, ცოტა ხნის შემდეგ ლოყები აებურძგლა. ვიღაცამ ჩაიქროლა, მერე ზევიდან შუბაში გამოწყობილი გოგო დაინახა, მერე კიდე გოგო, მერე კიდე გოგო და ბიჭი ერთად.»

შემდეგი ჩანაწერი «ირინას» შავი ავტოგრაფისათვის დაწერილია ისეთივე საწერ-კალმით და ისეთივე გაკრული ხელწერით, როგორითაც წინა ავტოგრაფი, და მსგავს თაბახის ფურცლებზე, უფრო მოთხრობის წერის პროცესში. ამ ჩანაწერის შინაარსის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ «ირინა» უკვე დაწერილია ზემოთ ნახსენებ თარიღამდე.

«განზრახული მქონდა დამეწერა როგორ ვიგონებ ეჭვიანობის მიზეზებს, როგორ ვბრაზობ _ აქ იწყება ნამდვილი სიყვარული და ვიწვები, ვახრჩობ ირინკას ნავში, ზღვაში, გამომყავს ნაპირას, ვაწვენ, მგონი სუნთქავს, მე მომწყინდა ყველაფერი, ცხოვრება აღარ მინდა _ ტრანსში ვარ _ აქ აღწერა როგორ ვახრჩობ _ მივცურავ დასახრჩობად, ძალა მელევა და სადღაც გამკრავს სამუკას სახე, იათამზე, ჩემი მოგონილი ხალხი, დილით ვიღვიძებ ნაპირზე საშინელი დათენთილი, როგორ, რა ძალით მოვბრუნდი უკან აღარც კი მახსოვს, სიამოვნებით მოვიკლავდი თავს და ისევ იჭრება ის ამბავი ირინკას დახრჩობის, რომელიც შეიძლება გადარჩა კიდეც, როგორც სიუჟეტი, რაღაც ნაცნობი ჟინი მიპყრობს, აღარ მინდა დახრჩობა, რა სისულელე ვქენი.

მივდივარ ნაპირზე და ვტოვებ სველ კვალს, რომლისგანაც მზე ხარბად იწოვს ორთქლს.

ვფიქრობ:

ალბათ ირინკას გვამი ნახეს, მომდის ცრემლები, აზრები ფანტაზიაში შედიან.

ბოლო: დგას ორი მილიციელი. ათვალიერებენ გვამს. საათი აჭრილია «მკვლელობა გაძარცვის მიზნით» _ ამბობენ. მეზიზღება ჩემი თავი რომ არ დავიხრჩვი, რატომ, რატომ უნდა ვიტანჯო ასე, ნუთუ იძულებული ვარ მინდა არ მინდა ვწერო და არ შემიძლია ვიცხოვრო ისე როგორც არის. ვინ დამსაჯა, ვინ???

მინაწერი: «ვიცი რომ ირინა არ მომკვდარა, ახლა ვგრძნობ, რომ ის სუნთქავს, ვგრძნობ, რომ კიდევ მოვა სიყვარული ჩემთან, ოღონდ ახლა არ მცალია. ვფანტავ ფიქრებს.»

მეოთხე ჩანაწერი გაკეთებულია ისეთივე ფურცელზე, ისეთივე ხელით და საწერ-კალმით, როგორითაც წინა ორი ჩანაწერი. გვერდი ორად არის გაყოფილი.

პირველი ნახევარი დაწერილია მყარი ხელით:

«მოსკოვი.

ბარი №1.

ვზივარ მთვრალი. გარშემო მთელი დარბაზი ირხევა არყისგან. ყვირილი. ჩხუბი. შიპკის გმირი _ მოხუცი ლოთი ბასით მღერის. რამდენი მასალაა. ვფიქრობ ჩემდაუნებურად, ვბრაზობ, რომ მათსავით მთლიანად ტრანსში არ ვარდები, ეშმაკმა წაიღოს ყველა ვფიქრობ _ დაწერე რამე ჩვენზე, ბარზე, ლოთებზე _ მეუბნება ლოთი ბენა.

მე ვქაჩავ, ვსვამ

ჩემი მთვრალი გონება ~~ამბობს~~ ფიქრობს

_ მწერლები წერენ ყველაფერზე კომბოსტოდან მეფეების ჩათვლით, ვიღამ უნდა დაწეროს თვითონ მწერლებზე კომბოსტომ თუ მეფემ ჰა?»

ფურცლის მეორე ნახევრის ბოლოს, თითქოს ნაუცბათევად, ნაჩქარევად მიწერილია:

«სანამ ამბავი, სიკვდილი არ შემიძლია, უნდა ვწერო მასზე. როცა გამოილევა თავს მოვიკლავ ალბათ

ეს იქნება ერთადერთი ამბავი, თანაც ყველაზე ღირსშესანიშნავი ჩემ ცხოვრებაში რაზეც ვერ დავწერ.»

როგორც აღვნიშნეთ, 1959 წლის შემოდგომაზე გურამი უბრუნდება «ირინა და მეს», იწყებს მზადებას მისი პუბლიკაციისათვის და აკეთებს ჩანაწერებს მომცრო ფურცლებზე, რომელიც, ჩვეულებრივ, ჩანახატებისათვის იხმარება ხოლმე. გურამის გარდაცვალების შემდეგ ეს ჩანაწერები გაბნეული იყო სხვადასხვა საქაღალდეში. პაგინაციის გარეშე დარჩენილი გვერდების დალაგება საკმაოდ რთული აღმიჩნდა. ვფიქრობ, რამდენიმე გვერდი დაკარგულიც უნდა იყოს. თავდაპირველად ეს გვერდები დალაგდა სწორედ ფურცლისა და ხელწერის მიხედვით, დაკავშირდა შინაარსით და მხოლოდ შემდეგ იქნა აღქმული ჩემ მიერ როგორც ჩანაწერები, გაკეთებული «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტისათვის, რამაც შემდეგ მოთხრობის «მინაწერის» ფორმა მიიღო (ამ ჩანაწერების ბოლო გვერდი თითქოს დედას ხელწერის ასლს წარმოადგენს). როგორც მკითხველი თავადვე დარწმუნდება, ზოგიერთი პასაჟი უცვლელად არის შესული «ირინას» «მინაწერში», რომელიც თან ერთვის ამ მოთხრობის თეთრ ვარიანტს. მათშია სათავე, ჩემი აზრით, აგრეთვე, მთლიანი ნაწარმოების _ «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» _ შესავლისაც; იგრძნობა, აგრეთვე, «დღიურის» («მხოლოდ ამ სურვილს \იგულისხმება «გულწრფელობა»\ მოკლებულ კაცს შეუძლია იყოს...»), «ალავერდობის» და მეოთხე მოთხრობის, ლიბრეტოს («დაე, დავიღუპო მე ამ გზაზე ...»), მოტივები. გარდა ყველაფრისა, მათ, ჩემი აზრით, თავისთავადი მნიშვნელობაცა აქვთ: ამ ჩანაწერებში, როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდება, გურამ რჩეულიშვილის მიერ არამხატვრული სიტყვით გადმოცემულია მისი ესქატოლოგიური მსოფლმხედველობა, რომლის მატარებელიცაა თავისთავად მწერლის მხატვრული სიტყვა (იხ. ბოლოსიტყვაობა მეხუთე ტომისათვის).

საინტერესოა, აგრეთვე, რომ ჩანაწერების ბოლოს გურამი სვამს თავის სახელსა და გვარს: გურამ რჩეულიშვილი. «რჩეულიშვილს», როგორც ჩანს, უკვე შემდეგ, აწერს ზევიდან «ვაჩნაძეს» _ თითქოს მერე გაახსენდაო, რომ ასეთი გვარი მისცა მან «ირინას»

გმირს. შავ ვარიანტში გმირის გვარი და სახელია გურამ რჩეულიშვილი. ვაჩნაძეზე გურამი შეჩერდა, ვფიქრობ, მოთხრობის გადათეთრებისას.

როგორც აღვნიშნეთ, ჩანაწერები პაგინაციის გარეშეა და აკრეფილია ჩემ მიერ, ამიტომ გვერდებს ერთმანეთისაგან გამოვყოფ გამყოფი ხაზებით.

<u>ჩანაწერები «მინაწერისათვის»</u>

მომდევნო გვერდი ცალკე ინახებოდა არქივში. მისი მიერთება მთლიან ტექსტთან ვერ მოხერხდა. ვფიქრობ, გაგრძელება დაკარგული უნდა იყოს:

«გავიდა ბევრი დრო, დაახლოებით ორი წელიწადი ამ ამბის შემდეგ, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი ჩემს ცხოვრებაში და დღემდე უდიდესი აღელვების გარეშე არ შემიძლია მოვიგონო ის საბედისწერო ღამე, რომელიც კანონზომიერად გამოიწვია მთელმა ჩემმა იმდროინდელმა არაბუნებრივად აღგზნებულმა მდგომარეობამ, ~~ცხოვრებამ~~ (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ.რჩ.) *მაშინ ახლადდაწყებულმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ. როგორც ვთქვი, იმ ამბების დაწყებამდე ჩემ თავზე სრულიად მოულოდნელად დაემხო შემოქმედება და თანაც არაჩვეულებრივი საბედისწერო ძალით ჩამითრია თავის უფლებებში, წამიყენა, ერთი შეხედვით, სულ სხვა მოთხოვნები ვიდრე მე ვიყავი შეჩვეული. როგორც ხედავთ ამან გამოიწვია»*

ჩანაწერი გვერდის მეორე მხარეს:

«ქაოტური აზრები ასე გადმოვეცი მაშინვე.

_____

შეიძლებოდა აქ გარკვეული, უფრო ღრმა ანალიზის მოცემა, მაგრამ მე მგონი, უფრო საინტერესოა ზაფხულშივე დაწერილი იმ ამბის ბოლო, რომელიც ზევით მე გამოვხატე სიტყვებით ქაოტური აზრები: მაშინ ვწერდი:

_____

ჩვენთან დაიწყო ყველაზე თანამედროვეთი კინოებით!

_____

! ! !

_____

მხატვრულობა არის აუცილებელი თვისება, რომელიც გაიძულებს წაგაკითხოს ნაწარმოები და არა თვითმიზანი ! !»

ცალკე გვერდი, რომლის მიერთება მთლიან ტექსტთან ვერ მოხერხდა:

«ეხვევა: აქვე ვიტყვით, შემოქმედებისგან დაპყრობამდე ~~გატაცებამდე მე მხოლოდ~~ მე ცხოვრებას, დროს გატარების უდარდელი მიზნით ვუყურებდი, ხოლო მისით «დაავადების» დაწყების შემდეგ, მოხდა სრულიად საწინააღმდეგო: მე მხოლოდ შემოქმედების თვალსაზრისით დავუწყე ცხოვრებას ყურება და ყოველი მისი, ცხოვრების, უპირველესი მოთხოვნილება მკრეხელობად ეჩვენებოდა ჩემს გუნებას, მან (შემოქმედებამ) «სიყვარულის» (ფართო გაგებით ცხოვრების სიყვარულის, სურვილის ~~კმაყოფილების~~) გრძნობის შეთავსებაც კი ვერ შეძლო თავისთან ~~მასთან~~, სამაგიეროდ ხარბად ეწაფებოდა ყველა ბანგს, არაყს, ნიკოტინს, რომ ჩაეხრჩო ყველაფერი გარშემო მდებარე აუცილებლობა, შემოესაზღვრა თავისი გრძნობა,

გაქანება, შემოქმედების მცდარი გაგებით: (ფაქტიურად იგივე ამბის გაგრძელებაა სხვა ფორმაში).”/(დამრეცი ხაზი ყველგან მიუთითებს ახალ გვერდს. _ მ.რჩ.)

«როგორც ცნობილია ~~ნამდვილი ხელოვანი~~ ადამიანი ~~თავისი საქმისა~~ არასოდეს არ საჭიროებს განგით გაბრუებას თავისი გაფურჩქვნის პერიოდში, სამაგიეროდ, დაწყებისას და ბოლოს, როცა სათქმელი უკვე უკან არის, თავისი უძლურების არ შეგრძნებისათვის, უზომო რაოდენობით მიმართავს მას. გალაქტიონ ტაბიძესთვის ეს განგი იყო არაყი, ტოლსტოისთვის რელიგიური, უაზროზამდე მისული ესეები, გედნიერი შემოქმედი თავისი საქმის დამთავრებისას იღუპება. თავის დროზე დაიღუპნენ მოცარტი, ბაირონი, დოსტოევსკი. მე ვლაპარაკობ ამ აღიარებული გენიის სახელებით, როგორც შემოქმედების აუცილებელი / მცნებებით, რათა ჩემთვისაც და სხვებისთვისაც გასაგები იყოს აქ გამოსახატავი ძირითადი აზრი. არის ერთი აუცილებელი, თანდაყოლილი კანონი ყველასთვის; შემოქმედებას უნდა უყურო ცხოვრებიდან და არა პირიქით, რადგან მისი ტექნიკური, გადმოცემითი, დაწერითი მხარე მხოლოდ მას აწევს ზურგზე. (ცხოვრება სხეულში) _ მხოლოდ ობიექტური აზრები არსებობენ მისგან დამოუკიდებლად, მას შემოქმედი არა სჭირდება.

მე ისევ დავუბრუნდები ჩემს ნაწარმოებს და ჩემს ამბებს: ახლა ჩემი ოთახი, სადაც მე უკვე შეგნებული, დაწყნარებული გარეგნულად და გატაცებული მხოლოდ შემოქმედებით, აღელვებით ვმუშაობ, აღარ / არის სამყოფელი დაბერილკუნთებიანი, მაგიური სუპერმენებისა, უსწორმასწოროდ მიყრილი წიგნების, არყის ბოთლების, პაპიროსის ნამწვების. იქ სუფევს სისუფთავე, აღტკინება, დროებითი შეჩერება, გარკვეული გარეგნული კომპრომისი ცხოვრების აუცილებლობებთან, რაც უზარმაზარ ბიძგს აძლევს სუფთა ლიტერატურულ მუშაობას, ტვირთავს მას, გზას უხსნის ცხოვრებას მისკენ და პირიქით, ლიტერატურას ცხოვრებისკენ, აქ, ნაცვლად პატარ-პატარა კენჭებიანი მორევების, რომელიც კაცს ძალას აცლის, სუფევს უზარმაზარი, ერთი მთლიანი მორევი, უკიდურესად არეული და თავისი პრინცი / პით შეგნებულად კანონზომიერი, რომელიც შეუჩერებლივ, დაუსრულებლივ ელის თავის ფორმას, ლიტ. ფორმას, თუნდაც ის ისევ ის დიდი მორევი იყოს.

მე მხოლოდ ახლა მაქვს საშუალება გავიხსენო მთელი ჩემი განცდები ზღვაზე გამოფხიზლების შემდეგ, ხელმეორე ცდა თავის დახრჩობისა, რომელიც მაშინ კარგად ვერც კი აღვიქვი, შიში, უცებ მოვარდნილი, წარმოუდგენელი შიში წყლისადმი, იქ სიკვდილისადმი, მაშინ გავშვური, ხოლო შეცნობისას უზომოდ სერიოზული სურვილი ~~გამეკეთებინა~~ გადამეტანა ამ ცოდვის გამოსასყიდად მეტი ტანჯვა და ამავე დროს, ნაყოფიერი ტანჯვა, ვიდრე მას მომცემდა თვითმკვლელობა / პირველი, რაც თავში მომივიდა, ეს იყო, რომ ამ ცოცხლად დარჩენილის ტანჯვის საფასურად ამეგო ძეგლი ირინასათვის, მისი ხსოვნისათვის, რომელიც ჩემმა შემოქმედების ეგოისტურმა ნიაღვარმა შეიწირა, იქვე მომივიდა მეორე წინააღმდეგობა, რომ მე ირინას სახელით ვფიქრობდი მხოლოდ ჩემზე და ჩემ არ სიკვდილს ისევ მას ვაბრალებდი, მისთვის ვითომ საჭიროს _ საერთოდ, შემოქმედების ყველაზე სერიოზულ წლებშიაც კი ძალიან ძნელია გაერკვე, რომ შემოქმედება არ არის ეგოისტური, შენი სურვილების აუცილებელი განსახიერება, არამედ ის სწორედ ის აუცილებელი, გარდუვალი მსხვერპლია, რასაც ითხოვს ადამია / ნი თავისი ძმისაგან, მოვიყვან ცნობილ სოფისტურ ჩაკეტილ წრეს: მეფე მეტი მონაა თუ თვითონ მონა? დროსთან ერთად კვდებიან მეფეები, კვდებიან მონები და რჩება მუდმივი ვნებათა ღელვა უნაპირო კალაპოტში ჩაგდებული, აქეთ-იქით ყველა გამოშვერილის, ხელშემშლელის ან წინ წასულის მწვრეველი, რომელიც ცდილობს გაათანაბროს,

გააწონასწოროს ერთმანეთთან მეფისა და მონის ხარკი, ლიტერატურულად მოსპოს ამ ორი სახელის არსებობის რაიმე საჭიროებაც კი.

როცა იყვნენ მეფეები და მონები, იყო / უზარმაზარი ლიტერატურა, როცა ისპობა ეს ორი სახელი (მასში ვგულისხმობ მთავარსარდლებს, წინასწარმეტყველებს, ყველა გამოყოფილს საერთო მასიდან) ამ მიჯნაზე უზარმაზარ, პოტენციის მოსაკრეფ [ყოფნას] აკეთებს ლიტერატურა. დღევანდელი მთელი მსოფლიო ლიტერატურა მხოლოდ შეჯამებას აწარმოებს ძველი «წმინდათა» ცხოვრების, ძველი ვნებების. და ~~ყოველი ახლის დანახვაზე ტირის, რომ ეს არ ვარგა~~ (გადახაზულია მწერლის მიერ _ მ. რჩ.) ის წარმოადგენს უზარმაზარ არქივს, სადაც იწერება სევდიანი ნეკროლოგები, მათ გაქანებისგან, / სრული ჩაურევლობისგან პოლიტიკური-ხალხური ცხოვრების მხრივ, დაკარგეს მხედველობა სრულიად კანონზომიერად, მხოლოდ ჩვენთან, უზარმაზარ საბჭოების კავშირში, სადაც ნამდვილად ერთი უფლებით სარგებლობს ყველა, მე ვამბობ ერთი უფლებით, რადგან ეს ნიშნავს ერთის უფლება არ არის მეორეზე მეტი, ეს პრინციპულად განსხვავდება დასავლური «თავისუფლებისაგან», მხოლოდ აქ წყობა უცნაურად გარედან ერევა და შინაგან, ჯერ მხატვრულად შეუმჩნეველ ბიძგს აძლევს / ახალი ლიტერატურის შექმნას, რომელიც გარდუვალ კანონზომიერებას წარმოადგენს იმ უზარმაზარი ტექნიკური პროგრესების, ვნებათა ღელვის, დაღლის, ბრძოლების შემდეგ, რაც განიცადა ჩვენმა კავშირმა და მსოფლიომ, ბოლო შეუდარებელი ლიტერატურული აღმავლობის დროიდან.

ეპოქალურად ჩვენი თაობის საერთო სამუშაო, საერთო გასაკეთებელია ყველაფერი ეს ერთად, შეიძლება ვინმეს ჩემი აზრების სითამამე ერთგვარ თავხედობად / მოეჩვენოს, ეს არ არის გასაკვირი, მეც ასე მეჩვენება ზოგჯერ, მაგრამ წინ ჩემი ნათქვამის მიხედვით, რაც წინ მივდივართ ამ გათანაბრებისაკენ, მით მეტი უფლება გვეძლევა ყველა რიგითმა გამოვთქვათ აზრი, როგორც დიდი პრობლემის შესახებ, ისევე სხვა საყოფაცხოვრებო საკითხზე, ლოგიკურად, პირველი, თავისი ფართო ნათელი მცნებებით, გაცილებით მარტივია, ვიდრე უკანასკნელი, მხოლოდ საჭიროა არ გვეშინოდეს მისი. მე მეჩვენება, რომ დგება დრო, როდესაც აღარ იქნებიან საჭირო ცალკეული წინასწარმეტყველები, რომლებიც სხვადასხვა ენების ერებს ატყობინებენ მათივე გულში ჩადებულ ძრახვებს, არამედ იქნება / ყოველი ადამიანი თავისთავად წინასწარმეტყველი, თავისთავად მარტივი (წინასწარმეტყველება სწორედ აუცილებელი სიმარტივის, სხვაში უკვე დამწიფებულის და მომზადებულის ერთისგან აღქმის გაგების პრინციპზეა დამყარებული) და უმოციქულოდ გაუგებს ხალხი ერთმანეთს, აღარ იქნება საჭიროება პოლიტიკური აზრთა გაცვლისაც კი (დღეს კიდევ აუცილებლის), ღმერთის მცნებასავით მარტივი გახდება ადამიანი და სადღაც შეხვდება ~~ერთმანეთს~~ ხალხიდან განზე საშინელი ძალით ამოვარდნილი ხელოვნება ისევ მას, ის იქნება არა ხალხისთვის, არამედ თვითონ ხალხი, უზარმაზარი ხიდი ამისკენ გასდეს ამერიკაში ერნესტ ჰემინგუეიმ და რუსეთში / მიხ. შოლოხოვმა, მათ გარკვეულად ჩამოაშორესავით ლიტერატურას წინასწარმეტყველური ხასიათი, წააგეს რა თქმა უნდა მხატვრულობის მხრივ, მაგრამ მხატვრულობა არასოდეს არ ყოფილა თვითმიზანი. ~~ხალხი ეს თვითონ არის ლიტერატურა~~ ლიტერატურა ეს მთლიანად ხალხია თავისი ყველა ნაწილით და თუ ყოველი იქნება წინასწარმეტყველი დაიღუპება, დაიკარგება საჭიროება განმარტებისა, მხატვრულად აღქმისა, დაიღუპებიან, მოუბრუნებლად იღუპება მაღალი მხატვრულობა და ჩნდება სადღაც სიღრმეში ახალი, თვალისმომჭრელი, ჩაუხედველი / სინათლე _ იყო ერთი, სუნთქავდე ერთით, იყო ისეთი გენიოსი, რომ არ განსხვავდებოდე არავისგან, მხოლოდ განსხვავებული ~~იქნება~~ დარჩება ზედმეტი,

დეფექტი, უცნაური, ღიმილით გასაგები ყველასათვის, ეს პოტენციაში აქვს, ალბათ, ხალხს, ამიტომ უყურებს სრულიად ქვეშეცნეულად უდიდეს ადამიანურ გამოყოფას წინასწარმეტყველიდან დიდ ლიტერატურულ გენიამდე როგორც უცნაურს, და ერთგვარად საცოდავს.

მე სრულიად, სრულიად გადაუხვიე ჩემი წერის საგანს, მე თვითონ მაშინდელი ნაწერი ახლა მეჩვენება ერთგვარ ტრაბახად, თუნდაც, რა საჭირო იყო სამ პირში დაწერა, მაპატიეთ, მე განვუმარტავ მას ჩემ თავს და თქვენ / პირველი _ აქ იყო ახალგაზრდული გატაცება, მეორე _ არაჩვეულებრივი სურვილი უკიდურესი გულახდილობისა და ხაზგასმით ყურადღების არ მიქცევა როგორი ფორმით იქნება ის დაწერილი, თუ ეს პირიქით გამოვიდა, მიზანი ისევე იქნება განხორციელებული, ყოველ შემთხვევაში, მე მზადა ვარ წინ დაწერილი, ყველა მომხდარი, დავაბრალო ჩემს ახალგაზრდობას, რითიც მე სრულიად არ ვიცილებ მისგან პასუხისგებას, რადგან ამ წყევის თავიდან მოცილება შეუძლებელია. ძალიან ძნელია იყო გულახდილი _ ჩემთვის ეს შეუძლებელი, იმდენად / დიდი სურვილი მაქვს მისი, მხოლოდ ამ სურვილს მოკლებულ კაცს შეუძლია იყოს ასეთი _ დაე, დავიღუპო მე ამისგან მდგომი შუა გზაზე წინასწარმეტყველების დროიდან დიდი საერთო, ~~სინათლისვანი,~~ თვალისმომჭრელი შეუჩვევლისათვის სინათლის გზაზე, დაე, დავიღუპო მე როგორც ის ჯარისკაცი უსახელოდ დაცემული ბრძოლის ველზე, რომელმაც წამოიყვირა: Как наши перешли ли мост? და სული განუტევა. მაპატიეთ, ჩემი ასეთი უზარმაზარი სურვილისათვის ვყოფილიყავი წვრიმალებამდე, ვიმეორებ, არალიტერატურულად გულახდილი

გურამ ~~რჩეულიშვილი~~

———ვაჩნაძე.»

არქივში ინახება ოთხი ჩანაწერი (ერთი _ «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტის დასასრულისათვის \»მხოლოდ საკუთარი ვნებისათვის ... ეს იქნება ერთად ერთი»\ და სამი _ «ალავერდობის» შავი ვარიანტისათვის \»!!! ისე არ გაუკვირდებოდათ ... შოფრის ხმის გაგონება გააოცებდა,» «!!! ალავერდის გუმბათზე ხალხთან... ამ წერტილიდან», «მთელი ამ ხედვის უზარმაზარ სივრცეში ... პატივი უნდა ვცეთ ახლა ახალ ჯერ აუშენებელ ტაძარს»\). ისინი გაკეთებულია ერთნაირი საწერ-კალმითა და მელნით, ბლოკნოტიდან ერთდროულად ამოხეულ ორ ფურცელზე. ეს მოწმობს, რომ რაღაც მომენტში გურამი «ირინასა» და «ალავერდობის» თეთრ ვარიანტზე ერთდროულად ფიქრობდა.

ჩანაწერი «ირინას» თეთრი ვარიანტისათვის (ამ ჩანაწერში გაშლილია «ირინას» შავი ხელნაწერის დასასრული. ჩანაწერები «ალავერდობისათვის» იხ. ამ მოთხრობის შენიშვნებში):

«მხოლოდ საკუთარი ვნებისთვის, შენთვის, შენთვის უნდა იცხოვრო შენ, რადგან არა გაქვს უფლება სხვას დააბრალო ეს სიცოცხლე, შენ უნდა იყო სანამ რამე განცდაა, სანამ არის რამე საერთოდ, რასაც ხედავ, გრძნობ და გადმოსცემ.

ისევ უძლური ირონია მეუფლება. მე მოვიკლავ თავს, როცა აღარ იქნება მოსალოდნელი ყველაფერი ის, რაც მოხდა; დინჯად მშვიდად გავტენი პისტოლეტს და ღიმილით ვესვრი ჩემს შუბლს

ეს იქნება ერთად ერთი»

[1959 წლის შემოდგომა]

შავი ვარიანტი:

«შენ უნდა წერო, წერო, წერო ის უნდა გახდეს შენი სიყვარული ქალი ყველაფერი. ~~მე მას უნდა ძეგლი~~ უნდა ავუგო მხოლოდ ~~მისთვისვე. უცებ ვბრაზდები~~ «მკვლელო, უსინდისო, ~~მატყუარა მაინც ნუ იქნები~~» არა შენთვის მხოლოდ ~~შენთვის შენ სხვანაირად არ შეგიძლია სანამ რამე ამბავია, სანამ რამე განცდაა~~ უნდა იცოცხლო, მერე კი, როცა დაიცლები, როცა არ გეყვარება არავინ, როცა არ იქნება არაფერი განცდა ~~დასაწერი~~ მშვიდად, დინჯად გატენი პისტოლეტს და ღიმილით ესვრი შენ შუბლს.

ეს იქნება ერთად ერთი» [1958 წლის მარტი]

<u>შავი ხელნაწერის</u> პირველი სიტყვა არის «გურამი», დაწერილი მომსხო, გამოყვანილი, გურამისათვის უჩვეულო, არადამახასიათებელი კალიგრაფიით (თუმცა სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მას ეკუთვნის: მოთხრობის შავი ხელნაწერი არქივზე მუშაობის დაწყებამდე არავის უნახავს). სიტყვა «გურამი», როგორც ჩანს, იწერებოდა ძალიან ნელა, თითქოს შეყოვნებით, ალბათ, ფიქრის დროს. აუვსებელი მუდმივი კალმით, მკრთალი მელნით. დაწერილი სიტყვის ბოლოს ასეთივე მკრთალი მელნით მწერალს დაუსვამს წერტილი, რომელიც ძლივსღა ჩანს («გურამს» მუქი მელანი შემოვლებული აქვს უკვე ხელახალი გადაკითხვისას, ვფიქრობ, მოსკოვშივე, მაშინ როდესაც მან ჩაასწორა შავი ავტოგრაფის სხვა ადგილებიც. ამის კვალი ამჩნევია პირველ ასოს «გ»). შემდეგ, ყოველგვარი შემზადების გარეშე, თითქოს მწერლისათვისაც მოულოდნელად, აბზაცით, თითქმის შუა ფურცლიდან, ძალიან გაკრული ხელით იწყება უქვემდებარო წინადადება: «ყოველდღე სულ უფრო და უფრო ცოტა ძალას გრძნობდა იმისათვის, რომ მუშაობა გაეგრძელებინა» («გურამი» პირველი წინადადების ქვემდებარედ იქცა უკვე თეთრ ხელნაწერში). ამ მხრივ, საინტერესოა შედარება ადრეულ ავტოგრაფებთან, როდესაც ნაწარმოების წერას გურამი იწყებდა გამოყვანილი ასოებით, ავსებული მუდმივი კალმით. პირველი გვერდების მყარ ხელწერას, როგორც პირველ აკორდს, ეყრდნობოდა მომდევნო გვერდების, ხშირად გაურკვევლობამდე გაკრული, ხელი. ასე რომ, გურამმა არაჩვეულებრივი სისწრაფით, რადგან მუდმივი კალმის შევსებაც კი დაავიწყდა (მხოლოდ გვერდის ბოლო ორი სტრიქონის დაწერამდე იძულებული გახდა შუა წინადადებაში შეეჩერებინა აზრი და აევსო კალამი), შეუნიღბავად დაიწყო წერა გურამის შესახებ. შავ ვარიანტში შენარჩუნებულია გვარიც: «გ. რჩეულიშვილი.» გადაწყდა დილემა, რაც მას დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა: «როგორ ვწერო ღრმად სუბიექტურად, თუ ობიექტურად როგორც ტოლსტოიმ?» (დღიურიდან)

შავი ავტოგრაფი დაწერილია დიდ თაბახის ფურცლებზე ძალიან სწრაფი, გაკრული, არათანაბარი ხელით, საკმაოდ მკრთალი მელნით, ცუდი კალმით. შავი ვარიანტის პირველი ნაწილის მეშვიდე გვერდზე სიტყვების შემდეგ: «ასე ვატარებთ მთელ ზამთარს...» ჩამატებულია მთელი გვერდი სიტყვებიდან «უკან წამოსული გურამი...» სიტყვებამდე “არასოდეს უგრძვნია...» ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გურამის ხელწერა წინა წლებთან შედარებით მკვეთრადაა შეცვლილი. ხელწერის შეცვლა დაიწყო თითქოს 1957 წლის დეკემბერშივე მოთხრობიდან «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა...» ასეთივე ხელითაა დაწერილი და ასეთსავე ფურცლებზე, ვფიქრობ, ისიც მარტში, «ბატონო ტელემხედველებო». « “ირინა”, მოთხრობის სიუჟეტის წინსვლასთან ერთად, იწერება უფრო და უფრო სწრაფი, გაკრული, მოწვრილო და ძნელად გასარჩევი ხელით, რომელიც უფრო და უფრო

ემსგავსება მამას ხელს. დაკარგულია თაბახის ფურცლის ჩარჩოს შეგრძნება, დამახასიათებელი ადრეული ავტოფრაფებისათვის. გვერდები შევსებულია კიდით კიდემდე, თითქოს გურამს ენანება დრო მეორე ხაზზე გადასასვლელად (იხ. ტომი 1. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ასე მიდის ნაწერი ბოლო გვერდის ბოლო ხაზამდე, რომელიც ებჯინება ფურცლის ქვედა მარჯვენა კიდეს.

თეთრი ავტოგრაფი დაწერილია 1959 წლის შემოდგომაზე. ასეთსავე ფურცლებზე და ასეთივე კალმითა და ლამაზი, გამოყვანილი ხელით დაწერილია «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებში» შემავალი სამივე მოთხრობის თეთრი ავტოგრაფებიც; აგრეთვე, ამ პერიოდის სხვა თეთრი ავტოგრაფები: «თეთრი მონები», «დევების ცეკვა» და სხვ., თუმცა, ადრეული თეთრი ავტოგრაფებისაგან განსხვავებით, ნაწერია უფრო მჭიდროდ. ზოგიერთი გვერდების კალიგრაფია ძალიან ჰგავს დედას ხელს, რომელიც უფრო სიმრგვალისაკენ მიისწრაფვის. რამდენიმე ადგილას გვხვდება გადაშლილი და ჩამატებული სიტყვები.

«ირინა და მეს» შავი და თეთრი ხელნაწერების შედარებისას აღმოჩნდა, რომ მთლიანობაში მათ შორის სხვაობა უფრო ცალკეული ჩამატებული ან გადაკეთებული სიტყვებით შემოიფარგლება. განსხვავება, ძირითადად, მდგომარეობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეთრის მეტ კომუნიკაბელურობაში, ანუ აქ უფრო იგულისხმება მკითხველი. თეთრი ავტოგრაფის ბოლოს გაკეთებულ "მინაწერში", რომელიც წელიწადნახევრის მერეა დაწერილი, ჩანს ამ ავტოგრაფის ზოგადი ტენდენცია: განვლილი ამბავი გაიაზროს ანალიტიკურად.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ შავი ვარიანტი უფრო მოწესრიგებულია ორთოგრაფიულად, ვიდრე თეთრი. მაგ.: შავი ვარიანტის ორთოგრაფიულად სწორი ფორმები - «ერთად», «დაულოცველად,» «სერიოზულად,» «მხოლოდ», «წუმპეებად», «არაჩვეულებრივად», «სწრაფად» და სხვ. - თეთრში არასწორადაა გადასული: «ერთათ», «მხოლოთ» და სხვ. თეთრისა და შავი ავტოგრაფების აბზაცები ერთმანეთისგან განსხვავდება. შავში გვხვდება ტრადიციული აბზაცი. თეთრში შემოტანილია ტექსტის აბზაცებად დაყოფის სხვადასხვა ნიუანსები (ერთგან წერტილის შემდეგ წერია «პაუზა», რაც გულისხმობს, ცხადია, ინტერვალს. იხ. ნაბეჭდი ტექსტი და, აგრეთვე, ტომი 1. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). შავში ხშირად იხმარება საკუთარი სახელი «გურამი», რაც თეთრში უმეტესად შეცვლილია ნაცვალსახელით. შავ ვარიანტში, უმთავრესად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იხმარება კნინობითი ფორმა «ირინკა», თეთრში უმეტესად გვხვდება «ირინა.» ერთ ადგილას თეთრ ხელნაწერში დაწერილი «ირინკა» გადაშლილია და ზევიდან აწერია «ირინა.»

ქვემოთ მომყავს, ჩემი აზრით, რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება მოთხრობის შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის, რაც დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ შინაარსთან; აგრეთვე, სხვა ცვლილებები და ის ტექსტები, რომლებიც მხოლოდ თეთრ ან მხოლოდ შავ ავტოგრაფში გვხვდება:

შავი ვარიანტის *«მოკლე შავი პალტო» (« ... გაიფიქრა, მოკლე შავი პალტო მოიცვა და გარეთ გამოვიდა.»* _ გვ.2*)* თეთრში შეცვლილია *«მოკლე ნახევარპალტოთი»* _ გვ.2). ნაბეჭდ ვარიანტში რედაქტორის მიერ *«ნახევარპალტო»* შეცვლილია *«ძველი ჯუბით.»* (იხ. «ცისკრის» 1960 წლის აგვისტოს ნომერი: *«ძველი ჯუბა მოიცვა და გარეთ გამოვიდა...»* ცხადია, სხვა გამოცემები იმეორებენ ამ ვარიანტს).

შავი ხელნაწერის *«არ ესიამოვნა წვერმოშვებული, გაფითრებული სახის დანახვა, დიდი შავი თვალებით...»* (გვ. 5) თეთრ ვარიანტში შეცვლილია: *«არ ესიამოვნა გაფითრებული სახის დანახვა, შევარდნილი მუქი, უფერო თვალებით».* (ხაზი ჩემია _ მ.რჩ.)

შავ ხელნაწერში გმირის *«წვერმოშვებული ... სახე», «დიდი, შავი თვალები»* (რომელზეც თეთრ ვარიანტში თვითონ გურამმა თქვა უარი), ისევე როგორც შემდეგ რედაქტორისეული *«ძველი ჯუბა»,* მიუთითებს გარკვეულ ლიტერატურულ ტიპზე, ვთქვათ, მწერალზე, ზოგადად, ხელოვანზე, რომელიც უპირისპირდება უბრალო «*ნახევარპალტოში»* (კალკი, ვფიქრობ, აძლიერებს მის ყოფითობას, ცხოვრებისეულობას) ჩაცმულ გმირს, თავისი შევარდნილი, გაფითრებული, უფერო თვალებით არაფრით რომ არ გამოირჩევა ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან. ხომ არ არის ეს უკვე გარეგნულად არაფრით გამორჩეული, პოეტურ ორეოლს მოკლებული იულონის თვალები («იულონი») და ხომ არ ვლინდება უკვე ამ პატარა დეტალშიც მწერლის პოზიცია, დროის მსვლელობასთან ერთად სულ უფრო და უფრო რომ იკრებს ძალას: ხელოვნება მისთვის ეგზისტენციალური პოზიციაა და არა ესთეტიკური ტკბობა (გაიხსენე «იულონი»: «მე ამისათვის \ხელოვნებისათვის _ მ.რჩ.\ კაციც კი მოვკალი.» დღიურიდან კოკა იგნატოვზე: «მარინემ ხომ იცის, რომ მე იმათსავით ხელოვნებით არ ვერთობი... «). საინტერესოა ზემოთ მოყვანილი «ირინა და მესათვის» გაკეთებულ პირველ ჩანაწერში მწერლის მიერ გმირის თავდაპირველი დახასიათება, რომელიც მის მიერვეა იქვე გადაშლილი:

~~«მოგრეხილ ფეხებს განდაგან ისვრის, ხელები ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი და დიდი შავი ოდნავ მელოტი თავი მაღლა აწეულ საყელოში უქანავებს. ეხერხულად მოძრაობს მისი დიდი არაპროპორციული «.~~ ასეთი გარეგნობის გმირი უფრო მოგვიანებით შემოიყვანა გურამმა «შაშას რევოლუციაში,» შემდეგ კი «იულონში.»

მხოლოდ თეთრშია ჩამატებული: *«მიდიოდა და ცხადად გრძნობდა სიარულს, როგორც ამას გრძნობენ ციხიდან ახლადგამოსულები ან წამომდგარი მწოლიარე ავადმყოფები პირველ დღეს.»* _ გვ 5. შემდეგაც გვხვდება შემოქმედების გაიგივება განსაკუთრებულ მდგომარეობასთან, -მაგალითად, ციხესთან, ავადმყოფობასთან, თრობასთან, - თითქოს ეს არ იყოს ადამიანის ნორმალური მდგომარეობა.

შავის «Старость не радость» (გვ. 6) თეთრში შეცვლილია: «Кому как запомните медведь не рак» (გვ. 5) - ალბათ, იმისათვის, რომ არ შეიქნეს ამ ფრაზის რაღაც გარკვეულ აზრთან დაკავშირების საშიშროება. ამავე მიზეზით უნდა იყოს თეთრში აქვე ჩამატებული სიტყვა «უაზრო»: *«ეს უაზრო ფრაზა მართლა არაფერთან კავშირში არ იყო»* (ხაზი ჩემია - მ.რჩ.).

შავში : *«ვერაფრით ვერ გადაიგდო თავიდან.»* გვ. 6.

თეთრში: *«ვერაფრით ვერ გადაიგდო ენიდან».* იდიომში *«ვერ გადაიგდო თავიდან»* თითქოს შესუსტებულია *«თავის»* ლექსიკური მნიშვნელობა. ახალ იდიომში კი («ვერ გადაიგდო ენიდან»), «თავის» «ენით» შეცვლით, ვფიქრობ, ეს მნიშვნელობა კვლავ ცოცხლდება (ე.ი. არა «თავი»: ფიქრი, გონება, შინაგანი, არამედ «ენა», ამ შემთხვევაში - გარეგანი). მწერლის მიერ თეთრ ვარიანტში შექმნილი ახალი იდიომით ცოცხლდება, აგრეთვე, მისი საპირისპირო იდიომი «ენის წვერზე მაქვს». ასე რომ, ჩემი აზრით, ქართველი მკითხველისათვის «ვერ გადაიგდო ენიდან» აცოცხლებს ორ იდიომს: «ვერ გადაიგდო თავიდან» და «ენის წვერზე მქონდა.» გამოქვეყნებულ ვარიანტში

რედაქტორის მიერ ჩასწორებულია სწორედ ისე, როგორც გურამს ჰქონდა შავ ვარიანტში და რომელზედაც მან თვითონვე თქვა უარი, როგორც ჩანს, აღნიშნული მიზეზის გამო.

შავი ვარიანტი: მეექვსე გვერდზე კვადრატულ ფრჩხილებში ასეთი შენიშვნაა: *«რეზო შეიძლება ფიქრით გაკეთდეს».* შემდეგ გადაშლილია მკრთალად გრძელი დაუმთავრებელი წინადადება, რომელიც თეთრში მთლიანად შევიდა: *«ოთახში მოღიმარი სახით»* სიტყვამდე *«ამბობდა».*

შავი ხელნაწერი: «*ქალის თბილი ტუჩები» _ თქვა ხმამაღლა.»*(გვ.6) თეთრ ვარიანტში შეცვლილია: *«ქალის ცხელი, უძირო ტუჩები» _ მე წავედი თქვა თვითონ.»* (გვ.6) თეთრ ვარიანტში ტუჩების განმსაზღვრელია უფრო ძლიერი ემოციური კონოტაციის მქონე სიტყვები, რითაც თითქოს უფრო ახლო კონტაქტი მყარდება გმირთან.

მხოლოდ თეთრში, გვ.7: «ჩუმად ფრუტუნებდა, გონებით აღიქვამდა ყველას ერთად დიდად, გაბერილად და თვითეულს ცალ-ცალკე სხვებისაგან სრულიად მოშორებულად, როგორც თეთრ ფონზე ერთ რაიმე საგანს, შემდეგ ეს ორივე შეგრძნება ერთმანეთს შეერია.»
შავში, გვ.8: «ჩუმად ფრუტუნებდა, მხოლოდ სადღაც გულის სიღრმეში გრძნობდა მათ სიმხიარულისადმი შურს.»

შავის მეორე ნაწილი:

შავი, გვ. 5: «ჯარი ჟლეტს უდამცველოდ დატოვებულ ქალებს, მხოლოდ შენ, შენ შეგიძლია იხსნა ისინი...» (აქ და ყველგან ხაზი ჩემია _ მ.რჩ.)
თეთრი, გვ.15: «გარს ეწყობა ჯარი, იტაცებს უდამცველოდ დატოვებულ ქალწულს, შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია იხსნა ის.»

შავი, გვ. 5: «ერთ კაცს თმებში ჩაუვლია მისთვის ხელი, ~~მეორე ფრტყამს ძირს დაგდებულს, კაბა უკვე აწეული აქვს, ცოტაც და~~ ...ტყუილა არ ჩაიარა ბოქსის გაკვეთილებმა და მჭედლებთან მუშაობამ, ერთი უკვე ძირს გდია, მეორეს ზევიდან აზიხარ ორივე ხელით უჭერ ყელში, ხახა გიშრება არაფერი არ გესმის და უცებ საიდანღაც გონება ფიქრობს, რომ მშვენიერი მასალაა მოთხრობისათვის, მაგრამ ეს ხელს არ გიშლის უფრო მაგრა წაუჭირო ყელში, «
თეთრი, გვ15.: «ერთ კაცს თმებში ჩაუვლია მისთვის ხელი, მეორე ზევიდან მოქცეული ძალის ხმარებას აპირებს ... ტყუილა არ ჩაიარა შენმა ბოქსის გაკვეთილებმა და მჭედლებთან მუშაობამ, ერთი უკვე გვერძე გდია, მეორეს ორივე ხელს უჭერ ყელში, ხახა გიშრება, არაფერი აღარ გესმის, გვერდზეე გადავარდნილი შენი მუშტის დაკვრისაგან დგება».

შავი, გვ. 5: «შენ იცი ეს, გრძნობ, მაგრამ არ იწვევს ზიზღის გრძნობას...»
თეთრი, გვ. 16: «მაგრამ არ იწვევს შაბლონის გრძნობას.»

შავის მესამე ნაწილი:

მესამე ნაწილის პირველ გვერდებზე შავსა და თეთრ ავტოგრაფებშიც გვხვდება «ირინკა».

მხოლოდ შავი: «ძველებურად ვაწერ ჩემ გვარს გ. რჩეულიშვილი და ვიწყებ წერას.»
მხოლოდ შავში, გვ.4: 15 მარტი 1958 წელი
მოსკოვი კრემლი არა. Б. Южинский пер.
ჩემი აზრით, დათარიღების სტილი იმ დროის კლიშეს წარმოადგენს. ასე იწყებოდა და მთავრდებოდა რეპორტაჟები მოსკოვიდან. ამ თარიღის შემდეგ ხელწერა განსაკუთრებით სწრაფი და წინ მისწრაფული ხდება. მართალია, გაკრული, მაგრამ თანაბარი ხელით, თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ბოლოში, არეზე დარჩენილ პატარა ადგილზე, წვრილად, სხვა ფერის უფრო მუქი მელნით, როგორც ჩანს, სხვა დროს, მიწერილია: «მხოლოდ შენი სურვილისათვის, რომელსაც უყვარს ის და სხვა ხალხი, სამშობლო და არ ასვენებს ამის თქმის, გამოხატვის ვნება» (ეს სიტყვები გადატანილია თეთრში).

გვ. 47: მხოლოდ თეთრშია «მინაწერი» და ის ტექსტი, რომელიც აერთებს ძირითად ტექსტს «მინაწერთან». (როგორც «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების შესავალში» აღვნიშნე, «მინაწერი», ისე როგორც მის წინ მოთავსებული პასაჟი, ამ გამოცემაში არ არის მიჩნეული ტექსტად. თუმცა ის არც წინა გამოცემებში იყო მიჩნეული ასეთად). ალბათ, საინტერესოა ის ცვლილება, რაც «ირინა და მემ» განიცადა გამოცემიდან გამოცემამდე. მასში თითქოს აისახება ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული პროცესი, ისტორიული თვალსაზრისით.

«და უცებ ღამინდელი სიჩუმესავით და ამოხეთქვასავით ერთად მეცა ყველაფერი, რამდენიმე ხანი, აბსოლუტურად ქაოტური აზრებით სავსე, ვეგდე ზღვის ნაპირას, შემდეგ ვბორიალობდი იმ ადგილებში, ბოლოს როგორც იყო, აზრის მოსვლისას, ინსტინქტურად გამართლებულ დანაშაულში დავიჭირე ჩემი თავი, როცა ის მიდიოდა, თითქმის მირბოდა, შორს, ხმელეთის სიღრმისკენ, ზღვიდან, ზღვის უაზრო, გახურებული ნაპირიდან. ცოტა ხნის შემდეგ მე ვიჯექი მატარებელში ერთი მთლიანი სურვილით შეპყრობილი: რაც შეიძლება ჩქარა მოვხვედრილიყავი ჩემს ოთახში, რომელიც ახლა სულ ახლებური ვნებებით სავსე და სხვანაირად საჭირო მეჩვენებოდა ყოველი მხრიდან.

მინაწერი:
გავიდა ბევრი დრო, დაახლოებით ორი წელიწადი ამ ამბის შემდეგ, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი ჩემს ცხოვრებაში, დღემდე უდიდესი აღელვების გარეშე არ შემიძლია მოვიგონო ის საბედისწერო ღამე, რომელიც კანონზომიერად გამოიწვია მთელმა ჩემმა იმდროინდელმა არაბუნებრივად აღგზნებულმა მდგომარეობამ, რაც, თავის მხრივ, შედეგი იყო ჩემს ბუნებაში შემოქმედების სურვილის მძლავრი, ულმობელი ნაკადის შემოჭრის. ამ ძალამ ჩამითრია თავის უფლებებში, წამომიყენა სულ სხვა მოთხოვნები, ვიდრე მე ვიყავი შეჩვეული. როგორც ხედავთ, მან გამოიწვია ის უზარმაზარი, განუსაზღვრელი, ვადის გაუსვლელი დანაშაული, რომელიც ახლა ჩემს მხრებს აწევს. მისი ,,დროით» მოხდა შეუძლებელია, წინააღმდეგ იურიდიული სასჯელისა. მაგრამ მე ახლა, გარკვეული ხანის გასვლის წყალობით, მაქვს საშუალება ერთგვარად გარედან ვუყურო როგორც იმ ამბავს, ისევე იმავე ზაფხულში დაწერილ მის დაწვრილებით აღწერას, რომელშიაც

ქვეშეცნეულად გამოიხატა იმ ტრაგედიის გარდუვალობა. სანამ მოკლედ ვიტყოდე ჩემს აზრებს იმ მღელვარე წარსულ დროზე, თეზისის სახით აღვნიშნავ ჩემს ძირითად, მაგრამ აუცილებელ შეცდომას, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით ყველას მოსდის, ვინც სრულიად ლაღი, სხვა ხასიათის ცხოვრებიდან ხელოვნების რკინისებურ პრინციპებში პირველად ეხვევა. კიდევ გავიმეორებ: მე, შემოქმედებით გატაცებამდე თავაუღებლივ, გამოუფხიზლებლად ვატარებდი დროს, ხოლო მით ,,დაავადების» შემდეგ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო: ახლა მხოლოდ შემოქმედების თვალსაზრისიდან დავუწყე ცხოვრებას ყურება და ყოველი მისი, ცხოვრების, უპირველესი მოთხოვნილება, რაც საერთოდ ისეც არ მესმოდა კარგად, რა იყო, მკრეხელობად მომეჩვენა. მან (შემოქმედებამ) ჩემში ,,სიყვარულის» (ფართო მასშტაბით, ცხოვრების სიყვარულის, ცხოვრების სურვილის) ყველაზე ძლიერი გრძნობის შეთავსებაც კი ვერ შეძლო თავისთან, სამაგიეროდ, ხარბად ეწაფებოდა ის ყველა გამაბრუებელს _ არაყს, ნიკოტინს, ჩაკეტილ ოთახს, რომ ჩაეხრჩო, არ შეეხედა გარშემო მყოფი რეალური საგნებისათვის, შემოესაზღვრა თავისი გრძნობა, გაქანება, ,,მაღალი აზრის მხატვრული გადმოცემის» არასწორი გაგებით; ყველაფერი ეს გამოწვეული იყო ფიზიკური და გონებრივი სისუსტით მოვარდნილი ნიაღვრის წინააღმდეგ. ფაქტიურად, ეს პერიოდი იყო ადრინდელი ,,დროსტარების» გაგრძელება ,,მაღალ» ფორმაში. შეიძლებოდა აქ გარკვეული, უფრო ღრმა ანალიზის მოცემა, მაგრამ, მე მგონი, უფრო საინტერესოა ზაფხულშივე დაწერილი იმ ამბის ბოლო, რომელიც ზევით გამოვხატე სიტყვებით : ქაოტური აზრები; მაშინ ვწერდი: (ადგილი: ზღვის ნაპირი. მდგომარეობა: ირინა ღამე დავკარგე):»

მხოლოდ თეთრში, გვ. 51: *«მე მინდოდა პოემა დამეწერა უბოროტ კაცოდ?»*

თეთრი, გვ. 51: *«იქ <u>დაუწერელი</u> ქაღალდები ყრია»*
შავი: *«იქ <u>ცარიელი</u> ქაღალდები ყრია»*

მხოლოდ შავი: *«შენ უნდა წერო, წერო, წერო ის უნდა გახდეს შენი სიყვარული, ქალი, ყველაფერი» «უცებ ვბრაზდები»*
მხოლოდ თეთრი, გვ. 52*: «სიბრაზის ამოხეთქვასავით იმართება ჩემი სხეული თავისი თავის წინააღმდეგ.»*

მხოლოდ თეთრი*: «ისევ უძლური ირონია მეუფლება, მე მოვიკლავ თავს»*
მხოლოდ შავი, .16: «სანამ რამე ამბავია, სანამ რამე განცდაა უნდა იცოცხლო, მერე კი როცა დაიცლები, როცა არ გეყვარება არავინ, როცა არ იქნება არაფერი განცდა, ~~წერა~~ მშვიდად დინჯად გატენი პისტოლეტს და ღიმილით ესვრი შენ შუბლს.»

თეთრი, გვ. 51: «გურამ! იყავი მკვლელი, ოღონდ ნუ იქნები მატყუარა»
შავი, 16: *«მხოლოდ შენთვის შენ სხვანაირად არ შეგიძლია სანამ რამე ამბავია, სანამ რამე განცდაა, უნდა იცოცხლო, მერე კი როცა დაიცლები, როცა არ გეყვარება არავინ, როცა არ იქნება არაფერი განცდა»*
შავი, 16: *«ამბავი, რომელსაც ველარ განვიცდი, გადმოვცემ, ველარ დაწერ,»*

მხოლოდ შავი, მინაწერი გვ.16-ის არეზე: *«მხოლოდ ჩემი სურვილისთვის, რომელსაც უყვარს ხალხი, სამშობლო და არ ასვენებს მისი თქმის, გამოხატვის ვნება.»*

მხოლოდ შავი, გვ. 15: *«მე ყველაფერი მახსოვს, ოღონდ ის შორს არის, წარსულში, რაც არ მახსოვს ვირდგენ: იმის მაგიერ, რომ შიგნით შემეცურა, როცა თვალები დავხუჭე უკან წამოვედი ნაპირისკენ, საშინელი ეჭვი მიპყრობს: იქნებ განგებ დავხუჭე თვალები, ამის გამოსწორება ადვილია, საწყალი ირინა, აღარ მინდა არაფერი. აღარ შემიძლია იქ ყოფნა, შევდივარ წყალში მუხლებამდე, გახურებული მზის შემდეგ ის ცივი მეჩვენება, არა, აღარ შემიძლია თავის დახრჩობა, თვითონ განგებამ გადამარჩინა, განგებამ კი? არ ვიცი, არც მინდა ვიცოდე, ჩემი სხეული გრძნობს, რომ მყარ მიწაზე დგას და მაშინდელის გამეორება აღარ შეუძლია, მხოლოდ ახლა ვგრძნობ ცხადად რაც მოხდა გუშინ ღამე, როგორ დაიწყო დღე, რატომ მოვკალი ირინკა, არა, არ მომიკლავს ვათვალიერებ ჰორიზონტს. იქ არაფერი არ არის უეჭველად იპოვეს და გამოიყვანეს ~~ალბათ საავადმყოფოში წევს~~ ვარწმუნებ თავს, ვიცი ტყუილა ვიბრძვი, ისევ მივდივარ ნაპირთან, დამშრალი თვალები ტირიან, მაგრამ შეცურვა აღარ შემიძლია, შეუძლებელია ირინკა მკვდარი იყოს ასეთი ცოცხალი, ასეთი მოძრავი, თითქმის თვალით ვხედავ როგორ წამოვიყვანე ყავის სმიდან, როგორ შევედით ზღვაში, როგორ დავარტყი ნიჩაბი, როგორ მითხრა რაღაც ძალიან მშვიდად და დარწმუნებით დარტყმის წინ, წარმოსახვა უფრო შორს მიდის: ალბათ, ირინკა ნახეს დაჭრილი, უგონოთ ან მკვდარი, არა, შეუძლებელია, ჰო, მკვდარი, ხელზე ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი ვიღაცას წაუძვრია, ვიღაცა ეს მე ვარ, მე მაქვს ახლა ნეკზე გაკეთებული ეს ბეჭედი, მისი თითი დახეთქილია ნაწვალები ~~მკვლელობა გაძარცვის მიზნით ასკვნის ექსპერტი~~*

ცუდი პოეტივით ვიღლები განცდისგან. არაჩვეულებრივად მინდება რაღაცა, მინდა მთაში ვიყო ხევსურებთან, ან ვაჟა ვიყო მხიარული და თხილამურებზე ვცურაობდე, არაფერი არ მომხდარა, არაფერი, სულ უფრო ჩქარა მივყვები ნაპირს და ისევ ის! არა, არა, ველარ შევალ, მე ირინას ძეგლს ავუგებ, ძეგლს და შემდეგ მოვიკლავ თავს, დავწერ მასზე, ტრიალებენ სახეები, ულვაშა კაცი, ოჰ, იმისი, მზე აჭერს კეფას, ნათელთევზასავით მიბურღავს ტვინს. ოო, როგორ მომნატრებია ჩემი ოთახი, ან როგორ გამოვედი იქიდან, იქ ისე კარგია, აი, სუპერმენი იბერება თავისკენ მიზიდავს, რა სისულელეა თავის დახრჩობა, მიდი იცოცხლე, გამოისყიდე, გინდა დაიხრჩვი ოღონდ არ შეგიძლია, არა, ჯერ შენ უნდა ირინკას ძეგლი აუგო ~~დაწერო მისი ამბავი~~

ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა უნდა ~~დავწერო,~~ ავუგო ძეგლი მასზე წერით, ნუთუ არ შემიძლია ვიცხოვრო მშვიდად გამოქვაბულში ჩემ სიყვარულთან ერთად, ყველაფერს ჩემი ოთახი ეპატრონება, სიცხე მატულობს, იქ ცარიელა ქაღალდებია, თეთრი, უხაზო, ესკიზები გაფანტული იატაკზე, პაპიროსის ნამწვები და არყის ბოთლები, ირინკაც იქ არის, იმის იქით, ის კიდევ მოვა «ირინკა! აუ, ირინა!» ვყვირი გულში თითქმის მესმის მისი სუნთქვა, ოღონდ შორეული და ჩემი ოთახის იქიდან, ვიცი, ვიცი ის კიდევ მოვა, ახლა კი დამანებეთ თავი ჩვენებებო, მომეშვით. ~~,მე მას ძეგლი უნდა ავუგო მხოლოდ მისთვისვე. უცებ ვბრაზდები მკვლელო ჯსინდისო, მატყუარა მაინც ნუ იქნები, არა შენთვის მხოლოდ შენთვის შენ სხვანაირად არ შეგიძლია სანამ რამე ამბავია, სანამ რამე განცდაა~~ შენ უნდა წერო, წერო, წერო, უნდა იცოცხლო მერე კი როცა დაიცლები, როცა არ გეყვარება არავინ, როცა არ იქნება არაფერი ~~დასაწერი~~ განცდა მშვიდად, დინჯად გატენი პისტოლეტს და ღიმილით ესვრი შენ შუბლს.

ეს იქნება ერთადერთი ღირსშესანიშნავი ამბავი შენ ცხოვრებაში, რომელზედაც ველარ დაწერ, რომელსაც შემდეგ ველარ განვიცდი ( )ვეუბნები ჩემ თავს. ნერვიულად მეღიმება, მე ხომ ასე ძალიან მიყვარს კარგი ხუმრობა, როცა მარტო ვარ ხოლმე ~~ჩემ თავთან.~~

მინაწერი არეზე: «მხოლოდ შენი სურვილისთვის. რომელსაც უყვარს ის და სხვა ხალხი, სამშობლო და არ ასვენებს მისი თქმის გამოხატვის ვნება.»

მხოლოდ თეთრში, გვ.51 სიტყვების შემდეგ: *«ტრიალებენ სახეები გახურებულ ჰაერში»*

«და შიგ ავი ჯინივით ულვაშა კაცი ჩნდება, ოჰ, იმისი..., მზე აჭერს . . . _ მე მინდოდა პოემა დამეწერა უბოროტ კაცოდ?!»

თეთრი ავტოგრაფის ბოლო ეპიზოდში უმნიშვნელო ცვლილებებია.

ჩემი ძმის პირველი ძლიერი სიყვარულის კომპენსაცია, როგორც მის ერთ-ერთ დღიურში წერია, პირველი მოთხრობები იყო. წერის დაწყებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში, 1956 წლის დეკემბერში, ბაკურიანში ყოფნისას, გურამს კვლავ დაეუფლა სიყვარულის გრძნობა. ის გოგონა, ჩემი აზრით, «ირინას» პროტოტიპი, მისი მეგობრის და იყო. პირველი, რაც გააკეთა გურამმა, ბაკურიანიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე, მივიდა თავის მეგობართან, რომელთანაც ერთადაც ხშირად დადიოდა მთაში ბავშვობიდანვე და ყველაფერი უთხრა. წასვლამდე, დილით ადრე, როგორც იცოდა ხოლმე, ჩამომიჯდა საწოლზე და მიამბო თავისი გატაცების ამბავი, თან მითხრა, რომ გ-ს ნახვას აპირებდა. გურამი ძალიან ღელავდა, არ იცოდა როგორ მიიღებდა ის ამ ამბავს. გვიან საღამოს სახლში კმაყოფილი და ოდნავ შექეიფიანებული დაბრუნდა. როგორც მიამბო, საიდუმლოს გამხელის შემდეგ გ-ს გადაუკოცნია და უთქვამს: ერთხელ თურმე პიკასომ თავის მეგობარს პოზირება სთხოვა. სეანსის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში ნახატი მზად იყო. მეგობარს გაჰკვირვებია, პიკასოს კი განუმარტავს: გასაკვირი არაფერია მე ხომ შენ მთელი ცხოვრება გიცნობო. _ გურამი აშკარად გახარებული იყო. ამ გოგონასთან ჩემი ძმა მეგობრობდა 1956 წლის დეკემბრიდან რამდენიმე თვის განმავლობაში. საბოლოოდ ერთმანეთს დასცილდნენ გურამის მოსკოვში წასვლამდე.

ამონაწერი დღიურიდან: «ო, ჩვენ (იგულისხმება გ. და X. – მ.რჩ.) ძალიან ვგავდით ერთმანეთს «პატიოსნებით», რომ ერთად ვყოფილიყავით, მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა». მოთხრობაში, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ექოსავით გაისმის არქივში შემონახული 1957-1958 წლის ჩანაწერებიდან (დაიბეჭდება მეხუთე წიგნში) ცალკეული სიტყვები და ფრაზები, ამოიცნობა ზოგიერთი ეპიზოდი გურამის იმდროინდელი ცხოვრებიდან და, რაც მთავარია, ჩანს მწერლის სულიერი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი პერიოდი, მთელი სისრულით მხოლოდ მის მხატვრულ სიტყვაში რომ გამოვლინდა.

X-გურამის ურთიერთობა, მართალია, იყო ძალიან ხანმოკლე, მაგრამ თავისი ინტენსივობით ძალიან მნიშვნელოვანი. მან თითქოს შეძრა მწერლის სულიერი ცხოვრების სიღრმისეული შრეები. ამონაწერები 1957 წლის მინიატურებიდან: «მკითხეს: რა არისო სიყვარული? / შავი თვალები, მაღალი წელი / და სქელი ტუჩები. / რის თვალები? _ ტუჩები, სულ ნელა რომ ღელავენ « «ჩემს გოგოს მაღალი წელი / ლამაზი ტუჩები, სავსე მკერდი აქვს / აქვს სილამაზე და ის ჩემია.» «ერთდროულად შემოვიდა ჩემში ეჭვი და სიყვარული...» ამ ეჭვიანმა სიყვარულმა მკვეთრად გამიჯნა მასში ცუდი და კარგი, კეთილი და ბოროტი და ხელი შეუწყო რაღაცა პროცესების დაჩქარებას გურამის ცხოვრებაში, იმ ხატის ნგრევის დასაწყისს, რასაც საფუძველი ჭაბუკობის დროს ჩაეყარა.

ასე იყო თუ ისე, მალე გაირკვა, რომ გურამი ამ ქალში გადააწყდა ყველაფერ იმას, რაც მას აბსოლუტურად არ სჭირდებოდა, რაზეც სულ მალე უნდა ეთქვა უარი და რასაც უნდა გამიჯვნოდა. 1958 წლის დღიურიდან: «ვერ წარმომიდგენია როგორ ვიყავი X._თან. ეს ახლა მილიონი რომ მომცე სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენება».

იმ ტიპის ქალი, რომელიც გურამს ნივთიერი ცხოვრების სიმბოლოდ ესახებოდა, არის ვნებით სავსე, აუცილებლად შეწითლებული ღაწვებით. ის ცვალებადია, მრავალსახა, დაუფიქრებლად, წარმართული უშუალობით ეძლევა თავის სურვილებს ყოველგვარი აკრძალვებისა და სინდისის ქენჯნის გარეშე. მახსოვს, გურამს კედელზე ეკიდა რენუარის «მადამ სამარის» პორტრეტი. ეს ჩემი ცოლიაო, _ მითხრა ერთხელ. მადამ სამარი მისთვის ქალის სიმბოლოსავით იყო.

კონტრასტისათვის მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას «ბათარეკა ჭინჭარაულში» მზიას სახეზე, ან «დევების ცეკვაში» ქოჩქელანების ნახატწარბა ასულზე: უკომპრომისო, მარადქალწული. ასეთი ტიპის ქალებს გურამის ნაწარმოებებში ჰქვიათ მზია. აი, მზიას პორტრეტი დაუმთავრებელი რომანიდან «საიდან მოვდივარ...»: «ძარღვი უცნაურად ფერმკთალ სახეზე ოდნავა კრთოდა... თხელი, შეუმჩნევლად მომწიფებული ტანი უცნაური თეთრგვირგვინას არისტოკრატობით იდგა ხოლმე... გოგონას თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა მოხრილი, რამაც ზედ მიხლილ გურამს თითქოს ენა გაუჩუმა... დიდი, ანთებული თვალები, გრძელი, გაკვირვებული წამწამებით...»

არქივში მივაკვლიე თაბახის ფურცლებს, რომლებზეც გურამის ხელით მითოლოგიიდან საკუთარი სახელები იყო ამოწერილი. ვფიქრობ, ეს ჩანაწერები გაკეთებული უნდა იყოს მოსკოვის ლენინის ბიბლიოთეკაში, სადაც მან ჩასვლისთანავე დაიწყო მუშაობა. ამ სახელებს შორისაა «ირინაც» (Ирина-богиня мира). დავრწმუნდი, რომ გურამი ქალის ამ სახელზე შემთხვევით არ შეჩერებულა. როგორც ადრევე აღვნიშნე, გურამის მხატვრული აზროვნება ვერ ეგუებოდა აშკარა სიმბოლოების ხმარებას (იხ. “წერილი დას”, მოსკოვიდან. ტომი 5). შეიძლება ამიტომაც აირჩია მან ქალის ისეთი სახელი, რომელსაც მკითხველი უშუალოდ არ დააკავშირებდა მითოლოგიასთან, კერძოდ კი, ცხოვრებისა და მშვიდობის ქალღმერთ ეირენთან, ანუ ვერ გაიაზრებდა როგორც სიმბოლოს. აქ მახსენდება გურამის სიტყვები, თავის მეგობარ ქალს რომ უთხრა: X. ჩემთვის ცხოვრების სიმბოლოსავით იყოო. «ირინასა და მეს» შემდეგ გურამმა მოახდინა თავის შემოქმედებაში ქალთა სახელების უნიფიცირება, ზოგან რეტროსპექტულადაც კი. მაგალითად, «მარინას» შავი ვარიანტის «ანიუტა» თეთრ ავტოგრაფში შეცვლილია «ირინკათი». «იულონში» ერთადერთი ქალის სახელია «ირინკა» და სხვ. ამავე პერიოდშია შექმნილი რუსული ლექსების მთელი სერია, საერთო სათაურით «Драма в трех действиях» რომელთა ლირიკული გმირია ირენი. 1960 წელსაა დაწერილი, აგრეთვე, შემდეგი ლექსი:

«ის ირენ კი არ არის, ბერძენთა ქალღმერთი,
არამედ ერან!
აღმოსავლელი წარმოშობით,
უფრო მეტიც,
სპარსელი იეზიდი,
თბილისში გაზრდილი:
დედა ატლასი
მამა არყუთა
ძმა თემურა

დროისა და ცივილიზაციის გარეშე...» (ლექსები მთლიანი სახით იხ. ტომი 4).

1960 წელს გურამი მეგობრობდა იეზიდ გოგონასთან, რომელსაც ეძახდა ჰერანას. ამჟამად მისი ნამდვილი სახელი არავის ახსოვს. ეს ლექსი მას უნდა ეძღვნებოდეს.

ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთმა ამხანაგმა გადმომცა გურამისადმი მიძღვნილი ჰერანას ორი ლექსი. არცთუ ძალიან სუფთა თეთრ თაბახის ფურცლებს ატყვია მისი მსხვილი ცრემლების კვალი:

«ლექსები

ერთი კარგი ქურთის გოგო ვარ
ალალი ვარ და თანაც ღარიბი
ერთი კარგი ბიჭი მიყვარდა
სახელად ერქვა გურამი

მიყვარდა მარგრათ გულში
ღმერთმა წამართვა სულში
ვიწყევლე მაგრგრათ გულში
გვიან იყო ჩემი სიყვარული.

თელი დღე ვზივარ სახში
ვტირი ცრემლი ვყრი კარში
ველოდები ჩემს სიყვარული
დავიღალე არ შემიძლია მეტი

დავიღალე წერით კითხვით
ხელიდან გამეცვითა კალმის წვერი
თითები მეტკინა წერით
ხმა გამიწყვიტა მღერით

ჩემო კარგო რათ დამიტოვე მარტო
ხომ იცი რომ უშენოთ არ შემიძლიაო
წახვედი არ იფიქრე სიტყვის სთქმაო
რატომ დამტოვე კარგო, ეხლა მე რა ვქნა უშენოდ.

1961 წელი»

ალავერდობა

არქივში ინახება «ალავერდობის» შავი (1_28გვ.) და თეთრი (1_22გვ.) უთარიღო და უსათაურო ორი ავტოგრაფი. სათაური წერია მხოლოდ «ჩემ ლიტერატურულ შეხედულებებში» (იგულისხმება «თეორიული განმარტება»). დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე (მოგონებები, ფურცელი, ხელწერა, შინაარსის პლანი და სხვ.).

შავი ავტოგრაფის პირველი ცხრა გვერდი მომსხო, ძალიან გაკრული ხელით არის დაწერილი შუაში გახეული თაბახის ფურცლების ორივე გვერდზე. გვერდები

დანომრილია ავტორის მიერ. ეს თაბახის ფურცლები, როგორცა ჩანს, გურამმა თან წაიღო თბილისიდან ალავერდობაზე (ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი «ნათელა» და იმ პერიოდის ზოგიერთი სხვა ჩანაწერი). პირველ ორ გვერდზე წერია შესავალი. ძირითადი ტექსტი იწყება მეორე გვერდის შუიდან. სიტყვებიდან: «სექტემბრის ბოლოს ალავერდში...» დანარჩენი ტექსტი დაწერილია აუკინძავ, უპაგინაციო რვეულის ფურცლებზე (ასეთი ფურცლები არქივში მეტი აღარ გვხვდება). ასე რომ, შესავლის სიტყვებს: «აი, აქ ერთ რვეულში აღწერს ის ...», როგორც უმეტესად, რეალური საფუძველი აქვს.

თეთრი ავტოგრაფი (1_22გვ.) დაწერილია ისეთსავე ფურცლებზე, ისეთივე მიჯრით მიწყობილი და გამართული ასოებით და საწერ-კალმით, როგორც «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» სხვა თეთრი ავტოგრაფები. ეს მოწმობს, რომ ისინი ერთ დროსაა გადათეთრებული. გადაშლილია ცალკეული სიტყვები. ისეთივე მყარი ხელით და საწერ-კალმით ჩამატებულია ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა. გვხვდება სამი ტიპის აბზაცი (იხ. პირველი ტომის ბოლოსიტყვაობა), რაც დაცულია გამოქვეყნებულ ტექსტში.

<u>ჩანაწერები «ალავერდობის» შავი ვარიანტისათვის</u>:

ჩანაწერები გაკეთებულია მაგარი ფურცლის (ასეთსავე ფურცლებზეა დაწერილი «დევების ცეკვის» შავი ვარიანტი, ჩანაწერები «თეთრი მონების» თეთრი ვარიანტისათვის, სია არქივიდან და სხვ. ამიტომ სავარაუდოა, რომ ეს ფურცელიც წაღებულია თბილისიდან) ორივე მხარეს, შესაძლებელია, ალავერდობაზევე, მოთხრობის დაწერამდე:

«1. დაკვეთა-არ დაკვეთის. სასურველი შინაგანი ერთიანობის პრობლემა.

2. ალავერდი: აქ საჭიროა მიზნის მოცემა და ეს მასა უზარმაზარ ძალად იქცევა. ჩემი მიზანი არ არის სწორე, მიზანი უკვე აქვს ყველას, მაგრამ აქ დაობენ: არა წამით და ღრეობენ.

** მეც ვიბნევი ამისგან _ ვნება მივარდება _ მიზანი არა მაქვს.*

** ადრევე როცა საკლავი ყრია საყდარში _ ლაპარაკი ალავერდის კიბეებზე. გლეხებთან, საიდანაც ცხენს იტაცებს, ლაპარაკი:*

_ ალვანი გაშენდა გეგმაზე, არი ვენახი

_ ჩვენ ვერ შევეჩვევით, ასევე უნდა მოვკვდეთ, ცუდი ზოგიერთი სხვაც გვბაძავს.»

ეს ჩანაწერები გაკეთებულია «ალავერდობის» შავი ვარიანტის პირველი გვერდების მსგავს ფურცელზე:

«უნდა გაკეთდეს თუშ-ლეკებთან ლაპარაკი მისი, მამას ცნობა და სხვ., ცხენის არ თხოვება, მოტაცება.

(დაბლა) უნდა დავიდეს საერთოდ ამბავი. საჭიროა სუფრასთან რამოდენიმე კაცის განწყობის აღწერა.

მეორე დღე ლხინის ცუდია _ საშინელი, განსაკუთრებით თუ ეს ბოლო დღეებია მისი საერთოდ.

!!!!! ალავერდი როგორც წარსული დიდება, ახლა არარეალური, მხოლოდ შორიდან არის ლამაზი.

!!! გაცილებით ადვილია შენს შემდგომსა მოძმეს გზა გაუადვილო სამოქმედოდ, ვიდრე შენ თვითონ იყო ეს მოძმე.»

«მხოლოდ ჩემი სურვილისათვის, რომელსაც უყვარს ის და სხვა ხალხი, სამშობლო და არ ასვენებს მისი თქმის, გამოხატვის ვნება.»

მინაწერი შავი ვარიანტის ბოლო ფურცელზე:

«ჩემშია ეს სიცოცხლისუნარიანობა, იმათში, მაგრამ ჩვენ ორი დღით დავიბენით, ეს კი არ არის ჩემი სცენა, არამედ იქ.»

<u>ჩანაწერები «ალავერდობის» თეთრი ვარიანტისათვის</u> (შავში არის მხოლოდ ფრაზა: «ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში») დაწერილია «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტისათვის გაკეთებული ჩანაწერის მსგავს ფურცლებზე 1959 წელს («მხოლოდ საკუთარი ვნებისათვის...» იხ. «ირინა და მეს» შენიშვნებში). ეს ჩანაწერი მთლიანადაა შესული თეთრ ვარიანტში:

«მთელი ამ ხედვის უზარმაზარ სივრცეში არ არის არც ერთი გოჯი, რომელსაც არ წყალობდეს შემოქმედის დალოცვა, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს ~~ოავისი შრომით~~ (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ.რჩ.) ისტორიების სიღრმიდან დღემდე მადლობა არ გადაეხადოს მისთვის და არ შეექმნას თავისი შრომით (~~ამაგ ბუნებიდან~~ _ გადაშლილია მწერლის მიერ _ მ. რჩ.) მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამე. დაუწერელი ერთად მოვარდნილი სიმფონიასავით იღვრება თვალის წინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები, სწორი უგეგმიანესი ალვნებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებლივ რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი, მისი ეგზოტიკისათვის უცნობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს, ახალი, შეუოკებლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ უსიტყვო შრომასთან. ~~შეუცნობელი თუ შეცნობილი ოოოონ მშრომელისაგან~~ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა, და პასუხობს მისი არსება: ის თვითონ ჩემშია ის იმ ხალხშია რომელიც ღრეობს ქვემოთ, მაგრამ ჩვენ ორი დღით დავიბენით, რომ ახალი ძალით გვეგრძნო შემოქმედური სიამოვნება შრომისაგან, (აქ ჩამატებულია: «რადგან ვნება შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.» , რომელზეც <u>უსიტყვოდ</u> (ხაზგასმულია მწერლის მიერ _ მ.რჩ.) მეტყველებს თითონ ტაძარი და გუმბათის აშენებულ ტაძარს აღარ უნდა (აქ ჩამატებულია: «მეტი საუკ. გადაუხადა უკვე პატივი») პატივისცემა. პატივი უნდა ვცეთ ახალ ჯერ აუშენებელ ტაძარს.»

საინტერესო უნდა იყოს «ირინასა» და «ალავერდობის» ჩანაწერების სიღრმისეული ერთიანობის მონახვა. რამაც გამოიწვია მათი ერთ დროს დაწერა.

ორი ჩანაწერი თეთრი ავტოგრაფისათვის (გაკეთებული «ირინა და მეს» ჩანაწერებთან ერთად 1959 წელს: «მხოლოდ საკუთარი ვნებისათვის, შენთვის, შენთვის უნდა იცხოვრო შენ...» სრულად იხ. «ირინა და მეს» შენიშვნებში):

«!!! ისე არ გაუკვირდებოდათ პირველყოფილ ხალხს პატეფონის დაკვრა, როგორც გურამს რომ იმ შოფრის ხმის (…) გაგონება გააოცებდა».

«!1! ალავერდის გუმბათზე ხალხთან შეჯახება დასაწყისია _ ეს შეხვედრის წერტილი გამეორდება კიდევ უმაღლეს დონეზე _ მაშინ მე მოვაწყობ კომედიას! ტრაგედიას!! ამ წერტილიდან.»

შავი და თეთრი ხელნაწერების შედარება:

*მ*ვითხველს მივაქცევინებ ყურადღებას ზოგიერთ მნიშვნელოვან სხვაობაზე თეთრსა და შავ ავტოგრაფებს შორის.

ზოგადად, ამ მოთხრობის შავი და თეთრი ხელნაწერების შედარებისას, გამიჩნდა შეგრძნება, თითქოს «ალავერდობის» თეთრი ვარიანტი იწერებოდა თავიდან. თეთრში ჩამატებულია აბზაცები, შეცვლილი, ამოღებული და გადაშლილია მთელი წინადადებები, განსხვავებით თუნდაც «ირინა და მესაგან», სადაც ცვლილება შეეხებოდა მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს.

თეთრში გვხვდება სამი ტიპის აბზაცი (დაცულია ნაბეჭდ ტექსტში. აბზაცების შესახებ იხ. ტომი 1: «ავტოგრაფების თავისებურებისათვის»).

1. თეთრისაგან განსხვავებით, შავი ავტოგრაფი იწყება შესავლით:

*~~«საინტერესოთ, უცნაურათ მსჯელობს ჩვენი ავტორი. ის ბევრ რამეში ემთხვევა ჩემს შეხედულებებს, უფრო მეტში ცილდება, საკმაოთ საინტერესოა მასთან კამათი,~~ (გადაშლილია ავტორის მიერ - მ.რჩ.) მაგრამ ჯერ მივყვეთ მის <u>პირველ ლიტერატურულ შეხედულებებს (</u>. უფრო კარგად შევიცნოთ მისი გარემოს აღქმის უნარიანობა, ის სამყარო, რომელსაც ის ხედავს თავის გარშემო, მაშინ შესაძლებელი იქნება იმ მხარეების უფრო კარგად წარმოდგენა, დანახვა, რომელიც მას პირველი მწერლური ცდების დროს გამორჩა. ყველაზე კარგია ბავშვის ცხოვრებაში ის ხანა, როდესაც ის ფეხს იდგავს და უდედოთ იწყებს სიარულს გაუბედავად, ბორძიკით, ხშირად ხელის მიშველიებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად, ფეხის ადგმასთან ერთად ფაქტიურად ეხილება მას თვალებიც. ეს პირველი გამოსვლაა ბუნაგიდან, სადაც ასეთი ნაცნობი, სრულყოფილი და ადვილია ყველაფერი, პირველი კუპრები, მწერები, რომლებიც უზარმაზარი და საშიში ჩანან, ზუსტი ასლი ჯეკ ლონდონის «თეთრი ეშვის» განცდებისა მაინტერესებს მე <u>ჩვენს</u> ავტორში, აი, აქ, <u>ერთ რველში ის აღწერს რამდენიმე საინტერესო, თითქმის უსიუჟეტო ამბავს (</u>ხაზი ყველგან ჩემია _ მ.რჩ.), *რომელსაც გარკვეული, თავისებური პრეტენზია აქვს მხატვრულობაზე.»*

შესავლის მეორე გვერდის შუა ადგილიდან კი იწყება უკვე თვითონ ნაწარმოები. როგორც უაბზაცოდ, გაკრული, ნაჩქარევი ხელწერით დაწყებული შესავალი, ისე ამ შესავლის პირველივე წინადადება მოწმობს, რომ «ალავერდობა» თავიდანვე ჩაფიქრებული უნდა ყოფილიყო როგორც უფრო დიდი ტექსტის ნაწილი. ვფიქრობ, ამ დროისათვის უკვე გაკეთებული იყო ჩანაწერები «ირინა და მეს» თეთრი ვარიანტისათვის მაგარ ფურცლებზე (იხ. «ირინა და მეს» შენიშვნები), რამაც, საბოლოოდ, «ირინას» «მინაწერის» ფორმა მიიღო. ასე რომ, მწერალი სექტემბერში უკვე ფიქრობდა მოთხრობათა ციკლზე, რომლის პირველი ნაწარმოებიც უნდა ყოფილიყო «ირინა და მე». ამ შესავალს, როგორცა ჩანს, უნდა დაეკავშირებინა «ალავერდობა» «ირინასთან». ამას მიანიშნებს, აგრეთვე, შესავლის როგორც თეთრი, ასევე შავი ხელნაწერის ბოლოს ერთი ნაწილის დამთავრების ნიშანი «___. ___».

თეთრი ვარიანტი:

«საინტერესოდ, უცნაურად, ერთგვარი გულუბრყვილობით მსჯელობს ჩვენი ავტორი, ის ბევრ რამეში ემთხვევა ჩემ (არაავტორულ)შეხედულებებს, უფრო მეტში ცილდება, საკმაოდ საინტერესოა მასთან კამათი, მაგრამ ჯერ მივყვეთ მის პირველ ლიტერატურულ შეხედულებებს, უფრო კარგად შევიცნოთ მისი გარემოს აღქმის უნარიანობა, სამყარო, რომელსაც ის ხედავს თავის გარშემო, მაშინ შესაძლებელი იქნება იმ მხარეების უფრო კარგად დანახვა, რომელიც მას პირველი მწერლური ცდების დროს გამორჩა.

ყველაზე სავსეა ბავშვის ცხოვრებაში თავისი გარდუვალობით ის ხანა, როდესაც ის ფეხს იდგავს და უდედოდ იწყებს სიარულს გაუბედავად, ბორძიკით, ხშირად ხელის მოშველიებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებლად. ფეხის ადგმასთან ერთად ფაქტიურად ეხილება მას თვალებიც: ეს პირველი გამოსვლაა ბუნაგიდან, სადაც ასეთი ნაცნობი, სრულყოფილი და ადვილი იყო ყველაფერი. გამოსვლისთანავე წარმოუდგენელი მასშტაბით იზრდება სამყარო, სინათლე, დაუსრულებელი სინათლე თვალებსა ჭრის ყოველი მხრიდან და ოდნავ თვალისმიჩვევისთანავე უზარმაზარ გიგანტებად ეჩვენება ახლადმოსულს პატარა სოკოები, მწერები. დაახლოებით ეს პერიოდი, ზუსტი ასლი ჯეკ ლონდონის "თეთრი ეშვის"განცდებისა მაინტერესებს მე ჩვენ ავტორში. აი, აქ ერთ რვეულში აღწერს ის რამოდენიმე ზემოთ განმარტებული თვალსაზრისით საინტერესო, თითქმის უსიუჟეტო ამბავს, რომელსაც გარკვეული თავისებური პრეტენზია აქვს მხატვრულობაზე.

___ . ___
|არ ვარგა|"

შავი: *«ამ წყვდიადში მოჩანდა სადღაც უსასრულო სიღრმიდან მომავალი ალაზნის ველი, ის კი არ მოჩანდა, არამედ ინტუიციით ხედავდა მას ადამიანის თვალი და გრძნობდა მის არსებობას კახელი კაცის სხეული».*

თეთრი: *«ამ წყვდიადში მოჩანდა სადღაც უსასრულო სიღრმიდან მომავალი უმანძილო მინდორი, ის კი არ მოჩანდა, არამედ ინტუიციით ხედავდა მას ადამიანის თვალი და გრძნობდა მის არსებობას კახელი კაცის სხეული;»*

შავი: *«ნესტიანი მზე გრძელი, გვერდებზე გადატყორცნილი მორცხვი სხივებით.»*
თეთრი, გვ.1.: *«ნესტიანი მზე გრძელი, გვერდებზე გადატყორცნილი სხივებით.»*

შავი: *«უყურებს მას ახლად მანქანით მოსული ჩვენი გმირი ...»* (შავი ავტოგრაფი პაგინაციის გარეშეა)
თეთრი, გვ. 11 _ *«უყურებს მას მანქანიდან ახლადჩამომხტარი ჩვენი მოთხრობების გმირი...»* (აქ და ყველგან ხაზი ჩემია _ მ.რჩ.)

მრავლობითი _ *«ჩვენი მოთხრობების გმირი»* _ მიუთითებს, რომ მოთხრობების ციკლის შექმნა საერთო თემატიკით და გმირით უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია.

შავი: «... შეეძლო ასე შეცნობა. არ ჩანდა არ ისმოდა არაფერი. ~~«არსაიდან ხმა, არსით ძახილი.»~~ (გადახაზულია მწერლის მიერ).*შეუმჩნევლად შეეჩვია თვალი სიბნელეს.»*

შავი: «*ამღერებული ბუნების ძალისგან...»*
თეთრი, გვ.4: «ამღერებული ბუნების ჰარმონიისგან»

შავი: *«ჰარმონიულმა გალობამ»*
თეთრი, გვ.4: *«ჰარმონიულმა ხმრიალა, მუსიკამ*

შავი: *«დამყარდა მთლიანი ჰარმონია, торжество ~~შერწყმა, შეგრძნება, სიკეთე~~* (გადაშლილია მწერლის მიერ) *ალაზნის ველზე.*
თეთრი, გვ.4: *«... დამყარდა მთლიანი უნაპირო დღესასწაული ალაზნის ველზე.»*

შავში არ არის «უცნაური გადასვლა».

შავი: «... ალავერდში გამართული დღეობები»
შემდეგ შავშივეა ჩამატებული ჯერ «ტრადიციული», შემდეგ «ქრისტიანული დღეობები.»

თეთრი, გვ.10: ჩამატებულია «შემზარავ ტრაგიკომედიას გავს მთლიანად გუშინდელი ლხინის ბოლო. ამას ემატება ისიც, რომ ის ისტორიულადაც ბოლო დღეა საერთოდ.»
გადაშლილია «შანსიანად» (ე.ი. გაურჩევლობამდე. ამის შესახებ იხ. ტომი 1. ავტოგრაფების თავისებურებისათვის) თეთრში: ~~«შემზარავი ტრაგიკომედიაა საერთოდ ყოველი ლხინის მეორე დღე, განსაკუთრებით თუ ის ისტორიულათაც ბოლო დღეებია. ..»~~

შავი: «თავდება ყველა ინერცია»
შავი: *«თავდება ყველა რელიგიური ინერცია, ქვეშეცნეულად ამ უცხო ხალხიდან იგებენ აქაურები თავისი აქ მოსვლის მიზეზს, მაგრამ ეს წამია თითქოს გამოფხიზლების და ისევ წყდება იქ ყველაფერი, არავის არ უნდა სხვისი გართობის ყურება...»*
თეთრში, გვ. 12: *«...თავდება ყველა დაღლილი, რელიგიური ინერცია, რომელიც მიუხედავად ურჩმუნოებისა თავისდაუნებურად მაინც არსებობს ალავერდის მკვიდრთ შორის. ისინი....»*

შავი: *«ივსებიან ერთი მოლოდინით, როდესაც ის გაჭენებული ცხენით მივარდება ისევ ხალხთან, დაასფრთხობს მათ, გადაახტება ზედ ... მაგრამ ამაზე არა ღირს ფიქრი, ახლა მხოლოდ გრძნობების ასპარეზი რჩება ...»*
თეთრი, გვ. 15: *«... როდესაც ის გაჭენებული ცხენით მივარდება ისევ ხალხთან და რაღაც, რაღაც გადამწყვეტი მოხდება ... მაგრამ ამაზე აღარ შეუძლია ფიქრი. ახლა მხოლოდ ...»*

თეთრში, გვ. 15: სიტყვებიდან *«თავდება მინდორში შემოჭრილი ტყის ბოლო...»* სიტყვებამდე *«თვალის დახამხამებაში იქცა ერთ სხეულად ორივე»* ჩამატებულია.

შავში: *«ყველაფერი ეს ~~ძალიან~~ მაგრად პოეტურია და ამიტომ გრძნობს ის ასე. ეს გრძნობა ის ექსტაზია, რომლისთვისაც ის ყოველთვის უზომოდ სავსეა. პატარათ მოჩანს ხალხი».*

თეთრი, გვ. 17: *«ყველაფერი ეს გარედან მაგრად პოეტურია და ამას გრძნობს ის გაორკეცებით შიგნიდან.... (გადაშლილი სიტყვები. – მ.რჩ) და მოულოდნელად ექსტაზის გახელებისას მის წინ იხლიჩება მინდორი ხრამად და მის კიდეზე ერთ მთლიან ამდგარ მასად აღიქვამს ის ხალხს გაღებული პირით».*

შავში: *«უკნიდან სინათლეს ლეკის დიდი ბოხოხი ფარავს, წინიდან ჯერ არა ჩანს.»*
თეთრი, გვ. 19: *«...წინ სიბნელეა. უკნიდან სინათლეს მქმინავი ლეკის დიდი ბოხოხი ფარავს.»*

შავი: *«უსტვენს აქლოშინებული მდევრების გასაბრაზებლად გურამი».*
თეთრი, გვ. 19: *«უსტვენს ბიჭის ჟინით და სხვა რაღაცის ვერ გამოხატვის საშუალებიდან დაღლილი მდევრების ჯიბრზე გურამი.»*

შავი: *«ის უკვე შეეჩვია მაღლა სიბნელეში სიარულს» (თეთრში არ არის.)*

შავი: *«ის გრძნობს ნამდვილ საფრთხეს, მთვრალი ლეკი არ აპატიებს მას ამდენ სირბილს, რჩება ერთი გზა და ის მიდის ამ გზაზე.» (თეთრში არ არის)*

შავი: *«ურტყავს ის სახურავს ფეხებს, გადის სარკმლიდან დამრეც, ლიპ გუმბათზე».*
თეთრი, გვ.19: *«ეცლება მისი სხეული სარკმელს და შუქის მთელ სიმძლავრეს უშვებს გვირაბში».*

შავი: *«ჩემზე იმათზე იღოცე დედა» (ჩამატებულია: «მე თვითონ ავიტან თავს») ფიქრობს გურამი, სამ საფეხურს ერთად ახტება და არბის მაღლა.»*
თეთრი, გვ.19: *«იმათზე იღოცე დედა, მე თითონ ავიტან თავს.» უმიზეზო სიხარულის მოწოლით ტუჩებით ამბობს გურამი, ოცსაფეხურიან ნათელ კიბეს ოთხი ნახტომით ფარავს და ბნელ მოხვეულ კიბეებში იკარგება.»*

შავი: «... *რომელსაც ის ფეხით მიყვება ალვანისაკენ.»* (თავდაპირველად ეწერა «ალვნის ტყისაკენ»).
თეთრი, გვ.22: *«რომელსაც ის ფეხით მიყვება ალვანისაკენ.»*

მხოლოდ თეთრი, გვ.21, სიტყვებიდან: *«მთელი ამ ხედვის უზარმაზარ სივრცეში არ არის არც ერთი გოჯი, რომელსაც არ წყალობდეს შემოქმედის დალოცვა, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანს ისტორიის სიღრმიდან დღემდე მადლობა არ გადაეხადოს მისთვის და არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული.»*

დღიური

არქივში ინახება «დღიურის» როგორც შავი (1-10+1-10+1-10+1-16გვ.), ასევე თეთრი (1-37გვ.) უსათაურო და უთარიღო ხელნაწერი; აგრეთვე, ორი ჩანაწერი შავი ავტოგრაფისათვის (1-2+1გვ.), (1გვ.).

სათაური, ისე როგორც ამ ციკლში შემავალი სხვა მოთხრობების სათაურები, აღებულია «თეორიული განმარტებიდან». თარიღი, გარდა «თეორიული

განმარტებისა», დადგენილია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე (ფურცლის ფორმატი, ფაქტურა, ხელწერა, მოგონებები, შინაარსის პლანი და სხვ.). აქვეა მოყვანილი, აგრეთვე, 1958 წლის შემოდგომის რეალური დღიური, რომელიც საფუძვლად დაედო ამ მოთხრობას.

შავი ავტოგრაფი დაწერილია ისეთსავე თაბახის ფურცლებზე, როგორზედაც ციკლში შემავალი მოთხრობებისა და შემოდგომაზე დაწერილ სხვა მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფები, განსხვავებით «ალავერდობის» და «ირინას» შავი ავტოგრაფებისაგან, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ «დღიური» შექმნილია თბილისში, წინასწარი ჩანაფიქრის თანახმად, და არა მოულოდნელად, სადღაც, როგორც «ალავერდობა.» თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ «ალავერდობის» შავი ხელნაწერის დასაწყისი და «დღიურის» შავი ვარიანტის ბოლო, მეოთხე, ნაწილი დაწერილია მსგავს ფურცლებზე.

«ალავერდობა», «ირინა», «დღიური», ამ ციკლის «თეორიული განმარტების» თეთრი ვარიანტები დაწერილია მსგავს ფურცლებზე, მსგავსი ხელითა და საწერ-კალმით. ასეთივე ფურცლებზეა დაწერილი ლიბრეტო, განსხვავებულია მხოლოდ საწერ-კალამი.

როგორც აღვნიშნე, მახსოვს, «ალავერდობის» გადათეთრების შემდეგ გურამმა თქვა: «ახლა ვიცი, რასაც გავაკეთებ. მესამე მოთხრობად ავიღებ ჩემს რომელიმე დღიურს. უკვე ვიცი, რომელს.»

შავი ხელნაწერი დაწერილია ძალიან გაკრული ხელით და დაყოფილია ათ-ათ გვერდად სამჯერ (აქ გურამი საგანგებოდ იცავს ათ-ათი გვერდის პრინციპს. ეს კარგად ჩანს მესამე შემთხვევაში. აქ, თავდაპირველად, მეათე გვერდზე დამთავრებულია წინადადება და შემდეგ იწყება მეოთხე ნაწილი ახალი წინადადებით: «მაშასადამე, როგორც ვთქვი, მე დავრჩი შუა ქუჩაში, შუაღამეს...» შემდეგ კი თითქოს გადაწყვეტს ამ ნაწილში უარყოს ეს ათ-ათი გვერდის პრინციპი, გადაშლის მას და განაგრძობს წინა ნაწილის ბოლო წინადადებას: «დიდხანს ვიდექი მე კიდევ დარჩენილი ერთი-ერთთან ღამის ყარაული ბებერი ქალების მფარველობის ქვეშ, რომლებიც საკუთარი ჭორებით იყვნენ გართული..». (იხ. აგრეთვე «საიდან მოვდივარში...» პრინციპი, თითო გვერდზე დაწეროს თითო თავი):

I. 1-10გვ. _ სიტყვებიდან: «გარემო ისეთი სავსეა შთაბეჭდილებებით...» შემდეგი სიტყვების ჩათვლით: «ეს, როგორც ხედავთ, მხოლოდ ჩემი დღიურია, ამიტომ ბოდიშის მოხდა მხოლოდ საკუთარ თავთან მჭირდება...»

II. 1-10გვ. _ სიტყვებიდან: «უცნაური ამბები ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს...» შემდეგი სიტყვების ჩათვლით: «ეს იყო ბუნტი თავისი თავის წინააღმდეგ».

III. 1-10გვ. _ სიტყვებიდან: «ამ მონოლოგის თქმის შემდეგ...» შემდეგი სიტყვების ჩათვლით: «დიდხანს ვიჯექი მე კიდევ დარჩენილი ერთი-ერთთან ...»

IV. 1_16გვ. _ სიტყვებიდან: «ღამის ყარაული ბებერი ქალების მფარველობის ქვეშ...» შემდეგი სიტყვების ჩათვლით: «მოდიოდა ალექსეი პავლოვიჩი მთის უბნიდან ქალაქისკენ.»

როგორც ვხედავთ, ბოლო ნაწილში, წინა ნაწილებისაგან განსხვავებით, არის თექვსმეტი გვერდი. წინა ათი გვერდით დამთავრდა რეალური დღიური და თხრობა გადავიდა გამონაგონში. შეიძლება მეოთხე ნაწილში, ათ-ათი გვერდის პრინციპის დარღვევით, მწერალს უნდა გაამახვილოს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მხატვრული ტექსტი, ანუ ბოლო თექვსმეტი გვერდი, გამონაგონი, ველარ ეტევა ყოფითი დროის ჩარჩოებში, რეალური დღის სიცხადეში და გადადის ბუნდოვანებაში.

მკითხველს შეუძლია თავად მიადევნოს თვალი განსხვავებას რეალურ დღიურსა და მოთხრობა «დღიურს» შორის. მოთხრობის ტექსტისა და რეალური დღიურის შედარებისას ჩანს მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის თავისებურება: როგორ გარდაიქმნებოდა მწერლის ყოველდღიური ცხოვრება (მასალა) ლიტერატურულ ფაქტად, მხატვრულ ნაწარმოებად. ამ პერიოდში გურამი, მართლაც, დადიოდა ავტოსკოლაში და უნდოდა აეღო პროფესიონალი მძღოლის მართვის უფლება. ამ სურვილს ეწინააღმდეგებოდნენ მშობლები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მისთვის სრულიად საკმარისია მოყვარულის წიგნაკი. გურამს დასაწერი ჰქონდა დიპლომი და დედა ღელავდა, რომ ის უქმად ატარებდა დროს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც მოსდევს რეალურ დღიურს და, ცხადია, რეალურ მკითხველს გულისხმობს, უფრო მოწესრიგებულია სტილისტურად. შეცვლილია მოქმედ პირთა საკუთარი სახელები, დატოვებულია მხოლოდ «გ. რჩეულიშვილი.» აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 1958 წლის შემოდგომის დღიურებს მოჰყვა გურამის პირველი ტრაგედია «იულონი.» მოთხრობა «დღიურს» კი - «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» მეოთხე მოთხრობა, კინომოთხრობა «ბევრი ბავშვები ერთად» და დაუმთავრებელი ტრაგედია «სურამის ციხე.»

თეთრი ავტოგრაფის პაგინაცია, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანია (1_37გვ.), დაწერილია ციკლში შემავალ სხვა მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფების მსგავს ფურცლებზე, მსგავსი ხელითა და საწერ-კალმით.

პირველი ჩანაწერი «დღიურის» შავი ვარიანტისათვის:

«ჩვენ, შავები, აღვდექით ამ ბუნტის სახელით, ჩვენ არ გვინდოდა ტვინის ჭყლეტა, შეუცნობელში ჩაწვდომა, მაგრამ მაშინ ჩვენ ვერ ვიპოვიდით ჩვენს საჭიროებას ამ ქვეყანაზე, ჩვენ თვითონ, შეგნებულად, დავუმორჩილეთ თავი თავისი ბუნებრივი ცოდნით აღჭურვილ <u>ნაცისტებს,</u> არიელებს. ისინი მათ, ვინც ჩვენსავით თვითონ არ ცნობენ იმათ პრიორიტეტს, ძალით შეაცნობინებენ მათ, ეს არის უკეთილშობილესი ხალხი, ისინი იბრძვიან ძლიერთა დასაცავად სუსტებისაგან და ჩვენ თუ არ გვინდა, რომ სუსტები ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ მათზე მეტი და ამით ვემსახუროთ საერთო საქმეს.

_ მერე? _ იკითხა იბამ.

_ მერე ყველანი გახდებიან კეთილშობილები.

_ ჩვენც?

_ ჩვენ მაშინ აღარ ვიქნებით.

_ ო, ნეტავი გამაწირვინა თავი მათი გულისათვის. _ არავითარ ლოგიკასთან არ კავშირში მთელი არსებითა თქვა იბამ და შტოლცმა განაგრძო პრაქტიკული გზების დასახვა.

ეს იყო ფაქტი. ნაცისტები ულოგიკოთ ამტკიცებდნენ ყველაზე ძნელ საკითხებს. ადამიანის (...) შინაგან ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით. (Дует ветер - чуешь? не чую – значит не способен чуять, не развит до этого и умрешь – о, о, нет, почуял.)

აქ არ არის მარტო შიშისაგან თანხმობა, უფრო სწორად, ყველაზე მცირეა შიში.

В И так мы дошли, подсознательное знание гораздо выше стоит чем сознательное - შავი და ქერას მაგალითზე первые лишь угадывают страсти последних такова наша доля – Штольц ჩემი: немцы выскочки прогресисты в нашу эпоху это сильно карается.

ჩვენ, საბჭოეთი, ვაერთიანებთ თანაბარუფლებით თუ არის რამე ვინმესათვის არასასიამოვნო. ეს ყველა ერის ცალკეულ წარმომადგენლისათვის მხოლოდ და არა

მთლიანად ერისათვის, აქ ჩვენ ვდგევართ ახალი, ჯერ არნახული დიდი ერის წარმოშობის წინაშე. ხრუშჩოვის სიტყვა დედამიწის მეზობლობის, ერთიანობის შესახებ კოსმოსის დაპყრობასთან კავშირში.

მინაწერი:

ამას უნდა დრო, რომ ითქვას ლიტერატურული ენით. აქ ფრაზის სახითაა ნათქვამი.”

მეორე ჩანაწერი «დღიურის» შავი ვარიანტისათვის:

«სანამ გადავალ თენგიზისგან ნათქვამის შინაარსზე, მანამდე მინდა მოვიგონო ერთი შემთხვევა იმისი ცხოვრებიდან, რამაც გარკვეულად ჩაუყარა საფუძველი გუშინ გამოთქმულ, წინასწარ ვიტყვი, მცდარ აზრებს.

ჩემი საწყალი ბიჭი _ თავისი ცხოვრების არსით Nihil გია _ გაბრუება _ კლასიკური თუ (…)

———————————————-

ყოფითი ფილოსოფია გაცილებით შორს დგას ჭეშმარიტებასთან.

———————————————

ბრძოლა სულსა და ხორცს შორის ჩემთან.

Не есть ли по учению Христа аскетизм, умерщвление плоти – только средство, цель которого – очищение, просветление и наконец воскресение плоти

შესაძლებელი რომ იყოს ლიტერატურულად, მე ამ ამბავს დავტოვებდი უბოლოოდ: (ბოლო)

———————————————————————————

!!! ეს ბიჭი სწორეთ ისეთი დაიბადა, როგორიც უნდა ყოფილიყო.

(…) შტოლცი მიხვდა, რომ ის ქერებზე ჭკვიანი არ არის, რადგან ისინი ღალატობენ, ეს კი ჩუმად არის და ამიტომ დაიღრიალა.»

ზოგიერთი განსხვავება თეთრსა და შავ ავტოგრაფებს შორის (აქვეა მითითებული, ზოგიერთ შემთხვევაში, რეალური დღიურისაგან განსხვავებული ადგილები), რომელთაც ფუნქციური დატვირთვა აქვთ, გასათვალისწინებელია რედაქტირებისას.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სხვაობა უმნიშვნელოა და შემოიფარგლება ცალკეული სიტყვებითა და ფრაზებით. საინტერესოა, რომ მოთხრობის დასაწყისში ხაიმას მეტყველება შავ ხელნაწერში გაცილებით სტილიზებულია, ვიდრე თეთრში. მაგალითად, შავში, გვ. 4: ანგლისკი ტრიკო, პოლოსატი ბრტყელი, სოლდატსკი ჩექმები თეთრში: ინგლისური ტრიკო, სალდათური ჩექმები», ზოლიანი ბრტყელი და სხვ. თეთრ ხელნაწერში მისი მეტყველების თავისებური გარეგნული ნიშნები მინიმუმამდეა დაყვანილი. ასევეა «ირინაში»: შავი ხელნაწერის კუთხური მეტყველება (მჭედლებთან) თეთრში იცვლება არაკუთხურით. გურამთან მნიშვნელობა თითქოს სხვა დონეზე იქმნება. ასევე, მისი მხატვრული გემოვნებისათვის მიუღებელია სიმბოლიკა, რომელიც დევს ზედაპირზე.

მეოთხე ნაწილში, რომელიც ერთი ამოსუნთქვით უნდა იყოს დაწერილი, განსხვავება შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის, ფაქტობრივად, არ არის. განსხავებულია მხოლოდ დასასრული (იხ. ქვემოთ).

შემოქმედებითი ლაბორატორიის თავისებურებისათვის: აღსანიშნავია, რომ შავ ხელნაწერზე გაკეთებული არც ერთი მინაწერი, მომავალი გეგმების თაობაზე, არ განხორციელებულა.

I.

შავი, გვ. 7: «ამითი დიდი ჰარმონიით უსვამს საქართველო არეული, აგრესიული თუ თავისდამცველი მსოფლიოს ნამდვილი შინაგანი აუცილებელი წონასწორობის, ზომიერების გრძნობას ხაზს. ამაშია სისუსტე და სიძლიერე მისი». ამ სიტყვების შემდეგ მინაწერი: «(საქართველოზე)». გამოტოვებულია რამდენიმე ხაზი. ალბათ, მწერალი აპირებდა რაღაცის დაწერას საქართველოზე, რაც თეთრ ხელნაწერში არ განახორციელა.

თეთრი, გვ.7: «...სწრაფად შესცვალა უცებ მოვარდნილმა, ჩემი მსჯელობისათვის არაობიექტურმა სიბრაზემ». ხელნაწერში ამ ადგილას არის მინაწერი არეზე: «სიბრაზე გამოიწვია კონკრეტულმა სახის ამორჩევამ.»

შავი, გვ.9: _ «გეფიცებით ჩემ შეგრძნებებს...»
თეთრი, გვ.7: _ «გეფიცებით ჩემ ყველა კარგებს...»

შავი, გვ. 10: _ «დგება ერთადერთი წამი, მთლიანად უფიქრო წამი ამ დღის განმავლობაში, რომლის შემდეგაც აღგზნებული, დრამატული მონოლოგის თქმის სურვილით ივსება ჩემი სხეული და იღვრება ამაღლებულ სიტყვებად: (აქ შავ ხელნაწერში დატოვებულია ადგილი, ალბათ, ფიქრობდა დაეწერა რაიმე, მონოლოგის მსგავსი. _ მ.რჩ.) ჩემი ნათქვამი სიტყვები იმდენად შორს დგანან შინაარსისაგან, რომ აზრს კარგავენ, ამიტომ არ მომყავს აქ. ეს, როგორც ხედავთ, ჩემი დღიურია, ამიტომ ბოდიშის მოხდა მხოლოდ საკუთარ თავთან მჭირდება.»
თეთრი, გვ.9: «მე თითქოს ავქლოშინდი და უცებ დავისვენე ამის დაწერის შემდეგ. დგება ერთადერთი წამი, მთლიანად უფიქრო წამი ამ დღის განმავლობაში, რომელსაც მე გამოვიყენებ რათა ის, რაც იბაზე გაბრაზებულმა დავწერე, დავინახო თვით მისი არსებული, ვიმეორებ მხოლოდ აზრობრივი და არა მოქმედი მდგომარეობის, გარკვეული ისტორიული პროცესიდან გამომდინარე, გამართლებისათვის.»

მხოლოდ შავი, გვ. 10 (მინაწერი გვერდის ბოლოს): «!1! იმ [...] ბიჭისათვის _ ვალია ყველაზე, იმ ინტელექტზე, პროგრესის ინტელექტუალურ გაგებაზე, ყველაზე დიდი, იმუშაოს, იმიტომ, რომ სამოსვალით ზიდოს აგური, ფაქტიური სიმბოლო, თუ შეიძლება ასეთი სიტყვა, ერთიანი, მთლიანი მსოფლიო საზოგადოების შექმნისათვის _ მისია, როგორც ხედავთ, უდიდესია !!!»

მხოლოდ თეთრი, გვ. 10: «როგორც ვწერდი, მე იბას ბავშვობიდან ვიცნობ, ვიცი მისი ცხოვრებიდან ბევრი რამ, თვითონ მისგან, თუ მისი მეგობრების მიერ მოყოლილი. შევეცდები შევაჯამო ყველაფერი ერთად: ჩემი მეგობარი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ცხოვრობდა თავის სახლში, ქისტეთში. მიდიოდა ომი სავსე მოულოდნელობებით და შინაგანი კანონზომიერებებით მათემატიკურად ზუსტი.»

თეთრი, ნაბეჭდი, გვ.9: «... შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად პატრიოტიზმით დაიძრნენ ფრონტისკენ მთის მიყრუებული სოფლებიდან»

მხოლოდ თეთრში, გვ. 16: სიტყვებიდან «ჩვენ შავები ავღდექით ამ ბუნტის სახელით...» სიტყვებამდე «შტოლცმაც განაგრძო საკუთარი გზების დასახვა.»

მხოლოდ თეთრი, გვ. 16 (ნაბეჭდი): *სიტყვებიდან «წერას თავი გავანებე...» სიტყვებამდე «მე არა ვარ ქრისტიანობის იდეალი, რომ შევუნდო ბრიყვთა..»*

შავში, გვ.1: «...ამ მონოლოგის თქმის შემდეგ, რომელიც არ დამიწერია, უკვე დაღამებისას მოვდიოდი დაღლილი, მარტო, მძიმე ნაბიჯებით, მე არა ვარ ქრისტიანობის იდეალი, რომ შევუნდო ბრიყვთა...»

შავი, გვ.7, თეთრი (ნაბეჭდი), გვ. 22: სიტყვებთან «რომელი ცოდნის მფლობელია ის? საიდან მიიღო იგი?» რეალურ დღიურში წერია: «იმ საიდუმლოს, დიდი საიდუმლოს წყალობით, რომელიც სამუდამოდ დაფარულია ჩემთვის.»

შავი, გვ.7, თეთრი, გვ. 22 (ნაბეჭდი): სიტყვებთან «...განურჩეველი სხვისი თვალებისადმი, ადამიანებისადმიც, თვით სიკეთის მცნებისადმიც კი» რეალურ დღიურში წერია: «იმითია კარგი, რომ ლოთია, რაცა აქვს და იმ სურვილით, რომ ჰქონდეს, რაც არა აქვს, რომ მათხოვარია, რომ ის საერთოდ არის და ამერიკით, რომელიც ცდილობდა მისი ადამიანური ღირსება დაემცირებინა, ამ სახელების უკან მისთვის იმალებოდა მთლიანი შეცნობა სამყაროსი, რაც სამუდამო საიდუმლოდ დარჩება ჩემთვის. ამ კაცს არ ეპარებოდა ეჭვი, ამ კაცმა იცის რაღაც, ისე შეუძლებელია (მწერალმა არ იცის რაღაცა, ამიტომ ეძებს. იმათ იციან).»

მხოლოდ თეთრში, გვ. 24 (ნაბეჭდი): სიტყვების შემდეგ «ის ფანარს ვერ ამჩნევდა Пушки стоят супротив поджигателей войны» წერია _ «ზევითა გაჩახჩახებულ ფანჯარას ფარდა ჩამოაფარეს და ქუჩაში უფრო დაბნელდა.»

1958 წლის დღიურში არ არის ლოთის სიტყვები: «Вперед ребятки вперед» რაც მოთხრობაში რეფრენად მიჰყვება მის მეტყველებას.

შავ ვარიანტში, გვ. 9: სიტყვებთან «ღამის ყარაული ქალი და თვლემდა» არის მწერლის მინაწერი: "(გარემო იქნებ უნდოდეს)".

შავი, გვ.9, თეთრი, ნაბეჭდი, გვ.24: «პატარა ფანარი ანათებდა ცარიელა ქუჩის შუაში მდგარ წინასწარმეტყველის კეთილ, უნაკვთო სახეს...» - ამ წინადადებაში სიტყვა «წინასწარმეტყველი» რეალურ დღიურში არ არის.

შავი, გვ.10, თეთრი, გვ. 24 (ნაბეჭდი): «... რომელიც ისევე არაფერს ეტყვის სხვას, როგორც ამ ვიზიონერის სიტყვები არ ამბობენ არაფერს.» რეალურ დღიურში არ არის სიტყვა «ვიზიონერი». შავში თავდაპირველად წერია «ამ კაცის», «კაცის» გადაშლილია და ზევიდან აწერია «ვიზიონერის».

შავი, გვ.10, თეთრი, გვ. 24: «ის დაიხარა და ფარნისაკენ ხელი გაიშვირა...» სიტყვა «ფარანი», «ფარნისაკენ» რეალურ დღიურში არ არის.

შავი, გვ.10: სიტყვების შემდეგ «...მერე ჩამომართვა ხელი და წავიდა...» რეალურ დღიურში წერია: «წავიდა, მე დავიღალე, ის არა, იმისათვის სულერთი იყო, ვინ? როგორ ახერხებდა ამას, ეს იყო ჩემთვის საიდუმლო...»

შავი, გვ. 10: სიტყვების შემდეგ «Спасибо брат» რეალურ დღიურში წერია:

«ამით მან ქვეშეცნეულად ხაზი გაუსვა, რომ მე არა მაქვს ის საიდუმლო, რაც აქვს იმას. ამიტომ ჩემი ადამიანური ბუნება თავისი ხორცით საჭიროებს სამაგიეროს, რაც ასე სულერთია მისთვის, ამიტომ მიხდის მე იგი «Спасибо брат» _ მიხდის და მიდის თავისი საიდუმლოთი, თავისი გზით და ერთი წამითაც კი არა ფიქრობს ჩემზე. მან იცის ამისი საიდუმლო. მე კი ვეძებ ამ უფიქრელობის საიდუმლოს და ვიტანჯები. წინ არის პოდიეზდი, სახლი, დედა, «სიყვარული», ვნებები, რაც წარმოუდგენლად მაშორებს ამ საიდუმლოს გაგებას.»

აქ მთავრდება რეალური დღიური და იწყება გამონაგონი.

მეოთხე ნაწილი:

შავი, გვ. 11: «პატიოსან, კეთილს, პარტიის, პიონერების პატრიოტ, მაგრამ ამასთანავე უმიზნო, უსაქმო» - თავდაპირველად ეწერა «გზააცდენილ».

შავი, გვ. 16, დასასრული: «გარეთ, გაშანშალებულ მზეზე, საიდანღაც, უცებ, საბედისწეროდ შერჩენილი ღრუბლიდან კოკისპირულად წვიმდა. «Вот и вы мои желтые цыплята».

მოდიოდა ალექსეი პავლოვიჩი მთის უბნიდან ქალაქისაკენ.

თეთრი, გვ. 37, დასასრული: «გარეთ, გაშანშალებულ მზეზე საიდანღაც საბედისწეროდ შერჩენილი ღრუბლიდან კოკისპირულად წვიმდა. მან მხარზე მიტოვებული ერთი წიწილა მუჭაში ჩაისვა, მერე დასვა მიწის იატაკზე. პატარა გოგმანით გაიქცა თავისი ყვითელი დებისკენ. ალექსეი სიდორიჩმა თვალი ჩაუკრა წიწილებს. «Вот и вы мои желтые цыплята вперед». _ იჯდა სიდორიჩი გაკვირვებული თვალებით თავის საწოლში და ღია კარებიდან გარეთ იყურებოდა.»

1958 წლის შემოდგომის დღიური, რომელიც საფუძვლად დაედო მოთხრობა «დღიურს»:

ყველა დღე ისე სავსეა, გინდაც სახლში ვიჯდე, რომ მეშინია დღიურების წერა. ყოველ დღე შეიძლება ახალი რომანი დაიწეროს, ამიტომ, ჩვეულებრივ, შუიდან ვიწყებ. დღეს დავიწყებ ბოლოდან. თავი მიბრუის, თან შოფრის კურსები მაქვს ჩასაბარებელი, არაფერი არ ვიცი, უნდა გამაწითლონ. ვერ ავიძულე თავი ახლა მაინც წავიკითხო, ვაჭირებ, ჯობია ვწერო დრო ისეც ცოტაა.

აქ ერთი ებრაელი ბიჭია აბრამ ხაიმაშვილი, ზედმიწევნით გულისხმიერი, არაფერს არა ტოვებს შეუმჩნევლად და ცრემლებამდე მონდომებით ლაპარაკობს, დაბალი ტანიდან მხოლოდ ხელებს ამოძრავებს, ისიც მხოლოდ ხელებს, ზევიდან ქვევით, წელიდან სახემდე, გრძელ ნიკაპწინწამოწეულ თავს წევს, ნიკაპი მზესუმზირას საჭმელადა აქვს მომზადებული და ლაპარაკისას გეგონება მზესუმზირის ქერქებს იფურთხება. ახლაც, უცებ შენიშნა ჩემი ბათინკები, უფრო სწორად, ის დიდი ხანია შენიშნული ჰქონდა, მაგრამ მე ჩუმად ვიჯექი მთელი კვირა, არავისთვის არ გამიცია ხმა. ჩემი პირველი ხმის ამოღებისთანავე, დღეს დილას, ის საიდანღაც გამოძვრა, სკამზე მოყუჩდა დაინტერესებული სახით, ნიკაპი უფრო წინ წასწია, ორი რაღაცა თქვა მანქანაზე, მერე უცებ დაიკუზა, ბათინკის პირს ალერსით გადაუსვა ხელი და თქვა – ზამშია, აი. პირდაღებული კურსანტები სწრაფად მოგროვდნენ, უსვამდნენ

ხელს ჩემს საზიზღარ, ბინძურ ბათინკებს, ეტყობა, იმდენი მჭორეს ახალ კარგკოსტუმა და ძველ ბათინკიანი ბიჭი, რომ ახლა ეშინოდათ არ გამომჟღავნებულიყო, სხვას არ ჩამორჩენოდნენ ქებაში. ერთი ირწმუნებოდა: ბათინკა კარგია, ოღონდ ჯობდა ქვევით ყოფილიყო ბუსუსი, ზევით სწორი პირი – კაიი _ გაწელა ხაიმმა და ჩემი ბატინკის დაცვა იკისრა. – რას ამბობს? – გამგებიანად გადმომხედა მე. – აი, ჯარში რო ვიყავით, მეტი წილი ზამში ზევით რჩებოდა. – რას ამბობ, ეგ უფრო ცივია, როგორ, ქურქს რომ კერავენ, ქვევით ბეწვია, ზევით ტყავი, აქ? – აქ? რა, აქ რა? _ აჭიჭყინდა ხაიმა, დაიბნა, მერე უცებ მოიფიქრა. – აქ რა ქვა წამოვა, წყალი იქნება, გაიჭრება? არა, ეს იცავს, პრიალა იჭრება, ვაიი! – შეხედა როგორც ტუტუცს მთქმელს. – ზამში ზამშია _ თქვა ვიღაცამ დიდყბებიანმა ბიჭმა, ზევიდან წამოხურული წარბებით მრგვალი თავით და სწორი, მოკლე შოფრული თმებით – ორივე ერთი აქვს. ეს კი ვეღარ აიტანა ხაიმამ. აქამდე ასე თუ ისე თავი შეიკავა ბოღმა ხაიმამ. ვაიიიი – გაწელა, ღრმად ამოისუნთქა, გულაყუჩებული ფრინველივით, წინ გაუშვა ყველა, რომლებიც ზარის დარეკვაზე წავიდნენ კლასისკენ. ჩემთან დარჩა. – ვააიო მჭ, უ – ამოიხვნეშა ოდნავ იაზვად და დიდი გულისწყრომით, რომ იძულებულია, ასეთი რეგვენის გვერდით იჯდეს, _ ეგ მე მასწავლის? ორი წელი ზამშზე მიმუშავია, თავისი პირი არა აქვს? ჰა, ნახე, რა თქვა, კოსტუმის ნაჭერი რომ ნაჭერია, აი, მე მაქვს ერთი ანგლისკი ტრიკო. ერთი სწორი მხარეა, მეორე პოლოსატი, ბრტყელი, უბრალო საროჩკა აიღე _ ამოატრიალა უჯრედა პერანგი, – ეს და ეს ერთია? კანეჩნა, არა, ისე, ეგ ბათინკები კარგი რამეა, იარე რამდენიც გინდა თოვლში, იმან რო თქვა, დაცურდებაო, მაგას რა დააცურებს, რკინები აქვს, ვაჰ, ვაჰ, ახლა ვფიქრობ, ხო იცი, რომელი ვიყიდო ან ეგ ან სოლდატსკი ჩექმები, იცი, რაშია საქმე? ეგ ინტერესნია სასიარულოდ, რამდენიც გინდა იარე, ისე, ის ჯობია – ბოდიშის მოხდასავით, რომ ყველაფერში არ ვარგა ჩემი, განაგრძო ხაიმამ – ისე ისა ჯობია, ჩემთვის კანეჩნა, ხო, იცი ჭუჭყი რამე, მანქანის ქვეშ შეძრომა, აქეთ-იქით, არა? – მარა, _ ვთქვი მე. – არა, ისე ეგ ინტერესნია. მე მოვუყევი სად იყიდება სოლდატსკი დრაგუნკები, ისე ეტყობა აბრამას რეპერტუარში უარის ან ვერგაგების თქმა არ შედის, – მშვენივრად გაიგო ვაკეში რაღაცა ადგილი.

შემოვედი და ვწერ, თავი ისევ მიბრუის, დილით დამაბარბაცა, მერე ტროლეიბუსში მანქანის ნაწილებს ვკითხულობდი და ვფიქრობდი: როგორ შეიძლებოდა ლალი იაკობაშვილთან საქმის დაჭერა, რომელიც ჩემს გვერდზე იდგა და მიესალმა სხვას, მე ჩემ თავზე მივიღე და გავუღიმე, ახლა გარეთ გიჟივითა წვიმს, ტტტტტტტ ურტყავს სახურავს, წერა წვიმის რიტმს მიყვება, სულერთია, რასა ვწერ, მე ვწერ, ვწერ, ვწერ, ვწერ. ახლა აღარ მინდა ვწერო. მინდა წვიმას ვუსმინო, ბიჭები მოწყენილები დგანან კარებში და გუბეებში აფურთხებენ, ვიღაც გრძელი ნაბიჯით მიხტის ასფალტზე. ეს – ძველი შტრიხია, რომელიც ყოველი წვიმისას მეორდება. ერთი მომენტია, წერა რომ შევწყვიტო, ვეღარ დავიწყებ, ამიტომ მექანიკურად ვაგრძელებ წერას იმაზე, რაც მომხვდება. ვიწყებ იქიდან, რითაც პირველად უნდა დამეწყო წერა: მთელი გზა ჩემს თავში ვეკამათებოდი გ-ს, რომელსაც გუშინ მთელი საათი ველაპარაკე და მგონი გაცილებით ახლო მივედი მის შეცნობასთან, ახლაც, როცა შოფრების სკოლის ეზოში ვიდექი, ვფიქრობდი მის აზრებზე, როგორც ცელქი ბიჭის ოინებზე - Самобичевание, რასა, ხალხის სიბევრე, სუსტები უნდა დაიხოცოს, ფაშიზმის ჰუმანიზმი, სიმართლე, გულწრფელი, უეშმაკო ნაცისტები, ორასი ჯვაროსანი ბავშვი, რომელიც გზაზევე დაიხოცა, რაინდი პერსევალი, არიელი წრფელი, ცისფერთვალა რასა – გ-ს იდეალი, რასა, რომელსაც აქვს ცხოვრების უფლება. «ჩვენ უნდა დავიცვათ ძლიერნი სუსტებისაგან და არა სუსტნი

ძლიერთაგან», «მთელ პასუხისმგებლობას ჩემ თავზე ვიღებ» _ ჰიტლერის გენიალური ფრაზა, რომელიც თითქმის მაღლა შეხტომითა თქვა გ-მ. მე შევეცადე ოდნავ მაინც გადამეცა ჩემი აზრები, ოღონდ ისეთი კედელივით შეხედულება ჰქონდა გ-ს, რომ უბრალოდ ვეღარ შევძელი, ის იდგა ჩემს წინ გართული Самобичевание-ით, რომ ის არის შავი, მონა, არაკეთილშობილი, ასეთია შავგვრემანების ბედი, მან იცის ეს და ეს ცოდნა მას მაღლა აყენებს ყველა ქერებზე, რომლებიც ბუნებით არიან «კეთილშობილები», აქ მე ჩავიხლართე, ვერ მესმის ის მაქებს თუ მაგინებს ან რა უნდა, თუმცა ის გაგება, რომ ვიღაცა არის სუსტი და ის უნდა მოკვდეს, ძირშივე საზიზღარია ჩემთვის და მაიძულებს არ მიყვარდეს გერმანია, რომელსაც გ. ბეთჰოვენის სამშობლოდა თვლის. გერმანელები კი არიან პრუსიელები, ბეთჰოვენი ავსტრიელია, მაგას არა აქვს მნიშვნელობა. ვეცდები უფრო კონკრეტული ვიყო.

...

И так ме ვჭამდი ეკლერს, ჩემ პირდაპირ იჯდა დიდი, თათარი მუშა /რომელიც ყოველთვის გლეხის დიდ შენარევს შეიცავს ხოლმე/, მან მესამე ეკლერი მოითხოვა, მე მესიამოვნა, რომ იმას ფული ჰქონდა. რაც შეიძლება ღრმად ჩავძვერი სკამში და შევეცადე ნელა მელოღნა ნამცხვარი, საქმე პირიქით წავიდა, ვერ მოვასწარი მოხედვა, რომ კრემი თითებამდე დავიდა, მე მოწყენილი ვუყურებდი ეკლერებით სავსე ლანგარს, როდესაც მაღაზიაში სამი ნაცნობი გოგო შემოვიდა. ისინი სწრაფად აჩურჩულდნენ, რომ გურამი როგორც კარგი კაცი ეკლერს მიირთმევს და ასეთი საწყალი შეხედულება აქვს და სულ აღარა გავს მთვრალ ტუტუცს ხმამაღალი ყვირილით და მუშტებით. მე ავდექი ნელა და დავიძარი და აშკარად ვგრძნობდი ყველა კიდურის უხერხულობას იმდენად ნაძალადევად მეჭირა სხეული, როგორც მეჩვენება შორს არიან ისინი ჩემ ფიქრებთან. ჩემს უკან წამოვიდნენ ის გოგოები, ვიგრძენი როგორ შეუერთდათ ვიღაც ბიჭი, ჩემმა სხეულმა ვეღარ აიტანა ეს წესიერი მოძრაობა სავსე უაზრობით, არაფრით, მე ბეჭებზე გამხვრეტი ძალით ვგრძნობდი გოგოს თვალებს, რომლებიც შეიძლება არც კი მიყურებდნენ მეტს, ცოტა ფეხიც ამერია, ძალიან ნელმა ნაბიჯებმა წონასწორობა დამაკარგვინეს და უცებ, შვებასავით ვიგრძენი, რომ წინიდან მოდიოდა ნაცნობი ბროდიაგა, დაბალი, თხელი, გახუნებულ გიმნასტიორკაში, სუფთად გაპარსული, ამოთხვრილი, უქამრო, ქუდჩამოფხატული კეთილი ჟუჟუნა სახით. ის მოდიოდა ქანაობით, არხეინად და მთელი გულით შემშურდა მისი, გიჟივით მომინდა სიმთვრალე, არაყი, პაპიროსი _ брат – გავუწოდე ხელი და უცებ არასასიამოვნოდ ვიგრძენი, რომ პირიდან საშინლად ყალბი ხმა ამომივიდა. იმან ხელი გამომიწოდა და ღიღინი დაიწყო Корнилов мне сказал генерал да да _ пошли домой домой довай ისევ ყალბი ხმა ამომივიდა პირიდან და სულ საცოდავი და დამცირებული გამოვჩნდი შავ კოსტუმში, ბრექით, თეთრი ხალათით, ამ რუს ლოთთან, რომელიც ხელს მიჭერდა, ღიღინებდა, ხარობდა, რომელიც აბსოლუტურად არ აქცევდა ყურადღებას არაფერს, როცა მე ვგრძნობდი უკან მომავალი გოგოების თვალებს, რომლებსაც შეეძლო ეთქვათ, რომ მე ამ ლოთთან, მათხოვართან, ორიგინალობის გულისთვის გავჩერდი, შეეძლოთ ეთქვათ, რომ მეც ლოთი ვარ, რაც უფრო საამაყო იქნებოდა ჩემთვის, ვიდრე ორიგინალობა, ვგრძნობდი სრულ უმწეობას ჩემი შეგრძნებების შეკავებისადმი. მინდოდა მომეშორებინა ისინი თავიდან, სულ წამით მაინც გავმხდარიყავი ისეთი დამოუკიდებელი, ბედნიერი, როგორიც იყო ეს უთვისტომო მათხოვარა ჟუჟუნა თვალებით, კეთილი, სიბრაზის გარეშე, სხვისი თვალების შეგრძნების გარეშე.

ეს კაცი იდგა ჩემს წინ და მღეროდა, მეც ავყევი ყალბად, არასასიამოვნოდ, რისგანაც ცრემლები მომაწვა თვალებში. ავუხვიე ყაზბეგის ქუჩაზე, ხელი მის

ზურგზე მქონდა მიდებული და ვაწვებოდი სახლისაკენ, აქეთ ბნელოდა. მინდოდა არ დამენახა ჩემი შავი კოსტუმი, თეთრი პერანგი, ბრახუნები, რომლების ხმაც მთელ ქუჩაზე ისმოდა, მაგრამ სიბნელემ არ უშველა, პირიქით. – а вот я, лично я, никогда никогда не сидел в траншее не боялся идет враг и стреляет тра тра татата та – დაბარბაცდა ის და ხელი გაიქნია აქეთ იქით – никогда не боялся – ის უცებ მობრუნდა ჩემსკენ და მითხრა ე.ი. თქვა. ის კი არ მელაპარაკებოდა – ლაპარაკობდა: не бойся никогда мы советский народ не боимся – ის ახლო მოიწია –а вот я тебе секретчик скажу там у нас стоят дуло верх и брат супротив Америки – მოურუსულე და ისევ არ მესიამოვნა ჩემი თავი, მაგრამ მოვკიდე ხელი და წინ წავიგდესავით, ის მიდიოდა, უსხეულო, უხორცო, უწყინარი და მღეროდა. მე მივდევდი დიდი, აღჭურვილი კოსტუმ- ბატინკებით და ვტიროდი, რომ არ ვიცოდი ის საიდუმლო, რაც იცოდა ამ კაცმა, საიდუმლო, რისგანაც არის ის კმაყოფილი. რა გქვიათ, ა? – ვკითხე ყურში – Корнилов Александр Сидорич - თქვა განურჩევლად, მე გადავწყვიტე საკადრისი პატივი მეცა. – Алексей Сидорич прошу сюда Мы Америку за раз и и – გაიქნია კეთილად ხელი და მე ვიგრძენი _ ამ კაცს შეეძლო მთელი ამერიკა გაეწყვიტა ისე, რომ თითონ მაინც სავსე დარჩენილიყო უმანკოებით და სიკეთით – Америка против нас ничто во гааккетa цeрu Советский союз 200 милллион Китай 600 миллион там Индия Перу _ мы три Грузия ვთქვი მე о, правильно еще три - მიითვალა სათვალავში – მე თვალები გამიფართოვდა, ვუყურებდი ამ არარაობას და ვგრძნობდი, რომ ის იყო ქვეყნის მფლობელი, იმ საიდუმლოს, დიდი საიდუმლოს წყალობით, რომელიც სამუდამოდ დაფარულია ჩემთვის, მერე ვიმღერეთ და მე ვკითხე что тебе дает Советский союз а что или скажи который лучше Америка или Советский союз? – მე ველოდი რომ იტყოდა როგორც ყველაფერს აგდებდა «оба один х...» გუნებაში ასეც ჩავიწერე, მაგრამ როცა იმან არც კი მიაქცია ყურადღება და განაგრძო ამერიკის დამარცხება, მე მივხვდი, რომ კიდევ ერთხელ, ახლიდან დავმარცხდი, ამ კაცისთვის არსებობდა ორი რამე: საბჭოთა კავშირი, რითაც ის აბსტრაქტულად გამოხატავდა თავის სიყვარულს, ღირსებას, რომ ის იმითია სწორედ კარგი, რომ ლოთია, რაცა აქვს და იმ სურვილით, რომ ქონდეს, რაც არა აქვს, რომ მათხოვარია, რომ ის საერთოდ არის და ამერიკა, რომელიც ცდილობდა მისი ადამიანური ღირსება დაემცირებინა, ამ სახელების უკან მისთვის იმალებოდა მთელი, მთლიანი შეცნობა სამყაროსი, რაც სამუდამო საიდუმლო დარჩება ჩემთვის. ამ კაცს არ ეპარებოდა ეჭვი, ამ კაცმა იცის რაღაცა, ისე შეუძლებელია ასეთი ბედნიერი და უმწიკვლო იყო, ასეთი განურჩეველი იყო სხვისი თვალებისადმი, ადამიანებისადმი, თვით სიკეთისადმი და ამითი თავისთავად იყო კეთილი ადამიანი (მწერალმა არ იცის რაღაცა, ამიტომ ეძებს, იმათ იციან). ის პაპიროსის სათხოვნელად შეჩერდა ვიღაცეებთან, რომლებმაც ცუდად დაუწყეს ყურება, მაგრამ ჩემი დანახვისას კარგად ჩაცმული მისული ბიჭი აღიქვეს და მოუკიდ–მისცეს პაპიროსი, Алексей Сидорич-მა შეატყო, რომ თუ მე არა, ისე არ მისცემდნენ პაპიროსს და პირველად აქ აღმიქვა როგორც სხვა კაცი მის გარდა, _ Правильно генерал Королев сказал Александр Сид человек неплохой проводи его до дому он человек боевой _ მას ვერ წარმოედგინა რა საჭირო იყო ასეთი სიტუტუცე – გაცილება მეორე კაცის /უცნობის/ თუმცა უცნობ-ნაცნობს მისთვის არა აქვს მნიშვნელობა და არც სჭირდება ვინმე/ სახლამდე, და რახან ამ ფაქტს აქვს ადგილი ე.ი. ამ კაცს რომელიც მისთვის წუხდება, დაავალა ვიღაცამ, ეს ვიღაცა არის მის მიერ შექმნილი Корнилов რაღაცა გვარი, რომელიც ასმევს მას, ხალხს ავალებს გააცილოს და საერთოდ, რომელსაც როგორც ლაპარაკიდან გამოირკვა, აბრალებს ყველა სიკეთეებს, რადგან სიკეთის გაკეთება მხოლოდ «ღვთის», აქ კორნილოვის ბრძანებით

შეიძლება, ისე სიკეთე თავისთავად უაზრობაა, მერე მას მოეწონა ეს აზრი და მთელი გზა იმეორებდა – Корнилов приказал проводи того человека меня знают меня уважают правильно ჩუჩუ там на горе супротив Америки танки стоят пушки стоят. ის ახლო მოიწია, ხელი მომიჭირა და ჩურჩული დაიწყო, გარეშემო თითქმის არავინ იდგა, მხოლოდ მაღაზიასთან ისხდნენ ღამის ყარაული ქალები это не плохо – ვთქვი მე უაზროდ და უცებ სიხარულმა შემიპყრო, ისეთივე უაზრომ როგორიც იყო ეს სიტყვები, ჩემი ტანი იდგა მოუხეშავი, ზედმეტი ამ უხორცო კაცთან, რომელიც უაზროდ ემუქრებოდა ამერიკას Ирак Дамаск – იძახდა, ხელს წევდა სუსტად, ნაზად, უდიდესი ჰარმონიით ისე, რომ ოდნავ ადგილსაც კი არ იჭერდა საერთოდ, როცა მე ამდენი ადგილი მეჭირა და მაინც გიჟურმა სიხარულმა შემიპყრო, სიცარიელემ თავისებურად იმოქმედა და მე უსაზღვროთ ახლო მივედი რაღაცა საიდუმლოს გაგებასთან. ის კაცი გამოიწია ჩემსკენ, მანიშნა ყური დამეწია მისკენ, მე ავღელდი და დავიხარე, მომეჩვენა, რომ ახლა უნდა მოვისმინო უდიდესი საიდუმლო და გავნთავისუფლდე ცოდვებისაგან, რომლებიც არ ჩამიდენია. პატარა ფანარი ანათებდა მის კეთილ, უნაკვთო სახეს, კაბასავით ჩაშვებულ გიმნასტიორკას, მე სულ სმენად გადავიქეცი, მეშინოდა ერთი სიტყვაც კი არ გამომპარვოდა ამ საიდუმლოსი, უფრო კარგი შეგრძნებისათვის გიმნასტიორკაზე მოვკიდე ხელი Знаешь я тебе тайну скажу გაიმეორა იმ კაცმა და მე თითქმის დავკარგე სხეულის შეგრძნება, რომელიც არასოდეს არა ყოფილა ისე უხერხული როგორც ახლა, მაგრამ ის ხელოვნურად დავივიწყე знаешь что у нас там на горе в семоновке пушки стоят супротив Америки ამ სიტყვების მოსმენისას მე უცებ დამეუფლა იმედის გაცრუების და უდიდესი საიდუმლოს გაგების შეგრძნება, ესეც ვიცოდი მთელი ამ კაცის საიდუმლოს ცოდნა ეს არის, ესა ყოფილა, ეს საიდუმლოა, რომლითაც მას შეუძლია იყოს ბედნიერი და არის კიდეც, მთელი გზა მეუბნება ამას, ამით არის ის ბედნიერი. მაშინვე მივხვდი, რომ არ არსებობს საიდუმლო. ე.ი. მას /საიდუმლოს/ არა აქვს სახელი, არა აქვს სიტყვები, მას აქვს მხოლოდ შეგრძნება, ამიტომ მას შეგიძლია დაარქვა ყველა სიტყვა, რაც შენ მოგესურვება, ყველა წინადადება, რაც ისევე არაფერს ეტყვის სხვას, როგორც ამ კაცის სიტყვები არ ამბობენ არაფერს. ეს კაცი იდგა ისეთივე კმაყოფილი, მომღიმარი, მერე ჩამომართვა ხელი, წავიდა, მე დავიღალე, ის არა, იმისთვის სულერთი იყო ვინ? როგორ ახერხებდა ამას, ეს იყო ჩემთვის საიდუმლო, ერთადერთი ადამიანური თქვა მან დაშორებისას спасибо брат ეს მეხებოდა პირადად მე – და ეს იყო გაცილების ხელფასი, როგორც ბარგის გადატანისას სადგურზე, ამით მან ქვეშეცნეულად ხაზი გაუსვა, რომ მან იცის, რომ მე არა მაქვს ის საიდუმლო, რაც აქვს იმას, ამიტომ ჩემი ადამიანური ბუნება თავისი ხორცით საჭიროებს სამაგიეროს, რაც ასე სულერთია მისთვის, ამიტომ მიხდის მე იგი – спасибо брат – მიხდის და მიდის თავისი საიდუმლოთი, თავისი გზით და ერთი წამითაც კი არა ფიქრობს ჩემზე, მან იცის ამისი საიდუმლო, მე კი ვეძებ ამ უფიქრელობის საიდუმლოს და ვიტანჯები. წინ არის პოდიეზდი, სახლი, დედა, «სიყვარული" <u>ვნებები,</u> რაც წარმოუდგენლად მაშორებს იმ საიდუმლოს გაგებას.

[1958წ. შემოდგომა]

«დღიურის» ლოთის პროტოტიპია ჩვენი მეზობელი ლარსის ქუჩიდან, ლოთი ლიონია, გაწყალებული თვალებითა და უნაკვთო სახით, ბოლომდე შეკრული გიმნასტიორკით, ჭუჭყიანი, ჩაფართხუნებული შარვლით, თითქოს მართლაც უსხეულო, არავითარ «ადგილს არ იჭერდა სივრცეში.» ლიონია «დღიურის» ლოთის მსგავსად კი არ ელაპარაკებოდა ვინმეს, არამედ მხოლოდ წარმოთქვამდა რაღაც

სიტყვებს გაურკვევლობამდე ჩუმად. ჩვენი შუშაბანდის ფანჯრებიდან ჩანდა «დიდ სახლზე მიდგმული პატარა ქოხი», სადაც ის ცხოვრობდა. ლიონია თითქმის ყოველდღე ეხმარებოდა დედას ნაგვის გადაყრაში (შემდეგ გაირკვა, რომ ეს ნაგავი სახლში მიჰქონდა), საკანალიზაციო მილების გაწმენდაში და სხვ.

«ირინა და მე» და «ალავერდობა» პირველად გამოქვეყნდა 1960 წელს ჟურნალ «ცისკრის» აგვისტოს ნომერში. 1980 ქუთაისის პერიოდულ გამოცემაში «განთიადი» შესწორებებითა შემოკლებით დაიბეჭდა მესამე მოთხრობა «დღიური». 1965 წელს გამოცემულ კრებულში შეტანილია მხოლოდ «ალავერდობა».

«ის ის იყო ღამდებოდა»

არქივში ინახება ამ მოთხრობის მხოლოდ ერთი დაუთარიღებელი და უსათაურო ხელნაწერი (1_8გვ.). ფრაზა მოთხრობიდან «24 წლის ბიჭი, მოშავო ულვაშებით, არც მაღალი, არც დაბალი...», ჩემი აზრით, არ გამოდგება ამ ნაწარმოების დასათარიღებლად, რადგან მაშინ ის დაწერილი უნდა იყოს 1958 წელს, რაც ხელნაწერთა დათარიღებისათვის ჩემ მიერ შემუშავებულ არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს (იხ. ტომი 1. ავტოგრაფების დახასიათებისათვის). მკითხველს გავახსენებ, აგრეთვე, მწერლის ერთ-ერთ ადრეულ მოთხრობას «მე ახლა 25 წლისა ვარ», რომელიც დაწერილია 22 წლის ასაკში, 1957 წელს, და სწორედ ამ ფრაზის გამო იყო ის არასწორად დათარიღებული (1959წელი) წლების განმავლობაში.

ნაწერია გაკრული ხელით. ერთი სიტყვა სხვა მელნით ჩასწორებულია მწერლის მიერ. მეოთხე გვერდზე წერა განახლებულია ახლად ავსებული მუდმივი კალმით.

«ის ის იყო ღამდებოდა» შეიძლება დაუმთავრებლად მივიჩნიოთ, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ ასეც, რომ დაუმთავრებლობა არის მისი სტრუქტურის ნაწილი, რომ მას ღია ბოლო აქვს. კომკავშირიდან გარიცხული ვალიკოს ბედი ამ ეტაპზე გაურკვეველია თვითონ მწერლისთვისაც. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს 1960 წელს, ვფიქრობ, ლიბრეტოს შექმნამდე (იხ. შენიშვნები «ჩლშ»-ისათვის).

გამოუქვეყნებელია.

«სულ დანაწევრდა და აოხრდა»

არქივში ინახება მოთხრობის ერთი უსათაურო და დაუთარიღებელი ავტოგრაფი(1_11გვ.). ავტოგრაფის პირველ გვერდზე სხვისი ხელით და ფანქრით წერია: «გურამ რჩეულიშვილი». ნაწერია მსხვილი გაკრული ხელით. გვერდები არათანმიმდევრულადაა დანომრილი.

თარიღის დასადგენად, გარდა ფურცლის ხარისხის და ხელწერისა, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შუა საუკუნეების თემატიკა, რომლითაც გურამი დაინტერესებული იყო 1959-1960 წლებში. ამავე პერიოდს ეკუთვნის ჩანაწერი ასეთი სათაურით: «შუა საუკუნეების მოქალაქის მოგზაურობა XX საუკუნეში .....» და «სურამის ციხე». ამ დაუმთავრებელ ტრაგედიაში, «სურამის ციხეში», მოქმედება მიმდინარეობს შუა საუკუნეებში. მოთხრობაში «სულ დანაწევრდა და აოხრდა» და «სურამის ციხეში» ერთი და იგივე საკუთარი სახელები გვხვდება: მართა, საურმაგი,

ქსნის ერისთავი. ორივე ნაწარმოები დაწერილია მსგავს ფურცლებზე. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დედას ჩანაწერი: «გურამმა მითხრა ვიწყებ მუზეუმში მუშაობას. მაინტერესებს შუა საუკუნეებიო.» არქივში ინახება «ქართლის ცხოვრებიდან» გურამის ხელით გაკეთებელი ამონაწერები შუა საუკუნეების ისტორიასთან დაკავშირებით.

მოთხრობა, სათაურით «მუზეუმის დირექტორი», პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს», ნუგზარ წერეთლის რედაქციით.